

119
1962/3



აგონიანი



6

1

9

6

2

მნათობი



სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-საბჭოთაო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუროსი

წელიწადი 39-ე

№ 6

თბილისი, 1962 წ.

საპარტიველოს საბჭოთა მწიგნობის კავშირის ორგანო

შინაარსი

48297

რუსული პოეზიის დეკადა საქართველოში	3
ა. სურგული — თანატოლს. ლექსი. თარგმანი ხ. ბერულავასი	5
პ. ანტოქოლსკი — ლუდი ჰამილტონი. ლექსი. თარგმანი გრ. აბაშიძისა	6
ნ. რილენკოვი — უსათაურო. ლექსი. თარგმანი შ. ნიშნიანძისა	6
მ. ლუკინი — სად დაეზადე? ლექსი. თარგმანი რ. მარჯანიასა	6
ალ. შევაროვი — ქართული ცეცხა ხმლებით. ლექსი. თარგმანი შ. ნიშნიანძისა	8
ვ. სოლოუხინი — უსათაურო. ლექსი. თარგმანი ო. კელიძისა	9
ს. ვასილიევი — უსათაურო. ლექსი. თარგმანი ა. მულაქაძისა	9
ბ. ახმადულინი — ქართველ ქალთა სახელები. ლექსი. თარგმანი ა. კალანდარისა	9
ი. შორიცი — კატენკელები. ლექსი. თარგმანი მ. ფოცხიშვილისა	10
ლადო მრეღაშვილი — ყაბაზი. რომანი. გაგრძელება	11
გრ. ჩიქოვანი — სინთე. მოთხრობა	21
დავით გაჩეჩილაძე — ლექსები	35
მედეა კახიძე — ლექსები	38
მარი აბრამიშვილი — შოთას სურათი. ლექსი	39
თენგიზ გოგოლაძე — ნიაღვარი. რომანი. დასასრული	40
ბ. მუჭირიშვილი — ახალი ინსტრუქტორი. მოთხრობა	75
მაინარიშვილი — დოქტორი მურჯე აგროევის... დემილს	
თარგმანი გერმანულიდან ნოდარ რუხაძისა	87

ნაკვეთი

ბ. შატბერაშვილი — მედვიე ძიებაში	104
სიმონ წვერაძე — მზე ისევ მალდა იყო	109
მ. დოლიანსკი, ს. ზერტოვი — წიგნების ქალაქი	116

(იხ. მე-2 გვ.)



გასტონ ბუაჩიძე — ეან-ჟაკ რუსო ქართულ მწერლობაში	123
გიორგი ჭიბლაძე — პოვარტის ესთეტიკა	133
მიხეილ გაფრინდაშვილი — გიორგი წერეთლის შემოქმედებითი მეთოდის თავისებურებანი	145
გიორგი შერვაშიაძე — მხატვრის ოსტატობა	152
ნოდარ კაკაბაძე — „ფაუსტური პარადიგმები“	160

მეცნიერება

მიხეილ შენგელია — სამედიცინო-ბიოლოგიური საკითხები სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებებში	170
---	-----

წარსულიდან

ბენჯან გიორგაძე — დონ ჭუხუძე ჭეღიძე და მისი რელიკია საქართველოს შესახებ	177
--	-----

წიგნების მიმოხილვა

სარგის ცაიშვილი — მოსე გოგიბერძე — ვეფხისტყაოსნის მკვლევარი	183
ნანა ლეინფაძე — სიყვარულით დაწერილი	186
ზურაბ აბაშიძე, ვიქტორ კახნიაშვილი — ანტიფაშისტური მწერლის ცხოვრება და შემოქმედება	188
ირაკლი კენჭოშვილი — „მთვლის“ ახალი გამოცემის გამო	190
ახალი წიგნები	192

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პრეზ. მდივანი: ვ. წულუკიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
ე. მაღრაძე, ბ. ძღენტი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/VI-62 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწილის ზომა 7 1/4×12 1/2.
ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირბითი ფორმათა რაოდენობა 16. უე 03262
ტირაჟი 6600 შეკვეთა № 943.

საქ. კპ ცკ-ის გამოცემლობა „კომუნისტის“ სტამბა № 1, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Издательство ЦК КП Грузии, типография № 1, Тбилиси, ул. Ленина № 14.

რუსული პოეზიის დეკად საქართველოში

ამა წლის ივნისში ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობდა რუსული საბჭოთა პოეზიის დეკადი. საქართველოს ესტუმრა რუსი პოეტების დიდი ჯგუფი. თავის ქართველ მასპინძლებთან ერთად რუსული პოეტური სიტყვის შემოქმედნი ეწვივნენ საქართველოს ქალაქებსა და დაბა-სოფლებს, პირისპირ შეხვდნენ მუშებს, კოლმეურნეებს, ინტილიგენციას, მოსწავლე ანალგაზრდობას. დეკადისათვის ქართულად ცალკე წიგნებად გამოიცა რუსული საბჭოთა პოეზიის ნიმუშები, რომლებმაც კრიტიკის და მკითხველის ყურადღება მიიქციეს.

შუანიშნავი ტრადიცია, რომელსაც ოცდაათიან წლებში საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა კავშირის ხალხთა ეროვნული ლიტერატურის დიდი მეგობრის ა. მ. გორაკის ინიციატივით, ჩვენს დღეებში გრძელდება უფრო მეტი ინტენსივობით და სიღრმით.

ძნელია მთელი სისრულით შეფასდეს ის ნაყოფი, რომელიც სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებლის ისტორიულ თაოსნობას მოჰყვა. ოცდაათიანი წლებიდან გაიშალა გვერდამწვინილი მუშაობა რუსულ ენაზე საბჭოთა კავშირის ხალხთა კლასიკური და თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის გადასათარგმნად. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ყველაფერი, რაც კი მნიშვნელოვანია საბჭოთა კავშირის ერთა მწერლობაში, უკვე ითარგმნა რუსულ ენაზე და ამით მისაწვდომი გახდა ჩვენი დიდი სამშობლოს მკვიდრი ყველა ხალხისათვის. უფრო მეტი — მსოფლიოში ერთ-ერთი დიდად გავრცელებული რუსული ენის საშუალებით საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ლიტერატურა ცნობილი შეიქნა სახალხო დემოკრატიის რესპუბლიკებსა და კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც კი.

კერძოდ, თუ დღეს ქართულ პოეზიას ესოდენ ფართო და მრავალეროვანი აუდიტორია ჰყავს, უწინარეს ყოვლისა, ეს არის რუსი საბჭოთა პოეტების მრავალრიცხოვანი პლეადის დიდი დამსახურება. მათ არ დაიშურეს ენერგია, შემოქმედებითი გამოცდილება და მხატვრული გამოგონებ-

ლობა იმისათვის, რომ რუსულ თარგმანში ქართულ ლექსს შეენარჩუნებინა ეროვნული თავისებურება, პლასტიკური და მელოდიური გამოშახველობა, ემოციურობა, ე. ი. თვისებები, რომელნიც ესთეტიკურ ტკბობას გვრის მკითხველს და აზღვდრებს მის სულიერ სამყაროს.

თავის მხრივ, ქართველმა პოეტებმაც ბევრი რამ გააკეთეს რუსი კლასიკოსი და საბჭოთა პოეტების გადმოსათარგმნად ქართულ ენაზე, ასე რომ, ქართველ მკითხველს დღეს საშუალება აქვს თავის დედენაზე წაიკითხოს დიდებული რუსული პოეტური შემოქმედების ის შედეგები მაინც, რომლებიც პირველი სიდიდის ვარსკვლავებად ბრწყინავენ მსოფლიო პოეზიის ცაზე. პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, მაიაკოვსკის პოეზია შედის დღეს ქართველი ადამიანის სულიერი კულტურის საგანძურში.

ჩვენთვის — ქართველებისათვის საამაყოა, რომ დიდი რუსი მთაწარვის ბელინსკის ფორმულას, კავკასია არის აკვანი რუსული პოეზიისა — ჩვენს ეპოქაშიც არ დაუკარგავს თავისი ძალა და აქტუალობა. მართლაც, ახალი საქართველოს ბუნებით, ქართველი ხალხის ცხოვრებით, შრომით და ბრძოლით შთაგონებული ლექსები მაიაკოვსკისა და ესენინისა არის ხელი-ხელსაგოგმანები მარგალიტები საბჭოთა ეპოქის რუსული პოეზიისა. ასევე თანამედროვე რუსული პოეზიის მშვენიერს წარმოადგენენ ქართულ თემებზე დაწერილი ლექსები ნ. ტიხონოვისა, ნ. შაბოლოცკისა, პ. პასტერნაკისა, პ. ანტოკოლსკის და ბევრი სხვა ნიჭიერი რუსი საბჭოთა პოეტისა, რომლებიც ესაიარნენ რა საქართველოს ძველ და ახალ კულტურას, მის ისტორიულ წარსულს, გმირული პათოსით აღბეჭდილ შრომას ქართველი ხალხისა, გახდნენ ახალი საქართველოს შთაგონებული მომღერლები.

სისინარულო და საამაყოა, რომ შემოქმედებითი მეგობრობის იმ ესტაფეტს, რომელიც პუშკინით, ლერმონტოვით და გრიბოედოვით დაიწყო და რომელიც შემდეგ

ხელში აიღეს გორკიმ და მიაკოვსკიმ, ჩვენი საუკუნის სამოციანი წლების დამდეგს განაგრძობენ რუსული პოეზიის ახალგაზრდა წარმომადგენლები. დეკადის დღეებში ქართველ მკითხველს საშუალება ჰქონდა უფრო ახლო გაეცნობოდა ჩვენი დღეების რუსულ პოეზიას და დარწმუნებულიყო, რომ ჩვენი საუკუნის მოწინავე იდეების განსახიერება დღესაც რუსული საბჭოთა პოეზიის კანონია, რომ თანამედროვეობა წარმოადგენს რუსი პოეტების შემოქმედებითი ენერჯის დაუმრეტელ წყაროს.

კლასობრივ ბრძოლებში შობილი, ვ. მიაკოვსკის ტრადიციებზე აღზრდილი რუსული საბჭოთა პოეზია გამოიწრთო და განმტკიცდა სუბიექტური, აპოლიტიკური ლირიკის შეფრიცხველ უარყოფასა და მასთან ბრძოლაში. რუსულ საბჭოთა პოეზიაში ცხოველმყოფელი და ხელშესახები გამოსახულება ჰქონდა საბჭოთა ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპმა, ყოველმა მისმა ღირსახსოვარმა მოვლენამ და ამასთან სოციალიზმის მშენებელი ადამიანის განცდებმა, ყოველდღიურმა ფიქრებმა და განწყობილებებმა.

დღეს რუსული საბჭოთა პოეზია ისეთ საფეხურზე დგას, რომ ძნელი ხდება გაავლოთ მიჯნა ინტიმურსა და სამოქალაქო ლირიკის შორის, გამოვითხოთ ისინი ერთიმეორისაგან. კერძობითი და საზოგადოებრივი, პირადული და ის, რაც მილიონებს აინტერესებს, გაერთიანებულია გულახდილ პოეტურ აღსარებაში, რომელიც მოიცავს ყველაფერს, რაც თანამედროვე საბჭოთა ადამიანს აფიქრებს და აღელვებს. რუსული სოციალისტური ლირიკის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ სწორედ ის ლექსები, რომლებიც გამსჭვალული არიან ყოველდღიური საბჭოთარი პათოსით, მიმდინარე ცხოვრების მიერ აღძრული ფიქრებითა და განწყობილებებით. ასეთია ა. ტვარდოვსკისა და ნ. ტინოვის, მ. ისაკოვსკის და ა. სურკოვის, ვ. ლუგოვსკოს და პ. ანტოკოლსკის, ნ. ზაბოლოცკისა და მ. ხვეტლოვის, ი. სმელოაკოვისა და სტ. შჩიპჩევის, ვ. დოლმატოვსკისა და ს. ვასი-

ლევის, ა. მგეიროვისა და ვ. სოლოუხინის, ე. ვეტუშენკოსა და ბ. ახმადულინის, მ. ლუკონინისა და ს. სმირნოვის ლირიკული ლექსები, სადაც დიდი საზოგადოებრივი მოვლენები, პოეტის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული, აღბეჭდილი არიან ღრმა ინტიმითა და ემოციური ძალით.

ჩვენი დღეების რუსული საბჭოთა პოეზია არაჩვეულებრივად მრავალფეროვანია სხვადასხვა პოეტური ინდივიდუალობით. მის განვითარებაში შესამჩნევი ხდება, პირობითად თუ ფიქციურად, ორი ძირითადი მიმდინარეობა — „ყოფითი“ და „რომანტიკული-ამაღლებული“, რომლებიც იდეურად და ესთეტიკურად კი არ უპირისპირდებიან, არამედ ავსებენ და ამდიდრებენ ერთმანეთს. რომელი მიმდინარეობაც არ უნდა ავიღოთ, ჩვენი დღეების რუსული საბჭოთა პოეზია თავისი წყობითა და სულისკვეთებით გამირული, პეროიკული პოეზიაა. მასში განსახიერებულია არამარტო იშვიათი და განსაკუთრებული ეპოქალური მოვლენების, არამედ საბჭოთა ყოველდღიურობის პეროიკა. ეს არის სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე აღმოცენებული რუსული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ნოვატორული თავისებურება.

სკკ XX და XXII ყრილობების შემდეგ, საბჭოთა ქვეყანა ავიდა თავის განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე. მოხდა გასაოცარი ცვლილებები ცხოვრების ყველა დარგში, და რუსი საბჭოთა პოეტები, როგორც ყოველთვის, ახლაც დგანან მხატვრული სიტყვის ოსტატთა იმ ავანგარდში, რომელიც ჩვენს გამირულ ყოველდღიურობაში ხედავს ხგალინდელ კომუნისმს და მთელი გატაცებით უმღერის მას.

ეს ნათლად და აშკარად გამოჩნდა იმ ლექსებშიც, რომლებიც მკითხველმა საზოგადოებრიობამ დეკადის დღეებში მოისმინა. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელნი გულწრფელი სიხარულით და აღფრთოვანებით შეხედნენ რუსული საბჭოთა პოეზიის დეკადას, რომელმაც კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა მოძვე ხალხების სულიერი ნათესაობა და შემოქმედებითი მეგობრობა.

2. სარკოვი

თ ა ნ ა ტ ო ლ ს

მწ. ისაკოვსკის

ამ კოცონებთან — ვერ გავარჩიე —
ხომ არ არიან ბავშვები ჩვენი?
როგორ დავბერდით, ვერც შევამჩნიეთ,
ბრძოლით განვლიეთ სიცოცხლის
დღენი.

ველზე გუგუნებს არტილერია.
უკ, წუთით მაინც გაჩუმდეს ახლა!
თმებში ქალარა გამოგვერია
და მოერია ჩვენს გულებს დაღლა.
მეხის ქუხილი ლიუბლინს გასცდა,
მეხის ხმას უსმენს რიგა, ვარშავა...
ყრმობის რამდენმა სიმღერამ, განცდამ
და ტრაფობამ ფრთები ველარ გაშალა!
არ გავურბოდით უმძიმეს გარჯას,
არ გვაშინებდა ქარი და თოში.
ხუთი მომავალ თაობის ტანჯვა
გამოვიარეთ ჩვენს მოკლე დროში.

ბევრი გვინახავს სასტიკი შეხლა
და ცოტა შეგვხვდა დღეები მშვიდი,
აი, რას ნიშნავს, როდესაც შენ ხარ
თანამედროვე ეპოქის დიდის.
არ ვიბრალეზდით საკუთარ თავსაც,
არ შეგვერეგია სიყალბე ხმაში,
გაჭირდებოდა მწვერვალზე ასვლა?
ჩვენ უფრო მტკიცედ გავწევდით მაშინ.
ჯარისკაცურად ვაცხრობდით ნერვებს
და ჩვენს სიცოცხლეს ათბობდა
აზრი,
რომ ჩვენ პირველნი მთელ ქვეყანაზე
განთიადისას ვხედებოდით ფერებს.
დაე ახალი ეპოქის გზები
იყოს ძნელი და გაუთელავი, —
ჩვენ ჩვენი ბედის ერთგულნი ვრჩებით
და ვერ შეგვიცვლის იმ ბედს ვერავინ.

თარგმანი ზ. ბარულაშვილი

3. ანჰოპოლსკი

ლედი კამილტონი

ბრიანსკის ტყეში მდუმარენი ვისხედით ღამით,
კუცქერდით ეკრანს, არ ისმოდა არსიდან ჩქამი.
გვხიზლავდა ეშვი ტურფა ქალის თვალ-წარბ-წამწამთა,
ვისი ცხოვრებაც ადრე ტყბილი, ბოლოს ჩამწარდა.
კედებოდა მისგან შორს, ძლიერ შორს სევდით მზირალი
მისი მიჯნური, მტრების რისხვა, მხნე აღმირალი.
მხოლოდ ტალღები გემს რომ სცემდნენ იქ,

ტრფილთაგან,
უთვლიდნენ ლედის: „არ ახსოვდა არვინ შენს გარდა!“
იმ ხომალდიდან, მტერს ქვეშეხი ცეცხლს რომ აყრიდა,
შორს ბრიტანეთში ის ღამაში ქალი დაჭვრიდა.
ბედის სიმუხტლით გაწამებულს ოხვრა აღმოხდა



და არაფერი შემდეგ ლედის აღარ ახსოვდა.
 ბრიანსკის ტყეში მებრძოლებმა სურათი ნახეს
 და ტრფობის ძალამ დაახინია ცრემლი მათ სახეს.
 უცებ სიმღერა ვაჟკაცურად სჰეჰქეს გაბმული,
 რადგან მოუნდათ თოვლიც, ტრფობაც, ტკბილი
 მამულიც.

მათ ერთი ჰქონდათ იმ დროს ფიქრი და გულის ძგერა,
 ყველას სწყუროდა სიყვარული და თბილი კერა.
 ლოდინით დაღლილთ მოსწყენოდათ ყოფნა სულ გარეთ,
 სურდათ ემღერათ, უფრო ნაზად, უფრო მწუხარედ.
 სურდათ მიკვროდნენ ბნელ ღამეში ერთმანეთს ძმურად,
 და თვალი ისევ მიჰყოლოდა იმ უცხო სურათს.
 და სულ ემღერათ, რომ სიმღერით ცა აეწიათ,
 რადგანაც ომიც სიყვარულის ასპარეზია.
 დე სატრფოსაგან გაშორებდეს გრძელი მანძილი,
 ადრე გათეთრდე, მოენატროს ბევრჯერ თვალს ძილი,
 გაგრუჯოს ცეცხლმა, ჩამოგემხოს თავზე მიწური. —
 ვინც მამულს იცავს, იგი სამგზის არი მიჯნური.

თარგმანი ვრ. აბაშიძისა

6. კიდევოვი

• • •

როგორც არყის ხე
 აზიდული ცაში ნებივრად
 ეტრფის მზესა და ეომება ავდარს უჭიათს,
 გაშლილ რტოებით ცის კაბადონს ჩაჰხუტებია,
 ზოლო ფესვებით დედამიწა ჩაუბლუჯია,
 მეც ასე ვილტვი —
 დიდ მომავალს ვუახლოვდები,
 წარსულს ვშორდები,
 როგორც სიზმარს დაუბრუნებელს.
 ზოლო ფესვები —
 მომავალი ჩემი ყლორტები
 ხელში უჭირავთ თქმულეებებს და საუკუნეებს.

თარგმანი შ. ნიშენიანიძისა

8. ლუკონი

სად დავიკადე?

მე რომ რუსეთში დავიბადე, მაშინ შევიტყე,
 როცა რეის გავხდი, ვაძოვებდი ხბორებს ფუნჩულას,
 ალიონიდან სათიბ-სათიბ ვრბოდი მთელი დღე
 და ეს ამბავი ქარმა სწორედ იქ ჩამჩურჩულა.



და მაშინ იქვე მოწმე გავხდი ვარსკვლავთცვენისა,
 სხვენზე ჩიტებთან ვერ გავბედე ფიქრის განდობა,
 მე შეშინოდა გუბეებზე გადაბრუნისა,
 რომ ცაში ფეხი უცაბედად არ ჩამვარდნოდა,
 მეუბნებოდნენ: ცა დიღია, არცთუ პატარა,
 რუსეთი მეტად ვრცელი არის სიგრძე — განედით
 ფრანგულ ფუნთუშად და გერმანულ მძიმე მანქანად
 წარმომედგინა გონებაში საზღვარგარეთი.
 ძალით ვხუჭავდი ქუთუთოებს, გულიც მეტყინა,
 აღელვებულმა თავი ბევრჯერ მოვიმძინარე,
 რომ ერთი წუთით თვალწინ მინც წარმომედგინა
 უცხო ქვეყნები, უცხოეთის ბევრი მდინარე.
 დამით ვებრძოდი გაურკვეველ სიზმრებს დილაძდე,
 ვფიქრობდი: ვთქვათ დავიბადე უცხო მხარეში.
 მე მაშინ რუსეთს ვერასოდეს ვერ ვიხილავდი,
 ვერ ჩაზედავდი ჩემს დედიკოს ჰკვიან თვალებში.
 შემოდგომაზე ჩემი ვოლგის ტყვიისფერ ტალღებს
 და ვერც ბოჩოლას ვერასოდეს ჩავეხვეოდი.
 აისის თიბვას ვერ ვნახავდი ზაფხულის დამდეგს
 და ვერც გაფრენილ მტვრიან ფორანს დავეწეოდი.
 და ვიფიქვებდი ამ წუთებში სიამოვნებით,
 რომ დები მყვანან კაპასები, თავგასულები.
 რომ ჩემი წაბლხ ჯიუტია და სამოკრების
 ეკლებით მქონდა დაკაწრული ფეხისგულები.
 მათ მე ყველაფერს შევეუნდობდი... სხვენზე ავედი,
 მზე ჩადიოდა, შეეცქეროდი მზეს აღელვებით,
 დაქროლა ქარმა, თავებს ხრიდნენ ძირს თავთავეები
 და ქარმა უცბად შეიმშრალა ცხელი ცრემლები.
 — „სად დავიბადე?“ — შევეკითხე ქარს ტრამალებს,
 ველოდი პასუხს, ვტრიალებდი და ვფუსფუსებდი.
 გადმოიქროლა, ააღელვა მწიფე ყანები
 და ჩამჩურჩულა: „რუსეთი... რუსეთი...“
 ჩვიდმეტი წლისამ ვიგრძენ ქრეოლა და ერუანტელი,
 ჩავჩურჩულეზი ოქროს ნაწნავს, ვევედრებოდი:
 — რარიგ კარგია, რომ რუსეთში დავიბადენით,
 თორემ ისე ხომ ჩვენ ერთმანეთს ვერ შეგხვდებოდით.
 და მე რუსეთი შევიყვარე — დედა-მშობელი
 ისე ვით სატრფო ერთხელ უყვართ გულით, მხურვალებ,
 მე შევიყვარე, როგორც აფრა მახარობელი,
 მე შევიყვარე, როგორც წყალი უყვართ მწყურვალებს.

აღ. მამიკოვი

ქართული ცეკვა ხმლებით



ქართლო ცეკვავ, ლერწომ ტანისა,
 შენ დამიფარე ავი თვალისგან!
 ქართლო ცეკვავ — სულო ელვისა,
 შენ დამიფარე ავი ენისგან!
 შემომატარე
 ვაჟკაცთა მხარე,
 გამიზაფხულე და გამახარე!
 ცეცხლი წამკიდე და გადამბუგე,
 მეც მაზიარე მაგ სიჭაბუკეს.
 ქართლო ცეკვავ,
 ცად ამიტაცე
 და მთებს მასტუმრე საიალადეს,
 ჩამომიყვანე მერე მიწაზე
 და ჩამახუტე მწვანე ბალახებს.
 მუხლზე დაკვესე, დაიმტვრიე დოლი, დაირა!
 ვაჟკაცები ვართ, ვერ ვიცეკვებთ ჩვენ სხვანაირად!
 ამაღამ ყველა დაივიწყებს
 ცას და მნათობებს,
 რადგან ასულო, მაგ თვალეზმა მართლა დაგვთოფეს.
 ამ ქართულ მიწას ვეთაყვანოთ,
 ამ ზღაპრულ მიწას,
 ფეხისწვერებზე როს დაუვლის ილიკო ფიცხლად,
 ქარტახილივით,
 ორბის ყივილით.
 ისმის ყიჟინა
 შემართული ხმლები კვესავენ;
 — ჩამომიქროლე, რა კარგი ხარ, შენი კვნესამე.
 გაღვენის იქით ჭიხვიინებენ ზორბა ცხენები
 და ლაგამს ხრავენ,
 მეცხვარის ძაღლებს ცეცხლისფერი უჩანთ ენები
 და მთებს ქორივით ეცემა ღამე.
 თითქო მოისმის
 თქარათქური
 ცხენთა ფლოჭვების,
 არის ყიჟინა
 და ფრიალი შავი ჩოხების...
 ქართლო ცეკვავ, მაზიარე შენს სიჭაბუკეს!
 შენი ელვა და ცეცხლი მაჩუქე!

3. სოლოზნინი



• • •

რიყრაყი დგება. დაეცა ნამი
წიწვიან ტყეს და იისფერ სათიბს
დგას რაღაც ახლის დაწყების წამი,
დგას და მზადაა ზეიმისათვის.
ტყეში მზადაა ჩიტების გუნდი.
ფუტკარიც უკვე მზადაა სკებში,
ყველა ყვავილი მზადაა წუთით,
ჯერ გაუმთბარი გაშალოს პეშვი.
და ვდგავარ ხრამის ნაპირზე ასე,
მდინარის ნისლით წამწამებსველი.
დიდი ხალისით და ძალით საესე
სანიშნოდ მალა შემართულ ხელით.

ვარ წინაგრძნობით შემობურული,
რიყრაყს მივაპყარ მკერდი და სახე
და საზეიმოდ, უწმინდეს გულით:
— მზეს გაუმარჯოს! — წამოვიძახე.
— დღეგრძელი იყოს დილა
მშვიდობის, —
სულმოუთქმელად დაეძახე და:
გაჩნდნენ ფუტკრები, გაჩნდნენ
ჩიტები,
გაჩნდა ყვავილი და დღე გათენდა.

თარგმანი ო. ზელიძისა

ს. პასილივი

• • •

გავიდა, გავიდა ორმოცი,
ორმოცი მშფოთვარე წელი.
ეს თოვლის ფიფქები მაცვივა,
თუ თმაა თოვლის ფერი,
აჰა, სიჭაბუკეც მორჩა,
ცეცხლი, აფეთქება, შროშანი...
თუმცა ჯერ შორსაა სიბერე,
მაგრამ არც ისე შორს არი.
და შუბლთან ნისლივით ტრიალებს —
ფიქრი არ მასვენებს წამით:
მიეყევარ ნაადრულ გზებზე,
მოდის უძილობა დამით.
მე მყოფნის ცოტა სიბარული,
ვიშორებ დიდგულა სურვილთ,
მაგრამ მხრებს ფიქრები აწვევა
და თითქოს მძიმდება სული.

ნამდვილად მჯერა თუ მგონია?
მეჩვენება, თუ ვხედავ?
თუ გზააბნეული სიტყვები
ისევე აშლილან ერთად?
ვთუ შლვას ქაფი მოვხადე
და ვფიქრობ, ვარ ზღვათა წიად?
ის მეგობარია ჩემი,
თუ ძველი მოსისხლე ჰქვია?
ჩქარა ჩირალდანი მე მინდა
გზებო გავინათო ჩირალდნით,
სიცოცხლე რა არის, წაეიდეს,
ოლონდაც იაროს სიმართლით.
და ისევე მიედივარ გრიგალში,
დიდი და მძიმეა მიწა
და ამ გრიგალეში დავეძებ
ძნელსა და შორეულ მიზანს.

თარგმანი ბ. სულაბაურიისა

ბ. ახმაღლინა

ქართველ ქალთა სახელეგო

ხეტიალობდნენ ზღვაზე აფრები...
მზე დეკემბრისა კვლავ იყო მწველი
და მშვენიერმა ქადრის ფოთლებმა
ძალიან გვიან დაიწყეს ცვენა..

უერთდებოდა ტალღის ხმაური
ბაზრის ხმაურს და შორეულ ყაყანს...
ბაზალტისა და თოვლის ფერები
ცას შორს აჩენდნენ, შორსა და მალას...

და მარტოობდა ბაღში ჯიხური
(იქნებ ასეთი ყოფნის მსურველიც)
დაჰკრავდა ქართველ ქალთა სახელებს
დამწიფებული ყურძნის სურნელი...

ჩურჩულადქმნილნი გაიჭრებოდნენ
ზღვისკენ მიმდგრებით, ლურჯი
ქედებით...

მერე ნაპირთან მოცურდებოდნენ,
როგორც ზღაპრულად შავი გედები...

მათებრ შეენოდათ ყელმოღერება...
ან, ვით სულები ლურჯი ზღვისანი,

ტალღებს მისდევდა ზღვაში ლამაზი,
ყვავილს იბნევდა თმებში ცისანი...
ჰგავდა ნათელა შორეულ ნათელს
და მიჰყვებოდა ქარს იმედებად...
ალივით გაშლილ ლამაზი თმებით
ამოდიოდა წყლიდან მედეა.

სურნელს აფრქვევდნენ ოლეანდრები...
ოლეანდრებით ცა იყო სავსე...
შორს ყრულ ისმოდა ტალღის ზმაური...
ხეტიალობდნენ აფრები ზღვაზე.

თარგმანი ბ. პალანაძისა.

ი. შირიში

კატენკელები

მწვანე კატარლით მოადგნენ ქალაქს
და გზის გაკვლევა ეძნელებათ —
სურთ ქუჩა-ქუჩა გაჰყიდონ ახლა
კატენკაში დაკრფილი ენძელები.

დადიან სახემღიმარენი,
ისე, თითქოსდა ყანაში მიროკავენ,
ისმენენ ქალაქელები
უცნაურ კილოკავენს.

თვალეზში გაოცება მოსწოლიათ,
გულეზი ჩიტებივით უფრთხილებით...
სამთავეს საკუთრად მოქსოვილი
თეთრი წინსაფარი უფრიალებს.

ყველა ტრამვაი წითელი ჰგონიათ,
მანქანებს გიყვებს ადარებენ,
თავებს აყოლებენ უცნაურ ამწეებს,
ჩერდებიან და ერთმანეთს აჩქარებენ.

ქარხნების გუგუნზე ვარდებად
ღვივდებიან,

მზით დამწვარ ლაწებზე ეშლებათ
თმები...
და ყველა ჯიხურთან გრილდებიან
ტკბილი და გზიანი წყლებით.

ქალაქი — ბენზინით გავსილი ბაღი,
ქალაქი — სიცხისგან გამშრალი
ყელი...
უცებ ნავსადგური დაიწყებს ბღავილს...
კატარღა სამივე კატენკელს ელის.

ნავსადგურში გარბიან გოგონები,
ღრიალა ძრავებში თვალეზს აკენსებენ...
კატარღაზე სხდებიან დაღონებით
და გზაში სიმღერებს აკენსებენ.

მესაჭეს უღვაშებში ეციენება
და ვერ კი ხედებიან კატენკელი
მერძევენი,
რომ ისევ სოფელში ჩაიტანეს
ქალაქში გასაყიდი ენძელები.

თარგმანი მ. ფოსიშვილისა.

ღამე მადეაშვილი

ყ ა ბ ა ხ ი *

— აღექი, ჰო ახლა, აღექი, შენი ჰირიმე, თორემ წყალი აღუღებულია და ლამის დაშრეს. მამაჩემი ჯერ არ მოსულა მინდერიდან, ხოლო სტუმარს როგორ შეეკადრებდი. მიდი, შენი ჰირიმე, ილო-პაპავ, შენ დაკალი, თორემ დაეიწვი ორივეს საცოდაობით.

კასრზე მჯდარი არც კი განძრეულა, მონდომებით მოქაჩა ერთგული ყალიონი და ისე ასძახა:

— მამიდაშენი სად არი, იმან ვერ დაკლა?

ქალი განცვიფრდა.

— რას ამბობ, ილო-პაპავ, მამიდაჩემი როგორ დაკლავდა? თითონ დაკლას კი არა, ქალის დაკლული ქათამი არასოდეს არ უჭამია.

ილო-პაპამ კბილებში გაირჭო ყალიონი და აუჩქარებლად წამოდგა.

— ეე, რეები ხართ ეს დედაკაცები, — მორთან მივიდა, პატარას წალდი გამოართვა და საბრალო მსხვერპლზე მიუთითა: მოიტა, შეილო, აქ ეგ საცოდავი.

ბიჭმა ნახევრად კისერმოჭრილი, სისხლისაგან დაცლილი და მიმკვდარებულ ქათამი უსიამოვნოდ ვადასცა უფროსს და მანაც მოუსაგლეთის გზას გაუყენა. მალე დანარჩენ ორსაც ასევე დაუბნელა მზე და ძირს ჩამოსულ ქალს მიაჩეჩა მალა ასატანად.

— მოჭრილი თავები შენ წამოიღე, გენაცვალე, — დაუბარა გოგომ ბიჭს და კონტა ფოსტლების ტაპა-ტულებით აუყვა კიბეს.

— ჰაი, გიდი, დედაც ეგეთი ლამაზი ჰყავდა დალოცვილო, — მცირე ხნის ცქერის შემდეგ თქვა ყალიონის პატრონმა და ისევ ქლიავის ძირში დადგმულ ღვინის კასრზე ჩამოჯდა. — ჯიშია, ალბათ, ჯიშია.

სამოცდახუთ წელს მიღწეული ილუა ერთ ხანად კოლმეურნეობაში არ შედიოდა და ბერხევას კლდიდან მოზიდული თიხისაგან ჭურჭელსა სჭრიდა ისეთ ოსტატობით, რომ ახმეტის თავიდან მოკიდებული ახალსოფელ საგარეჯოს გავლით თეთრწყარომდე სანატრელად ჰქონდათ პატარძლებს მისგან წერნაქით ტანმოხატული და ყელჭრელი სურა, ლიტრა, და ხელჩაფა. შემდეგ ფინგანმა დაბეგრა მისი „ქარხანა“ და ილუაც იძულებული გახდა განცხადება დაეწერა კოლმეურნეობის გამგეობის სახელზე.

ილო-პაპამ უკინასკნელი ნაფაზი დაპკრა, ყალიონი ხარაზული ჩუსტის ქვინტზე დაბერტყა, ქამარში კონტად გაიყარა და შემდეგ მძიმე კასრით მეორე სართულზე კიბეს აუყვა. აივანზე ასულმა კასრი ბუხრის ძირას დადგა და ოთახში შეიხედა.

ქალი სტუმარს ნარდს ეთამაშებოდა და ძელის კამათლებს წარამარა ვაპქონდა ჩხაკუნი კაკლის ხის დაფაზე.

მალალი, გრძელცხვირა და ძვირფას პიჯამოიანი კაცი გასროლილ კამათლებს ეხვეწებოდა, რათა დღეშაშუა დამჯდარიყო და თანაც ვეება თვალებს ჩუმრუმად აპარებდა ასულის შიშველსა და ჯიშიანი მკლავებისაკენ.

— მამიდაშენს უთხარი, გოგო, ბოთ-

* ვაგრძელება იხ. „მნათობი“ № 4, 5.

ლები და რეზინი გამოიტანოს. ბარემ ჩამოვასხამ, — უთხრა პაპამ ქალიშვილს და უკან გამობრუნდა.

შუახნის ქაღმა ბოთლები გამოიტანა...

შემგლისფერდა თუ არა, თავმჯდომარეც მოვიდა და დას შეუწყრა, — ვახშამი რად დაავიანხო და, რაკი დაპირება მიიღო, მალე მოგერთმევათო, სტუმარს მიუბრუნდა, რომელმაც უკვე მოასწრო შეათე ხელის წაგება.

— რაო, ამხანაგო ალექს, ხომ არ დაგკაბნათ ჩემმა ჭეირანმა?

სტუმარმა გაიღიმა და ცხენივით გრძელი კბილები გამოაჩინა.

— ნამდვილად დამჩაგრა, ბატონო ნიკო, ნამდვილად. მერე, კამათლებიც ასე უჭერებენ.

— ო, არა, მამი, არ დაუჭერო. პატრიცეპული სტუმარი, ალბათ ფიქრობს, ვერ ვამჩნევდი, როცა ის ვანგებ აგებდა.

— არა, ღმერთმანი, მე ოდნავად ვერ მოვალ ნარდში თქვენს ქალიშვილთან. ქაღრაკი კი სხვა საქმეა. ქაღრაკში შეაძლება მოგება, რადგან აქ კამათულზე არ მიდგება საქმე.

ქალიშვილმა ნაღვლიანად გაიღიმა.

— ქაღრაკის თამაშშიც შეიძლება, მაგრამ შეშინა აქაც დამომბისა.

მასპინძელმა აქამდე თავზე შერჩენილი კეპი ლურსმანზე ჩამოჰკიდა, შეიღვინა მიუხალოვდა, თმებზე ხელი გადაუსვა და დაღლილ თვალებში მზრუნველობით ჩახედა.

— გეყოფა, შვილო, მე შენ რა შემპირდი? განა მარტო წიგნის კითხვა გლლის? თამაში გართობისათვის არი და არა დასაღვლელად. სტუმარმა კი ალბათ, ხათრი არ ვავიტეხა და გეთამაშა, თორემ, შენ რომ იცოდე, რამდენი საქმე აქვს, ეგრე აღარ შეაწყუბებდი.

დარბაისელმა სტუმარმა დიპლომატიას უღალატა და თავისი თავი გასცა.

— რას ამბობთ, ბატონო ნიკო, ვის ეჩვენება მოსაწყენად თამართან ნარდის თამაში?

მასპინძელმა თვალი ქალიშვილიდან

სტუმარზე გადაიტანა და სხვათა შორის იკითხა: ალბათ, ფოტო-კორესპონდენტმა უკვე გამოამქლევან თავისი დღეგანდელი გადაღებული სურათებიო.

— დღეს არაფერი მოხერხდა, ბატონო ნიკო. ხეალისთვის კი მარანში შეიძლება სახელდახელო ლაბორატორია მოეწყოს, რადგან, როგორც გავიგე, იქ საკმაო სიბნელეა, ხოლო საჭირო ხელსაწყოები კი ყოველთვის თან დამაქვს.

სტუმარი ადგა და ზურგზე ხელბედავობილმა ოთახში გაიარა-გამოიარა კმაყოფილი სახით.

— ჩემი აზრით, ყველაზე საუკეთესო სურათი იქნება, როდესაც თქვენ კომბაინზე იღეკით, თავზე ჭილის ქაღალთ კომბაინერის გვერდით. კარგი გამოვა აგრეთვე, როდესაც გაღეწილ ხორბალს სინჯავთ კალოზე, ხელისგულზე დაყრილს.

— მთავარია ხალხი. კოლმეურნეები კი აუცილებლად უნდა ჩანდნენ.

— განა არ ჩანან? — შეედავა სტუმარი. — განა არ ჩანან? აი, გამოვამქლავნებ ხელზე და ნახავთ, რომ ჩანან. ისინი ნიჩბებით ხეავს ანიავებენ, თქვენ კი საესე პირგაღვლილი ტომრიდან ამოღებულ ხორბალს სინჯავთ ხელის გულზე დაყრილს. — მოსაუბრე მცირე ხანს გაჩუმდა და მერე მობრუნებული პირდაპირ გაუჩერდა მასპინძელს: — მე თითქმის იქ მომუშავე ყველა კოლმეურნეს გადავუღე სურათი შრომის პროცესში თუ დასვენებისას. ყველას დავბეჭდავ, ყველას გავაკეთებ და შემდეგ დაუფრიგებთ კოლმეურნეებს. ორ-სამს კი თბილისში წავიღებ. (სადაც თქვენ ხართ, იმ სურათებს.) ისინი, რა თქმა უნდა, საოლქო გაზეთში დაიბეჭდება... დანარჩენი სურათები კი კოლმეურნეებს დავუფრიგოთ... რა თქმა უნდა, მე ძვირს არ მოვიტხოვ... თითოში ორ-მოცუდაათი მანეთი. ეს ძვირი არ იქნება ასეთი შეძლებული კოლმეურნეებისათვის. მხოლოდ ორმოცდაათი მანეთი. სურათები საკმაო სიდიდისა იქნება და კარგ ქალაღზე დაბეჭდილი.

მასპინძელმა განცვიფრება ძლივს და-
მალა და შეეკითხა:

— თქვენ, რა თქმა უნდა, რაიონის
სხვა მოწინავე კოლმეურნეობებსაც
ინახულებთ.

— ასე მაქვს განსაზღვრული, მაგრამ
არა მგონია, იქ ესოდენ საინტერესოს
შევხვდე... ყოველ შემთხვევაში, თქვენ
დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ
ამაზე იფიქროს... — აქ სტუმარი უც-
რად შედგა და რაკი მიხვდა, რომ კრუ-
ტა თვალეზი დაკვირვებით უცქეროდ-
ნენ, შეკრთომა დამალა და უნდოლად
გაიღიმა, — მე მინდოდა შეთქვა, რომ
ამაზე უკეთ იქ არ ექნებათ საქმე...

ოთახში თინა-მამიდას შემოსვლამ
დროულად გააწყვეტინა ორივეს უხერ-
ხული საუბარი და სასურველი სტუმარ-
ი სუფრაზე მიიწვიეს.

ილუა მეძებარივით იყნოსავდა მაგი-
დიდან ავარდნილი საჭმელების სუნს და
თვალეზს დროდადრო ხარბად აპარებდა
სავსე ბოთლებსაც.

წვინანი და ჩახოხბილი მადის აღმძვ-
რელად ორთქლავდა დიდრონ ლანგრებ-
ზე, ხოლო კონდახსკეული ზვრების გან-
თქმული რქაწითელი ცბიერად კამკამებ-
და ბოთლებში.

მალე სუფრის დამამშვენებელი მწვა-
ნილიც მოვიდა და როდესაც რამდენიმე
ბოთლი ღვინო და მოკლე-მოკლე სად-
ლეგრძელი მოთავდა, სუფრა უფრო გუ-
ლითადი და მხიარული გახდა.

ღვინის საუკეთესო ხარისხით კმაყო-
ფილი სტუმარი ვენახებით დაინტერეს-
და და მასპინძელმაც სიამოვნებით მო-
უთხრო, თუ როგორ მუშაობას ეწეოდა
კოლმეურნეობა ძველანის მოვლაში და
ახალი ვენახების გაშენებაში:

— ოთხი კოლმეურნეობა იყო ჭალის-
პირში და აქედან ყველაზე დიდი ჩემი
კოლმეურნეობაა. ოცდათექვსმეტი ჰექ-
ტარი ვენახი მქონდა. დანარჩენმა სამმა
თორმეტი ჰექტარი შემომმატა მხო-
ლოდ. მაშასადამე მსმელ-მკამელს მომ-

რავლდა, ხოლო ვენახი ასევე იმდენი
დარჩა.

— რაიმე წინააღმდეგობა „სწინამ“ არ
მომხდარა თქვენს სოფლის კოლმეურნე-
ობების შეერთებისას? — დაინტერეს-
და სტუმარი.

— განსაკუთრებული არა ყოფილა
რა, მხოლოდ ჩემი კოლმეურნეობის
წევრები უარობდნენ კარგა ხანს დანარ-
ჩენებთან შეერთებას... ღვინოს კარგა
ვანაწილებდი. მათი შემომატებით კი,
რა თქმა უნდა, დაიკლო განაწილებამ.
სხვაფრივაც ძლიერი ვიყავით მათზე...
ახლა მინდა დამატებით ახალი ნამყენის
ჩაყრა. მოგვხსენებთ, რომ ჩვენი რაიონ-
ი შევენახეობის რაიონია. შემოდგომა-
ზე დავამყნობინებ რამდენიმე ათასს და
ორპირსაც გადავაბრუნებ მისთვის. თუმ-
ცა მიწები არა მყოფნის... ამბობენ, ვი-
თომ ფილოქსერა უკვე მოისპო ჩვენ-
შიო, მაგრამ მაინც რქის ჩაყრა ვერ გა-
მიბედნია. დაე, დამყნან სიფრთხილეს
თავი არ ასტკივა.

— საინტერესოა, საინტერესოა.
რთველში უსათუოდ გეწვევით შემოდ-
გომაზე. — გამხიარულდა სტუმარი. —
პირველ გვერდზევე დავაბეჭდინებ გა-
ზეთს თქვენს სურათს... მაშინ კოლმე-
ურნეები უფრო მხიარულნი იქნებიან.
რა თქმა უნდა, სურათების გადაღება მა-
შინ უფრო შეიძლება. ღვინო, ყურძენი,
მაქარი, ყველაფერი შეიძლება... დიახ,
კოლმეურნე მაშინ უფრო მხიარულია.

— კოლმეურნე ყოველი მოსავლის
აღებას მხიარული ხვდება, მაგრამ და-
გეთანხმებით, რომ რთველი მართლაც
სხვა რამეა. რა თქმა უნდა, კოლმეურნე
მაშინ უფრო მხიარულია.

— დიახ, დიახ! — გაიხარა სტუმარ-
მა. — კახეთი, — საქართველოს ძველის-
ძველი და უმდიდრესი კუთხე, მუდამ
განთქმული იყო დოვლათით, სიმხიარუ-
ლთა და პურ-მარილით... ხოლო ახლა
კოლმეურნე გლეხი უფრო ბედნიერა
და მხიარულია: უყვარს გართობა, მუსი-
კა, ყველაფერი, და რა თქმა უნდა, სუ-

რათებს ახლა უფრო ხშირად იღებს, ვიდრე წინათ... დიახ, ჩვენი ფოტოგრაფია ისე შორს წავიდა, და ვასწრო კაპიტალისტური ქვეყნების ფოტოგრაფიას, რომ მთელი საუკუნე უნდათ, რომ ჩვენს ხელოვნებას დაეწიონ... დიახ, კოლმეურნეები ახლა ხშირად იღებენ სურათებს...

სადღეგრძელო სადღეგრძელოზე იცლებოდა და, თუმცა სტუმარი ღვინოს იპარავდა, მასპინძელმა მაინც სიამოვნებით შეატყო, რომ ფოტოგრაფი წელსწორად დიდხანს ვერ გაუჩერდებოდა წელმრუდე ვაზს...

ქალმა მამის თხოვნა შეასრულა და სტუმართან ბოდიში მოიხადა.

ამღვრეული თვალი გააყოლა საწოლ ოთახში მიმავალს სტუმარმა და მასპინძელს აღარ დაუცადა.

— ეს თქვენი ქალიშვილის სადღეგრძელო იყოს, ბატონო ნიკო. ნუ მოჰკლებოდეს საქართველოს ლამაზები.

ფოტოგრაფს საცხე ჭიქა ხელში ერხეოდა და იქვე მჯდარ მამიდა თინას გულს უხეთქდა, რადგან რქაწითელით დაწინწკლულ სუფრას აგრე ადვილად როდი სცილდება ლაქა.

— გისურვებთ, თანარ, ბედნიერებას და ჯანმრთელობას.

კარებთან მისული ქალი მოტრიალდა და გულწრფელად დაუმაღლა სადღეგრძელო.

— ასე არ შეიძლება.—აიხირა სტუმარმა, როცა დაატყო, რომ თამარი მიბრუნებას აპირებდა, — სამადლობელი უნდა დალიოთ.

ქალმა მამას შეხედა, ბოდიში მოიხადა: ღვინო ექიმებმა ამიკრძალესო, და შეწუხებული მზერა ფანჯრისკენ გადაიტანა მოუსვენრად.

სტუმარი განაწყენდა და გაეინიანდა. დაუღველობა არ იქნებო.

აქამდე უბრად მჯდარი ილუა, რომელმაც სადამდისაც ხელი მიუწვდა, უკვე მუსრი გაავლო საკმელებს და ყოველ სადღეგრძელოზე ჭიქას ისე აზრობდა, გეგონებოდათ მზის გულზე

მდგარაო. აიპრიზა და, რადგან ქალიშვილი ძალიან უყვარდა, შეურაცხყოფად მიიღო სტუმრის დატრიალებული თხოვნა.

— შენ რაო, თითონ ღვინოს იპარავ და სხვას აქვებ, დალიეო? რას ჩამოეკიდე? ბაღლი დაღლილია. გაუშვი, და იძინოს. ჰოდა, თუ ჯიბრი გინდა,—მე გამეჯიბრე. ხო ბებერი ვარ, ეგრე მოგტეხო ე ვრძელი კისერი რომა, აქედან ოთხმა კაცმა ძლივს გაგიტანოს.

მასპინძელი მოიღრუბლა, უხერხულად ახედა სტუმარს, მერე შვილს ანიშნა, წადიო და ბოლოს წარბებშეყარილმზ ილო-პაპას დაუბრიალა თვალუბი.

ისევ თამარმა იხსნა სუფრა უხერხულობისაგან. მივიდა, საცხე ჭიქა ასწია და ღიმილით გადაუხადა მადლობა ძვირფას სტუმარს დღეგრძელობისათვის, ხოლო, რადგან ექიმები ნებას არ მრთავენ ღვინოს სმაზე ცული ჯანმრთელობის გამოო, ოდნავ მოწრუბა ჭიქაში მოლიცილიცე სასმელი და უკანვე გაბრუნდა.

მასპინძელს გულზე მოეშვა და მადლიერი თვალი გააყოლა საყვარელ ქალიშვილს, რადგან სუფრა იხსნა ბებერი მეჭურჭლის უადგილო გაცეცხლებისაგან.

სტუმარი ისევ გამხიარულდა და რათა მასპინძლის ეჭვი აეცდინა, ისევ თავის ადრინდელ საუბარს დაუბრუნდა.

ილუა დამშვიდდა, მაგრამ ყოველი ჭიქის დაცლაზე ბუზღუნებდა და უფრო მიეძალა ღვინოს. ბოლოს ვაზმა თავისი გააკეთა,—პაპას სუფრაზე ხელები დააწყობინა და ზედ დამძიმებული თავი დაადებინა.

სტუმარი უსიამოვნო თანამესუფრის მიძინებამ გააზარა და უფრო გაენაწყლიანდა.

— დიახ, იმას ვამბობდი, ბატონო ნიკო, ხელოვნება-მეთქი. ჩვენი ხელოვნება ყველაზე მაღალია მსოფლიოში. იგი თითონ ჩვენი მუშებისა და კოლ-

მეურნეების საკუთრებაა. რომელ მუშასაც სურს, მაგალითად, შეუძლიან ხატოს, წეროს, ლექციები იკითხოს, ფოტოაპარატი შეისწავლოს... აგრეთვე კოლმეურნესაც შეუძლია ხატვა და ფოტოგადაღება. შეუძლია წეროს. დიხს, წეროს და იკითხოს... იქ კი, კაპიტალისტურ ქვეყნებში, როდი აქვთ ამის შესაძლებლობა. იქ მასები დაბეჩავებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათ არ შეუძლიათ თავისუფლად წერა და ხატვა, აგრეთვე სურათების გადაღება... მაგრამ... დიხს, მაგრამ იქაც ამობრწყინდება თავისუფლების მზე და მუშათა კლასი დაამსხვრევს თავის ბოროტილებს. დაამსხვრევს და... და განთავისუფლდება კაპიტალიზმის მონობისაგან... ჰოდა, იცი, რას ვიტყვი, ბატონო ნიკო?—მოდი მშრომელებს გაუმარჯოს მთელს ქვეყანაზე... ეს მშრომელების სადღეგრძელო იყოს, ბატონო ნიკო...

ის იყო სტუმარს სავესე ქიქა ტუჩებთან უნდა მიეტანა, რომ მაგიდაზე მიწოლილმა ილო-პაპამ თავი მიიმედა აილო; აიწია, წამოდგა როგორც იყო, ამღვრეული თვალების ბლეტით მიაჩერდა თანამესუფრეს და ნელა, სულ ნელა იკითხა:

— რაო, რაო... ვის გაუმარჯოსო?... შრომელებს გაუმარჯოსო?—მერე ხმას აუწია და ერთბაშად დაიღრიალა.—ჰაი, შე ძაღლის გეჯაში მონათლული! აქ ქალისპირელების პურ-მარილზე ხარ და შრომელებს უნდა გაუმარჯოს?! ყელშიამც გაგჩხირვია ეგ მადლიანი წვენი და დაუხრჩვიაარ... შრომელებს გაუმარჯოსო!—ჰაი, შე აყლაყუდავ, ფხმდგომელას ძაღლი ყფით ვერ შეგწვდება და თავი კი მუშტის ტოლა მოუტია ღმერთს...

მოულოდნელობისა და გაუგებრობისაგან შემკრთალმა სტუმარმა ქიქა პირთან ვეღარ მიიტანა და დაბნეული თვალი მასპინძელს მიაპყრო. ხოლო ამ უკანასკნელმა დროზე გაითვალისწინა სადღეგრძელოს შედეგი და წამოდგა,

რადგან ილო-პაპას უკვე გადაებრუნებოდა თავისი სკამი და სტუმრისაკენ მიიწვედა ბარბაცით.

ნიკომ მოასწრო და შეშინებულ და დაბნეულ სტუმარამდე მისული ილუა შეაჩერა, ხელიდან ღვინიანი ბოთლი წაართვა და ისევ მაგიდაზე დადგა. მთვრალი, როგორც იყო, კარებამდე მიიყვანა და იქიდან მიუხედა გამტკნარებულსა და ნაღვინეც სტუმარს.

— არაფერია, ნუ გეწყინებათ, ამხანაგო ალექს. ეგრე იცის ხანდახან, როცა ზემო უბანში ეწვევიან ხოლმე—და აქ მასპინძელმა მეჭურჭლის შუბლზე მარჯვენა ხელის სალოკი თითის კაკუთნით ანიშნა.

აღშფოთებული და გაჯავრებული თანამესუფრე ჩაიყვანა თავმჯდომარემ, კიშკარში გააძვრინა და თითონ უკანვე შემობრუნდა.

ილუმ უკვე მიხურულ კიშკარს მუშტი დაუშინა და რაკი მასპინძელმა აღარ გააღო, ზედ ორიოდ წიხლიც დაუმატა. ხოლო, როცა დაატყო, რომ მისთვის უკვე აღარ ეცალათ და ბაღბოსტნებიდან მოვლა კი დაეხარა, სახლისკენ ქნა პირი და თან სუფრასთან დარჩენილ „მოთრეულს“ საგულისგულოდ ურჩევდა თავის გინების მარაგიდან საუკეთესოებს.

— ერთი რატომ არ დამაცადა იქამდის მისვლა იმ თავგასიებულმა (თავგასიებულს თავის მასპინძელს უწოდებდა განწყენებული ილუა). ერთი რატომ არ დამაცადა... გავიხარებოდი თოხლის თავივით მოვიღებდი... ჰაი, დედასა.. არა, რა თქვა, კაცო—შრომელებს გაუმარჯოსო... სამი წელია ჩხირი გვერდზე ვერ გადაგვიბრუნებია ივრე, რომა იმათ ორი ჩხირი არ გადააბრუნონ და კიდევ იმათ გაუმარჯოსო...

ამ გახსენებაზე უფრო აინთო და უფრო მაგრად შეუძახა.

ყვირილზე ჭავახიანთ ეზოდან გამოვარდა ძაღლი და მანამ არ მოეშვა, სანამ კარგი წიხლი არ უთავაზა უზრდელ ქოფაკს. ძაღლის ყმუილს, კაკლის ქვეშ

საბნაპი

ურმის ხელნაზე გამობმულმა ვირმა მის-
ცა ბანი და ისე წმამალა აყვირდა,
რომ ერთბაშად დაფარა მეჭურჭლის
განჩხლებმა.

— აი, ერთი ჭკვიანი კიდევ აპყვა...
ჰა, ამა ახლა ერთი კამცერტი გამიმარ-
თეთ... ჰაი, თქვენი პატრონის სულიცა!
— არა, რა ჩაუვარდა ამ ღმერთძალს
ამ ვირში, რომა დღედაღამ არ იშორებს
გვერდიდან?.. განა ვირი მე არა მყო-
ლია, რომ ეგრე არა მყვარებია?..
ცოლ-შვილის მაგივრად სახედარი და
იმისი ურემი აქვს საფიცრად. არა, რა
ჩაუვარდა შიგა?.. ფუი, თქვენი! — არ
გაჩუმდებნთ, თქვე ეშმაკის კერძებო? —
და აქ ილო-პაპამ ახლა ამ საბრალო
ცხოველებსა და მათ პატრონს გაუგზავ-
ნა „ნობათი“.

4

ცოლის სიკვდილიდან ორიოდ თვის
შემდეგ ძია ნიკო ფშაველში გათხოვილ
დას ეწვია და რადგან ძმასა და ჯანმრ-
თელობაშერყეულ ერთადერთ ძმის-
წულს მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა,
ქვრივმა სახლს კლიტე დაადო და ქა-
ლისპირში გადასახლდა.

მას შემდეგ იქაურობას ძველებურად
ქალის ხელი არ მოჰკლებია და თავმ-
ჯდომარის ნებადაურთველად მხოლოდ
მზე და ქარ-წვიმა თუ გაიჭაჭანებს,
თორემ ვეება და ავი ხატაური კატა
ხეებზე უვარდება ჩიტებს.

დაღამდება თუ არა, მაშინვე აუშვე-
ბენ ჭიშკრიდან ბაღის კარებამდე გა-
ჭიმულ მავთულზე ჯაჭკით დაბმულ
ანჩხლ ქოფა „მურვან-ყრუს“ და ისიც
ავი ღრენითა და თვალების ბრიალით
უვლის იქაურობას.

ამ დამით სახლში ძია ნიკო პურმა-
რილობს, ძაღლის აშგება კი დავიწყე-
ბია. დავიწყებია და, აჰა, თუ არ იხი-
ნოს!

კლდის მხრიდან ღობეს მიკრული
ბროწეულისა და თხილის ბუჩქებმა გა-
დაიწია, ფრთხილად გაიშრიალა და
იქიდან გადმოსულმა ლანდმა წაბლის
ხის ჩრდილს შეაფარა თავი.

ბაღში მყუდროება იყო. მხოლოდ
იქვე გამავალ რუდან დროდარო-
ორიოდ ბაყაყი თუ მიაშველებდა წმას.
ბერხევაში დაწყებულ თანამოსმეთა
„ვახახაიას“.

პირიშისაღან მობერილი ნიავი-
ფრთხილად დაძვრებოდა ხეთა შტო-
ებში.

კამკამა წყალი რუში ჩავარდნილი
მთვარის პირით იცინოდა...

უცებ პამიდორისა და ლობიოს მწვა-
ნე ფოთლებზე ქალის სახე გადმოცურ-
და, ბარბაცით გაიარა ხახვის ვიწრო
კვლებს შუა და ისიც წაბლის ქვეშ გა-
უჩინარდა.

რამდენიმე წამს დუმილი იყო და მე-
რე ძლივს გასაგონად გაისმა შიშნარე-
ვი ხმა.

— რევაზ!

— აჰა ვარ.

ქალმა სიბნელეს თვალი შეაჩვია და
ხის ძირში მყოფთან მივიდა.

— დიდი ხანია მელოდები?

— კარგა ხანია. რად დაიგვიანე?

— არ მიშვედნენ. ის აყლაყულა ჩა-
მაცივდა, უნდოდა სუფრასთან ვეჭა-
რიყავი. მომბაზრა თავი. ყოველ სა-
ღამო ზის და ქეიფობს.

— როდის აპირებს წასვლას, არ
მომწყინდო?

— ეშმაკმა იცის იმისი თავი. სურა-
თებს იღებს. ხვალ დავბეჭდავო. ზეგ
კი აღვანში აპირებს წასვლას. რატომ
კუშინ არ მოხვედი?

— არ მეცალა. გვიანობამდე შეერჩი-
მინდორსა და შუალამისას-ლა ამოვედი
შინ.

ქალმა ბალახი მოწყვიტა, პირ-
ში ჩაიდო და ნელ-ნელა დაუწყო წიწ-
ქა.

— დღეს რატომ-ღა დაიგვიანე?
თქვენგან გავიარე და ვერსად მოგვარ-
თვალი.

ვაქმა ცალი ფეხი მოკეცა, მეორე
წინ გამოსწია და ზურგი ხეს მიაყულა.

— ის წყვეული ცხენი გადაჰკიდა მა-

მაშენმა. გინდა თუ არა, უნდა გუთხანს მიჩაჩეოო.

— ჩუმად ილაპარაკე, რევაზ, ზევით არ გაიგონ, თორემ მომკლავს მამაჩემი. ძლივს გამოვედი, ვითომ დასაძინებლად წავედი. სამზარეულოდან გამოვიპარე. რომელი ცხენი?

— იმ დღეს არჩილმა რომ წაიყვანა საჭირითოდ თელავში.

— ჰო, ჰო, ვიცი. მერე გადმოაგდო და კინაღამ გადათქერა. ხელი ღრძობია, მგონი. როგორ არი ახლა?

ვაჟის ხმაში უსიამოვნება გაისმა:

— არ შემხვედრია. რა ეშმაკმა შესვა ზედ?

ქალმა წყნარად გაიცინა.

— შენ, რევაზ, ყველაზე ხარ გამწყრალი: მამაჩემზე, არჩილზე, სოფელზე, ცხენზე და ალბათ ჩემზედაც.

რევაზმა ცოტა ხანს იყუჩა და მერე გაეხმაურა.

— შენზე არასოდეს არ გაემწყრალვარ. ცხენი კი გიყუა და ნაიალადარი.

განა ახალნახდნი შეიძლება ვაზების მწკრივში გუთნით ატარო? ვარდუანთ იოსებას ჯერ კინაღამ მუხლი არ დაულეწა წიხლით, მერე კი მხარშიაც დასწვდა კბილებით. სამგან გაგლიჯა ვაზზე მავთული, ერთგან სარი ამოაძრო. ბოლოს ბრაზი მომივიდა და ერთი წკეპლა ზედ დავამტერიე. გამისხლტა, გუთანი გაიტაცა, კონდახასეული ვენახის საურომზე რომ დიდი თელა დგას, იმას მოსდო, ლილვი გატეხა და მინდორში გავარდა... მთელი დღე იმას ვდიეთ და ბინდისას ძლივს დავივირეთ.

ქალი ბალახზე დაჯდა და კაბა მუხლის თავებზე ჩამოიწია.

ბიჭმა თმაზე ხელი ფრთხილად გადაუსვა, ნაწნავები ვეება მუქაში მოიქცია და დაფიქრებით თქვა.

— უცნაურია, ჩემი თავი მე თვითონ გელარ მიცენია. თევზივით ვლუმვარ და მაინც მიკიენებენ, ნუ გაჰყვიროო.

— არც არი საჭირო, რევაზ, სოფელში ყველა ბრაზიანს გეძახის. ნუ ბრაზობ ხოლმე, გეხვეწები, ნუ ბრა-

ზობ. აგითვისაწუნებია მამაჩემი. მერე რატომ? გაუგონე ხოლმე, რევაზ, დაუჯერე. ხომ იცი ისიც ჭიჭიტამ და მამა ვისნათქვამი. ჩემი გულსიტვის მაინც გაუგონე. ეგ ერთი-ლა შემომრჩა მამა-დაჩემისა და შენს გარდა. იმისი წყენა ჩემი წყენაა, იმისი სიხარული ჩემი სიხარულია. მისი წუხილი ჩემი წუხილია და უიმისოდ ნუმც მაიცოცხლა. ხომ ნახე, წელს ძლივს-ძლივობით დავამთავრე მეორე კურსი, სულ აქეთ გამოქცევაზე მექირა თვალი. უმაგისოდ ვერ ვიტან ყოფნას, ახლა მამაც ეგ არის ჩემთვის და დედაც. მე კი სუსტი ვარ, რევაზ. ექიმებიც დასვენებას მირჩევენ ერთ-ორ წელიწადს. მეც მიხარია, რომ ერთად ვიქნებით. მაგრამ ვერ ავიტან, რომ ორივე ასე ექიმებოდეთ ერთმანეთს. გუშინწინაც იმიტომ მინდოდა შენი მოსვლა, რომ მეკითხნა: რატომ ექცევი მამაჩემს ასე, რატომ არ გიყვარს?

რევაზმა თმას ხელი შეუშვა და არა უთხრა რა.

— არც იმას უყვარხარ—თხერით დაუმატა გოგომ, — თქვენ ორივეს თითო-თითო საწუხარო გაქვთ მე კი ორივეზე უნდა ვიდარდო. ხომ იცი, რევაზ, რომ ექიმებმა ამიკრძალეს ბევრი ფიქრი და მწუხარება? რატომ აწყენინე, რატომ ხალხს არ ახმარებ მემინდვრობის ბრივადებს? შენ ხომ ყველაფერი გაცეთებული გქონია?

ბიჭმა გაუღიმა.

— რაო, შენთან უკვე მოასწრო და ბეზლება?

— ჩიტმა მომიტანა ამბავი. იმან ჩვენი არაფერი იცის. რომ გაიგოს, ალბათ ეწყინება ძალიან. რატომღაც არ უყვარხარ... მერე რატომ არ უყვარხარ, რევაზ, რატომ არ ცდილობ, რომ შეუყვარდე?

— მე, ვინც საყვარელია, მიყვარს კიდევაც. მამაშენმა კი ძალიან კარგად იცის, რომ მუშა ხელი არ მომჰარბდება და კიდევ ბევრი რამ იცის ჩემზე უკეთ.

ქალი შეწუხდა.

— მაინც ვერ გამიგია, რას ემდური, რევაზ. განა ქალისპირში მაგან არ ჩამოაყალიბა პირველად კოლექტივი? განა ახლომანლო სხვა სოფლებშიც არი ვინმე, ამდენ ხანს რომ თავმჯდომარედ ყოფილიყო? ოცდაოთხი წელიწადია, განუწყვეტლივ თავმჯდომარეობს კოლმეურნეობას.

რევაზმა გაიღიმა.

— ამ ოთხი წლის წინ ხუთ წელიწადს საბჭოს თავმჯდომარეობდა ნაფარეულში.

— მერე რა? — არ დაუთმო ქალმა. — მაინც ოცნ წელიწადი გამოდის. აი, ჩამოთვალე: კოლმეურნეობა დაარსდა ჩვენს სოფელში... — გოგო შეჩერდა და თითებზე ტუჩების ცმაცუნით რაღაცას დაუწყო ჩამოთვლა, — კოლმეურნეობა დაარსდა. — შეჩერდა ისევ, მერე თავი ასწია და შეეკითხა: — როდის დაარსდა, რევაზ?

ბიკმა ხელი ჩაიქნია.

— რა საჭიროა მაგის გამოთვლა? ისედაც ვიცი. გამოცდილება დიდი აქვს, მაგრამ ერთ რამეში მაინც ტყუის.

— აბა რაში? — აჩქარდა გოგო — რაიონში მოწინავეა. გეგმებს გადაქარბებით ასრულებს. მადლობას მაგას ეუბნებიან და ახლა თურმე კოლმეურნეობა, შეიძლება, მსუბუქი მანქანით და აჯილდოვონ, თუ ღროზე აიღეს მოსავალი. მამ რაშიღა ტყუის? ოპ, რევაზ, — გოგომ ხელში აიღო ბიკის უხეში ხელი, ასწია და ლოყაზე მიიკრა ნახად, — შენ რატომღაც არ გიყვარს მამაჩემი, რატომღაც არ გინდა, რომ შეიყვარო. მე კი ორივე მიყვარხარ. ძალიან მიყვარხარ, თითქმის საკუთარ თავზე მეტად მიყვარხარ. მე შენი გულისთვის, რევაზ, არაფერს მოვერიდე და შეგიყვარე, როგორიცა ხარ, შენ კი არ გინდა მამაჩემი შეიყვარო ისეთი, როგორიც არი. შეიყვარე, გენაცვალე, შეიყვარე, საყვარელო, შეიყვარე, ჩემი გულისთვის შეიყვარე.

და ბიკს ხელის ზურგი დასწვა გოგოს ცხელმა ტუჩებმა.

საგულეში გული აბაგუნდა, შეერქვეშ ტკბილად აფართხალდა და ვაი ქალისკენ დაიხარა. კვლავ ნახად გადაუსვა თავზე ხელი, ნაწნავეები აკრიფა, ტუჩებზე მიიკრა და განგებისად გაწყრა:

— განკამდვდელი ხომ არა ვარ, ხელზე რომ მკოცნი?

შემდეგ ხელი ფრთხილად გამოაცალა, ზედ მერე ხელის გული გადაუსვა და როდესაც თბილი სისველე იგრძნო, უფრო დაუტკბა.

— ნუ ტირი, თამარ, ნუ ტირი — მეთქი. მე უშენოდ სიცოცხლე არაფრად მიღირს, მაგრამ მამაშენი... იცი რა, თამარ, მე რომ გითხრა, ექვსი კაცი გავგზავნე მომკვლად წარაფებში და სამი მეძნეურად-მეთქი, შენ რას იტყობი?

— სად წარაფებში?

— სადაც მამაშენმა მიიხრა.

— არაფერს, რევაზ, დაგიჯერებდი.

— მამ იცოდნე: ეს ნათქვამი ნამდვილია და ამ საღამოთიც იმიტომ შემაგვიანდა აქ მოსვლა, რომ მათთან ავედი დასახედა. კარგად უმუშაენიათ, არაფერი მაქვს დასამდური.

ქალმა ნელ-ნელა თავი აიღო, დიდრონი თვალები შეანათა და ბაგე ღიმილმა კაუნათა.

— შენ ძალიან კარგი ხარ, რევაზ, შენ...

და აქ უეცრად გაიწმინდა. ფეხზე წამოხტა და ყურები ცქვიტა.

კიბზე ფეხის ხმა გაისმა. სამიოდე წუთში ლეშკარიც აბრახუნდა და „მურვან-ყროლი“ აწყმუვლდა.

— გაიქეცი, რევაზ, მამაჩემი გარეთ გამოვიდა. შეიძლება ოთახში ვეღარ მნახა და მეძებს. ჩქარა, რევაზ, ჩქარა, გენაცვალე.

ვაეი წამოდგა და ქალს ხელი მოხვია... მერე დინჯად გადასქრა წაბლის ჩრდილსა და ღობის შუა მთვარის სინათლის ზოლი.

ღობესთან წუთით შეჩერდა, მობრუნ-

და და ისეთი ხმით დაიძახა, რომ მხოლოდ გოგოს ყურს მისწვდენოდა.

— მაგრამ, იცოდე: იმ ხალხის გაგზავნა მამაშენის სიყვარულით არ მომსვლია, საქმე ითხოვდა და გაუაკეთე.

5

სოფლის თავისკენ მიმავალი გზის ნაპირს ილუას ჯერ კიდევ გამჭრიახმა თვალმა ნეკერჩხლის ჩრდილში ლანდი შენიშნა და ბარბაცით შედგა.

— შენ, ე... რომელი ხარ მანდა, ნათარეულის მიჯნასავით რომ დარქობილხარ?

ლანდმა პასუხი არ გასცა.

ილუამ ერთხელ კიდევ გახედა მთვარიანში ხის ჩრდილს და კიდევ იკითხა:

— შენ ქართული არ გესმის? რომელი ხარ-მეთქი.

— რა გინდა, ილო-პაპავ, ჩემთვისა ვზივარ აქა, შენ ხომ არაფერს არ გიშლი?

ილო-პაპამ უმაღლე იცნო ხმაზე, ვინც იყო და გზის ნაპირას გამავალ არხზე სცადა გადასვლა, რომელშიაც ბერხევიდან ვადმოგდებული რუ მოჩხრიალებდა, მაგრამ სივანე კარგად ვერ გაზომა და ორივე ფეხი წყალში ჩაურია.

ჩრდილში მყოფი ადგა მისაშველებლად, მაგრამ არხში ჩავარდნილმა ივაეკაცა, როგორც იყო ამოფოფხდა მალადა წყალჩამდგარი ჩუსტების ჭყაპუნით ნეკერჩხლის ქვეშ შევიდა.

— გამარჯობა, ზაქრო.

— გაგიმარჯოს, ილო-პაპავ.

— რაო, რას დაყუნტულხარ აქა, ისევ იმ გოგოს ელოდები? — და აქ მეჭურჭლემ ისე ჩაიხიბითბითა, რომ საბრალო ბიჭს გულმუცელი ჩასწყდა სიმწარისაგან.

— შენ რა გინდა ილო-პაპავ, ვის ელოდები აქა და ვის არა? ჩემი საქმისა თქვენ რა გეკითხებათ? დადიხართ, ხარობთ, იცინით, მღერით, სვამთ და ითვრებით. თქვენთვის მე რა საკითხავი ვარ? გაუშვი, ვიჯდე ჩემთვის აქა, ხომ არაფერს გიშლით? თუ გიშლით, მითხარით და ზაქრო მოკედეს, თუ მეორედ კიდევ გათქმევენით. ავადგები და წავალ.

ილუამ შეატყო ბიჭს ნახვამობა და ახლა დაუტკბა:

— ეგრე რათ ამბობ, შეველე, შენ ვის რას უნდა უშლიდე? ჩემსას არა, მამ და ჩემსას არა სვამ. მე... იგრე გკითხე, უბრალოდ. მარტო დამენანე, აქ რომ იჯექი... ტყუილად კი ზინხარ, საფერავის მადლმა, ის გოგო ახლა შინ არი და, გონი, მადიანად ხერინავს.

ზაქრო წამოხტა.

— შენ რა იცი, ილო-პაპავ.

როგორ არა იცი. საბედასთან შეიარა და იქიდან შამრელაანთ უბანზე გავლით წავიდა შინა.

— არა, ილო-პაპავ, — არ დაიჯერა ბიჭმა, — მე თითონა ვნახე სამკითხველოში. აქეთ უნდა გამოველო.

ილო-პაპა მწვანეზე დაჯდა.

— სამკითხველოდან საბედასთან წავიდა-მეთქი... ჰოდა, იქიდან კიდევ შინა.

ზაქრომ რაჯი დაატყო, რომ მეჭურჭლე მართალი უნდა ყოფილიყო, ერთი ამოიგმინა, იქვე დაეშვა, ხელები მუხლისთავეებზე შემოიხვია და თავი შიგ ჩარგო.

ილუამ თამბაქოს ქისა მოიხსნა, როგორც იყო გააწყო ყალიონი და მოუკიდა.

— ჰაი, რა არი სიჭეილე!.. მეც ეგეთი დაუდგგარი ვიყავ ჩემ ბიჭობაში... სიდაც ახლა მაგისი სახლია, იქ ერთი გენერალი ცხოვრობდა... მზეთუნახავი გოგო ჰყავდა... ალავერდობას მოგკარ ერთხელ თვალი და იმანაც იგრე შემომხედა, რომა ფაჩხა-ფეტვივით დაეიბენი... ჰაი, დედასა! რა არი სიყვარული! გულძაღლი ვიყავ და იმის შემრე ეგრე დაეტკბი, როგორც ქიშმიში... ცხრაას ხუთი წელი იყო... ხარება და გოგია ვნახე... ავიყოლიე ხატილენიაც... მალრანის ტყიდან ზამბილი ჩამოვიდა ჩემი გულისათვის, მაგრამ ვერ მოვასწარ მოტაცება... დამასწრეს და ოფიოელ ანდრონიკაშვილს ვაატანეს...

ზაქრომ იცოდა, რომ ტყუოდა ილო-პაპა, მაგრამ ახლა მისი ნაამბობი ისევ ესალბუნებოდა სიყვარულისაგან გულ-

დათუთქულს, რომ ჩუჩუნიც კი არ გაუღია, ისე წაუგდო ყური.

— ჰე, რა გოგო იყო! — გულიანად ამოიოხრა მთხრობელმა და მავრად მოქაჩა ყალიონი. — ჭერანინით გოგო იყო, მავრამ ამ ჩვენ ავრონოშს მაინც ვერ შეედრებოდა.

პაპამ თვალი გვერდით მჭდომისაკენ გააპარა და დაინახა, როგორ ასწია ჩაქინდრული თავი ბიჭმა. მერე, ვითომდა აქ არაფერია და თავისთვის ლაპარაკობსო, განავრძო:

— პოი, რა თანთქარა გოგოა... მართლა დირს, ძმაო, მავის გულისათვის მთელი ღამე ნეკერჩხალქვეშ მწვანეზე კი არა, ცხელ რკინაზე ჭდომაც. ეგრე შექიანი თფლები ჭერ დედაკაცის სახეზე არ მინახავ... მემრე რა ლოყები აქვს და ტუჩ-კბილი... ყელი? — ჭიშიანი და თეთრი.

აქ უცებ ბიჭმა ამდენი წამება ველარ აიტანა და ერთი ისეთი ამოიოხრა, გეგონებოდათ, გულ-ღვიძლიც თან ამოატანაო.

— ოიმე! ილო-პაპავ, რაზე მიკლავ გულსა, შენთვის რა დამიშაეებია? დამანებე თავი, დამანებე, თორემ ღამის იმისი ყელის გულსთვის საკუთარი ყელი გამოვიჭრა!

მავრამ ილო პაპამ თავი არ დაანება და განავრძო:

— განა მარტო ყელი, ბიჭო... არ დანახავს, რა მკლავები აქვს? გეგონება, მარმარაილოსაგან ჩამოუსხამთო... ხელეები თეთრი, ფუნჩულა, გრძელი თითები, ბრალივით გათლილი თითები...

— ოპ, ილო-პაპავ! მაგ თითების დანახეზე რამდენჯერ დამიკამია ჩემივით თითები...

— მემრე მკერდი, ბიჭო? ძალიწვილი ვიყო, თუ თამარ-ნეფეს მაგაზე სანატრელი მკერდი ექნებოდა... მარტო ერთ დანახეზე ცეცხლი მოგვდება... წელი წვრილი, შოლტივით მოქნილი წელი... ხოლო...

და ის იყო ილო-პაპა უფრო ქვევით აპირებდა ჩასვლას, რომ ბიჭმა ველარ

(გაგრძელება იქნება)

აიტანა საყვარელი ქალის უხამსი ქება და ეშხში შესულ მოსაუბრეს სიტყვა გააწყვეტინა.

— გაჩუმიდი, ილო-პაპავ! გაჩუმიდი! და თავი დაანებე იმსაც და მეც. შენ რა გადარდებს მე ეგრე ვიჭლები თუ წალ-მაუთქულმა? ბაყაყი წყლის პირას იმიტომ ცხოვრობს, რომ გინდა — შიგ ჩავა, გინდა — შშრალზე გამოვია. მე ხომ კაცი ვარ? თუ მინდა, სუფრის თავში მოვექცევი, თუ მინდა, ეგრე ეულოვით ვიჭლები აქა.

ილუმ არა შეიშინია რა და უთხრა:

— შენთვის გეუბნები, პატარძლო... თორემ რა მრჯის?... მე შენკენა ვარ და შენ ეშააკებისკენა... ფრთხილად იყავ-მეთქი, ფრთხილად, თორემ გაგიფრინდება ეგ მტრედი და სხვის სახურავზე ილუღუნებს...

გველნაებენივით წამოვარდა ზაქრო, ხელი სტაცა გვერდში მყოფს და შეანჯღრიდა.

— მაგას რას ამბობ, ილო-პაპავ, მაგას რად ამბობ? შენ რაღაც იცი და მიმაღავ! ვის სახურავზე აპირებს ეგ მტრედი ღუღუნს?

— ბეჭი არ ამომიგდო, დამთხვეულ... მე რა ვიცი, ვის სახურავზე აპირებს. — ილო-პაპამ ხელი გააშვებინა, მხარი შეიწწორა და თავისებურად ჩაიხითხითა — ფრთხილად იყავი, ბაყაყ-დეო, ფრთხილად... ბუღასავით გაგსიებია ეგ კისერი, მავრამ... ქალისპირში აგეთი ხვადი ჩამოვიდა, რკინას კვევიით გაღვქავს...

მძიმედ დაიხარა ზაქრო ძირს და ყრულ იკითხა:

— ეინ არის, ილო-პაპავ?

მეჭურჭლემ ჩიბუხი დაბღერტა, ქოსა და ის სათუთად შეინახა და უღარღულად მიუგო:

— შეაღეგოა, შამრელაანთ თედოს უმცროსი ბიჭი.

— შეაღეგოა? — გაავრძელა ბიჭმა და ელდანაკრავივით ნეკერჩხლის გრილ ტანს მიეყუდა.

36. ჩიქვანი

ს ი ნ თ უ

ციკლიდან „ოდიშური მოთხრობები“

1

სინთუ კარის ჩარჩოს მიეყრდნო შიშველი მხრით. ჩონთი აღარ ჩანდა ეზოში, აღარც მისი ხმალი და შუბი ეკიდა აივნის სვეტზე. წელან დაინახა, როგორ ჩამოხსნა ისინი ჩონთიმ, აივნიდან გავიდა და ბილიკს დაადგა. სინთუ ქუჭრუტანიდან გაჰყურებდა. ერთხელაც არ მოიხედა ჩონთიმ. „რათ გამიბრაზდი, ჩონთი! რა ვქნა, თვალს ვერ ავუბამ ბატონკაცს!.. მოინალე ვარ მისი... რამ დამბორკა! უნდა გავდევნებოდი... გამიბრაზდა ჩონთი, მაგრამ ჭიშკრამდე არ მიჰყვება ბრაზი... ვიცი მისი გულის ამბავი, ჭიშკრამდე არ მიჰყვება ბრაზი!“

სინთუ თვალმოუშორებლად გასცქეროდა ბილიკს. ბილიკი შორს, შორს იკარგებოდა ზეატისაგან გადარუჯულ უკიდევანო ეზოში. ჩონთი აღარ ადგა ბილიკს. სიცხისაგან მოქუტუელი, ქალის დიდი თვალუბი მაინც ხედავდნენ მას. ჩონთი ცხენოსნის დინჯი და განიერი ნაბიჯით მიდის, მოკლე ჩოხა და მაღალყელიანი პაჭიკები აცვია. სიგრძეზე დაკეცილი, განუყრელი ნაბადი მხარზე ადევს. გრძელი, ფართოპირიანი სატევაარი და ხმალი ჰკიდია წელზე, შუბი ხელით მიაჭებს.

ზეატი თრთის და ლივლივებს. ეზოდან გაჰრეფილი ქალი და კაცი ჩრდილსა და გრილს შეფარვია. ჩრდილში ჰყრია პირუტყვიც და ფრინველიც.

ჩონთი, რა ხანია, გავიდა ჭიშკარში. მაგრამ ბელლიდან, მარნიდან, სახაბაზოდან, საჯინიბოდან, ბოსტნიდან, ვენა-

ხიდან მაინც გასცქერიან ბილიკს, გაყვებაო თუ არა სინთუ ჩონთის და რა დაინახეს ზღურბლს მომდგარი ქალი, ყველამ მისკენ იბრუნა პირი.

„უნდა გავდევნებოდი, რა ეშმაკმა დამბორკა... ზომ იცის ბრაზი არ მიმიძღვის. თვალს ვერ დავუბრმავებ ბატონკაცს!.. უნდა მიუღუსწრო. არზაყანის კარავთან იყრის ჯარი თავს... რათ გამიწყერი, ჩონთი!“

კაბა მუხლის თავზე აუტყურდა, გადააბიჯა მაღალ ზღურბლს და ბილიკზე გავიდა. „ისე წავიდა, ერთხელაც არ მოიხედა!“ ლამაზად უჭირავს მხრები, მიარხევს თასმასავით მოქნილ წელს და საესე თეძოებს.

ასი თვალი უყურებს ბელლიდან, მარნიდან, სახაბაზოდან, საჯინიბოდან, ბოსტნიდან, ვენახიდან... გაუღსწორდა შუა ეზოში მდგარ სასახლეს, ხასხასა კრამიტით დახურულს, კაცლებს ჩრდილით დაბინდულს. მაღულად ახედა ბატონკაც სესირყვა ლიპარტიანის ოთახის სარკმელს. ბატონკაცი ჯერ კიდევ დილით წავიდა ლაშქრის დასახედად. მძიმე ფარდა ჩამოშვებული მის სარკმელზე. „ახლაც ჩონთი მიჰყავს ბატონკაცს პირველ მხლებლად!“

მიიჩქარის სინთუ. ასი თვალი რომ არ უყურებდეს, გაიქცეოდა. უყურონ, მერე რაა! რაც უნდათ, ის იფიქრონ. გაიქცა, გავარდა ჭიშკარში, გაქუსლა არზაყანის კარვისკენ.

ბიჭებმა აღტაცებით გადახედეს ერთმანეთს, კაცებმა უღვაშზე გადაისყეს

ხელი, ბებრებმა ჩაიღიმოლეს, ქალებმა შურით ამოიხზრეს.

2

პაპანება გაჯიქდა, პაერი ვასქელდა. ცა ვახუტეზული კეცივით ვარვარებდა. სინთუმ ტეხურთან მიიბრინა. მდინარე დასიცხელი ცხენებით იყო სავსე. მოწამლულებივით იდგნენ წყალში ყურებჩამოყრილები. სინთუმ გაღნა ვაიხედა. შორს, ქალაზე, არზაყანის კარვის წინ, ჭადართა ჩრდილში ხვატის ლულით ვადანგული ჭარი ეყარა. „იქაა ჩონთი!“ — თვალწინ ედგა ჩონთის კუშტი სახე. „მხოლოდ ვაუღიძე ბატონაკას!“ — სული მისდიოდა ენახა ჩონთი. „აბა, რა მექნა! მოინალე ვარ მისი!“

წყალში გადაეშვა. ყოველთვის ცივი ტეხური ფსკერზედაც თბილი იყო. ვასკურა ნაპირზე და კარვისკენ ვაიქცა. მიბრბოდა ვახუტეზულ, დამსკადარ მიწაზე. დანახეს ჭადრებიდან. ვილაც წამოდგა და თვალი მოიჩრდილა.

— ჩონთია! — იცნო შორიდან სინთუმ, მაგრამ უცებ შედგა.

ხვატისაგან ვავეზული, ფართოდ ვამლოლი რემა ნიჭროდა მისკენ. ამოიჭრნენ ქალაზე ტეხურში მდგარი ცხენებიც. ავარდა მტერის ბული. რემა სინთესკენ მიბრბოდა. ვერც ვადაუსწრებდა და ვერც უკან ვაქცევით ვაეცლებოდა. შებრუნდა, ზურგი აქცია ცხენებს. ვაიქცა წინ. როგორც ქარისაგან ვატაცებული. უკან არ იხედებოდა, რომ არ დაენახა რა ელვისებური სისწრაფით ეწეოდა სიკვდილი, მაგრამ ფლოქვეზის თქარუნისა და ხენეშა-ჭიხინის სიახლოვით გრძნობდა, კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და, ვადათელავდნენ.

უცებ ვილაცამ მსუბუქად აიტაცა მიწიდან.

— სინთუ, — ჩაესმა ყურში და მამაკაცის ღონიერმა ხელმა ცხენზე შენოისვა. უმაღლ მოიჭრა რემა და ნაფო-

ტივით ვაიტაცა ჩონთის ცხენი, — გადარეულ!

— გგონია შემეშინდა? — ვაუცინა ისე მშვიდად, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, თითქოს ესაა, არ ვამოეტაცათ სიკვდილისგან. თავი მიაბრუნა ჩონთისკენ და თვალეზი შეანათა.

— ქაჯო!

— აღარ მიწყრები? — მოხვია კისერზე მკლავი, — ცხენებს რომ ვავექელე, ვის ვაუწყრებოდი? არ ვეყოლებოდა შენი სინთუ!

— ვაჩუმდი! — ჩონთი ცდილობდა ვასხლტომოდა ცხენებს, რომელთა ტალა ყოველმხრიდან ასკდებოდა მის ცხენს. ცალი ხელით ლაგამი ეჭირა, ცალით სინთუს მხურვალე ტანი.

— მითხარი, ვის ვაუწყრებოდი, ჩონთი!.. ვაშალე შუბლი, თორენ ვავექცევი, — უთხრა, ვადახედა ცხენებს, ერთერთ შავ ფაშატს, რომელიც ის იყო უსწრებდა ჩონთის ცხენს, ფაფარში ჩასტაცა ხელი და ზურგზე მოაფრინდა, — ვავექცი!

— სინთუ! — შესძახა ჩონთიმ.

— სინთუს არ ეშინია, ჩონთი! — წელს ზევით მთელი ტანით მოტრიალდა ჩონთისკენ, ვაუცინა, — შენს მეტისა არავისი ეშინია!

ჩონთი ერთი იმ ჭაბუკთაგანი იყო, რომლებიც ვარეგნულად თითქმის არ ამქლავნებდნენ თავის გრძნობებს, ცოტას ლაპარაკობდნენ, ბეგრს ფიჭობენ, არ ვრიდებიან ხიფათს, არიან ფიცხნი და გულდია, მაგრამ თავშეკავებულნი. სინთუმ იცოდა, შეუძლებელი იყო ჩონთის წონასწორობიდან ვამოყვანა. ამიტომ არ ვრიდებოდა საფრთხეს. ქაჯივით მოეცლებოდა ვაველურებულ ურას და მინდობილი ცხენის თავაწყვეტილ ქროლვას, ეშმაკი ვერ ააგლეჯდა მის ზურგს. მერე ხის ტოტს სტაცებდა ხელს, ცხენი ვამოეცლებოდა და ხეზე დაკიდული იქნევედა ფეხებს, ირწეოდა და ღიმილით ვასცქეროდა, როგორ ვანაგრძობდა დაფეთებული პირუტყვი თარეშს. ან ვაქენებულნიდან ვადმობტე-

ბოდა, ერთი-ორჯერ ყირას გადავიდოდა და ფეხებგაშლილი დაჯდებოდა, ემაყოფილი, ეინდაოკებული.

ყველაფერ ამას მშვიდად და აუღელვებლად უყურებდა ჩონთი, დარწმუნებული იყო, რომ სინთუსი რაღაც ისეთი იჯდა, რომელიც ყოველგვარ ხიფათისაგან იცავდა.

სინთუს კი ისე უნდოდა ერთხელ მაინც შეეკრთო, შეეშფოთებია მისი გული და რომ ვერ ახერხებდა, სიმწრისაგან ცრემლით ევსებოდა თვალი, მაგრამ ცრემლს ძე-ხორციელს არ უჩვენებდა.

ახლაც, ასეთი ენით ატაცებული, მართლაც ქაჯს ჰგავდა. მიჰქროდა ცხენის ფაფარს ჩაფრენილი, თმის ფრიალით, შიშველი წვივებით მის მუცელს შემოსალტული, კისრამდე დახრილი, ყურში ჩასწიოდა ისედაც გადარეულ ფაშატს. არ აწუხებდა, სხვა ცხენები აქეთ-იქიდან რომ აწვებოდნენ და, როგორც მარწუხში, ისე იყო მოქცეული ცხენებს შორის, არ აწუხებდა, მათ ოფლიან ფერდებს შორის მოქცეული წვივები რომ ეთელებოდა, უნდოდა ჩონთისთვის გაესწრო, მაგრამ თავი ვერ დააღწია ირგვლივ შემოჭარულ ცხენების ტალღას.

შუა ჰალაში, მოულოდნელად ნაწილი ცხენებისა მარჯვნივ გაიქრა, ნაწილი კი მარცხნივ. ჩონთის და სინთუს ცხენები ქალას შემორჩნენ. გაზარებული ქალი კვლავ მიბრუნდა ჩონთისაკენ.

— ახლა მართლა გაგიქცი! — შესძახა და ხელი აუჭინა ცხენს.

„გადმოაგდებს!“ — შეკრთა ჩონთი.

რა ბედნიერი იქნებოდა სინთუს, რომ ეგრძნო ჩონთის შეკრთობა.

სინთუს ცხენი ყაბარღოელი სამი წლის ფაშატი იყო. ძალალი, წვრილფეხა, მოქნილი და ღონიერი, ფიცხი და ავი.

„ოადა ეს ფაშატი შეხვდა!.. გადმოაგდებს!“ ვერ დაეწეოდა. გადაწყვიტა თავთ დაეარა და გზა გადაეჭრა. ცხენი მიატრიალა.

მთელ ქალაზე გაიშალა ბული, ავარ-

და ცაში. აღარაფერი ჩანდა. მხოლოდ თქარუნი და ჭიხვინი ისმობდა. ჩონთი ველარ ხედავდა სინთუს, მიჰქროდა იქით, სადაც გზა უნდა გადაეჭრა მისთვის.

რემას ჭიხვინმა და თქარუნმა თანდათან უკან დაიწია და ახლა მარტო სინთუს ცხენის ფლოქვების მკვეთრი ხმა ესმოდა. მიჰქროდა მისკენ. უცებ კიდევ ერთი თქარუნი მისწვდა მის მახვილსმენას. მაშინვე იცნო ბატონკაცის ცხენი. თქარუნი სწრაფად უახლოვდებოდა სინთუს. ჩონთიმ ლაგამი მიუშვა და შეერთდა სამი ცხენის გამაყრუებელი თქარუნი.

გამოჩნდა მტერის ბულში სინთუს უმაღლივ ხელი აქეთ-იქიდან სწვდა მისი ცხენის ფაფარს. ორ ცხენს შუა მოქცეულმა ფაშატმა, შეკავებულმა ორი ღონიერი ხელით, გაიბრძოლა, ყალყზე შემართვა დააპირა და რომ ვერ შესძლო, გაკაბასებით დაიჭიხვინა და შედგა.

გაკვირვებული და აღტაცებული სინთუს თვალდაცეცებით შესცქეროდა სესირყვა ლიპარტიანსა და ჩონთის. ორივე ლამაზად იჯდა ცხენზე, გულამომჯდარნი, ახოვანნი და მტერის ბულში როგორც მდელიდურად შემართულნი. ერთმანეთს არ უყურებდნენ. ორივე ერთმანეთს ჰგავდა იმ წუთში, მიუხედავად იმისა, რომ ერთს ბრწყინვალე აბჯარი ემოსა, მეორეს ძველი ჩოხა ეცვა და წელზე უბრალო ხმალ-სატევიარი ერტყა.

სინთუს მოლოდინით შეჰყურებდა ორივეს. არც ერთი არ უშვებდა ხელს ცხენის ფაფარს. წესით ჩონთი სწრაფად უნდა დაქვეითებულყო, როგორც ყმა კაჰად¹ დამდგარიყო, ქედმოხრით მისალმებოდა ბატონკაცს. მაგრამ ახლა ჩონთის ბატონი კი არა, მეტოქე ედგა წინ.

¹ კაჰად დგომა — ბატონისადმი ფეხდაფეხარედიანებული, გულზე დაკრეფილი მისაღმება ყმისა.

სესირყვა მისი ძუძუმტე იყო. აკენიდან ერთმანეთს შეზრდილნი ერთმანეთის შხეს ფიცულოდნენ. სიკბაუყემდე არ უგერძნიათ, რომ ერთი ბატონი იყო, მეორე კი ყმა. შემდეგ ადათწესმა აიძულა, ბატონისა და ყმის ზნეჩვევა დაეცვათ, მაგრამ მარტონი დარჩებოდნენ თუ არა, ისევ ტოლსწორნი იყვნენ.

ჩონთიმ არ იცოდა შიში რა იყო, მაგრამ ახლა გამალეებით უცემდა გული. ბატონკაცს შეეძლო ებრძანებინა, ხელი ეშვა სინთუს ცხენისთვის. ჩონთი ვერ დაყვებოდა მის ნებას.

სინთუმ იგრძნო ეს. არ დააყოვნა: ფერდში გაჰკრა ფაშატს. ცხენი ადგილიდან მოწყდა და კინალამ თან წაიტანა ჩონთი და ლიბარტიანი.

ორივემ შევებით ამოისუნთქა. იდგნენ და უყურებდნენ. როგორ მიჰქროდა სინთუს ცხენი, როგორ გაუჩინარდა მტერის ბულში.

— მთვარის ამოსვლაზე დავიძრებით, — დაარღვია უხერხული ღუმელია სესირყვამ, მერე ცხენი თავის ამალისკენ მიაბრუნა.

სესირყვა დადიანთან იყო და იქიდან ბრუნდებოდა, როცა სინთუს ცხენს მოჰკრა თვალი. მტვერში კარგად ვერ გაარჩია, ქალი თვითონ მოაქნებდა ცხენს, თუ ცხენმა გაიტაცა. უმაღსაშველად გაეშურა. ამაღა იდგა და უცდიდა, რა მოხდებოდა. ბატონკაცმა ცხენი რომ შეაბრუნა, გულს მოეშვათ. მშვიდობით დამთავრდა ის, რაც შეიძლებოდა * ჩონთისთვის საბედისწერო ყოფილიყო.

3

თურქი გურიამი შემოიჭრა. ფოთის, ყულევისა და ანაკლიის ნავსაყუდლებს დიდძალი ხომალდებით მოადგა და დადიანს შემოუთვალა, უბრძოლველად დამნებდით. გურიისა და ოდიშის დაპყრობის შემდეგ იმერეთს უპირებდა დალაშქრას, იმერეთიდან ქართლ-კახეთს დაეცემოდა, მთელ საქართველოს ხელთ ჩაიგდებდა და სამხრეთის ქრის-

ტიანული ერებისკენ დასახმარებლად დაძრულ რუსეთს გზას გადაუჭრიდა.

დადიანის დიპლომატიის თურქთა მთავარსარდალს გაჰვიანურებული მოლაპარაკებით იქცევდნენ. ამ დროს კი მთელ ოდიშში ჭედზე კაცი გამოდიოდა. არავინ იშურებდა იარაღსა და სურსათს, ცხენსა და ურემს, შეიღსა და ქმარს.

თურქს ორი მხრიდან უნდა შემოეტია დადიანის ჯარისთვის. ანაკლიიდან წამოსული ერთი ნაწილი ინგურს გადმოლახავდა და ზუგდიდს აიღებდა, აპყვებოდა მთიან სამეგრელოს, დაიპყრობდა წალენჯიხას, ჩხოროწყუს, ხიბულას და სენაკში შეუერთდებოდა ფოთიდან და ყულევიდან წამოსულ საპილ აღის და მაჰმუდ ჰასანის ლაშქარს. აქედან გაერთიანებული ძალით იმერეთისკენ გასწევდნენ.

მტრის ზრახვა მაშინვე შეიტყვეს დადიანის მსტოვრებმა. სესირყვა ლიბარტიანს დაველა, ყულევიდან ყორათის ტყეში და ჭაობში შეეტყუებია მაჰმუდ ჰასანის ჯარი, მერე ზღვიდან შემოევლო, ზურგში დასცემოდა და ჭაობში ჩაეხჩო. სანამ ფოთიდან წამოსული საპილ აღის მთავარი ძალა მოუსწრებდა. ყულევის ჯარის მოსაბოძისთანავე ლიბარტიანი ჭალადიდისკენ გასწევდა, იქ გურიელის ჯარს შეუერთდებოდა, შუა გზაზე შეეგებებოდა ფოთიდან დაძრულ თურქებს და მოჩვენებით ბრძოლას გაუმართავდნენ, სანამ ტელემაქ ჩიქვანის მაშველი ჯარი მოვიდოდა.

ამ სამ ბრძოლაში ყველაზე მძიმედ ყულევის ასპარეზი მიაჩნდათ, მაგრამ ლიბარტიანის ლაქშრის გამარჯვებაში ოდიშის მთავარი დაჯერებული იყო. სესირყვას, თავისი ჭაბუკური ასაკის მიუხედავად, მრავალ ლაშქრობაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული და მტერთან მოულოდნელ, პირისპირ ბრძოლაში მთელ კოლხეთში ტოლერ არ ჰყავდა. ლიბარტიანი თურქს ორჯერ მცირე ლაშქრით უნდა შებრძოლებოდა. დადიანი მაინც არ შიშობდა და თვითონ

ანაკლიაში გადმომსხდარ მტრისთვის უნდა გაემართა ბრძოლა.

4

შუალამე იდგა. საესე მთვარე წითელ ლაქად მოჩანდა ცაზე.

გზა დაბურულ ტყეში გადიოდა. თერთრად ქათქათებდნენ გველივით შეთელილი, შემკვნიარი თხმელის და წიფლის ფოთლები. მუჭად ლივლივებდა ისლი და გვიმრა, ბარდყალი. ტყე გალურსული იყო.

სიწყნარეს ფლოქვების თქარუნის და ურმების ბორბლებს ჭრიალი არღვევდა. ლაშქარი ყოართისკენ მიეშურებოდა. წინ სესირყვა ლიპარტიანი მიუძლოდა თავისი რჩეული, თავზეხელაღებული მხლებლებით. ურდო შორს გაჭიმულიყო ტყეში. უკან დიდი ალალი მიჰყვებოდა: მიერეკებოდნენ წვრილფეხა და მხვილფეხა საქონელს, მიჰყავდათ ფრინველი, მიჰქონდათ ფქვილი, ღვინო, თონეები, ჭურჭელი, კარგები, რომ ბანაკად დგომისას ელზინათ და ენადიმნათ, ოდიშელებს არაფერი ისე არ სიამოვნებდათ, როგორც სტუმრის პატივისცემა. ამისთვის ლაშქრობისას ასწილ უფრო იღწვიან. იქ თან მიაქვთ ყველა თავისი ძვირფასი სამოსი და სამკაული, აბჯარი, რომ ლაშქრად უკეთ ეცვათ და ეხუროთ მტრის თვალის დასაესებად და მოყვრის გასახარებლად.

ლიპარტიანის მხლებლებს ჩამორჩენილი ჩონთი უკანასკნელ ურემს მიჰყვებოდა დასადავებული ცხენით. სინთუ აცილებდა. გვერდში ედგა, მხრით მხარზე ეკვროდა. ხანდახან ჩამორჩენილი მხედარი ან მეჯოგე ჩაუქროლებდა, მაშინ სინთუ ერთი ნაბიჯით დაწინაურდებოდა, მერე ისევ გვერდში ამოუდგებოდა ჩონთის.

ასე მიდიოდნენ დიდხანს. არც ერთი ხმას არ იღებდა, მინდობილი თავის ფიჭრს, განშორების სევდას. სიწყნარეს საქონლის ბღავილი, ცხერისა და თხის კიკინი და ფრინველის ფრთების ფართქალი არღვევდა. ისმოდა მეურმეთა შეძახილი, მეჯოგეთა შეყვირება. და

ეს ხმები, ფლოქვების თქარუნთან ერთად, საიდუმლოებით მოცულ უსიერ ტყის გორიზ მდუმარებაში გამაყრუებელი სიმკვეთრით ხშიანდებოდა.

— დაბრუნდი ახლა, — დაარღვია დუმილი ჩონთიმ, — შორსა ვართ.

— არავინ მომიტაცებს, წიე! — ნაღვლიანი ხმით მიუგო სინთუმ, — მომკიდე ხელი!

— არა, სინთუ... იქნებ ვერ დავბრუნდე.

— დაბრუნდები... შენ თურქის ხმალი ვერ მოგკლავს!

შედგა, თავისკენ მოაბრუნა ჩონთი, მიეკრა საესე, გატიკული მყერდით. მომხვიე ხელებიო, — ეუბნებოდნენ სევდით დაბინდული მისი თვალები. ჩონთი ყოყმანით შეჰყურებდა, მერე ფრთხილად მოიშორა მისი ათრთოლებული ტანი.

— ჰო, დავბრუნდები, სინთუ!... დავამარცხებთ თურქს და დავბრუნდები.

სინთუ თავდახრილი იდგა. ცხენის ჭკვიანი თვალები ნაღვლიანად შეჰყურებდა. ცრემლი კრიალებდა ქალის ლოყებზე. ჩონთიმ თვალი მოარიდა.

— მალე დავბრუნდები, სინთუ — უთხრა ჩუმად. მერე მიტრიალდა, უნაგირს მოაფრინდა, მოსხლიტა ცხენი და იქვე მოსახვევში, გზისკენ გადახრილ ბებერ თხმელას მიეფარა.

სინთუ არ განძრეულა. დიდხანს ესმოდა ჩონთის ცხენის ფლოქვების თქარუნს.

— ჰო, ჩონთი, დაბრუნდები, — დაილაპარაკა, გაუღიმა ჩონთის, გაუბრწყინდა თვალში ცრემლი, — შენ თურქის ხმალი ვერ მოგკლავს!

გამოხუნებულ ცაზე მკრთალად ბეუტავდნენ ვარსკვლავები. ტყეში ისეთი მყუდროება იდგა, თითქოს ბუნებამ მიიძინაო. ლაშქრის ხმაური და ჯოგის ბღავილი საღლავ შორს, ყრუდ გაისმოდა. სინთუ ადგილიდან მოწყდა და გაიქცა, ბებერ თხმელასთან მიიბრინა.

— ჩონთი! — შეიბრხნენ მისი სქელი ტუჩები.

ტყის თავზე ქარაშოტი ავირდა, აშ-

რიალდა ურმანი, აშუშველდა. მოედო პაერს გვალვით დამწვარი ფოთლისა და მტრის სუნი. ჭალიკონი სწრაფად მოჰქროდა ტყეზე. მთელი თვე უძრავად მდგარმა ხეებმა საშინელი ჭახანი გაილეს, აღაწუნდნენ ტოტები. რუმბივით დაბერილი შავი ღრუბლები ტალღა-ტალღა მოჰქროდა ზღვიდან.

5

ლაშქარი მთელი დამე ხაფად მიდიოდა. წვიმა გაშმაგებით ასხამდა. ელვის ძარღვები, ათასგვარად ბზარავდა დაბლა დაწვეულ ცას.

ნაგვალზე მიწის მკერდი დიდხანს არ იღებდა წყალს. აივსო თხრილები, ლეღები, დაიფარა გზები, ეზოები, ყანები.

შეაჩერეს ალალი. ლაშქარი კი ვიქტორ მიიწევდა წინ: სანამ აღიდებული მდინარეები ნაპირს გადალახავდნენ, ხობისწყლის და ყულევის გადაცურვა უნდა მოესწროთ.

— ზღვა თუ ლელავს, ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყვას, — უთხრა ლიპარტიანმა გვერდით მომყოლ მეთევზეებს, ძმებს თუძმაიებს, რომლებსაც ხელისგულზე ეწერათ ზღვის ზნე.

— დედის ხსენი არ შერჩება ზღვას, — მოახსენა ლიპარტიანს უფროსმა თუძმაიამ.

— თურქის ზომალდებს უკლებლივ გამოფენდა ნაპირზე, — დაუსართა სესირაყვას უმცროსმა ძმამ.

ელვის შუქზე ზღვისა და ქარისავან შეჭვეილი თუძმაიების მოკლე წვერიანი სახე და მსხვილი თვალები, ახლა წვიმით გაღუმპული და მოზინზიმე კმაყოფილებისა და შინაგანი ზვიმის შუქით იყო განათებული. შინ ნაქსოვი ხეშემში შალის ხალათის საყელო, რომელიც ზამთარ-ზაფხულ გადაღებული ჰქონდათ, ფართოდ აჩენდა მათ ბანჯგლიან, განიერ მკერდს, რომელზედაც თავბერიდან დადენილი წყლის ნაკლი სწრაფად ჩასდიოდათ.

ლიპარტიანმა ღიმილით შეავლო ძმებს თვალი. ელვით განათებულ სიბნელე-

ში თუძმაიები ტანმორჩილ კოლხურ ცხენებზე გოლიათებივით მოჩანდნენ. წვიმის ტალღა სახეში სცემდათ მათთვის სულ ერთი იყო დარი და სკლასი ერთნაირად იტანდნენ ჭირსა და ლხინს. არაფრის წინ უკან არ დაიხვედნენ. მათთვის ერთი იყო ჩვენი და თურქის ზღვა, მიწა, კარი. ისე შევიდოდნენ სათურქოში და გამოვიდოდნენ, ის მოიპარავდნენ სულთანის ყველაზე სანდო მრჩეველსა და მესაიდუმლეს, მოჰგვრიდნენ დადიანს, კაციშვილი ვერ გაიგებდა ვერც სულთანის და ვერც ოდიშის მთავრის კარზე. სულთანს ჯერ ნახარევი არ ჰქონდა კოლხეთის დალაშქვრა, რომ თუძმაიებს უკვე ამბავი მიჰქონდათ დადიანთან.

ახლაც დროულად აცნობეს მთავარს სულთანის განზრახვა. დადიანმა მაშინვე ჩასხა მცირე გუნდები ზღვისპირეთის უღრანებსა და ჭაობებში, — რადგან თუძმაიების ცნობით, ზღვიდან ელოდა შემოსევას, — და ლაშქრის თავმოყრას შეუდგა.

მოტყუედნენ იმერეთი და გურია, რომ მხარი არ აუბეს დადიანს. მათ მსტორებს სხვა ცნობები მოჰქონდათ: სულთანს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ახლო აღმოსავლეთში საქმე მთლად დაწყობილად არ აქვს და ახლა საქართველოს დასალაშქრავად არა ცხელაო.

„დედის ხსენი არ შერჩება ზღვას, — იმეორებდა გულში ლიპარტიანი, — თურქის ზომალდებს უკლებლივ გამოფენდა ნაპირზე“. — ჩქარობდა, დროზე უნდა მიესწრო ნაპირზე გამოირიყული მტრისთვის, გონს მოსვლა არ ეცლია, მოულოდნელად დასხმოდა და ერთის დაკვრით მოესპო. — თითქოს ცა ამ დღისთვის იზოგავდა წვიმას, რომ იოლ სახმლოდ შეემზადებია ჩვენთვის თურქი“.

ხობისწყლის ფონი თვალშეუდგამ უკუნეთში ადვილად მოძებნეს ჩონთიმ და თუძმაიებმა. ლაშქარი მშვიდობით გავიდა გაღმა და შეუსვენებლად განაგრძო გზა. ცხენები თითქმის მუხლამდ წყალში მიდიოდნენ, მაგრამ მრავალ

ლაშქრობას ნაჩვევნი, წყალში ფლოქ-
ვების გამალბული ჩქაფუნით დოს-
ტოლორივ მიიწვედნენ წინ.

წვიმა კი ასხამდა და ასხამდა. ელვა
ფატრავდა ცას. განთიადი კარგა ხნის
ამდგარი იყო, მოქურუხებულ ცას მა-
ინც ვერ კვეთდა ნათელი და განუქე-
რეტელი წყვდიადი მეფობდა ცად და
მიწად.

ხობისწყალი გასცურეს თუ არა, უფ-
როსმა თუძმაიამ სესირყევასთან ახლო
მიადლო ცხენი.

— ყური მიუგდე ზღვას, სარდალო.

— უთხრა და ყურებამდე გაიღიმა.

წვიმის შმაგ მერეხში და ქვეა-ქუხი-
ლში გლუდ ისმოდა ზღვის მოქცევის
ზათქი, თითქოს ნაპირზე გადმოსული
წინ მოისწრაფოდა საზარი ხმით, ვი-
თარცა წარღვნა.

6

ზღვა არ ცხრებოდა, სულ უფრო წინ
ასროდა მთისოდენა ზვირთებს და მი-
წიდან პირწმინდად ზვეტდა ყველაფერს.
კოქამდე და ზოგან მუხლამდე წყალში
იდგა ნაპირზე გამორიყული თურქთა
ჯარი. მტერმა დაღეწილ-დამსხვრეული
ხომალდებიდან ვერც სურსათი გადმო-
ტვირთა და ვერც საპურველი. რაც ზედ
ესხა ლაშქარს, ისდა შერჩა. ვერც ნაპირს
მოშორდნენ, მხოლოდ იმდენი მანძი-
ლით დაიხიეს ზღვიდან, რომ ტალდა არ
მისწვდომოდა და არ ჩაეტაცნა. ასე
იდგნენ მთელი ღამე უკუნეთ სიბნელე-
ში და თავსხმაში, ფხს არ იცვლიდნენ
ადგილიდან. ჭაობი წყლით იყო დაფა-
რული და ყოველი ნაბიჯი სახიფათო
იყო. ან ჭაობის უჩინარი პირი შთანთ-
ქავდა, ან ღელეთა საგვს უბეებო.

ინათა საზარელი სურათი გადაეშა-
ლა მაჰმუდ ჰასანს: მიწა არ ჩანდა. წვი-
მა გაშმაგებით ასხამდა და დუღდა
მღვრივ წყალი. თავით ფეხამდე გაწუ-
წული სარდალი ტანტრეგანზე იჭდა კა-
რაეში, მაგრამ იქაც ისე ატანდა წვიმა,
როგორც საცერში. წყალში მდგარმა
ლაშქარმა თავზარი დასცა. ზოგს არა-
ქათი გამოლეოდა და ჩამქდარიყო, ზო-

გი შუბზე დაყრდნობილი იდგა, ზოგ
ფარზე. აქა-იქ დამბრჩვლებიც ეყარნენ.

მაჰმუდ ჰასანმა ასისთავებს უბნო,
უნდა ებრძანებინა ფეხზე წამოე-
შალათ გათოშილი ჯარი და ემოძრავათ—
კუნთი და სახსარი გაეშალათ, საჭი-
რო იყო სპათა გამხნეება, რომ წვიმა
მალე გადაიღებდა. მაგრამ ვიღრე მაჰ-
მუდ ჰასანი ბრძანებას ვასცემდა, მსტო-
ვრებმა ამბავი მოუტანეს, ლიპარტიანის
ცხენოსანი ლაშქარი სამივე მხრიდან
აღყას გვარტყამს და საცაა ვაჩნდებო.

მაჰმუდ ჰასანის გაოცებას საზღვარი
არა ჰქონდა: როგორ გადმოლახა ლი-
პარტიანმა ნაპირზე გადასული ხობის-
წყალი და ყულევი. ვერ წარმოიდგინა,
არ დაიჯერა, მაგრამ კარვიდან გამოვი-
და თუ არა, დაინახა, რომ მსტოვრები
არ ცდებოდნენ: თურქთა მცირე გუნდს
სამი მხედარი მოჰყავდა კარვისაკენ.
ცხენები ჩქაფუნით მოაპობდნენ წყალს.
შუაში მდგარ მხედარს, ჩია ტანის მო-
ხუცს ჰიქე¹ უჩა ფაღავას, მრავალ ომ-
ში ნაცად ახისთავს, აქე-იქიდან თუძა-
იები ამოსდგომოდნენ.

ცხენები კარვის წინ შეიყენეს ლიპა-
რტიანის წარმოგზავნილებმა. აუჩქარე-
ბლად დაქვეითდნენ. ჰიქე უჩამ ზრდი-
ლობისა და წეს-აღათის საკადრისად
სალამიმისცა თურქთა ბელადს და სე-
სირყეა ლიპარტიანის სიტყვიერი უსტა-
რი გადასცა თურქულად: ორივე ფეხით
ხაფანგში ხარ გაბმული და უსისხლოდ
დამნებლიო. უფრო მისმა დამკინავმა
კილომ შემოუნთო მაჰმუდ ჰასანს ცეცხ-
ლი, ვინემ სიტყვის აზრმა.

— ბრყევს თუ შეეძლო შემოებედნა
მაჰმუდ ჰასანისთვის ასეთი უსტარი,—
უთხრა პასუხი ბოლმით შემძიმებულმა
სარდალმა უზრდელ მოციქულს.

7

მაჰმუდ ჰასანი ნაცადი ბელადი იყო.
ზღვის ლომს ეძახდნენ, ზღვაზე ბრძო-
ლებში მოიხვეჭა სახელი და დიდება.
მართალია, კოლხეთს პირველად მოად-

¹ ჰიქე—პატარა (მეგრულად)

ვა ხომალდთა ქარავნით, მაგრამ კარგად იცოდა ოდიშელების ბრძოლის უცნაური ზნე: თუ ყოველი ქვეყნის ლაშქარი ომში სარდლის მიერ შემართა აზრიანი განლაგებით, საქირობის შესაბამისად სათადარიგო გუნდების ბრძოლაში ჩაბმით და სხვა მრავალი წესითა და ხერხით იმარჯვებს, ოდიშელებს ბრძოლის არავითარი წესი არა ჰქონდათ, როგორც კი მათი ლაშქარი მტერს მიუახლოვდებოდა, ყველა ერთბაშად გაექანებოდა წინ გაქნებული ცხენით. სროლის მანძილზე დაუახლოვდებოდნენ თუ არა მტერს შუბს ესროდნენ, შეჭდევ ხმალ-სატევარს იშიშვლებდნენ და ყიფინით შეეტაკებოდნენ. ასეთი ბრძოლა უცებ მთავრდებოდა მოწინააღმდეგეთა ერთი მხრის გამარჯვებით და მეორის ან განადგურებით ან მორჩილებით.

მაჰმუდ ჰასანის კარვის წინ ფიცხლავ აღმართეს კაცის უგრძესი საყვირები, მაგრამ მათი საბრძოლო მოწოდება და დასველებულ დოღთა წამქეზებული ყრუ ბრავუნნი ზღვის მოქცევის ზათქსა და წვიმის დგაფუნში ჩაიხშო.

თურქი საბრძოლველად წამოიშალა. არავინ იცოდა ლიპარტიანის ლაშქრის რიცხვი. იცოდნენ, რომ მეგრელები მხოლოდ ცხენებით იბრძოდნენ და ისე ჰყავდათ გაწერთილ-გახედნილნი, ერთნაირად ეპუებოდნენ კლდესა და ბარს, ტყესა და ქაობს; ისეთ ბარდ-ეკალში გააძვრენდნენ ცხენს, საიდანაც ჩიტი კურკანტელს ვერ გაიტანდა, ადიდებულ მდინარეს ისე გადაცურავდნენ, ფეხი არ დაუსველდებოდათ, ციკაბო მთიდან ისე დაეშვებოდნენ უბელო ცხენით, ერთს არ შექანდებოდნენ.

ასეთ ლაშქარს თურქები მუხლამდე წყალში და კოკისპირულ წვიმაში უნდა შერკინებოდნენ. ან ფარ-ხმალი ახლავე უნდა დაეყარათ და უთანასწორო ბრძოლის უგუნურება ეთქვათ ბელადისთვის, ან ყველა შეწირვოდა ლიპარტიანის გარს.

ლაშქრის ფიქრი და შიში გუმანით იგრძნო მაჰმუდ ჰასანმა. ასეთ ეამს

ფიქრისა და განსჯის დრო არ უნდა მიეცა ჯარისთვის. მაგრად ჩასქვიდა ხმლის ვადას ხელი, იძრო მახვილდ-ღრუგაეშურა წინ, იქით, საიდანაც ელოდა ლიპარტიანს. ისედაც დაბალი და ჯმუხი, წინწახრილი კიდე უფრო ნაგალა და ჯუჯა ჩანდა. მთებიდან ჩამოჭრილი ბორთა შიგ სახეში ახლოდა წვიმის თქეშს, თეალებში სცემდა, სულს უგუბებდა.

ლაშქარი საბრძოლველად გაიშალა. წინ წვიმის შავი, სქელი კედელი ეფარათ და ვერ ხედავდნენ ტყეს, საიდანაც ოდიშელთა ჯარი უნდა გამოსულიყო.

შეწყვიტეს დოღთა ბრავუნნი, საყვირთა ბლავილი, სული განაბეს შერკინების მოლოდინში და აი, საშინელი ყიყინ-ხივილით, რომელმაც ზღვის გმინვა-ხენეშა და წვიმის დგაფუნიც კი ჩაახშო, ასიოდე ნაბიჯზე გამოვარდნენ ტყიდან შუბ და მშვილდ-ისარ მომარჯვებული ცხენოსნები, ქარი იმათ მხრიდან ქროდა, წვიმის შხუილსა და დგაფუნს, ცხენების ფლოქვების ჩქაფუნს და სპათა ყიფინს ასკეც სიძლიერით ატებდა თავს მტერს. ქარაშოტისგან დაბრმავებული თურქები ვერ ხედავდნენ ოდიშელებს, რომლებიც სამივე მხრიდან მოაქნებდნენ ცხენებს.

ჩონთი, როგორც ყველა ბრძოლაში, ახლაც გვერდით მისდევდა ლიპარტიანს, რათ დაეცვა და დაეფარა ხიფათისაგან. თითქოს გული უგრძნობდა, წინასწარ უთქვამდა, რომ სესირყვას სიკვდილი ჰყავდა ჩასაფრებელი. თვალს არ აშორებდა სარდალს. მაგრამ მტრის რიგებში შეჭრისთანავე, ბრძოლამ მოულოდნელად გათიშა ისინი. სესირყვამ რამდენიმე თურქს მარჯნივ და მარცხნივ ზედხედ წააგდებინა თავი. შემდეგ მაჰმუდ ჰასანი დაინახა. იგი ორი ხმლით იბრძოდა გაშმაგებით.

სიხარულმა გული გაუნათა ლიპარტიანს, ბევრი გაეგონა მაჰმუდ ჰასანის გმირობაზე და გულთ ესწრაფოდა მასთან შებმას. მაშინვე ზედ მიაგლო ცხენი და დაქვეითება დააპირა, რომ ფარდი ძალით შებრძოლებოდა. ამ დროს მისმა ულაცმა მოულოდნელად

წაიფორჩილა და წინა მუხლებით დაეცა წყალში. მაჰმუდ ჰასანის მზღებლებმა უმალ შეხებები აძგერეს აქეთ-იქიდან და შიგ მუცელში გაუტარეს.

სესირყვა არ დაიბნა, მისი ხმლით თავგაჩეხილმა ორმა თურქმა ზღართანი გაადინა წყალში. ლიპარტიანმა ცხენის წამოყენება ვერ მოასწრო. მაჰმუდ ჰასანის შემოუხტა უკანიდან, რომ ზურგში დაეცა მახვილი, მაგრამ სულ ახლოს თავზარდამცემი შეყვირება გაისმა, თურქი უნებლიეთ მიტრიალდა: ჩონთი მოჰქროდა მისკენ. ცხენი ისეთი სისწრაფით მოფრინავდა, ხმლის შემოკვრა ვერ გაბედა, რომ მაჰმუდ ჰასანისთვის მოქნეული ხმლით სესირყვა არ დაეჭრა. არწივივით დააფრინდა თურქთა ბელადს, ჩასტაცა ხელი და თავის ცხენზე შემოივლო. ცხენმა ორივე ზღვისკენ გაიტაცა.

მძიმედ დაჭრილ ლიპარტიანს მაშინვე თავისი მხედრები შემოეხვივნენ. სარდალმა მხოლოდ იმასლა შეასწრო თვალი, თუ როგორ დასცა ჩონთის მაჰმუდ ჰასანმა სატყეარი, როგორ შთანთქა ორივე ნაპირზე გამოქრილმა უზარმაზარმა ზეირთმა. მერე არაფერი დაუნახავს, გონი დაკარგა.

რამდენიმე ნაკადად შეიჭრნენ ოდიშელები მტრის რიგებში. მთელი ღამე წყალში და თავსხმაში უძრავად მდგარმა თურქთა ჯარმა ვერ გაუძლო თავბრუდამხვევ იერიშებს. სწრაფად თხელდებოდა მათი რიგები. გადაწყვიტეს ალყა გაერღვიათ, მაგრამ საით წასულიყვნენ, არ იცოდნენ. წინ, ტყეში წყლით დაფარული გაუვალი ჭაობები იყო, უკან მძვინვარე ზღვა ბობოქრობდა.

თავისი სარდლის დაჭრამ ოდიშელები კიდევ უფრო გააავა. ჭიჭე უჩამ და თუქმაიებმა ეს ხელი გამოიბეს, რკინის გული ჩაიდგეს და მეტი თავგანწირვით ეკვეთნენ მტერს.

ბრძოლა მოკლე და ელვისებური იყო. თურქებმა, ვინც ხმაღს, ზღვას და ტყვეობას გადაურჩა, ტყვეს მისცეს

თავი. იქ კიდევ ეგულებოდათ გადარჩენის რალაც იმედი.

სასახლის კარის იტალიელმა დოსტაქარმა, ყოველ ბრძოლაში თან ჩაიხლდა ლიპარტიანს, კრილობები შეუხვია თუ არა ბატონკაცს, ჭიჭე უჩამ ლაშქრის შეკრების საყვირი დააკვრევინა. ორასამდე კაცი დატოვა ტყეში შეხიზნულ თურქთა შესაპყრობად და უსმელ-უქმელი, სულმოუთქმელი ლაშქარი ჭალადიღისკენ დასძრა, რათა ფოთიდან მომავალ საპილ ალის ჯარს, გურიელის ლაშქართან ერთად დახვედროდა.

8

ლიპარტიანის მძიმედ დაჭრის ამბავი იმ დღესვე მოედო ოდიშს. შეწუხებული ქალი და კაცი, დიდი და პატარა სასახლის წინ გაშლილ მიწდორზე იკრიბებოდა. თან მოჰქონდათ სურსათ-სანოვაცე, ძღვენი და ლოცვა-ვედრება, აქ ბანაკდებოდნენ. გადაწყვეტილი ჰქონდათ ფეხი არ მოეწყოლათ იქიდან, სანამ ბატონკაცი არ მოიხედავდა.

მესამე დღე იწურებოდა და ლიპარტიანს გრძნობა არ უბრუნდებოდა. ღია სარკმელთან იწვა, პაერა მინც არ ყოფნიდა, სული ეხუთებოდა, ბოდავდა, ხანდახან სინთუს უხმობდა.

დოსტაქარმა მაშინვე დაიბარა სინთუ. უბრძანა, ბატონკაცის საწოლს არ მოშორებოდა. თუ კიდევ ახსენებდა მის სახელს, გამოაპსუხებოდა, ეთქვა, რომ თავს ადგა. დოსტაქარი იმედოვნებდა, სინთუს ხმა მოაბრუნებდა სესირყვას.

სიცხით გავარგარებული ლიპარტიანი თავით ფეხამდე ძეწნის ფოთლებში იყო გახვეული. სიცხე მინც არ უნელდებოდა. სინთუ განუწყვეტლად უნიავებდა, ოფლს წმენდდა, ტუჩებს ვარდის წყლით უსველებდა და ჩონთიზე ფიჭრობდა. იცოდა, ბატონკაცის მზღებლებიდან ზოგი დაიჭრა, ზოგი ზღვამ წაიღო, ზოგიც დაღუპა, მაგრამ ჩონთის ამბავი ერთხელაც არ იკითხა.

„ჩონთი არ დაბრუნდება, სანამ უკანასკნელ თურქს არ აუგებს წესს, — ამ-

ბობდა გულში და შიშით თვალს ვერ ამორებდა ბატონაკის სახეს. უგრძობი, სისხლისაგან დაცლილი კი შეუპოვარი და უტები ეჩვენებოდა. — ჩონთიცი ასეთია. ჩონთიმ გადაარჩინა, — არ იცოდა, როგორ გამოსტაცა ჩონთიმ თურქებს, არ იცოდა, მისი გადაარჩენის შემდეგ, რა დაემართა ჩონთის, — თურქის ხმალი ვერ მოკლავს ჩონთის, იმეორებდა ჭიუტად. ღამეებს თერთად ათენებდა ბატონაკის სასათუმალთან, თავს ევლებოდა, — ოღონდ ბატონაკის გადმობედლოს მიქამგარიომ, ოღონდ მობედული დახედეს ჩონთის და ჯანდაბას ჩიშთი თავი, ჭირსაც წაუვლივარ!“

— ჩონთი!... დაიკვნესა სესირყვამ.

სინთუ ფიქრებიდან გამოურკვია, მუხლებზე დაეცა ლოგინის წინ.

— ჩონთი არ დაბრუნებულა!.. — ხელზე ხელი მოკიდა სულსეგუბებულმა, — მე სინთუ ვარ!.. — შესძახა ვედრებით, ხეწწით, რათა გაეგო ლიპარტიანს მისი ხმა. გულზე მიიკრა ბატონაკის გამხდარი, ულონო ხელი.

შემოვიდა დოსტაქარი. შემოპყვენენ ფრანგი და ირანელი დოსტაქრებიც. კმდელთან ჩამწკრიდნენ.

სესირყვამ ნელა ააწია დამძიმებული, უსიციოცბლო ქუთუთოები, მაგრამ მისი თვალები არაფერს ხედავდნენ. ხმა გაეციო, — ანიშნეს სინთუს დოსტაქრებმა.

— ბატონაკო! — წამოიძახა სინთუმ და უფრო მაგრა მიიკრა მკერდზე სესირყვას ხელი.

ლიპარტიანმა სახე მისკენ მიაბრუნა.

— სინთუ ვარ, ბატონაკო... თურქი დამარცხდა, დადიამ გაიმარჯვა!

ლიპარტიანი უაზრო თვალებით შეკუყრებდა სინთუს.

— ჩონთიცი მალე დაბრუნდება!..

ლიპარტიანი მიჩერებით უყურებდა სინთუს. რაღაცას იხსენებდა.

— ჩონთი... — შეირხნენ სიცხისაგან დახეთქილი მისი ტუჩები.

— ჰო... ჩონთი!.. — კინაღამ შეპყვიორა სინთუმ, გაბარებულმა, რომ ხმა ამოიღო სესირყვამ.

ლიპარტიანი თვალს არ ამორებდა

სინთუს, დაძაბვით, ნერვულად კვლავ რაღაცას იგონებდა.

— მოკლეს ჩონთი... მაჭმულენ ჭახანმა... — შეირხნენ ისევ მისი ტუჩებმა.

სინთუმ ხელი უშვა სესირყვას, გველნაკბენივით წამოიჭრა, უკან დაიხია კარისკენ. დოსტაქრები შემკრთალი უყურებდნენ სახეშეშლილ ქალს. „არა... არა!“ — ამბობდნენ სინთუს თვალები. კართან შებრუნდა, ზიზლით შეავლო თვალი ლიპარტიანს და ოთახიდან გავარდა, ჩაირბინა ეზოში, გაიქცა.

გაირბინა ქიშკარში, ქიშკარის წინ — მინდორი, რომელიც დაფარული იყო ბანაკად მდგარი ხალხით. არ ესმოდა არაფერი, არ ხედავდა არაფერს, ალღოთი უვლიდა გვერდს კარებს, უწესრიგოდ მდგარ ურმებს, საქონელს, ფქვილის ტომრებს და ტიკებს, ცეცხლს, რომელზედაც საქმელს ამზადებდნენ, შეშას, ფრინველს, კოკებსა და ყველს დერგებს...

ხალხი გაოცებული უყურებდა გონდაკარგულ ქალს, ვერავინ მიხვდა შეჩერებინა, ეკითხა რა უჭირდა, სად გარბოდა!

მხოლოდ მაშინ შედგა სინთუ, გზისკენ გადახრილ ბებერი თხმელასთან რომ მიიარბინა, იქ, სადაც ჩონთის დაშორდა. გულამომჯდარი და მუხლმოკვეთილი ხეს მიეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო. იღვა უძრავად, ნიკაბი და ტუჩები უაზროთადა, დიდი ბრღვევილა თვალები კი თითქოს ჩამქრალიყვენენ და ცრემლით დაბურღულები მიშტერებით გასცქეროდნენ გზას, რომლითაც ჩონთი წავიდა, რომლითაც მის დაბრუნებას ელოდა.

9

მთელი დღეები ბებერი თხმელის ქვეშ იჯდა და გზას გაჟურებდა. ახლოს არავის იკარებდა. მარტო იყო თავის დარდთან. არ ჭამდა, არ სვამდა. დასუსტდა, ვახდა. გასცქეროდა გზას და ელოდა, ელოდა. მხოლოდ შებინდებულზე წამოდგებოდა, შევიდოდა ტყეში და მეჭოვის ძველ, მიტოვებულ ფაცხა-

ში ათევდა ღამეს. ინათებდა თუ არა, კვლავ ბებერ თხმელას მიაშურებდა.

ვინც ომს გადაურჩა, ყველა დაბრუნდა.

სესირყვამ მოიხედა თუ არა, სინთუ მოიკითხა. მისი ამბავი რომ უთხარეს, შეწყუნდა. სახლთუხუცესს უბრძანა, ახლავე მოეყვანათ სასახლეში და დოსტაქრები და მოინალეები მიეჩინათ სამკურნალოდ და მომვლულად.

სინთუმ გაგონებაც არ ინდობა. ვერ ეპატიებია სესირყვასათვის, რომ ენა მოუბრუნდა და თქვა, — ჩონთი მოკლესო. ლიპარტიანის სახელის გაგონებაც კი ზარავდა.

შემოდგომა მიიწურა.

დრომ ვერ გატეხა სინთუს იმედი. გზაზე რომ გამოჩნდებოდა ვინმე, ფეხზე წამოიჭრებოდა, თვალს მოიჩრდილავდა, იღგა გარინდებულნი, მოლოდინით სუნთქვაშეკრული, სანამ მგზავრი მოახლოვდებოდა, და რომ დანახავდა, ჩონთი არ იყო, მღელვარებისაგან დონეგამოლულნი ჩაიკეცებოდა, ზურგს შეაქცევდა მგზავრს.

წინათ რომ არავის იკარებდა, არავის შეხედავდა, არავის თანაგრძნობას ღებულობდა, ახლა იმ მხარეს მიმავალ მგზავრს, საიდანაც ჩონთის ელოდა, შეაჩერებდა და ეტყოდა, ჩონთი თუ შეგებვდეს, უთხარი, სინთუ თხმელასთან გელოდებათქო! ზევიდან მომავალს კი ჰკითხავდა, ჩონთი ზომ არ შეგებვდრია, რას უცდის აქამდე, ჩამოვდნი ლოდინითო.

ყველა ამვლელ-ჩამვლელმა იცოდა სინთუს ამბავი და მისი საცოდაობით აწევოდა. აიშვებდნენ, ჩონთი მალე ჩამოვარ. სოფელი ხედავდა, რომ დიდი წანი აღარ ეწერა სინთუს და უნდოდათ იმედით, ჩონთის მოლოდინში დაეღია სული.

მოინალეები, ხაბაზები, მეჭინიბეები და სასახლის სხვა მსახურნი ეგებებოდნენ, დაბრუნდი სასახლეშიო, მაგრამ კრიჟაშეკრული ჯიუტად იჩენედა თავს. სულ უფრო უმტკიცდებოდა რწმენა, რომ ჩონთი დაბრუნდებოდა. ამ იმედით უღამდებოდა და უთუნდებოდა.

დრო ჯავრსა და ვარაშს აწულეს, მაგრამ სინთუზე პირიქით მოქმედებდა: რაც ენაში გადიოდა, მისი ტკივილი და დარდი კიდევ უფრო მძიმე, უფრო აუტანელი ხდებოდა. კოლბების გრძნობა, ვნებიანი, მძაფრია. ამავე დროს არ არის წამიერი, ამიტომ მათი დარდი და ტანჯვა ყოველთვის ხანგრძლივი და მძიმეა.

ლიპარტიანი ყოველნაირად ცდილობდა სიკვდილისთვის გამოეტაცნა საცოდავი ქალი. მოციქულობით, თხოვნით, მოფერებით ვერ იქნა და ვერ დააბრუნა შინ. ბოლოს გადაწყვიტა შეეპყრათ და ისე მოეყვანათ. დოსტაქრებმა არ ურჩიეს: ეს უფრო მალე მოუსწრაფებსო სიციოცხლეს.

მეორე თვე გადიოდა რაც სესირყვა ლოგინიდან წამოდგა, უკვე სიარულიც შეეძლო და შინაც ერთხელაც არ წავიდა სინთუსთან. იცოდა, მისი დანახვადი ტკივილს მიაყენებდა. ხედავდა რა დიდად, განუზომლად უყვარდა ჩონთი და ამით კიდევ უფრო მოხიბლული, გონზე მოსვლის დღიდან, თავისი ფიქრით ყოველთვის სინთუსთან იყო. ნაბრძანები ჰქონდა, ყოველდღე მიეტანათ საჭმელი, მიეზიდათ შეშა, წყალი, თვალყური ედევნებიათ. ოღონდ ისე, არ მიმხვდაროყო, რომ ამას მისი დავალებით აკეთებდნენ. ეს საქმე თუძაიების მამას — ივანე ხაბაზს მიანდო.

თუძაიები, ჭიკე უჩა ფაღავასთან ერთად, ჰალადიდის ომში დაიღუპნენ. ლიპარტიანს უნდოდა ჯავრისგან გატეხილ ივანეს თავისი მძიმე ვარაში სინთუს მოვლაში მოეკლა. შეილივით უყვარდა ეს ქალი ბერიკაცს, სინთუ როგორც მას, ისე არავის დაუჭერებდა, არავის მოერიდებოდა. სესირყვამ ივანე ხაბაზობიდან გაათავისუფლა.

ივანე საჭმელსა და წყალს მაშინ მიუტანდა სინთუს, როცა ის, ფაცხიდან გასული, თხმელის ძირას იჯდა. მიუღაგებდა ფაცხას, გაუწყობდა ტაბაკს. ზშირად თხმელის ძირასაც მიაკითხავდა, ისე მივიდოდა, თითქოს ამ მხარეს იყო გზად.

— რა ქნა, არ დაბრუნდა კიდევ ჩონ-

თი? — ჰკითხავდა სხვათა შორის და შორიასლო ჩამოჯდებოდა ხის ფესვზე, ყალიონს გააწყობდა, — ჩემი ბიჭებიც იგვიანებენ. ამბობენ, ტყესა და ჭობებში კიდევ არიან თურქები დარჩენილი.

ომის დამთავრების დღიდან რამდენიმე თვე გავიდა. ოდიშის მიწაზე თურქის ჰაქანება აღარ იყო. მაგრამ სინთუს მწუხარებისაგან დროს ანგარიში დაკარგული ჰქონდა. ეგონა, ომი კიდევ გრძელდებოდა და ჩონთი თქმბაიებთან ერთად თურქებს დაეძებდა.

ერთხელ დილით, ჩვეულებრივად მდროს მივიდა ივანე ფაცხაში, როცა სინთუ შინ არ ეგულებოდა. ფაცხის კარი ღია დაუხვდა. ცუდად ენიშნა ბერიკაცს. „ამ დრომდე რამ გააჩერა ფაცხაში?“ — ცხენი მოშორებით შეაყენა. ზურჯინი ჩამოხსნა და ფაცხისკენ გაეშურა. ღია კარში შორიდან დაინახა უთხეში მწოლიარე სინთუ. სიცვიისაგან მოკრუნჩხული, გაუხდელად იწვა ლოგინზე.

ზურჯინი კედელთან მიაგდო და სინთუსთან მივიდა. ქალს ადამიანის ფერი არ ედო, ლოყები ჩაცვენოდა. ივანე დაიხარა, ხელი მოკიდა. სინთუმ ძლივს იცნო ივანე.

— ბაბუ ხარ?.. დღეს დაბრუნდება ჩონთი, წამოჯდომა დააპირა, ტანი ვერ აიტანა, ზურგში ჩხვლეტდა და ტეხავდა.

— ნუ აღგები, შვილო! — უთხრა ივანემ. უნდოდა საბანი გამოეცალა და დაეფარებინა, მაგრამ სინთუმ ყურადღება არ მიაქცია.

— საცაა დაბრუნდება ჩონთი... — თხოვნით შეხედა, — წამომაყენე, ბაბუ! — ცლავ წამოიწია, — ზურგში მჩხვლეტს... გვერდშია... სხვა არაფერი მიჭირს. ოღონდ წამომაყენე და შერე ფეხით წავალ... — ტუჩები გაულურჯდა. გამხდარი ხელები უსიცოცხლოდ ეყარა საბანზე. — ყოველდამე მოდიოდა ჩონთი... შებინდდებოდა თუ არა, თავს ანებებდა თურქების ღვეწას და ჩემთან მოდიოდა, — ჩამქრალი თვალებით შეჰყურებდა ივანეს, ბუნდოვნად ხედავდა ბერიკაცის შემკრთალ სახეს,

— ინათებდა და წავიდოდა... წუხელ მითხრა, ხვალ სულ დავბრუნდებო, — ამ სიტყვებს რომ ამბობდა, თვალში ღრუბერწყალმა გაუთელვა, სიფხირე გადნაყარა, — ამაყენე, ბაბუ!.. იქ უნდა დავხედე.

ხელი კედელს მიაყრდნო, წამოაწია. ივანე შეეშველა და წამოაყენა.

— ვიჩქაროთ... საცაა, მოვა ჩონთი!

— ჯერ ცოტა რამე შექამე, შვილო, მერე წავიდეთ.

სინთუმ არც ახლა მიაქცია ყურადღება. კართან მივიდა.

— რა დროა, რატომ ბნელა ასე?

მზე ტყის თავზე იღვა. მაგრამ სინთუ ვერ ხედავდა. ფაცხიდან გავიდა და თხმელსაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. ივანე გვერდით გაჰყვა. ისე იყო გაოგნებული, ხელის მოკიდებას ვერ ახერხებდა.

— რატომ მტკივა გვერდი!.. — ხელით ეჭირა ის ადგილი, სადაც ტკიოდა, ფეხის გადადგმას უშლიდა.

— როდის აქეთია გტკივა? — ჰკითხა ივანემ.

არ გაუგონია ივანეს ხმა. მისი ფიქრი სხვაგან იყო.

— იქნებ, მოვიდა ჩონთი და მიცდის... — დაბორკილივით მიადგამდა ფეხს, თითქოს მისი არ იყოთ, მხრები უღონოდ ჩამოეყარა, აჩქარებით სუნთქავდა.

— ჯერ არ მოსულა. თქვა იმედგაცრუებულმა, თხმელის ქვეშ რომ შევიდნენ. ფეხზე ძლივს იღვა. — დამსვი, ბაბუ!

ფრთხილად დასვა ივანემ იქ, სადაც ჩვეულებრივად ჯდებოდა. ზურგით ხეს მიეყრდნო.

— საცაა, მოვა ჩონთი... — გზას გასცქეროდა. სიცვიისაგან ბუსუსი აეყარა. ივანემ ნაბადი მოიხსნა და შემოახვია.

— ახლა გავთბები, ბაბუ, — თავი ხეს მიაყრდნო, თვალები დახუჭა. ასე იყო ერთ ხანს. სუნთქვა შეუწინელდა, ფერი მოუფიდა, — ჩონთი! — წამოიძახა უცებ, — მისი ცხენის ფეხის ხმა, თვალი გაახილა, — გესმის ბაბუ, როგორ მოაჭენებს!.. ბატონკაცმა კი თქვა,

მოკლესო... — სახეზე მძულვარება ვა-
მოეხატა, ორივე ხელი ჩასჭიდა ნაზღის
საქინებებს, ყელამდე აიწია, მოლოდი-
ნით განიბა გზისაკენ თვალმიპყრობი-
ლი — ჩონთის ცხენის ფეხის ხმაა, ბაბუ!

— კი, შვილო, ჩონთის ცხენია, —
ივანე ხედავდა, სული ეცლებოდა სინ-
თუს. წამოხტა და ცხენისკენ გაიქცა,
მაგრამ შუა გზაზე შემობრუნდა, — ვაი-
თუ სინთუ გათავდეს, სანამ მე სასახ-
ლეში მივალ და დოსტაქარს მოვიყვანო.
ახე გაიქცა რამდენჯერმე ცხენისკენ და
ისევ უკან გამობრუნდა. სინთუ ისევ
ისე უძრავად იჯდა და გზას გასცქერო-
და... ივანე კვლავ ცხენისკენ გაეშურა,
შუა გზაზე ერთხელ კიდევ მოიხედა სინ-
თუსკენ, მერე ცხენთან მიიჩინა, ქორი-
ვით მოაფრინდა ამ ხნის კაცი და სასახ-
ლისკენ მიუშვა.

როცა ივანე დოსტაქართან ერთად
დაბრუნდა, სინთუ ნაბადგადახსნილი იჯ-
და, ხელები აქეთ-იქით გადაყროდა,
ოდნავ წინ წახრილყო, თითქოს მისკენ
მომავალ ჩონთის უყურებდა დიმილ-
შეყინული.

10

ყუღევის ომის შემდეგ ლიპარტიანს
ხმალი აღარ აუღია. ჭრილობებმა ისეთი
მძიმე სნება დაუტოვეს, ცხენზედაც
ვეღარ ჯდებოდა. თუ ოდიშს მტერი
მოადგებოდა, დადიანი რჩევის საკითხა-
ვად შინ ეახლებოდა სესირყვას. დიდი
ნადიმისა და წვეულებისას სასახლეში
მიპყავდა და ყოველთვის გვერდით მო-
ისვამდა. მარტო პატრემცემელი როდი
იყო მისი, ძმასავით უყვარდა საშობო-
ლოსათვის ცოცხლად დამარხული, რო-
მელსაც ერთხელაც არ დაუწანია თავისი
ახალგაზრდობის უდროოდ დაკარგვა.

დაცოლშვილდა სესირყვა, მაგრამ
თვე ისე არ გავიღოდა, სინთუს საფლა-
ვი არ ენახა. სინთუ სასახლეში არ მოა-
სვენებია: აქედან გაიქცა და მის სულს
არ გაუხარდება აქ დატირებო, არც სა-
საფლაოზე დაამარხვინა, იქვე დაუსაფ-
ლავებია თხმელის ძირას, პირით იმ
მხარეს, საიდანაც ჩონთის ელოდა...

ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, ხა-
ფხელის ერთ დილას სესირყვა აივანზე
იჯდა და თავისი უფროსი გერის თვერთა
მეტი წლის ალექსანდრეს მამამა
წერთნას ადევნებდა თვალს. ბატონიშ-
ვილი ყარაჩაელ მხედარს ეკენწლავებო-
და. სესირყვა შვილს ომში ისტუმრებ-
და. ქართლ-კახეთის მეფეს თეიმურაზს
შაჰ-აბასის წინააღმდეგ უნდა გაელაშქ-
რა. ახალგაზრდა მეფემ ხელსაყრელი
დრო შეარჩია: ირანსა და თურქეთს
შორის საშინელი ომი მძვინვარებდა და
ქართლ-კახეთიდან ყიზილბაშების გასა-
დევნად კაცი უკეთეს ქაშს ვერ ინატ-
რებდა. ამ ომში თეიმურაზს სამეგრე-
ლოსა და იმერეთის ჯარი უნდა დახმე-
რებოდა.

უდროოდ დაბერებული, მთლად გა-
ქალაჩავებული ლიპარტიანი შვილს ფა-
რული სევდით ადევნებდა თვალს. მამას
თავისი ჭაბუკობის, სისხლიანი ბრძო-
ლების ცხარე დღეებს აგონებდა ალექ-
სანდრეს მამაკური შეტევა, ხმლის მარ-
დი ხმარება, სისწრაფე, გამძლეობა. ყა-
რახს ოფლის ზეთი ასკდებოდა სახე-
ზე, უკან იხევდა, ვერ უშკლავდებოდა
ალექსანდრეს ფიცს, ჯიქურსა და საზ-
რიან იეროშებს. დაბნეული ყარაჩი ალ-
ალებდოდ იგერიებდა მის ხმალს. ორივე
მოკენწლავე ქართველივით ტრიალებ-
და მათ გარშემო ნახევარ რკალად
მდგარ გამოცდილ მწვრთნელ ოსტატთა
შორის. აქ იყვნენ ხმალით ბრძოლის
მწვრთნელები, შუბისა და მშვილდის-
რის მტყორცნელები, სატევრითა და
ცხენით ბრძოლის ხელმარჩვენი. აფხა-
ზი, იმერი, კახი, ჩეჩენი თუ ლეკი. აღ-
ტაცებით ადევნებდნენ თვალს ორთა
ბრძოლას. მოხიბლულნი იყვნენ ალექ-
სანდრეს არა მარტო შეუბოვრობით, გა-
რეგნობითაც.

ბატონიშვილი მაღალი იყო. განიერი
მხრები, ვიწრო წელი და თემოები. ისე
გამოკეართოდა ჩოხაში, რომ კაცის თვა-
ლი უფრო ლამაზს ვერ ნახავდა. მისი
მოძრაობა მკვეთრი და სხარტი იყო.
ხორბლისფერი სახის კანი, ცისფერი
თვალები და შუბლზე გადმოყრილი
მზზინავი ქოჩორი რაღაც კეთილ სინაზეს

მატებდა მის ვაჟაკურ და ერთი შეხედვით მრისხანე იერს.

ასეთი იყო მისი ხნისა სესირყვაც. ახლა იგი, ჭრილობებით ჯანგატეხილი, შეიღს რომ უყურებდა, თითქოს თავის თავს ხედავდა. ალექსანდრე აგრძელებდა მის სიცოცხლეს, მის საქმეს. სესირყვა ოდიშს იცავდა ხმლით. შვილი კი თეიმურაზ მეფესთან მიდოდა საქართველოდან თათართა გასადევნად. მამა ხედავდა, რა თავდავიწყებით ემზადებოდა ალექსანდრე პირველი ლაშქრობისათვის.

ამ ფიქრში რომ იყო სესირყვა, ეზოში ვიღაც უცხო კაცი შემოვიდა. ლიპარტიანმა უცნობი მხოლოდ მაშინ დაინახა, მოკენწლავეებს რომ მიუახლოვდა. მოსულს მდიდრული თურქული სამოსი ეცვა, წელზე ხმალი ერტყა. „ვინ უნდა იყოს?! ვაჭარს არა ჰგავს! — მისი სიარული ენიშნა, — ღმერთო ჩემო! მოხვეწება თუა!“

უცნობი შორიდანვე მოიხიბლა ალექსანდრეს ბრძოლით, სასახლის კიბისკენ მიმავალი ბილიკიდან გადაუხვია და, ის იყო, მოკენწლავეთ მიუახლოვდა, რომ ამ დროს ყარაჩმა მოულოდნელი ილეთით საკმაოდ დაქანცულ ალექსანდრეს ხმალი გააგდებინა. გაცეცხლებული ჯაბუკი ხმლის ასაღებად დაიხარა, მაგრამ უცნობმა დაასწრო.

— ამ ილეთს ასე უნდა უბასუხო, შეილო! — დინჯად უთხრა ვაოგნებულ ალექსანდრეს. „გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ბატონკაცს“ — გაივლო გულში და ყარაჩს მიუბრუნდა: — აბა, დამიხედო!

აწკრიალდა ფოლადი, ორი-სამი ილეთი და ყარაჩის ხმალი ყრულ დაეცა მდელოზე. უცნობმა აიღო მახვილი, თავაზიანად გაუწოდა პატრონს და ალექსანდრესკენ მიტრიალდა. მის წინ სესირყვა იდგა გაფითრებული, მდელვარებისაგან სულშეგუბებული. უცნობი კაჭად დადგა და თავი დაუქრა.

— ჩონთი! — აღმოხდა სესირყვას.



ჩონთიმ მოკლულ უამბო ლიპარტიანს, როგორ აიყვანეს დაღუპულმა ვაჭარმა ნილ თურქთა ზომილზე, როგორ გაუდგეს ჭრილობებისგან დასუსტებული, სულთმობრძავი სტამბოლის ბაზარზე. ვაჭრის გამოცდილმა თვალმა ადვილად შეატყო, რომ ტყვე მეომარი იყო და არა უბრალო ყმა. იცოდა ასეთი ტყვის ფასი. მაშინვე დოსტაქრები დაახვია თავს, მომვლულები მიუჩინა. რჩეულ კერძს აჭმევდა, შარბათს ასმევდა და ერთ თვეში არა მარტო ჭრილობებისგან განკურნა, ფერ-ხორციით გაავსო. გასაყვიდად ველარ გაიმეტა, ადგა და სხვა ძვირფას საჩუქრებთან ერთად სულთანს მიჰგვარა ძღვნად.

სულთანმა თავის უკეთეს სარდალს გადასცა. საღ არ იბრძოდა, ვისთვის არ ღვრიდა სისხლს. ბევრი გამარჯვება და დამარცხება იგემა. იხვეჭდა სახელს, დიდებას, ქონებას და ეს მხოლოდ სევდას ჰგვრიდა. დღედაღამ სამშობლოში გაქცევაზე ფიქრობდა, ეძებდა შესაფერ დროს. ეს ეამი მხოლოდ ოცი წლის შემდეგ დაუდგა. ირან-თურქეთის ომიდან გაიპარა, გადაჭრა სომხეთი, გადმოვიდა კახეთში, ქართლში თეიმურაზ მეფეს ფრიად საქირო ცნობები გადასცა ირან-ოსმალეთის და მათი ჯარის შესახებ და ოდიშს მიაშურა.

ყველაფერ ამას უნაღისოდ ჰყვებოდა, თითქოს მისი ამდენი ხნის გაწამებულ ცხოვრებას არ ენებო. მისი გული და გონება სინთუს დასტრიალებდა. სესირყვა თვითონ წაჰყვა საფლავზე დიდხანს იდგნენ უდროოდ გაჭაღარაგებულნი სამიარის თავთან. ტყე გალურსული იყო. ბარდებში შაშვეები ვახჭახებდნენ. გზაზე ურემი მიკრიალებდა. ჩონთი ამ გზით მოვიდა დილით, ბებერ თხმელას ჩაუფარა, მაგრამ აბა რას იფიქრებდა, რომ ეს სინთუს საფლავი იყო.

„ვერ მომკლა თურქის ხმალი, სინთუ!“...

ერთი კვირის შემდეგ ჩონთი ალექსანდრეს გაჰყვა კახეთში.

რავით გაჩაჩიდაძე

მ კ ი ზ ა რ ი

აქა-იქ კედლის ნაბრალებში რომ ირხევიან,
 განა ზაფხულის, წარმავლობის ბელახეზია...
 მე ამ ტაძარში ვგრძნობ გარდასულ ეამთა სიცივეს...
 აქ ვით ცისკარი შორეული ობლად ციმციმებს,
 ხატზე აღმასი, ობიზარის ხელით ჩასმული, —
 ვინძლო ანათოს ნაწამები ჩვენი წარსული.

ეს ჯვარცმის ხატი, ჩამოსხმული წმინდა ოქროდა
 მხარს მიყრდნობილი კარის მოძღვარს აქ შემოქონც
 სად არ ყოფილა... წინ უძღოდა ომში ქართველთა
 ამა ხატის წინ ბასიანის დილა გათენდა
 და ამ აღმასში ირწყოდა, როგორც აკვანში, —
 კვამლი ბრძოლისა, მუხარადნი, ხმალთა კაშკაში,
 ფლოქვი ცხენისა, კაცის მკერდზე დანაბიჯარი
 და ქართველ დედის სევდიანი, სათნო პირჯვარი.

თუმცა ის თითნი, ბროლის თითნი იქცნენ მიწადა,
 დღემდე იმ დედის სიყვარულმა აქ დაგვიცადა...
 აჰა, მითვლემილ მაცხოვარის ფერხთან შუქია!
 განა ეს შუქი ობიზარის ხელს შეუქმნია...
 არა, კვალთა თვით თამარის ბაგის ამბორთა...
 აგი აქ ჩვენთვის გულამოსკენით ლოცვას ამბობდა
 და ეს აღმასიც, როგორც ნამში რიერაეი ღვივის,
 ახლაც ინახავს მსასოებელ თამარის ღმილს.

მაგრამ მე ხატი, ძველი ხატი დარდაც გამიმხელს...
 არცა ეს კმუნევა გაუქვდავს ობიზარის ხელს...
 თურმე როს თამარ ცას და მიწას ვალს უსწორებდა
 და „თვალთა მისთა ტბაებრ მზისა შემაცხრომელთა“,
 ძლივსდა აზიდულ წამწამთაგან ამ ხატს მიმართეს,
 ჩვენზე ვედრებით შეაფრქვედნენ მწუხარს სინათლეს..
 იწვოდა ხატიც მისი სულის უმანკობით,
 კვლებოდა თამარ და გმინავდნენ სამრეკლოები.

ძველ სიმღერას როცა ვუსმენ



ძველ სიმღერას როცა ვუსმენ, ძველ სიმღერას,
შემაჯრყოლებს, თითქო ვიყო სიზმარში...
თითქო ქარი წარსულიდან დაუბერავს
და უკუნეთს გამოარღვევს რიყრაყი.
იმ წარსულის წმინდა შუქით ვილამპრები,
ჟღერს პაერი ტაშ-ფანდურის დაკვრითა...
წინაბრები, ქართლის დიდი წინაბრები,
ჩანან, როგორც დაბინდული სარკელიდან...
— მანდ ვინ ხართო? — ჩვენსკენ გამოსცქერია
და სამშობლოს სიყვარულზე მღერია.

ძველ სიმღერას როცა ვუსმენ, ძველ სიმღერას,
მეც ავეყვები მოძახილის ყივილზე...
ჩამტვრეული ხმლის პირივით წყალი ელავს,
კოშკის ბანზე გადმოდგება პირიმზე...
ფერმიხდილი ცას გაჰყურებს მწველ ოცნებით,
ხან ლოცვის ხმა, ხან ზვირთების ჩქამია...
სამცხის გზაზე ხმალ-თოროსან-ცხენოსნები,
საბრძოლველად მტრისკენ ნიიჩქარიან...
ცის თალამდე შუბნი აუღვრიათ
და სამშობლოს გადარჩენა მღერია.

ძველ სიმღერას როცა ვუსმენ, ძველ სიმღერას,
ო, ეს გმინვა უხმოდ როგორ ვატარო?!
ბანი მოთქვიამს, მოძახილი წუხს და ღელავს, —
რას ერჩიო ე მაგ ბიქსა, თათარო?!
ჰკლავენ კაცსა, იქ, სიმღერის მიღმა ჰკლავენ, —
არც იმედი, არც ქომაგი აღარსად,
სად ჩაგლისა იგი შავმა მესაფლავემ?
ფხვს ვის ვადგამთ, მის სახეს თუ ბალახსა?
ოხრავს მტკვარი, მთვარეც სისხლისფერია
და ვარსკვლავნი სულთათანას მღერია.

მაგრამ როცა ამთავრებენ ძველ სიმღერას
და წარსული უბრუნდება უკუნეთს,
მე დღემილშიც ვგრძნობ წინაპართ გულისძგერას,
ძველი ჰანგიც კიდევ დიდხანს გუგუნებს...
შორს ნელი-ნელ ინავლება გარიყრაყი
და მე ვხედავ გზნების იღუმალებით: —
გარეჯაში, ხმლით გადათხრილ გარეჯაში,
ჰყრია მწირთა მოკვეთილი თავები...
პირს აღებენ... და თუმც ყოარნებს ელიან,
კვლავ სამშობლოს საგალობელს მღერია.



როგორც თეთრი ცხვრის ფარა
 თოვლი შემოიპარა
 და ყვავილმა
 ველზე სული დალია.
 სად არის და სად არა,
 ის ყვავილი პატარა
 ცივ თოვლის ქვეშ
 დახუჭული თვალა...

თოვს... ავანთე სანთელს
 და ლურჯ ველთა ნათელი
 ოთახს აესებს,
 ხმაც ფურტკრისა მოისმა...
 კვლავ პატარა ყვავილი,
 შექად გამოყვანილი
 თრთის, ირხვევა
 ბინდში საღამოსა.

პაი მიწა... ყვავილების მიწა!

მის ძახილზე თვალწინ ტყეა ლურჯი
 და ცის კიდე სპილენძისფრად იწვის...
 ცხელ ასფალტზე რომ ჩამოდებს
 ხურჩინს,
 დგება სუნი სოკოსი და წიწვის.
 ჩვენს ეზოში დღესაც შემოირაწა: —
 პაი მიწა... ყვავილების მიწა!

რომ არჩინოს ქვეყნის სიღამაზე...
 ამ მიწაში ნამიც ცრემლად ვიცან...
 პაი მიწა... ყვავილების მიწა!

მის ძახილზე ცისფერ მთაბარს
 ვხედავ,
 თრთის ბალახში სიო მოალერსე...
 შევდღონდები, — სად მოთხარა
 ნეტავ,
 ტაბახმელას თუ კრწანისის ველზე?
 ო, რა მძიმე დარდი გააღვიძა...
 პაი მიწა... ყვავილების მიწა!

და ეს მიწა თუ არ შეჰყვავა სიტყვას,
 თუ არ ბოლავს შიგ სამშობლოს
 ნისლი,

სიყვარული მასში სულს ვერ
 ითქვამს,
 არც ითქმება ჰანგი მარადისი...
 მას ქართველმა თვით სიცოცხლე
 მისცა...
 პაი მიწა... ყვავილების მიწა!

არა, ძმებო, მე არ ვამბობ არაკს,
 სად არ დაწყდნენ გმირნი ბრძოლის
 გზაზე...
 გლუხს ხურჩინით მათი ფერფლი
 დააქვს,

მე კი ძმებო, სხვა სიმდიდრე რა
 მაქვს,
 მეტი რა მაქვს წრფელი გულის
 გარდა!
 ყველგან თქვენი სიყვარული
 დამაქვს,
 ეს ცა, მიწა ისე შემოყვარდა...
 და ნაღვლიან ჩემ სიმღერად იქცა: —
 პაი მიწა... ყვავილების მიწა!



ბაი აბაშიძე

შოთას სურათი

ვინ გეძებდა... ვისმა ხელმა
გადასწია ფარდა?
ყველაფერი ცელა ცელმა
უკვდავების გარდა.
ვინ გეძებდა... მოხუცს ვისი
თვალი მოგამტერდა?
აი, როგორ შეგინახა
ჭვარის მონასტერმა.
ვის სიყვარულს დადენიხარ
სისხლად, ცრემლად, ოფლად...
როგორ მოუხუცებინარ,
უსამშობლოდ ყოფნას.
შენი ნახვის დიდი განცდა
ვისაც ერგო ზედად,
მიკვირს, სამად სამმა კაცმა
როგორ ზიდა ნეტავ?
გნახეს, ცრემლი გადმოჰყარეს,
ხატად გაგიხადეს,
მონასტრიდან ამოგხატეს —
გულში ჩაგიხატეს.
ქართველები იცან ხმაზე?
მუხლი მოგიყარეს,
საქართველოს მიწა-წყალზე
ცოცხლად მოგიყვანეს.
დაქანცული, დატანჯული.
ახლა ნუღარ შფოთავ, —
საიდან სად დაკარგული
სად დაბრუნდი, შოთავ!
რალად უნდა საფლავს ძებნა,
შენ სიკვდილი დათმე, —
საქართველო გაღვას ძეგლად.
თუ მარხიხარ სადმე.

თანხიზ მოგონადი ნ ი ა ლ ვ ა რ ი *

თავი მეოთხე

რა ალერსიანი და რა თბილი იყო რუსიკოს ბარათი!

ქალაქს ცრემლი ემჩნეოდა. სანდრო ვეღარ დაეცა ამ პატარა ოთახში. უნდოდა აეწყვიტა არტახები, აეშვა თავი. თითქოს საამისო ძალაც შესწევდა. რამდენჯერმე სცადა კიდევაც წამოწევა, მაგრამ კრილოვების სიმწვავემ არ გაუშვა, ტუჩზე იკბინა და თავი ბალიშზე მისდო.

კუჭმას წასვლა საოცრად დაეტყო პალატას. ახლა აქ ყველა მწოლიარე დაჭრილი იყო და ყველა დუმდა. კუჭმას საწოლზე ახლადმოყვანილი, დედა-კაცივით კვნესოდა და სანდროს გულს უწვრილებდა.

ერთ დილას საწოლი ცარიელი დაინახა სანდრომ.

— სად არის ეს ჩვენი მეზობელი? — სანიტარმა ქალმა პირვეარი გადაიწერა და თქვა:

— ეის სასუფეველი დაუმკვიდრე მას, ღმერთო!

თეთრეული მოხვეტა და ფლოსტების ფრატუნით გავიდა.

სანდრომ მეგრულზე მოისვა ხელი და საწოლს თვალი მოაჩიდა. სევდა რომ განეფანტა, ბალიშთან დაყრილი ბარათები აიღო. ვინ იცის მეგრამდენედ კითხულობდა დედის, ძმისა და რუსიკოს წერილებს. მხოლოდ ძმის წერილებს არ ემჩნეოდა ცრემლი.

რუსიკომ ქართული გაზეთები გამოუგზავნა, სადაც სანდროზე და იმ დაღუპულ ბიჭებზე ეწერა. სანდრომ წა-

იკითხა და ცოტა გაზვიადებულად ეჩვენა თავისი გმირობის ამბავი, ცოტა რამ მოგონილიც იყო. სანდრომ შეასრულა საბრძოლო დავალება, ბოლომდე ის შერჩა მალღობს, დანარჩენებმა სული ვერ აიტანეს კორტოხზე. ასეთია ბედი ომში: ერთნი უსახელოდ იღუპებიან, მეორენი სახელითა და დიდებით იმოსებიან... მაგრამ სანდროს ყველაფერს ერჩივნა ის ბიჭები ცოცხალი დარჩენილიყვნენ.

სანდრომ გაზეთები დაკეცა და ღრმად ამოიხზრა. კვლავ სევდამ სძლია. დერეფნიდან ყვირილი მოისმა.

— დაკლეს? რა აყვირებს, მაგ შობელქადაღს! — თქვა ერთმა დაჭრილმა.

— გამიშვიო, გამიშვიო! რა მინდა პოსპიტალში! — ღრიალებდა ვიღაც.

კარი გაიღო და სანიტრებმა საკაცით შემოიყვანეს თმაგაჩივილი ჭაბუკი, რომელსაც ბევრი ღრიალისაგან ხმა ჩახლენოდა.

დაჭრილები გაკვირვებით მიაჩერდნენ.

სახეშეშლილი საკაცეზე არ ჩერდებოდა და ორი სანიტარი კაცი ძლივს აკაევებდა. ექიმი სანიტრებს მოჰყვებოდა.

— გაჩუმდი! — უყვირა მან დაჭრილს, — ბოლოსდაბოლოს, გიბრძანებ გაჩუმდე!

დაჭრილი დადუმდა და ამღვრეული თვალები მიაშტერა ექიმს.

— ყველა მბრძანებელია... მე კი სისხლი ყელში მაწევა... ეს სად მომიყვანეთ? — ახლა კი ხმადაბლა თქვა დაჭრილმა.

— აქ სხვებიც არიან. გაჩუმდი, ნუ ღრიალებ! რა გაღრიალებს? ვითომ

ვაქაცობაზე დებ თავს? აქ შენზე ნაკლები ბიჭები არ წევან! — შეუტია ექიმი და პირველად სანდროზე აჩვენა.

დაჭრილმა თვალი შეავლო ვაშაკიძის საწოლზე მიმაგრებულ ფირფიცარს, გაიღმა და მერე, როცა სანდროზე ლოგინში ჩააწინეს, სანდროსაცენ გადმოიხედა.

— ვშურს შენი, სწორე გითხრა, — გამშრალ ენას ძლივლა ჰკიდებდა სიტყვას, — ვშურს, გაიგე, ვშურს, — და კბილები გააღრჭიალა, — რამდენს არ უცდილობდი, გმირი გავმზადრეყავი, არაფერი გამომივიდა, არაფერი... ეშმაკმა დალახეროს!.. ახლა საიდან სად გადმომისროლეს... მკერდს ტყვიას ვუშევრდი, სიკვდილი ფეხებზე შეკიდა. მაინც არაფერი გამომივიდა, ერთი მედალიც არ მომცეს...

ექიმი გაბრაზებული იყო დაჭრილზე და კიდევ ერთხელ დატუქსა, ლაპარაკი აუკრძალა, მაგრამ დაჭრილს ყველა და ყველაფერი ფეხებზე ეკიდა, ის მაინც თავისას განაგრძობდა. სანდრო გაკვირვებული მისჩერებოდა.

ბოლოს დაშოშმინდა დაჭრილი. მის საწოლზე ფირფიცარი მიამაგრეს: «უმიკროსი სერჟანტი ვლადიმერ სერგის ძე ბობროვი, დაბადებული 1923 წელს».

ძალზე მოუსვენარი ვინმე იყო. იმ დღესვე სულ მთლიანად დაფქვა, სად დაიბადა, სად გაიზარდა, ვინ იყვნენ მისი მშობლები... ყვებოდა და ხანდახან, როცა ექთანს პალატიდან გავიდოდა, უწმამურ სიტყვებსაც ხმარობდა.

სანდრო დუმდა, სხვები ხარხარებდნენ. ხარხარებდნენ იმ უწმამური სიტყვების გამო, რომლებსაც განსაკუთრებული მახვილით გამოსთქვამდა ვლადიმერ ბობროვი.

ჯარში გაწვევამდე თავზე ხელაღებულ იყმაწვილი ყოფილა, ხელიგნობისათვის მჯდარა კიდევაც. შემდეგ, ომი რომ დაიწყო, გმირობაზე სდებდა თავს. იგინებოდა, რომ ერთი მედალიც ვერ მიიღო.

— მითხარი, როგორ მოახერხე — გამოელაპარაკა იგი სანდროს.

— შენსავეთ არ მიოცნებია, მთელი სანდრომ, — არც ვფიქრობდი. აქ მოხერხება რა შეაშია!

— თავმდაბლობა აღამაზებსო ადამიანს, — გამოგონია... მაგრამ თავი დავინებოთ... რაღაც, არ გეტყობა, რომ დიდი ვაქაცო იყო.

— დღევანდელ ომში მოხერხება და სამხედრო ცოდნა ვაქაცობაზე მეტია... — ფილოსოფოსობა დაიწყო ერთმა დაჭრილმა.

ვლადიმერ ბობროვმა დამკინავად გადახედა მას.

— ზღაპრებს ნუ ყვები... ომი ჩხუბია, ჩხუბში კი მუშტი-კრივია საჭირო... ეი, გმირობაზე სად ისახლე თავი?

— რამდენი ლაპარაკი გყვარებია, — შენიშნა სანდრომ, — მოვა დრო და ვიამბობ. ახლა მოისვენე.

— თავს იფასებ? — ვლადიმერ ბობროვი საწოლში შეინძრა, ჭრილობა აეწვა და ყიამყარლად შეიგინა. მერე, ერთ ხანს, ხმა არ ამოულა. არც კენესოდა, ტკივილებს მართლა ვაქაცურად იტანდა, ლოგინში წოლას ვერ ურიგდებოდა.

მთელი ღამე არ უძინია და შფოთავდა. ახლა კი თავს იკაეებდა, რომ სხვებისათვის ძილი არ დაეფრთხო, ექთანს ეჩურჩულებოდა.

ექთანს ახალგაზრდა ქალი იყო და ვლადიმერ ბობროვი სიყვარულში გამოუტყდა, რისთვისაც ქალის წყრომა დიმიხასურა, მაგრამ მაინც არ მოეშვა. ეტყობოდა ქალების დიდ მუსუსი იყო.

«ოჰ, ერთი მაგრად მიმაბერტყინა!» ჯერ კიდევ ძილის წინ გაიფიქრა სანდრომ.

საწოლში უზარმაზარი, გმირობაზე მეოცნებე ვაქაცო იწვა. მუშტი-კრივში სანდრო მასთან ვერაფერს გახდებოდა, მაგრამ მაინც უნდოდა მისი მოთოყვა.

დილა გათენდა. ვლადიმერ ბობროვს ისევ მოეჭავა ენა.

დილით, ჩვეულებრივ, პალატებში დაიარეს ჰოსპიტლის უფროსმა, პრო-

ეესორმა და სხვა ექიმებმა. მეშვიდე პალატის ექიმმა პროფესორსა და პოსპიტლის უფროსს ვლადიმერ ბობროვზე მოახსენა.

— ყმაწვილო, ჩვენთან ვგ ნომრები არ გავა — შუბლი შეკრა პოსპიტლის უფროსმა, — კეთილი ინებე და აქაც დაიკავი სამხედრო დისციპლინა.

ბობროვმა ბოდიში მოიხადა, მაგრამ პოსპიტლის თავკაცები პალატიდან გავიდნენ თუ არა, მაშინვე სამსართულიანი მიაყოლა.

— ჩემს გარდა ამ ქვეყანაზე ყველა უფროსია? — ჩაიდუღლუნა და ექთანს უთხრა, რადიო ჩართეთ.

— ეგებ გაჩუმდე, — თქვა ექთანმა და მაშინვე წამოდგა და რადიო ჩართო. ვლადიმერ ბობროვმა ერთ ხანს უსმინა და მერე გაბრაზებით დაიძანა:

— არ მიყვარს ასეთი მუსიკა, მინაზებული. დედაკაცური... ჭამოთიშე! — თქვა და როცა ექთანმა კვლავ შეასრულა მისი ბრძანება, ანეგდოტების მოყოლაზე გადავიდა.

— გაჩუმდი, თორემ ახლაც მოვახსენებ პოსპიტლის უფროსს! — შეუწყრა ექთანი, თოთხში ველარ გაჩერებულა აღამიანი... რა ხარ ასეთი.

— ჯერ არ ვაგიგონია? აი, ხედავ, ჩემს მეზობლებს სიამოვნებთ, იცინიან. მე კი ისე შებუზღუნები, თითქოს ჩემი ცოლი იყო.

— ღმერთმა დამიფაროს! იმ დღესვე მოვიკლავდი თავს! — ექთანი კარისკენ გაემართა.

— საჩივრულად მიდიხარ? — მიადევნა ვლადიმერმა. ქალმა ყურადღება არ მიაქცია და პალატის კარი გაიხურა.

— სირცხვილია, ამხანაგო სერჟანტო, — ახლა კი ველარ მოითმინა სანდრომ, — ჩვენთან რაც გინდა თქვი, ქალს რატომ არცხვენ?

— მინახავს მაგნიური ქალები... შენ რა, შენი და ხომ არ არის?

— ქალია! — კბილებშორის გამოსცრა სანდრომ და ბოლმა ყელში მოეჭინა.

— თვალები კი არ დამთხრია, მშობილო, ვხედავ ვინც არის... — კბილები გამოაჩინა ბობროვმა და რატომღაც ღრმად ამოიოხრა. მერე გაჩუმდა.

— გმირო, — დაიწყო ცოტა ხნის შემდეგ ხმადაბლა, — ვატყობ. შენ რაღაც, არ გესიამოვნა ჩემი აქ ყოფნა.

— მეტისმეტს ყოყლოჩინობ, — მოუფრთხილად შენიშნა სანდრომ, — ცოტას რომ დაუკლებდე, კარგი იქნება.

— როცა ფეხზე დავდგებით, მაშინ გამოგვდი, რა გმირიც ხარ. მე ამნაირი სიტყვა არავისთვის არ მიპატიებია.

— რას იზამ?

— დაგვეიდები. ენახოთ რა ძალა გაქვს, თუგინდ კრივიცი გამოგვიწვევ.

— მე არა ვქიდაობ და არც კრივი მიცდია არასოდეს.

— გავგიჟდები, ვინ მოგცა შენ გმირობა! ღონეც არა გაქვს! — გაღიხარხარა ვლადიმერ ბობროვმა, მაგრამ მალე შეწყვიტა სიცილი, — ფაქტი — ფაქტია, — განაგრძო დინჯად, — რახან მთავრობამ დაგაჯილდოვა, ღირსი ყოფილხარ. დღეს შენ გმირი ხარ, მე კი... ერთი მედალიც ვერ ჩამოვიკიდებ გულზე. პოსპიტალიდან მალე გავეწირები და ნახავთ ვინ არის ვლადიმერ ბობროვი.

მეორე და მესამე დღეს სიმღერებიც გამოუტრია ვლადიმერმა თავის გაუთავებელ ყბედობაში. მღეროდა ფრონტულ სიმღერებს. ხმა ჩაბლუჩილი და არასასიამოვნო ჰქონდა. ბაიანს ნატრობდა, მაგრამ მისთვის ბაიანი არავის მოჰქონდა, რამდენჯერმე ექთანს დაეჯღანა, მომიტანეთ.

ვერა და ვერ მოთოკეს.

ერთხელ ლოგინიდან გადმოვარდა, ჭრილობა გაეხსნა, სისხლი ღვარად წამოსცდა. მაგრამ, ვითომც არაფერი, თავად წამოდგა და გაფთხრებული ლოგინზე დაეცა. ლოგინი სისხლით მოისვარა. ამ დროს შემოვარდა ექთანი და ბობროვს ეცა.

— ეს რა დაგმართნია!.. ამას რას სჩადიო?!

სანდროს თვალი მოეხუჭა. მის გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. ფეხზე დგომა რომ შესძლებოდა ამ ურჩ სერჟენტს როგორმე მოუვლიდა, მაგრამ ახლა უძლური იყო. ვინ იცის, სანდრომ რამდენი სისხლი ნახა დაღვრილი იმ უსახელო მადლობზე, მაგრამ მაშინ აღზნებულსა და აფეთქებულს ისე არ განუცდია, როგორც ახლა. სისხლის დანახვამ ტანში გასცრა. შინამდე არ გაუხელია თვალი, სანამ ვლადიმერ ბობროვი საკაცით არ გაიყვანეს პალატიდან.

თავი მესამე

ახალწლის წინა ღამეს სანდრომ თავისიანებისაგან მოსალოცი დეპეშა მიიღო. დეპეშას მოჰყვა რამდენიმე ბარათი მეგობრებისაგან და მასწავლებლებისაგან. სანდრო წერდა პასუხს. ახლა მის მარჯვენას შეეძლო ერთმანეთზე მიყოლებით რამდენიმე ბარათი დაეწერა. თბილ და საალერსო სიტყვებს დედისთვის, ძმისთვის და რუსიკოსათვის იზოგავდა. ცდილობდა მათი გული რითიმე გაეხარებინა.

მოსკოვში პირველად მოხვედრილ სანდროს მოსკოვი ჯერ არ ენახა. მის გარშემო ტრიალებდნენ მოსკოველები, ხედავდა მისი ცის პატარა ნაჭერს, რაც ფანჯარაში ეტეოდა, ეს პატარა ნაჭერი ღამლამობით სალუტის თაიგულით ირთებოდა.

სანდრო გრძნობდა დიდი ქალაქის მაჯისცემას. იგი უკვე იცნობდა ათობით მოსკოველს. პოსპიტალში მოდიოდნენ მნახველები. მოდიოდნენ შეფები და მოქმედნათ უამრავი საჩუქარი.

სანდროსთვის განსაკუთრებით ამაღლებელი და სამახსოვრო იყო ის დღე, როცა საგანგებოდ მასთან მოვიდა მოსკოველი პიონერების მოზრდილი ჯგუფი. პიონერებმა საჩუქრები გადასცეს გმირს და კეთილი სურვილები დაუტოვეს, ჟრიაშულითა და სიცოცხლით აავსეს გული და წავიდნენ.

— რა ბედნიერი კაცი ხარ! — შენატროდნენ მეშვიდე პალატაში მყოფი

დაჭრილები, — ასეთმა ახალგაზრდამ უკვე საქვეყნო სიყვარული დაიმსახურა.

— ჩვენი მოუსვენარი „გმირი“ სადღა წაიყვანეს, რატომ არ კითხულობთ? — მოიგონა ერთმა დაჭრილმა ბობროვი.

— კარგი ტიპი იყო, — შენიშნა მეორემ.

ექთანს კითხეს.

— ეშმაკმა წაიღოს მისი თავი და ტანი, — ჩაბუტყუნა ექთანმა, — ცალკე დააწვინეს. იქაც არ ისვენებს და სულ ყვირის.

ბობროვის ადგილზე ერთი წყნარი კაცი მოიყვანეს. მძიმედ იყო დაჭრილი. არც ოხრავდა, არც კენესოდა, სიტყვასაც არ სძრავდა. სახე საოცრად გაჰფითრებოდა და თვალები ღრმად ჩასცვენოდა.

მეშვიდე პალატაში მყუდროება დამკარდა.

ეკატერინე ეორონინა მალ-მალე შემოდიოდა სანდროსთან. ახლა მეზობელ პალატაში ადგა იგი თავს მძიმე დაჭრილს. სანდროს უყურადღებოდ არ სტოვებდა, წიგნები და ეურნალ-გაზეთები მოჰქონდა, რომ დაჭრილს გული ამაზე გადაეყოლებინა.

მას შემდეგ, რაც მუცელზე და მარჯვენა ფეხზე ჭრილობები შეუზორცდა, სანდროს წამოჰდომა შეეძლო და პატარა ჩანახატებს აკეთებდა. ხატავდა საწოლებს, დაჭრილებს, ჭერზე ჩამოკიდებულ ძაბრისმაგვარ ქაღალს, ფანჯარას და კარს...

ახლა ყველამ გაიგო, რომ სამხატვრო აკადემიაში შესვლაზე ოცნებობდა.

ერთგეგოვანი და მოსაწყენი დღეები სწრაფად გარბოდნენ. რუსეთის ზამთრის დღე სულ რამდენიმე საათს იყო.

იანვრის ბოლოს სანდროს ლოგინში წამოჰდომის უფლება მისცეს და ახლა იგი მნახველებს წამოჰდარა ხედებოდა ხოლმე. ტანზე ეცვა მაუდის ლურჯი, პოსპიტალური ხალათი ნაცრისფერი საყულოთი და სამაჭურებით. მეკრძზე ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი

ვი ჰქონდა გაკეთებული. ერთი სული ჰქონდა ფეხზე როდის დადგებოდა.

ერთ დღეს პალატის კარში უმცროსი ოფიცერი გამოჩნდა. როგორც მნახველს, ხალათი ცალ მხარზე მოეგდო. ოფიცერს თან ჰოსპიტლის უფროსი ახლდა.

— აი, თქვენი შვილი! — თქვა მან და სანდროს გაუღიმა.

სანდროს ლოგინში წამომჯდარიყოს და რალაცას ხატავდა. ამ სიტყვების გაგონებაზე თავი აიღო. უმცროსი ოფიცერი მისკენ გამოექანა.

— შვილო, სანდრო! ჩემო სახელოვანო ბიჭო!

სანდროსთვის ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ უცებ ვერ მოეგო გონს. ნუ-თუ ეს ნამდვილად მამაა?

— მამა! — დაიძახა მან და ახლა კი ვეღარ შეიკავა თავი, თვალში ცრემლი მოერია და გიგოს მაგრად ჩაეკრა გულში.

მერე ერთმანეთს შეხედეს მამა-შვილმა. ზრვივს თვალში ცრემლი იდგა.

— შენი ჭირიმე, ბიჭო! გმირი ხარ, ჰა? ერთი ამას უყურე! — მამამ მკერდზე მოუაღერსა, — რას ვიფიქრებდი, შენ თუ ასეთი ყოჩაღი იქნებოდი?! — ერთხელ კიდევ მოეხვია და აკოცა.

დაჭრილებს თავი წამოეყოთ და სულ-განაბული შეჰყურებდნენ მამასა და შვილს. ჰოსპიტლის უფროსი ერთ ხანს კიდევ იდგა კართან, მერე გაშორდა.

— მამა, საიდან, როგორ?... აქ როგორ მომაგენი?

გიგოს თვალები ანთებოდა.

— მოგაგენი! შენი მოგნება ადვილია, შვილო... გმირობა რომ მიიღე, გავიგე-ლესელიძეს მივწერე. ყველაფერი შემატყობინა და აი, შენთან ვარ. ჭრილობები გაწუხებს? მძიმედ იყავი დაჭრილი, ჰა? ექიმები რას გეუბნებიან, როდის ადგები? ფეხს ვერ გამართავო?.. ეჰ, სული რომ შერჩება აღამიანს ამ ბრძოლებში, ისიც ბედნიერებაა. ლესელიძე მწერდა, მარტოდმარტო დარჩენილი მართლა ვეკაცურად იბრძო-

დაო, ჩემი თვალთ ვხედვდი ყველაფერსო... მე არ ვიცოდი თუ შენი შვილი იყოო...

— იერიშის წინ ბლინდაჟში ვხანე, მაგრამ ვერ შევბედე მეტყვა, — სანდრომ თავი ისე მორცხვად დახარა, თითქოს მამა-შვილთან ერთად გენერალი ლესელიძეც მჯდარიყოს.

— მე კი უკვე შინ მივდივარ. დედა-შენს ამბავს ჩაეუტან.

— გაგანთავისუფლეს?

— მეორე კატეგორიის ინვალიდი ვარ... ჰოსპიტალში ვიწექი... შენ რომ ცოცხალს გხედავ, ახლა რა მომკლავს!

— ძალიან მოტეხილხარ, მამა... მიამბე სად იყავ, რატომ არ ჩანდი.

დუხჭირი გზა გაეღო გიგოს. ორჯერ დაჭრილა. ორჯერ უსახელოდ დაცემულა და აღმდგარა მკვდრეთით, სული შეუნარჩუნებია, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი ბედშავობით მობერებულა. ახლა შვილის ამბავმა და მასთან შეხვედრამ მოაცოცხლა, გული გაუკეთა. შვილს თავისი თავგადასავალი უამბო და დროც მოვიდა მასთან განშორებისა.

— გული დამიამდა. როგორ გაეახარებ დედაშენს!

— მამა, აი, ეს სურათები... ჩემი ნახატები, ყველა წაიღე, მიეცი დედას და უთხარი... ნურაფერს დაუშალავ... კოჭლი ვიქნები, მაგრამ ფეხი მთელი მაქვს.

— შენ გენაცვალე, ჩემო სახელოვანო ბიჭო!

გიგომ ქალაღის ნაჭრები შეკრიბა, ჩანთაში ჩააწყო და წამოდგა. მხოლოდ ახლა მიიხედ-მოიხედა პალატაში, მხოლოდ ახლა გაუღიმა ორ დაჭრილს, რომელნიც თავწამოყოფილნი უყურებდნენ აღელვებულ გიგოს. მესამე დაჭრილი კვლავ მძიმედ იყო და მას თავისი უბედურება აწუხებდა.

— ყოჩაღად იყავ, ჩემო ბიჭო!.. საბჭოთა კავშირის გმირო... თავი სიზმარში მგონია, რომ ჩემი შვილი... — გიგო დაიხარა, შვილის თავი მკერდზე მიიკრა.

— რამდენი რამ მაქვს სალაპარაკო, მამა... ბევრი აკოცე დედას, ლევანს...

— კარგად იყავი, შვილო!

პალატის კართან კიდევ ერთხელ მოიხედა გიგომ, მერე შეტრიალდა და ამაყად გასწია დერეფანში.

— აი ის, გმირის მამა, — გაიგონა ექთანების ჩურჩული და ამ სიტყვებმა ის სულ სხვა ადამიანად აქცია.

პოსპიტალში ხშირად მოდიოდნენ მსახიობები, ადგილობრივი და საკავშირო პრესის კორესპონდენტები. მსახიობები მძიმე დაჭრილებთან არ ჩნდებოდნენ, მსუბუქად დაჭრულებს უტარებდნენ კონცერტებს. მწოლიარე და ცოტად თუ ბევრად მომჯობინებულ დაჭრილებთან უმთავრესად კორესპონდენტები ტრიალებდნენ.

ერთხელ სანდროს ქართული გაზეთის მოსკოველი კორესპონდენტი ეწვია. გმირს მიესალმა, ჯილდო მიულოცა და მაშინვე ბლოკნოტი ამოიღო პიჯაკის ჯიბიდან.

სანდრო უყურებდა და თავისი მოწაფეობის დროინდელი ერთი ამბავი აგონდებოდა: სკოლაში კორესპონდენტი მოვიდა, სანდროს დაუძახეს დირექტორის კაბინეტში... მერე სანდროზე პატარა წერილი იყო ახალგაზრდულ გაზეთში და პატარა ფოტოსურათიც. მაშინ სწავლას უშებდნენ.

სანდრო დაეინებით უყურებდა სტუმარს, ის სურათიც აგონდებოდა და...

— ვერ მიცანით? — ჰკითხა სანდრომ. კორესპონდენტმა გაკვირვებით შემოხედა.

— რატომ მეკითხებით? თქვენ ვინ არ გიცნობთ. აი, მე „კომუნისტის“ სპეციალური დავალებით მოვედი, რომ...

— „კომუნისტში“ უკვე დაბეჭდეს ჩემზე... მაგრამ ზოგიერთი რამ გავვიადებულობა. თქვენ რომ ერთხელ ჩემზე დაწერეთ, ის უკეთ იყო.

— თქვენ მე შეგზვედრივართ?

— დიახ. მაშინ თქვენ „ახალგაზრდა კომუნისტში“ მუშაობდით. ჩვენს სკოლაში მოხვედით და დირექტორის კაბინეტში შეგზვედით...

— აა, თქვენ ის ჰაბუკი ხართ? ბედ-

ნიერი თანადამთხვევია, — სახე გაბრწყინდა კორესპონდენტს, — მაშ ჩვენს ნარკვევს აქედან დაეიწყებთ, კომუნისტული ვარ, რომ გამახსენეთ.

— თუ გახსოვთ, მე თქვენთვის არ მოთქვამს მაშინ, რომ გმირობაზე ვოცნებობდი. ამაზე არასოდეს არ მოოცნებია და არც არავისთვის არ მოთქვამს... ხანდახან ისეთ რამეს მაწერენ, რომ... მე ვაღივლებული ვიყავი გამეკეთებინა ის, რაც გავაკეთე... აი, ეს არის ყველაფერი. ჩემი ოცნებაა, მალე გავიმარჯვოთ და სამხატვრო აკადემიაში შევიდე. ვთხოვთ ძალზე უბრალოდ დაწეროთ ჩემზე, იმ ბიჭებზე კი... რა ბიჭები დაწვენენ — სანდრომ შუბლზე მოისვა ხელი და გაჩუმდა.

კორესპონდენტი არაფერს წერდა, ჰაბუკს მისჩერებოდა და უცდიდა კიდევ რას იტყოდა.

— ჩემზე უკვე დაბეჭდეს „კომუნისტში“, სხვა გაზეთებშიც იყო... მათზე კი ცოტა დაიწერა... აი, მე სათითაოდ დავიხასიათებთ, რანაირები იყვნენ ისინი... გაინტერესებთ?

— რასაკვირველია, მაინტერესებს.

— ჩვენი ათმეთაური უზბეკი იყო, — სანდრომ ღრმად ამოისუნთქა და რატომღაც ფანჯრისკენ გაიხედა.

— რაიმე ხასიათი. მთელმა ქვეყანამ იცის, თქვენთან ერთად გმირის წოდება მიენიჭა.

— დიახ, ის მართლაც გმირი იყო... მე დაეინახე როგორ ვაჟაკურად შეხვდა სიკვდილს... ეხლაც თვალწინ მიდგას მისი სახე... — სანდრომ პალატაში შემოსულ ექთანს წყალი სთხოვა.

ექთანმა ჰიჰა შეუესო და მიაწერა.

სანდრომ მხოლოდ ერთი ყლუპი მოსვა.

— არ შემიძლია დამშვიდებით მოვიგონო ისინი. და, ალბათ, ასე იქნება მთელი ჩემი სიცოცხლე. საოცარსა და საზარელ სიზმარს გავდა ყველაფერი... ახლაც მიკვირს, როგორ გადავრჩი ცოცხალი. ბრძოლის წინ რომ მცოდნოდა, რომ იმ ბიჭებიდან არავინ გადარჩებო-

და ცოცხალი, ნამდვილად მეც შემეშინებოდა და დავიბნეოდი... რაც მოხდა, უკვე მოხდა და ისინი ველარ გაცოცხლებიან... — სანდრო შეჩერდა, წყალი კიდევ მოსვა და განაგრძო, — რაიმეჩან ხასიათვმა თბილისიდან წაგვიყვანა გაუწვრთნელი ბიჭები...

სანდრო მოუთხოვრებდა კორესპონდენტს თავისი უკანასკნელი წლის ამბავს. ასე დაწვრილებით ჯერ არავისთვის არ უამბნია. განსაკუთრებული სიყვარულითა და გულისტკივილით იგონებდა დაღუპულ მეგობრებს. აგონდებოდა ისიც, თუ როგორ განიცდიდა შოთა ომში წასვლას, როგორ გულდახურული იყო, თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ პირველივე ბრძოლაში ჩაქრებოდა. აგონდებოდა ოთარი, მისი ცოცხალი, მოუსვენარი თვალები...

სანდრომ დაამთავრა და ღრმად ამოიხრა. კორესპონდენტი გამალებით წერდა და სანდროს აღარ უყურებდა. ბოლოს წამოიხედა და მისი ავტომატური კალმის ფხაქუნიც შეწყდა.

— მეტი აღარაფერი აღარ მახსოვს, — დაუმატა თავის ნაამბობს სანდრომ.

— ვეცდები ისე დავწერო, როგორც თქვენ მიამბეთ.

— გთხოვთ, ბიჭებზე უფრო მეტი დაწეროთ... გაზეთში დაბეჭდილი მათი ამბავი სამუდამოდ დარჩება.

— თქვენ მაგაზე ნუ დარდობთ. რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ გინახულებთ და ნარკვევსაც წაგიკითხავთ. უთქვენოდ არ გადავიქმ დასაბეჭდად. ახლა კი, კარგად ბრძანდებოდეთ. მთავრით... თქვენ ბევრი განიცადეთ, მთავრით; ნახვამდის.

სანდრომ ხელი ჩამოართვა კორესპონდენტს და კარისაკენ მიმავალ სტუმარს თვალი მდუმარედ გააყოლა.

თავი მეთხუთსი

სანდრო მეორედ სწავლობდა ფეხის ადგმას.

თერთმეტი თვისას თამამად გაუწვლია.

გადმოცემით იცოდა, რომ მამის სოფელში ყოფილან. ზაფხული იყო, საღამო ხანი. აივანზე მსხდარან პაპა, დედედა, დედა, მამა და რამდენიმე მეზობელი. სანდრო დედას იატაკზე ჩამოუსვია. არავის არ ჰქონდა იმედი, რომ იგი გაივლიდა ასე დიდ მანძილს... სამიოდე მეტრს, პაპა ფარანასკენ გაუწვევია და თვითონვე გაპხარებია ამ თავისი პირველი საოცარი მოგზაურობის გამო. აპყლოპინებულა და მის შემყურეთ გულიანად უცინიათ. მშობლების გულს კიდევ ერთი დიდი სიხარული მოჰყენია: მათმა სიყრმის შვილმა გაიარა!

და ახლა, როცა სანდრო საწოლებშიორის ფრთხილად მიდიოდა წოლით დაბუნულ ფეხებით, ფრთხილად ადგამდა კვირისთავამოცილილ მარჯვენას, — უნებურად წარმოიდგენდა ხოლმე თავის პირველ გავლას.

მარჯვენა ფეხის ტკივილებს გრძნობდა. დაჭრილები ამხნეებდნენ, მათაც ახარებდათ მოზრდილი ადამიანის ფეხის ადგმა.

და აი, ყველაფერი დაძლეულია. ექვმი დიდდილობით სამკურნალო ფიზკულტურას უტარებს. სანდრო ჯოხზე დაბჯენილი მიდის ფანჯრიდან კარამდე, კარიდან საწოლამდე. უკვე შეათვალღერა პოსპიტლის ეზო, გადახედა ქუჩის იქით გაშლილ ბაღს. თვალი გაავლო პოსპიტლის დიდ დერეფანს. სადაც ხანდახან გამოხანხალდებოდნენ ყავარჯნებზე დაბჯენილი დაჭრილები, სადაც ტრიალებდნენ თეთრხალათა ექიმები და ექთანები.

სანამ ლოგინზე იყო მიკრული, საოცრად გაიტანჯა, მაგრამ, როგორც კი ფეხი დაადგა იატაკს, თავისუფლება იგრძნო. თითქოს მეორედ დაიბადა. კოჭლობას დარდობდა, მაგრამ სული რომ ცოცხალი გამოჰყვია იმ ჯოჯოხეთურ ყოფიდან. ამით მაინც ბედნიერი იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ მსუბუქ დაჭრილებთან ერთად პოსპიტლის

ვესტიბულში მოსკოველი მსახიობების კონცერტს დაესწრო.

საოცრად გრძელი ზამთრის ბოლოს გაზაფხულის ქაველი ჭერ კიდევ არ იგრძნობოდა. სანდრომ იცის მარტის ბოლო რა ტემპილია თბილისში. რაღაც უცხო სურნელებით გაჟოჟივდებოდა ჰაერი, დათბება, ტყელები და ნუშები გაიღიმებენ, თეთრად შეიფიფქებიან, მწერი აბზუვდებოდა და ჩიტებს ერთი ამბავი შეუდგებოდა.

გაზაფხულის ქაველი ადამიანის იმედების ქაველიცაა.

თუმცა სანდრო ჰოსპიტლის ფანჯრიდან ჭერ კიდევ ვერ ხედავდა გაზაფხულის პირველი დღის სურათებს, მაგრამ მაინც გრძნობდა მის მოსვლას.

ერთხელ იგი ფანჯარასთან იჯდა და ჰოსპიტლის ჰიმნისაკენ იყურებოდა, რომ ვიღაცის შეძახილი მოესმა:

— გამარჯობა, გმირო!

პალატის კარისკენ მოიხედა და მაშინვე იცნო სერჟანტი ვლადიმერ ბობროვი.

— გამარჯობა, ამხანაგო სერჟანტო! უკვე ფეხზე ხართ?

— ფეხზე ვარ და ამ დღეებში კიდევაც წავალ ჰოსპიტლიდან.—თქვა ბობროვმა და პალატაში შევიდა, ჭერ სანდროს ჩამოართვა ხელი, მერე სხვა დაჭრილებსაც მიესალმა, ისევ სანდროს მიუბრუნდა, მკერდზე დახედა და ამოიოხრა.

— თუ ბიჭი ვარ!..

სანდრომ უნებურად გაიღიმა.

— არა გჯერა, რომ მეც...—თქვა ბობროვმა და წარბები შეკრა,—ორჯერ არ გამიმართლდა, მესამედ გამიმართლებს, იმედი მაქვს. ახლა შენ უნდა მიამბო, როგორ გახდი გმირი. ხომ გინდოდა რამე გამხდარიყავი გმირი?

— მე მინდოდა სამხატვრო აკადემია ის დამთავრება და ახლაც ეგ მინდა.

— შენ მაინც შენსას ამბობ. მახსოვს, განა დამეწიყებია, ეს რომ მითხარი. მე მგონი, შენ უკვე მიადწიე დიდების მწვერვალს. აი, ალბინისტი რომ მიად-

წევს მწვერვალს, იმას იქით სადღა წავა?

— სხვა მწვერვალები? *მწვერვალები*

— სხვა მწვერვალებში მწვერვალდება, მაგრამ შენ რომ მწვერვალზე დგხარ, მაგისათვის თავს დებენ, ყმაწვილო! მხატვრობა აქ როგორ მოვა!

— თუკი მინდა, რომ კარგი მხატვარი ვიყო?

— რა ვიცი შენვან როგორი მხატვარი გამოვა, ეს კი,—ბობროვმა ხელი დაადო სანდროს ჯილდოებს,—ეს სახეზეა!

— თქვენ რა, სხვაზე არაფერზე გიოცნებიათ ვარა გმირობისა?

— ჯარში წამოსვლამდე ზენკლად ვმუშაობდი. არაფერი გამომდიოდა. ყოველ კრებაზე მლანძღავდნენ. მაღეომიც დაიწყო. ახლა ერთი ასეთი ორდენი და მედალი და... ნახავენ რა ბიჭია ვლადიმერ ბობროვი... თვითონ ის ჩემი მაგინებლები ჩამოასხავენ ჩემს ბიუსტს, წაიღებენ და ჩემი სახლის ეზოში დაღვამენ. ჰმ, შენ კი ლაპარაკობ რაღაც სხვა მწვერვალებზე. აკადემიას დაამთავრებ და მღებავი იქნები, გმირი და მღებავი? ყველაფერს წყალში ჩაყრი, მე ასე ვფიქრობ. ახლა კი მიაბე, როგორ გახდი გმირი.

სანდრომ უთხრა ბობროვს საწოლზე ჩამომჯდარიყო. მერე ყველაფერი დაწვრიალებით უამბო, როგორც მოხდა. ვლადიმერ ბობროვს თავი დაეხარა და ისე უგდებდა ყურს. რომ გაჩუმდა, თავი ასწია და უთხრა:

— ლმერთს შენკენ გადმოუხედავს და ეგ არის!

ჰოსპიტალში კვირაში ერთხელ სამედციკინო კომისიას იწვევდნენ. დაჭრილთაგან ზოგ განკურნებულს შინ უშვებდნენ, ზოგს მომქმედ არმიაში.

ვლადიმერ ბობროვი ღელავდა.

კომისიის წევრები რიგრიგობით იძახებდნენ ჰოსპიტლის უფროსის კაბინეტის კართან მოგროვილ მეომრებს. ისე არავინ ვანიცდიდა, როგორც ბობროვი.

ბევრს შინისკენ მიმავალი საოცნებო გზა აღელვებდა.

დაჭრილთა შორის იყვნენ ბობროვი-ვით მოუსვენარნი, მაგრამ ვლადიმერ ი ყველას აქარბებდა:

— ახლა რომ რამე მოთხრან... მოთხრან, რომ მე ინვალიდი... პენსიაზე... რას ამბობთ... ამხელა კაცმა ჩემს ქალაქში ერთი მედალიც ვერ ჩამოვიტანო?!.

სანდროს ჯერ არ უწევდა სამედიცინო კომისია და ესეც რომ არ ყოფილიყო, მის საკითხს უკვე წყვეტდა მარჯვენა გაშეშებული ფეხი. ისიც სხვებთან ერთად უფროსის კაბინეტის კართან იდგა. ბობროვი მალიმალ მის გვერდით გაჩნდებოდა, მის მკერდს დააჩერებოდა, მერე თვალს თვალში გაუსწორებდა. კაბინეტიდან გამოსულ ყოველ მებრძოლს ის პირველი დახვდებოდა.

— ჰა, რა გითხრეს?

— ფრონტისკენ! ულაპარაკოდ!

— აი, ბედნიერი! — იტყოდა ბობროვი და მებრძოლს მეგობრულად მოუტყუაუნებდა მხარზე ხელს. თუ ის მებრძოლი კომისიაში გავლამდე ფრონტზე ოცნებობდა, ბობროვის აღფრთოვანებულ შეძახილზე ღიმილით უპასუხებდა, მაგრამ თუკი მას შინისკენ მიმავალი გზა ედგა, ვლადიმერს მოწყენილი თვალით გადახედავდა და ჩაიბურტყუნებდა:

— აი, გადაარეული!

ვლადიმერ ბობროვიც გამოიძახეს. სანდრომ თვალი მიადევნა კაბინეტის მუშაობიან კარამდე. ოთახის სიღრმიდან მოისმა ვლადიმერის ომახიანი პატაკი.

დაჭრილები ერთმანეთს გამოეღალაპარაკენ:

— თავზეხელაღებულია.

— ფეხებზე ჰკიდია ყველაფერი...

— შინ არავინ ელის და იმიტომ.

— ორჯერ გადარჩა, მესამედ შუბლს რომ გაუხვრეტენ, ზოგი მაშინ იკითხოს.

— ახლა თქვენ ისა თქვით, თუ დაიწუნეს...

— დაჭრილი იყო და აგვიკლო ყვი-

რილით, ახლა ყველაფერს დაანგრევს. ერთხანს ბაიბური არ ისმოდა კაბინეტიდან. ბოლოს გამოჩნდა ვლადიმერული ბობროვი.

— მორჩა, გადაწყვეტილია: ბობროვი ფრონტზე მიდის, — თქვა და რატომღაც ყველა იქ მდგომს ჩამოართვა ხელი, თითქოს ახლავე ბრძოლის ველზე მიეშურებოთ.

— ჰოსპიტლის ხალაითი მიდიხარ? — გაეხუმრა ვილაც.

— უკბილო ხუმრობას ნოეში! მალე გაიგებთ, ვინ არის ვლადიმერ ბობროვი! — თვალები გადაუბრიალა ხუმრობის გუნებაზე დამდგარ ჯარისკაცს და მერე სანდროს წინ გაჩერდა.

— წავიდეთ პალატაში. მე მინდა გმირს ველაპარაკო და არა ისეთს, ვინც ერთი მედალიც ვერ ჩამოიკიდა გულზე, მოსკოვის ჰოსპიტალში კი ძვლები მოითბო.

— შენ, შენ სადღა გაქვს მედალი? — ჩაერია ვილაც, ბობროვის სიტყვებს ყური რომ მოჰკრა.

— მე ვლადიმერ ბობროვი, ვიჩვენებთ...

— ტრამბა! — ჩაილაპარაკა კართან მჯდარმა დაქრილმა, რომელიც კომისიაზე ყავარჯნებით მოსულიყო.

ვლადიმერმა წარბშეკვრით ახედდა და არაფერი უთქვამს, სანდროს ხელი დაუჭირა და ღერეთანში გამოიყვანა.

— მომეცი შენი მისამართი, ჩემსასაც დაგიტოვებ... — უთხრა სანდროს და მერე ექთანს მიუბრუნდა, — დაო, დაგვიწერე მისამართები. ჩემი... ეშმაკმა იცის... ასე იქნება: ვორონეჟი, მთავარი ფოსტა, მოკითხვამდე... თუ ასეთი ჯილდო გავიკარი, მაშინ ასე მოიწერები: ვორონეჟი, ვალოდია ბობროვის, მეტი არაფერი არ უნდა. დაო, დაწერე? ახლა ამისი დამიწერე.

სანდრომ ექთანს უქარნახა მისამართი, მერე ბობროვს მიუბრუნდა და ღიმილით უთხრა:

— უცნაური კაცი ხარ... იცი, ვალო-

დია, ისე, როგორც შენ, მეც არა მაქვს სახლ-კარი.

— არა გაქვს? მამ თქვენები სად ცხოვრობენ?

— ერთ პატარა ოთახში.

— გმირს ყველაფერს მისცემენ. სახლიც გექნება, კარიც და ეზოში ბიუსტსაც დაგიდგამენ. შენს ადგილზე ვიყო, ყველას სმენაზე დავაყენებდი!

— ჩამოდი ჩვენთან, სოფელში წაგიყვან. იქ კი მართლა კარგი სახლ-კარი გვაქვს.

— ჰო, თუ გმირი გავხდები, მაშინ ჩამოვალ. კარგი იქნება ორი გმირის შეხვედრა, ჰა, რას იტყვი? ხვალ მივდივარ ფრონტზე, — ეს ბოლო სიტყვები ჩურჩულით თქვა, ისე თითქოს დიდ საიდუმლოს ანდობსო ხანდროს.

...და წავიდა იგი იმ იმედით, რომ სადღაც ბრძოლაში სახელსა და დიდებას მოიპოვებდა.

თავი მუხვი

ახლა თბილისში უკვე გაზაფხულია. მერედა, რა საოცრად სწრაფად მოდის ხოლმე ეს დალოცვილი. მდინარეში ჭავლი გაჩნდება თუ არა, ჰყვავიან ტყემლები და ნუშები. მთებში ლილოჭრილია, ბარში იასამნები იფურჩქნება.

რუსეთში კი გვიან მოდის გაზაფხული, თითქოს შორი გზიდან მომავალს უჭირს ამხელა მიწის გავლაო.

მაინც იგრძნობოდა გაზაფხულის პირი. სანდრო პირველად გამოვიდა ჰოსპიტლის ბაღში. მეცეცხლურის ნაჩუქარი ჯოხი და ცალი ყავარჯენი მოეშველებინა.

ქვემო სართლის ევსტიბულში რომ გაიარა, დიდი სარკის წინ შეჩერდა და თავისი თავი შეათვალიერა. ასე გულმოდგინედ არასოდეს არ შეუვლია მზერა. მაღალი და გამხდარი იყო. ჰოსპიტლის სამოსი მის ფერმკრთალ სახეს უფრო ავადმყოფურ იერს აძლევდა.

სანდრომ იცოდა, რომ მას ფრონტზე აღარ გაგზავნიდნენ. შურისგების ცეცხ-

ლი კი სწავდა, გული იქით მიუწევდა, სადაც ჭაბუკები სისხლს ღვრიდნენ, თვალთაგან არ შორდებოდა ბეტონთან დაკეპული ბიჭები... მაგრამ იმ გრძელად ერთი და უკანასკნელი ბრძოლის შემდეგ მას წაერთვა ძალა, რომ გულში ანთებული სურვილი შეესრულებინა. მერედა, რა ცუდ დროს დაუძლურდა, როცა ჩვენი ჯარები ძლევამოსილად მიიწვევენ წინ და მალე ბერლინში გამარჯვებულს დროშასაც ააფრიალებდნენ. სანდრო მონაწილეობას ვეღარ მიიღებს ამ იერიშებში. რამდენიმე დღის შემდეგ გასწერენ ჰოსპიტლიდან და წავაშენ.

ჰოსპიტლის ბაღში მარტო მიდიოდა. მიწა სველი იყო და ჰაერიც ნესტიანად გაყენებული. ჩიტებს ყიფივი შესდგომოდათ, გუნდ-გუნდად შესეოდნენ ხეებს და ისინი უფრო მეტად განიცდიდნენ გაზაფხულს.

სანდრო სკამზე ჩამოჯდა და ჩიტებს მიაჩერდა.

„სად ყოფილხარ, რა გინახავს, დედაჩემი არ გინახავს?“ — მოაგონდა უნებურად.

ჩიტები კი ყიფივებდნენ. მათ მხოლოდ გაზაფხული აღეულებოდათ, სითბო, მზისა და დარის მოახლოება. განა ადამიანის გულიც ასე არ არის. სანდროს სწორედ ასეთი ყიფივებით ვანუცდია გაზაფხულის დადგომა და როცა პირველი ხეხილი გაშლილა, გაშლილა და გალაღებულა მისი გულიც.

ჩიტები კი ყიფივებდნენ.

ჭიშკართან მანქანა ელოდა. ჰოსპიტლის თანამშრომლებმა და ღებრილებმა, რომლებსაც სიარული შეეძლოთ, მანქანამდე მიაცილეს გმირი.

სანდროს ამ წუთებამდე ერთი სული ჰქონდა როდის გაფრინდებოდა აქედან, ახლა კი, როცა გარშემო მიმოიხედა და გამოსამშვიდობებლად მოეშხადა, გული დასწყდა და სინანულის ცრემლი ყელში მოეგჩინა. ძნელია დაშორდე მათ, ვინც მონაწილეობა მიიღო მის გამოჯანმრთელებასა და სიცოცხლისავე

მოზრუნებაში. ჰოსპიტლის უფროსი, მთავარი ექიმი, სხვა ექიმები და ექთანები მოსულან და ელიან მის სიტყვას, უკანასკნელ გამოსამშვიდობებელ სიტყვას.

სანდრომ თავი დახარა, მერე, როცა წამოიხედა, მის თვალში ცრემლი კაფობდა.

ეკატერინემ გულში ჩაიკრა.

— მოდიან და მიდიან! — თქვა ათრთოლებული ხმით, ცრემლი ველარ დამალა და ცხვირსახოცი თვალზე მიიფარა.

სანდრო აჩქარდა.

— გამდლობთ, გამდლობთ! — მხოლოდ ამ ერთადერთი სიტყვის თქმა მოახერხა, ხელი სწრაფად ჩამოართვა ყველას და ღია, მსტუქ მანქანაში ჩაჯდა.

— გამოჯანმრთელდი, გამოჯანმრთელდი... აბა, ყოჩაღად! — ყველას მაგივრად დაიბუხუნა ჰოსპიტლის უფროსმა და შოფერს ანიშნა, დაიძარიო.

სანდრომ მოიხედა. მას მეტისმეტად დასწყვიტა გული ეკატერინეს თვალზე. ვინ იცის, რამდენი ღამე უთევია მის სარეცელთან, ვინ იცის, როგორი სულის კანკალით განიცდიდა მისი სიცოცხლის სიკვდილთან ჰიდილს და ახლა ერთი თბილი სიტყვის ღირსიკი კი არ გახადა სანდრომ. სანამ მანქანა დაიძროდა, სანდრომ ორივე ხელი გულზე მიიღო და ასე უსიტყვოდ გამოხატა ყველაფერი ამ ქალის მიმართ.

მანქანა დაიძრა. ჰიშკარს გასცდა თუ არა, ქუჩაზე მოუხვია და ღობის იქით ერთბაშად თვალს მიეფარა თეთრხალათიან ადამიანთა ჯგუფი.

ახლა წინ იყო მოსკოვის ახმაურებულ ქუჩა, რომელსაც პირველად ხედავდა სანდრო. საათს დახედა. მატარებლის გასვლამდე საათნახევარი დრო ჰქონდა. შოფერს ჰკითხა რამდენ ხანში მივიდოდნენ კურსკის ვაგზლამდე. საკმაოდ დრო რჩებოდა იმისათვის, რომ წითელ მოედანზე ჩაველოთ.

მოსკოვში მოხვიდე და წითელი მოედანი არ ნახო? აგერ მერამდენე თვეა

სანდრო მოსკოვშია და დღეს პირველი ღამე განაგრძობს სინარულით ავსებდა მის გულს. შოფერს სათსაგე გაეჭლოთ წითელ მოედანზე.

— მატარებლის გასვლამდე თქვენს განკარგულებაში ვარ, — თითქოს მოიბოდიშაო, ისე მიუგო შოფერმა.

— ეს ბედნიერი შემთხვევაა ჩემთვის, მოსკოვში რომ მოვხვდი, ქალაქი კი არ მინახავს, — უთხრა სანდრომ.

— გეტყვით გულში და მთელ მოსკოვს მოგატარებდი. ძალიან მორიდებული ხართ, — გაუღიმა შოფერმა. — სხვა დროს რომ ჩამობრძანდებით, მეწვიეთ, მე აქაური ვარ და მთელ ქალაქს კარგად გაგაცნობთ მაშინ.

სანდროს ჰოსპიტალში ბევრჯერ დაუნახავს ეს ქერა ცისფერთვალა ყმაწვილი, მაგრამ ყოველთვის მოუკარებელი და ცივი ეჩვენებოდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მასთან განმარტოვდა და უცებ თითქოს ზღელ სხვა ადამიანს შეხვდა. მანქანა ოსტატურად მიჰყავდა, თავისუფლად და სწრაფად მართავდა.

მოსკოვის რამდენიმე განიერსა და ლამაზ ქუჩას სწრაფად ჩაუქროლეს. აგერ წითელი მოედანი, კრემლის კოშკურები და ლალის ვარსკვლავები, აგერ მავზოლეუმი.

მანქანა მოედანზე გაჩერდა. სანდრო გადმოვიდა და შოფერის თანხლებით ლენინის მავზოლეუმისაკენ გაემართა, წამს შუა მოედანზე შეღგა და აქეთიქით მიმოიხედა.

მაცხოვრის კოშკზე რეკედნენ, თითქოს საუკუნეები გუგუნებდნენ, თითქოს ამ გუგუნეში მიაბიჯებდა დღე...

ზარები დადუმდნენ. წითელი მოედნის მყუდროებას დრო და დრო მხოლოდ მანქანების ხმაური არღვევდა.

სანდრომ მავზოლეუმს შეხედა. შიგ არავინ შედიოდა. კარებთან ორი ჯარისკაცი იღგა. სწორედ ასე უნახავს სურათებში.

სანდრო ერთ ხანს კადვე უყურებდა მოედნის სანახებს, მერე შემობრუნდა და მანქანისაკენ გამოსწია.

მალე დაიძრნენ.

— ნახვამდის ნახვამდის, მოსკოველებო! — ჩუბჩულებდა სანდრო და გულით მატარებლისაკენ მიისწრაფოდა, რომელზედაც მშობლიური ქალაქის სახელიც ეწერა.

სამზავრო მატარებელი სადგურებზე საათობით იდგა. გზაზე ნელა მიიჩქოდა და სანდროს უნებურად აგონდებოდა ჭარისკაცებით სავსე ვაგონი.

მოსკოვიდან სანდროსთან ერთად დამა მგზავრობდა. სხვებიც იყვნენ ვაგონში, მაგრამ სანდროს ყურადღება რატომღაც ამათ უფრო მიიქცია.

გოგონა თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის იქნებოდა, ბიჭი — ხუთისა.

ყმაწვილი ძილად იყო მივარდნილი. და მოწყენილი დაძვინდებდა. მას თანამგზავრობისათვის არც კი შეუვლია თვალა. სანდროსაც ქვედა საწოლი ეჯდა. ზევიან მებრუნებები გამზლართული იყვნენ.

ვაგონში თანდათან დაბნელდა. ვაგონში კართან თანარი აანთო და სკამზე ჩამომჯდარ გოგონას ოდნავ მიეფინა ნათელი. სანდრო ხედავდა მის უაღრესად დასევდიანებულ და დაჩაგრულ სახეს. უნდოდა გამოლაპარაკებოდა, მაგრამ გოგონა არ აქცევდა ყურადღებას.

სანდროს მოვიდა და თავის ხალთას წაუფათურა ხელი. თანჯარასთან, პატარა მაგიდაზე გაშალა გაზეთი, კონსერვი, პურის ნაჭრები და ძებვი ამოალაგა. სანდრომ თვალი მოჰკრა, გოგონამ ერთ წუთს როგორ ხარბად შეხედა მავიდას, როგორ უმალ იბრუნა პირი.

სანდრომ ძებვი ხელით ვატეხა.

— დამეწვიეთ, — უთხრა გოგონას.

ქალიშვილმა თავი დახარა და სანდრომ ვაგონა მისი ჩუმი, თავშეკავებული ქვითინი.

ვაგი აწრიალდა, რა ექნა, რა ვაეწყო, აღარ იცოდა, ვერც მიუხვდა, რა ატორებოთა მებზოხელს. ლუკმა ვერ ჩაიღო პირში, იმ დროს ყველა ტკივილმა წაშოყო თავი. ვაგონში სულის შემხუთავი პერი იდგა.

გოგონამ შემოხვდა. ცრემლით სავსე

თვალეზი უბრწყინავდა, ისეთი ვედრებით იყურებოდა, რომ სანდროს უარესად აენთო გული. რას ეუბნებოდა? ეს ცრემლი, ეს შეუკი. ეს თვალეზი. ვანა ადვილია უცნობი ადამიანის, თუნდაც სევდიან თვალეზში ამოიკითხო მისი ვასაქირი, მისი ვაების მიზეზი? ორნი სადღაც მიდიან, შორეულ ვზას მარტოდ-მარტონი, უპატრონოდ დასდგომიან. მიზეზი? ომი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, ახლა შინ ისდებოდნენ დედამამასთან, თბილად და მაძლად.

და სანდრომ თავისდა უნებურად პურს წაავლო ხელი და ვოგონას ვაუწოდა.

— ვადლობთ! — უთხრა ვოგონამ და პურს მამინევე შეავლო ხელი. როცა პირთან მიიტანა, ამ ნანატრ ლუკმას მისი ცხარე ცრემლი ღვარად დასდიოდა, პურთან ერთად ცრემლსაც ყლაპავდა. უცებ, სული რომ მოითქვა, ძმა ვაახსენდა, მძინარეს ნჯღრევა დაუწყო.

— პეტია! პეტია! — თითქოს რაღაც აღმოაჩინაო, სანატრელი, მიუწვდომელი, სიხარულით თრთოდა მისი ცრემლნარევი ხმა. სანდრო ვოგონებული მისჩერებოდა. ყმაწვილი არ იღვიძებდა.

— დღეს არაფერი უქამია, — თქვა ვოგონამ და ცრემლი მოიწმინდა.

— აი, აიღეთ, ქამეთ... ყველაფერი აიღეთ... მე კიდევ მიქვს... როგორმე ვაიღვიძეთ და აქამეთ... ასე რომ მცოდნოდა... — წამოდგა აღელვებული სანდრო, ბიჭთან მივიდა და ვაღვიძება დაუწყო.

ცოტა ხნის შემდეგ პეტია მადიანად ილუკმებოდა, ხოლო ვოგონა სანდროს მკერდზე მოციალე ვარსკვლავს უყურებდა.

— ვმირი ყოფილხართ, წელან რაღაც სხვა ნიშანი მეგონა.

სანდროს ვაეხარდა, რომ ერთი ლუკმა პურით ასე მოაციოცხლა ორი ადამიანი. თავად ვადაეაწყდა შიმშილი. ხალთაში კიდევ მოექმოდა კონსერვი და ძებვი. ვოგონას ურჩია, ბავშვი ერთბაშად ნუ მიეძალება საკმელსაო. მერე ვამოკითხა სად მიდიოდნენ.

— ჩრდილოეთ კავკასიაში, დედას-

თან მივდივართ... მე ერთხელ ვყოფილვარ იქ, პეტია კი პირველად მიმყავს.

— მერე, ასე მშვიერ-მწყურვალთ, როგორ გაგებდით მგზავრობა? — სანდრომ შეატყო, რომ ბავშვი საქმელს არ ეშვებოდა და არც დაუშლიდა ქამას, პურსა და ძებეს ქაღალდი გადააფარა და უთხრა: — ეს ყველაფერი თქვენია... ამდენ ნაშიმშილეზე გაწყენთ, განა მენანება?

ბავშვმა ლუკმა გადაყლაბა და ქვეშ ქვეშ შემოხედა უცნობ ძიას, რომელმაც ულუფა იმ დროს შეუწყვიტა, როცა ასე სანატრელი ლუკმა უფრო მეტად გატკბა და დაშაქრდა.

— მე კი ვერ მოვითმინე, — თქვა გოგონამ, — მწარე ყოფილა შიმშილი... და ჩვენ ამას თითქოს მივეჩვიეთ.

— საიდან მოდიხართ, მოსკოვიდან?

— არა, ლენინგრადელები ვართ. ორმოცდაერთში დედა მოგვიყვდა, ცოტა ხანს ბებიასთან ვიყავით და ერთი თვის წინათ ისიც დამარხეს მეზობლებმა... ლენინგრადში არაფერი დაგვრჩენია... უკანასკნელი ფულით ბილეთი ავიღე და აი... თქვენ რომ არა, კვლავ ცრემლი მოერიდა გოგონას.

—ახლა დაიძინეთ და დაშმვიდდით, — ურჩია სანდრომ.

— თქვენ ასეთი ახალგაზრდა ხართ და უკვე გმირი?!..

— ჰო, ყველანი ასე ამბობენ... მოხდა, რას ვიზამთ.

— თქვენ უფრო მეტის ღირსი ხართ.

— ვითომ?

— თქვენ... როგორ ვითხრათ.. რატომ თქვენ არა ჰამთ? ალბათ, უკანასკნელი ლუკმა გაიმეტეთ ჩვენთვის.

— მე რა მიჭირს, — მხრები აიჩიჩა სანდრომ, თან ხუმრობა სცადა, — ჰერზე ფეხით რომ ჩამოშვიდონ, ასე გავძლებ თბილისამდე.

გოგონას სევდიან სახეს უძლურად მოეფინა ღიმილი.

ბიჭი იჭდა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

— შენც ხომ გმირი ხარ, — ნიკაპში მოფერებით მოავლო ხელი სანდრომ

ბიჭუნას, თუ არ გინდა, რომ გმირი იყო?

— მე ბური მინდა, — უბასუხა ბიჭუნამ და ატირდა.

მეორე დილას ისინი სულ სხვანაირად გამოიყურებოდნენ. ბიჭი სანდროს ორდენებსა და მედალს შესცინოდა და უალერსებდა. გოგონა ბევრს ლაპარაკობდა. სანდროს უამბობდა თავის მშობლებზე, ლენინგრადელ მეგობრებზე, სკოლაზე, ბლოკადასა და შიმშილებზე...

მატარებელი კვლავ საათობით ჩერდებოდა სადგურებში.

შუალაშემ მოატანა. მატარებელი იმ სადგურს უახლოვდებოდა, სადაც დამა უნდა დარჩენილიყო. გოგონა წუხდა. მისი ვარაუდით მატარებელს დღისით უნდა ჩაეგლო ახლა კი, ამ უკუნეთში სად და ვის მისდგომოდა. სანდრომ გული გაუკეთა, დაამშვიდა.

მატარებელი ჩამოდგა. სანდრომ ბაქანზე ჩააცლია დამა და მერე სადგურის მორიგეს წარუდგინა, სთხოვა დილამდე მეთვალყურეობა გაეწია მათთვის.

გოგონა კართან იდგა, გვერდში ძმა ამოყენებინა და მხურვალე თვალებით მისჩერებოდა სანდროს, რომელსაც სადგურში მოწიწებითა და პატივისცემით შეხვდნენ.

სანდრომ მალღობა გადაუხადა სადგურის მორიგეს და კარისკენ შემობრუნდა.

— ნახვამდის, — უთხრა დამას და ხელი ბიჭუნას გაუწოდა.

გოგონა კისერზე მოეხვია და ატირებული თავდავიწყებით კოცნიდა, თან უაზროდ ჩურჩულებდა რაღაცას.

— გმადლობთ, გმადლობთ ყველაფრისთვის! — თქვა ბოლოს მან და უცებ მოშორდა ვაჟის მკერდს.

სანდრო ღელავდა. აჩქარდა, კარი გააღო და როცა გადიოდა, ერთხელ კიდევ მოიხედა.

გოგონამ თავისი ხელბარგი დატოვა, ძმას უთხრა ოთახში დარჩენილიყო და თვითონ სანდროს გამოპყვა.

— მივაცილებთ მატარებლამდე.

— დარჩით ძმასთან... ნახვამდის!

გოგონა მატარებლის კიბესთან შედგა. ცივი ქარი ქროდა და თავშალსა და თმებს უწეწავდა. ბნელოდა, მაგრამ მისი სილუეტი მაინც ჩანდა.

ბაქნის გასწვრივ იდგა ჩანელებული მატარებელი. წინ ორთქლმავალი ხენეშოდა.

ზარი შემოჰკრეს. ორთქლმავალმა ჩანელებულ გზას გასძახა. სანდრო ვაგონის კიბეზე შედგა... ამ დროს კიდევ გაიგონა ქეთინი და ბნელში კარგა ვაარჩია შემართული ხელი... მერე, როცა მატარებელი დაიძრა, გოგონას ლანდი ცოტა ხანს კიდევ მოჰყვებოდა და მერე გაქრა.

ვინ იყო? სახელი რა ერქვა? მხოლოდ ახლა ინანა სანდრომ, რომ იმდენი ზნის მანძილზე გოგონას სახელი არ ჰკითხა. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა მაინც? ამ გოგონას მსგავსნი ახლა ათასობით მიჰყვებიან და მოჰყვებიან მატარებლებს, საღლატ ბედს ეძიებენ, ლუკმაპურსა და სითბოს.

სანდრო თავის ადგილს დაუბრუნდა. და-ძმის ადგილი ვილაყას დაეკავებინა და სანდროსკენ ზურგშექცევით მოკუნტული მიწოლილიყო.

ვაგონი კვლავ ჰრიალებდა. სანდროს გონებაში სწრაფად გარბოდნენ მოგონებანი, მრავალ და მრავალ ადამიანთა დაუვიწყარი სახეები... და ეს მღელვარებით სავსე ერთი დღე-ღამეც.

თავი 20430

სექტემბერში, როცა რუსიკო თბილისს ეწვია და სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში აგრონომიულ ფაკულტეტზე მოეწყო, — წერილს წერილზე უგზავნიდა სანდროს. მისი ბედი აფიქრებდა და გულის ორთოღვით განიცდიდა იმ შიშვე წუთებს, როცა წყდებოდა ვაჟაკის სიკვდილ-სიცოცხლის ამბავი. უნდა გენახათ მისი გულის ფორიაქი, როცა სანდროს გმირობა გაიგო. ამ ბედნიერ წუთებამდე თავის მეგო-

ზარ გოგონებთან სიყვარულზე სიტყვასაც არ ამბობდა, მაგრამ მაშინ, როცა საერთო საცხოვრებელში მისულნი, ნახარულით აქეთინდა და გაწეით გულში ჩაიკრა, ვერაფერი ვერ დამალა.

გოგონები მის ბედს შენატროდნენ.

მაგრამ სავალალო ახლა ის იყო, რომ სანდრო, საკმაოდ დაუძღვრებული, შორს, მოსკოვის ჰოსპიტალში იწვა.

რუსიკო სითბოს და სიყვარულს ატანდა ბართებს. ერთხელ გაბედა და სანდროს დედას, ანიკოს, მისი შეილის დიდი სახელი მიულოცა.

ანიკო შინ მართო იყო. გაეხარდა რუსიკოს მოსვლა და უსაყვედურა იშვიათი სტუმრობა. რუსიკომ განგებ მოიმიზეზა ლექციები, მეცადინეობა... ლოყები შეუწითლდა და ოთახში მიმოიხედა.

„სანდრო რომ ჩამოვა, აქ უამრავი ხალხი მოვა. აბა ვინ დაეტევა ამ პატარა ოთახში?!“

რუსიკოს გული დასწყდა, მაგრამ ანიკოს არ გაუზიარა გულში გარბენილი ზარი.

რამდენიმე დღის შემდეგ, რუსიკო ვაშაქიძეებს ბარგის გადატანაში შეელოდა.

გმირის ოჯახი გადაიყვანეს ფალიაშვილის ქუჩაზე, ერთი გარდაცვლილი დედაბრის უპატრონო ბინაში, რომელიც ქალაქის საბჭოს რამდენიმე დღე დალუქული ჰქონდა.

ბინა დიდნ არ იყო. ორი ოთახი, სამზარეულო და ერთი პატარა შუშაბანდი მთელ სასახლედ ეჩვენებოდა ანიკოს.

— ნეტავ ჩემი გიგო და სანდრო ჯანმრთელები დაბრუნდებოდნენ, ჩემი დღენი იმ ქოხიდან გამოსვლას არ ეინატრებდით, — თქვა ქალმა.

გიგო დაბრუნდა, სანდროს ამბავი ჩამოიტანა. მამა ინვალიდი იყო და არც შეილი უბრუნდებოდა ჯანიანი, მაგრამ მისი გმირობის ამბავი მალამოდ ეღებოდა ყველა ჰრილობას, ვაშაქიძეების ოჯახს ამიერდან ყველა იცნობდა. მერედა, რა სიამაყით ატარებდნენ ამ სახელს ანიკო და გიგო, ძმა ლევანი.

ასეთსავე სიხარულს მოეცვა რუსიკო. როცა სანდრომ მოსკოვიდან დეპეშა გამოგზავნა, მოვდივარო, რუსიკო დაფაცურდა: გმირს სათანადო დახვედრა უნდოდა. მხოლოდ ერთი სიტყვა თქვა ინსტიტუტის კომპაგშირის კომიტეტში და ეს ცნობა მაშინვე გაფრინდა ქალაქის კომიტეტში, დაფაცურდნენ კომპაგშირელები. როგორც თანასოფელს და ამხანაგს, რუსიკოს სიტყვის თქმა დაავალეს. მაგრამ რუსიკოს ლოყები შეუწითლდა და სიტყვის თქმა მაშინვე სხვის ვადაულოცა. რუსიკოს მეგობარმა გოგონებმა საიდანაღაც ცოცხალი ყვავილები, თაიგულები გააჩინეს.

იმ დღეს რუსიკო ვაშაქიმეებისას მივიდა.

— დეიდა ანიკო, სანდროს ისეთ შეხვედრას ვეწყობთ, ისეთს, რომ... — ლოყები წამოეგზნო რუსიკოს. სიხარულს ვერ მალავდა. ანიკოს თვალს უკვე არაფერი გამოეპარებოდა. სხვა, მეორე, ისე არ გამოხატავდა თავის გრძნობას სანდროს დაბრუნების გამო, როგორც რუსიკომ გამოხატა. მის თვალებში, მარად მოუსვენარ თვალებში, ყველაფერი აშკარად იკითხებოდა.

— რუსიკო... — თქვა ქალმა და გოგონა გვერდით მოისვა.

რუსიკოს გული გამალებით უცემდა, ასე ეგონა სახეზე ცეცხლი წაჰკიდებოდა. უცდიდა, რას იტყოდა ანიკო, მაგრამ ერთ ხანს დუმილი იყო ჩამოვარდნილი. ანიკომ გულში ჩაიკრა რუსიკო და ხმის თრთოლვით უთხრა:

— ნამდვილად ბედნიერი დედა ვარ, შეილო... ჩემი სანდრო, ჩემი ბიჭი... ასე მგონია, რომ ისევ ბავშვია... ვერც კი მოგასწარი, რივიანად შემეხედა უღვაშა ბიჭისათვის, წაიყვანეს და... გმირიც გახდა.

კედელზე სანდროს საშუალო ზომის სურათი ეკიდა. საულავაშეზე ღინღმორეული ისევ ბავშვური გულუბრყვილობით იმზირებოდა. რუსიკოს მოსწონდა ეს სურათი და აქ მისვლისას მალულად ისე უტყუარდა ხოლმე, თითქოს სანდრო მჯდარიყოს.

— გიყვარს? შენც გიყვარს ჩემი სანდრო? — მოულოდნელად ჰკითხა ანიკომ ქალიშვილს.

ანიკოს ამ წუთებში ვეღარ იცნობდით, ძალზე მხნედ და ამაყად გამოიყურებოდა.

რუსიკო შეერთა, უკან დაიხია და თავი დახარა.

— სანდრო ვის არ უყვარს, დეიდა ანიკო!.. ყველას უყვარს... აი, ჩვენს ინსტიტუტში...

— შენ სულ სხვა ხარ, რუსიკო.

რუსიკო უცებ წამოხტა ადგილიდან.

— სულ დამაფიქრდა... ამხანაგები მელოდებიან... სადგურზე შეგხვედებით, დეიდა ანიკო — თქვა და ფიცხლად შეტრიალდა, ოთახიდან სახელეწილი გაიჭრა.

ანიკო ადგილიდან არ დაძრულა, თვალი ღამილით გააყოლა რუსიკოს, ოდესღაც სოფელში ფეხშიშველი რომ დატანტალებდა. ახლა კი მოხდენილი და თვალბატულა გოგოა.

სანდროსთვის სხვა უკეთესს ვის ინდომებთ დედის გული... ქალი ოცნებაში წავიდა. უკვე წარმოიდგინა დაცოლშვილებული თავისი სანდრო, ახმინებულნი, ბედნიერებით საესე ოჯახი. თვალში ცრემლი მოერია. შეილის სურათს შეხედა. წამოდგა, სურათი ჩამოსწია, შუშაზე ხელის გული გადაუსვა, მერე გულში ჩაიკრა. ხეალ ამ დროს უკვე შინ იჭნება, სტუმრებიც მოვლენ... ანიკო წელში გაიმართა.

იმ დროს რუსიკო ფეხანჭარებით გარბოდა სტუდენტთა ქალაქისაკენ. ფრთა შესხმოდა. სიხარული მიაჩქარებდა. ერთი სული ჰქონდა შეხვედროდა თავის მეგობარ გოგონებს. რას ეტყოდა მათ, როგორ მოიქცეოდა, ამაზე ერთი წუთითაც არ ფიქრობდა. ოთახში შეიჭრა, კარი ღია დატოვა და თავისი საწილზე მოწყვეტით დაჯდა.

დიდმა სათქმელმა გზა ვერ იპოვა.

— ჩამოვიდა? — გულუბრყვილოდ იკითხა მანანამ, დაბალმა, თმახუტუტა ქალიშვილმა, რომელსაც სიყვარულზე

საუბარი არასდროს არ მოსწყინდებოდა. თვითონ არაფერ უყვარდა, მაგრამ რატომღაც სხვისი ბედნიერებითაც უზომოდ კმაყოფილი იყო. ეს, ალბათ, მეტისმეტი გულკეთილობით მოსდიოდა.

— არა, არ ჩამოსულა, მაგრამ მე მაინც ბედნიერი ვარ...

— მოყვები, გოგო? — გვერდით მოუჭდა მანანა და პირში მიიჩერდა.

— რა უნდა მოგიყვე... სანდროს დედასთან ვიყავი... ჰოდა, ისე დავიწვე, ისე, რომ. აი, დამადე ლოყაზე ხელი, ასე მგონია ცეცხლი წამიკიდეს-მეთქი. ყველაფერი სკოდნია.

— მერე, მერე, გოგო?

— მერე... მერე, დაჩექი და კერე! — მოუჭრა რუსიკომ, მანანას ხელი მოხვია და ორივენი ლოგინზე დაგორდნენ.

— გიჟო, გიჟო, გადარეულო! — თავი ძლივს დაიხსნა მანანამ, აწეწილი თმები შეისწორა და მიახალა: — რომ იცოდნენ, რა გადარეული ხარ... სახლში როგორ შეგიშვებენ.

— იმათ ყველაფერი იციან, ყველაფერი.

...შინაც ვერ გაჩერდა, მანანას სთხოვა ქალაქში წაყოლოდა და ქუჩაში ეხეტიალათ, სანამ დაიღლებოდნენ.

მანანა სიამოვნებით გაჰყვა და ისინი გვიანობამდე მიჰყვებოდნენ ქალაქის აბაურებულ ქუჩებს.

მეორე დღეს მატარებელმა დაიგვიანა.

გმირის შესახვედრად თავმოყრილთ არ უსიამოვნათ ეს ამბავი.

შეხვედრა საღამოსთვის გადაიდო.

აი ნანატრი წუთიც: ბაქანზე თავი მოუყრიათ ქალაქის კომკავშირელებს, შინაურებს, მეგობრებს. საღებურში მატარებელი შემოდის.

რუსიკომ გვერდში მდგომ მანანას მკლავი გამოსჩქმიტა. უთმენს მანანა, მეგობრის სიხარული გადასდებია.

შესამე ვაგონმა ბაქანს ჩაუარა. უცებ ატყდა ტაშისცემა, გაისმა შეძახილები.

ვაგონის კარებში იდგა სანდრო. ცალ ხელში მანარა და დაცლილი ხალთა ვჭირა, მეორეში ქუდი და ჯოხი.

— გენაცვალის. დედა! — წამოიძახა ანიკომ, ადგილს მოწყდა და წინ წასული ვაგონის გასწვრივ გაიქცა. ლევანი სწრაფად დაძრულ ჯგუფს აედევნა. ვიგოს ჩქარი სიარული არ შეეძლო, მაგრამ ახლა მანაც აუჩქარა ნაბიჯს.

რუსიკოს ვერავენ მიასწრო კიბესთან. სანდროს ადგილიდან ფეხის დაძვრა არ აცალა, ფიცხლად მიეჭრა და... მაშინ კი წამით დაიბნა. მაგრამ მერე მათ დათრგუნეს სურვილი და ერთმანეთს ჩაეკრნენ.

— სანდრო... მომილოცავს!

მერე ყველაფერი აირია. სანდროს ფეხი მიწას არ დაჰკარებია, ისე გამოიტაცეს ბაქანის დიდ მანძილზე. ამდენ ხალხში ირევა ნაცნობთა თუ უცნობთა უამრავი სახე, ყველა ულოცავს, ყველა შეჰხარის. ტალღა ირწყევა, ხალხი მატულობს... დედა გვერდიდან არ შორდება შეილს. ძმაც მის კალთას ჩაჰფრენია და ეალერსება.

...სანდრომ კარგა ხნის შემდეგ, მხოლოდ შინ შესძლო რიგიანად შეეხვდა თავისიანებისათვის, აქ იყო რუსიკო თავისი ვანუყრელი მეგობრით, მანანათი, აქ იყო მასწავლებელი კალანდამეც. იყვნენ სხვებიც, რამდენიმე ნათესავი... მისთვის უცნობი მეზობლებიც შემოსულიყვნენ. ქალებს გული ასრუყებოდათ და მალიმალ თვალებს იმშრალელებდნენ.

— არ დავილოცოთ? — უცებ დაიძახა ვიგომ. თითქოს მის დაძახილს ელოდაო, დატრიალდა ანიკო. რამდენიმე მეზობელიც დარაზმა.

ახლა მანანა ჩმეტდა რუსიკოს.

— რა ბედნიერი ხარ, გოგო.

სხვა სიტყვა ვერ მოეძებნა სიხარულის გამოსახატავად. შეჰყურებდა ტახტზე ჩამოქდარი ვეჯაკის.

რუსიკო სანდროსთან მარტოობას ნატრობდა. რამდენი სალაპარაკო აქვს. ახლა კი ზის ჩუმად და შეჰყურებს. მხოლოდ ხანდახან მალულად გაუსწო-

რებენ თვალს ერთმანეთს ქალ-ვაგი და შეპლიმებენ.

...სუფრა გაიშალა იმ დროისათვის შესაფერი, გამოზოგილი ლუკმით.

როცა თამბაქამ, ლავრენტი კალანდაძემ, სანდროს სადღეგრძელო ასწია და შესვა, ვაშაკიძეებს უცნობი ქალი ეწვიათ. შოასანი, მალალი ქალი.

— მაპატიეთ. — თქვა მან კარებში. იქიდანვე თვალი არ მოუშორებია ოთახის სიღრმეში, მაგიდასთან წამომდგარ სანდროსათვის.

ქალი მისკენ წავიდა.

სუფრა გაიჩინდა.

ანიკო, როგორც სხვა დანარჩენი იქ მყოფნი, გაკვირვებით ადევნებდა თვალს სანდროსკენ მიმავალს.

სანდროს თითქოს სადღაც უნახავს, სადღაც მოუტრავს თვალი ამ ქალისათვის... და უცებ, როცა საკმაოდ მიუახლოვდა სტუმარი, მის გონებაში გაცოცხლდა: ნათელის სადგური, შოთას გულში იკრავს... აი, ისორედ ეს ქალი.

სანდროს გული შეუტოკდა. ქალს ერთი წუთით მოარიდა მზერა, და თითქოს დამნაშავეაო, თვალები ძირს დახარა, მერე ისევ გაბედულად წამოიხედდა.

ქალს ეტყობოდა, რომ უკვე საკმაო მწუხარებით გამოეგლოვა შვილი, ახლა სახეგაკერპებული იყო და თითქოს არ იმჩნევდა, რომ დედისერთა დაკარგა.

— მაპატიეთ! — კიდევ ერთხელ თქვა მან. სანდრომ შეატყო, რომ ქალს მეტად უმძიმდა სიტყვის დაცხრა. რაღაც უნდოდა ეთქვა თუ ეკითხა. უხერხულადაც იკრძნო თავი, რომ ეს საზეიმო წუთები გაწყვიტა და რამდენიმე ხანს დუმილი ჩამოვარდა. ყველა ელოდა, რას იტყოდა ქალი.

— მე შოთას დედა ვარ, — თქვა და ახლა კი ცრემლი გამოუჩნდა თვალში. ანიკომ სკამი დაუდგა. ქალი დაჯდა და დასხდნენ სხვებიც. მან ერთხელ კიდევ მოიბოდიშა. სანდრომ უთხრა, რომ გიცანიით, მახსოვხართ ნავ-

თლულის სადგურიდანო და რატომღაც ის ცისფერკაბიანიც გაიხსენა.

— უბედურებაა! — ამოიხარა ქალმა, — მაპატიეთ რომ ზეიმი დაგიორღიეთ — ქალმა აქეთ-იქით მიმოიხედდა და ისევ სანდროს გაუსწორა თვალი, — გელოდი, შვილო, გელოდი, როგორც ჩემ შვილს... შენ, ერთადერთ გადარჩენილს... ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულხარ... სხვა დროს კიდევ შემოვივლი და მიაბზე შოთაზე. დედა მოუკვდეს იმას!

ქალს ცრემლი გაუშრა.

— შოთა ვაყვაცურად იბრძოდა... ო, როგორ იბრძოდა! — აბნეულად დაიწყო სანდრომ, მაგრამ ქალმა შეაწყვეტინა, ახლა არ გინდა ამის გახსენებაო.

ქალი სუფრაზე მიიწვიეს.

მაშინ, როცა ომში დაღუპულთა მოსაგონარი დალიეს, სანდრო თავდახრილი იჯდა და მოგონებათა ბურუსში გახვეულიყო. კიდევ ესმოდა ის გიჟური ყიფინი ბიჭებისა, ტყვიამფრქვევების ხმა და ხელყუმბარების გრიალი, ხედავდა პირქვეწამხობილი მებრძოლების სისხლიან და მტვრიან ბეჭებს, ხასანოვის შეშლილ თვალებს.

ეს ერთადერთი და დაუვიწყარი ეპიზოდი, ყველა სხვა მოსაგონარზე უფრო მეტად ცოცხლობდა მის გონებაში.

თანი მაცხრა

საოცარი ნერვიულობა დასჩემდა სანდროს. და, ალბათ, დიდხანს გაპყვებოდა ის მოგონება. სადაც არ უნდა წასულიყო, ვისაც არ უნდა შეხვედროდა, ის მაინც თვალწინ ედგა.

სანდროს შეხვედრებს უწყობდნენ ქარხნებში, ინსტიტუტებში, სკოლებში. ყველგან აღელვებული ლაპარაკობდა თავის დაცემულ მეგობრებზე.

ერთხელ რუსიკოსთან ერთად შოთას დედას ეწვია შინ. ქალი დერეფანში გამოეგება სტუმრებს. სანდრო გულში ჩაიკრა და იმ პირველი შეხვედრისას

თუ იკავებდა ცრემლს, ახლა მწარედ აქვითინდა. მაგრამ უმაღლე იბრუნა აირი და ცხვირსახოცი აიფარა სახეზე. როცა შემობრუნდა, მას ისევ ისეთი კერპი გამოძეველებს ჰქონდა.

სტუმრები შინ შეიწვია.

ოთახი იყო პატარა. კედლებზე უამრავი სურათი იყო მოფენილი. შოთა პატარობისა, შოთა მოზრდილი, შოთა დაფუკიკებული. ეს დიდი სურათი კი, ალბათ სულ ახლახან გაუკეთებიათ. დალუპვის ცნობა რომ მოუვიდათ.

— შენ რა სასწაულმა გადაგარჩინა, შვილო? — დაიწყო ქალმა და ისიც ჩამოჭდა, გრძელი, გამხდარი ხელები მავიდაზე დააწყო და ქალ-ვაჟს მიჩერდა.

— არ ვიცი... მე თვითონ არ ვიცი, — დაიწყო სანდრომ, — ფრონტზე არავინ იცის, ვინ მოკვდება და ვინ დარჩება... თორმეტი ბიჭიდან მარტო მე გადავჩირი... — სანდროს ამბავის ვაგრძელება უნდოდა, მაგრამ შეატყო, რომ ქალთან მეტად მძიმედ აეწყო საუბარი. თავი შეიკავა. კვლავ შოთას სურათს შეხედა და შუბლი მოეღრუბლა.

„მაინც, რა იყო! გრძნობდა? წინასწარ გრძნობდა, რომ დაიღუპებოდა? როგორ გულგატეხილი მეღაპარაკებოდა ხოლმე. ნუთუ ოთარის გული არაფერს ეუბნებოდა? იქნებ ეუბნებოდა კიდევ და არავის უმხელდა თავისი გულის სევდიანად?“

ერთ ხანს დუმილი ჩამოვარდა, მერე ქალმა დაწვრილებით აამბობინა სანდროს, როგორ დაეცნენ. დედას რატომღაც შვილის ის უკანასკნელი წუთები უფრო აფიქრებდა და კიდევ და კიდევ უნდოდა თვალნათლივ წარმოედგინა ბრძოლის ქარცეცხლში შესული თავისი ერთა.

საოცრად მძიმე წუთები იყო, მაგრამ რუსიკო მოთმინებით იტანდა, ყურს უდგებდა სანდროს, რომელიც დედას თავისი შვილის სიმამაცეზე უამბობდა.

— ცხრაშეტი წლისა! — ამოიოხრა დედამ. გამშრალი თვალებით გაიხედა

კედლისკენ, სადაც შოთას სურათი ეკიდა, მერე, თითქოს რაღაც მოაგონდაო, სტუმრებთან ბოდიში მონიხდა, ვერაფრით გიმასპინძლებითო.

— რას ბრძანებთ! — შეინძრა რუსიკო და სანდროს ხელი დაუჭირა იმის ნიშნად, რომ წავიდეთო.

სანდრო მაშინვე წამოდგა.

— მიდიხართ? — შუბლი მოეღრუბლა ქალს და იგიც წამოდგა, — გარეთ ასეთი მშვენიერებაა... თითქოს ჩემი შოთა ისევ ცოცხალი იყოს... ჩემი თვალთ რომ არ მინახავს და ჩემი ხელით... — ქალს ხმა გაუწყდა, თავი შეიკავა, რომ არ ეტირა. — ხშირად შემოიარეთ, გამეხარდება.

სანდრომ აღუთქვა ხშირი სტუმრობა და რუსიკოსთან ერთად კიბეს ჩაჰყვა. კიბეზე ჩასვლა და ამოსვლა მეტად უჭირდა გაშეშებული მარჯვენა ფეხის გამო. ქუჩაშიც მაღიმალ შედგებოდა ხოლმე, შეისვენებდა და ისევ განავრძობდა გზას.

რუსიკოს თვალს არ გამოჩენია ის სასიყვარულო მზერა, რომელსაც გმირს აპყრობდნენ გამვლელ გამომვლელნი. ქალი იქნებოდა თუ კაცი, ბავშვი თუ მოხუცი, სანდროს მკერდზე მოციალე ვარსკვლავის დანახვისთანავე მადლიერების გრძნობით იმსჭვალუბოდნენ.

რუსიკო სანდროს მკლავს ეკვროდა და თითქოს დაქადნებით, გუნებაში ამბობდა, „ეს ჩემია, მხოლოდ ჩემი“. ცოტა არ იყოს, რუსიკოს საღდაც სწყინდა კიდევაც, როცა გოგონები თავიგულეებს სთავაზობდნენ სანდროს, უღიმოდნენ და თბილ სიტყვებს ეუბნებოდნენ.

— ყველას როგორ უყვარხარ, სანდრო?.. მე მეშინია, — უთხრა ერთხელ რუსიკომ.

— რისა გეშინია?.. რა უცნაური ხარ! — გაიკვირვა ვაჟმა და რუსიკოს თვალებში ჩახედა.

— მეშინია, რომ შენი თავი არავინ წამართვას. იცი როგორ მიყვარხარ!..

არავის ისე ძლიერ არ უყვარხარ, როგორც მე.

სანდრომ ათრთოლებული გოგო გულზე მიიკრა.

ახლა უკვე შინაც იცოდნენ და გარეთაც მათი სიყვარული.

ახლაც ერთად მიაბიჯებდნენ.

— ამ ბოლო დროს გული აღარ მისევნებს, — წამოიწყო სანდრომ, — სიზმარშიც რამდენჯერმე ვნახე ბიჭები. ნეტავ ვიცოდე, რამდენ ხანს მაწვალებს ეს სიძიმე. ახლაც, ამ წუთში, თვალწინ მიდგანან ისინი და ასე მგონია, რომ მათგან რაღაც ძალიან დიდი რამით ვერ დავალებული.

— რით, სანდრო!.. შინაც, რა გგონია!.. შენ რა ბრალი მიგიძღვის, რომ ისინი დაეცნენ და შენ გადარჩი?!.

— არა, ეს არა... შინაც, რაც არ უნდა იყოს, დაიკარგნენ ისინი, ვაჰქრნენ, როგორც ვარსკვლავები ქრებიან და რითიმე რომ შეიძლებოდეს მათი გაცოცხლება...

— სანდრო, შენი ჭირიმე, დარდით ვერაფერს უშველი...

— ერთი რამ მოვიფიქრე, მაგრამ მისი განხორციელება აკადემიის დამთავრებამდე, ვერძნობ, რომ გამიძირდება. არადა, ვშიშობ, რომ ხუთ ექვს წელიწადში ეს ცეცხლი გამინელდეს. მე მინდა ჩვენი იმდღევანდელი ბრძოლის სურათი დავხატო...

— იმ ბიჭების სახეებს როგორ აღადგენ?

— რას ამბობ, მათ რა დამავიწყებს... რა დამავიწყებს ხასანოვის თვალებს. რა, რა თვალეები ჰქონდა! მე ვნახე სიკვდილისა და სიცოცხლის ბრძოლა ამ თვალეებში. ვნახე სიკვდილის დამარცხება. რა ვიცი, რა გამომიგა სურათში. ეხლა რომ დავიწყო უძლური ვიქნები, ახლა რა ძალა ექნება, ან რა ოსტატობას გამოვამჟღავნებ, როცა აკადემიის ზუთი წელი წინაა.

რამდენიმე დღის შემდეგ სანდრომ მარტო შეიარა იმ ეზოში, სადაც ოთარს ცხოვრობდა. აინტერესებდა თუ

დარჩა რაიმე ამ ბიჭისა და რამდენიმე გადარჩენილი სურათის წაღებაც უნდოდა, გულში ასე ღრმად გამჭდარი ოცნების შესრულებისათვის რომ გამოადგებოდა.

ეზო პატარა და ჭუჭყიანი იყო. ქურთი მეჭლანე მორყეულ ჭიშკართან იჯდა და ხის ლანჩიან ღია ფეხსაცმელზე, რომელიც ომის დროს ხმარებაში შემოვიდა, თასმებს წვრილი ლურსმანით ამავრებდა.

მეჭლანემ პირი დააღო, როცა თავს გმირი წამოადგა. ეტყობოდა მეჭლანეს გული დაეწვა ამ მოხდენილი ჭაბუკის კოჭლობის გამო.

— ძია კაცო, — მიმართა სანდრომ, — ოთარ შენგირაძე ამ ეზოში ცხოვრობდა?

— შენი ჭირიმე... ასეთი ახალგაზრდა... უკვე გმირი!.. ის ხომ არა ხარ, ოთარასთან ერთად... ყველანი დაეცნენ... შენ გადარჩენილხარ! — ალტაცებით დაიძახა მეჭლანემ და ფეხზე წამოდგა.

— ოთარის ამხანაგი ვარ, დიასი — უპასუხა სანდრომ.

— შენ გენაცვალე! — ქურთმა გაშვებული ხელი გაუწოდა. სანდრომ მაშინვე ჩამოართვა, — მერე, იმას რატომ არ მისცეს ამნაირი ვარსკვლავი?

სანდრომ მხრები აიჩჩია. შეატყო, რომ ქურთი მეჭლანე არ ეშვებოდა და ჯერ არ ფიქრობდა ოთარის ბინა მიესწავლებინა. კაცი სიხარულით ცმუკავდა და თვალეები უციმიციმებდა, „შენ გენაცვალე“ და „შენი ჭირიმე“ პირზე ეკერა, ქართული კარგად იცოდა, მაგრამ თავისებურ კილოზე უქცევდა.

— ჩვენი ოთარა, პა? აფსუს, რა ბიჭი იყო!.. შენ გენაცვალე, აი, ჩემი სახლი აქ არის. თუ მიკადრებ, მობრძანდი და შენ შემოგველოს ჩემი თავი, ერთ ბოთლ ღვინოს დაგალევინებ ამ გაჭირვების დროს... ოთარას შესანდობარი დაველით... აფსუს, რა ბიჭი იყო! ჯიგარი მეწვის იმის მოგონებაზე.

სანდრო უყოყმანოდ გაჰყვა, მხოლოდ იმ პირობით, რომ მასპინძელი არ

შეწუხდებოდა ღვინოზე და პურმა-რილზე.

— ვინ მოგიყვანეთ! ვინ მოგიყვანეთ! — დაიძახა ქურთმა, როცა თავისი სახლის კარი შეაღო და პარმალზე გამოჩნდა. პატარები ყოყინით შეეგებნენ მამას და სტუმარს. სანდროს ელიმბოდა ამდენი ბავშვის დანახვაზე. მერე როცა შინ შევიდნენ, ოჯახის უფროსმა ყველანი ეზოში დაიფრინა, მეუღლეს კი უბრძანა, ერთი ბოთლი ღვინო დაგვიდგო.

ერთი ბოთლი ღვინო და ცოტაოდენი ნახორხლი, მეავე მწნილი და უცნობთა კეთილი გული.

სანდრომ უთხრა მეკლანეს, ოთარის სურათის წაღება მინდოდაო.

— წადი, ქალო, აიკანუშას უთხარი, ოთარას ამხანაგია-თქო... გმირი-თქო. სურათი უნდა-თქო! — უბრძანა მეკლანემ მეუღლეს და როცა ქალი შინიდან გავიდა, ქურთმა ყიამყრალად შეიგინა, გულმკერდზე მბისე-მოსივა ხელი და დაიბუხუნა, — გულში ცეცხლი დუღს, აი, მურტალი მეზობელი რომ გეყოლებას!..

— დიახ, არიან ასეთები, — ჩაურთო ნახევრად ფიქრში წასულმა სანდრომ.

ქურთი ისევ ოთარის კაი ბიჭობას დაუბრუნდა. ეტყობოდა, ძლიერ ჰყვარებოდა. მაგრამ სანდრო ვერ მიუხვდა ოთარის გამო ასე აუგად რატომ იხსენებდა ვიღაც აიკანუშა მეზობელს.

როცა მასპინძელი ქალი დაბრუნდა, ყველაფერი ნათელი გახდა. სადღა იყო ოთარის სურათი!

წვევამდებლები ნავთლუღის სადგურში ჩამსხდარან თუ არა, მეზობელს უფიქრია, იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ომიდან ოთარი ცოცხალი აღარ დაბრუნდებოდა და თვითნებურად შესულა ოთარის ოთახში. როცა მეზობლებმა უსაყვედურეს, ამას რად სჩადიო, თავი იმართლა: ოთარიმ დაშიბარა, ჩემ აელადიდებას შენ უპატრონე ჩემს დაბრუნებამდეო.

ეს პატრონობა იმაში გამოიხატა, რომ მეზობელი მაგრად მოკალათდა

ოთარის ბინაში, ამ ბიჭის „აგლადიდება“ თანდათან პურისფულად ქცევა, მერე ქრა ის რამდენიმე სურათიც, რომელიც ბიც ოდესღაც გადაეღო ოთარს.

ეს ამბავი რომ გადასცა ქურთმა, სანდროს ცეცხლი მოედო გულზე. ქურთმა შეატყო ეს წამონთება და ცეცხლზე ნათი გადასხა, ქალი იხმო და დაუბარა:

— აიკანუშას უთხარი, ცოტა ხანი მოდი-თქო.

— არ გინდათ, — თქვა სანდრომ, — მე წავალ... ოთარის სახეს რა დამავიწყებს.

— სურათი, სურათი მაინც რა უყო, მე იმისი.. — ქურთს ძარღვები დაებერა და სახე წამოუწითლდა, — ოთარის სურათი. აფსუს, ბიჭო! აი, ასე დავაფასეთ მისი სისხლი... ქურთმა ლოყაზე შემოიკრა ხელი და დამძარებულ სანდროს ვერაფერი სახუგეშო ვერ უთხრა, რადგან თვითონ უარესად მოეწამლა გუნება.

თავი მათა

თეიმურაზი ისევ ფრონტზე იყო. დედამ აუარება წერილი აჩვენა სანდროს, როცა იგი რუსიკოსთან ერთად ეწვია მარტოხელა ქალს.

თეიმურაზი დედას ამხნევებდა. ერთ უკანასკნელ წერილში სანდროზე იწერებოდა, გავიგე გმირი გამხდარაო, ნაწილში თავი მომაქვს, რომ ჩემი უახლოესი მეგობარიო.

თეიმურაზს რამდენიმე ბრძოლაში მიეღო მონაწილეობა. სიამაყით დასძენდა, რომ სამშობლოს ვაჟაკურად აცავდა.

სანდროს გულს სიამე მოჰფინა თეიმურაზის კარგადყოფნამ. ერთი სული ჰქონდა, ჯანსაღი დაბრუნებოდა მეგობარი.

ერთ საღამოს სამხატვრო აკადემიიდან რამდენიმე სტუდენტი ეწვია. ერთი ვაჟი და ორი ქალიშვილი იყვნენ. ვაჟი სამამულო ომის ინვალიდი იყო, პირველივე ბრძოლაში დაეკარგა ფეხი და ხეიბარს სამხატვრო აკადემიაში ვაგრაძელებიანი სწავლა.

— გავიგეთ, რომ თქვენ აკადემიაში გინდათ შემოსვლა, — დაიწყო ლოყაწითელა ქალიშვილმა. იგი ღელავდა, საოცრად განიცდიდა გმირთან საუბარს, ყურადღებას არ აქცევდა იმას, რომ სანდრო მისი კბილა იყო.

სანდრო ბევრჯერ მიუწვევიათ შეხვედრებზე, ბევრგან უნახავს ასე აღელვებული ადამიანები და სანდრო მათ წინაშე უარესად იბნეოდა და ღელავდა.

ასე დაემართა ახლაც. თვალი ვერ გაუსწორა ქალიშვილს და თავი დაბლა დახარა.

ამის შემდეგ ქალიშვილი შეთამამდა.

— ჰოდა, ჩვენ გადავწყვიტეთ, კვირას მოვიწყობთ შეხვედრა... ალბათ, დაიღუბოდი ამდენი შეხვედრებით.

სანდრომ გაუღიმა და უთხრა:

— რა დამღლის... დაბრძანდით, ფეხზე რატომ დგხართ.

სტუმრები ჩამოსხდნენ. ვაჟმა რატომღაც მიმოიხედა ოთახში. სტუდენტთაგან ყველამ იცოდა სანდროს სურვილი და ახლა, ალბათ, აინტერესებდა თვალი მოეკრა მისი რამდენიმე ნამუშევარისათვის. მაგრამ კედელზე ერთადერთი ფოტოსურათის გარდა არაფერი ეკიდა.

— ჩვენ ბევრი რამ წაგვიკითხავს თქვენზე, — განაგრძო ისევ იმ ქალიშვილმა, — თქვენ უკეთ გვიამბობთ...

— ვეცდები, — კვლავ გაუღიმა სანდრომ, — არა მარტო სიტყვით, მე მინდა...

— აბირებთ სურათის დაწერას?

— ჩემი ოცნებაა... თუკი აკადემიაში მიმიღეს.

— განა თქვენ რამე დაგიდგებათ წინ?

— ამბობენ შკაცრი გამოცდებიაო.

სტუდენტებმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს.

— ჩვენ ისიც ვიცით, რომ თქვენ ზუთებზე დაგიმთავრებიათ საშუალო სკოლა. აკადემიაში ერთადერთ გამოცდას სპეციალობაში ჩააბარებთ.

— საქმეც მაგაშია. გამოცდები კარ-

ზე მომდგომია და მე ახლა ვიწყებ მზადებას.

— იქნებ გვაჩვენოთ ^{გარკვეული} თქვენც ნამუშევრებიდან.

— ძველი ნახატები მაქვს... მე თვითონ აღარ მომწონს, — სანდრო წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა, სადაც ბავშვობის დროინდელი და შემდგომ მოსკოვიდან გამოგზავნილი ნახატები ჰქონდა შენახული. ახლა მოიგონა ის გაყიდული სურათი, სპეკულანტმა რომ გამოჰკლიჯა ხელიდან და გული დასწყდა. ის მართლა კარგი ნამუშევარი იყო. სტუდენტებისათვის რომ ეჩვენებინა, უთუოდ მოეწონებოდათ. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ მხოლოდ ერთხელ გადაავლო თვალი, სათუთად დააღაგა და კარადის უჯრაში შეინახა. ახლა ამოიღო, სათითაოდ გადაავლო თვალი, მაგრამ უცებ ყველა ერთად მოხვეტა და უჯრაში ჩაყარა. „აკადემიაში ერთადერთ გამოცდას სპეციალობაში ჩააბარებთ“, — სანდროს გული შეუქანდა, — სხვები რომ უკეთესნი გამოდგნენ? მაშინ წყალში ჩამყრება ყველაფერი... ასე არ მეშინოდა იმ მძლეობთან. მაგრამ ავიღეთ, ო, როგორ ავიღეთ! თავს მოვიკლავ და იმ დიდ ტილოს მაინც დავწერ“...

სანდრო სტუმრებთან ხელცარიელი დაბრუნდა.

— მაპატიეთ... სხვა დროს გაჩვენებთ.

ქალიშვილებს გაელიმათ და წამოდგნენ.

— გელით აკადემიაში.

ხეიბარმა მხურვალედ ჩამოართვა ხელი, ქალიშვილებთან ერთად ქუჩაში აღელვებული გამოვიდა.

სანდროს არსად ისეთი თბილი და საზეიმო შეხვედრა არ ახსოვს, როგორც სამხატვრო აკადემიაში. სტუდენტ მხატვრებს მოესწროთ გმირის სურათის გაკეთება, ლამაზი ტრანსპარანტების გაკერა. ქალიშვილებს ნაირფერი თაიგულები შეეკრათ, ხოლო რამდენიმე სტუდენტსა და მასწავლე-

ბელს, გულიდან ამოსული მღელვარე გრძობა ქალაღზე ჩამოეგვირისტებინა.

აკადემიის დიდი დარბაზი სავსე იყო ხალხით.

სანდროს გვერდით, პრეზიდენტში, იჯდა მოხუცი პროფესორი, სახელმოხვეპილი მხატვარი მიხეილ მოსიძე. იგი თავს ვერ იმაგრებდა მღელვარების გამო და მალიმალ ცრემლს იწმენდდა; სანდროსკენ გადმოიხრებოდა ძვედაყბის თრთოლვით ეუბნებოდა:

— რა საყვარელი ხარ, შვილო!

იგი რატომღაც სხვა სიტყვას ვერ პოულობდა და სულ ამას იმეორებდა. მისთვის სიტყვა არავის მიუცია, მაგრამ თავისი ცრემლითა და ამ ორიოდ სიტყვით გამოხატა ის, რაც გულით ეწადა ეთქვა გმირისათვის.

ტრიბუნაზე ქექნენ ორატორები. მოხუცს სიხარულით უტიროდა გული, ველარ ითმენდა და სანდროს ყურთან კვლავ თრთოდა მისი ბაგე:

— რა საყვარელი ხარ, შვილო!

ხოლო, როცა ითქვა ბევრი ლამაზი, აღფრთოვანებული სიტყვა, გმირს მიართვეს კალათები, კერამიკული უზარმაზარი ვაზა და ფერწერული სურათი და ამით ყველაფერი დამთავრდა, პროფესორმა მოსიძემ სანდრო გულში ჩაიკრა და მხურვალედ გადაკოცნა. ამ დროს ისევ იმ ორიოდ სიტყვას ბუტბუტებდა და ალბათ გვიან ღამით შინსკენ მიმავალი ამასვე ბუტბუტებდა ამ საღამოს მშვენიერებით დამთვრალი და გაბრუებული.

მთვრალი და გაბრუებული იყო სანდროც. გვიანობამდე ისხდნენ შინდაბრუნებული ვაშაქიძეები. მათთან იყო რუსიკოც. ყოველ საზეიმო საღამოს შემდეგ სტუდენტთა ქალაქში აღარ მიდიოდა და ვაშაქიძეებთან რჩებოდა. ანიკოს იგი უკვე თავის შვილად მიაჩნდა და გიგოსაც მოსწონდა. შვილის არჩევანი. მათ ოჯახში რუსიკოს კიდევ უფრო მეტი ცეცხლი და შუქი შემოჰქონდა.



ერთ დღეს მამა დაღონებული მღვდელია შინ. გაზეთი ამოიღო და დასწავლა მორეული ცრემლი მოიწმინდა. მაგრამ ეს არ იყო სიხარულის ცრემლი, რომელიც მამის თვალებში უწინაც შეუმჩნევია სანდროს.

შინ ისხდნენ სანდრო და ლევანი. მამამ ღრმად ამოიხრა და გაზეთი მაგიდაზე გადაშალა.

— რა სახელოვანი კაცი ვახდა და უცებ... — თქვა მამამ და შეილებს გადახედა, — ვიცი, გეწყინება, სანდრო... კონსტანტინე ლესელიძე აღარა გყავს.

სანდროს თითქოს მდულარე ჩაახტოსო გულში, უცებ წამოდგა ფეხზე და მერე ველარაფერი ვერა თქვა, ვერც ვერაფერი მოიმოქმედა. ან რა შეეძლო გაეკეთებინა, რომ ასე უცებ დარდნაკრავი გული დაეშოშმინებინა. იმ საბედისწერო იერიშის წინ შეხვედრის რამდენიმე წუთი ბედნიერ მოსაგონრად ჩარჩა გონებაში.

დღეს კი აღარ არის იგი.

სანდრომ მუხლებში სიძაბუნე იგრძნო და ისევ სკამზე დაეშვა.

გიგო ხამაღლა კითხულობდა გაზეთში გამოქვეყნებულ ცნობას და ხმა ისე უთრთოდა, რომ ბიჭები გრძობდნენ ცრემლს როგორც ყლაპვდა მამა.

კითხვა დამთავრა და სამარისებური ღუმილი დიდხანს არ დარღვეულა.

ლევანს არ ენახა კონსტანტინე ლესელიძე, მხოლოდ მამისა და ძმის ნამბობებით იცნობდა, გაზეთებშიც წაუკითხავს მის მხედრულ ნიჭიერებაზე. მისთვის საწყენი იყო ქართული გენერალ-პოლკოვნიკის დაღუპვა, მაგრამ ისე მაინც არ განიცდიდა, როგორც გიგო და სანდრო. ლევანი ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს. ორივენი ღუმდნენ, ორივე ფიქრობდა.

— ხვალ-ზეგ კიდევ ერთი მარშალი გვეყოლებოდა, — თქვა ლევანმა, რომ ეს უხერხულობა, სამგლოვიარო ღუმილი დაერღვია.

მამამ აღმაცერად გამოხედა.

— მაში კაცი იყო, ღმერთივით კაცი... — ძლივს მოძებნა სიტყვა ვიგომ. სანდრო გახეთს ვადასწვდა, თავისკენ მიიწია, მაგრამ ზედ არ დაუხედავს.

თბილისი ძაძვებით შეხვდა თავისი სახელოვანი შვილის ცხედარს.

კონსტანტინე ლესელიძე ოფიცერთა ხალხის დიდ დარბაზში დაასვენეს.

ვაშაქიძეების მთელი ოჯახი წავიდა გამოსათხოვრად. რუსიკოც დაელონებინა ამ სამწუხარო ამბავს და თავდახრილი მიპყვებოდა ანიკოს.

სანდრო დილიდანვე ოფიცერთა სახლში ტრიალებდა. რამდენჯერმე საპატიო ყარაულში იდგა. გაფითრებულ დაპყურებდა ცხედარს და გულის გამალეზულ ცემას გრძნობდა. კონსტანტინე იწვა მშვიდად, თითქოს სძინავსო, თითქოს ქვეყნის წინაშე უკვე მოიხადა ვალი და ახლა სამუდამო მხარეში უნდა დაისვენოსო, სანდროს თვალთაგან არ შორდებოდა ბლინდაყის სურათი, გენერლისა და ოთარის ხმები ისევ ჩაცემოდა. „რა ხმა გქონია, ბიჭო!“ ის ხმა აღარ არის, აღარც ამ სიტყვების მთქმელია დღეს ცოცხალი.

და დღეს არა მარტო კონსტანტინე ლესელიძის ცხედარს ედგა საპატიო ყარაულში, იმ უსაჩილო მადლობზე დაცემულ ბიჭების ხსოვნასაც ამით სცემს პატივს გვირს დიდებით მოსილი სანდრო.

როცა ვიგო, ანიკო, რუსიკო და ლევანი დარბაზში შევიდნენ და აკრეფილი ნაბიჯებით გამოჰყვენენ ხალხის მწყობრს, სანდრო საპატიო ყარაულში იდგა. იგი თვალს არ აშორებდა თავისიანებს.

მამა წამით შეჩერდა, ქუდმოხდილმა ცხედარს დახედა და მის თვალში ცრემლმა იელვა. ალბათ, ამ წუთებში ვაახსენდა თბილისის სამთო-საარტილერიო სასწავლებელი, ბატარეით საბურთალოს და ავჭალის ველისკენ რომ გაიგვლეხებდნენ, საღამოს მტკვარზე ცხენებს ჩარეკავდნენ... დეზების წყარო

ნით ქალაქში გაივლიდნენ მოხდენილად ჩაცმულნი და მნახველებს თვალს უხარებდნენ. ეს იყო დიდი ხნის წინათ. მას შემდეგ მრავალმა წელმა ჩაიარა.

ვიგოს თვალში ცრემლი მორგოდა. ქუდი ცოტა მაღლა, გულთან ეჭირა, მერე მოწყვეტით ჩამოუყარდა ხელი და ხალხის ნაყადს გაჰყვა.

ვაშაქიძეები შინ დაბრუნდნენ. რუსიკო ოფიცერთა სახლის შესასვლელში სანდროს დაელოდა. უკვე კარგად ბნელოდა, როცა რუსთაველის პროსპექტს გამოჰყვენენ.

— დღეს ძალიან დავიღაღე, — თქვა სანდრომ. — ასე თავის დღეში არ დაუჩივლია. ეტყობოდა მართლა უხომოდ მოქანცულიყო. სიარული უჭირდა. ფეხი აწუხებდა.

რუსიკო გრძნობდა, როგორ გამოიცივალა სანდრო. მეოცე წელში გულამდგარს უკვე აღარ ჰქონდა დაწყნარებელი ნერვები. მალე ილღებოდა, სამწუხარო ამბავს მეტად მტკივნეულად განიცდიდა და იტანჯებოდა.

უწინ თუ რუსიკო ბავშვურად, სიცულქით, გატაცებით შეჰხაროდა სანდროს, ახლა ისიც დაედინჯებინა მეგობრის ყისმათს. როცა კი სანდროს შუბლი მოეღრუბლებოდა, რუსიკო სანუგეშო სიტყვას ეძებდა და უაღერსებდა.

ლესელიძის სიკვდილმა სანდრო ისევე შეესძრა, როგორც იმ ბიჭების დელუპამ. რამდენიმე დღის შემდეგ თავდახრილი მიაცილებდა ქვეშების ლიფტზე დაღმეულ კუბოს. ხოლო, როცა ვერის ძველ სასაფლაოზე ნეშტი სამირეში ჩაუშვეს, სანდრო რუსიკოს ხელს მაგრად უჭერდა თავის მარჯვენას და ცრემლს ძლივს იმაგრებდა.

თაზი მეთორმეტი

ერთ საბედისწერო ღამეს დაკარგული სისხლი და ჯანი უცებ ვერ აღსდგა. ეჭიმიები ურჩევდნენ სანდროს, ქალაქს გასცლოდა და საღამე, მიყრუებულ ადგილას დაესვენა. ამავე დროს, სანდრო

გამოცდებისათვის უნდა მომზადებულიყო.

ისევ ალიანი, ისევ ის, ბავშვობის მოგონებათა ნავსაყუდარი.

...სანდროს უნდოდა მზის ჩასვლას მეტეხის ხილთან შესწრებოდა, მაგრამ, როცა ის და რუსიკო სადგურზე ჩამოვიდნენ, უკვე შებინდებულიყო.

სანდროს თან მოჰქონდა საეტიუდო ყუთი და ზეთის ფერები, იმ გაქირვების ეპოს ცეცხლის ფასად რომ იშოვნა.

სამზრეთ მთიანეთის თხემს ოდნავღა შერჩენოდა ჩამავალი მზის სინათლის ბეწვი. ხეობები ჩამუქებულიყო, სოფლებისაკენ, ბარისაკენ ღამე მოიპარებოდა.

სადგურზე, უწინ, ეტლები და ავტობუსი უხედებოდა მგზავრებს. მეეტლეები შუადამითაც კი ჩამოდიოდნენ სადგურზე დაგვიანებული მგზავრების წასაყვანად. მაგრამ, ახლა, ეტუობა, ეტლები შინ დაუყრიათ, მეეტლეები თავიანთი ცხენებით სამშობლოს დასაცავად წასულან. მგზავრმა იცის, რომ ფეხით უნდა გაუდგეს გზას, თავს ჩაღუნავს და გასწევს.

სანდროს არც გაჰკვირვებია სადგურის მოედნის სიცილიერე. შეფიქრიანდა კი, შვიდიკლომეტრიან გზაზე ფეხით როგორ ივლიდა. ბავშვობაში, ვინ იცის, რამდენჯერ ჩამოურბენია სოფლიდან სადგურზე, არც დაღლა უგრძენია და არც ფეხის ტკივილი.

— სანდრო, შენ სადგურში მოიცადე, მე სოფელში ავირბენ და... — დაიწყო რუსიკომ.

— რათა?! — შეაწყვეტინა სანდრომ და გაკვირვებით შეხედა რუსიკოს, რომელსაც სევდა ჩასდგომოდა წყლიან უვალეზში. სანდრომ იგრძნო როგორ შეებრაღა იგი გოგონას და თავდაც მოეწვა გული.

— ჰო, რა იყო... ხელად ავირბენ სოფელში და ურემს ჩამოვაყვანინებ...

— რათა, რუსიკო?

— დამიჯერე, სანდრო... თუ გიყვარვარ, დამიჯერე! მე ხელად გავჩნდები

აქ. შენ ხომ იცი როგორ გავფრინდები...

— ძეც შენთან ერთად გამოფრინდები, — ძალუშად გაიღიმა სანდრომ და მხოლოდ ახლა ინანა, რატომ დილის მატარებელს არ გამოვეყვითო. ისიც კარგი იქნებოდა, დროზე რომ შემოეთვალათ სოფელში, ურემს სადგურზე დაახვედრებდნენ.

— წავიდეთ, რუსიკო... ვითომ რა, ვერ შევიძლებ სიარულს?

— რა ძალა გადგას... ამით მაწყენინებ და მეტი არაფერი, — ტუჩები გამობურცა რუსიკომ, — თუ გგონია ესეც გპირობაში ჩაგეთვლება.

— აბა, რაღა ვითხრა... მეც არ ვიცი რა ვითხრა.

— წამოდი, წამოდი. სადგურში მომიცადე, სანამ მიიხედ-მოიხედავ, მეც აქ ვიქნები ურმით, — რუსიკომ ხელი დაუჭირა და სადგურის შენობისაკენ წაიყვანა სანდრო.

ბაქანზე მყოფმა რამდენიმე გლეხმა თვალი გააყოლა ქალ-ვაჟს.

— ბიჭო, ესა ის არ არი, ალიანელი?

— ჰო, ის არი!

— ეს გოგო-ბიჭი შეყვარებულები ყოფილან და სულ ეგრე დადიან თურმე...

— ე მარჯვენა ფეხი როგორ მიაქვს! რა ჯეელი დაამახინჯეს!

— მაგის სახელთან ეგ სიმახინჯე არც მოჩანს.

— მაშ, მაშ...

სანდრომ და რუსიკომ ზოგი რამ გაიგეს გლეხთა გადალაპარაკებიდან, ზოგს ვერ მოჰკრეს ყური.

როცა ბაქნიდან ქვევით რამდენიმე საფეხური ჩაიარეს, სადგურის აივანზე მორიგე შეეგება მათ.

— მეცნობი და თანაც ვერა... — მიმართა მან სანდროს, მერე რუსიკოს შეხედა, — ამას კი ვინ არ იცნობს!

მორიგე მორიგეს ჩამოართვა ხელი.

რუსიკომ მიმართა თავის ნაცნობს:

— მე სოფელში მივდივარ ურმის

ჩამოსაყვანად, სანდროს თქვენთან ვტოვებ, არ მოაწყინოთ.

— მობრძანდი, შენი ჰირიშე, გმირს ყველგანა აქვს კარი ღია. მოგაწყინოთ კი არა, ამდღამ ჩემთან მოისვენეთ და ხვალ დილას გაუდგებით გზას.

— არა, — თქვა ჭიუტად რუსიკომ, — გმადლობთ, — საეტიუდო ყუთი, რომელიც მხარზე ღვედით ჰქონდა მოგდებული, სანდროს დაუტოვა და გზაზე გაფრინდა. სანდროს თვალი არ მოუშორებია, ვიდრე ხიდის თავში ბორცვს არ მიეფარა.

— ცეცხლია, გოგო კი არა, — თქვა სადგურის მორიგემ და სანდრო თავის ოთახში შეიპატიჟა, — დაბრძანდი, გეთაყვა... ჩვენებური ყოფილხარ, სასიამოვნოა, ფარნას შევიღიშვილი... ფარნას როგორ არ ვიცი. გადარეულა კაცი სიხარულისაგან, ეს რა შევიღიშვილი მყავსო. გაეხარებდა რომ მიხვალ. ფეხს ძლიერ იტყიებ? კვირისთავი ამოგაცალეს, ჰა? მუხლში ვეღარ მოხრი, ჰა? ეჰ, რას იზამ, ძმაო. შენ კარგი ბედი გქონია მაინც... ეს ვარსკვლავი წმინდა ოქროა, ჰა. ლამაზი რამე კი არის ეს ლენინის ორდენი, — სადგურის მორიგემ ორდენს ქვეშ ხელი შეაცურა, ხელისგულზე დაიდო და დააცქერდა, — მართლა კარგი რამე არი, — მერე ხელი უშვა და ახლა შორიდან შეხედა, — მართალია ძვირად დაგიჯდა ეს სახელი, მაგრამ სამუდამოდ ბედნიერი ხარ, ძმაო.

რამდენიმე გლეხი კართან დამდგარიყო და ცნობისმოყვარეობით იცქირებოდნენ სამორიგეოში.

მეზობელი სადგურიდან დარეკეს. მორიგე ყურმილს მისწვდა და მისმა ხმამ იქაურობა გააყრუა, რალაცაზე გაბრაზდა, მერე მოღბა, მერე ისევ მოუვიდა გული და როცა ყურმილი ჩანგალზე ჩამოჰკიდა, სანდროსკენ ისევ ღიმილით გამოიხედა.

დალამდა.

ფანჯარასთან ქადარი შრიალეზდა. მტკვრის ხმაური და ტელეგრაფის მავთულების ზუზუნი მოდიოდა. მიჰქონ-

დათ და მოჰქონდათ ამბები მეკთულეებს, ზუზუნებდნენ, ზუზუნებდნენ.

ხანდახან სადგურის წინ ჩაიქროლებდა მატარებელი.

სანდროს მოთმინება აღარ ყოფნიდა. მაღიძვალ წამოდგებოდა, ჯობს ააბაკუნებდა და აივნიდან გზას გახედავდა.

შორს, სოფლებში უკვე აქა-იქ გაერთა ცინცხალი. ცაზე ვარსკვლავები რიგრიგობით ჩამოსხდნენ და მალე მომრავლდნენ.

აი, ნანატრი წუთი: რუსიკოს უმცროსმა ძმამ, პეტამ, დაგვიღილი ხარებით მოარახრახა ურემი. რუსიკოს ზედ იჭდა.

პეტა ძმურად გადაეხვია სანდროს. რუსიკოს ურემზე ფარდაგი დაეფინა და ორი მუთაქაც დაეგდო.

სადგურიდან ნელა გაუდგნენ გზას. პეტამ სოფლიდან თუ სირბილით დასწყვიტა ხარები, ახლა ნელა მიელაღებოდა მათ. აღმართიც იყო და შეიბრალა პირუტყვი.

მთვარე გამოჩნდა და გზა გაანათა. ასეთ სიმყუდროვეს მართლა ინატრებს კაცი.

წყნარი საღამო დადგა.

ურმის ჩრდილი გზას ეფინა. რუსიკოს ხან ურმის ზეწარზე წამოსკუპდებოდა და ორივე ხელით ქალებს ეკიდებოდა, ხან სანდროს მიუჭდებოდა და პეტას უწუმრად მხურვალედ ეალერსებოდა.

პეტა სახრემომარჯვებული იჭდა კოფოზე, მაგრამ შინისკენ მიმავალ ხარებს ერთხელაც არ დასჭირებიათ პატრონის შეხურება.

რუსიკო რომ სოფელში ისულა, ჯერ თავისიანები დაუყენებია ფეხზე, მერე მოხუცებთან ფარნასთან და ელენესთან გადართებენ და უხარებია შევიღიშვილის ჩამოსვლა.

...ურემი ბოგირს გასცდა. სანდრომ ნაცნობი სახლის სამკუთხა სახურავი შორიდან კარგად გალანდა. აქედანვე ჩანდა, ფარნას როგორ გაეჩირადნებინა თავისი კარმიდამო. კაკლებსა და თუთებს შუქი ეფრქვეოდა აივნიდან და

ისე სჩანდა თითქოს კელაპტრები ან-თიაო.

სანდროს გაეხარა თავისი შშობლი-ური კერა ასე საზეიმოდ დახვედრა.

ვინ იცის რამდენჯერ უნატრია ეს გზა და ეს ბოგირი, ეს ხევი და ფერდობი.

მთვარე კარგა მაღალზე წამოვიდა და ყველაფერი მიხატ-მოხატა.

ფარნა და ელენე კიშკართან შეეგებ-ნენ შვილიშვილს. აქ უამრავ მეზობელს მოეყარა თავი-ღამე რომ არ ყოფილი-ყო, ალბათ მთელი სოფელი მოვიდო-და. უმეტესად ბავშვები, ქალები და მო-ხუცები იყვნენ, აქა-იქ ხეიბრებიც ერივ-ნენ.

ელენე ათრთოლებულ გულზე იკრავ-და შვილიშვილს და ცრემლი დაბადუ-პით ჩამოსდიოდა. სანდრო მთვარიანში კარგად ხედავდა მის დამკვნარ ლო-ყებს, გრძნობდა, რომ უფრო მეტად მოტეხილიყო დიდდა. სანდრომ ლო-ყები გადაუტოცნა და მერე პაპას გადაე-ხვია. მეზობლებს მიესალმა. ყველამ ხელის ჩამოსართმევად გამოიწვია. მი-ესალმნენ, მიულოცეს შეაქეს, მარჯვე-ნა დაულოცეს., სინანულიც გამოსთქვა ზოგიერთმა მისი კოჭლობის გამო.

ხალხი ფარნას ეზოში ჩალაგდა. გმირი კაკლის ხის ძირას მრგვალ მაგიდასთან დასვეს და მაშინვე ის საგმირო საქმე აამბობინეს.

ვინ იცის რამდენჯერ უამბნია, ვინ იცის რამდენჯერ გაუხსენებია დაცემუ-ლი ბიჭები. ყველგან უყოყმანოდ ყვე-ბოდა მათზე.

ხალხში რუსიკოს დედაც ერია. რუ-სიკო დედას ეკვროდა. ქალი თვალს არ აშორებდა სანდროს და გუნებაში ფიქ-რობდა:

„დიდება შენდა, ღმერთო, ჩვენი სან-დროს... აბა, რას ვიფიქრებდი“. რუსიკოს მღელვარე ხმით წასჩურჩულა:

— ბედნიერი იყავით... თქვენ შემო-გველოთ დედა!

„შუღამე გადავიდა. ახლა აივანზე მხოლოდ შინაურები სხედან. აქვე არი-ან რუსიკო, პეტა და მათი დედა, სა-

ლომე. სალომე სანდროს არ შორდებო-და. რუსიკოს ეს უხაროდა და მზად იყო ხელები გაეშალა, თავისი გოგონა გაეხსენებინა და ალიანში ერთხელ კი-დეც გაეწკრიალებინა თავისი სიმღერა. რუსიკოს გული ვერ ისვენებდა, ფორი-აქობდა.

ახლა ძილში გაყურსული ალიანი ის ალიანი აღარ იყო, რაც ბავშვობაში, ამ რამდენიმე წლის წინანდელი აბსოცს. ახლა ბევრი ოჯახი დაიბლდა, ხალხი გულჩათხრობილი გახდა. რუსიკოს ხმა უწინდებურად ვეღარ გაიწკრიალებს ორლობეებსა და შუკებში.

აგერ, ის სამზარეულო, სადაც ორი-ოდე წლის წინათ სანდრომ პირველად აკოცა. რუსიკოს უნებურად გაახსენდა ის დღე და სანეტაროდ ეჩვენა. ამ მოგონებამ კიდევ ერთი ბედნიერების სევდანარევი წვეთი მიუმატა მის მღელვარებას.

პაპა ფარნა უკვე მეორედ თუ მესა-მედ აყოლებდა სანდროს...

— მარტო შენ გადარჩი, პა?

მოხუცდა პაპა ფარნა. თმა თოვლი-ვით თეთრი აქვს და ესეც საკმაოდ მო-ტეხილა. სანდრომ პირველად რომ უამ-ბო თავისი თავგადასავალი, იქიდან ცო-ტა რამ დარჩა მის მეხსიერებაში. სიტ-ყვას მაღიმალ შეაწყვეტინებდა, ბეჭებ-ზე ხელს დაუტყაბუნებდა და ეტყოდა:

— ახლა ისე მიყურებენ სოფელში, თითქოს მე ჩამედინოს გმირობა... ამდენ-ნი ხანი ვიცოცხლე ქვეყანაზე, ალიანში ბარე სამი-ოთხი თაობაც მოვიდა... დღეს კი, გზაზე რომ ჩავივლი, შენი ტოლები ერთმანეთს ებუტუნებნიან, განა არ მეს-მის, აგერ, სანდროს პაპა მიდისო...

სანდროს გაელიმა, პაპას მოეხვია და ერთხელ კიდევ გადაკოცნა.

— ასეა, შვილო, შენ ისეთმა საქმემ წამოგწვია წინა რომ... მე ვინა ვარს... აბა, რა სათქმელია... სანდროს პაპაო. მე ოთხმოც წლამდე ვიცოცხლე, შენ ოცი-სა ხარ... სანდროს პაპაო... ასე იცის დიდმა საქმემ, სახელმა. საიდან სად გიცნობენ! მე კი ალიანს იქით ორიო-

დე კაცი თუ მომიგონებს. ასე იცის დიდმა საქმემ. მაშ, მაშ! შენ კი გენაცვალე, ჩემო ბიჭო!

თავი მესამე

ომის მესამე წელი მიდიოდა. ალიანს ისე დასტყობოდა ომის სუსხი, ისე მიეყრუებინა და დაეჩუმიებინა ოდესღაც ხმაურიანი, ხალხმრავალი სოფელი, რომ სანდროს იქაც კი უძძიმდა გაჩერება მის აფორიაქებულ გულს სიმშვიდეში ვერ გაეძლო. ან კი როგორ გასძლებდა, როცა თავის მშვენიერ სოფელში ბევრ ჭვრივ-ობოლსა და ხეიბარს ხედავდა. და აი, მათ შორის თვითონაც.

აღმართში სიარული უჭირდა და როცა გორაკზე ალიანის სანახების დასაწყობად გასწევდა, თხემზე ასვლას კარგა ხანს უნდებოდა. რუსიკო ეხმარებოდა.

ერთად ისტინენ. სანდრო ხატავდა, რუსიკო იჭდა და შეკაყურებდა.

პირველ ხანებში, სანამ სანდრო დასძლევდა სევდას და უჩვეულო მყუდროებას შეეგუებოდა, შეუთვისებდა თავის გულის ფეთქვას, მანამდე ნერვიულობის გამო საქმესაც ვერ უდებდა გულს. მაგრამ კვლავ ეძახდა, უხმობდა ის მთავარი... ხანდახან ძილშიც შეადვილებდა. ყურს უგდებდა გულის ხმაურს და მეორე დღეს, დილიდანვე, საეტიულო ყუთთან იჭდა.

დილას მუშაობდა. ხატავდა ყველაფერს, რაც მოეწონებოდა, რაზედაც თვალი წაუვიდოდა, მეზობლის წითელკაბა გოგოს თუ კონკილაზე შეყვებულ ურემს, პაპა ფარნას აბურბურულეზულ დაზგას თუ თავსაფრიან დედაკაცებს, თონეში აბურბურებულ ჩინჩხვარს თუ მოფრთიანებულ წიწილებს... და სადღაც გონების სიღრმეში მაინც იმას ხატავდა, იმ მთავარ სურათს. ის დიდი და მთავარი გონებაში იხატებოდა, გონებაში მუქდებოდა და მოსვენებას უკარგავდა. უხაროდა კიდევაც, რომ გული არ სთმობდა, რომ სადღაც დიდი მწვერვალისაკენ ეწეოდა და უყიფინებდა.

დიდდა თავს დასტრიალებდა, ხელს უწყობდა, რომ ჯანმრთელობა აღედგინა. მისი დიდხანს მუშაობა აფიქრებდა და ხანდახან უშლიდა კიდევაც.

სანდრო ნაშუადღევს სოფლის კლუბში იყო. დარბაზში გამოფენილ დიდ რუკას შეგნედავდა, სადაც სოფლებებს მოეყარათ თავი.

კლუბიდან სანდრო კოლმეურნეობის კანტორაში ამოვიღოდა. აქ სამამულო ომის რამდენიმე ინვალიდს ზედებოდა. ახლა ეს ინვალიდები განაგებდნენ კოლმეურნეობის საქმეებს მამაკაცები აკლდათ და ქალების მძიმე ტვირთიც ძლიერ აწუხებდათ.

ცალმკლავა თავმჯდომარე მარცხენას ვერ კიდევ კარგად ვერ ხმარობდა, წერაში ახლა ხელმეორედ ვარჯიშობდა, ბატიფეხურით აწერდა თავის გვარს. პარტორგანიზაციის მდივანი ქალი იყო, ბრიგადირები და მერგოლურები ქალები იყვნენ. ცალმკლავა ხეიბარი ქალების პატარა არმიას განაგებდა.

როცა სიმინდის სათონხად გავიდნენ, სანდრომაც შეაშველა ხელი. პაპა ფარნამ რომ თოხი აიღო, სანდრომაც გალესა თოხის პირი.

თავმჯდომარე შეწუხდა ცალ ხელში ჯოხი და მეორეში თოხი რომ დაუნახა სანდროს. აქამდე ისეთი პატივითა და რიდით ზედებოდა ხოლმე წლოვანებით თავისზე უმცროსს, რომ სანდროს ხშირად ეუხერხულებოდა კიდევ.

— ეს რა გიფიქრიათ, სანდრო? თქვენი ჭირიშეთ! — ცალი ხელი გაშალა ხეიბარმა.

— მე და პაპანემი მიჩვეული ვართ ერთად მუშაობას... — თქვა სანდრომ.

— ასეთი სახელოვანი კაცი გვეყვება ალიანში, შენ როგორ დაგაკავებინებ თოსსა, რას ამბობ, — შეწუხდა თავმჯდომარე და იქ მყოფთ გადახედა, — პა, რას იტყვი, ძია ფარნა?.. თოხი არ უნდა მიგეცა... როგორ ეკადრება!

— ვითომ რადაო? — შეიცხადა ფარნამ, — მე რა.. ასეთი უკადრისა კი არ გავგიზრდია..

— მართალი ხარ, პაპაჩემო... ბევრი სისხლი და ჯანი დავკარგე და აი ახლა, თოხს რომ მიწას შეეახებ, ასე მგონია, რომ ყველაფერი დამიბრუნდება... — თქვე სანდრომ და თოხის პირს დახედა წილან რომ გულდაგულ ლესავდა.

— რაღა შეტქმის რა! — ცალი მხარი აიჩეჩა თავმჯდომარემ.

— აბა, წავედით, ხალხო!.. საქმეს დროზე უნდა მიხედვა! — დაიძახა ფარნამ და როგორც ყველაზე უხუცესი წინ წაუძღვა მთოხნელებს.

თოხნიდნენ.

მზე წამოვიდა. ჩამოცხა.

ქალებს ბალებიცი წამოეყვანათ. ბალები ჩრდილოში ბუღრაობდნენ. მოშვიდათ და სამხრობისას გაშლილ დარიბულ სუფრას მადიანად დააცხრნენ.

ღვინო არ ისმევოდა, წყალი ბევრი დაილია.

პატარა ბიჭები ლიტრიანებით მოარბენინებდნენ წყაროს ცივ წყალს.

რუსიკო ქალებთან იჯდა. შორიახლო სანდრო პაპის გვერდით დამჯდარიყო.

— შენ გაზრდას, ბიჭო, ერთი ლიტრა აქეთაც მოგვირბენინე, — გასძახა ფარნამ თვალმალხაზა ბიჭს.

— ეხლავე, პაპა ფარნა!

ფეხმარდმა ბიჭმა ხელად მოარბენინა წყალი. სანდრომ ლიტრიანის ტუჩი პირზე მიიღო და წყალი რომ არაკრავდა და ლიტრიანის მუცელში რწევა დაიწყო, სანდროს ისე მოეჩვენა, თითქოს მფეთქავი გული უქიარავს ხელშიო.

როცა თოხნიდნენ რუსიკო სანდროს არ შორდებოდა. სანდროს ორივე ხელით თოხის ტარი ჰქონდა მომარჯვებული, ჯოხი ყანის პირას დაეტოვებინა. მარცხენა ფეხს ძალას ატანდა, ზანდაზან სიმწრის ოფლი გადაჰკრავდა, მაგრამ მიწის სუნთქვა ისევ მატებდა ძალას. არავის ჩამორჩებოდა.

ქალები გამოხედავდნენ ქალ-ვაყს და ერთმანეთს ჩურჩულით გამოეხმაურებოდნენ:

— როგორ უხდებიან ერთმანეთს!

რატომ ჯვარს არ იწერენ?

— რა ეჩქარებათ რა... ჯერ ასე გაიხარონ. უღელს თავის დროზე მოესწრებიან.

სულწასულმა გოგოებმა კვ. უთხრეს რუსიკოს:

— ხელს რატომ არ აწერთ გოგო!

რუსიკოს ლოყები აუწითლდა და უფრო მეტი ეშხით აუციმიცოდა თვალები.

— ჯერ ქვეყანა დაშოშმინდეს. — იყო მისი პასუხი.

სალამოს კი სანდროს ეუბნებოდა, რაც გოგოებმა უთხრეს.

— განა სწორედ არ ვუპასუხე?! შენც ხომ ასე ფიქრობ, სანდრო?

— ჩვენ მაინც ერთად ვართ და სიკვდილამდე ერთად ვიქნებით!

სანდრო კალთაში უდებს თავს რუსიკოს, თვალებს ნაბავს და ყურს უგდებს ალიანის სიჩუმეს, იღუმალს, უძიროს. მერე თვალს ახელს და ვარსკვლავების უსასრულობაში იკარგება მისი მზერა.

საოცარი ცაა. ჩუმად ციმციმებენ ვარსკვლავები. ღუმს დიდი და უსასრულო სამყარო. მეტეორები მიჰქრიან ჩუმად. რუსიკოც იხრება ჩუმად და კონცის სიტკბოში იძირება სამყარო.

თავი მეთოთხმედი

ივლისში ლევანი უნდა ჩამოსულიყო თბილისიდან. სანდროს მოენატრა ძმა. შრომასა და მეცადინეობაში ხელად წასულიყო თვენახევარი. სანდროს ეუბნებოდნენ, რომ ძლიერ მოიკეთა, მაგრამ ამას ყველაზე მეტად თვითონ გრძნობდა. თოხის და ნამგლის ტრიალში სისხლი აუღულდა და კუნთები შეუმაგრდა. გულში ხალისი გაუჭდა. ახლა დილა-სალამოს ხალისით წერდა ეტიუდებს. თვენახევარში უამრავი სურათი დაუგროვდა.

შეხვედრებით ახლაც არ უსვენებდნენ. მეზობელ სოფლებში მიჰყავდათ. აქებდნენ და ასაჩუქრებდნენ, მარჯვენას ულოცავდნენ და მადლიერების გრძნობით ისტუმრებდნენ.

სანდრო კვირას ელოდა ძმას. მაგრამ ერთ სამშაბათ სალამოს ჭიშკარი ორმა

ჭაბუკმა შემოალო. ერთი, მათგანი ლევანი იყო. სანდრომ მაშინვე იცნო ძმა. მაგრამ მეორე ვიღაა, სამხედრო.

სანდრო აიგნის კარს მიუახლოვდა და ის ორი ჭაბუკი კიბეზე ამოვიდა.

— სანდრო, ვინ მოგიყვანე! — დაიძახა ლევანმა და სამხედროს ჩამოეცა-ლა.

აიგნე შემოსულს ლამის შუქმა გაუნათა სახე.

— თეიმურაზ, ძმაო! — ხელეები გაშალა და გადაეხეია, გული ამოუჭდა. რატომღაც ისე მოეჩვენა, თითქოს კიბეზე ამოდიოდნენ ისინიც, შოთა, ოთარი, ხასანოვძე..

— მოგილოცავ, ბიჭო!.. — ცრემლნარევი ხმით უთხრა თეიმურაზმა.

ერთმანეთს ხელს არ უშვებდნენ, თითქოს შინობდნენ, რომ არ გასცლოდნენ, რომ სამუდამოდ ვეღარ შეხვდებოდნენ.

ფარნამ და ელენემ გადააკონეს შვილიშვილის მეგობარი.

თეიმურაზი ისევ სანდროს მიუბრუნდა.

— როგორ მომენატრე, ბიჭო.

— ახლა მე მკითხე... მომენატრე და მერე როგორ! ბიჭოს, შენც გქონია მოსალოცი.

თეიმურაზს მკერდზე წითელი ვარსკვლავის ორდენი ჰქონდა.

— ჩემი ჯილდო შენ ჯილდოსთან როგორ მოვა.. რა ვქნა, რაც შემძლია ვიბრძვი, არავინ დამემდურება.

— ორივე კარგი ბიჭები ხართ, — ღიმილით ჩაერია ფარნა, — აბა, დედაკაცო! — შეუძახა ელენეს, — ბიჭებს ეშვიბათ.

ელენემ ფრთა გამოისხა, ჭაბუკების ხმაურმა ძალა შემატა.

სანდრომ და თეიმურაზმა სკოლაში იცოდნენ ასე: სხაბასუბით უყვებოდნენ ამბებს ერთმანეთს. ახლაც არ დავიწყნით ძველებური. განსაკუთრებით თეიმურაზს. მას ბევრი რამ ენახა და განეცადა, მრავალ ბრძოლაში მიეღო მონაწილეობა და სალაბარაკო მას უფრო მეტი ჰქონდა.

ფარნამ თავისი გაიხსენა, ოთხმოცდეტურამეტში თურქებს რომ ეომებოდა. ძუნწად გაიხსენა და დასძინა.

— ღმერთმა დასწყევლა ეს ომი! გული მეწვის, ისეთი ბიჭები დაკვარგეთ ალიანიდან რა დროს თქვენი ჩხუბი და დავიძარაბა იყო, ხეირიანად დედის რძეც არ შეგშრობიათ პირზე. ასე უცებ ერთი ჭარმაგი კაცის ცხოვრება გაიარეთ. ღმერთმა ნუ გვანახვოს მეორე ასეთი ომი...

ლამის შუქი ანათებდა თეიმურაზის საკმაოდ გამოცვლილ სახეს, დაეკაკებულს, შერუჭულს. ხმაში ხრინწი გამოერეოდა. თვალები კი, ისევ ის თვალები ჰქონდა, ცოცხალი, მოუსვენარი.

ლევანი დიდედას მიეხმარა. სუფრა გააწყობინა ფარნამ ერთი ლამაზი გამოიტანა და აიგნის მეტი შუქი მოჰფინა, მერე შარშანდელი გადანახული ღვინო ჩამოღდა სუფრაზე.

რუსიკოს, რომელიც ამ დროს შინ ტრიალებდა, შეუნიშნავს ფარნას კარმიდამოს გამოცოცხლება. გულმა აღარ მოუსვენა, მაგრამ გვიან იყო და სანდროსთან მისვლა ვერ გაბედა. დილას კი კალოზე მიდიოდა და სანდროს გამოუთარა.

თეიმურაზს ძლიერ მოუნდა კალოზე წასვლა, ეს ერთი დღე უნდა გავატარო სოფელში და უკეთეს ადგილას სად წავალო. გაიცნო რუსუდანი. თამამ გოგოს თვითონაც შეუთამამდა. გზაზე მეგობრული საუბრით გასწიეს.

კალოზე ხელი გაშალა თეიმურაზმა. სამხრებთან ხალათი გაიძრო და მაისურის ამარა ზენის თავზე მოექცა.

იმ დროს ალიანში ისღა ჩანდა მკლავ-მაგარი მამაკაცი და დედის მზე დაულოცეს ალიანელებმა.

დრო მალე გავიდა. თეიმურაზის წასვლის ეამმა მოატანა. ძნიდან ჩამოვიდა და კოკა მოიყუდა. დუბელა იღვა კოკაში, მაგრამ პირი მაინც არ მოაშორა.

ერთი თვალშურთხა გოგო ეუბნებოდა, მაგ წყალს ნუ სვამ, ახალს მოგიტანო. თეიმურაზმა სანდროს გვერდით გაჩერებულ გოგოს შეხედა. შეხედა და

სადღაც გულის სიღრმეში ყველა ძარღვი გაუწყდა. გოგომ თავი დახარა და მეტი არაფერი უთქვამს. ხალხი აქეთ იყურებოდა.

თეიმურაზმა ხალათი გადაიცვა, გლენებს გამოემშვიდობა და გზას დაადგა. გასაცილებლად გაჰყენენ სანდრო, რუსიკო და ლევანი.

— ის გოგო ვინ იყო? — როგორც იქნა მოახერხა თეიმურაზმა.

— გულში ჩავივარდა? — ჰკითხა სანდრომ და მკლავი მოხვია შეგობარს.

— რა ვიცი... დაბრუნდით ახლა, სადგურამდე ლევანი ჩამაცილებს. შენ ფეხს გაუფრთხილდი, სანდრო. შინ რომ ახვიდე, ჩემს მაგივრად ერთხელ კიდევ აკოცე შენს მოხუცებს. რა ტუბილი ხალხია. მოდი და ამ ხალხისთვის სიცოცხლე დაიშურე.

— ის გოგო, ბიჭო!

— რა ის გოგო!

— თუ მოგეწონა.. თქვი თუ მოგეწონა, — ჩაერია რუსიკო.

თეიმურაზმა ქვას ფეხი წაჰკრა და ღრმად ამოიხრა.

— კარგი თვალეები ჰქონდა.. წყალი კი არ მომიტანა და.. თუ დავბრუნდი ფრონტიდან, ეს ალიანი აქ იქნება და... ლამაზ გოგონებს რა გამოლევს ამ დოლოცივლ ქვეყანაში!..

თავი მეთხუთმეტი

სანდროს ერთი სული ჰქონდა როდის მოხვდებოდა სამხატვრო აკადემიაში, როდის შესძლებდა იმ ამღელვებელი სურათის გაცოცხლებას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მის გონებაში ასე მძლავრად აღმბეჭდია. ბიჭებს ძეგლი უნდა დაუდგას. არასოდეს ასეთი დიდი სურვილი არ ჰქონია რაიმეზე. შინაურებს სთხოვა გამოცდაზე არ გაჰყოლოდნენ. ან რა უნდა გაეკეთებინათ! ქუჩაში უნდა მდგარიყვნენ და ეცქირათ შენობისათვის, ელოდნათ საათობით.

აკადემიისაკენ მარტოდმარტომ გასწია საეტიუდო ყუთი და ჩარჩოებზე გადაჭიმული ორიოდ ტილო მიჰქონდა. რუსთაველის პროსპექტიდან გრიბო-

ლოვის ქუჩის აღმართი რომ ალია, ერთი ხის ძირას რუსიკო დაინახა. სანდრომ გუშინ იგივე გააფრთხილა. მაგრამ ეტყობოდა ქალიშვილს გულმა აღარ მოუხვინა.

— არა, მე შინ ვერ გავჩერდებოდი,

— გაბუტული ბავშვივით გამობურცა ტუჩები რუსიკომ.

სანდრომ სამხატვრო აკადემიის წინ შეჯგუფულ ხალხს გახედა.

— აგერ, სხვებიც არიან და იმათთან ერთად მეც მოვიციდი.. შენ ხომ მეუბნებოდი, რომ ჩემი სიახლოვე უფრო მეტ ძალას გმატებს...

— დაბაზში ჩემთან ერთად რომ იჯდე, სულ სხვაა, რუსიკო... აქ, რაღაც... აბა როდემდე უნდა იდგე და უყურო კედლებს?

— მე არ გამოიჭირდება ამ კედლების ცქერა. თუნდაც ოთხი დღე იყავი იქ, თუნდ ერთი კვირა, თვე და წელიწადი... არა, მე აქედან ფეხს ვერ მოვიცვლი, სხვაგან ვერ გაეძლებ.

სანდრომ აღარ იცოდა რა ეთქვა. ცალკე გამოცდა აღელვებდა.

— წაიდე, ნუ ჯიუტობ. — უთხრა რუსიკომ და იმ ხელში მოჰკიდა ხელი, რომლითაც ჯოხი ეჭირა სანდროს. აშკარა იყო, ვაჟი ღელავდა. რუსიკომ ისიც შენიშნა, რომ დღეს პირველად ოქროს ვარსკვლავი არ ეკეთა მკერდზე.

— სანდრო, ვარსკვლავი?

— შინ დავტოვე.

— ესხა უნდა გაგეკეთებინა სწორედ. სანდრომ თავი გააქნია.

— ახლა კი ჩემი ოქროს ვარსკვლავი ვერ დამეხმარება. ახლა ოქროს ხელია საჭირო. წაიდე, ჩქარა, თორემ დამავიანდა.

საპარადო შესასვლელთან წამით შეჩერებულ სანდროსთვის რაღაც უნდა ეთქვა რუსიკოს, მაგრამ სიტყვა ვეღარ მოძებნა, რადგან შესასვლელს ხალხი ეხვია. სანდრო შეტრიალდა და მარმარილოს ფართო კიბეს აჰყვა.

სანდრომ ერთ წუთს თვალი მოხუჭა და კიბე აღმართად მოეჩვენა, ყოინაც

ვაიგონა, რაღაც საოცრად გუგუნებდნენ აკადემიის დარბაზები.

რომელიღაც ქალიშვილმა ბაკიბუჯით ჩაუქროლა. სანდრო შედგა და რატომღაც თვალი გააყოლა ქვევით, სადარბაზო შესასვლელის კარი დახურული იყო და იქ არავინ ჩანდა.

მძიმედ შევიდა აუდიტორიაში. რამდენიმე ქაბუკსა და უამრავ ქალიშვილს უკვე დაეკავებინა თავ-თავისი ადგილი. ზოგი ტილოს ამაგრებდა მოლბერტზე, ზოგი სულწასული ფუნჯს უკვე უტყუპუნებდა ტილოს, ზოგი პალიტრაზე ფერებს ანაწილებდა, ზოგიც თვალების წყურვით იფურებოდა დარბაზის ერთი კუთხისაკენ, სადაც კვარცხლბეკის გვერდით მოხუცი თეთრწყერა იჯდა.

სანდრო მიუახლოვდა ცარიელ მოლბერტს, ყუთი ტაბურეტზე დასდო, ტილო მიამაგრა, მეორე ტაბურეტზე ჩამოჯდა, საერთოდ ყუთიდან ფერები და პალიტრა ამოიღო. როცა ფერები გაანაწილა, დარბაზში მიმოიხედა.

პალიტრებშორის გამოვიდა პროფესორი მოსიძე. სანდროსთვის დაუვიწყარი იყო ის საზეიმო საღამო, როცა სიტყვა იშპაქრებოდა, როცა ყვავილები ნაზ სურნელებს აკმევდნენ და თბილად გაისმოდა „რა საყვარელი ხარ, შვილო!“ ახლაც ამას ამბობდნენ პროფესორის თვალები.

სანდრომ გაუღიმა და თავის დაკვრით მიესალმა. მოსიძემ შუბლზე აკოცა და სხევების გასაგონად უთხრა:

— აბა, შენ იცი. აქაც გვასახელე.

და წავიდა. ახლა სხევებს ჩაურა, სხეებიც ასევე გაამხნევა.

შემოვიდნენ საგამოცდო კომისიის წევრები, ცნობილი მხატვრები. მოხუცი კვარცხლბეკზე ავიდა, ჯოხი მოიმარჯვა, მხერა ფანჯრისკენ მიაპყრო და გაქვავდა. ბერიკაცს მკვეთრად გამოქნილი სხეული ჰქონდა, ზოგ ჯეილს შეეშურდებოდა მისი კუნთები და ტანის სილამაზე. ახლა რომ ასეთი იყო, ქაბუკობაში რა იქნებოდა! ფანჯრიდან შემოსული სინათლე ცალ მხარეს მკვეთრად უშე-

ქებდა, კუნთებზე მიფენილი შუქჩრდილი სახატავად მიმზიდველს ხდიდა.

გამოცდა დაიწყო.

სანდრომ ჯერ დარბაზს მიმოავლო თვალი, მერე ახლომეზობელს, ქერა გოგონას შეხედა. გოგონა გაჩქარებით ხატავდა, ეტყობოდა ძლიერ დელაგდა. რამდენიმე წამში უკვე მოესწრო მოხუცის მოხატვა ცარცით და ალაგ-ალაგ კიდევ შლიდა. ლოყები შესწითლებოდა და ნატურას იმდენს არ უმზერდა, თავის ნახატს უფრო მეტ დროს ანდომებდა.

— ნუ ჩქარობთ, — გადაუჩურჩულა სანდრომ.

გოგონამ მოიხედა და ვაჟმა მის უფერულ თვალეში წყრომა შენიშნა. სანდრომ მხრები აიჩეჩა და მერე თავის საქმეს მიხედა.

დარბაზში კარგა ხანს ისმოდა ფუნჯების გამალბებული ფხაკენი.

სანდროს ცნობისმოყვარეობა წასდლევდა ხოლმე და იმ ქერა გოგონას ტილოს ხანდახან მაინც შეხედავდა. საოცრად დელაგდა მეზობელი. ტილო ისე დაესვარა, რომ კაცი ვარაფერს ვერ გაარჩევდა; ისეთი ლამაზი მოხუცი კი იყო დასახატი.

სანდრო არ ჩქარობდა, დამჯდარი წერდა სურათს მარჯვენა ფეხი წინ გაეშვირა, ჯოხი მოლბერტზე მიეყუდებინა.

ოთხი საათის შემდეგ ერთმანეთის ნამუშევრებს ათვალაიერებდნენ მომავალი სტუდენტები. საგამოცდო კომისიის წევრები დუმდნენ, თუმცა ისინიც გულდაგულ, აქედანვე ამოწმებდნენ ნამუშევრებს.

სანდროს მოლბერტთან მოზრდილმა ჯგუფმა მოიყარა თავი. სანდრო ისევ იჯდა და შეჰყურებდა ტილოს.

კარგაით, ვიღაცამ თქვა ამ სიტყვამ საამო ჟრუნტელად დაუარა ტანში ქაბუკს. სხვა არა გაუგია რა დარბაზი კი ახალგაზრდებით გუგუნებდა. სანდრომ თავის ტკივილი იგრძნო. თითქოს მუხლიც არ ემორჩილებოდა წამოსადგომად. ის ერთი ძუნწად ნათქვამი „კარგია“ ტკინს უბურღავდა და თავად უკვე

აღარ შეეძლო სწორად განესაჯა, თავისი ნამუშევარი მართლა კარგი იყო თუ არა.

ასე დალილიმა და ფიქრარეულმა ჩამოლია სამხატვრო აკადემიის მაღალი კიბე და ქუჩაში გამოვიდა.

—სანდრო! — ისე დაუძახა რუსიკომ, თითქოს დიდი ხნის უნახავი ახლა პირველად დაინახაო. ეს ალბათ იმიტომ, რომ სანდრო დაღონებული გამოვიდა და რატომღაც სევდიანად შეხედა გოგონას.

— რა დაგემართა? — შემფოთდა რუსიკო.

— არაფერი. — ნაძალადევად გაიღიმა სანდრომ და ხელში საეტიუდო ყუთის ყური მოიმარჯვა, — დავიღალე, რუსიკო, ძალიან დავიღალე. ყოველთვის ასე თუ დამემართა..

— იქნებ ერთი წელი კიდევ გადაგედო, სანდრო?

— რას ამბობ... გულში და სულში ის სურათი ისე დღეს, რომ... — უცებ აენთო სანდრო, — არც ერთი დღით გადადებამ შე ისედაც ვუგვიანებ ბიჭებს... ხომ უნდა ვისწავლო. — ღრმად ამოიოხრა და დაუმატა, — არ მეგონა თუ ასე მალე დავიღლებოდი.

იგივე დარბაზი, იგივე ახალგაზრდები. მხოლოდ ის ქერა გოგონა აღარ გამოჩენილა. მისი მოლბერტი და ტილო ერთ ხანს კიდევ იდგა დარბაზში და ორიოდ საათის შერე ვაიტანეს დარბაზიდან.

„რა უცებ დამარცხდა! — გაიფიქრა სანდრომ, — არა.. ასე უცებ როგორ იქნება დათმობა. ასე მალე რომ დამეყარა იარაღი, დღეს ცოცხალიც არ ვიქნებოდი და არც ეს ოქროს მედალი შექნებოდა“.

სანდრომ უნებურად დაიხედა მკერდზე, მაგრამ ვარსკვლავი დღესაც შინ დაეტოვებინა. ეს ორი დღე განგებ არ იკეთებდა. თუმცა დარბაზში მყოფთაგან თითქმის ყველამ იცოდა, რომ იგი საბჭოთა კავშირის გმირი იყო, მაგრამ თავის გამოჩენა და ვარსკვლავით ვისმეს ყურადღების მიპყრობა მაინც არ უნდო-

და. ამჯერად იგი ტოლი ტოლთაგანი იყო ყველა იმ ახალგაზრდისა, ვინც გამოცდის ჩასაბარებლად მოსულყო.

პროფესორი მოსიძე სანდროს მოლბერტთან რამდენჯერმე ვაჩერდა. წავიდოდა, ჩაუვლიდა სხვათა ნამუშევრებს და ისევ სანდროს ტილოს სჭერებდა.

— დიახ, ასეთი დაჯერება და სიღინჯე... — აღარ დაამთავრა.

„დაჯერება, და სიღინჯე“. მე მგონი არ ვქაჯობ. ის მაღლობი კი რა სწრაფად ავიღეთ. რა ძვირად დაგვიჯდა ყველაფერი!..“

სანდროს წამს შეუჩერდებოდა ფუნჯი თავის წინ აკრულ ტილოს იქით ხედავდა მრავალ და მრავალ ნამუშევრებს და ერთ უზარმაზარ ტილოს ვაშა! გუგუნებს ტილო, ზანზარებს დარბაზი და ერთად ისმის ოთარის, შოთას, ხასანოვის დ სხვათა ქუჩილი..

სანდრო დაღონდა, გული შეეკუმშა და თავი დახარა... ერთ ხანს ასე იყო, მერე, თითქოს ვიღაცამ დაუძახაო, წამოიხედა და თვალნათლივ დაინახა მოხუცი ნატურა, ახლა დარბაზის კუთხეში კი არ იყო მარტოოდენ, მისი ორეულში, აქვე, სანდროსთან ახლო იდგა და დაფიქრებული თვალებით შემოჰყურებდა.

სანდროს გულს მოეშვა. ახლა იგრძნო, რომ დაჯერებითა და სიღინჯით პირველი ზღუდე უკვე გადალახა.

ფერწერაში ხუთი მიიღო, ხატვაშიც ეს ნიშანი დაიმსახურა და პროფესორმა თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა, მხარზე მოხვია ხელი და სანდროს პირველმა მიულოცა აკადემიაში ჩარიცხვა.

ქართველებს წესადა გვაქვს, ყველა მნიშვნელოვანს სუფრაზე დავლოცავთ ხოლმე.

ვაშაკიძეებს სანდროს აკადემიაში მოწყობის სიხარული სწვევოდათ.

სალამო იყო. სუფრას შინაურები უსხდნენ, რუსიკო და ორიოდი მეზობელიც მოეწვიათ.

სანდრო ტახტზე იჯდა. სიარულში ფეხი ვადაღლოდა და ტკივილებს გრძნობ-

და. ამიტომ ცოტა ხალისიც დაჰკარგო-
და პურ-მარილს.

როცა მოლაშმა, კარზე უცნობი ხეი-
ბარი მიადგათ და ქურთულ კილოზე
გმირი სანდრო იკითხა. უცნობი შინ შე-
იწვიეს ქალებმა და როცა სანდრომ
ოთახში შემოსული სტუმარი დაინახა,
უშალ იცნო ქურთი მეჭლანე.

— მობრძანდით, მობრძანდით.

— სიღედრსა ვეყვარებოვარ... ავა-
შენოთ და გამრავლოთ! — შეჭლანემ ხე-
ლი გულზე დაიდო, მერე სპარსულ ყი-
დაზე მიესალმა იქ მყოფთ.

— როგორ მომაგენი? — ჰკითხა სან-
დრომ, როცა ქურთს სკამი დაუდგევს და
სუფრასთან დასევს.

— შე კაი კაცო, ასეთი სახელიანი კა-
ცი ხარ. შენც ვიბოვნე და ისიც ვიბო-
ვნე...

— ვინ ისიც?

— ოთარას სურათი, ჩვენი ოთარას
სურათი!

— შენი ჰირიმი! — დაიძახა სანდრომ
და ორივე ხელით გადმოსწვდა სტუ-
მარს, რომელმაც უბეში სათუთად შე-
ნახული, ქაღალდში შეხვეული სურა-
თი ამოიღო.

სანდრომ ქაღალდი შემოაცალა და
დახედა.

წამს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარ-
და. სანდროს გაფითრებული, გაკერაბე-
ბული სახე და სევდიანი თვალები ერთ
ხანს მისჩერებოდნენ ოთარს.

პატარა სურათი იყო. ოთარი ხეს
მიჰყულებოდა და რაღაცაზე გულიანად
იციინოდა.

გიგომ ღვინო ჩამოუსხა სტუმარს და
ხმადალა სთხოვა, დაილოცო.

— ყველა კაი კაცს გაუმარჯოსო, —
თქვა ქურთმა რატომღაც და ბევრი პა-
ტიყი არ დასჭირებია, სულმოუთქმელად
გამოსცალა ჰიქა, უღელაშზე გადაისვა
ხელი და სანდროს მიმართა:

— ხო ნახე ის წუბაკი ღედაკაცი...
პაი ღედასა, კიდევ არ იცნობენ ახმე-
დას! სურათი-მეთქი, ოთარას სურათი!
და აი... სადღაც ვიბოვნეთ. რა ბიჭი
იყო, რა ბიჭი!

სანდრო არაფერს ამბობდა. ანდა
მისკენ გადაიხარნენ იქ მყოფნი და სუ-
რათს ჩახედეს. ანიკომ თვალებში მდგა-
რი ცრემლი მოიწმინდა. ერთმა შეზო-
ბელმა ქურთის სიტყვები შეატრიალა,
რა ბიჭი ყოფილაო. და ხმაზე შეეტყო,
რომ ჯიჯარი მისაც დაეწვა.

ახმედამ მეორე ჰიქა ასწია და თქვა:

— ყველა კაი კაცს გაუმარჯოს!...
ოთარასთან და სანდროსთან ბიჭებს
გაუმარჯოთ. მაგათ ენაცეალოთ ახმედა!
ღვინო გადაჰკრა და პამიდორის ნა-
ჭერი მიაცილა, თვალები აუციმციმდა
და სატირლად მოემზადა:

სანდრომ ისევ ქაღალდში შეახვია
სურათი და თავისი ხალათის ჯიბეში ჩა-
იღო.

— გამალობ, ახმედ.

— მხატვარი კაცი ყოფილხარ. დახა-
ტე ერთი, დიდად დახატე ჩვენი ოთარა.
ერთი მე დამიხატე, კედელზე გავიკრამ,
შეეხედამ და მოვიგონებ. ეგ რომ გაი-
ციინებდა ხოლმე, გული გამეხსნებოდა...
აფსუს ბიჭო!

— დავხატავ, ახმედ. ერთი დიდი, ძა-
ლიან დიდი სურათი უნდა დავხატო...
ოთარიც იქ იქნება.

სანდროს თვალებში ცეცხლი დაენ-
თო და ახმედას ისე უყურებდა, თითქოს
ეფიცებო.

ახმედამ კიდევ ერთი ჰიქა დალია და
წასვლა დააბირა. ღვინო აღარ მიჰძალეს
ხეიბარს, არ დაეარდეს და სადმე არ
გადაიჩხვოსო. მაგრამ ჯანმიღებულ კაცს
ორიოდე ჰიქამაც კარგად შეუთბო და
შეუხურა სხეული.

— რა შვილი გყავს, ჩემო დაო, რა
შვილი! — ეუბნებოდა ანიკოს.

— ბედნიერი მამა ხარ, ძმაო! — გა-
დაეხვია გიგოს.

— შენ რომ გიყურებ, სული მინათ-
ლდებო, — შეჰხაროდა სანდროს.

თავი მეთექვსმეტი

რაოდენ დიდი იყო სურვილი და რა
დიდი იყო დროის მანძილი იმ სანატ-
რელ ღღემდე, როცა „ნიაღვარი“ დაიწე-
რებოდა.

სხვა სათური ვერ მოუძებნა სანდრომ ჯერ კიდევ დაუწერელ სურათს.

„ნიაღვარი“ — იმიტომ, რომ სიჭაბუკე მძლავრი ნიაღვარივით მისკდა მტარვალს.

„ნიაღვარი“ — იმიტომ, რომ თვითელი მებრძოლის სიცოცხლე ნიაღვარი იყო და სხვა არა რა, მძლავრი, მღვრიე და დიდებული.

„ნიაღვარი“ — კიდევ იმიტომ, რომ იქ ნამდვილად მონიაღვრდა გამარჯვების წყურვილით დამთვრალი მებრძოლების ბობოქარი, აზვირთებული სისხლი.

„ნიაღვარი!“ სხვა რამ არც მოდიოდა სურათის სახელად.

დრო გადიოდა.

სანდრომ თითქმის ყველა დაღუბული თანამებრძოლის სურათები შეკრიბა. ხოლო ერთ ხანს ტაშვინტი აგვიანებდა ხასანოვის სურათს. და აი ისიც: რაიმეჯან ხასანოვი, დაფიქრებული, ჰკვირავს უზბეკი, გრძნობით ბავშვი, გულით ვეფხვი, ფიცხელი და თავდადებული.

სანდროს ძლიერ აწუხებდა დაუწერელი სურათი.

სამხატვრო აკადემიის საათი კი, თითქოს განგებ, ზღაზვნით ითვლიდა დროს. ასევე ზანტად იწერებოდა ეტიუდები, პორტრეტები, პეიზაჟები, ხანდახან მოსაწყენი, მოსაბეზრებელი ნატურმორტები — მხატვრობის ანი, და ბანი.

სანდრო ხშირად ფიქრობდა საიდან და როგორ დაეწყო სურათი.

ხასანოვის თვალები! — აი სურათის კარი და გასაღები. უნდა დაიწეროს ისე, რომ ყველამ გაიგონოს მისი „ეი, ჯარისკაციო!“ დამარცხებული სიკვდილი და გამარჯვებული სიცოცხლე უნდა ჩანდეს ამ თვალებში.

სხვა ბიჭებიც უნდა ცოცხლობდნენ სიკვდილთან ჭიდელში გამარჯვებულნი. სანდრო ხანდახან უიმედობითაც იჩაგრებოდა. მაგრამ ეს წამით ხდებოდა. მეორე წუთს გული ისევ გამალებით აუტეგრდებოდა, ისევ ფუნჯისკენ მიუ-

წევდა ხელი და გონებაში ისევ ის სურათი ცოცხლდებოდა, ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ისახებოდა დაღუბულთა გობრების ძეგლი.

როცა მესამე კურსზე გადავიდა, გაბედა და შეუდგა სურათის წერას. წერდა თავდავიწყებით, დაჯერებით გულდაგულ.

ხასანოვით დაიწყო. ორი თვე შეალია მის სახეს... საბოლოოდ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ გაგულისებულმა შავად გადაჰფერა იმდენი ხნის ნაშრომ-ნიაღვარი.

რუსიკოს და სანდროს იმ დროს ხელი უნდა მოეწერათ. ქალიშვილს ძლიერ აწუხებდა სანდროს მოუკვლელი წყურვილი, ამედებდა, მაგრამ, აგერ, ერთ დღეს ამანაც არ უშველა და სანდრო გაფითრებული შეჰყურებდა შავად დასვრილ ტილოს.

— ნუთუ არ გამოვია? — ჩაიჩურჩულა თავისთვის და მოიხედა.

რუსიკო გახევებული შეჰყურებდა. უცებ წარმოიდგინა, რომ სანდრომ მიჰყარა-მოჰყარა საღებავები, სათითაოდ გადაამტვრია ფუნჯები, დასჭრა ტილო და... ყველაფერი გათავდა.

რუსიკო შიშმა გასცრა. სანდროსკენ გაექანა, გულში ჩაეკრა და აქვითინდა.

სანდრო უცებ მოეგო გონს, რუსიკო მკერდიდან მოიშორა და მწყურალად შეხედა.

— რა გატირებს?

რუსიკომ სწრაფად მოიწმინდა ცრემლი და დამნაშავე ბავშვივით ჰვეშ-ჰვეშ შემოხედა სანდროს.

— აბა რა გატირებს? „კვლავ უსაყვედურა სანდრომ, — ყოველთვის მამხნევებდი, გულს მიკეთებდი და ახლა სტირი?“

— შენ ისეთი სახე გქონდა რომ მე მეგონა...

— საშინელი ვიყავი? — ნაღვლიანად ჩაეცინა სანდროს, — რას იზამ. დამარცხებული კაცი საშინელიც არის და საბრალოც. მაგრამ მე რა, შენ გგონია, რომ მე დამარცხდი?

— მე ვერ დავიჯერებ შენს დამარ-

რცხებას, — წამოიძაბა რუსიკომ, ვაჟს მიუახლოვდა მოეხვია და მხურვალედ დაუწყო კოცნა.

სანდროს გული მოუთბა, შეეხა იგრძნო, სიჭაბუქის ძალამ აიტაცა და ახალი იერიშისთვის გაამხნევა.

ვაიღოზი

საბჭოთა კავშირის გმირს, სანდრო ვაშაყიძეს!

ძვირფასო მეგობარო!

აგერ, უკვე ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ მოსკოვის ჰოსპიტალში ერთმანეთს დაეშორდით. თქვენს მეტსიერებაში, ალბათ, დავრჩი ბუნტის თავი, ერთი ვადარეული კაცი. გახსოვს, ალბათ, როგორ მივიწყვედი ფრონტზე, რომ დიდებისათვის მიმეღწია, რომ გმირი გავმხდარიყავი. გმირი ვერ გავხდი.

გამარჯვების დღეს ბერლინში შეგვხდით. ამ დროს უკვე მქონდა წითელი ვარსკვლავისა და დიდების ორი ორდენი. რასაკვირველია, ეს ჯილდოები ლენინის ორდენთან და გმირის ვარსკვლავთან ვერ მოვლენ, მაგრამ, როცა ომი დამთავრდა და ვორონეჟში დავბრუნდი, იქ ალტაელებით შემხვდნენ.

ძვირფასო მეგობარო! ამჟამად ვცხოვრობ და ვმუშაობ ვორონეჟში, მყავს ცოლი და შვილი. ისევ ჩემს ქარხანაში ვარ. მაგრამ ახლა უკვე აღარავინ არ მღანძღავს, მაფასებენ.

ორი დღით მოსკოვში ჩავედი მე და ჩემი მეუღლე სვეტა, ვიყავით სამამულლო ომში მონაწილე მხატვართა გამოფენაზე. და აი, აქ კიდევ ერთხელ უფრო კარგად გამახსენდი.

ამ გამოფენაზე არის შენი სურათიც, — „ნიკოლოზი“. ეს მართლაც დიდებული ნამუშევარია. როცა პირველად შეეხედე, სისხლი ამიდუღდა. გეფიცები, უცებ ჩამესმა ომის ქუხილი და ტანში შემაზრიალა. რა ბიჭები გყავს გამოყვანილი! ამბობენ, რომ შენ ამ სურათს სამი წელი მოანდომე. იმასაც ამბობენ, რომ ყველა ესენი, ვინც სურათშია, შენთან ერთად იყვნენ... დიდებულია!

მახსოვს, რა დაქადნებით მელაპარაკებოდი დიდების მწვერვალზე. გვიან მივხვდი, რომ შენ მართალი იყავი. ვინაშე გვირთობა არაა?! წარმომიდგენია, რამდენი ენერგია, რამდენი მოუსვენარი დღე და ღამე შეალოე ამ სურათს.

როგორ მინდოდა შეგხედროდი! გამოფენაზე მითხრეს, რომ აქ იყო და ერთი კვირის წინ გამეგზავრა საქართველოში. იმედი მაქვს მომწერ. იმედი მაქვს, რომ შეგხვდები და ძმურად გადაგვხვევი.

ვლადიმერ ბობრევი.

ძმარ ვლადიმერ!

ვერ წარმოიდგენ, როგორ გამახარა შენმა ბარათმა. რა დამავიწყებს ჰოსპიტალში ჩვენს შეხვედრებს.

რა უცებ გავიდა ეს ათი წელი! თვალწინ მიდგება ის მოუსვენარი. სიცოცხლით საგსე ვაყვაცო. მე მაშინვე მჭეროდა, რომ შენ უთუოდ გაიმარჯვებდი ცხოვრებაში.

დღეს მეც ცოლშვილიანი ვარ. მყავს ორი ვაჟი. ჩემი მეუღლით, რუსულანით, მშობლიურ სოფელ ალიანში ვცხოვრობთ. მეუღლე აგრონომია, მე კი სოფელშივე მაქვს სამხატვრო სახელოსნო. თავს ბედნიერად ვგრძნობ.

სურათი, რომელიც მოსკოვშია გამოფენილი, იმ ჩემი დაღუპული მეგობრების ხსოვნას მიეუძღვენი. ასეთი მეგობრები შენც გყავდა და ჰყავდა მრავალ ათასებს.

როცა სურათს ვწერდი, ძლიერ ველავი, განვიციდი... და აი, სამი წლის შემდეგ სიხარულით ვიტყვი. არ გიმაღავ, მართლა ვიტყვი.

ძმარ ვლადიმერ. მოხარული ვიქნები თუ შენი ცოლ-შვილით მწვევენი ალიანში. გელით სულით და გულით. კარგ დროს გვატარებთ. ჩვენ ამაზე შეპირებულნი ვართ და მოდი, ვაყვაცურ სიტყვას ნუ ვატეხთ.

ბელს გართმევ და გვხვევი

სანდრო ვაშაყიძე.

გველარ მუჯირიშვილი

ახალი ინსტრუმტორი

თავი პირველი

აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე, კოტე ნათენაძე, ნახევრად მოხრილიყო მაგიდასთან, ხელშიწეროს კანკივით გრძელი ფანქარი ეჭირა და ნუგზარის მოხსენებით ბარათებს ამოწმებდა. აქა-იქ ხაზს უსვამდა და დროგამოშვებით იხედებოდა ნუგზარისაკენ.

ბოლომდე რომ ჩაიკითხა ბარათები, ისევე გასწორდა წელში.

— ახლა, ჩემო კარგო, ახალ ზონაში მოვიხდებით გამგზავრება, ცოტა შორია, სამაგიეროდ, ბევრ რამეს ნახავთ საინტერესოს. აქედანვე იცოდეთ: კოლმეურნეობის თავმჯდომარე ცოტა სხვანაირი კაცია, არც პარტიული ორგანიზაციის მდივანი წაუვა შორს, ღრმად შეისწავლე, არ აჩქარდე...

— სხვანაირი? არ შეიძლება აქედანვე ვიცოდეთ?

— ნუ ჩქარობ, ჩემი შეხედულება შენ არ გარგებს, ეცადე, ნათქვამს არ დაუჯერო მაშინვე, ჯერ შეამოწმე, ჩაუკვირდი.

— შეიძლება წავიდე?

— რასაკვირველია, გაუგებარი თუ არაფერია, შეიძლება! — კოტე ადგა, — აბა, წარმატებას გისურვებ!

ტალანში გამოვიდა ნუგზარი და კიბეებზე დაეშვა...

მანქანიდან ჩამოხტა. მხარმარცხნივ გაუხვია და საურმე გზას დაადგა. ირგვლივ ჩამოტევაბული წიფლნარი იდგახილის გადაღმა ხმელ თამასავით მიიქ-

ლანებოდა გზა, და პირმეჩხერ ტყის სიღრმეში იკარგებოდა.

მხარგაშლილ წიფლებში იწვერებოდა მზე. ნუგზარი ხილზე გადავიდა და აღმართს აპყვა.

აქა-იქ ჩნდებოდნენ მაღალ კენწეროებიანი კაკლები, თითქოს ცას მიბჭენოდნენ და ღრუბლებს ეთამაშებოდნენ...

მაღლა ქარი სისინებდა და კენწეროებს ვარცხნიდა.

ნუგზარი გრძნობდა, რომ ამ ვეება ხეებთან პაწია არსება იყო, პაწია და უძლური. ეს თავის ბავშვობას აგონებდა... ბავშვობას და სიკაბუჯეს... მიდიოდა და თან მიუხაროდა სოფელში, რომელსაც ჯერ არ იცნობდა.

სადღაც ტურები აჩხავლდნენ. დღის ფრენით მოთენთილი ჩიტუნები ახლა ხალისიანად გადარბოდნენ ხიდან ხეზე, თითქოს მზის უკანასკნელ სხივებს ემშვიდობებოდნენ, ჟღურტულვდნენ.

სოფლიდან ელნათურების შუქი გამოკრთა. სოფლის პირას მენახირე მიპყვებოდა საქონელს, მიპყვებოდა და მილიდინებდა ტკბილად.

— კოლმეურნეობის კანტორა საით არის, ბიძა?

— წამომყევით! — არც თუ დიდი ხალისით უთხრა მენახირემ და ღიღინი შეწყვიტა.

სოფლის შუა, პატარა მოედანზე დანაკული გოგრისოდენა ელნათურა ეკიდა ბოშზე და აქაურობას ანათებდა.

მენახირე შედგა და ორსართულიანი შენობისაკენ გაიშვირა ხელი,

— აგერ, შვილო, ჩვენი კანტორა ის არის!

ნუგზარმა მადლობა მოახსენა და ორ-
ლობეს აჰყვა.

კარგი დარი იდგა და კანტორის ეზო-
ში შეყრილიყო ხალხი.

ნუგზარი მორცხვად მიესალმა მათ,
კიბებზე აიარა და ტალანში შევიდა,
რომელიდაც ოთახიდან ცხარე ლაპარა-
კი მოისმოდა.

დააკაკუნა კარზე. კარი გაუღეს.

— გამარჯობათ, ხელი ხომ არ შეგიშა-
ლეთ?

— გაგიმარჯოთ, ვინ გნებავთ?

ნუგზარმა დარბაზს გადახედა და მა-
შინვე ეცა თვალში საკმაოდ ჩასქელე-
ბული, მხრებგადგმული მამაკაცი, რომე-
ლსაც მერცხლის ბოლოებზეთ გაეფ-
შიკა უღვავები და მაგიდის თავში იჯდა.

— რაიკომის ინსტრუქტორი გახლა-
ვართ, საქმეზე ჩამოვედი!..

— მერე და ეგრე გეთქვათ, თქვე და-
ლოცვილო, კარებში რას დგახართ?
მობრძანდით! — თავმჯდომარემ წამოი-
წია, ბიჭებს ანიშნა, სკამი მიეტანათ
სტუმრისათვის, — დაბრძანდით, მალე
მოვრჩებით...

ნუგზარი ჩამოჯდა.

ჩაწყვეტილი საუბრის გაგრძელება
ძნელი აღმოჩნდა.

სიჩუმე ჩამოვარდა ერთხანს.

თავმჯდომარემ ყელში განასკული
ნერწყვი გადაყლაპა და შემართებული
ხმით თქვა:

— თავი დაანებე, ნიკა, მაგ ჭოტობას,
ქერებიდან დაეიწყოთ და ამით მოვა-
თავოთ ლაპარაკი...

— თივა? თივამ რალა დააშავა?

თავმჯდომარე შეეყოყმანდა.

— რას ამბობ, ბიჭო, ქერი ქერიია, თი-
ვა თივა... თივა გვიანაც რომ მოითიბოს,
თივობას მინც გასწევს, ქერს რა ეშვე-
ლება? ნახევარს ველარ ავიღებთ მინდ-
ვრიდან, შენ გესმის თუ არა, რას ლაპა-
რაკობ?

ნუგზარს ძალიან გაუკვირდა: მთაში
არსად ვაევონა, რომ ქერი თივაზე ად-
რე მოეთიბათ.

— ამ საკითხზე მოვათავეთ ლაპარა-
კი? — ისევე თავმჯდომარემ თქვა, — ხე-
ლიდანვე შევეუსეთ ხალხს...

ეს ისე იყო ნათქვამი, რომ ხმა ეტლ-
რაგინ ამოიღო. ყველა დაჰყვა თავმჯდო-
მარის ნებას...

სხვა საკითხზე გადავიდნენ.

ძნებისათვის ორი ყარაული გამოჰ-
ყვეს.

მცირე ყოყმანის შემდეგ, გიორგიმ
ყველა დაითანხმა, თვითეულს ოცდაათი
შრომადლე დაუნიშნა თვეში. მერე ორ
კოლმეურნეს გამოუძახეს, პირობები გა-
აცნეს, ისინი უსიტყვოდ დასთანხმდნენ
და ისევე უხმოდ გავიდნენ, როგორც შე-
მოვიდნენ.

მინდერის მეველეს ერთ კოლწევრზე
შემოღრანა საჩივარი. მეველეს დაუძა-
ხეს, გვერდით დამნაშავე ამოუყენეს.
მან ბატკნის ტყავისაგან შეკერილი ქული
მოიხადა, იღლის ქვეშ ამოიღო, ცერის
სიმსხო სახრე შეინაცვლა ხელში და ისე
გაირინდა, თითქოს გადასახლების გ-
ნაჩენს მოელოდაო.

მეველე თამამად გრძობდა თავს, ში-
ნაურით ეჭირა თავი. ქულის მოხდას
არც ფიქრობდა, თავმჯდომარეს უყუ-
რებდა და თვალეში ღიმილი ჩასდგო-
მოდა. მხოლოდ იმის მოლოდინში იყო,
მადლობა მიეღო და წინასწარვე ეშხა-
დებოდა ორიოდე სიტყვა ეთქვა სამაგი-
ერო.

— აბა, შენებურად ჩამოაყოლე, რა
დააშავა მაგ მუდრეგმა, — მიმართა გი-
ორგიმ.

მეველემ კისერი მოიფხანა, უგემუ-
რად ჩაიცინა, შეიშმუშნა.

— რა და, ხო გითხარით, ამის ცხენი
ისე ტრიალებდა ყანაში, როგორც საკუ-
თარ სათივეში, ბარემ ასი ნაბიჯი გაე-
ქელა, ამის ნახევარი მინც მოეკორტნა...

ეს კიდევ არაფერი... გულზე ცეცხლი
წამეკილა, მტკაველა თავთავეები ესხვება.
გამოგვერდილიყო მაკესავეთ, დასაქე-
რად რომ მივედი, ველარ გამექცა...

— შენ რა, მუდრეგო, სიცოცხლე მოგ-
ბეზრდა? შესქყველა გიორგიმ დამნაშა-
ვეს, — წამომქანდა, თვალეზი გაღმო-
კარკლა — შენი ბალი ხომ არ გევონა?

— ღმერთმანი, გიორგი, ცხენი გამექ-
ცა, თორემმა...

— თორემას ვასწავლი შენა... შრომადღეს ჩამოგაკლებთ, იქნებ, მაშინ მოხვიდეთ გონზე? ვასაგებია? ჰაი, დედასა, რომ ასეთი ვარ, თორემ მეტს გიზამდი... მეორეჯერ არ გააკეთო ასეთი რამ, ჯარიმას ვერ აუღლები, იქნებ, სოფელიც იქით დაგრჩენს...

მეველეს ჩაეცინა, ბოლოს თავშეუკავებლად ახითხითდა.

— მა რა გეგონა? აქი ვითხარი, გიორგი სხვა ბიჭიამეთქი...

ორივე გავიდნენ.

გიორგიმ მაგილიდან რეველის ფურცელი აიღო, გადაათვალიერა.

— შენ რაღა ღმერთი გაგიწყრა, იოსებ, კუთხეში მჯდარ ბრიგადირს ვადახედა, — ურმები მოშლილი გქონია, თვლებს ჰინჭილაქის მაგიერ, უბრალო მეთულის ნაჭრები უკეთია თურმე... ამასაც ამბობენ ბიჭები, ფიცრების მაგიერ ლატნები უწყვიტაო, მართალია?

იოსები წამოადგა.

— ვინა თქვა? ალბათ, გაგებუმრენ.

— რაო? გამეხუმრნენ რა, რომელი სახუმარო საქმე ეგ არის? ეს რაღა მიქარვია... აბეურებიც ტყვილია? ბაწრები დაგებხვევია თურმე ტაბიკებზე. სად წაიღე, კბილით ხომ არ დაგლიჯე? თურმე საყვარე უღლებიც გატეხილი გქონია, აქამდის რას ჰფიქრობდი, გეძინა თუ ჩემი იმედი გქონდა, მე გაგიკეთებდი?... ბრიგადირი აილანდა.

— ტყვილად მოუხსენებიათ, მე ყველაფერი მზადა მაქვს, ხალსაც თავის დროზე გამოვიყვან... ზოგიერთი წვრილმანებია და მათაც მოვაგვარებ ამ ორ დღეში.

— მე არ ვიცი, ხვალ საღამოს შემოვივლი, თუ დაგაკლდა რამე და მზად არ იქნები, არ გეწყინოს, ხომ იცი, მე გიორგის მეძახიან, ცუდის გაკეთებაც შემოძლიან...

ბრიგადირი დაჭდა და რაღაც ჩაიბუტბუტა.

გიორგი ცდილობდა სხვებისთვისაც გამოენახა სალაპარაკო. ნუგზარს მოეჩვენა, რომ თავმჯდომარე განგებ ეძებდა სალაპარაკოს, წვრილმანებზე დიდხანს

ჩერდებოდა. ეს ისეთი წვრილმანები იყო, რომ ბრიგადირებს არც კი მიუთითებოდა. გიორგი იმასაც ცდილობდა, როგორმე დაემტკიცებინა, რომ ყოველი წვრილმანი ნამეტნავად საქირთა და თუ მან არ შეახსენა ბრიგადირებს, ისე საქმე არ გაკეთდება...

ისიც მოეჩვენა ნუგზარს, რომ გიორგი ძალიან გავდა იმ კაცს, რომელიც დიდ საქმეებს ერიდება, პატარას კი აკვდება ზედ...

გამგეობის სხდომა, როგორც იქნა, დამთავრდა.

ყველა წავიდ-წამოვიდა.

გიორგიმ საყულო შეიხსნა და ფანჯრები გამოაღო.

— ახლა ყველაფერს დავანებოთ თავი, შინ წავიდეთ, თორემ ფეხზე ძლივს ვდგევარ... — ალაღბდალ შეათვალიერა კაბუკი, თითქოს მანამდე არ დაენახა, — ხედავ, კაცო? რამდენი ხანია, ერთადა ვართ, ერთიმეორეს კი არ ვიცნობთ, თქვენნი სახელი?

— ნუგზარი!

— ჩემი გავიწყობი გექნებათ. აბა, ახლა წავიდეთ...

ნუგზარს უნდოდა ეთქვა, უხერხულიაო, მაგრამ გადაიფიქრა, მაშ სად წასულიყო?

თითქოს გიორგიმ გაუგო განზრახვა:

— სტუმარი იმიტომ გამოუგონიათ, რომ მასპინძლობაც ყოფილიყო, წავიდეთ! — ქუდი დაიხურა. — ახლა მაგიდას უნდა უჭდეს კაცი, სვენებ-სვენებით აყოლებდეს ღვინოს და, რასაკვირველია, ყლაპავდეს ცხელ-ცხელ წვადებს... არც ვარიებზე ვიტყოდი უარს...

ნუგზარს მორცხვად გაეღიმა.

— დაღლილი იქნებით, არა?

— არც ისე...

— არა მგონია, ჯერ აქამდის ჩამოსვლა რა ღირს...

— კარგი ბიჭები ჩანან გამგეობის წევრები! — სიტყვა ვაუქენწლა ნუგზარმა და ცერად შეხედა გიორგის, რომელიც წასასვლელად მზად იყო.

გიორგის სევდიანად ჩაეღიმა, ხელები უკან შემოიწყო და ომახიანად თქვა:

— მაგათმა მზემ...
 დარაჯმა შემოალაჯა ამ დროს.

— აქამდის სად დაიკარგე, კაცო?!

— მეგონა გვიან დაათავებდით და...
 — შენ ყველაფერი გგონია ხოლმე...
 დილით ადრე ჩამორგე შენი ჯალაბობა, საჩქესავით გააპრიალე აქაურობა, გაიგე? ან ამალამ გააკეთე, შენც რა, ცოტა წვრილფეხობა გყავს თუ?.. — წამით შეფიქრებინდა გიორგი, — ჰო, ეგ არაფერი, ახლა ჩვენებთან გაიქეცი სახლში. დაროს უთხარი, გიორგის სტუმარი მოკვავსთქო, გესმის? ჰა, გაიქეცი და მალე მოდი.

— გავიგე!
 — ნუღარ აგვიანებ, კაცო!
 დარაჯი გაძუნძულდა.

— მაშ შენ, ბოდიში, შეჩვეული ვარ. და... თქვენ, ამბობთ, კარგი ბიჭები ჩანანო? — ჩაეცინა გიორგის, — ჰმ, ეგრე რო იყოს, რა მიჭირდა... აქ მუშაობამ დამაბერა, ყველას ვიცნობ ძარღვებამდე... ეჰ, დაებერდი, თორემ ცხოვრებამ როგორ უნდა გამტეხოს? ისე რომ იცოდეთ, ძალიან გაუთლელი ხალხია, ჰა... მადლობა ღმერთს, თავად დაინახავდით, ზოგსაც თან და თან დარწმუნდებით... ერთი სიტყვით, წავიდეთ, გზა და გზა ვილაპარაკოთ, ზოგიც სახლში გავაგვრებოთ...

კიდევ რაღაცა მოაგონდა გიორგის:
 — ჰო, ცხენი ველარ გკითხეთ, ვის ჩააბარეთ?
 — არ წამომიყვანია, ისე ჩამოვედი.
 — ფეხით? აბა შენ ყოფილხარ, აი, — ჩვენ რა, ხალხი არა ვართ, დაგვირეკავდი, შეაკაი კაცო, ტალიკ-ტალიკა ბიჭებს ჩამოგაგებდით ჭალაში და ცხენებით ამოიქროლებდით ათ წუთში...
 გიორგიმ გასაღები მოძებნა უჯრაში, კართან მივიდა, გარედან გაუკეთა. — ჩვენ ისე გავაგრძელოთ საუბარი, თითქოს სუფრიდან ახლახანს ავმდგარიყვეთ, წავიდეთ ნელა-ნელა, თორემ დარო შეშვამს, არ უყვარს, როცა სტუმარს ვაკაიებ დიდხანს.

კარი დაკეტა.
 ის იყო ტალანში შემოგორდა დარაჯი.
 — რაო...

— ვუთხარი, კარგი...
 — ჰა, გასაღები და რაც ვითხარე არ დაგვიწყდეს, თუ გავიმეორებ?
 — გავიგე, ყრუ ხომ არა ვარ...
 — რა ვიცი, ხანდახან მოგივლის ხოლმე.

თბილოდა. გალუული ნამგალივით მილილული მთვარე დაჰყურებდა სოფელს. დღის მოძრაობისაგან მოთენთილ არემარეს ნელი სიო უჩიფჩიფებდა. სოფელი არც ისე პატარა ჩანდა. როგორც ნუგზარს ეგონა.

კარგა ხანს იარეს.
 გიორგი სულ იმას დარდობდა, რას ფიქრობდა ახალი ინსტრუქტორი მის დღევანდელ საქციელზე. ისე კი მაგრად შეახურა ბრიგადირები, ჰა! — მაშ არა და! გიორგი რიღას გიორგია, მისი შიში არ ჰქონდეთ, თავისი რომ არ გაიტანოს... რაიკომის ახალი კაცი აქედანვე უნდა მიხვდეს, რომ გიორგი მარტო თავმჯდომარე კი არ არის, პირველ რიგში აღამიანების დიდი მოყვარულიცაა. იცის დასჯაც ყვირილიც, საქმეც უყვარს... ამეებზე ფიქრობდა და მოელოდა, რომ სადაცაა ნუგზარი ამოიღებდა ხმას და საქციელს მოუწონებდა, მოუწონებდა იმიტომ, რომ ახალგაზრდა, გამოუცდელი კაცი ჩანდა, ქვეყნად იმდენ რამეს ვერ ნახავდა, რამდენსაც გიორგი. აი, ნახა და უნდა გაჰკვირვებოდა ასეთი თავმჯდომარის სიტყვა და საქმე! მან იცის, რომ სხვა სოფლებში გიორგისთანა ენერგიული და საქმიანი კაცი არავინაა ნუგზარი გაიცნობდა რაიონის ბევრ სოფელს, თავმჯდომარეს და არ შეეძლო გიორგის მიმართ გაკვირვება და მოწონება არ გამოეთქვა.

ნუგზარი კი თითქოს განგებ დუმდა. გიორგის მოთმინება ეკარგებოდა და ცდილობდა ისეთი რამ ეთქვა ან გაეკეთებინა, პირველი დღიდანვე მოეხდინა კარგი შთაბეჭდილება ინსტრუქტორზე. იცოდა, რომ ნუგზარი პატარა კაცი იყო რაიკომში, მაგრამ ვისაც გინდა დაენიშლავებოდა, რომ პატარა კაცს ბევრჯერ მეტის გაკეთება შეეძლო, ვიდრე დიდს. დიდი ყოველთვის ხელქვეითის შემწე

ობით არსებობს, მის სიტყვებს ენდობა, სჯერა... ყველგან ხომ ვერ ჩავიდოდა დიდი, სადა ჰქონდა ამდენი დრო? დიახ, კარგად იცოდა ეს გიორგიმ და ცდილობდა გული მოეგო ინსტრუმენტობისათვის.

უმაღლესდამთავრებულები ბევრი გყავთ? — მოულოდნელად ჰკითხა ნუგზარმა.

— არიან!.. — ავღებით მიუგო გიორგიმ.

— ეს კარგია!

— დრო არ არის? სულ არ მიკვირს, ხვალ უფრო კარგნი უნდა ვიყოთ, ვიდრე დღეს ვართ, ეს ხომ ბუნების კანონია? — გიორგი შედგა, — მოვედით! — კიშკართან დიხარა, ურდულისაკენ გააპარა ხელი, — არიან მაგრამ ამით რა?

— როგორ?

— როგორ და ცოდნას რა ჰქუა აქვს? მიწაშიც ბევრი ოქროა ჩამარხული, თუ არ ამოიღე და არ გამოიყენე, ასეთი ოქრო ვის რათ უნდა?

— იქნებ პირობები არა აქვთ? — განგებ გაურთულა საკითხი.

— პირობებით? რა შეაშია აქ პირობები? მე ასე მესმის: სანთელს რამდენიც გინდა სიბნელე გადაუღობო, გზას მაინც გაიკვლევს...

— მაშ? მაშ რაშია საქმე?

— სახლში ვილაპარაკოთ! ისე რომ ვთქვათ, ყველას დადებული ლუკმა უყვარს, ერთბაშად მინისტრობა სწადიათ, უმაღლეს დამთავრებენ თუ არა...

ეზოში შევიდნენ. გიორგიმ ურდულთ ჩაჰკეტა კიშკარი.

საქათმესთან კრიახ-კრიახით ფართობლობდნენ ჭათებში. ქალიშვილი დასდევდა აივანზე ვილაკები ირეოდნენ...

— ყოყოჩობენ, სოფელი არ მოსწონთ! — გაავრძელა ისევ გიორგიმ, ეტყობა გული აუქავა უმაღლესდამთავრებულთა ხსენებამ, — ზო, არ გავიკვირდეთ, დამთავრებენ თუ არა, ჩემო ბატონო, როგორც გითხარია, მაშინვე დიდაცაობა და სახელი უნდათ. შრომას გაურბიან, თითქოს მამამისი ციდან ჩამოფრინდა და მიწაზე ოფლი არ დაუღე-

რია. ეხლა ისეთი დრო არის, ყოველ ხუთ კაცში ერთს უმაღლესი აქვს დამთავრებული, ბევრი მათგანი შრომას უარუბის და კაბინეტისაკენ უქარაქსით გადის... ავეშენებია ოჯახი და ეგ არის! აბა, დაფიქრდი, თუ ერთმა მეხუთედმა ჯიბეში ხელჩაწყობილმა იარა, არაფერი აკეთა, მაშინ საქმის გამკეთებელი არავინ გვეყოლება და ეგ არის...

გიორგი ნაწილობრივ მართალი იყო, მაგრამ ნუგზარს მოეჩვენა, რომ ის აქარბებდა.

აივანზე დიასახლისი გამოეგებათ.

გიორგიმ მეუღლეს გააცნო სტუმარი და მოზრდილ ოთახში შეუძღვა. სკამი დაუდგა. თვითონ ბოდიში მოიხადა, არ მოიწყინო, ახლავე მოვალე და მეორე ოთახში გავიდა.

ლაზათიანად დალაგებულმა ავეჯმა მოსტაცა თვალი. საქაოდ მოზრდილ დარბაზში დიდი მაგიდა იდგა, წაბლისფრად ბზინავდა. გარშემო რბილი სკამები ელაგა. კუთხეში სავარძელი იდგა, მის პირდაპირ წიგნების კარადა და საწერი მაგიდა. კარადაში ზორდოსფერყდიანი ლენინის ტომები ეწყო. უურნალ-გაზეთების დიდი დასტა დაეხორავებინათ საწერი მაგიდაზე.

გიორგიმ შემოალაჯა.

— ხომ არ მოიწყინეთ?

— არა, გმადლობთ...

— რა ვიცი, დაფიქრებულხართ... ამ ფიქრებმაც წაიღეს ტვინი... ხანდახან თავი მისკდება ხოლმე, მაგრამ ფიქრი არ შევლის თურმე საქმეს... ისე, მშობლები გყავთ?

— მყავს.

— ორივე?

— ორივე!

— და-ძმა?

— არა მყავს.

— ეგ არ ვარგა, მარტოკა ხეს ყველა ეტანება, ერევა. ჭარიც იმას უბერავს, წვიმაც იმას დასდის, მზეც იმას სწვამს...

— რას ვიზამთ...

— მართალია, მაგრამ, კარგი ყო დაძმა გყოლოდათ!

— ნამდვილად.

— ბოდიში და, უმაღლესი გაქვთ თუ?..

— დიახ, უმაღლესი...

— მე მაშინვე მივხვდი, ყოჩაღ მოვისწროა. ჯერ კი ახალგაზრდა ხართ, ცოტას წაიშუალებთ მაგ თანამდებობაზე და ერთბაშად წაიწვეთ წინ... აი, ეს მესმის, რაც კარგია, კარგია. აბა რა, ცხოვრება ხომ უნდა ნახოთ, განიცადოთ, შეისწავლოთ...

— ხანდახან რომ მარტო უმაღლესი არ შეველის? — ჰკითხა ნუგზარმა.

— ოო, ავაშენა ღმერთმა, მეც მანდა ვარ...

— მთავარია, თვითონ იყოს ადამიანი, ზრდილობა ჰქონდეს, ზრდილობა და სიპატიოსნე, აღზრდა, ხასიათი. ამას ყოველთვის უმაღლესი არ იძლევა...

— კარგი ნათქვამია, ღმერთმანი, დიახ, ეგ არის და! შორს რათ მიდიხარ, აი, ოჯახში სულ ხუთნი ვართ, ყველას სხვადასხვა ხასიათი გვაქვს, ცხოვრებასაც ხუთნობრივ თვალთ ვუყურებთ... ეე, ნამდვილად რთული საკითხია... — გიორგიმ ქურდულად შეხედა ნუგზარს და ახლა უფრო მოეწონა მისი გოლიათური გამოხედვა, განიერი მხრები, ლამაზი პირ-სახე და ხუჭუჭა, შავი უღვაშები... თითქოს განგებას მოეველინა ასეთი მშვენიერი ჰაბუკი მის სოფელში... სულაც ისეთივე ლამაზი და ნათელი ექნებო, გაიფიქრა გიორგიმ და მხარზე დაადო ხელი.

— მეუღლე, ცხადია არ გეყოლებათ, არა?

— არა, ჯერ არა მყავს...

— ძალიან მიკვირს, ასეთი ჰაბუკს როგორ მოგეშვენენ ქალწულები?

ნუგზარს ბავშვივით შეეპარა სიმორცხვის ღიმილი... უნივერსიტეტის დღეები გაახსენდა, პირველმა გაცრუებულმა სიყვარულმა გულის წვერზე გადაურბინა აჩრდილივით და სადღაც მიღმა მიიყარვა...

სუფრა აღრე გაიშალა, ვიდრე გიორგის ეგონა.

დილით აღრე გამოეღვიძა და აივანზე გამოვიდნენ.

გიორგიმ ხელი მოხვია მხარზე და დინჯად უთხრა:

— ხედავ, — ტყუზე ანიშნა, — რა სჯობია ამას? კარგად დააკვირდი, დატკბები მარტო ყურებით...

ნუგზარმა თვალი დააყოლა. უკეთესი სანახაობის ჰერეტა არ შეიძებოდა. ნაძვებსა და კაკლებს ისე შეეკრაო სოფლის შემოგარენი, თითქოს დარაჯად დასდგომოდნენ. გულუღრმოდ კაცსაც კი დაატკობდა მისი ხილვა.

— ეხ, კაცი არ უნდა კვდებოდეს, სიცოცხლე ძალიან ხანმოკლეა, სიზმარია სიზმარი... გულის დაამებასაც ვერ მოასწრობ, ისე მოგეპარება დასასრული. — გიორგიმ ღრმად ამოიხსრა, — ქალარა ისე შემომერია, როგორც გულს დარდი. ფარ-ხმალს მაინც არ ვყრი, გული მაგარი მაქვს და მგონია, სიკვდილს ყოველთვის მოვერევი. საწყალი მამაჩემი იტყოდა ხოლმე: გულგატეხილობა მეორე სიკვდილიაო... ნამდვილად ასეა... მე კი მინდა ვემსახურო ხალხსაც, ოჯახსაც...

ნუგზარმა თანაუგრძნო და იმ წამსვე მამა გაახსენდა. რა შედარება იყო! უზრუნველი კაცი თურმე უფრო მეტად ტირის წუთისოფელზე, დაუოკებელი ოცნებების ნიაღვარში ცურავს... გაჭირვებულისათვის აუსრულებელია ოცნება, იცის, ფიქრი არ უშველის და სჯერა, რომ მხოლოდ შრომას შეუძლია ბედნიერება მოჰგვაროს... ამიტომ თავაუღებლივ მუშაობს დღე და ღამე.

ბედი იმდენგვარია, რამდენიც ადამიანია ამ ქვეყნად. სხვისი კარგის მოშურნეს ბედი ძალით უღიმის და აღრე თუ გვიან გზიდან ფეხს დაუცდენს, მიმბაძავს ყოველთვის ცხოვრება შეველის და არ სწირავს...

ამ ფიქრებში რომ იყო, აივანზე თვრამეტ-ცხრამეტი წლის ქალიშვილი გამოვიდა, მკლავზე პირსახოცი გადაეყიდა, ხელში უხმარებელი საპონი ეჭირა.

— ხელპირი დავიბანოთ! — უთხრა გიორგიმ სტუმარს და ახლა თავის ქა-

ლიშვილს მიუბრუნდა, — პირსაბანში არის წყალი?

ქალიშვილმა თავი დაუკრა და ირიბად გახედა ნუგზარს. ნუგზარმა დააპირა მისი მხერა და თბილად გაუღიმა. თინას მთელ სხეულში სითბომ დაუარა.

თინას ცისფერი, მწვანე ყვავილებიანი წინსაფარი ეკრა. შავი, გრუსა თმა ნაჩქარევად შეეკავებინა კეფაზე. მაღალი, მომწიფებაში შესული მკერდი შესამჩნევად უცემდა. სპილოს ძელისფერ დაწვებზე ნაზი, საამური ღიმილი ემჩნეოდა. მოკლე, ხშირთმიან წარბებ ქვეშ ვიწრო და შავი, ცქრიალა თვალები იღუმალ ეშხს აევსო...

წუხელის ვერც კი დააკვირდა.

ქალიშვილმა ვერ გაუძლო ჭაბუკის გაუღუნავ მხერას, პირსაბანთან მივიდა საპონი დაღო, პირსახოცი ჩამოჰკიდა იქვე და გაშორდა.

ნუგზარმა ნაუცბათევედ დაიბანა ხელპირი.

მზე სახლის სახურავს ამოსცდენოდა, დილის ცვარ-ნამი აჟრო. ახლა დედამიწის გულისაკენ გაეშვა მახვილი სხივები...

ეზოდან ვილაკამ დაიძახა.

გიორგი გამოვიდა აივანზე.

— რაო! — გასძახა, — უჩემოდ ხომ არ მოეწყინათ? ახლავე მოვალ.

დარაჯს ცხვირმა დააცემინა.

— ტელეფონზე დარეკეს, რაიკომის მდივანი გიბარებთო...

გიორგის სიფითრემ გადაჰკრა და ყანდშეპარული ხმით კითხა:

— მერე? სხვა არაფერიო?

— მეტი არაფერი უთქვამთ, ამოვიდესო...

— როგორ იღეკები, შე მუდრეგო, როგორ არაო!

დარაჯმა ხმა არ გასცა და ცივად გაბრუნდა.

* * *

კანტორაში მივიდნენ თუ არა, მაშინვე ბულალტერი იკითხა გიორგიმ.

ნუგზარი ჩამოჯდომას აპირებდა, რომ 6. „მნათობი“. № 6.

მის ზურგს უკან მხედრული ნაბიჯების ხმა გაისმა.

ორმოც წელი მიდწეული, საშუალოზე ცოტა მაღალი, ხმელ-ხმელი მამაკაცი გიორგის მიუახლოვდა და თავი დაუქრა.

გიორგიმ ანიშნა ნუგზარზე:

— ჩვენი ინსტრუქტორია, — ახლა ნუგზარს უთხრა, — ეს კი კოლმეურნეობის ბულალტერია, გაიცანით.

ნუგზარმა ხელი ჩამოართვა, სახელი უთხრა.

— ესტატე, ბატონო, — მოკლედ მოუქრა ბულალტერმა.

ესტატეს დიაგონალის შარვალ-ხალათი ეცვა, ტამის სივანე ქამარი ერტყვა წელზე. საყელომდე ჩამოსწეწოდა თმები. გაპარიალებული ჩექმები და გამოწოვილი წელი თადარიგის ოფიცერს ამსგავებდა. თავი უბრალოდ ეჭირა. მის მიმოხერაში არ ჩანდა ციფრების მოყვარულის სიღინჯე და სიძუნწე. არც ის სიმტკიცე მოუჩანდა, რაც ახასიათებთ ამ დარგის მუშაებს. მისი მეტყველი, ფრიად მიმზიდველი თვალები მისჩერებოდნენ მუდამ მოძრავ, მოუსვენარ გიორგის, რომელიც სავარძელში მოკალათებულიყო, ცქმუტავდა და მიზეზს ეძებდა, ეთქვა ისეთი რამ, რითაც ბულალტერი, როგორც სხვა დროს, მიხედვებოდა უმალ, განმარტებების გარეშე, თუ რატომ გამოუძახა.

ნუგზარი კარგად დააკვირდა ესტატეს და ახლა უფრო უკეთ შეამჩნია მისი სევდიანი, მეტად მეტყველი და ბევრი რამის მთქმელი თვალები. იყო რაღაცა შეუცნობელი და ამოუკითხავი ამ მამაკაცში, რომელიც მიმზიდველს ხდიდა პირველი შეხვედრისთანავე. მის ლამაზ პირ-სახეს უძალადო სიმშვიდე მორეოდა, მაგრამ სახის სივამხდრე უყარავდა იერს. ეტყობოდა ეს ბუნებით არ ჰქონდა მონიჭებული, რაღაცას უნდა მოეხდინა ზეგავლენა, თვალებში ჩამკვდარი ფარული სევდა ადასტურებდა ამას.

ალბათ, თვით ყოვლისშემძლე გიორგიც უძლური იქნებოდა მიხედვრილიყო ესტატეს იღუმალს.

გიორგი სავარძელში შეინძრა, როგორც წიწილა კვერცხის ნაქუქში, და ესტატეს უთხრა:

— ეს ამხანაგი გუშინ ჩამოვიდა, შენ აქ არ იყავი, ალბათ, გვიან ჩამოხვედი არა, მთიდან? ჰოდა, მიხედვ. ხალხი ქერებს შეეცია, პარტორგი გამოაძახებინე დღეს საღამოს კრება გვაქვს, მანამდე ჩამოვალ მეც...

— დარდი ნუ გაქვთ, მოგაგვარებთ ყველაფერს...

ადრიან დილით გასულიყო ხალხი მინდორში, კანტორასთან აღარავინ ჰქანებდა, გარეთ გამოსულმა გიორგიმ იხანა, რომ ნუგზარს არ მოასმენინა ის სერი, რასაც ყოველ დილით მართავდა ხოლმე. დაუტატანებდა ბრიგადირებს და ურჩი ბეშეგბივით გაჰყრიდა კანტორიდან... იხანა, მაგრამ იმედი მაინც მოეცა. რომ საღამოზე აქ შეიყრიდნენ თავს და მაშინ დაარწმუნებდა ნუგზარს, როგორ ხელმძღვანელობდა სოფელს... ამ იმედით გაიარ-გამოიარა და, როგორც უფროსი, რომელიც დროებით ტოვებს თავის საუფლოს დაემშვიდობა ორივეს.

გიორგის წასვლისთანავე ნუგზარმა უთხრა ბუღალტერს:

— ახლა წავალ, ქალას და მინდორს დავათვალიერებ და გვიან დავბრუნდები, პარტორგი როგორმე გააფრთხილეთ, კრება მოამზადოს, შებინდებისას დაეწეებთ...

— კი, ბატონო, ადვილი სამსახური გავაკეთებთ!..

ამ ნებბერ მორჩილებაში ნუგზარმა რაღაც უმიზნო კრძალვა შენიშნა ესტატეში, ეს კრძალვა ხელოვნურს უფრო ჰგავდა, რომელიც ნუგზარის აზრით ჩვეული არ უნდა ყოფილიყო ესტატესათვის.

ნუგზარმა ხელთ ანიშნა, ნახვამდოსო და გავიდა.

სოფლის ბოლოსაკენ მიმავალ გზას დაადგა. იქით უნდა ყოფილიყო მინდორი გიორგის სახლს ჩაუარა. აივანზე თინა დაინახა და დილანდელივით აუძგერდა გული... თინა ფარდაგებს ბღერტავდა და ნუგზარი რომ შენიშნა, ფარ-

დავს მიანება თავი. წელში გასწორდა და თვალი გადადევნა, ნუგზარმა იგრძნო ეს და წამით შედგა, მერე გულის სიღრმეში რაღაცამ მოჰგვარა სიამე და ფრთხილად გაშორდა იქაურობას.

სოფლის ნაპირას გზამ ტყისაკენ გაუხვია. თავქვე დაეშვა ქარაფებისაკენ.

მარტოობამ თინა წარმოუდგინა და ტკბილ ფიქრებს მიეცა.

ნუგზარი მაშინ გამოერკვა, როცა დაცერებულ ბილიკთან შეწყდა გზა და ბლა ჰალა მოჩანდა. ბილიკს დაჰყვა. ბილიკმა რამდენჯერმე გადაჰკვეთა მზვარეები და ბოლოს ძველ ციხე-ქალაქთან შედგა. იქვე ვაველურებული ვაზები შემოხვეოდნენ ციხის გალავანს და მალა, საღვაც იკარგებოდნენ. ამით დათვალეერებდა რომ შორხა, ისევე იმ ბილიკს ამოჰყვა და ახლა უფრო ყურადღებრიანად დააკვირდა მზვარეებს, ნახობრად ქცეულ საწინახლებს. არხებს, ქვევრების ნამსხვრევებს... მძიმე შთაბეჭდილებებით ამოვიკა და ვრდაციის დიღინი შემოესმა. ხმას ვაჰყვა.

გზის ორივე მხრიდან ქერებს თიბავდნენ. მხრებამდე აყრილი დოლის ყანასთან გადაუხვია. რამდენიმე მარცვლი მოსინჯა. ახალ მაწონივით შედეღებულისყო. საამურად ლივლივებდა ყანა.

ახლოდან გაიგონა ლაპარაკი.

— რაიკომიდან ჩამოსულა ინსტრუქტორი, წუხელის მაგრად უქეიფია გიორგისთან...

— მერე რა? შენი რა საქმეა? — ჩაერია მეორე ხმა.

— არაფერი, ისე...

— მე „ისეს“ დაანებე თავი და სამუშაოს მიხედვ...

მცელავი გაჩუმდა, ცელუბის სრიალის ხმა მოისმა.

ნუგზარი ჰალბში გადავიდა და იქითკენ გაუხვია, საიდანაც ხმა მოესმა.

— გამარჯობათ! — შეეხმიანა დაროდებით.

სალამითვე უპასუხეს.

ნუგზარმა ქერის თავთავი აიღო და ხელის გულზე მოფშენიტა.

— თქვენ ვინ? გნებავთ? — იკითხა მალაღმა.

ნუგზარი იმასთან მივიდა და პასუხად ხელის გული გაუშვირა.

— რას შერებით, ეს ხომ ნედლია?

— ნედლი არა, ის არის...

ნუგზარი ახლა ზეზეულ ქერს მისწვდა, ძირიანად ამოგლიჯა, ხელში შეატრიალა. მარცვლები გასტიყნოდა, ცოტა სიმწვანე დაჰკრავდა და ეტყობოდა მზე აკლდა კიდევ.

— აბა, კარგად დააკვირდით, მამ ეს რა არის?

მცელავეებმა ხელი შეუშვეს თიბვას და ნუგზართან მივიდნენ.

ნუგზარი მიხვდა, რომ უნდა ეკითხათ თქვენი რა საქმეა, ან ვინ ხარო, დაასწრო:

— სად არის თქვენი ბრიგადირი, ან ზომ არ დაგინახავთ პარტორგი?

— მე ვარ, პარტორგი, რა ვინდოდით?

— რაიკომის ინსტრუქტორი ვარ, საქმე მაქვს... წუხელის სად იყავით, რატომ გამგეობის სხდომას არ ესწრებოდით?

— მე და ჩვენი ბულატერი გვიან დავბრუნდით მთიდან...

— თქვენ რა გქვიათ?

მალაღმა ნუგზარისაკენ გადმოდგა ნაბიჯი და ხელი გაუწოდა:

— ვაჟა!

ნუგზარმაც უთხრა თავისი სახელი.

— აჩქარებულხარო, ცოტა რომ კიდევ შეგეცადათ, აჯობებდა.

ვაჟამ გამომცდელად შეხედა ნუგზარს.

— ეითომ? მთა ადგილია, ამინდი ხშირად იტყუება... რა უჭირს, ძნაში გამომრება, გამოიმუშვება. ასეთი ათასში ერთი თუ ორია, — და ანიშნა, ნუგზარს ხელში რომ ეჭირა ძირიანად მოწყვეტილი ქერის ღეროზე.

ნუგზარმა ერთი მარცვალი გამოაცალა თავთავს და პირში ჩაიღო, კბილებში გაკვნიწა მცენისქვილესავით.

— ერთი კვირა და, უმწიფარ მარცვალს ვერ ნახავდით...

— არა უჭირს. — შემრიგებლურად დააყოლა ვაჟამ, — ერთი სჯობია დაიღუბოს, ვიდრე ათასი. — ვაჟამ ცელი და-

არქო მიწას და დოინჯი შემოიყარა. — მარტო დოლოს ყანებიც მოიწვევიან და იმეც საც დაეკარგავთ. საკომბაინე არაფერი გვაქვს, თორემ... ეს ოხერი არც გზები გვივარგა, კლდინი სოფელია და...

ნუგზარს არ უნდოდა დაეჭვებინა, მაგრამ ეჭვი შეეპარა თავის ნათქვამში თუმცა საბოლოოდ თავის შეხედულებას არ გადაუხვია.

— რაც არა უნდა იყოს რა, აჩქარებულხარო, ალბათ იმდენი მოსავალი მოგყავთ, რომ ქერს აინუნშიც არ თვლით, არა?

— არც ეგერა, მაგრამ მოსავალი მინც ბევრი მოგვეყავს. ჩვენთან ძირითადად მესაქონლეობა-მეცხვარეობაა, მარცვლეულს მერე ვაყენებთ რიგში...

— ჰმ, ადგილზე მართლაც ბევრი რამ არის დამოკიდებული, — სხვათაშორის თქვეა ნუგზარმა და დაცვრებულ მინდორს დააყოლა თვალი. ირგვლივ წიფლნარი შემოსდგომოდა და აქა-იქ დაკორძილი ნაძვებიც მოჩანდა.

— გადაძალული არც პური ვარგა და არც ადამიანი, — ჩაერია ვაჟა—ი, ნახე, — თავთავი მიაწოდა, — ამ თავთავში ზოგი მარცვალი ისეა გაკვიწყლი, რომ კბილი აგაცდებათ. მზე წამოადგება თუ არა, ყუნწში გაიზნიქება და მერე მშვიდობით! პატარა ქარმა რომ დაუხეროს, მოსტეხავს... აქ ასეთი ნახევარზე მეტია. ბევრი კი ცოტას ყოველთვის გაიტანს.

— მართალია, მაგრამ, — ახლა სხვა ჩაერია მათ საუბარში, — მაგ ამხანაგის თქმისა არ იყოს, ერთი კვირა არც ისე დიდი დროა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სად მოსული მარცვლის გემო და სად მოუსვლელისა?

ვაჟამ წარბი შეიკრა.

— გამგეობამ უკეთ იცის, როგორ გააქეთოს...

— რომელ გამგეობაზე ლაპარაკობ, როცა გამგეობა მხოლოდ გიორგია, რასაც იტყვის კანონია, უნდა გაეკთდეს... გამგეობა თვალის ასახვევად ჰყავს არ ჩეული.

— აგრონომი ხომ გყავთ? — კითხა ნუგზარმა.

— აგრონომიო? ჰმ, — ჩაეცინა ისევ იმ გლხს. — ყველაფერი გიორგია.

— იოსები მართალს ამბობს!.. — აქეთ-იქიდან აყაყანდნენ მცელავეები.

იოსებს გული მოეცა, რაღაცა უნდა ეთქვა კიდევ, მაგრამ ვაჟამ არ დააჰადა.

— იცი რა გითხრა, იოსებ? მოდი შენს ბრიგადას მოუარე და სხვაზე ლაპარაკს მოეშვი! — ეტყობა, არ ეამა ვაჟას სოფლის ავკარგინობაზე ლაპარაკი რაიკომის წარმომადგენელთან. — ამით ყური რომ დაუდლო, გაგაგიჟებენ, — მიმართა ახლა ნუგზარს, — ხალხია ხომ იცი, რას არ იტყვის...

— ხალხი? მაშ ვის უნდა დაუდლოთ ყური?

პარტორგს ლაპარაკის ხალხის დაეკარგა...

— აგრონომი მაშ რას აკეთებს? — იკითხა ნუგზარმა.

— აგრონომი არა, იმისმა მზემ, — აღაპარაკდა იოსები, — როგორც მე ჩინური ენისა არაფერი მესმის, ისე იმას არ ესმის თავისი საქმე...

ახლა სხვამ წამოყო თავი:

— შეიდა სოფლის გიყვიით დააქუნებს ცხენს, გიორგის გოგოს ეთამაშება გულდამწვარი. როცა შეეკითხებიან რამეს, ეს როგორ უნდა დაითესოს ან რომელი თესლი სჯობია ამ წიდადგში დასათესადო, კისერზე წაიღლებს ზოლმე ხელს, წიგნში ვნახავ, როგორ წერია და მეოე გეტყვითო... მინდორში წიგნით დაღის, წიგნიდან უყურებს აქაურ პირობებს...

ვაჟამ მორიდებით გადახედა მცელავს და თავი ვაჯანტურა.

— რა ხალხი ხართ! თუ ვაქი თვალში ამოიღეთ, რას არ მოუგონებთ? ამდენ ჭაქანს ის სჯობია საქმეს მიხედოთ...

— ვისაგებია... — თავისთვის ჩაილაპარაკა ნუგზარმა, — აი, თურმე რაში ყოფლა საქმე! თქვენ ტყუილად ემდურით ხალხს, ემდურით და არც ისინი გემადლიერებიან. ან რატომ უნდა იყვნენ თქვენით მადლიერნი, როცა უიმართოდ წყვეტთ ყველაფერს? ასე იყო წუ-

ხელის გამგეობაზეც... ამაზე ჩვენ ვილაპარაკებთ სადამოზე... მეზობელმა მეზობელს საცერი აუშვირა, როგორც მხედაო, როგორც შენ. მეც იყო! — ხათქვამია!

მცელავებმა გადაიხარხარეს.

— ადრე წამოდი, პარტიული კრება უნდა მოვიწვიოთ დღეს! — თქვა ნუგზარმა და წასასვლელად მოეშხადა, — აბა, ჩახვამდის, ამხანაგებო!

ვაჟა წინ გადაუდგა.

— დავნაყრდეთ, სამხრობამაც მოაწია.

— უჰ, რას ამბობთ? მცელავს როგორ შევეცილები ლუქამში? არა, გმადლობთ, არა მშია.

— დარჩენილიყავით! — გაუმეორა პარტორგმა.

ნუგზარი დაემშვიდობა და ახლა სხვა ბრიგადებისაკენ წავიდა.

• • •

პარტიული კრება გვიან შედგა.

თავმჯდომარისა და მდივნის არჩევის შემდეგ, კრების თავმჯდომარემ დღის წესრიგში ერთი საკითხი გამოაცხადა. სიტყვა ნუგზარს მისცა. ნუგზარმა რაიონული კომიტეტის პლენუმის დადგენილებებზე ილაპარაკა.

მოსხენების შემდეგ კომუნისტები გამოვიდნენ სიტყვაში. ილაპარაკეს წარმატებებზე, ნაკლოვანებებზე. მხოლოდ იოსებმა ვაჟედა ლაპარაკი. გიორგი ადგილზე ძლივს იჯდა, მგლის თვალით უყურებდა და ცხარე რეპლიკებს ესროდა დროგამოშვებით.

— რა თავის გამოჩენა გინდა? ილაპარაკე, ილაპარაკე, მაგის მეტი შენთვის ღმერთს არფერი მოუცია.

იოსებმა მაგრად შეახურა გიორგი და რეპლიკას რომ მოჰკრა ყური, თავმჯდომარეს სთხოვა, გიორგი გააჩუმეო.

თავმჯდომარემ გიორგის გადახედა, — გაუშვი ილაპარაკოსო.

— ჩვენი გიორგი, ნუ ეწყინება და, იმ მეფესა ჰგავს, ალღუმზე ჯარების და თვალღერების დროს ერთი პოლკის წყობა რომ არ მოეწონა და მის მეთაურს უბრძანა, დანაყოფი შეებრუნებინა

ზურგისაკენ და პირდაპირ ევლო. მიდი-
ოდა პოლკი და არ იცოდა სად, სადამ-
დე... ვერავის შეეხებდა მეფისათვის მო-
ეხსენებინა, რომ პოლკი კარგა ხანია მი-
დის მისი ბრძანების გამო და შეიძლება
მობრუნდეს თუ არაო... ბოლოს ერთმა
გაბედა, მოახსენა და მისმა უდიდებუ-
ლესობამ, არც თუ ისე დიდი ხალისით,
ბრძანა: პოლკი უკან მოებრუნებინათ.
პოლკმა თითქმის მთელი თვე იარა
კლდე-ღრეებში...

სიცილ-ხარხარმა გადაიარა დარბაზში.

— უკეთესია ისა სტევა, შენ როგორ
მუშაობ! — ვერ მოითმინა გიორგიმ.

— ჩემს თავზე ლაპარაკი არ მიყვარს,
დეე სხვამ ილაპარაკოს, არ მეწყინება,
თუ ღირსი ვარ, მაძაგოს ავიტან...

— ცოლი რატომ არ გამოგყავს სამუ-
შაოზე! — ისევ გიორგიმ უსროლა რეპ-
ლიკა.

— ცნობილ მხედართმთავარს სუვო-
როვს უთქვამს: „სწავლე ჩვენებით და
არა თქმითო“... ჯერ შენი მეუღლე გა-
მოიყვანე სამუშაოდ და მერე სხვებს
შოსთხოვე...

— ჰა, დაამთავრე? — ჰკითხა თავმჯ-
დომარემ.

— ორი წუთი კიდევ და... თუ შეიძ-
ლება!

თავმჯდომარემ კრებულს გადახედა.

— გაუშვი, ილაპარაკოს... — აქეთ-
იქიდან წამოიძახეს.

— სალაპარაკო ბევრია, მაგრამ...

— შეგეშინდა? იცი, რომ მართალი
კაცი არა ხარ... — შესძახა გიორგიმ.

— ვიტყვი! რატომაც არ ვიტყვი,
რომელი მშინშარა მე მნახე, სიმართლის
თქმისა მეშინოდეს? — და იოსებმა
ილაპარაკა სკოლის სახურავზე, ღობე-
ზე, მოაჯირზე, სოფლის აბანოზე და
კლუბზე, რომელთაც შეეკეთება სჭირდუ-
ბოდა და გიორგის სულ არ ადარდებდა
ეს ამბავი...

გაუბედაობის და რიდის ყინული და-
დნა. ყველას ლაპარაკის საღერღელი
აეშალა, გულში ტაში დაუკრეს იოსებს,
მაგრამ აშკარა მხარდაჭერისა დაერო-
დათ, ფიქრობდნენ: ნუგზარი ჩამოსუ-
ლია, ათასში ერთხელ გამოჩნდება ჩვენ-

თან, შეიძლება მალე სადმეც გადაწყვა-
ნონ, გიორგი კი მათი ავან-ჩავენია, აქა-
ური. პატარას აწყენინებ და კვალში
ამოვიღებს. ისეთ დროს გადავიტყდები
არც მოვლოდო...

პარტორგმა აიღო სიტყვა. იოსები გა-
ასწორა მიწასთან. გაასწორა და გულმო-
თხებული დაჯდა.

— სიტყვა კიდევ ვისა გაქვთ? — იკი-
თხა ესტატემ.

გიორგი წამოვდა.

— პლენუმის მნიშვნელობაზე ბევრი
ითქვა, არც იოსების შენიშვნებზე დაგ-
კარგავ დროს. მე მიინდა ვილაპარაკო
რაიკომის წარმომადგენლის წინადადე-
გებზე, ცხადია სახელმძღვანელოდ უნ-
და მივიღოთ ისინი, ცხოვრებაში გავა-
ტართო. საყურადღებო აზრი გამოსთ-
ქვა ამხანაგმა ნუგზარმა, ვაზის გაშენე-
ბის შესახებ, ღირს ვიდუქროთ ამ საკითხზე.
წინადადება შემომამქვს გავანაწი-
ლოთ ძნელი სამუშაოები თუთუელ კო-
მუნისტზე, რათა ერთიანი ძალით ვიბრ-
ძოლოთ საერთო ამოცანების განხორ-
ციელებაში. თორემ მე და პარტორგი
ვერათფერს გავხდებით მარტონი, ხალხ-
საც უნდა მოვუსმინოთ...

— რასაც თქვენ ყოველთვის გაურბი-
ხართ! — წამოიძახა იოსებმა.

კრებას გამოცოცხლება დაეტყო. აქა-
იქ სიცილის ხმა გაისმა.

— ავრე ძალიან რომ ხტინარ. სწო-
რედ შენ დაგავალდებ იმ ღობის, სკოლის
შენობის, კლუბის და აბანოს შეკეთე-
ბას! კი ბიჭი ხარ და ნუ გააკეთებ, მა-
შინ შენს თავს დააბრალები... — გიორგი
შეიქმუხნა, წარბი წარბთან მიიტანა და
კრებულს გადახედა ქორივით. რეჟულის
ფურცელზე შედგენილი გეგმა-განაწი-
ლება აიღო მაგიდიდან და თითქმის წა-
მოიყვინა:

— წინადადება შემომამქვს კომუნის-
ტები გავანაწილოთ ძნელ სამუშაოებზე
შემდგენიარად! — თქვა და ჩაიკითხა.

როცა დაამთავრა კითხვა, ამაყად გა-
დახედა თავმჯდომარეს და ბრძანებით
თქვა:

— ენჭი უყარე, ესტატე!

ესტატემ მხრები აიჩეჩა და კრებულს გადახედა.

— სხვა წინადადება ვისა გაქვთ ამხანაგებო?

დუმილი ჩამოვარდა.

— მე მაქვს! — წამოდგა ნიკა.

— აბა, შენ იცი, ნიკა! — უთხრა ესტატემ და გიორგის გადახედა, რადგან იცოდა, რომ ნიკა თუ რამეს იტყოდა, გიორგის ხეირს არ დააყრიდა..

— თუ სრულფლებიანობაა, სრულფლებიანობა იყოს, თუ არა... მხედრულ ბრძანებებს დავანებოთ თავი, ეს პარტიული კრებაა და არა ბაზარი, სადაც ყველა იმას ყაყანებს, რაც მოეხასიათება... ჩემი წინადადებაა თვითონ გიორგის, როგორც კომუნისტს, დავავალოთ ის, რაც მაგან დაავალა იოსებს. თავმჯდომარეა და პირველ რიგში ეგაა ვალდებული იბრუნოს სოფლის კეთილდღეობაზე, უფლებაც აქვს და საშუალებაც... იოსებმა მაგასთან უნდა ირბინოს ესა და ეს მჭირდებაო, გიორგი კი პირდაპირ მოჰკიდებს ხელს და როგორც ვთქვი, გააკეთებს კიდევ.

— კიდევ?

სხვა წინადადება არავის ჰქონდა.

ესტატემ ჭერ გიორგის წინადადება გამოიტანა სამსჯავროზე, კენჭი უყარა. მხოლოდ გიორგიმ და ვაჟამ დაუპირეს მხარი, სხვებმა უარი თქვეს.

გიორგი აღრინდა დაქრილი ლოშივით.

— ეს რაღა მიქარება? რაღა დავალება მინდა, როცა ყველაფერს მე ვუძღვები? არ მოელოდა ასეთ გაწბილებას.

ხმა არვინ გასცა.

მეორე წინადადება გავიდა.

ნუგზარს კმაყოფილებით გაეღიმა და საბოლოო სიტყვა ითხოვა.

ესტატემ თანხმობა ანიშნა.

— მუშაობა არ გაგიძნელებდათ, თუ ერთიმეორეს ამოუდგებოდა მხარში, ერთსულოვნად იბრძოლებოთ საერთო საქმისათვის, პირში თქმა ისწავლეთ, ჯანსაღად განსაჯეთ განსასჯელი და გწამდეთ, უთანხმოებაც მოისპობა თქვენს შორის. არც გიორგი და არც ვაჟა მართალნი არ არიან. მაშ ვის ელოდებით, რომ

ჩამოვიდეს სოფელში და შეგვეთოს სკოლის შენობა, ღობე, აბანო, კლუბი? თუ გინდათ, რომ ფული გადმოგირიცხონ რაიონმასკომიდან, მაშ რის ხელმძღვანელები ხართ, ეს უბრალო საკითხებიც თუ ვერ მოაგვარეთ? ერთი დღე ვინ ვეტყვით უარს გამოვიდეს და სკოლისათვის იმუშაოს? აქ ყოველ ნაბიჯზე ქვას წამოკრავთ ფეხს, გამოიყვანეთ ხალხი და ოთხ-ოთხი ქვა რომ მიიტანოს თვითთულმა ღობესთან და ადგილზე დადოს, საქმე გაკეთებულია! მაგრამ არა, თურმე ვაჟას დაღეჭილი ლექსა ჰყვარებია. ხელი არ უნდა გაანძროს კომუნისტები დარაზმოს საერთო საქმისათვის. ან რა საქირო იყო ამდენი ბაქიბუქი იოსების წინააღმდეგ? რას გიშვევთ? სიმართლე რომ თქვა, იმიტომ? ჰო, თუმცა კრიტიკას ვერ შეურცდნენ მოთავენი, აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! მერე და ეს საქმეა? მე გიორგის დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მამატიოს და არ მომეწონა მაგის გამოსვლა. როგორ შეიძლება, ამხანაგებო, ამდენი დაუდევრობა და კომუნისტის უფლებების აბუჩად აგდება? ვაზის შესახებ მოგახსენეთ, ნუთუ არავის შესტივდა გული მზვარეებისათვის? საკუთარი ღვინო შეგიძლიათ აქონიოთ, მაგრამ ამას ხომ შრომა უნდა, შრომა და მოფიქრება? შეიძლება მოფიქრეთ კიდევაც, მაგრამ ვერ გაბედეთ საქმის წამოწყება. ახლა ქერზე? წუხელის ვესწრებოდი გამგეობის სხდომას, გიორგიმ რაც მოისურვა, ის გაიტანა. არც არავის დაუჭერა...

ასე არ ვარგა. ხალხს თუ გვერდს აუვლით, მალე მიგატოვებენ და უთქვენიოდ გადაწყვეტენ თავიანთ საქმეს. საჭიროა დაფიქრება, ადამიანების სიყვარული, ნდობა, ერთიანობა. სხვანაირად უფლება არა გვაქვს ხელმძღვანელის სახელს ვატარებდეთ..

გიორგი შეიშმუნა, თვალბეჭი რისხვა ჩაუდგა.

ნუგზარმა გააგრძელა:

— იმედია, დღევანდელი კრებიდან სთანადო დასკვნებს გამოიტანენ ამხანაგები, აქტიურად ჩაებმებიან ერთობ-

ლივ შრომაში და კოლმეურნეობის სახელს არ შეარცხვენენ. ჩვენც დაგეხმარებით, ერთად ვიმუშაოთ!

ნუგზარს უნდოდა ელაპარაკა დაწვრილებით, შეხებოდა ყველაფერს ცალკე, მაგრამ გადაიფიქრა ამ იმედით, რომ, რაც ითქვა ცოტა არ იყო, და მთავარი იყო, რა შედეგი მოჰყვებოდა ამ, ნამდვილად გულთა პარტიულ პაექრობას დიდი ამოცანების გადაწყვეტაში გადაიფიქრა და დაჯდა.

— შეკითხვები თუ გექნებათ ამხანაგთან?

არაინ აღმოჩნდა მსურველი.

ამით დამთავრდა კრება. ყველა წავიდ-წამოვიდა.

მხოლოდ ზელმძღვანელობა დარჩა კანტორაში.

გიორგი ისე იჯდა, თითქოს დამის გათენებას აპირებდა კანტორაში. ღრმად ჩაფიქრებულიყო. ვაჟა საბუთებს ალაგებდა სეიფში და გიორგისავეთ დუმდა...

ესტატემ ხელმკლავი გაუკეთა ნუგზარს და თბილად უთხრა:

— დაიღლებოდით, წავიდეთ, დავისვენოთ!

ნუგზარმა უხერხულად იგრძნო თავი, უნდოდა უარი ეთქვა, მაგრამ იქვე დარწმუნდა, რომ ეს უაზრო სიციხეტე იქნებოდა და მკლავი მიანება.

— რას მიიჩქარით, ერთად წავიდეთ!

— წამოიწია გიორგიმ.

— ნელა-ნელა წავალთ, დაგვეჩიეთ!

— უთხრა ესტატემ და ტალანში გააბიჯა პირველმა.

გიორგიც გამოვიდა გარეთ. დარაჯი შემოეყარა დათქმულივით.

გიორგიმ კისერი მიაბრუნა დარაჯისკენ და ჩახლეჩილი ხმით უთხრა:

— ფეხს მოგტეხავ, თუ დილით კიდევ აღრე გამოდგი... ამ ოხერმა უძილობამ ფხა გამომიაცალა, ზეზეურად ჩამომხხმო, დამადამლავე, მთელი თვეა ხასიათზე აღარა ვარ...

კიბესთან წამოეწია ესტატეს და ნუგზარს.

— მოიცადეთ, ვაჟაც გამოვა და ჩვენთან წავიდეთ, გველოდებიან...

— ახლა ჩემი ჯერია, გიორგი, ჩვენთან წავიდეთ, არ აჯობებს? — შეესიტყვა ესტატე.

— რა ვანსხვავებაა? — გიორგიმ ასე აჯობებს... — ახლა ნუგზარს მიუბრუნდა, — თქვენ რას იტყვით?

ნუგზარს რა ეთქმოდა, თუმცა ემკვლევიანებოდა გიორგისთან მეორეჯერ მისვლა, მაგრამ თინა... თინა? რა ღირს, რომ ერთს შეხედავს იმ ანგელოზს და დატკბება სულით და გულით? ეგვი რომ არ იყოს, გიორგის გული აგრე აღვილად არ გათბება. არა, სჯობია ესტატესთან წავიდეს, არც პური უნდა, არც წყალი, მიწება და მიიძინებს, ხვალ კი დილით გაუდგება გზას... ეგაა და ეგ...

— მეუხერხულემა გიორგის მეორეჯერ შეწუხება და, რა ვთქვა?..

— როგორ გეუხერხულემა, შე კაი კაცი, რა მოხდა მერე? წავიდეთ!

გიორგის არაფერი გამოუვიდა. ამან უფრო გააბრაზა, მაგრამ ვითომ მზიარულ გუნებაზე დაემშვიდობა და ძილი ნებისა უსურვა ორივეს. ვაჟას აღარ მოუცადა და მარტო წავიდა სახლისაკენ.


მიდიოდა და ნუგზარზე ფიქრობდა. გული აღრენილი ჰქონდა, ნეტავი ყველა დამძინებული დახვდეს სახლში... დარო გაუკაპასდება, სტუმრის მოლოდინში რაღას დამაღამებინეო... ჰმ, გიორგის ეგონა ნუგზარი ორ სიტყვას ვერ მიამამდა ერთიმეორეს, მაგრამ ხედავ რაები თქვა, როგორ ღაზათიანად ჩამოაყალიბა თავისი აზრები! აგრონომი მიჰქარავდა მისთან... ისე რომ ვთქვათ, არ უნდა აჩქარებულიყო ქერის აღებაში ხალხისათვის უნდა მოესმინა... არა, როგორ ზეპირად ჩამოასარეკელავა იმ პლენუმის დადგენილება? ერთი სიტყვაც არ დასცდენია უმიზნოდ. მანამდელი ინსტრუქტორები რომ ჩამოვიდოდნენ ხოლმე, მოლასავით გადაიშლიდნენ კარაბადინისმაგვარ ქალაქს და ჰაიდა, კითხულობდნენ განუწყვეტლივ... მერე გიორგის შეაქებდნენ, შენობათაც ეტყოდნენ: „აი შენაირი თავმჯდომარეები რომ მოგვცა რაიონში სულყოლა“.

მაშინ ჩვენ აღარ ვიქნებოდით საკუროო...“ შეაქებდნენ და თვალს ჩაუკრავდნენ, რას კისრულობო... რას აკეთებდნენ? არაფერს! გოგოებს ჩაეარშიყუებოდნენ, ეკეხებოდნენ და გვიანობამდე არ შორდებოდნენ მათ... ყველაფერში ეთანხმებოდნენ არც შენიშვნებს აძლევენ გიორგის... ალბათ, პურმარილმა აუხვია თვალი თორემ... ამას გარდა, კიდევ რამდენი ჰქონდათ გიორგისთან სამადლობელო? ეე, ვინ მოსთელის... ამას კი, ხედავ როგორ უჭირავს თავი, ლაპარაკს ერიდება, ერთ სიტყვასაც არ იტყვის თავის შესახებ! იქნებ იმიტომ, რომ ახალია? მაშ თუ ეგრეა, რათ ილაპარაკა ასე გულახდილად და ვაქცაუროდ კრებაზე? არა ამის ბრალი არ არის... ჩანს ბევრი რამ არის მაგაში სახარბიელო... რას ერჩი?

ახლა პარტორგი როგორ ლაზათიანად გააკრიტიკა! აი, ეს მესმის, წყნარად, კულტურულად... ეს ოხერი ფაქტები ხანჯლებსა ჰკვანან, რამდენიც გინდა გაეჭეცე, მაინც დაგჩხვლეტავენ, ღმერთმანი ჭერ ასე არავის ულაპარაკია სიმართლე. ჩემზე რა თქვა? კიო, გიორგის

პარტისა ვცემ და მაპატიოსო! ხედავ რა სთქვა? მაშ ისე გამოდის, რომ არც ისე ცუდი ხელმძღვანელი ვყოფილვარ, შეცდომები ყველასა გვაქვს, რა ვუყოთ, სხვანაირად რომ არ შეიძლება? მაგრამ არც მე ვარ ჰა, დიდი მამა აბრამის ბატკანი! ერთი ბეწო ეშმაკობა არა მაქვს, მაინც მომეჩვენებინა ხალხისათვის, რომ თქვენც გისმენთო. ხომ არიან ზოგიერთი თავმჯდომარეები, განგებ მოიწონებენ შენიშვნებს, მიიღებენ კიდევ, და მერე, იცოცხლე, გულიდან აღარ ამოიგდებენ, გადაუხდიან მოულოდნელად... ეე, ჩემო გიორგი, დრო ისეთი დადგა, რომ დიდი დაფიქრება გმართებს. ხომ ხედავ ყველას სწავლულად მოაქვს თავი, უკეთესადაც გაეგებათ ბევრს ეს ქვეყანა, გაეგება და ბრაზი მოსდის, რომ უნიჭო ხელმძღვანელობს... დაფიქრდი, ხალხს ყური მიუგდე, იმისგანაც ისწავლე, რომ იმასვე გაუძღვე... ასე არა თქვა ნუგზარმა? ჰო, აბა, ყვირილი რა საკიროა? ბიჭო და, მართლაც თუ ხალხს არ გაუმართლე იმედები, არ მიეცი ის, რასაც დაჰპირდი, აგიძლებს მაშ რა იქნება?

ამ ფიქრებში გიორგიმ შეუძინეველად მიადწია სახლამდე.



პინკო ბილი

ლოტორი მუჩამ აბროვებს... ღუმის

ყოველ დღით, რადიოსტუდიაში შესვლისას, მურკე ერთსა და იმავე გამახინჯებელ ვარჯიშს მიმართავდა: განუწყვეტლივ მოძრავ ლიფტს შეახტებოდა და მეორე სართულზე კაბინეტთან გადმოსვლის ნაცვლად ლიფტს ზევით გაჰყვებოდა, მეექვსე სართულამდე. მურკეს ყოველთვის შიში იპყრობდა, როდესაც კაბინა ჭრილობით სხვენს მიეხრებოდა. დახეთილი ჯაჭვები და ლატანები, მოჭრილ რკინის მექანიზმები სხვენიდან ლიფტს ქვევით დაქანებდნენ, მაშინ შიშით აღვსილი მურკე რადიოსტუდიის ამ ერთადერთ დამტვერილ ადგილს მიაშტერდებოდა და შვეებით ამოისუნთქავდა, როდესაც კაბინა ზუსტი მოძრაობით რაბებს გასცდებოდა და — მეხუთე, მეოთხე, მესამე სართულების გავლით ქვევით დაეშვებოდა. — მურკემ იცოდა, რომ ეს შიში უსაფუძვლო იყო; არაფერი მოხდებოდა, ანდა რა უნდა მომხდარიყო, თუნდაც ლიფტი გაფუჭებულიყო, უკიდურეს შემთხვევაში ერთ-ორ საათს იყურებოდა სხვენში, სადაც ლიფტი წამით ჩერდებოდა ხოლმე. მას ყოველთვის თან ჰქონდა ჯიბეში წიგნი და სიგარეტები; თუმცა იმ სამი წლის მანძილზე, რაც რადიოსტუდიის შენობა ააგეს, ლიფტს არასოდეს უღალატია. ზოგჯერ, როდესაც მურკე მარტო არ იყო, იძულებული ხდებოდა უარი ეთქვა ამ წამიერი შიშის განცდაზე. ამ დღეებში იგი მშვიდი კაცივით გაღიზიანებული და უკმაყოფილო იყო. მურკეს მოთხოვნილებად გადაეჭტა შიშის განცდა. ეს შისთვის ისეთივე აუცილებელი იყო,

როგორც სხვებისთვის ყავა, ფაფა, ანდა ხილის წვენი.

როდესაც მურკე ასეთი ვარჯიშის შემდეგ მეორე სართულზე თავის კაბინეტთან ლიფტიდან გადმოსტებოდა, უკვე მხიარული და მშვიდი იყო, მხიარული და მშვიდი სწორედ იმ ადამიანის შთაგონად, რომელსაც თავისი სამუშაო უყვარს და ესმის. მურკე კაბინეტის კარს გამოაღებდა, დინჯად გაემართებოდა სავარძლისაკენ, შიგ ჩაჭდებოდა და პირში სიგარეტს გაიჩრია. მურკე ყოველთვის პირველი მოდიოდა სამსახურში. თავაზიანი და გონიერი ახალგაზრდა იყო და ყოველთვის აპატიებდნენ უნებლიე ქედმაღლობას, რადგან იცოდნენ, ფსიქოლოგია შეესწავლა და ხარისხი წარჩინებით დაეცვა.

• • •

უკვე ორი დღეა, რაც მურკემ, რაღაც განსაკუთრებული მიზეზის გამო, უარი თქვა შიშის განცდაზე: რვა საათზე მოდიოდა რადიოსტუდიაში, მაშინვე სირბილით შეიჭრებოდა რომელიმე კაბინეტში და მუშაობას შეუდგებოდა, რადგანაც დირექტორისაგან დავალება ჰქონდა მიღებული: ზელოვნების არსზე ბურ-მალოტკეს მიერ ფირზე ჩაწერილ ორივე მოხსენებიდან ბურ-მალოტკესე მითითებით, რამდენიმე ადგილი ამოეჭრათ. ბურ-მალოტკეს, რომელიც 1945 წლის რელიგიურ აღმთარენას შეეპყრო, მოულოდნელად „ღამით“, როგორც თვითონ ამბობდა, „რელიგიური ექვები აეშალა“

და „უცებ თავი დამნაშავედ იგარძნო რადიოსტუდიის წინაშე, რელიგიურ ტერმინებს მოკარბებულად ვხმარობ“, და გადაწყვიტა: „ღმერთი“, რომელსაც ხშირად იმოწმებდა ხელოვნების არსზე დაწერილ თავის ნახევარსაათიან მოხსენებებში, ამოეჭრათ და ისეთი ფორმულირებით შეეცვალათ, რომელიც უფრო შეეფერებოდა 1945 წლამდე მის მიერ აღიარებულ მსოფლმხედველობას. ამიტომ ბურ-მალოტკემ დირექტორს წინადადება მისცა, სიტყვა „ღმერთი“ შეეცვალა ფორმულირებით „ის უზენაესი არსება, რომელსაც ჩვენ თაყვანს ვცემთ“, მაგრამ ბურ-მალოტკემ მოხსენების თავიდან ჩაწერაზე უარი თქვა და ითხოვა, „ღმერთი“ მოხსენებებიდან ამოეჭრათ და მის ნაცვლად „ის უზენაესი არსება, რომელსაც ჩვენ თაყვანს ვცემთ“ ჩაეწებებიათ. ბურ-მალოტკე დირექტორს მეგობრობდა, მაგრამ ამჯერად ასეთი დათმობა არ იყო გამოწვეული დირექტორის თავაზიანობით; ბურ-მალოტკეს, ჩვეულებრივ, ვერაფერზე ვერ ეუბნებოდნენ უარს. მას უამრავი წიგნი ჰქონდა დაწერილი ფილოსოფიურ, რელიგიურ, კულტურულ და ისტორიულ საკითხებზე. იგი თანამშრომლობდა სამ ჟურნალსა და ორ გაზეთში, იყო, აგრეთვე, ერთ-ერთი დიდი გამოცემლობის მთავარი რედაქტორი. ბურ-მალოტკემ თანხმობა განაცხადა ოთხშაბათს თხოვნილი წუთით რადიოსტუდიაში შეეგლო და — „ის უზენაესი არსება, რომელსაც ჩვენ თაყვანს ვცემთ“ — იმდენჯერ წარმოეთქვა ფირზე ჩასაწერად, რამდენჯერაც მის გამოსვლაში ნახსენები იყო „ღმერთი“. დანარჩენი რადიოსტუდიის ტექნიკური პერსონალის გამოცდილებასა და მოხერხებას მიანდო.

• • •

დირექტორს გაუჭირდა ისეთი კაცის მოძებნა, ვინც ამ საქმეს მოაგვარებდა. უცებ მას მურკე გაახსენდა, მაგრამ რა-

ტომლაც ამ უცაბედმა გახსენებამ დაიქვა არჩევანის სისწორეში. დირექტორი სიცოცხლით სავსე და ჯანმრთელი კაცი იყო; აგი ხუთიოდე წუთს ფიქრობდა. გაახსენდა შევდლინიცი, ჰუმეოკეცი. ფროილიან ბროლინიცი, მაგრამ ბოლოს მაინც მურკეზე შეჩერდა. დირექტორს მურკე არ უყვარდა; მართალია, სამსახურში თხოვნისთანავე მიიღო, მაგრამ გულზე მაინც არ ეხატებოდა. ეს ზოობარკის დირექტორივით დაეშარათ, რომელიც კურდღლებთან და შვლებთან ერთად ზოობარკისთვის მტაცებლებსაც იძენს. ზოობარკში ხომ მხეცებიც უნდა იყვნენ, თუმცა დირექტორი მაინც ბაჭიებსა და შვლებს წყალობს. მურკე დირექტორისათვის მეტის-მეტად ინტელექტუალური ცხოველი იყო. და ბოლოს, გაიმარჯვა დირექტორის ცხოვრებისეულმა ალლომ და მან მურკეს მიანდო ფირზე ჩაწერილი ბურ-მალოტკეს მოხსენების დაჭრა. მოხსენებები პროგრამით ხუთშაბათისა და პარასკევისათვის იყო გათვალისწინებული. ბურ-მალოტკეს კი კვირა ღამით დაუწყო სინდისმა ქენჯნა. ვინც მასთან ამ საკითხზე შეკამათებას შეგებდავდა, თავბედს დაიწყევლიდა; ხოლო დირექტორი იმდენად გონიერი კაცი გახლდათ, რომ ვაგლახად თავს არავის შეაკლავდა.

ამგვარად, ორშაბათ ნაშუადღევს და სამშაბათ დილით მურკემ სამჯერ მოისმინა ორივე მოხსენება ხელოვნების არსზე და ამოსტრა „ღმერთი“, ხოლო პატარა შესვენების დროს, ტექნიკოსთან ერთად დღემილით ეწეოდა სიგარას და თან ფიქრობდა სიცოცხლისადმი დირექტორის სიყვარულსა და იმ მდბაბლ არსებაზე, რომელსაც თაყვანს სცემდა ბურ-მალოტკე. მურკეს მანამდე — ბურ-მალოტკეს დაწერილი ერთი სტროქონიცი არ წაეკითხა და არც მისი მოხსენება მოესმინა. ორშაბათ ღამით დაესიზმრა კიბე, რომელიც ეიფელის კოშკივით მაღალი და დაქანებული იყო. კიბეზე აღიოდა, მაგრამ შენიშნა, საფეხურებზე საბონი იყო წასმული, ქვევით

დირექტორი იდგა და უყვიროდა: „აბა მურკე, აბა... არ შეგვარცხვინო...“ სამშაბათ ღამეს იმგვარივე სიზმარი ნახა: საიდან სადაო, და ერთ ბაზრობაზე აღმოჩნდა, სასრილო გორაკზე ავიდა, ერთ კაცს, რომელიც ეცნაურა, ოცდაათი პფენიგი გადაუხადა. სასრილო გორაკზე ფეხი რომ შედგა, უცებ დაინახა, გორაკი სულ ცოტა ათი კილომეტრი სიგრძისა იყო. იმაშიც დარწმუნდა, უკან წამოსასვლელი გზაც რომ აღარ ჰქონდა; მაშინ მიხვდა მურკე, ის კაცი, რომელსაც ოცდაათი პფენიგი მისცა, მისი დირექტორი იყო. ორშაბათსა და სამშაბათ დილით ასეთი სიზმრების შემდეგ მურკეს სულაც არ მოუწყურებია განუწყვეტილ მოძრავე ლიფტში შიშის განცდა.

* * *

ორშაბათ ღამით მურკეს არც საპონი დასიზმრებია, არც სასრილო გორაკები და არც დირექტორი. მან ღიმილით შეაბიჯა რადიოსტუდიაში, შეახტა განუწყვეტილ მოძრავე ლიფტს, მეექვსე სართულამდე ავიდა და წამის მეოთხედში განიცადა შიში, შემდეგ მეოთხე სართულზე ლიფტიდან გამოვიდა და კაბინეტისაკენ გაეშურა, სადაც ბურ-მალოტკეს უნდა შეხვედროდა: ათს ორი წუთი აკლდა, როდესაც მწვანე სავარძელში ჩაჯდა, ტექნიკოსს მიესალმა და სიგარეტი გააბოლა. წყნარად სუნთქავდა; გულჭიბიდან ნაწერი ქალღი ამოიღო და საათს დახედა: ბურ-მალოტკე პუნქტუალური იყო, ყოველ შემთხვევაში, მის პუნქტუალობაზე ზღაპრებს ჰყვებოდნენ; და როდესაც წამშობი ათი საათის მესამოცე წუთს უახლოვდებოდა, წუთშობი — თორმეტს, საათის მაჩვენებელი ისარი კი ახს მიუჩოჩდა, გაიღო კარი და ოთახში ბურ-მალოტკე შემოვიდა. მურკე წამოდგა, თავაზიანი ღიმილით მის შესაგებებლად გაემართა და თავი გააცნო. ბურ-მალოტკემ ხელი ჩამოართვა, გაუღიმა და მიმართა: — მაშ ასე, დაეიწყეთ! — მურკემ მაგიდიდან ქალღი აიღო, პირში სიგარეტი გარკო, ნაწერს დაიკვირდა და ბურ-მალოტკეს უთხრა:

— ორივე მოხსენებაში „დირექტორის“ ოცდაშვიდჯერაა ნახსენები, გთხოვთ ოცდაშვიდჯერ თქვათ ის, რაც ჩვენ უნდა ჩავაწებოთ. მადლიერი დაგირჩებით, თუკი თხოვნას შეგვისრულებთ და ოცდათხუთმეტჯერ იტყვიან, რათა ჩაწებებისას რალაც მარავი გვექონდეს.

— თანახმა ვარ, — ღიმილით უთხრა ბურ-მალოტკემ და დაჯდა.

— უბირველეს ყოვლისა, ერთადერთი სიძნელე შემდეგში მდგომარეობს, — თქვა მურკემ — სიტყვა „დმერთის“, როგორც ეს, ყოველშემთხვევაში, თქვენს მოხსენებაშია, ნათესაობითი გარდა, არ გააჩნია გარკვეული ბრუნვა, ხოლო წინადადებას „ის უზენაესი არსება, რომელსაც ჩვენ თაყვანს ვცემთ“, ჰქონდება გარკვეულ ბრუნვაში ჩასმა: ჩვენ სულ დაგვირდება, — მურკემ თავაზიანად გაუღიმა ბურ-მალოტკეს, — თხუთმეტი სახელობითი ბრუნვა, ე. ო. თხუთმეტჯერ უნდა თქვათ: — ის უზენაესი არსება, რომელსაც ჩვენ თაყვანს ვცემთ, შემდეგ შევიდგეთ ნათესაობითი ბრუნვა, ე. ო. — იმ უზენაესი არსების, რომელსაც ჩვენ თაყვანს ვცემთ, ხუთჯერ მიცემითი ბრუნვა: — იმ უზენაეს არსებას, რომელსაც ჩვენ თაყვანს ვცემთ, გვჩიება კიდევ ერთი წოდებითი ბრუნვა, ის აღვილი, სადაც თქვენ ამბობთ — ო, დმერთო. ნებას მივცემ ჩენს თავს, გთხოვთ, — ო, დმერთოს — მაგიერად წარმოთქვათ: — ო, შენ, უზენაესო არსება, რომელსაც ჩვენ თაყვანს ვცემთ!

ბურ-მალოტკეს, ცხადია, არ უფიქრია ასეთ გართულებებზე; ჰირის ოფლმა დაასხა და ბრუნვების საკითხმა დაანადგელიანა. მურკემ განაგრძო — სულ — წარმოთქვა მან თავაზიანად და გაუღიად, — ოცდაშვიდჯერ ახლად ნათქვამი წინადადებისათვის მოხსენებაში დაგვირდება ერთი წუთი და ოცი წამი. მაშინ, როდესაც სიტყვა „დმერთის“ ოცდაშვიდჯერ წარმოთქმისათვის საჭირო იყო მხოლოდ ოცი წამი. ე. ო. ამ ცვლილებების გამო თვითეული მოხსენება ნახე-

ვარი წუთით უნდა შევამოკლოთ. ბურ-მალოტკეს უფრო დაასხა ოფლმა; თავ-ბედს იწყევლიდა ასეთი ცვლილებების გამო და იკითხა: — სიტყვა „ღმერთი“ უკვე ამოსჭერით?

— დიახ, უპასუხა მურკემ, ჯიბიდან თუნუქის საპაპიროსე ამოიღო, გახსნა და ბურ-მალოტკეს აჩვენა: კოლოფში პატარა მოშავო ნაჭრები ეყარა; მურკემ წყნარად უთხრა: — აი, თქვენს მიერ ოცდაშვიდჯერ წარმონათქვამი ღმერთი. გნებავთ წაიღეთ?

— არა, — გაბრაზებით თქვა ბურ-მალოტკემ, — გმადლობთ. ამ ერთი წუთის თაობაზე დირექტორს მოველაპარაკები. რა გადაცემები მოჰყვება ჩემს მოხსენებას?

— ხვალ, — უპასუხა მურკემ, — თქვენს მოხსენებას მოჰყვება კულტურული ცხოვრების მიმოხილვა, გადაცემა მიჰყავს დოქტორ გრემს..

— დალახვროს ეშმაკმა, — წარმოთქვა ბურ-მალოტკემ, — გრემთან ვერაფერსაც ვერ გააწყობ.

— ზეგ კი, — განავრძო მურკემ, თქვენს მოხსენებას მოჰყვება გადაცემა „ჩვენ ვიწყებთ ცეკვას“.

— ჰუგლიმე, — ამოიოხრა ბურ-მალოტკემ: — ჯერ არ ყოფილა შემთხვევა გართობის განყოფილებას წამის მეხუთედი დაეთმოს კულტურის განყოფილებისათვის.

— მართალი ბრძანდებით, — უპასუხა მურკემ, და ახალგაზრდულ სახეზე უძრავი მოკრძალების გამომეტყველება აღებეჭდა. — ყოველ შემთხვევაში, რაც რადიოსტუდიაში ვმუშაობ, ჯერ არ მომხდარა ასეთი რამ.

— კეთილი, — უთხრა ბურ-მალოტკემ და საათს დახედა, — ათ წუთში ყველაფერს მოვრჩებით, წუთის თაობაზე შემდეგ მოველაპარაკები დირექტორს. დავიწყეთ, შეგიძლიათ თქვენი ქალაქი აქ დასტოვოთ?

— სიამოვნებით, — მიუგო მურკემ, — რიცხვები ზუსტად მახსოვს.

როდესაც მურკე პატარა შუშის კაბინაში შევიდა, ტექნიკოსმა გახეთს ხელი უშვა და გედღიმა. ორშაბათს და სამშა-

ბათს, ექვსი საათის განმავლობაში მურკეს და ტექნიკოსს არც ერთი სიტყვა არ დაცდენიათ ბურ-მალოტკეს მოხსენების მოხსენისას და სათანადო „ხელგულ“-ბის ამოჭრისას. ისინი ერთმანეთს თუ გადახედდნენ ხოლმე; შესვენების დროს ტექნიკოსმა ერთხელ გაუწოდა მურკეს სიგარეტის კოლოფი, მერე მურკემ ტექნიკოსს. ახლა კი მურკემ, გაღიმებული ტექნიკოსი რომ დინახა, გაიფიქრა: თუკი საერთოდ ქვეყანაზე არსებობს მეგობრობა, მაშინ ეს კაცი ჩემი მეგობარიაო. თუნუქის კოლოფი, რომელშიც ბურ-მალოტკეს მოხსენებიდან ამოჭრილი ფირები ეწყო, მაგადაზე დასდო და წყნარად წარმოთქვა: — ახლა კი დავიწყეთ; სტუდია ჩართო და მიკროფონში თქვა: — საცდელის გარეშე შეგვიძლია დავიწყეთ, ბატონო პროფესორო, ასე აჯობებს; მე გთხოვდით, სახელობითი ბრუნვით დაგეწყეთ.

ბურ-მალოტკემ თავი დაუქნია. მურკემ თავისი მიკროფონი გამორთო, დილკს თითი დააჭირა, სტუდიაში მწვანე სინათლე აინთო, შენდეგ მათ გაიგონეს ბურ-მალოტკეს საზეიმო და კარგად აქცენტარებული ხმა: — ის უზენაესი არსება, რომელსაც ჩვენ თაყვანს ვცემთ, იმ უზენაესი არსების..

ბურ-მალოტკეს ტუჩები ისე მოძრაობდნენ მიკროფონთან, თითქოს მიკროფონის კოცნა სურდათ. მას ზეითქი გადასდიოდა, მურკე კი შუშის კედლიდან გულგრილად უთვალთვალებდა ბურ-მალოტკეს ტანჯვას. უცებ მან გამორთო ბურ-მალოტკე, ბოლომდე გადაახვია ფარი, რომელზედაც სიტყვებს იწერდა, მურკე ტუჩებოდა შუშის კედლის იქით რომ შესცქეროდა მსუქან, ძლიერ ლამაზ თევზებით გატრუნულ ბურ-მალოტკეს. მერე მიკროფონი ჩართო, და წყნარად წარმოთქვა: — ძალიან მწყინს, მაგრამ ფირი გაფუჭებული აღმოჩნდა, გთხოვთ ერთხელ კიდევ დავიწყეთ თავიდან, სახელობითი ბრუნვით. ბურ-მალოტკე ილანძლებოდა, მაგრამ ეს ლანძღვა, მხოლოდ მას ესმოდა; მურკეს მიკროფონი გამორთული ჰქონდა, მხოლოდ მაშინ ჩართო, როდესაც ბურ-მალოტკემ დაი-

წყო: — ის უზენაესი არსება... — მურკე ახალგაზრდა გახლდათ, ამიტომ თავის თავს ისე განათლებულად სთვლიდა, რომ უგულუბელებოვდა სიძულვილის გრძნობას. მაგრამ აქ, შუშის კედლის მიღმა, ვიდრე ბურ-მალოტკე ნათესაობით ბრუნებებს იმეორებდა, უცებ მიხვდა, რა იყო სიძულვილი. მას სძულდა ეს დიდი, ჩასუქებული და ლამაზი მამაკაცი, რომლის წიგნებიც ორ მილიონ სამასორმოცდაათი ათასი ეგზემპლარის რაოდენობით ეწყო ბიბლიოთეკებსა და წიგნსაცავებში, წიგნის კარადებსა და წიგნის მალაზიების თაროებზე. რატომღაც ერთი წამითაც არ უფიქრია, რომ ეს სიძულვილი თავისთავში ჩაეხშო. როცა ბურ-მალოტკემ ნათესაობითი ბრუნვა მეორეჯერ წარმოთქვა, მურკემ მიკროფონი ჩართო და კვლავ ჩუმად უთხრა: — ბოდიში, რომ გაწყვეტინებთ: სახელობითი ბრუნვა ბრწყინვალე იყო, პირველი ნათესაობითი ბრუნვაც, მაგრამ, ნება მიბოძეთ, მეორეჯერ წარმოთქმული ნათესაობითი ბრუნვა კვლავ გაიმეორეთ, ცოტა უფრო რბილად, და დინჯად, ფირს ერთხელ კიდევ დაგატრიალებთ თავიდან. მიუხედავად იმისა, რომ ბრანზორეული ბურ-მალოტკე თავს იქნედა, მურკემ ტექნიკოსს ანიშნა ფირი ჩართო — ორივე ხედავდა, როგორ შეერთა ბურ-მალოტკე, ოფლი ღვარღვარად ჩამოსდიოდა, ფირის გადახვევამდე ყურები დაიხშო, ბურ-მალოტკემ რაღაც წამოიძახა, ეტყობა, ილანძღებოდა, მაგრამ მურკესა და ტექნიკოსს არ გაუგონიათ, რადგანაც მიკროფონი გამორთული იყო. მურკე გულცივად იცდიდა, ვიდრე ბურ-მალოტკეს ტუჩების მოძრაობაზე არ მიხვდა, რომ მან კვლავ უზენაეს არსებაზე დაიწყო ღაღადი; მურკემ მიკროფონი და ფირი ჩართო და ბურ-მალოტკემ წამოიწყო: — იმ უზენაეს არსებას, რომელსაც ჩვენ თაყვანს ვცემთ.

როგორც კი ბურ-მალოტკემ წინადადება დაამთავრა მურკეს მიერ მიცემული ქაღალდი დაქმუნა, ოფლში გაწუწული, ბრანზორეული წამოდა და, ის იყო კარისაკენ დააბირა წასვლა, რომ უკან მოახედა მურკეს ტბილმა, თავა-

ზიანმა ახალგაზრდულმა ხმამ. მურკემ უთხრა: — ბატონო პროფესორო, წოდებითი ბრუნვა დაგვიწყდათ ბურ-მალოტკემ სიძულვილით არსებულ მურკეს მიაპყრო ნურკეს და მიკროფონში ჩასძახა: — ო, შენ უზენაესო არსება, რომელსაც ჩვენ თაყვანს ვცემთ!

ის იყო ბურ-მალოტკემ წასვლა დააპირა, რომ ისევე მურკეს ხმამ მოაბრუნა. — მაპატიეთ, ბ-ნო პროფესორო, მაგრამ ანგვარად ნათქვამი წინადადება გამოუსადეგარია.

— თუ ღმერთი გწამთ, — წასჩურჩულა ტექნიკოსმაც, — მეტის-მეტად ნუ გადააჭარბებთ. ბურ-მალოტკე ზურგით იდგა შუშის კაბინისაკენ, მურკეს ხმამ თითქოს კარებს მიაღურსმნაო.

ბურ-მალოტკე არასოდეს ყოფილა ასეთ უმწყო მდგომარეობაში, ახალგაზრდა, თავაზიანმა, უზომოდ ინტელიგენტურმა ხმამ გააწამა და ისე დატანჯა, როგორც არასოდეს, მურკე კი განაგრძობდა:

— რასაკვირველია, ასედაც შემძლეა მოხსენებაში ჩავაწებო, მაგრამ გთხოვდით, ყურადღება მიგექციათ, ბ-ნო პროფესორო, რომ ეს ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს.

ბურ-მალოტკე მიბრუნდა, კვლავ მიკროფონთან მივიდა და წყნარად, საზეიმოდ წარმოთქვა:

— ო, შენ უზენაესო არსება, რომელსაც ჩვენ თაყვანს ვცემთ.

• • •

ბურ-მალოტკეს არც შეუხედავს მურკესათვის, ისე გავიდა სტუდიიდან. ზუსტად თერთმეტის თხუთმეტი წუთი იყო. იგი კარებში დაეჯახა ერთ ახალგაზრდა მონიბილავ ქალს, რომელსაც ხელში ნოტები ეჭირა. ქალს წითური თმა ჰქონდა და ღელავდა იყო; იგი ენერგიულად მივიდა მიკროფონთან, შემოაბრუნა, მაგადა ისე მისწია, რომ მიკროფონთან თავისუფლად დგომა შესძლებოდა.

მურკე შუშის კაბინაში ნახევარი წუთი ესაუბრებოდა ჰუგლიმეს, გართობის გადაცემათა რედაქტორს. ჰუგლიმემ სიგარეტის კოლოფზე მიუთითა და მურკეს

კითხა: — კიდევ გჭირდებათ? — დიხ მჭირდება, — უპასუხა მურკემ. სტუდი-
აში ახალგაზრდა წითური ქალი მდრო-
და: — ინებე ჩემი ლამაზი ტუჩები. ჰუგ-
ლიმემ მიკროფონი ჩართო და წყნარად
უთხრა: — ხმა გაიკმინდე, დამაცადე ოცი
წამი, ჯერ არ ვარ მზად. ახალგაზრდა
ქალს გაეცანა, ტუჩები აბზიკა და მიუ-
გო: — შე ცვედანო, შენა. მურკემ
ტექნიკოსს უთხრა: — მე თერთმეტ
საათზე დავბრუნდები, ფირს მაშინ
დაეჭრით და ჩაეაწებებთ.

— ჩაწებების შემდეგ დავგჭირდება
მოსძენა? — კითხა ტექნიკოსმა. — არა,
მიუგო მურკემ, — მილიონი მარკაც რომ
მომცენ, მაინც ვერ მოვისმენ.

ტექნიკოსმა თავი დაუქნია და წითუ-
რი მომღერლისათვის ჩასდო ფარი; მურ-
კე გავადა.

მურკემ პირში სიგარეტი ჩაიდო, არ
მოუციდა, ისე განაგრძო გზა უკანა დე-
რეფანში მეორე ლიფტისაკენ. რომე-
ლიც სამხრეთით იყო. ამ ლიფტით სა-
სადილოში ჩადიოდნენ. ხალიჩები, დე-
რეფნები, ავეჯი, სურათები, ყველაფერი
აღიზიანებდა მას. მართალია, ხალიჩე-
ბიც, დერეფნებიც, ავეჯიც ლამაზი იყო,
სურათებიც გემოვნებით შეერჩიათ, მაგ-
რამ მურკეს უცებ სურვილი დაებადა,
სადმე აქ. კედელზე გაეკრა უგემოვნოდ
შესრულებული, გულივით გამოჭრილი
იესოს პატარა სურათი, რომელიც დე-
დამისმა გამოუგზავნა. შეჩერდა, მიმოი-
ხედა, ყური მიუგდო, ჯიბიდან პატარა
სურათი ამოაძრო და მუსიკალურ-დრა-
მატულ გადაცემათა რეჟისორის ასის-
ტენტის კარს მიაწება. სურათი ჰრელი
იყო და ნათელი, ხოლო განმოსახლებების
ქვევით ეწერა: მე შენთვის ვლოცულობ-
დი სანკტ იაკობის ეკლესიაში. მურკემ
გზა განაგრძო, ლიფტში შევიდა და ქვე-
ვით დაეშვა. რადიოსტუდიის ამ მხარეს
იყო შრორშნაუტის საფერფლეები,
რომლებმაც საუკეთესო საფერფლეთა
კონკურსში პირველი ჯილდო დაიმსახუ-
რეს. საფერფლეები ეკიდა ყოველი წით-
ლად განათებულ ციფრის გვერდით,
რომელიც სართულს აღნიშნავდა. წითე-
ლი ოთხიანის გვერდით შრორშნაუტის

საფერფლე, წითელი სამიანის გვერდით
— შრორშნაუტის საფერფლე, წითელი
ორიანის გვერდით — შრორშნაუტის სა-
ფერფლე. ესენი იყვნენ ლამაზი, სიკა-
რის ფორმის სპილენძის საფერფლეები;
დასამაგრებელიც სპილენძისა ჰქონდათ
და ზღვის ორიგინალურ მცენარეს წა-
გავდნენ: თვითველი საფერფლე ორას-
ორმოცდათვრამეტი მარკა და სამოცდა-
ჩვიდმეტი პფენიგი ღირდა. ისინი იმდე-
ნად მშვენიერები იყვნენ, რომ მურკეს
ჯერ არასოდეს გაუბედავს სიგარეტის
ფერფლით, ან ნამწვავის მსგავსი არა-
ესთეტიკური რაიმეთი დაენაგვიანებია
საფერფლე. დანარჩენებიც ამგვარადვე
იქცეოდნენ; სიგარეტის ცარიელი კო-
ლოფები, ნამწვავები და ფერფლი ყო-
ველთვის ამ ლამაზი საფერფლეების
ქვეშ, იატაკზე ეყარა: ვერავინ გაბედა
ისინი სხვა საფერფლეებით გამოეყე-
ნებია; ასე რომ, სპილენძის საფერფლე-
ები ყოველთვის კრიალა და ცარიელი
იყო.

მურკემ უკვე შეამჩნია მოახლოებული
საფერფლე წითლად განათებული ნო-
ლიანის გვერდით. პაერი გათბა, საქმლის
სუნი სცემდა, მურკე ლიფტიდან გადმო-
ვიდა და სასადილოში შებარბაცდა. კუ-
თხეში ერთ მაგიდას უჯდა სამი შტატგა-
რეშე თანამშრომელი. მაგიდაზე ეწყო
კვერცხები, პური და ყავადანი.

სამივემ ერთად მოამზადა გადაცემა:
„ფილტვები ადამიანის ორგანოა“, ერ-
თად აიღეს ჰონორარი, ერთად ისაუბ-
რეს და ახლა ერთად სვამდნენ არაყს და
წილს ჰყრიდნენ, ვის უნდა გადაეხადა
ამჯერად ფული. მურკე კარგად იცნობ-
და ერთ-ერთ მათგანს, ვენდრიჰს; მაგრამ
სწორედ ამ დროს ვენდრიჰმა რამდენ-
ჯერმე, მკვექარედ წამოიყვირა: „ხელოვ-
ნება!“ შეშინებული მურკე სწორედ იმ
ბაყაყივით შეხტა, რომელზედაც გაღვა-
ნიმ ელექტრონის მოქმედება აღმოაჩინა.
უკანასკნელი ორი დღის მანძილზე მურ-
კეს ბურ-მალოტკეს ბაგეთაგან ძალიან
შშირად ესმოდა სიტყვა „ხელოვნება“.
ეს სიტყვა ბურ-მალოტკეს ორივე მოხსე-
ნებაში ზუსტად ასოციათოთხმეტჯერ
იყო გამოვრებული; მოხსენებები კა

მურკემ სამჯერ მოისმინა, ე. ი. სიტყვა ბელოვებმა ოთხასორჯერ გაიგონა, და, რასაკვირველია, არაერთი ხალისი აღარ გააჩნდა მათ საუბარში ჩამბოლო-ყო. გვერდი ატეკია დახლს და სასადილოს მოპირდაპირე კუთხეში — ნიშისაკენ გაემართა, შვევით ამოისუნთქა, ნიში თავისუფალი რომ დაუხვდა. მურკე ყვირთელ სავარძელში მოკალათდა, სიგარეტს მოუკიდა და, როდესაც კელნერი ქალი — ვულა მოვიდა, სთხოვა: „გეთავა, ვაშლის წვენი მომიტანეთო“, და გაეხარდა, ვულა იმწუთსავე რომ გაქრა. თვალები მოხუჭა, სრულებით არ სტრდა, მაგრამ მისდაუნებურად ყური მიუგდო კუთხეში შტატგარეშე თანამშრომლების საუბარს, რომლებიც, სამწუხაროდ, განაგრძობდნენ ხელოვნებაზე კამათს; ყოველთვის, როდესაც ერთერთ მათგანს სიტყვა „ხელოვნება“ წამოცდებოდა, მურკე შეკრთებოდა. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს მათრახით სცემენო.

ვულამ მურკეს ვაშლის წვენი მოუტანა, თან მზრუნველობით შეხედა. ვულადიდი და ღონიერი ჩანდა, მაგრამ მსუქანი კი არ იყო — არამედ ჯანმრთელი. მზიარული სახე ჰქონდა. ვიდრე ვულა ვაშლის წვენს სურიდან ჭიქაში ასხამდა, მურკეს მიმართა: — უკეთესი იქნება, ბნო დოქტორო, შევბუღება აილოთ და პაპიროსის წევას თავი დაანებოთ.

წინათ იგი თავის თავს ვილფრიდელას უწოდებდა, შემდეგ, სახელის სიმარტივისათვის, ვულად გადაიკეთა. განსაკუთრებულ მოკრძალებით ექცეოდა კულტურის განყოფილების თანამშრომლებს.

— თავი დამანებეთ, — უთხრა, მურკემ, — მომეშვით, გეთავა!

— თქვენთვის საჭიროა, აგრეთვე, ვინმე უბრალო, სანდომიან გოგონასთან ერთად კინოში წახვიდეთ, — მიმართა ვულამ.

— დღეს საღამოსვე წავალ, — მიუგო მურკემ, — პატიოსან სიტყვას გაძლევთ.

— სრულებით არაა საჭირო აუცილებლად მატრაკეცათაგანი იყოს, — უთხრა ვულამ. — უბრალო, სანდომიანი.

წყნარი გოგონა იყოს, გულითადი ასეთი ბევრია.

— ვიცი, — მიუგო მურკემ, — არიან ასეთები და ვინც კი ეტყობა, კვთილი, გაიფიქრა ვულამ და შტატგარეშე თანამშრომლებისაკენ გაემართა. ერთმა მათგანმა სამი არაყი და სამი ფინჯანი ყავა შეუკვეთა. საწყლები, გაიფიქრა ვულამ, ხელოვნება მთლად ჰკუდიან შლით. მას გული შესტკიოდა შტატგარეშე თანამშრომლებზე და ყოველთვის მზად იყო ხელმოშპირნეობა ესწავლებია მათთვის. როგორც კი ფულს იშოვიან, ფიქრობდა ვულა, მყისვე ჩანთავენ. იგი დახლისაკენ გაემართა და დახლიდარს თავის კანტურით სამი არყისა და სამი ფინჯანი ყავის შეკვეთა მისცა.

მურკემ ვაშლის წვენი მოსვა და საუერფელში სიგარეტი ჩააქრო, თან ზარავდა იმის გახსენება, რომ თერთმეტიდან პირველ საათამდე ბურ-შალოტკეს წარმონათქვამი ფრაზები უნდა დაეჭრა და მოხსენებებში ზუსტად თავის ადგილს ჩაეწებებია. ორ სათზე კი ღირეჭტორს ორივე მოხსენება უნდა მოესმინა თავის კაბინეტში. მურკე ფიქრობდა საპონზე, მიხვეულ-მოხვეულ კიბეებსა და სასრილო გორაკებზე. ფიქრობდა დირექტორის სიცოცხლისადმი სიყვარულზე, ფიქრობდა ბურ-შალოტკეზე და შეკრთა, როდესაც სასადილოში შემოსული შეენდლინგი დაინახა.

შვენდლინგს ეცვა შავმოწითალო კუბოკრული ხალათი. იგი ზუსტად იმ ნიშისაკენ გაემართა, სადაც მურკე იმალებოდა. შეენდლინგი ღიღინებდა გავრცელებულ სიმღერას, რომელიც ახლა დიდ მოღაში იყო: „ინებე ჩემი ღამაზე ტუჩები“ — მურკეს დანახვაზე განცვიფრდა და წამოიძახა: — ეს შენა ხარ? მე კი მეგონა, ნაწილნაწილად სჭრიდი ბურ-შალოტკეს ნაბოღვარს.

— თერთმეტ სათზე კვლავ გავაგრძელებ, — მიუგო მურკემ.

— ვულა, ერთი ლუდი, — გასძახა დახლისაკენ შებრუნებულმა შეენდლინგმა, შემდეგ მურკეს მიმართა: — შენ ამისათვის განსაკუთრებული შევბუღება დაიმსახურე; ნამდვილად საზიზღარი

რამ უნდა იყოს. შეფმა მიაშბო, რაც მოხდა!

მურკე დუმდა და შეენდლინგმა განაგრძო: — გაიგე მუკვიციის ახალი ამბები? მურკემ თავდაპირველად უინტერესოდ გააქნია თავი, შემდეგ კი ზრდილობისთვის შეეკითხა — რა დაემართა?

ვულამ ლუდი მოიტანა, შეენდლინგმა დალია, სული მოითქვა და ნელა წარმოთქვა: — მუკვიცი ტაიგის შესახებ ამზადებს გადაცემას.

მურკეს გაეცინა და იკითხა: — ფენი რალსა იქნს?

— ფენი, — მიუგო შეენდლინგმა, — ტუნდრა, შესახებ ამზადებს გადაცემას.

— ვეგუხტი?

— ვეგუხტი ჩემს შესახებ ამზადებს გადაცემას, შემდეგ კი მე მოვამზადებ მასზე. ნათქვამია: მოამზადე გადაცემა ჩემზე, შემდეგ მოვამზადებ გადაცემას შენზე...

ერთ-ერთი შტატგარეშე თანამშრომელი წამომხტარიყო და მთელი ხმით დრიალუბდა სასადილოში: — ხელოვნება, ხელოვნება, ეს არის ნთავარი.

მურკე წელში მოიკაცა იმ ჭარისკაცივით, რომელმაც მტრის სანგარში ნალმსატყორცების გასროლის ხმა გაიგონა. მურკემ კვლავ მოსვა ერთი ყლუპი ვაშლის წვენი და ისევ შეკრთა, როდესაც რადიოში მოესმა — ბ-ნ დოქტორ მურკეს მეცამეტე კაბინეტში ელოდებიან. — ბ-ნ დოქტორ მურკეს მეცამეტე კაბინეტში ელოდებიან. მურკემ საათს დახედა, ჭერ კიდე თერთმეტის ნახევარი იყო. ხმა კი შეუბრალებლად განაგრძობდა: — ბ-ნ დოქტორ მურკეს მეცამეტე კაბინეტში ელოდებიან. ბ-ნ დოქტორ მურკეს მეცამეტე კაბინეტში ელოდებიან. რადიო სასადილო ოთახში ეკიდა, დახლს ზევით, რადიოს თავზე გაეკრათ პლაკატი, რომელიც დირექტორმა დაახატინა: — დისციპლინა ყველაზე მთავარი.

— პო, — უთხრა შეენდლინგმა, — წასვლის მეტი არაფერი დაგჩენია.

— მართალია, — უპასუხა მურკემ, — აფერი ეშველება. იგი წამოდგა, ვაშლის წვენის საფასური მაგიდაზე დასდო,

შტატგარეშე მუშაკების მაგიდას გვერდით ჩაუარა, ლაფტში შევიდა და შეხუთე შრომისაღების საფერფლიდან კვლავ ზევითკენ გასწია, რეჟისორის სანსტენის კარებზე მიწებებული გულოვით გამოჭრილი იესოს პატარა სურათი დაინახა და გაიფტრა:

ნაღობა ღმერთს, ახლა მაინცა რადიოსტუდიაში ერთი უგემოვნო სურათი.

მურკემ ხმის ჩამწერი სტუდიის კაბინის კარი გაღო და დაინახა ტექნიკოსი, რომელიც მარტოდ-მარტო წყნარად მიჯდომოდა ქალაღის ოთხ ყუთს. მურკე მოქანცული ხმით შეეკითხა: — რა მოხდა?

— ისინი დროზე ადრე მოჩნენ, ვიდრე ფიქრობდნენ, ნახევარი საათი ნოვით, — უპასუხა ტექნიკოსმა, — ვიფიქრე, იქნებ, ეს ნახევარი საათი გამოგვეუნებიათ.

— რასაკვირველია, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, — უთხრა მურკემ, — პირველ საათზე შეპირებული ვარ. მამ ასე დაეიწყეთ. ეს რა კოლოფია?

— თვითელა ბრუნვისთვის, — მიუგო ტექნიკოსმა, — ცალკე კოლოფი მაქვს, სახელობითი ბრუნვა პირველშია, მეორეშია — ნათესაობითი, მესამეში — მიცემითი, ზოლო ამაში კი, — ნან პატარა კოლოფზე მიუთითა, რომელიც სულ კიდეში, მარჯვნივ იღო და „სუფთა შოკოლადი“ ეწერა, — აქ აწყვიდა ორივე წოდებითი ბრუნვა, მარჯვენა კუთხეში კარგია, მარცხენაში ცუდი.

— ბრწყინვალეა, — შენიშნა მურკემ, — ე. ი. თქვენ უკვე დაპერით ბურშალოტკეს ნაბოღვარი.

— დიახ, — მიუგო ტექნიკოსმა, — და თუკი თქვენ თანმიმდევრობით აღნიშნული გაქვთ, სად რომელი ბრუნვები უნდა ჩაეაწებოთ, — დიდა-დიდა ერთი საათი მოუხდეთ. გაქვთ კი აღნიშნული? — როგორ არა, უთხრა მურკემ. ჭიბიდან ქალაღი ამოიღო, რომელზედაც 1-დან 27-მდე რიცხვი იყო ჩამოწერილი; ყოველი რიცხვის ქვეშ ეწერა ბრუნვა.

მურკე დაჭდა, ტექნიკოსს სიგარეტის კოლოფი გაუწოდა, ორივე ეწეოდა.

ვიდრე ტექნიკოსი ბურ-მალოტკეს მოხსენების დანაწევრებულ ფურცებს კოჭზე დაახვევდა.

— პირველ ნაქერზე, თქვა მურკემ, — სახელობითი ბრუნვა უნდა ჩაეაწებოთ. ტექნიკოსმა ხელი დაავლო პირველ კოლოფს, ფირის ნაქერი ამოიღო და ცარიელ ადგილას ჩააქრა.

— მეორეზე, — თქვა მურკემ, — მიცემითი ბრუნვა.

ისინი მარდად მუშაობდნენ და მურკემ შეება იგრძნო, რადგანაც შეატყო, საქმეს კარგი პირი უჩანსო.

— ახლა კი, — თქვა მან, — წოდებითი ბრუნვა მოდის; რასაკვირველია, ცუდი ფირი ავიღოთ.

ტექნიკოსს ვაეცინა და ბურ-მალოტკეს მიერ წარმოთქმული ცუდი წოდებითი ბრუნვა ჩააწება. — შემდეგ, — შეეკითხა ის, — შემდეგ? — ნათესაობითი, — მიუგო მურკემ.

დირექტორი კეთილსინდისიერად კითხულობდა ყოველი მსმენელის წერილს. წერილში, რომელსაც სწორედ ახლა ეცნობოდა, შემდეგი ეწერა:

საყვარელო რადიოე, ეპვი არ მეპარება, ჩემისთანა ერთგული მსმენელი არ გეყოლება. მე ერთი მოხუცი ქალი ვარ, სამოცდაჩვიდმეტი წლის დედაბერი. ოცდაათი წელიწადია ყოველდღიურად ვისვენ თქვენს გადაცემებს. არასოდეს დამიშურებია ქება. რასაკვირველია, მოგაგონდება ჩემი წერილი „ძროხა კავიდას შვიდი სულის“ თაობაზე. ეს იყო ბრწყინვალე გადაცემა, მაგრამ ახლა შენზე განაწყენებული ვარ! აღშფოთებას იწვევს უბატივცემულობა, რასაც რადიო იჩენს ძალღებისადმი. და შენ ანას ჰუმანიზმს უწოდებ. ჰიტლერს გარკვეული ნაკლი ჰქონდა: თუ ყველაფერს დაიჭერებო, რაც მის შესახებ გვსმენია, იგი საზიზღარი ადამიანი იყო, მაგრამ ერთი კარგი თვისებაც გააჩნდა: ძალღებისკენ მიუწევდა გული და მათზე ზრუნავდა. ბოლოს და ბოლოს, კვლავ როდის დაიჭერს ძალღი გერმანიის რადიოში თავის ადგილს? სხვათაშორის, შენი გადაცემა

„კატა და თავი“ არ ვარგოდა: ეს იყო დამამკირებელი ყოველი ძალღისათვის. ჩემს პატარა ლოენგინს ლუპყყუკრტმ შეეძლოს, საკადრის პასუხს გააცემდეთ. ვიდრე შენს უქულმართ გადაცემას უსმენდა, ისე ყეფდა, რომ შესწერბოდიო, სიარცხელისაგან გული გაგისკდებოდაო. როგორც ყველა მსმენელი, მეც ვიხდი თვეში ორ მარკას და ესარგებლობ უფლებით და გეკითხებით: ბოლოს და ბოლოს, როდის დაიჭერს რადიოში ძალღი თავის ადგილს?

მეგობრული სალამით — მიუხედავად იმისა, რომ შენზე გაბრაზებული ვარ, შენი იადვივა ჰერხენი, დიასახლისი.

P. S. თუკი არცერთი იმ ცინიკოს ვაგბატონთაგანს, რომელთაც თქვენ სამუშაოზე იღებთ, უნარი არ შესწევთ შესაფერისად შეამკონ ძალღის სული, მაშინ გთავაზობთ მოკრძალებულ ცდებს. ჰონორარზე უარს ვამბობ. ჰონორარი შეგიძლია უმალ გადაუგზავნოთ ცხოველთა დაცვის საზოგადოებას.

თან ერთვის 35 ხელნაწერი.

შენი ი. ჰ.

დირექტორმა ამოიხვნეშა, ხელნაწერებს დაუწყო ძებნა, მაგრამ მდივან ქალს, ეტყობა, ისინი უკვე სადღაც შეენახა. დირექტორმა ჩიბუხი გატენა და ცეცხლი მოუქიდა; სიცოცხლით საცეტუჩები გაილოკა, ტელეფონის ყურმილი აიღო და კროჩისთან დაკავშირება მოითხოვა. კროჩის კულტურის განყოფილებაში ზევით ერთი ბაწაწკინტელაოთახი ჰქონდა, ისეთივე ბაწაწკინტელა, მაგრამ ლამაზი საწერი მაგიდა ედგა; იგი ხელმძღვანელობდა განყოფილებას, რომელიც ისეთივე ვიწრო იყო, როგორც მისი საწერი მაგიდა: ცხოველის როლი კულტურაში!

— კროჩი, — შეეკითხა დირექტორი, მას შემდეგ რაც იგი თავაზიანად ვაგბასუხა, — უკანასკნელად როდის გადავეციოთ ძალღებზე?

— ძალღებზე? — მიუგო მან, — ბნო დირექტორო, ვფიქრობ, ჩემს აქ ყოფნაში არასოდეს გადავეციცა.

— თქვენ კი რამდენი ხანია, რაც უკვე

აქ მუშაობთ? კროჩის უკვე კანკალი აუფარდა, რადგან დირექტორის ძლიერ გაუნაზღაურებდა; მან იცოდა, კარგს არ მოასწავებდა, როდესაც ასე სავსეოდ გაუნაზღაურებდა დირექტორს ხნა.

— უკვე ათი წელია, რაც აქ ვარ, ბ-ნო დირექტორო, — უპასუხა კროჩიმ.

— უსინდისობაა და მეტი არაფერი, — უთხრა დირექტორმა, — რომ თქვენ ძალღებვის შესახებ არასოდეს არაფერი გადაგიციათ, ბოლოს და ბოლოს, ეს ნაკლი აქვს თქვენს განყოფილებას. რა ეწოდებოდა თქვენს უკანასკნელ გადაცემას?

— ჩემს უკანასკნელ გადაცემას ეწოდებოდა... ენა დაება კროჩის.

— წინადადების გამოკრება არაა საჭირო, — შეუძახა დირექტორმა, — ჯარში კი არა ვართ.

— მიკიოტები ნანგრევებზე, — გაუბედავად უთხრა კროჩიმ.

— არა უგვიანეს სამი კვირისა, — კვლავ ნაზად უთხრა დირექტორმა, — უნდა მოვისმინო გადაცემა ძალღებზე.

— კეთილი, — მიუგო კროჩიმ და წკრიალიც გაიგონა, დირექტორს ყურმილი დაედო, შემდეგ შევბოვდა ამოსუნთქვა და წარმოთქვა: — ო, ღმერთო ჩემო!

დირექტორი შემდეგი მსმენელის წერილს წაეტანა.

ამ დროს შემოვიდა ბურ-მალოტკე. იგი ყოველთვის თავისუფლად გრძობდა თავს და დირექტორთან გაუფრთხილებლად შედიოდა. ამ თავისუფლებით ხშირად სარგებლობდა, ოფლიო ჯერ კიდევ ღვარად ჩამოსდიოდა, დირექტორის პირდაპირ მოწყვეტით ჩამოჭდა სკამზე, და თქვა:

— დილა მშვიდობისა.

— დილა მშვიდობისა, — უპასუხა დირექტორმა და მსმენელის წერილი გვერდზე გადასდო, — რითი შემიძლია გემსახუროთ?

— გეთავყა, — უთხრა ბურ-მალოტკემ, — დამითმეთ ერთი წუთი.

— ბურ-მალოტკე, — მიმართა დირექტორმა სიცოცხლით აღსავსე მოძრაობით. — ერთი წუთი კი არა, თქვენთვის დამითმია საათები, დღეები.

— არა, — თქვა ბურ-მალოტკემ, — ლაპარაკია არა ჩვეულებრივ წუთზე, არამედ გადაცემის წუთზე. ჩემი მოხსენება, შეცვლის შემდეგ, ერთი წუთით გაიზარდა.

— დირექტორმა პროვინციების განმანაწილებელი სატრაპივით სერიოზული სახე მიიღო.

— ვიმედოვნებ, — მეავედ წარმოთქვა მან, — რომ ეს არაა პოლიტიკური წუთი.

— არა, — მიუგო ბურ-მალოტკემ, — ნახევარი წუთი ადგილობრივისაგან და ნახევარიც გართობის განყოფილებისაგან.

— მადლობა ღმერთს, — უთხრა დირექტორმა, — გართობის განყოფილებისაგან სამოცდაცხრამეტი წამი და ადგილობრივისაგან — ოთხმოცდასამი წამი მაქვს შენახული, ბურ-მალოტკეს, რასაკვირველია, სიამოვნებით დავუთმობ.

— თქვენგან დავალებული ვარ, — მიუგო ბურ-მალოტკემ. — კიდევ რით შემიძლია გემსახუროთ? კითხვა დირექტორმა.

— მადლიერი დაგირჩებით, — უთხრა ბურ-მალოტკემ, — თუკი შეძლებისდაგვარად ხელს მოვკიდებთ ყველა იმ ფირის გასწორებას, რაც მე 1945 წლიდან ჩავწერე. ერთ დღეს, — თქვა მან, — შუბლზე ხელი გადაისვა და ნაღვლიანად ახედა დირექტორის საწერი მაგიდის თავზე დაკიდებულ ბრიულერის სურათის დედანს, ერთ დღეს მე... — ბურ-მალოტკეს ენა დაება, რადგანაც აზრი, რომელიც დირექტორისთვის უნდა გაეზიარებია, მტკიცენტული იყო მომავალი თაობისთვის. — ერთ დღეს მე... ერთ დღეს მე გარდავიცვლები. იგი კვლავ შეჩერდა და დირექტორს საშუალება მისცა შეშფოთებით შეეხედა მისთვის და ხელები გაესავსავებია. — ჩემთვის აუტანელია იმაზე ფიქრი, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ იმ სახით გადასცემთ ჩემს ნალაპარაკებს, სადაც ისეთ რაიმეს ვამბობ, რაც უკვე აღარ მწამს. განსაკუთრებით 1945 წლის პოლიტიკურ გამოსვლებში შეიმჩნევა ჩემი რელიგიური გადაზრები, რაც მხოლოდ ჩემს ახალგაზ-

რდულ სიფოცხეს შემოდია დავებრალო; ეს ამბავი დღეს ძლიერ მაფიქრებს. ჩემი თხზულებათა გასწორება სწორედ ახლა მიმდინარეობს, ვთხოვთ, რაც შეიძლება, მალე მომკეთ საშუალება, ჩემს მიერ წინათ წარმოთქმული სიტყვებიც გავასწორო.

დირექტორი დემდა, მხოლოდ წყნარად ჩაახველა, შებლზე პატარა გამჭვირვალე ოფლის წვეთები აუკიადუნენ. მოაგონდა, რომ ბურ-მალოტკე 1945 წლიდან თვეში სულ ცოტა ერთ საათს მაინც ლაპარაკობდა, და ვიდრე ბურ-მალოტკე ლაპარაკს ვანაგრძობდა, სწრაფად იანგარიშა: თორმეტი საათი გამრავლებული ათზე — გამოდის, რომ ასოცი საათი ულაპარაკია ბურ-მალოტკეს.

— პედანტობა, — თქვა ბურ-მალოტკემ, — მხოლოდ უგუნურთ შეუძლიათ გენიოსისათვის შეუფერებლად ჩასთვალონ, ჩვენ კი ვიცით, — დირექტორმა კმაყოფილება იგრძნო, რადგან „ჩვენში“ ბურ-მალოტკემ ისიც ჩართო, — რომ ჭეშმარიტი გენიოსები პედანტებიც იყვნენ. ერთხელ ჰიმელსპაიმმა მთლიანად დაბეჭდილი თავისი „ზეელონის“ გამოცემა საკუთარი ხარჯებით ხელახლად ააწყობია, რადგან შრომის შუა ადგილას სანი თუ ოთხი წინადადება არასწორი ეჩვენა. მხოლოდ იმის გაფიქრებაც კი, რომ ჩემს მოხსენებებს იმ სახით ვადასცემენ, რაც უკვე აღარ მწამს, და ეს მაშინ, როდესაც ცოცხლებში აღარ ვეწერები — აუტანელია ჩემთვის. თქვენ რას მიჩნევდით?

დირექტორის შებლზე ოფლის წვეთები უფრო და უფრო დიდდებოდნენ. — საჭიროა, თქვა მან წყნარად, — ზუსტად დადგინდეს თქვენი გადაცემების სია და შემდეგ არქივში დაიძებნოს, თუკი ის ფირები ინახება!

— ვინედოვნებ, — წარმოთქვა ბურ-მალოტკემ, — არცერთი ფირი არ იქნება წაშლილი ისე, რომ ჩემთვის არ ეუწყებიათ, ჩემთვის კი არაფერი შეუტყობინებიათ, ესე იგი არც ერთი ფირი არ იქნება წაშლილი.

— ყველაფერზე სათანადო განკარგუ-

ლებას გავცემ, — უპასუხა დირექტორმა.

— ძალიან ვთხოვდით, — ცივად უთხრა ბურ-მალოტკემ და წამოდგა, — ნახვამდის.

— ნახვამდის, — მიუგო დირექტორმა და ბურ-მალოტკე კარებანდე მიაცილა.

• • •

შტატგარეშე თანამშრომლებმა გადაწყვიტეს აქვე ესადილათ. მათ კიდევ დალიეს არაყი, ისევ და ისევ ხელოვნებაზე ლაპარაკობდნენ, საუბრობდნენ წყნარად, მაგრამ არა ნაკლები მგზნებარებით. ისინი შეშინებული წამოხტნენ, როდესაც სასადილოში ვანდერბურნი შემოვიდა. ვანდერბურნი იყო ერთი წარმოსადეგი, მელანქოლიური შესახედაობის პოეტი, შავი თმები და სიმპათიური სახე ჰქონდა; ეტყუბოდა, ვანდერბურნის მანიას შეეპყრო. დღეს გაუპარსავი იყო და ამიტომაც უფრო სიმპათიურად გამოიყურებოდა. ვანდერბურნი შტატგარეშე თანამშრომლების მაგიდისაკენ გაემართა, ღონემიზდილი დაჭდა და თქვა: „ბიჭებო, დამალევიეთ რაიმე. ამ დაწესებულებაში ყოველთვის ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს წყურვილით ვიბრძობი“.

არაყი და მინერალური წყლის ნარჩენი მიაწოდეს. ვანდერბურნი დალია, ჭიქა მაგიდაზე დაჭდა, სამივეს რიგ-რიგობით თვალი შეავლო და უთხრა: „გირჩევთ, თავი დაანებოთ ამ გარეგნულად ბრწყინვალე, მაგრამ აყროლებულ ბუნავს; რადიო ყველას მოგვიჩვენებს. გირჩევთ ასე მოიქცეთ, თორემ რადიო ყველას გამოგიყვანთ წირვას“.

მისი გაფრთხილება გულწრფელი ჩანდა და სამივე ყმაწვილზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ ამ სამმა ახალგაზრდა კაცმა არ იცოდა, რომ ვანდერბურნი სწორედ სალაროდან მოდიოდა, სადაც დიდძალი ჰონორარი აიღო იობის წიგნის მსუბუქი დამუშავებისათვის.

— ისინი გვფლეთენ ჩვენ, — ამბობდა ვანდერბურნი, — სისხლს გვწოვენ,

სულს გვხვდიან, ამის ატანა კი შეუძლებელია.

ვანდერბურნმა მინერალური წყალი დალია, ჭიქა მაგიდაზე დადგა და მოფრიალე პალტოთი მელანქოლიურად გააღაჯა კარისაკენ.

• • •

ზუსტად თორმეტ საათზე დაამთავრა მურკემ ჩაწებება. მიცემითა ბრუნვის უკანასკნელი ნაჭერი ჩააწებეს და მურკე წამოდგა. ის იყო კარის სახელურს ხელი წაავლო, რომ ტექნიკოსმა უთხრა: — ბურ-მლოტკესავით მგრძნობიარე და ძვირადღირებული სინდისი მეც მინდა მჭონდეს. რა ვუყოთ კოლოფს? — მან სიგარეტის კოლოფზე მიუთითა, რომელიც ზევით თაროზე, ახალ ფირებით სავსე კოლოფებს შორის იდო.

— იღოს მანდ, — მიუგო მურკემ.

— რისთვის?

— შეიძლება კიდეც დაგვჭირდეს.

— თქვენ გგონიათ, — ბურ-მლოტკეს კვლავ სინდისის ქენჯნა შეაწუხებს?

— მოსალოდნელია, — თქვა მურკემ. — უკეთესია დავიცადოთ. ნახვამდის. ლიფტით მეორე სართულზე ჩავიდა და იმ დღეს პირველად შეაბიჯა თავის კაბინეტში. მდივანი ქალი სასაუბმოდ წასულიყო. მურკეს შეფი, ჰუმკოკე ტელეფონთან იჯდა და წიგნს კითხულობდა, მურკეს გაუღიმა, წამოდგა და უთხრა: — ცოცხალი ხართ? თქვენია ეს წიგნი? საწერ მაგიდაზე დაგიტოვებიათ! მან სათაფრი აჩვენა მურკეს. — დიახ, ჩემია, — მიუგო მურკემ. წიგნს მომწვანო-მონაცრისფრო ყდა ჰქონდა და ეწოდებოდა — „ბეტლის ლირიკის არხი“; წიგნში მოთხრობილი იყო ერთ ახალგაზრდა ინგლისელ მწერალზე, რომელმაც ასი წლის წინათ ლონდონური სლენგის კატალოგი შეედგინა.

— ეს შესანიშნავი წიგნია, — შენიშნა მურკემ.

— დიახ, — უბასუხა ჰუმკოკემ, — შესანიშნავია, მაგრამ თქვენ ვერასოდეს ვერ ისწავლით ჰკუას.

მურკემ გაკვირვებით შეხედა.

— თქვენ ვერასოდეს ვერ ისწავლით ჰკუას, რომ შესანიშნავი წიგნებზე მაგიდაზე არ დასტოვოთ, როდესაც მისალოდნელია ვანდერბურნის გამოჩენა. მისი გამოჩენა კი ყოველთვისაა მოსალოდნელი. მან, მართლაც, იმ წუთშივე გადაათვალიერა, გადაფურცლა, ხუთ წუთს კითხულობდა კიდეც, და იცოთ. შედეგი რა მოჰყვა?

მურკე დუმდა.

— რა მოჰყვა და, — განაგრძო ჰუმკოკემ, — მან უკვე გაამზადა ორი თითოსათიანი გადაცემა: ბეტლის ლირიკის არხები. ეს ყმაწვილი ერთ დღეს საკუთარი ბებუის შესახებაც მოაწყობს გადაცემას. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ერთი მისი ბებიათავანი ჩემი დიდდაც იყო. მურკე, ერთხელ და სამუდამოდ დიმიხსოვრეთ: არასოდეს არ დასტოვოთ შესანიშნავი წიგნები მაგიდაზე, როდესაც ვანდერბურნის მოსვლაა მოსალოდნელი. კვლავ გიმეორებთ. ეს კი ყოველთვისაააა მოსალოდნელი. ახლა წაბრძანდით, ნაშუადღევს თავისუფალი ხართ, თქვენ ეს თავისუფლება დიმიხსოვრეთ. ბურ-მლოტკეს ნაბოდვარი მზადაა? კიდეც ერთხელ მოუსმინეთ?

— ყველაფერი მზად მაქვს, — უბასუხა მურკემ, — მაგრამ მოხსენების მოსმენა კი აღარ შემიძლია, უბრალოდ, აღარ შემიძლია.

— უბრალოდ აღარ შემიძლია, ძალიან ბავშვური თქმაა, — თქვა ჰუმკოკემ.

— დღეს კიდეც ერთხელ რომ გავიგონო სიტყვა ხელოვნება, ჰკუიდან შევიშლები, — წარმოთქვა მურკემ.

— თქვენ უკვე გავხარათ შეშლილს — უთხრა ჰუმკოკემ. ამაში გეთანხმებით. გაქვთ იმის საფუძველი, ასეთი რომ იყოთ. სამი საათი ბურ-მლოტკეს მოსმენა ძლიერი აღამიანის ძალ-ღონესაც კი აღემატება, და თქვენ ხომ ძლიერი აღამიანი არა ხართ? მან წიგნი მაგიდაზე დააგდო, ნაბიჯი მურკესაკენ გადადგა და უთხრა: — შენი ხნის რომ ვიყა-

ვი, ერთხელ, ჰიტლერის ოთხსაათიანი მოხსენება სამი წუთით უნდა შემემოკლებია. სამჯერ მომიხდა მოხსენების მოსმენა, ვიდრე ამოსაჭრელ ადგილებს შევთავაზებდი. ფირის მოსმენამდე ნაციისტი ვახლდით, მაგრამ, როდესაც მოხსენება მესამეჯერ ჩავთავაზე, უკვე აღარ ვახლდით ნაციისტი; ეს იყო ერთი უხეში, საშინელი, მაგრამ ძლიერ ეფექტური მკურნალობა.

— თქვენ გავიწყდებათ, — უთხრა მურკემ წყნარად, — რომ მე ბურ-მალოტკესგან უკვე განკურნებული ვიყავი, ვიდრე მის მოხსენებებს გავეცნობოდი.

— თქვენ ყოჩალი ხართ, — სიცილით მიმართა ჰუმპოკემ, — წაბრძანდით, დირექტორი ორ საათზე ერთხელ კიდევ მოისმენს. თქვენი მოძებნა არ უნდა გაგვიჭირდეს, ვაი, თუ რაიმე მოხდეს.

— ორიდან სამამდე სახლში ვიქნები, — მიუგო მურკემ.

— კიდევ ერთი, — უთხრა ჰუმპოკემ და ექსისი ყვითელი კოლოფი ჩამოიღო თაროდან, რომელიც მურკეს საწერ მაგიდასთან იდგა ახლოს. — ეს რა ფირის ნაკუწები გაქვთ ამ კოლოფში?

მურკე გაწითლდა — ეს არის, — თქვა მან, — მე ვაგროვებ განსაზღვრული სახის ნარჩენებს.

— რა სახის ნარჩენებს? — კითხა ჰუმპოკემ.

— დუმის, — უბასუხა მურკემ, — დუმის ვაგროვებ.

ჰუმპოკემ გაკვირვებით შეხედა, მურკე განაგრძობდა. როდესაც ფირებს ვჭრი, სადაც კი მომხსენებელს ხანდახან შეისვენებს, ამოიხვეწებს, ამოსუნთქავს ან სრულიად დუმს, — ნაკუწებს ნაგვისყუთში კი არ ვყრი, არამედ ვაგროვებ, — ბურ-მალოტკეს ნალაპარაკებში სხვათაშორის, ერთი წამი პაუზა არ გამორევია.

ჰუმპოკეს გაეცინა: — ნამდვილად, ბურ-მალოტკეს რა გააჩუბებს. — რას უშვებთ ნაკუწებს?

— ერთმანეთზე ვაწებებ და სალამობით, როდესაც შინ ვარ, გუგუროვებ — ჯერ ბევრი არ მაქვს, მხოლოდ — სამი წუთით დუმის შეგროვება შეეძელი, ახლა ზომ ცოტას სდუმან.

— უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ფირის ნაჭრების შინ წაღება აკრძალულია.

— დუმისსაც? — იკითხა მურკემ.

ჰუმპოკეს გაეცინა და უთხრა: — შეგიძლიათ წაბრძანდეთ! და მურკე ოთახიდან გავიდა.

• • •

როდესაც დირექტორმა სტუდიაში ფეხი შედგა, სამ საათს რამდენიმე წუთი გადაცილებოდა, და ბურ-მალოტკეს მოხსენება ახალი დაწყებული იყო.

... და სადაც კი, როგორც კი, რისთვისაც კი და, როდესაც კი საუბარი ხელოვნების არსზე დაიწყება, ჩვენ უპირველეს ყოვლისა, იმ უზენაეს არსებას, რომელსაც ჩვენ თაყვანს ვცემთ, მივაპყრობთ მურკას, მოკრძალებული უნდა ვიყოთ იმ უზენაესი არსებისადმი, რომელსაც ჩვენ თაყვანს ვცემთ; ქედი მოვიდრიკოთ და ხელოვნება როგორც საჩუქარი რამ, მადლიერების გრძნობით მივიღოთ იმ უზენაესი არსებისაგან, რომელსაც ჩვენ თაყვანს ვცემთ, ხელოვნება...

არა, გაიფიქრა დირექტორმა, ნამდვილად ვერც ერთ ადამიანს ვერ ვაძიებდებ ასოცი საათი უსმინოს ბურ-მალოტკეს არა და არა, არის საგნები, რის გაკეთებაც უბრალოდ, არ შეგიძლია, ამას მურკესაც ვერ დავაჯისრებდი. დირექტორი სამუშაო ოთახში დაბრუნდა, რადიო ჩართო და მაშინვე ბურ-მალოტკეს ხმა მოესმა: — ო, შენ უზენაესი არსებავ, რომელსაც ჩვენ თაყვანს ვცემთ... — არა, არა, გაიფიქრა დირექტორმა.

• • •

მურკე შინ ტახტზე წამოწოლილიყო და სიგარეტს ეწეოდა. იქვე, სკამზე, ერთი ფინჯანი ჩაი იდგა. მურკე ჰერს

მიშტერებოდა: საწერ მაგიდაზე საოცრად ლამაზი ქერა გოგონა ჩამომჯდარიყო და ფანჯრიდან გამშტერებული ვაჟყურებდა ქუჩას. მურყესა და გოგონას შორის, დაბალ პატარა მაგიდაზე, მაგნიტოფონი იდგა და იწერდა. სიტყვას არავინ არ სძრავდა, ხმა-კრინტი არ ისმოდა. გოგონა ფოტომოდელად გამოდგებოდა, იმდენად ლამაზი და ისეთი გაინდებელი იყო.

— მეტი აღარ შემიძლია. — წამოიძახა გოგონამ უცებ, — მეტი აღარ შემიძლია, ეს ხომ არაადამიანურია, რასაც შენ მოითხოვ. არიან კაცები, რომლებიც გოგონებს უზნეო კავშირს აიძულებენ, მაგრამ ვფიქრობ, რასაც შენ თხოულობ ჩემგან, უფრო უმსგავსია, ვიდრე მამაკაცთა რაიმე სხვა დაკინება ქალიშვილების მიმართ.

მურკემ ამოიხრა. — ღმერთო ჩემო, — თქვა მან, — საყვარელო რინა, კვლავ უნდა ამოვჭრა ყველაფერი. იყავი ესოდენ გონიერი, იყავი კეთილი და იყურე, სულ ცოტა, ხუთი წუთი, რომ ფირზე ჩაწერო.

— გავრუდდე? — იკითხა გოგონამ, და ეს ისეთ ხმაზე წამოიძახა, რასაც ოცდაათი წლის წინათ, „უხეშს“ უწოდებდნენ.

— გავრუდდე? — ესეც ხომ შენი გამოგონებაა, სიამოვნებით ვილაპარაკებდი ფირზე რომ ჩაწერათ, მაგრამ გავრუდდე?!

მურკე წამოდგა და მაგნიტოფონი გამოართო. — ოჰ, რინა, — თქვა მან, — რომ იცოდდე, რა ძვირფასია ჩემთვის შენი ღუმილი, საღამოობით, როდესაც დაღლილი ვარ, როდესაც აქ ვზივარ, შენს ღუმელს ვუკრავ. გემუღარები, იყავი თავაზიანი და იყურე სულ ცოტა სამი წუთი, შემობრალე და მეტს ნულარ ამომაკურევენებ; შენ ხომ იცი, როგორ მეძნელება ამოჭრა.

— კი, ბატონო, თქვა გოგონამ, მხოლოდ ერთი სიგარეტი მომაწოდე.

მურკემ გაიღიმა, სიგარეტი მისცა და უთხრა: — ამგვარად, მე მექნება შენი ღუმილი ორიგინალში და ფირზე ჩაწე-

რილი, ეს დიდებულია! ფირი კვლავ ჩართო და ორივე მდუმარედ ერთმანეთის პირისპირ ჩამოჯდა: ასე ისხდნენ. ვიდრე ტელეფონი დარეკავდა. მურკე წამოდგა, უმწეოდ აიჩეჩა მხრები და ყურმილი აიღო.

— მაშ ასე, — უთხრა ჰუმეკემ, — მოხსენებამ კარგად ჩაიარა, შეფს უარყოფითი არაფერი უთქვამს... შეგიძლიათ კინოში წახვიდეთ. — იფიქრეთ თოვლზე.

— რომელ თოვლზე, — ჰკითხა მურკემ და ზაფხულის მცხუნვარე მზეში გაწოლილ ქუჩას ვაჰხედა.

— ღმერთო ჩემო, — უთხრა ჰუმეკემ, თქვენ ხომ იცით, რომ ახლა უნდა დაეიწყოს ზამთრის პროგრამაზე ფიქრი. მე მჭირდება სიმღერები თოვლზე, მოთხრობები თოვლზე, მართლაცდა, ყოველთვის შუბერტსა და შტიფტერს ხომ ვერ დავეუკრავთ. არც ერთი თქვენგანი არ ფიქრობს, რომ გვაკლია სიმღერები და მოთხრობები სწორედ თოვლზე. ერთხელ მაინც წარმოიდგინეთ მკაცრი და გრძელი ზამთარი, უხვი თოვლთა და სიცივეებით. მაშინ სადღა ვიშოვოთ საჭირო გადაცემები. მოიფიქრეთ რაიმე თოვლზე.

— კეთილი, — მიუგო მურკემ, რაიმეს მოვიფიქრებ. ჰუმეკემ ყურმილი ჩამოკიდა. — წამოხტი, — უთხრა მან გოგონას, ჩვენ შეგიძლია კინოში წავედეთ.

— ახლა შემიძლია ვილაპარაკო? — კითხა გოგონამ. — დიახ, — უპასუხა მურკემ, — ილაპარაკე.

• • •

ამ დროისათვის მუსიკალურ-დრამატული განყოფილების რეჟისორის ასისტენტმა კიდევ ერთხელ მოისმინა მასალა, რომელიც საღამოს უნდა გადაეცათ. ყველაფერი რიგზე იყო, მხოლოდ დასასრულმა არ დააკმაყოფილა. იქდა სტუდიის მეცამეტე შუშის კაბინაში ტექნიკოსის გვერდით, ასანთის ღერს

ლექვდა და ხელნაწერს ათვლიერებდა.

(დიდი ცარიელი ეკლესიის აქუსტიკა) ათეისტი: (ლაპარაკობს ხმამაღლა და მკაფიოდ).

ვინ მომიგონებს, როს მე ჭია-ღუათა ნადავლად ვიჭყევი?

ღუმელი

ათეისტი: (უფრო ხმამაღლა ლაპარაკობს) ვინ დამელოდებდა, როს მე მტვრად ვიჭყევი?

ღუმელი

ათეისტი: (უფრო ხმამაღლა) და ვინ გამიხსენებს, როს მე კვლავ ბალახად ავბიზინდები?

ღუმელი

ასეთი შეკითხვა თორმეტი იყო; კითხვებს ათეისტი ეკლესიაში გაჰყვიროდა და ყოველ კითხვას ღუმელი მოსდევდა.

რეჟისორის ასისტენტმა პირიდან ასანთის გაღებული ღერი გამოიღო, ახალი ჩაიღო და გაკვირვებულმა შეხედა ტექნიკოსს.

— დიახ, — წარმოთქვა ტექნიკოსმა, — მე თუ მკითხავ: მგონია, ძალიან ბევრი ღუმელია შიგ.

— მეც ასე მგონია, — თქვა რეჟისორის ასისტენტმა, — ავტორსაც ასე მიანია და ნებაც კი დამართო შეეცვალა: ღუმელის ადგილას ხმამ უბრალოდ უნდა თქვას: „ღმერთი“ — მაგრამ ეს ხმა უნდა ყოფილიყო ეკლესიის აქუსტიკის გარეშე, ლაპარაკი, ასე ვთქვათ, სხვა აქუსტიკურ შენობაში უნდა მიმდინარეობდეს, მაგრამ მითხარით, სად უნდა ვიშოვო ახლა ასეთი ხმა?

ტექნიკოსს გაეღიმა, თაროზე შემოდებული სიგარეტის კოლოფს ხელი წაატანა. — აი, — თქვა მან, — აქ არის ხმა, რომელიც აქუსტიკურ შენობაში „ღმერთს“ წარმოთქვამს.

რეჟისორის ასისტენტს გაკვირვებისაგან კინაღამ ასანთის ღერი გადასცდა სასულეში, — სრულიად უვნებლად, — თქვა ღიმილით ტექნიკოსმა, — ეს ჩვენი

ერთ მოხსენებიდან ამოვპერით ოცდაშვიდ ადგილას.

— ამდენი არაა საჭირო, მე მხოლოდ თორმეტი შვირდება, — მიუგო რეჟისორის ასისტენტმა.

— ეს, რასაკვირველია, სულ უბრალოდ შეიძლება გავაკეთოთ, — თქვა ტექნიკოსმა, „ღუმელი“ ამოვჭრათ და თორმეტჯერ „ღმერთი“ ჩავაწებოთ, თუ თქვენ შეგიძლიათ პასუხი ავით ამბზე.

— თქვენ ანგელოზი ხართ, — თქვა რეჟისორის ასისტენტმა, როგორ არ შემიძლია პასუხი ვაგო. მაშ, ასე, დავიწყეთ, იგი ბედნიერი შეპყრებდა მობრძყევილად პატარა ფირის ნაჭრებს მურკეს სიგარეტის კოლოფში.

— თქვენ ნამდვილად ანგელოზი ხართ. — თქვა რეჟისორის ასისტენტმა, — მაშ ასე, შევუდგეთ!

ტექნიკოსს გაეღიმა, მას თავის მხრივ სიხარულს გვრიდა ამოჭრილი ღუმელის ნაჭრები, რომლებიც მურკესათვის შეეძლო ეჩუქებია: ძალიან ბევრი ღუმელი იყო, მთლიანად თითქმის ერთი წუთი; ამდენი ღუმელი მას ჯერ არასოდეს უჩუქებია მურკესათვის, მურკე კი მას ძალიან უყვარდა.

— კარგი, — წარმოთქვა ტექნიკოსმა ღიმილით, — დავიწყეთ.

რეჟისორის ასისტენტმა პიჯაკის ჯიბეზე გაიკრა ხელი, სიგარეტის კოლოფი ამოიღო. სიგარეტს დაჰმუქვნილი ქალაქი ამოაყოლა, გაასწორა და ტექნიკოსს გაუწოდა: — სასაცილო არაა? როგორ უგვანობას არ შეხედებით რადიოსტუდიაში; ეს ჩემს კარებზე ვნახე მიწებებული.

ტექნიკოსმა სურათი აიღო, დახედა და თქვა:

— მართლაც, რომ სასაცილოა, — და ხმამაღლა წაიკითხა წარწერა: მე მენთვის ელოცულობდი სანკტ იაკობის ეკლესიაში.

თარგმანი გერმანულიდან
ნოზარ რუხაიძის.



ბ. შავბერაშვილი

მუშაობა ძიებაში

ტექნიკის სამყაროს ჰყავს თავისი უსახელო და თავმდაბალი ვმირები, მართალია ისინი არ არიან გარემო-ცულნი ისეთი შარავანდელითა და იდუ-მალნი რომანტიკით, როგორც კოსმოსუ-რი რაკეტები და ატომური დანადგარე-ბი, მაგრამ მათი როლი და მნიშვნელო-ბა ამით სრულიადაც არ მცირდება. არ-მისი რიგითი მებრძოლებივით ისინი სწყვეტენ მრავალი ბრძოლის ბედს, სა-ზღვრავენ ჩვენს წინსვლას. ტექნიკის ერთერთი ასეთი „რიგითი მებრძოლია“ ფოლადის მილი.

ჩვენ ხშირად ვერც კი წარმოგვიდგე-ნია თუ რა დიდ როლს ასრულებს ფო-ლადის მილები წარმოებასა და ტექნი-კური პროგრესის განვითარებაში. ატო-მური რეაქტორები და ჭიმი, გემები და ორბიტალური ნავთობის ამოღება და გაზი, ენერგეტიკა და წყალმომარაგება, აი, რამდენ დარგს ემსახურება ფოლა-დის მილი, აი, რატომია რომ სამშობლო მისი წარმოების უფროდაუფრო მეტ განვითარებას მოითხოვს. არ იქნება ზედმეტი აქვე გაიხსენოთ, რომ შვიდ-წლედის ბოლოს სსრკ-ში მრავალი მი-ლიონი ტონა მილი უნდა დამზადდეს.

საოცარი პარადოქსია დამალული ფოლადის მილში. ერთი შეხედვით, ვერც კი იტყვი, რომ იგი მეტალურგიუ-ლი წარმოების ყველაზე რთული და ხანგრძლივი ტექნოლოგიური პროცე-სის შედეგია. მისი შექმნისათვის ათი ათასობით კვადრატული მეტრის ფარ-

თობზე გაციმულ საამქროში გიგანტური მექანიზმების დადგმა გახდა საჭირო. ერთმანეთთან საერთო ტექნოლოგიური ხაზით დაკავშირებული ეს მექანიზმები ქმნის უზარმაზარ მილსაგანილავ აგრე-გატს, რომელიც თანამედროვე ტექნი-კის ერთერთ საკვირველებას წარმოად-გენს.

სასწაულებს ხშირად ჩვენ შორს ვე-ძებთ ხოლმე. გვევიწყდება, რომ იგი ხანდახან ჩვენს მეზობლადაა. ასეთი ბე-დი ეწვია ამ ნარკვევის „გმირსაც“, რო-მლის გასაცნობად საქმარისი აღმოჩნდა ნახევარსაათიანი მგზავრობა რუსთავე-საკენ.

„400“ აგრეგატზე ადრეც ბევრი მსმე-ნია, მაგრამ ასეთი უზარმაზარი იგი არა-სოდეს წარმომედგინა. ვუყურებდი და მეგონა, რომ გოლიათების ზღაპრულ სამყაროში მოხვდი, რომ ამ ციკლო-პურ მანქანებს ადამიანები კი არა, დე-ვეები ემსახურებიან. მაგრამ ჩემს წინ საბჭოთა ადამიანების გამჭრიახი გონე-ბითა და დაოსტატებული ხელებით შე-ქმნილი რეალური ქმნილება იყო და არა ფანტასტიკური მანქანა.

— აგრეგატი „400“ — რთულ და-ნადგართა მთელი კომპლექსია, — გვი-ამბობს ამიერკავკასიის მეტალურგიუ-ლი ქარხნის მილსაგლინავი საამქროს უფროსი ლენინური პრემიის ლაურეა-ტი პავლე წერეთელი, — ყველა ისინი ღილთა გლინვის ერთიან პროცესში მო-ნაწილეობენ. აგრეგატის სიგრძე კილო-

მეტრზე მეტია, — ალბათ, უფრო რომ გაეძლიერებინა შთაბეჭდილება, დაუმართა: — აგრეგატში მუშაობს 170-მდე მექანიზმი და ორი ათასი ძრავა, რომელთა საერთო წონა 12 ათას ტონას აღწევს.

გიგანტური ზომები და მექანიზმთა სიძლიერე დანადგარს საშუალებას აძლევს კარგად შეასრულოს თავისი „ჯოჯოხეთური“ სამუშაო, — დიდი ფოლადის ნაშხალი მილად გადააქციოს.

ამ სამუშაოს კი, თითქოს ერთობაო, ისეთი საოცარი სიმსუბუქით ასრულებს აგრეგატი, არ შეიძლება თვალი მოსწყვიტო ფოლადის ამ ჭადოქრულ სახეცვლილებას. ახლახან იგი შეტალის ცივი ნატეხი იყო, მაგრამ მოხვდა თუ არა ლუმელში, 1200 გრადუსამდე გაგარვარდა და ისევ გარეთ გამოვიდა, ფოლადის სარგულათი შეუბრალებლად გახიშტული, გილზად იქცა. ათობით ლილეი ესალტება და გლინავს გილზს, საჭირო სიგრძესა და სისქეს აძლევს მის კედლებს. შემდეგ კი საგანგებო მექანიზმები აყალიბებენ და ასწორებენ.

ესტაფეტასავით გადადის მილი ლუმელიდან სახიშტსა და ავტომატურ დგარებთან. საგორავ დგარიდან გამმართველ დგარამდე ნაშხალი მილად იქცევა. და მთელ ამ გზაზე მას ერთხელაც არ ესება ადამიანის ხელი.

მილთა ფოლადის ნაკადი მდინარესავით მოედინება მექანიკურ კალაპოტში, ვერაფერი აკავებს ამ მოძრაობას. ისეთი ილუზია იქმნება, თითქოს ნაკადი გაცოცხლებულა, თვითონ დაძრულა, რომ ადამიანი აქ არაფერ შუაშია. მხოლოდ რამდენიმე თვეა, რაც ასე მუშაობს ეს გრანდიოზული აგრეგატი, წინათ აქ ყველაფერი სხვაგვარად გამოიყურებოდა.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს რა მოხდა ამ გიგანტურ საამქროში, უნდა გაეიხსნოთ წარმოების ნოვატორთა ნამდვილი შემოქმედებითი გმირობა, მიღმგდინავთა მუშაობის გუმინდელი დღე.

აგრეგატის ნახვისას დღეს ყველაზე

უფრო განცვიფრებას იწვევს არა ის, რომ საამქრო თითქმის უკაცრიელია, არამედ ადამიანთა მუშაობის ხანაობის ისინი აღარ მართავენ, მხოლოდ თვალყურს ადევნებენ მექანიზმებს. სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს მძიმე, ხშირად აუტანელი, ხელით შრომა. ადამიანები საიმედოდ შეცვალა ავტომატებმა.

ამას სწრაფად და ადვილად როდი მიადწევს. აგრეგატ „400“-ის სრული მექანიზაციისათვის ბრძოლა შეიძლება შევეადართო აუღებლად მიჩნეულ ციხესიმაგრის ხანგრძლივ ალყას. მართალია აქ სისხლი არ დაღვრილა, მაგრამ ადამიანებმა არანაკლები ნებისყოფა და თავგანწირვა გამოიჩინეს, ვიდრე ეს ნამდვილ ბრძოლებში ხდება.

ამ ეპიპოქეზას მიადწევს იმ ადამიანებმა, რომელთა შთაგონებული შრომა და თამამი, ტექნიკური ძიება წელს უმაღლესი ჯილდოთი — ლენინური პრემიის მინიჭებით აღინიშნა.

— ხელით მართვა და ფიზიკური შრომა მრავალ ოპერაციებზე, აი რატომ ვერ ვიყენებდით უფრო კარგად შესანიშნავ მილსაგლინავ დანადგარს, — გვიამბობს ქარხნის დირექტორი, ლენინური პრემიის ლაურეატი, სოლომონ შარაშენიძე, — მხოლოდ კომპლექსურ ავტომატიზაციას შეეძლო ტექნოლოგიურ პროცესთა ყველა რგოლის გაერთიანება.

მაგრამ ავტომატიკის გამოყენება შეიძლება კეთილ სურვილად დარჩეს, თუ პირობები არ არის მისი დანერგვისა. განა შეიძლება მიადწვიო მიზანს, თუ... ხელით საგორავი ურიკას ავტომატიზაციას შეეცდები? ეს რა თქმა უნდა, უხეში და ხელოვნური მაგალითია, მაგრამ რაღაც ამის მსგავსი მდგომარეობა იყო შექმნილი აგრეგატ „400“-მდე. 100 კაცი იყო დაკავებული მისი მექანიზმების სამართავად, ადამიანები მძიმე ფიზიკურ შრომას ეწეოდნენ.

მგლინავენს არასოდეს დაავიწყდებათ ავტომატური დანადგარის ეპოპეანურავინ ნუ იფიქრებს, რომ ეპოპეა, ამ შემთხვევაში, შეუფერებელი სიტყვა

იყოს. ავტომატური დანადგარის პრობლემა ათეული წლების მანძილზე აწვალვდა მილსაგლინავი საქმის სპეციალისტებს. მის გადასაწყვეტად თავს იტენდენ ამერიკელები და ინგლისელები, ფრანგები და გერმანელები, მაგრამ ამოცანა რუსთაველმა მეტალურგებმა ამოხსნეს.

ავტომატდგანზე ფოლადის მილთა კედლების ფორმირება ხდება, ამისათვის მილში ატარებენ მძიმე ფოლადის სარგულებს. წუთში ორჯერ იცვლება სარგულა. ავტომატდგანის პრობლემის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ხელით შრომისაგან გაენთავისუფლებინათ მუშა მელიღვეები, რომლებსაც 1000 გრადუსამდე გაცხელებული სარგულები უნდა მოეძროთ და ახლით შეეცვალათ 30 წამის განმავლობაში. გავიხსენოთ, რომ თითო სარგულო 20 კგ იწონის. მელიღვეს ერთ ცვლაში 240 ტონა სიმძიმე გადაჰქონდ-გადმოჰქონდა.

ამ მრავალუცნობიანი ამოცანის გადაწყვეტას ხელი მოჰკიდეს ინჟინერ-მექანიკოსმა ოთარ ბლიაძემ, საამქროს უფროსმა პაველ წერეთელმა, მისმა მოადგილემ ირაკლი ყორღანიამ. მათ გადაწყვიტეს შეექმნათ სარგულების ავტომატური ცვლის მექანიზმი. მათი დევიზი, როგორც ყველა ნოვატორისა, იყო „ძიება, მუდმივი ძიება“

ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საკითხის სიმძნელე მხოლოდ ძველი გზების უვარგისობასა და ახლის აღმოჩენის აუცილებლობას ამტკიცებდა. და მათ შეძლეს ახლის აღმოჩენა. რა თქმა უნდა, ეს ტრიუმფალურ მსვლელობას არ ჰგავდა, რამდენჯერ გადაუწყდათ იმედი, რამდენჯერ აუცრუნდათ გული, და რამდენი წინააღმდეგობა დასძლიეს.

მაგრამ მიზანს მიაღწიეს. სარგულთა ავტომატური ცვლის მექანიზმი შექმნილია. მსუბუქად, მოუცდენლად აკეთებს ცვლაში ხუთი მელიღვის საქმეს.

როდესაც ამ მშვენიერი მექანიზმის

მუშაობას უყურებ, უნებურად გრნდა შედარო გონიერ ფოლადის ხელბს. კოკი, მართლაც აღამიანის ხელივით მოძრაობს, მიაქვს სარგულო გავარჯარებულ მილთან. საწარმოოს მუშაკებმა სიყვარულით შეარქვეს ახალ ავტომატს „ალმოსავლეთი 2“. მისმა შექმნამ ისტორიას ჩააბარა მელიღვის პროფესია და ფართო გზა გაუხსნა ავტომატეკას.

ხელით შრომა ავტომატეკას სხვა უბანზეც აფერხებდა—იქ, სადაც სახინშიტი დგარები დგანან. რამდენიმე თვის წინათ იქაც ნახავდით ოფლში გაწურულ მელიღვეებს. ისინი ხელით ცვლიდნენ გავარჯარებულ სარგულებს.

როგორ დავებმართო აღამიანებს? როგორ გამოვიყენოთ ავტომატეკა და გავთავისუფლოთ ისინი მძიმე შრომისაგან? აი, რა აწუხებდათ ინჟინრებს.

საიდუმლოება სარგულებში იყო ჩამალული. ისინი ძალიან მალე გამოდიოდნენ მწყობრიდან და შეცვლას მოითხოვდნენ. ესე იგი, საჭირო იყო ახალი სარგულების შექმნა. ისევ დაიწყოძიება, ისევ იქნა უარყოფილი ათობით წინადადება. ხან გეომეტრია იყო შეუფერებელი, ხან ფოლადი—რბილი. მაგრამ ტყუილა როდი ამბობენ, ძალა აღმართს ხნავსო, ამოცანა, ბოლოსდაბოლოს, გადაწყვეტილი იქნა.

—ახალმა სარგულებმა ნამდვილი გედატრიალება მოახდინეს სახინშტო დგარებზე.—ამბობს საამქროს პარტიზუროს მდივანი ა. უბერია,—თვითეული მათგანი 10-15-ჯერ მეტ ხანს ძლებს. მათი ხშირი გამოცვლა ახლა აღარაა საჭირო.

შრომატევადი პროცესების მექანიზაცია მთავარი „შეტევის“ წინამოსამზადებელ პერიოდს წარმოადგენდა—ახლა დღის წესრიგში დადგა მთელი აგრეგატის მთლიანი ავტომატრიაცია. მის განხორციელებაზე იყო დამოკიდებული მილსაგლინავი დანადგარის წარმადობის მკვეთრი ზრდა.

ავტორებს მეტად რთული პირობები

შეეკმნათ, დიდი საამქრო წყნარი ლაბორატორია როდია, ქვეყანა ყოველდღე ითხოვს მისგან პროდუქციას. აი, რატომ იყო საჭირო აგრეგატის გამოურთველად მისი ავტომატიკაზე გადაყვანა, ისე რომ ერთი საათითაც არ შეწყვეტილიყო მიღების დაშლადება, ეს ახალ წინააღმდეგობებს ქმნიდა და უფრო ართულებდა საქმეს.

ქარხანაში მისვლამდე მე ვესაუბრე ქარხნის ყოფილ დირექტორს სახლხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ერთერთ მოადგილეს, ლენინური პრემიის ლაურეატს, ნიკოლოზ გომელაურს.

— ახლა ვერცერთ რთულ პრობლემას მეტალურგიაში ერთი დარგის სპეციალისტები ვერ გადაწყვეტენ. საქმის წარმატება შეუძლია უზრუნველყოს მხოლოდ სხვადასხვა პროფესიათა წარმომადგენლების კოლექტიურმა შრომამ. მეტალურგიის მომავალი ავტომატიკასა და ელექტრონიკასთანაა დაკავშირებული.

უბანზე გემის კაპიტნის ბოგირივით აღმართულა სამართავი პულტი მრავალი ბერკეტით, დილაკითა და სახელურით. მაგრამ ბოგირზე მდგომი ადამიანი ოდნავდაც არ ეხება მათ. იგი შვიდად აღედგენებს თვალს ავტომატურად მოქმედი მექანიზმების მუშაობას. სულ ახლახან იყო, პულტზე მდგომი ოპერატორი რომ კარგი აკრობატიკით მოქმედებდა, ხელით მართავდა ოც ოპერაციის და ცვლის განმავლობაში ათი ათასობით მოძრაობას აკეთებდა.

ასეთი მუშაობისას ძნელი არ იყო შეცდომის დაშვება. შეცდომა კი შეეძლო დაეშვა 19-ვე ოპერატორს, რომლებიც აგრეგატის სხვადასხვა უბანზე იმყოფებოდნენ. ადვილი წარმოსადგენია რა გავლენასაც ახდენდა ეს ტექნოლოგიაზე.

ახლა მეთვალყურე — ოპერატორები ყველაზე უფრო გაცხოველებული ტექნოლოგიური „გზაჯვარედინების“ მხოლოდ ორ პულტთან დგანან. მაგრამ მათი ხელები მოსვენებულია.

აქ მოქმედებს ახალი, უკვე გაბატონებული კანონზომიერება ადამიანთა და მანქანათა დამოკიდებულებისა, ადამიანის ტვინი, ნერვები და მანქანები მუდროდ არიან დაკავშირებულნი. ისინი დაუყოვნებლივ უნდა გამოეხმარონ მექანიზმების მოქმედებას. მაგრამ ავტომატური აგრეგატის სამართავად ადამიანის ხელი მოძრაობა არ გამოდგება. „ადამიანი — მანქანის“ ერთიან სისტემაში ადამიანი ამუხრუტებს მუშაობას. ამიტომ იგი ავტომატიკას მიმართავს დასახმარებლად. გაეცანით ამ ავტომატიკას და თქვენ დარწმუნდებით, რა ბატონ-კაცურად იჭრება წარმოებაში ელექტრონიკა და რადიოფიზიკა, ნახევარგამტარები და ატომური გამოსხივება.

მათ დანერგვას რუსთავის ქარხნის საამქროებში ხელი შეუწყო თავგანწირულმა მუშაობამ, ავტომატიკის ახალგაზრდა ენთუზიასტების ლენინური პრემიის ლაურეატების დ. შალიგინის, გ. გეორგიანის, ნ. ანდრიუხინის ჩაუქრობელმა, შემოქმედებითმა ინიციატივამ.

ავტომატური მართვის სისტემის საფუძველს წარმოადგენს ე. წ. მიწროდებლები. მათი დანიშნულებაა მიიტანოს სამართავ მოწყობილობებთან იმპულსებითავესებური ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მექანიზმებისთვის საჭირო ბრძანებათა გადასაცემად.

მომწოდებლების შექმნა და დამუშავება — ქართველი სპეციალისტების დიდი ტექნიკური გამარჯვებაა.

მათ საკუთარი „ხასიათი“ აქვთ, — ხუმრობით ამბობს ინჟინერი დ. შალიგინი, — ერთი სიტბოზე ავლენს რეაქციას, მეორე — სინათლეზე, მესამე ელექტროტევადობის ცვლილებაზე, თვითეულ მათგანს ჩვენ მოვუძებნეთ შესაფერისი სამუშაო. იქ, სადაც მიღე-

მართვის პულტზე წამოგრძელებულა ორი ცილინდრული ღერო, ეს ფორტორელეს „ჯაღოქრული“ თვალთა. იჭერს სიტბურ გამოსხივებას და ადამიანზე

უფრო სიძველედ და ფხიზლად მეთვალყურეობს მიღების მოძრაობას.

მიმწოდებლების მიერ გადაცემული ელექტროიმპულსები ძალიან სუსტია. რელეზე შემოქმედებისათვის მათი გაძლიერებაა საჭირო, ასე წარმოიშვა კიდევ ერთი, სპეციალური გამაძლიერებელი იმპულსების შექმნის ამოცანა, რომელიც სხვების მსგავსად, ამოხსნილი იქნა. აი, რუსთაველების შექმნილი ნახევარგამტარიანი მაგნიტური გამაძლიერებლები. ასეთი პატარები და შეუხედავნი, ისინი გოლიათებად აქცევენ ცეროდენას — იმპულსის ძალას მილიონჯერ ზრდიან.

მაგრამ მიღები ყოველთვის როდი არიან გამთბარნი. ზოგიერთ უბანზე მათ ცივად ამუშავებენ. აქ ფოტორელეს მიმწოდებელნი აღარ გამოდგნენ. ისევ წარმოიშვა სიძნელე, ისევ დაიწყო ძიებანი და აღმოჩენანი. ამჯერად, მეტალურგებს მხსნელებად მოეგონა ე. წ. ტევადი მიმწოდებლები, რომლებიც „ენზიმინებოდნენ“ ელექტროტევადობის სიდიდის ცვლილებას. მათი მგრძობიარობა საზღაპროა. თუ მიმწოდებლის თავზე გამავალი მილი შეიცვლის ტევადობას ზომის ერთეულის თუნდაც ერთი მემილიარდელი ნაწილით, მაშინაც კი გავზიანება ამ ცვლილებას მიმწოდებელი.

განსაკუთრებით რთულ საქმეს წარმოადგენდა, ავტომატდგანზე თვალთვანი მოფარებულ საბიძგელას მდგომარეობის განსაზღვრისათვის შესაფერისი მიმწოდებლის შერჩევა. საიდანაც არ მოუარეს ამ საკითხს, არაფერი გამოვიდა. „ჭიუტი“ დანებებას არ აპირებდა.

— ავტომატდგანში ეშმაკია ჩაბუღებული, ჯერ სარგულეზე გვაწვალა, ახლა მიმწოდებელს მიდგა, — მწარედ ზუმრობდნენ წარმოების მუშაკები. და მაშინ გადაწყვიტეს რადიოაქტიური გამოსხივებით ესარგებლათ. კობალტი 60-ით აღჭურვილმა სპეციალურმა მიმ-

წოდებელმა იდეალურად შეასრულა დაკისრებული ამოცანა. გამოსხივებებს ინტენსიურობის ცვლამ ზუსტად დასაიმედოდ განსაზღვრა საბიძგელას მდგომარეობა. ასე დაეხმარა „მშვიდობიანი“ ატომი მიღმგვლინავეს.

ფხიზელი „დარაჯები“ — მიმწოდებლები, განლაგებულნი არიან ერთ კილომეტრიანი მიღების მთელ გზაზე. სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ მიღები, მათი „საქციელი“ არასოდეს გამოეპარებათ მიმწოდებლებს.

აგრეგატი „400“ ჯერჯერობით ერთადერთია ჩვენს ქვეყანაში და პირველი სრულიად კომპლექსურ-ავტომატიზირებული მილსაგლინავი დანადგარია მსოფლიოში.

ამ ურთულესი ტექნიკური ამოცანის გადაწყვეტამ შესანიშნავი შედეგები გამოიღო. აგრეგატის წარმადობა 60 პროცენტზე მეტად ამაღლდა. თვითღირებულება თითქმის 30 პროცენტამდე შემცირდა. განთავისუფლდა მომსახურე პერსონალის 84 მუშაკი. საშობლომ მილიონობით მანეთის ეკონომია მიიღო; მაგრამ ვანა მშრალ ციფრებს ძალუძთ მიღწეული გამარჯვების მნიშვნელობის ჩვენება? არის მოვლენები, რომლებსაც ვერავითარი რაცხვებითა და სტატისტიკური მონაცემებით ვერ გამოხატავ — ეს ადამიანთა შინაგანი ზრდაა, მათი შემოქმედებითი აღმაფრენა და გაბედულება, მათი მზადყოფნა უფრო დიდი და მამაცური საქმეების ჩასადენად.

არ შეიძლება აუღელვებლად ილაპარაკო ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს გამარჯვების შესახებ. ყველაფერს ამას ჩვენ თითქოს ზვალინდელ დღეში გადავყავართ, საოცარი ავტომატიკის სამყაროში, რომელიც უფრო ამაღლებს ადამიანის გენიას, განათავისუფლებს მის გონებასა — და ხელებს ტექნიკისა და მეცნიერების ჯერ კიდევ მრავალი ამოუხსნელი ამოცანის გადასაწყვეტად.

სიონ ნიაკაპა

გზე ისევ გელდა იყო *)

შემოდგომაა თუ ზამთარი, გაზაფხულია თუ ზაფხული, ამ გოგონას განერებულს ვერ ნახავთ. ბარაკს, წმენდს, აფხვიერებს, სასუქები შეაქვს, ყოველ ბუჩქს სილამაზესა და სინატი-ფეს აძლევს, თითქოს საპატარძლოს უფარცხნიდესო თმებს, ათასეტი შეაეღებს თავის მადლიან ხელებს. გასხლულსა და მოჭარბულს სიყვარულის ნაბერწყლებს აფრქვევს.

დადგება აპრილი, გაზაფხულის სურნელით ფრთხილმხელი გოგონა ფუტკარივით დაადრინდება თავს მწვანედ გახასხასებულ ჩაის ფოთლებს.

კრეფს და კრეფს, თვალშეუსწრებლად ამოძრავებს თითებს. ბიჭი ხარ და შეასწარი თვალი, ეს დალოცვილი თათები ელვისებური სისწრაფით გადარბიან ბუჩქებიდან ბუჩქებზე.

ლაქრიან, მოძრაობენ და აი ამ თითებს სასწაულებრივი მოქმედების ნაყოფი:

— სამოცი წლის ოცდაშვიდ მთას ასორმოცდათერთმეტი კილოგრამი ჩაი მოკრიფა.

— ოთხ ივლისს — სამასთორმეტი.

— ჰმ, ეგ რაა, შე კაცო, თითხმეტ ივლისს ოთხასოცდათერთმეტი კილოგრამი.

— როგორ? ეს ხომ დაუჭერებელი ამბავია?

— ასეა, ბატონო, ასეა, სინამდვილეს სად გაუქციე?

ესატყვებოდნენ ერთმანეთს ქალები და კაცები.

და, მართლაც, სინამდვილეს სად გაქციოდნენ? იმ თვალციმციმა გოგონას კი ეღიმებოდა, ეღიმებოდა და ეს ბუნებრივი ღიმილი სიციხის ჩაღაც უცნაურ ძალად გადაიქცა მამინ, როდესაც ურწმუნო თომების თანდასწრებით იმავე წლას ოცდაექვს ივლისს ოთხასორმოცდათერთმეტი კილოგრამი ჩაი მოკრიფა.

— მსოფლიო რეკორდი! — შვებით აღმოხდათ

დამსწრეებს და უველას იმ გოგონას თითებისკენ გაექცა თვალები, მაგრამ საქმე არ გაქცო? თვალ-ვინ შეასწრებდა, ათივე თითის ერთის სწრაფი მოქმედით მუკებში ოთხასი გრამი ჩაის ფოთოლი რჩებოდა.

— ახლაც არ დიჭერებთ?

— ჰმ, არა?

— გასაფიქრებელია პირდაპირ.

— ხალხნო, ხედავთ, რა ხდება?

ისმალა ყოველი მხრიდან და ახლა დაექვე-ბული აღმოჩნების სახეებს ნამდვილად ნიალ-ვარივით მოგარდნილი სიხარული დაუფლებოდათ, მაგრამ გაევირებდა მათი თვალებიდან მიანიც არ გამქარაღიყო, ან რა გააჭრებდა, როდესაც საოცრების წინაშე იდგნენ.

იმ წელს ერთის მაგიერ თერთმეტ ტონა ნახევარი ჩაი მოკრიფა. შარშან კი ორნახევარის მაგიერ ოცი ტონა ჩაი მოკრიფა.

— აი, ნამდვილი მსოფლიო რეკორდსმენი! — კიდით კიდემდე დაიბნა სიხარულით გამთბარი სიტყვები, ამ სიტყვებს გადასცემდნენ ელერში, ამ სიტყვებს წერდნენ გაზეთებში, ეს სიტყვები ყველას პირზე ეკვრა.

ის გოგონა კი ისევ განაგრძობდა ღიმილს.

ის გოგონა ისევ რაკეტული სისწრაფით ამოძრავებდა თითებს.

ის გოგონა ახლა უფრო მეტი სისწრაფით ეველებდა ჩაის ბუჩქებს.

— ვინ არის, ბატონო, ის გოგონა, იღარ იტყვი?

— ვინ არის?

— პო, ვინ არის?

— ნუთუ არ მიიქვამს? ახლავე, ახლავე, ის გოგონა ოცდასამი წლის ქალიშვილი, იზოლდა-წოწონავა გახლავთ!

ნეტავ რა ხკოდა?

იანვარი იყო, თბილდა, ზამთარს თავის-თავი დეფიწებოდა. აბა, სად იანვარი და სად ასეთი სითბო!

ის დღე მიანიც დეფიწური დარჩება წულუ-კიძელთა გულბში. ლენინის ძეგლის წინ, ფარ-

* ფრაგმენტები ნარკვევიდან.

თოდ ვადაშლილ მოედანზე, რალაც უცნაური ფუსფუსი შეიმჩნეოდა, ნეტავ ზამთრის ამ უნეველო თბილ დღეს ხომ არ, გამთუტყუებო-ბინი ხახლებიდან? ყოველა მხრიდან მოედინებოდნენ, რაიკომის შენობისკენ მიიჩქაროდნენ, კიბეებზე ჯგუფ-ჯგუფად, სწრაფად არბოდნენ.

— სად მიიჩქარი, დალი?

— არ იცი თუ?
 — აბა, საიდან შეცოდინება, გენაცვალე, ეს ესაა ჩამოყვანილი კინჩხიდან.
 — სკოლის მეცადინეობაა, კინჩხელი!
 — მერე რაიკომში?
 — ჰო, რად გიკვირს?
 — რაფა არ მიკვირს, შენი ჭირამე, რაიკომში სკოლას რა უნდა, მაინც მოთხარო, ნეტავ რა სკოლა?

— იზოლდას გამოცდილებას სკოლის სახე-
 ნებელი მეცადინეობაა, გოგო, მერე არ იტყვი,
 ვინ ეწვია სტუმრად? ვინ და საქმეწოდ ცნობი-
 ლი ტატიანა ჩხაიძე, იგი ხომ შეგხიზრებდაშე-
 მკაეს გამოწვეული იზოს.

— უი, შენ გენაცვალე, ჩვენს შიან კინჩხაში
 ჩაი არ გვაქვს, არც მისი კრება ვიცი, მაგრამ
 რაფა არ დაეჭვობა, წამიყვანე, შენა ჭირამე!

— წამო, წამო! — ვასძახა დალი წიფწივადემ
 და განცვიფრებული სოფელში გოგო, რომე-
 ლიც სულ სხვა რამეზე ჩამოსტელიყო ქალაქში,
 სიარბლით შეიყვანა რაიკომის სხდომათა დარ-
 ბაზში, სადაც თავი მოეყარა ჩაის მკრეფავებს,
 მონაწილეებს, კოლმეურნეობების თავმჯდომე-
 რებს, ბრიგადირებსა და მერგოლურებს.

— მოვიდნენ, მოვიდნენ! — წამოიძახა ვილა-
 ცამ.

დარბაზში ტაშის გრილი ატყდა, რაიკომის
 მდივანი სტუმრებს წინ მიუძღვება. აი, ვაგე-
 ყური ნაბიჯებით შემოვიდა დარბაზში შავგვ-
 რემანი, წარმოსადგები, შეთვალწარბა, მალა-
 მალა, ნაყრისფერ ჩეილონის შებაში გამოხ-
 ევული, იმეფარსვე კობტა შლიაბით თავმორთუ-
 ლი ქალი.

სტუმრებს იზოლდა წოწინავა შემოაკყვა. იგი

უიჩად, იზოლდა!

შორსმხედ წამოიღვა იგი, ასევე მორცხვად წა-
 ვიდა ტრიბუნისაკენ, სტუმარს ერთხელ კიდევ
 ვადელუპანარა რაღაც: ტატიანამ თავისი სხი-
 ვანი თვალებით გააშხენევა. გოგონა ტრიბუნაზე
 ავიდა, ტრიბუნა ცოტა მაღალი იყო, იზოლდა
 მაინც კარვად მოჩინდა იქიდან. დარბაზს ერთ-
 ხელ კიდევ ვადახედა და როცა ამდენ ხალხში
 თავის რგოლის წევრებს მოჰქრა თვალი, თამა-
 მად დაიწყო:

— როგორც შეჩაიეს, დიდად მახარებს ჩვენი
 რაიონის მეჩაიეების წარმატებები, ამასი ჩემი
 წელილე ურევი. მე ორატორი არა ვარ, რომ
 ღაპარაკით გავაყვიროთ, ჩემი თათები უკეთ
 გეტყვიან ველაფერს, ვინემ ჩემი ენა, ზოგ რა-
 მეს მაინც გეტყვით საკუთარი გამოცდილები-
 დან.

იზოლდამ დიდხანს იღაპარაჲ იმის შესახებ,
 თუ როგორ შეაქვს სასუქი პლანტაციებში. დამ-
 სწრეთ გაუზიარა თავის გამოცდილება სასუქე-

გულმზურვალედ ეხვევა და ესაუბრება ჩაის
 უხვი მოსავლს ორატორებს ტატიანა ჩხაიძეს,
 იზოლდა აღარ ეშვება, შეილივით ეჭურჩვლუბა,
 მართლაცდა, იზოლდა შეილად შეჭერის ა
 ღვწლმოსოლ ქალს.

რამდენი ვაოცებული, გალიმებული, გაბრწ-
 ყინებული თვალი უშვებს ტატიანასა და იზოლ-
 დას, ასე დედამშვოლურად რომ ეალერსებიან
 ერთმანეთს.

სიჩუმე ჩამოვარდა. ღაპარაკობდა მდივანი.

— ჩვენი ქვეყნის შუქურები ბევრს სასახე-
 ლო საქმეს აყვებენ, მაგრამ მათს სასარგებ-
 ლო საქმეებს მხარდაჭერა უნდა! ხომ ვაგოგო-
 ნით, მარტოხელა კაცი ქამაშიაც ბრალაო
 პოდა ჩვენს შუქურებსაც მხარში ამოდგომა უნ-
 და, რომ მარტო არ დარჩნენ. შუქურები ბევრი
 უნდა გვეაუღდეს, თვითთვლმა შუქურამ თავისი
 მიმდევარი ისე უნდა გამოზარდოს, როგორც
 სახელოვანმა დედამ სახელოვანი შვილი. ამიტომ
 ამდენხანს თუ ნაყლები ყურადღება ვეცეოდა
 ახალგაზრდული რგოლების შექმნას, წელს ამ
 მხარე სულ სხვა მდგომარეობა გვექნება. შარ-
 შან მხოლოდ ოთხ კოლმეურნეობაში იყო ოთ-
 ხი რგოლი, წელს ცხრა კოლმეურნეობაში თერ-
 თმეტი შეექმნით, რომლებშიაც ასოცი ახალ-
 გაზრდაა ჩამბული. საჭიროა ჩვენი შუქურების
 გამოცდილება სახალხო კუთვნილებად ვახეხ-
 დოთ. ამ მიზანს ემსახურება იზოლდა წოწინავის
 გამოცდილების სკოლა. მის საჩვენებელ მეცა-
 დინეობას ვატარებთ დღეს გურიიდან მოწვეულ
 სტუმრებთან ერთად, მოდით, დანარჩენი იზოლ-
 დამ გვითხარს!

— გვითხარს, გვითხარს!

ბის მნიშვნელობასა და მათ დროულად გამო-
 ყენებაზე.

— უველაფერი ეს ძალიან კარგია, იზოლდა,
 მაგრამ ჩაის კრებას როდის იწყებ?

— აპრილის ბოლო რიცხვებიდან, ცხადია,
 შერჩევით.

— რაფერ კრებ?

— რაფერ და ხელებით.

ვილაცას სიცილი წასკდა. იზოლდამ თავი ჩი-
 ლენა, მერე წელში ვაიპაროთა და იმანაც სი-
 ცილით განაგრძო:

— ათივე თითით ვკრეფ, ერთი ხელის მოს-
 მისას სამას-ოთხას გრამს ვკრეფ, თეილისა და
 ხელების სისწრაფეს ერთნაირად, თანაბრად,
 ეიმეშვებ. ჩემს რგოლში ცხრა ახალგაზრდაა,
 ოთხნახევარ ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან თქვე-
 სმეტ ნახევარი ტონის ნაყულად რგოლმა ორ-
 მოცდაერთი ტონა ჩაი მოკრიფა, მე კი...

— ვიცით, ვიცით!

— ისეთებიც გეყავს რგოლში, რომლებსაც ექვს ტონამდე ჩაი აჭეთ მოკრეფილი, ესენია დღი წიწვიანებ, შხა ხაბულანნი, ანა ქაჯათა და სხვები. შარშანწინ ჩემს რგოლს კომუნისტური შრომის რგოლის წოდება მიენიჭა. ჩემს გამოცდილებას ყველას ვუზიარებ, თითქმის ყველა კომმუნურებაში ჩაეატარე საცდელი კრეფა.

— წილს რას იზამ, იზო?

— ჩემდემტნახევიარ ტონა ჩაის მოკრეფე, გეცდები შარშანდელივით გადაეჭარბო.

— ესე იგი ოც ტონას გადააცილებ?

— დიახ, ვეცდები, რგოლი კი ოცდაწვიდმეტ ტონას მოკრეფს.

— მაშინ იმათაც უნდა გადააცილონ!

მარჯვენა დაგელოცოს, ტატიაანა

ტანის შნოაანი რხევით ავიდა ეს დარბაზივლი ქალ ტრიბუნაზე. დიდხანს უყურა დარბაზში მსხდომთ ბრიალა თვალებით, იგი ხომ ქსენია სარსანასთან, თამარ ყუფუნისთან, ტატიაანა ტყუებუჩავასთან და სხვებთან ერთად საქართველოში ჩაის მკრეფელთა ძველი გვარდიის წარმომადგენელი!

ტატიაანა გერე მისკოვს გადასწვდა, ყრილობა მოიგონა, მერე ისევ გურიას დაუბრუნდა. ლაპარაკობდა და რატომღაც ჭკონია, რომ გურიის მთებს, მის ხავერდოვან ჩაის ბუჩქებს, ხეებზე გასულ იზაბელას, მანდარინებს და თანამემამულეებს ესიუყავრულებოდა, თვალწინ ბახმაროს მთები ედგა, სუფსის ხეობის სმაროც ესმოდა და გურული სამღერები ხშიანოდნენ მის გულში.

მაშინწლები სულგანაბულნი უსმენდნენ, მის ყოველ სიტყვას სათუთად ინახავდნენ გულში.

— არ ყოფილა ისეთი წელი, გეგმა გადაქარბებით არ შემესრულებიოს. ჩემი რგოლის პლანტაცია ოცდახუთმეტი წლისაა თვითველ ჰექტარზე ცხრა /ათასი სრულფასოვანი ბუჩქი დგას. ხუთმეტი წელია, ჩაის ვერეფ. პირველ წელს ექვსი ათასი ორმოცდაათი კილოგრამი ჩაი მოკრეფიყ. ის პირველი სიხარული გაზაფხულას მიდნარევაით აღიღდა და შარშან ცამეტე ტონა ჩაი მოკრეფიყ. მე ჩემს გამოცდილებას საიდუმლოდ რომღ ვინახავდი, მას ყველას ვუზიარებდი, ამიტომ შევექმენი ჩემი გამოცდილების შემსწავლელი სკოლა, რომელსაც თვითონ ეხელმძღვანელოან.

— დიახ, შეგიბრებუბაში ჩვენს სტუმარს ტატიაანა ჩხაიძეს ვიწვევ.

— მეტს არავის?

— სოფელ გუშათის კომკავშირულ რგოლს ხელმძღვანელს, ვენერა ყურაშვილს.

— კიდეც რას გააყეთებ?

— კიდეც? — ჩაეფიტრა იზოლდა, მერე უცებ მოისახრა.

— ვალდებულებას ვაისრულობ ჩემი გამოცდილება ვადავეცე ნანდიდის, გოჩაყიხაიშის და გუმბის ახალგაზრდა მეჩაიეებს!

— სიტყვა ეძლევა ჩვენს ძვირფას სტუმარს პარტიის ოცდამეორე ყრილობის დელეგატს, სოციალისტური შრომის გმირს, ტატიაანა ჩხაიძეს!

— რეკორდებზე რას იტყვიით?

— რა უნდა ეთქვა ეს თქვენც კარგად იციით? ჩემის აზრით, სადაც რეკორდსმენი მუშაობს, სწორედ ისეთი, როგორიც თქვენი იზოლდა არის, იმ კომპლექტრობის ყველა ფართობზე მაღალი მოსავალი უნდა მიიღოთ, აი სწორედ, „აგიტატორის ბლოკნოტში“ თქვენი რაყიშის პირველი მღვანის წერილია „ფართო გზა მოწინავე გამოცდილებას“, სადაც ლამარაკია შექტებზე, მათ შორის იზოლდა წოწონავაზე! — ტატიაანა ჩხაიძემ იზოლდას ვადახვდა, მერე შეკრებილთ მიმართა:

— იზოლდა მე ძალიან მომწონს, ხუმრობა ამბავია მისი წარმატებანი? დამერწმუნეთ, ექვს მეთათღ ჰექტარზე ჩვიდმეტ ტონაზე მეტი ჩაი, ეს მართლღ ზღამარულა ამბავია! რაღა სჯობია ასეთ რეკორდებს, ამავე დროს ისიც უნდა ეთქვა თუ შექტებია არ ვამარყელთ, როგორც იტყვიან, ერთი მერცხლის ქაყკიყი გაზაფხულს ვერ მოიყენას, ნატურად მაჭვს ვადაქყეულა კიდეც დიდხანს ვიტრიალო ჩაის ბუჩქებთან, ნუთუ ვერ შეეძლებდ კიდეც ოცი წალი ვკრეფო ჩაი?

— შესაძლებ!

— შესაძლებ!

— მარჯვენა დაგელოცოს, ტატიაანა!

ამ შეძახილებს ტაშის გრიალი მოჰყვა, და ეს შრომისმოყვარე ქალი გულატყებულა ჩამოყიდა ტრიბუნიდან.

ხედავო, ხალხნი?

ამ დარბაზში რამდენჯერ ავსულეარ ამ ტრიბუნაზე, ზოგჯერ სიტყვის წარმოსათქმელად, უფრო ხშირად კი დაუბეჭდავი ნაწარმოებების წასაკითხავად, ამჯერად სიტყვას მთხოვენ, მე კი ვუყურებ დარბაზში მსხდომთ და მახარებს,

რომ ჩემი ახალი წიგნას — „ჩემი სოფლის სურათების“ ცოცხალი გმირები აქ არიან. მე ისინა შემომძეკრიან და მეც ხარბად ჩავსეკერი მათ თვალებში. ეს წიგნი ხომ ოთხი ნაწილისაგან შესდგება

და ოთხზე წავეყიოხე მათ ამ დარბაზში სხვა დასხვა დროს.

მახარებს, რომ იზოლდა წოწონავამ შეტყუარებს შორის მთელს საქართველოში ჩაის ყველაზე მაღალი მოსავალი მიიღო, მაგრამ მწყინს, რომ ჩემმა მშობლიურმა რაიონმა შედარებით ყველაზე დაბალი საშუალო-საპეტარო მოსავალი მიიღო, თუმცა ყველა სხვა გეგმა, მათ შორის, ჩაისა და სიმინდის, გადაპარბებით შეისრულა.

იზოლდა წოწონავა რომ საბაჟო ქალიშვილია, ამას ისიც ცხადყოფს, რომ მის შრომით წარმატებებს ვურადღებთა და სიყვარულით ეპყრობა ხელისუფლება, ჭერ კიდევ მასში, როდესაც იზოლდამ ვადღებულებით ნაისრა თემქმერის მაგიერ აგვისტოს პირველ რიცხვებში ჩვილმეტნახევარი ტონა და ორმოცდაშვიდი კილოგრამი ჩაი მოკრიფა, ვასილ პავლესძე მეჯანაძემ ეს წარმატება მხურვალედ მიულოცა მას, ხოლო საქართველოს კომუნისტური პარტიის ოცდამეერთე ყრილობაზე თავის საპანგაროში მოხსენებაში იზოლდა ჭერ სხვა მეჩაიე ქალებთან ერთად დასახება და შემდეგ კი თქვა: „წულუკიძის რაიონიდან მეჩაიე ქალმა

ლაპარაკობს მეცნიერი

განა შეიძლება, არ იცოდე, რა არის ჩაის ბუჩქი, რა თვისებებისა იგი, როგორია მისი ფესვების ფიზიოლოგია, მისი აღმოცენებისა და მისი ზრდის პროცესები, რა უწყობს ზელს და რა უშლის, მეტი მოსავალი რომ მოგვეცეს? განა ყოველივე ამის ცოდნის გარეშე შეიძლება ჩაის უხვი მოსავლის მიღება? განა ყველაფერი ეს მეცნიერების მიღწევის გარეშე, აგროტექნიკის ცოდნის გარეშე შეიძლება?

და აი მეცნიერი, სიმონ ფარცხალიაშვილი მოუთხორობს წულუკიძელ მეჩაიეებს მოწინავე მეცნიერულ მეთოდებზე. მისი ლექციის თემა: „ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის აგროტექნიკა“.

თითქოს მეცნიერი აგერ რაიკომის სხდომათა დარბაზში კი არა, ჩაის პლანტაციაში იყოს, ზელს ავლბდეს გახსლულ ბუჩქებს, სინჯადეს მის ფესვებსა და მისი ზრდის ყოველ პროცესს ნათელს ხლიდეს მსმენელების წინაშე.

მეცნიერი, რომელსაც აკადემიკოს ქსენია ბატაძის უშუალო ხელმძღვანელობით უხდება მუშაობა, მთელს თავის დიდ გამარცხლებას, აგერ, ახლა უხვად უზიარებს წულუკიძელ მეჩაიე ქალებს.

რა საკითხებს არ მოიცავს მისი ლექცია? აი მათი მოკლე სია: ჩაის პლანტაციების მეჩხერია-ნობის ლეკვადაცია, კარგად შეკრული ვაშლერების შექმნა, ჩაის ბუჩქების მძიმე გახსება, პლანტაციებში დრენაჟების მოწყობა, განოყიერებების საშუალებები, მორწყვა, ჩაის ფოთლის

წოწონავამ ერთი პეტარო ჩაის პლანტაციიდან თორმეტ ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაი მოკრიფა. შეიძლება თუ არა ასეთ მაკულ მოსავალს სხვა მეჩაიეებმაც მიიღონ, რა თქმაობა შეიძლება, თუ ჩაის პლანტაციებს ყველგან სანიმუშოდ დაეამუშავენ და მოვევლიან. მარტო სამოცი თასი პეტარო ჩაი ვინაგარიშით და ყოველ პეტაროზე იმის მხოლოდ ნახევარი მოკრიფოთ ჩაის ფოთლი, რაც წოწონავამ მოკრიფა, მივიღებთ სამას სამოცი თას ტონას ჩაის მწვანე ფოთოლს, მარტო ორასი თასი ჩაის ფოთლის მიღების შემთხვევაში ჩვენი რესპუბლიკა საეგებით შესძლებს უზრუნველყოს საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება მაღალი ხარისხის ჩაიზე. საჭიროა, ყველა კოლმურენობა, ყველა მეჩაიე მუშაობდეს ისე, როგორც მოწინავეები მუშაობენ“.

ესე იგი, როგორც იზოლდა წოწონავა, არა? ზედათ, ხალხს, ვისი გმირული შრომა აღებული საზომად? ჩაის იმდენი მოწინავე მეჩაიეებთან რესპუბლიკის ტერმინალზე მარტო იზოლდა წოწონავა გამოარჩია, მისი ზღაპრული შრომის მაგალითზე გაიანგარიშება ეს ციფრები.

კრეფის ტექნიკა, შრომის პროცესების მექანიზაცია, ქარსაყვების ზოლების შექმნა, მავნებლებთან ბრძოლა და მთელი რიგი საკითხები.

და ამ მეცნიერ ლექციას მეტად საინტერესო შეკითხვები მოჰყვა:

— რანირო მორწყვა უფრო უკეთესია? — ეკითხება დალი წიგწიძე.

— დაწვემებითი და მაგრილებული მორწყვა, — პასუხობს მეცნიერი.

— აზორტოვანი სასუქების შეტანის რა მიჯანაბრებობს? — კითხულობს ლილი ზახტაძე.

— ოთხასი კილოგრამი უმაღლესი მიჯნა, ამაზე მეტი ნიდავს ალარილებს, — უპასუხებს მეცნიერი.

— კარგი მოსავლის პირობებში, ჩაის ბუჩქი რამდენ წელიწადს მოგვეცემს მოსავალს? — ეკითხება ნანული ამბროლიანი.

— ჩვენში ას წელიწადს ჩინეთში ასორმოცს, ინდოეთსა და ცილონში სამოცდაათს.

დამთავრდა ეს საინტერესო შეკითხვობა. რაიკომის მდივნის წინადადებით სტუმრები და მასპინძლები იზოლდა წოწონავის ჩაის პლანტაციის სანახაუდ გაემუშრნენ.

სტუმრები იმ დღეს გვიან ღამით დაბრუნდნენ გურიაში, წულუკიძელები ბევრს ეცადნენ დილაძედ არ გაეშვათ, გახმაში კიდევ ვივარდებუბინით, მაგრამ სტუმრებმა ბევრი რამ მოთმინეს და გზას გაუდგნენ.

მეორე დღეს ოზოლა თბილისში გაემგზავრა

საქართველოს კომკავშირის მეთოდებზე ყრილობაზე, როგორც მოწინავე კომკავშირელი, ჩაის კრფის რეკორდსმენი, იგი ყრილობის ყუ-

ოაღლების ცენტრში იყო. მან დღეულებს მოუტორო თავისი რგოლისა და პირადად მისი შრომითი წარმატებების შესახებ.

საქართველო
საბჭოთაო

მანქანებელი, დაო და მეგობარი!

ტატიანა დაბრუნდა თუ არა შრომაში, აღარ დააყვანა და თავის თანასოფლებლებს უამბო წულუკიძელთა დახვედრისა და მათი შრომითი წარმატების შესახებ.

ჯერ კიდევ აქ მიღებული შობებულებების ძალა ვერ გავლენებდა ტატიანას, რომ იგი სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს დებუტატობის კანდიდატად დასახელეს. ამ ამბავს წულუკიძელი შეჩაივებოდა დიდი სიხარულით შეხედენ; მაგრამ სულ სხვა იყო იზოლდას სიხარული, იზოლდასი, რომელსაც ავერ მეორე წელია შევჭირბებაში ვაჟს გამოწვეული ტატიანა. მართალია, ამ შეჭირბებაში იზოლდამ ბევრად გაესწრო მას და, საერთოდ, ყველას საქართველოში, ტატიანა შეიძო ტონით ჩამოიტოვა უკან, მაგრამ საქმე ამაში როდია, ისევე მისი დიდი პატივისმცემელი დარჩება, როგორც დღემდე იყო.

ამიტომ მისწერა იზოლდამ წერილი, რომელიც ვაჟთმა „კომუნისტმა“ ოცი თებერვლის ნომერში გამოაქვეყნა.

ეს პირათი ტატიანამ პირველად ვაზეთში წაიკითხა.

„შრომელი ხარ, შრომა ვიყვარს:
და ეს გარჯა დავიფასდა,

წავიკითხე, იზო!

იზოლდა წოწონავამ ვაზეთი ვაშალა, ჩათვალიერა, მერე თავი შალა ასწია.

— მიხარია, გოგოებო, მიხარია, თქვენი თაონსობა! — მიმართა იზოლდამ დალისა და ანას, რომლებიც მისი კომუნისტური შრომის რგოლის წევრები იყვნენ დღემდე.

— მაინც რა ვიხარია, იზო?

— ვანა ხუმრობაა, ვალდებულება რომელიც ვიკისრეთ, კოლმეურნეობაში მოსაყრფი ჩაის ოთხმოცი პროცენტი ჩვენ მოკრიფეთ.

— რას ამბობ, იზოლდა?

— ჰოდა, დანარჩენ ოც პროცენტს რავე ვერ მოკრიფენ ჩვენი კოლმეურნეობის სხვა ბრიგადების ქალები?

— მოკრიფონ, მოკრიფონ, და შარშანდელ სირცხვილსაც ჩამოვირცხავთ. იზოსთანა რეკორდსმენი ჰყავდეს კოლმეურნეობას და მან ჩაის გვემა ვერ შესარულოს, სამარცხვინო არ იქნება? მაგრამ რა ვაუწყობა... ახლა მიხარია, რომ ჩვენი ყანები მთლიანად დახნულია, კიდევ ოშავენ, მალე თესვისაც დაიწყებთ, ორმოცი პეტტარი ცენისწყალით მოშლამეს, საყვებსაც ბევრს დაეთვსთ, ესეც მარტის პლენუმს მიუძღვნა ჩვენმა თავმჯდომარემ. ის პარტორგება და

8. „ნათობი“. № 6.

შენი საქმე, რახანია,

საქართველოს აფარგლებს ვასცდა.

ტატიანასადმი მიძღვნილი ლექსის ამ სტრიქონებს, რომელიც ვაზეთის იმავე ნომერში მოთავსებულ წერილში იყო მოყვანილი, — იზოლდა ძალიან ხშირად ამეორებდა.

და მართლაც, რა ხანია, ვასცდა ტატიანას სახელი საქართველოს ფარგლებს, ისე, როგორც იზოლდასი, შეიძლება ამიტომაც უფრო დაბეჭითებით კითხულობს მას იგი.

იზოლდას გამოცდილების სკოლამ უკვე დიდი ნაყოფი გამოიღო. მისი რგოლის წევრებმა, დიდი წიწვივამე, ანა ქაქიაამ დამოუკიდებლად შექმნეს კომკავშირული რგოლები, და მთელი რაიონის კომკავშირელებს მიმართეს, მიბაძონ იზოლდასა და მათ ვაგალითს. იკისრეს პეტტარზე თორმეტი ტონა ჩაი მოკრიფონ, პირადად დიდი და ანა ცალცალკე ერთ მესამედ პეტტარზე ექვს ტონა ჩაის მოკრიფენ, ნახევარ პეტტარზე ოცდახუთ ცენტრერ სიმინდს მოიწვევენ, ათი გრამი აბრეშუმის მურიდან ორმოცდაათ კილოგრამ ხარისხოვან პარკს ჩააბარებენ სახელმწიფოს.

კომარგები თავიანთი საწარმოთა სამმართველოთი ჩვენი დახმარებისათვის არაა შექმნილი? ჰოდა, დაგვეხმარებინ? წინ წავიწვევენ, ბიძგს მოვეცემენ, ანა რას იზამენ? ახლა იზოს დაუფედოთ უფრი, წავიკითხოს, რა სწერია პლენუმის მიერ მიღებულ მომართვაში! — ვასძახა დალიმ იზოლდას.

„ოუ იქნება საყვები, იქნება პირტუციც, ზოლო თუ პირტუცია იქნება, იქნება ბორციც რძეც, კარაქიც“, — კითხულობს იზოლდა, ზედაც რა ჩაუწერიათ ამ მომართვაში? ამისთვის, კი ბევრი შეჭურაა საქირო. ეს ახალი რგოლები, რომელიც ახლა შექმენით, კიდევ ახალ შეჭურებს მოვეცემენ. „საჭირია, რომ შეჭურები სულ უფრო მეტი იყოს, რომ ისინი სულ უფრო მეტად კაშაყებდნენ სოფლის მეურნეობის ყველა შრომელისათვის!“, ესეც ამ მომართვაში წერია. „ჩვენ ვერ დაველოდებით მოწყალეებს ბუნებისაგან, ჩვენი ამოცანაა წავართვათ მას იგი... მიწა მთელი ზაღის სიმდიდრეა, ჩვენ ვალდებული ვართ მთელით მისგან ყლოფდრო, რის მოცივაც შეუძლია“, ოი ესეც სწერია, ჰოდა, კიდევ არაფერია გენიზნათ.

— მაინც?

— ის, რომ ზოგიერთები ჩვენს კოლმეურნეობაში ცას მიხერებიან, წემა როდის შოვაო, ძირს კი არ იხედებიან, არაბები რომ გასტრან და წყალი ყანაში მიუშვან. ზიწისაგან ყველაფერი უნდა მივილოთო, რომ ამბობენ იმ მომარაგვაში, ჩვენთან უკუღმა ესმით ეს მოწოდება, მიწიდან მიღებაზე კი არ ფიქრობენ, არამედ იმაზე, თუ ვინ მოარბივებს ზევადან სასუქს, რომ შერე ისევ დალი გაჭირვებით მოაყარონ მიწას, უფრო მეტიც ზოგჯერ იმ ზევადან მორთმეულსაც კარგავენ, ვერ იყენებენ, აქო და, ფული არ გვაქვსო, ვერ გადაეუბრებეთო, გავინოლა ასეთი ამბავი? სასუქს ცაკი დაკარგავს? ის კი არა, მისხლობით უნდა ვეძებდეთ. ამას წინათ რაკომის მდივანი ამბობდა, ოცდაცხრა ტონა სასუქი სამეტრღიაში უყრიათ, ვეღარ გამოიხსნესო. ესეც საქმეა?

- ეგ რაა, ახლა ყანები რკითხე!
- შერე, გვეპატრება, რომ შარშან ასოცი

კომკავშირული ქორწილი

ამ გაზაფხულის პირას, როცა სიციცხლე ფეხებიდან ჩაის ბუჩქების ულარტებში იწყებდა ფეოქვას, იზოლდა წოწონავის სრულებით არ გვინა, ასეთ დროს ბედნიერება კარზე მოადგებოდა, გათხოვდებოდა, კარგ მეგობარს შეხედებოდა.

ესეც მოხდა. მისმა ოჯახმა, მისმა მეგობრებმა და მთელმა რაონმაც გაიხარა, იგი ხომ უკლასათვის საამაო გოგონაა?

სიძის მეზობლებმა და ნათესაებებმა, მეგობრებმა და ამხანაგებმა ლიხი ვაღმორახეს და მრავალეამიერით და მუსიკით იზოლდეს კარმოდამოში შემოდგეს ფეხი.

ეს მოხდა არჩევნების წინა ღამეს. ზეიმი იყო ყველგან. ზეიმობდა იზოლდის ოჯახიც, კომკავშირული ქორწილი სულ მიღდა და მიღდა მიიწყებდა, რომ გამოცდილმა თამადამ, რომელიც ბრწყინვალედ წარტყდა საჭორწინოს ნაღმს, მთელი ხმით შესძახა:

- უტრადლება! ღამარაკობს თამადა!
- ყველანი სმენად იქცნენ.
- ნეტა რა ახალი ამბავი უნდა იყოს? — იკითხა ერთმა.
- წუღეაბე. ლენინის 34, იზოლდა წოწონავს.

„მოგილოცავთ ბედნიერებას, ვისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებას მუშაობაში. ვ. ბ. მკეაბაძე“.

დოლ-გარმონმა ტუმბი დასცხო, მრავალეამიერის მქუვაბზე ხმები ჰერს მიეხუნა. იზოლდის ხელმოკრედ მივიჯდნენ და გადაკოცნეს.

ამ მილოცვამ ქორწილის საზოგადოებრივი მნიშვნელობა უფრო ამაღლა; კიდევ უფრო მეტი ძალა და სითბო შემატა, ჩემი დამოკიდე-

ბეჭტარი სიმინდის ყანა დაგვრჩა გაუთხოვნილი? შერე ამან არ დაგვწია უყან? ეს არ იყო, რომ ერთ შრომადღეზე მხოლოდ შეიღასო ვრამი, სიმინდი შეგვახვედრა? შერე არაფერი არ უნდა ვთქვათ, დამუნდეთ, დაყრუდეთ, გაიქუზდეთ, ყურები არ გამოვიფხვიკო? სულ სხვის ხელს უნდა ვიყოთ შეჩერებულნი? ვინ რას მოგვეცემს, ჩვენ თუ არ გამოვიღეთ ხელი, ჩვენ თუ არ დაეტრიალდით? — ყველას გახავინად აცხადებდა იზოლდა წოწონავა.

— თამედომარე ამბობს, წელს ნიადაგი კარგად გვაქვს მომზადებული, ყანები ხომ მოგვლამეთო; მალე სარწყავი არხები მზად გვექნება, საყვებნაც ბუერს დაეთესავთო; იმ დანჯორეული ტრაქტორების შავიერად ახლებს მივიღებთ, ერთი უკვე გამოიხსენათ, პლენუმმა ზურგი გამიმავრა, სარაიონათშორისო საწარმოო სამმართველოც წამოგვეშველება.

ბუნება ამ ქორწილისადმი უფრო ახლობელ გახდა. ძალიან მიუყარს ჩემი რაიონი, მაგრამ ქეთვისა და დროს ტარებისათვის თბილისიდან აქ ვერ ჩამოვდიოდი. მხოლოდ ჩემი წიგნის მთავარი გვირის ბედნიერებამ და ამ აქტის საზოგადოებრივმა მნიშვნელობამ დამატოვებინა თბილისი და აქ ჩამოვიყვანა. ხელში ვერცხლით მოქედლი ყანწი მეჭირა და სწორედ ამაზე ვფიქრობდო.

და, როცა თამადამ ამ დეპეშას დაუკავშირა ჩვენი პარტიის სადღეგრძელო, ეს კომკავშირული ქორწილი მართლაც ზიზიად ვადიქცა.

სიხარულისა და ბედნიერების განცდის ამ წუთებში განათადო გაზაფხულის სურნელით შემოიჭრა. დარბაზში სიშერები გაისმა, ვარსო, ქუჩებში დიდი მოძრაობა დაწყებულყო უკლანის საარჩევნო უბნებისაკენ მიიჩქაროდნენ, მექორწილენიც ეზოში გამოვიდნენ და მუსიკითა და სიშერებით ქალაქის საარჩევნო უბნისაკენ დაიჩქარენ.

იმ საარჩევნო უბნის შენობაში, სადაც ზეიმი გამართა, პირველად საქორწილო ტანსაცმელში გამოწყობილი ნუფ-დედოფალი შვიდა უფთთან, შერე მათი თანმხლებნი. ბოლო არ უჩანდა ბიულეტენების შრიალსა და საერთო მზიარულებას.

როცა ნუფ-დედოფალი საარჩევნო ოთახიდან გამოვიდნენ, მოხეტყა ფოსტალიონმა ბედნიერება მიულოცა იზოლდას და შერე ერცელო დეპეშა გადასცა. დეპეშა წუხანდელმა თამადამ გამოართვა და მექორწილეთა და ამომჩრელების წინაშე საყაროდ წაიკითხა: „ჩემი ძვირფასო დოა და მეგობარო იზოლდა! შენმა თბილმა და შგრძნობიარე წერილმა, რომელიც გაზეთის საშუალებით ამცნე ქვეყანას, ჩემი სე-

ბეტატობის კანდიდატად დასახელების გამო. ღიად გამხარა, ჩემი ოქახი აღეღა, მაგრამ რა არის ამასთან ის მღელვარება და სიხარული, რომელიც ჩვენ განვიცადეთ, როცა შევბრუნეთ თქვენი გაბედნიერებას, თქვენი ქორწილის ამბავი. ზღაღ რომ თურამერი მარტი არ იყოს, მე აუცილებლად დავაწყობოდი თქვენი გაბედნიერების დღეს.

მაინც რა დიდებული დამთხვევაა, — არჩევნების დღე და თქვენი ბედნიერების დღე! სულათა და გულით გილოცავთ ამ დღეს.

დღე, თქვენმა აბაღმა ოქახმა კიდევ უფრო ზედი შეგაწყობთ გვირუკი შრომის სასახლეო გზაზე..

...ჩვენ ეს ესაა ზმა მივეცი, ალბათ, თქვენც მანდ აძლევთ ზმას.

გაზაღბელი იღგა, აყუავებულბ მიდამოეზი რაღაც ახლებურად სუნთქავდნენ, მხენულ-მოცხველთა და ჩაის მჭრეფელთა გულში ზარბივით რედა სავყუბა:

„შებრძოლერი შეშობასათვის, ამხანაგებო!“

ამ მოწოდების ძალას მიწაშიც შეუღწევა: იქიდან სიშინდებს უფეოქნიათ, ყრბები დაუქვეტიათ, ცისათვის შეუხედავთ, მზისათვის ზაწია გულმეკრდი გადაუხსნიათ და მარგელის მილოღინში თოხების პრიაღი მოღანდებიათ.

პლანტაციებში ჩაის ზეჩქებს კილოფის ქედები სოკობივით დასევა, იმ ქედებიდან ერთი განამორბეტლა, დანარჩენებს გამოყოფია და განმარტოებით ბეჩქიდან ბეჩქებზე პუკელსავით დაფრინავს, დაჭრის, დანაეარღობს.

ნეტე ვინ არის ასე ფეტკარბივთ რომ დაზუნუნებს თეითეულ ყლორტს? მანქანა აქვს ზელში თე საშართებელი, ასე თვალშეუსწრებლად რომ პარსავს და პარსავს ამბინებულ ფოთლებს?

— ვინ ხარ?

...იყავით ბედნიერად და კარგად. შრომიკობით თქვენი რგოლის წვერები.

შენი ტატანა ჩხონტი, 15 მარტი“.

როცა მოხვეე კაცმა, ჩეენს სიბეღი, ოთარ კობაშიელმა იზოღდას ჩაის პლანტაცია წახვ, გაოცებისგან ენა ველარ დასძრა. რას არ შეაღარა იგი გუნებაში, მისი სიღამაზე არაგვის ხეობას ამწვანებულ მღელვებს, ფასანურის ლანდშაფტებს, დარიალის სიმშენიერებს, კიდევ ბევრ რამეს, მაგრამ ამ პეიზაჟებს და მის წინ გადაშლილ სანახაობას საერთო ვერაფერი მოუნახა. თავისი მეუღლის შრომით ნახელავს გაოცებში მოყუენა იგი.

მალე ისევ მოედანზე, ისევ ლენინის ძეგლას წინ განიღნენ. ხალხი ერთმანეთში ირეოდა, ორკესტრი განუწყვეტლივ გრიალებდა, საარჩევნო უბნებიდან გამოსულნი აბლა სიძებს უპეტეტდნენ ცნობისმოყვარედ, ყველას მათი დანახვა სურდა, ყველას იზო ეყრა ენახე.

იანგარიშონ!

- იზო ვარ, იზო, ბიძა!
- ის ზაჭი ვინაა?
- ჩემი ოთარა, ჩემი შეუღღენ, ეს ესაა სამეშაოღან მოვიდა.
- კარგად ვერე კი ვაზრკვეულიყე ამ იღღმალ ხებში, რომ ღარდულიღან თეჭქლომარე გამოვიდა და იზოღდასკენ გაეშურა, მან მლოყველივით აღაყრო ხელეები მღღა და შესძახა:
- შენი კობივე, იზოღდა, რა გადასარევა ვოგო ხარ!
- რა იყო, ბიძა?
- არ იცი, ვოგო, დღეს რომ ოთხასი ელოგრამი ჩაი მოკრიფე? მართლა არ იცი თე?
- მერე რა!
- რაეა რა, ვოგო, რეკორდია, მსოფლიო რეკორდი! სადაა შენი ოთარი?
- ეგერაა და იანგარიშეთ. ორივემ ერთთად, მე მფოსთვის არ მცალია! — და იზოღდა ჩაის ბეჩქებს დასწავდა, ზედ მთელი ტანით გადაეფარა; თითებ ათამაშა, ყერ ხომ მზე ისეე მღღა იყო? მაშ, ოთარიმ და თეჭქლომარემ იანგარიშონ ამ მხერვალე მზის ჩასვლამდის კიდევ რამდენს მოკრეფს იზოღდა წოწონავა...

მ. ლონისკი, ს. ჩაჩოვი

წიგნების ქაღაჩი

როგორ იქნა ჩადებული პირველი ქვა.

ამ ქალაქის ბედი არაჩვეულებრივია. თუნდაც დაიწყოთ იქიდან, რომ მას საძირკველი ჩაურჩებდა ჰქონდა ძალიან შორს იმ ადგილიდან, სადაც ახლა მდებარეობს. ეს მოხდა მაინის ფრანკფურტში გასული საუკუნის დამდეგს, როდესაც რუსეთის ელჩმა გრაფმა ნიკოლოზ რუმიანცევმა დაიწყო ბიბლიოთეკის შეგროვება.

ეს ბრწყინვალე შეცნობი, ენციკლოპედიური ცოდნის ადამიანი იყო, რომლის დიდი ერუდიცია ანეკდოტებად ევროპის გამოჩენილ პიროვნებებს, მათ შორის ნაპოლეონსაც.

ნიკოლოზ რუმიანცევის აგენტები ქვეყანაში ბელაწერებს პარიზის, ვენის, ესპანეთის, საქართველოსა და არაბეთის ძველთაძველ სასახლეებისა და მონასტრების ბიბლიოთეკებში, ეძებდნენ ყველაფერს, რაც ეხებოდა რუსეთის ისტორიას და კულტურას. მის დავალებებს სერბიაში ასრულებდა ვუკ კარაჯიჩი, პოლონეთში—სამუილ ბანდტე, საფრანგეთში—ცნობილი ორიენტალისტები ჰაზე და სენ-მარტენი. რუმიანცევის ბიბლიოთეკატარაიხვები იყო უდიდესი რუსი ფილოლოგი ალექსანდრე ვოსტოკოვი.

რუმიანცევი გარდაიცვალა 1826 წელს. ხუთი წლის შემდეგ მისი კრებული, რომელიც შესრულებოდა არა მარტო წიგნებისაგან, გადაიქცა „რუმიანცევის მუზეუმად“. სამი ათეული წელი ძლიერძლივობით არსებობდა იგი, გადადიოდა რა პეტერბურგის ერთი უწყებდან მეორეში. შემეგ გადაწყვიტეს მისი გადატანა მოსკოვში, რომელსაც საჯარო ბიბლიოთეკა ესპიროვებოდა. (ერთადერთი დიდი ბიბლიოთეკა 1755 წელს იყო დააარსებული, რომელიც უნივერსიტეტს ეკუთვნოდა და ყველასათვის ხელმისაწვდომი როდი იყო) მოსკოვში რუმიანცევის კრებულის გადატანამ, სადაც უკვე ყველაფერი მზად იყო ბიბლიოთეკის შესაქმნელად, დააჭარბა მისი გახსნა.

1861 წელს მეზუემისათვის შეიძინეს „პაშკოვის სახლი“, სადაც მალე, 1862 წლის 1-ივლისს, იქ დააარსდა ბიბლიოთეკა, აქვე გახსნეს

ოცდაათადგილიანი პირველი სამკითხველო დარბაზი.

ეს სახლი მოსკოვის ცენტრში ღვას, კრემლის პირდაპირ. ერთნახევარ საუკუნეზე მეტია თავის ხიზლავს ეს ლამაზი, თეთრად მოყავაშე შენობა, რომელიც არქიტექტორ ვასილი ბაგენოვის საუცხოო ქმნილებაა. ეს შენობა მე-18 საუკუნის 80-იან წლებში აშენებული ეკატერინეს ახანორ პაშკოვისათვის, იგი პირველ შენობათ იქცა მომავალი გვიანტური წიგნის ქალაქისათვის.

მოსკოვში გადასვლით ბიბლიოთეკა არსებობდა გახდა სახელმწიფო წიგნთსაცავად, რადგან მას ჰქონდა რუსეთში დაბეჭდილი ყველა გამოცემის ერთი სავალდებულო ეგზემპლარის უფასოდ მიღების უფლება.

მოსკოველები თანაგრძნობით მოეციდნენ თავიანთ ბიბლიოთეკას. მათ მოჰქონდათ იშვიათი წიგნები და მთლიანი კრებულები. მათ უზარმაზარად ეჩვენებოდათ წიგნსაცავი; იქ იყო ასე ახასხე მერტი ტომი. მეფის მთავრობას რომ არ ეთქვა უფრო წიგნების შესყიდვისათვის თანხის გაღებაზე, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ეს იქნებოდა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ბიბლიოთეკა. 1912 წელს ბიბლიოთეკარი იური გოტიე ნაღვლიანად შენიშნავდა: „მეზუემის ისტორია მისი არსებობის ორმოცდაათი წლის მანძილზე არსებითად არის მისი საშინელი გავრცელების ისტორია, არსებობდა, ესაა ისტორია მძიმე ბრძოლისა ბიბლიოთეკის საქმიანობის რამდენიმე დამამყაფილებელი პირობებისათვის“.

მაგრამ მაინც, სავალდებულო ეგზემპლარებას მიღების წყალობით და მრავალრიცხოვანი კერძო შეწირულობებით მისი ფონდი იზრდებოდა. საუკუნის დამდეგს იქ იყო ნახევარმილიონი ტომი, 1817 წელს კი ერთ მილიონზე მეტი.

ბიბლიოთეკის მკითხველთა სიაში აღნიშნულია—დოსტოევსკი, ჩეხოვი, ბრიუსოვი, ვერესაიევი, მოსკვინი, შენდელეევი, ტაძირიაშვილი, სეჩენოვი, კლოუნევესკი და ხელოვნებისა და

კულტურის ბევრი სხვა დიდი მოღვაწეები. ლეი ტოლსტოის წერილებში შეუღლისადმი (1864—1868 წ.) აღნიშნულია პაშკოვის სახლში მისი სიარული. მაშინ ტოლსტოი მუშაობდა „მოსა და შვედობაზე“ და აქ ეძებდა მისაღებს მასონობის შესახებ. ერთ-ერთ წერილში ტოლსტოი წერდა: „დიდიდან წივედი რუმინეცის მუზეუმში. საგანგებოდ საინტერესოა,

რაც მე იქ ვიპოვე. მეორე დღეა ველის ვაჭრობა, თუ როგორ ვადის 3-4 საათი“.

1893 წლის ზაფხულში რუმინელებს მუზეუმის მკითხველთა დარბაზში ბრძანდებოდა წერა 23 წლის ელადამერ ილიას ძე ულიანოვი. შენახულია მისი საკეთარი ჩანაწერი ამ წლის მკითხველთა წიგნში.

ქალაქი დღეს

ხშირად ციფრები მოსაწყენი გვეჩვენება. მაგრამ ასეც ხდება, რომ ციფრები გვაოცებენ. თავად განსაჯეთ, 1913 წელს რუსეთში იყო 46 მილიონი წიგნი, ახლა კი არის ოთხასი ათასი სამუქოთა ბიბლიოთეკა ერთნახევარი მილიარდზე მეტი წიგნით. მარტოოდენ ლენინის ბიბლიოთეკაში 22 მილიონი ტომია. ეს რიცხვები რომ ერთი მეორეზე შევაწყოთ, აღმოჩნდება ვიგანტურის სვეტა, რომელიც 28-ჯერ მაღალი იქნება გვერდებსზე. რომ მოიძებნებოდეს ადამიანი, რომელიც ას წელიწადს იცოცხლებდა ყოველ დღე შესაძლებდა თითო წიგნის წაკითხვას, ის მოახერხებდა გვიწონობდა ამ გრანდიოზულ კრებულის მხოლოდ ერთ მეორმოცდაათედ ნაწილს.

1913 წელს ბიბლიოთეკას 122 ათასი მკითხველი ჰყავდა, მეორე მსოფლიო ომის წინ კი— 826 ათასი. საკვირველი არაა, რომ ძველ პაშკოვის სახლში უკვე სოფიროვე იჭრანობოდა. მის გვერდით იმ დღეებში, როდესაც ფაშისტური გერმანიის მოედნებზე წიგნებისაგან კოცონები ბრიალებდა, დაიწყო ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის ახალი შენობის მშენებლობა. ბიბლიოთეკის შენობის ფართობი 75 ათას კვადრატულ მეტრამდე გაიზარდა.

„პაშკოვის სახლის“ უკან აღმართულია ბეტონისა და მინისაგან აგებული გვერდულად დაწყობილი ასანთის კოლოფების მსგავსი ერთი უზარმაზარი მექანტიკური შენობა. ესაა 18 იატუსიანი წიგნთსაცავი, რომლის მშენებლობა დამთავრებს ორმოცდა ერთი წლის შუა თვეებში და მისი ათვისება დაიწყებს სამშენლო ომის პირველ მძიმე თვეებში. ძველ შენობასთან იგი დაკავშირებული იყო ორას მეტრიანი მიწისქვეშა დერეფნით.

ახლა ბიბლიოთეკას მთელი კვარტალი უჭირავს. მისი სამი შესასვლელით 22 სამკითხველო დარბაზში შეხვალთ. ამ მთავარი შესასვლელი, მამობრილოს ექსტრემული, ფართო სადარბაზო კიბეები. ყოველ დღე, დღის 9 საათიდან დამის 11 საათამდე მიყვებიან მას მკითხველები ყოველი მათგანი თავის სამკითხველო დარბაზში, რომელიც აქ თხოვმებამდე: საბროფესორო, მიმდინარე პერიოდიკის, ჰუმანიტარული მეცნიერების... აქ ნახავთ სტუდენტებსა და მშუებს, ფრნალისტებსა და ავადმყოფებს,

ასპირანტებსა და ინჟინრებს. აქვე შეიძლება შეხედეთ ადგილობრივ მოსკოველებსაც და ნეუბი ქვეყნის სხვა ეთნოებებიდან ჩამოსულებს, ავოთევე საზღვაოგარეთელ მკვებობებს. ბიბლიოთეკა უფასოა და ყველასათვის ხელმისაწვდომია.

საბავშვო დარბაზს ცალკე შესასვლელი აქვს. ეს დარბაზი გაიხსნა ომის ყველაზე მძიმე წელს—1942-ში. იგი ყოველწლიურად ვისახტრება ათობით ათას პატარა მოსკოველს.

რამდენიმე დღეს მოუნდებოთ გასვლა წიგნის თაროებს შორის, რომელთა საერთო სიგრძე 200 კილომეტრს აღემატება. ამიტომ დავკმაყოფილდეთ ერთი საერთო შენიშვნით: უფრო ადვილია ჩამოთვალათ ის წიგნები, რომელიც ბიბლიოთეკაში არაა, ვიდრე ის წიგნები, რაც იქ არის.

როგორც ყოველ დიდ ქალაქში, ბიბლიოთეკის „ქუჩებში“ დადის ელექტრო ტრანსპორტი.

აქ ერთდროულად მკვადანიობს 2500 მკითხველი. საშუალოდ დღეში შეიღიათასი კაცი. ეს ნაშნავს წელიწადში თითქმის ორ ნახევარ მილიონ მკითხველს!

დიდი მოთხოვნებია ქართულ წიგნებზე. ბიბლიოთეკაში ქართული ლიტერატურის მკითხველთა შორის ბევრია—სტუდენტი, ასპირანტი, დოქტორანტი, ენათმცოდნე და სხვა სწავლელები. ისინი თბოულობენ შრავალ ტექნიკურ პერიოდიკას და სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის ცალკეულ გამოცემებს, სამეცნიერო სესიების და კონფერენციების მასალებს, ენათმცოდნეობის, გეოგრაფიის, ბელოვებისა და არტიტმეტრის ლიტერატურას, ბელეტრისტიკასა და ქართულ ფოლკლორულ ნაწარმოებებს. მკითხველთა მოთხოვნის რაოდენობით (შარშან ოთხიათასი აღწევდა) ქართულ წიგნებს პირველი ადგილი უჭირავს სსრკ ხალხთა ლიტერატურის შორის.

ქართული წიგნები ბიბლიოთეკის ფონდში მისი დაარსების პირველ დღეებიდანვე იყო, მაგრამ ქართული ლიტერატურის სპეციალური, ცალკე განყოფილები ფონდი შეიქმნა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. 1919 წელს შეიქმნა „აღმოსავლეთის განყოფილება“ რომელშიც შევიდა ქართული ლიტერატურაც. ამ საქ-

შეს მეთაურობდა აკადემიკოსი ე. ა. გორდ-
ლავსკი. ხოლო 1913 წელს შეიქმნა ეროვნუ-
ლი ლიტერატურის სპეციალური განყოფილება,
რომელსაც ევალებოდა სსრკ ხალხთა ენებზე
დაწერილი ლიტერატურის დამუშავება, შენახვა
და მკითხველისთვის მიწოდება. ახლა ბიბლი-
ოთეკის ქართულ ფონდში ინახება 45,137
სახელწოდების წიგნი, 2430 ეურნალისა

ექსკურსია მიწაში

ლენინის ბიბლიოთეკა ყველაზე ახალგაზრდაა
მსოფლიოში უდიდეს ბიბლიოთეკებს შორის.
იგი დაარსდა პარიზის ეროვნულ მუზეუმზე
500 წლით, ბრიტანეთის მუზეუმზე—ორი ასე-
ფლი წლით და აშშ კონგრესის ბიბლიოთეკაზე
სახეიარა სთუქნით უფრო გვიან. მაგრამ
მსოფლიოს ეს უზარმაზარი ეროვნული ბიბ-
ლიოთეკები ჩამოგვრჩენ — წიგნების რიცხვის
მხრივაც და მკითხველთა რაოდენობითაც.

ყოველ დღით, როდესაც მოსკოვს ჯერ
კიდევ სძინავს, ბიბლიოთეკისთან ჩერდება
საფოსტო ავტობუსები. მათ მოაქვთ ასობით
ამანათი და ხანდერძლი. აქ ყოველ დღე დე-
პუტობენ 1200 წიგნი, 900 ეურნალს, ოთხი
ათას გაზეთს. მხედველობაში უნდა მივიღოთ
აგრეთვე ისიც, რომ უამრავი თანხა ინარჩუნა
ძველი წიგნების შესაძენად. საყვირველი არაა
ისიც, რა მხოლოდ ამ უკანასკნელ წელს ბიბ-
ლიოთეკის ფონდი გაიზარდა ერთი მილიონი
ტომით.

აკადემიკოსმა ს. ვაილიძემ ერთხელ შე-
ნიშნა: თანამედროვე ადამიანი წიგნების ჰი-
მალას წინაშე ოქროსმამიძების მდგომარე-
ობაშია, რომელმაც უნდა მოეპოოს ქვიშის მა-
საში ოქროს მარცვალი. ამ მარცვლის პოვნა-
ში გვეხმარება საცნობარო-ბიბლიოგრაფიული
განყოფილება. ეს თავისებური საპასპორტო
ბიუროსა წიგნთა ქალაქში.

ქართულ ენაზე შეესებულო ბარათის გადა-
თვალერების დროს, შეამჩნევთ, რომ ზოგი მათ-
განი შეესებულოა ჯერ კიდევ რევოლუციამდე,
ესე იგი მკვინ, როდესაც ქართული ლიტერატ-
ურის ფონდი, ისე როგორც სხვა ერსიონე-
რი ფონდი, არ მუშავდებოდა და არ ისწავ-
ლებოდა. ამ საქმისათვის უნდა ეუმადლოდეთ
მოსკოვში მცხოვრებ უფასო მოხალისე—ქარ-
თველებს, კერძოთ ხაზანოვს (ხაზანაშვილს),
რომლებმაც ამ ეთილშიზილურ საქმეს დიდი
დრო და შრომა მოახდომეს.

1945 წელს გადაწყვიტეს ქართული ფონდის
სრული რეკატალიგაცია. ეს უდიდესი სა-
მუშაო მხოლოდ შარშან დამთავრდა. ახლა
ქართულ ენაზე ათობით ათასი ბარათი ჩაწ-
ყობილია ალფაბეტურ და სისტემატირებულ
კატალოგში. ბიბლიოგრაფიული აღწერის შემ-
დეგ თვითველ მათგანს ახლავს რუსული

(22312 ნომერი) და 2645 გაზეთის წიგნები
კომპლექტები. ამ ფონდში — უმრავლესობა ის
გამოცემები, რაც გამოვიდა რევოლუციამდე
რევოლუციამდე და საბჭოთა სტრუქტურის
დროს. მარტოაღენ მარქსის, ენგელსის და
ლენინის გამოცემათა ფონდი ქართულ ენაზე
შეადგენს 1465 ტომს.

თარგმანი, რომელიც საშუალებას აძლევს ქარ-
თული ენის არამყოფენ მკითხველს იმეშაოს
კატალოგზე.

კატალოგების გადათვალერება წარმოადგე-
ნას იძლევა იმაზე, თუ როგორი ვასაქანი მყო-
ვა ქართული წიგნების თარგმან რუსულ ენა-
ზე. ცალკეულ განყოფილებაში ხდება ძველი
ქართული წიგნების—ძველი ქართული პავიოგ-
რაფრული ლიტერატურის ძველების, შოთა
რუსთაველის პოემის, ამ ნაწარმოებსა და მის
ეპოქაზე დაწერილი წიგნების თარგმან, აგ-
რეთვე, დიდი პოეტის შემოქმედებასა და
მსოფლმხედველობაზე, მისი პოემის სხვა ენაზე
თარგმნის გამოკვლევის ქართული ფოტოლო-
რის, წიგნები იოანე შათელზე და შოთა რუს-
თაველის სხვა წინამორბედებზე. XVII—XIX
საუკუნეების პროზა და პოეზია—ბესიკის, ნ. ბა-
რათაშვილის, ა. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის, ვეა-
ფშაველას, ვ. წერეთლის და სხვათა ნაწარმოე-
ბების თარგმან.

რუსულ ენაზე უხვადაა წარმოდგენილი თა-
ნამედროვე ქართული დრამატურგია და პრო-
ზა—მ. დადიანის, ე. გამსახურდიას, ა. ბელია-
შვილის, ე. ლორთქიფანიძისა და სხვათა წიგ-
ნები. მაგრამ ყველაზე მეტია თანამედროვე
ქართული პოეტების თარგმანები. ძნელია და-
ვისაბულოთ ქართულ ლიტერატურაში ისეთი
პოეტური სახელი, რომელიც მრავალჯერს არ
იყოს ნაჩვენები ამ კატალოგში. გ. ტაბიძე, გ.
ლენინიძე, ტ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი, პ. იაშვი-
ლი, ირ. აბაშიძე, ა. აბაშელი, გ. აბაშიძე,
რ. მარგანი, ი. ნუნეშვილი და ათობით სხვა პო-
ეტი.

ბიბლიოთეკის საცნობარო — ბიბლიოგრა-
ფიული განყოფილება იძლევა ყოველგვარ ინ-
ფორმაციას კონსულტაციასა და ცნობებს ქარ-
თული წიგნის ფონდის, ქართული მწერლების,
და მათი თარგმანების შესახებ რუსულ და
სხვა ენებზე.

დიას, ბიბლიოგრაფები — ამ ქალაქის გე-
დები არიან. უმთავრ. მათი წიგნების გარეშე
აქ ვერაფერს ვახდებთ.

ლენინის ბიბლიოთეკა—ჩვენი ქვეყნის ცენ-
ტრალური მეცნიერულ-კვლევითი და მეთოდუ-
რი დაწესებულება ბიბლიოთეკამეცოდნეობის,
ბიბლიოგრაფიისა და წიგნის ისტორიის დარ-

გვი. ბიბლიოთეკის გამოცემლობა ყოველწლიურად უშვებს 200-ზე მეტ წიგნს. მილიონ ეგზემპლარზე მეტი საერთო ტირაჟით. ესაა ბიბლიოგრაფიული მიწვევებლები და სახელმძღვანელოები, ლიტერატურის სატეკნიკური და სხვა სხვადასხვა თემებზე, პერიოდული გამოცემები—ახალი წიგნები, „თეო-

განვითარების ბიბლიოთეკა“, „საუკუნეობრივი წიგნების ექსპრეს-ინფორმაცია“... ახლა შედგენილია და დასაბუთდა ამხადგენვერუსული წიგნების ნაკრები კატალოგს, რომელიც მოიცავს 600 ტომის/წიგნის/სახელს, რომელშიაც შედის ბილიონზე მეტი დასაბუთება.

ერთი განყოფილების სიმდიდრე

ეს მოხდა მოსკოვის ახლო სოფელ ყრატოვის სადგურის საჯალაქოში, სადაც წერის გასაბარად შევიდა ჯარისკაცი ივანე კოსლოვი. იგი მოხერხებულად მოეწყო საგარეოში და სანამ პარსადენდნ, თავის თავს უეჭოდებოდა და სარკეში. შემდეგ შემთხვევით გაიხედა გვერდზე და გაეშუა: მეზობელი მავადის დალაქი აპირებდა მამების გაწმენდას ქაღალდის ფურცლით, რომელზედაც ცხადად ჩანდა წარწერა: ივანე ტურგენევი. გაოცებულ ივანე კოსლოვიმ პარსადენდნს ხელიდან გამოსტაცა ეს ფურცელი და გაიქცა მატარებლისაკენ. ორი საათის შემდეგ მან ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების მუშაის ჩააბარა ეს ფურცელი, რომელიც აღმოჩნდა დიდი რაოდენობის მინაწერი წერტილი გამოცემლობისადმი.

ამგვარად განყოფილების ფონდი შეივსო კიდევ ერთი ძვირფასი დოკუმენტით.

ამ ფონდის სიმდიდრის დათვლას ღიდა დრო უნდა. კუპრინის არქივი და ჩეხოვის წერილები, დოსტოევსკის რეკლამები, მესი რამანის ზოგიერთი თავების სხვადასხვა ვარიანტებით. სეფოროვისა და კეტუხოვის ჩანაწერები. აქვეა პეტრე I და ეკატერინე II წერილები, გოგოლის. ალექსანდრე ოსტროვსკის, ნეკრასოვის, ბერანეტის, ვოლტერის, ნაპოლეონის, დიკენსის, ჯოტის და გოეთეს ხელნაწერები. აქ შეიძლება ნახოთ უდიდესი იშვიათობა — ჯორდანო ბრუნოს ხელნაწერი ლათინურ ენაზე. განყოფილებაში ინახება მინქანაზე გადაბეჭდილი რომენ როლანის (1914—1919) „სამხედრო წლების დღიურის“ დედანი ატო-

რის შესწორებითა და დამატებებით. ის აქ მოხვდა ავტორის ნება-სურვილით და ინახება მისივე მითითებით 20 წლის განმავლობაში 1955 წლის 1 იანვრამდე დაბეჭდილ კონვერტში. შემდეგ ეს კონვერტები გახსნეს და „დღიურების“ 29 რვეული ხელმისაწვდომი გახდა სწავლულთათვის.

ყველაზე ადრეული ხელნაწერია — ბერძნული, რომელიც VI საუკუნეს მიეკუთვნება. უძველესი რუსული ხელნაწერი წიგნია — 1092 წლის არხანგელსკის საბარება. უძველესი რუსული ხელნაწერი წიგნების შესავრებად ბიბლიოთეკის ექსპედიცია ყოველწლიურად მიემგზავრება არხანგელსკის ოლქის ძველთაძველ სოფელში, ალტაში, საქართველოში...

ფონდში ბევრია ქართული ხელნაწერები. აქ შეიძლება ნახოთ 1729 წლის ნასყიდობის ქაღალდი. 1822 წლის ლოცვანი, 1859 წლის ფსალმური, 1682 წელს დაწერილი სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიკრთის“. ანდა 1728 წლის საგალობლების წიგნი. უწინ ქართული ხელნაწერის ფონდი მდიდარი იყო, მაგრამ 1923 წელს ბიბლიოთეკამ ბევრი ხელნაწერი გადასცა საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებას — ქანაშის სახელობის მუზეუმს და ცენტრალურ საარქივო სამმართველოს.

განყოფილებაში შეიძლება ნახოთ ვტრატსა და არყის ბის ნაფორზე, პაპირუსზე და პალმის ფოთლებზე დაწერილი ტექსტები.

ყველა ეს საუნჯე რომელიც კერძო კოლექციებისაგან შესდგა და რომელიც ოდესღაც მაგარად იყო დაცული უცხო თეატრისაგან, ახლა ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა.

200 000 იშვიათობა

დიდი ქაღალტი არ არსებობს უმუხტემოდ. და ამ ჩვენ წიგნების მეხუთეში ერთ, სადაც ორასი ათასი იშვიათობა ინახება. ერთი მათგანია ივანე ფედოროვის მიერ 1564 წელს გამოცემული პირველი რუსული ნაბეჭდი წიგნი „სამოციქულო“. ჩექუბოთინის ორნამენტები, უძველესი უზარმაზარი ასოები, საოცარი თავსაშეკრებები და ნიშნები... ამ პირველი რუსული გახეთი ვედომოსტი, რომლის გამოსვლა 1703 წლის 3 იანვარს დაიწყო.

კიდევ ერთი პირველი გამოცემა მარქსის „კაპიტალის“, რომელიც 1867 წელს გამოვიდა ჰამბურგში. მის გვერდითაა საზღვარგარეთ და იატაკქვეშ ნაბეჭდი რუსული რევოლუციური ლიტერატურის ბრწყინვალე კოლექცია. მალზე წერტილი შიფრითა და პაპირუსის ქაღალდზე ნაბეჭდი ფურცლები, პროკლამაციები, ბროშურები, გახეთი — ამ სახით უფრო ადვილი იყო მათი გადატანა და დამალვა. სტენდებზე—დემოკრატსა და არისტოფანეს,

პოლხანისა და სპინოზას პირველი გამოცემები, 1872 წელს გამოცემული და ცენზურის განჯარვლებით განადგურებული დიდროს რომანები და მოთხრობები. მოცარტის ბიბლიოთეკის წიგნები მისი ავტოგრაფით. 1543 წელს გამოცემული კომერნიცის ტრაქტატი „ციურ მნათობაში მოძრაობის შესახებ“ 1469 წელს ვენეციაში გამოსული და საუკეთესოდ „შენახული პლანიუს უფროსის „ბუნების მეტყველების ისტორიის“ ეგზემპლარი. ეოლტერის შატობრიანის, ჰიუგოს, შაინეს ავტოგრაფები.

ჯორდანო ბრუნოს სიცოცხლისდროინდელ გამოცემათა უდიდესი კრებული. ერთ-ერთ წიგნზეა მისი სამახსოვრო წარწერა: მსოფლიოს ბიბლიოთეკებს შორის ესაა ამ სახის ერთადერთი ავტოგრაფი. აქვეა ბრუნოს მოწოდება — ლეივი ვანონის სიცოცხლის დროს გამოცემული შრომები, რომელსაც მასწავლებელივით ტრავიციული ზედი ერკო: იგი 1619 წელს ინკვიზიტორებმა დასწვეს.

მეზუტშია — რამდენიმე ათასი ინკუნაბულა, ვ. ი. 1500 წლის 31 დეკემბრამდე გამოცემული პალიოტიპები (XVI საუკუნის პირველი ნახევარი) ილდონი (XV-XVI საუკუნეში ვენეციელი შესტამბის აღდა მანუციოსა და მისი მემკვიდრეების მიერ გამოცემული), ელზევირები ცნობილი პოლანდიელი ფირმის ელზევირების XVI-XVIII საუკუნის გამოცემა. არის რამდენიმე წიგნები, რომლებიც ჰეაგს მედალიონებს, ყუავილებს, თხელ აბრეშუმსა და ტყავზე ნაბეჭდი წიგნები, ასანთის კოლოფის ოდენა და ვიგნატური — მეტრანახევარი სიმაღლის წიგნები.

ლალიპუტი — წიგნები, თავიანთ წარმოშობას, როგორც ვაჭრულელებულია აზრი, უნდა უმადლოდნენ საფრანგეთის დედოფალ მარი ანტუანეტას ახარებულ სურვილს, რომელსაც შოინდომი ასეთი წიგნის დამალვა ხელთაშენში. ყველაზე მინიატურული წიგნი, კრილოვის იგავ-არაკები, გამოცემულია 1856 წელს. ამ წიგნის ნაბეჭდი ფურცლის სიგანე 14 მილიმეტრია, ვ. ი. ასანთის კოლოფის მესამედი. ამისათვის საჭირო ვახდა ვერცხლისაგან სპეციალური შრიტტის ჩამოსხმა. სამაგიეროდ, ასოები ისეთი მკაფიო გამოვიდა, რომ კარგი

მხედველობის ადამიანს გამადიდებელი შემის გარეშე შეუძლია კითხვა.

მეზუტის უოველ იშვიათობას ინტერესობის ისტორია აქვს.

თი გოგოლის „რევიზორის“ პირველი ეგზემპლართაგანი. 1836 წელს ავტორმა ხელნაწერი აჩუქა თავის მეგობარს, დიდ რუს მსახიობს მიხეილ შჩეპკინს, რომელიც სპეტაკლში გოროდნიჩის როლს ასრულებდა. ხოლო მან ეს წიგნი აჩუქა თავის მოწაფეს — ცნობილ რევიზორსა და ანტრეპრენიორს მიხეილ ლენტოვსკის. „ნიშნად ღრმა პატივისცემისა“ ლენტოვსკიმ ეს ძვირფასი წიგნი მიუძღვნა კონსტანტინე სერგის ძე სტანისლავსკის. 1912 წელს თეატრის ვენიალურმა რეფორმატორმა ეს წიგნი გადასცა რემიანცევის ბიბლიოთეკის მეზუტს.

ჩვენსწინაა 1829 წელს გამოცემული პოემა „ვანე კოხელპარტენა“. უდაზე აწერია ავტორის სახელი და გვარი — ვ. ალოვი. ამ ფსევდონიმით იმალეობდა მაშინ უცნობი გოგოლის სახელი. ეს იყო მისი პირველი ნაბეჭდი ნაწარმოები. ნაწარმოების გამოსვლისთანავე გოგოლმა შეისყიდა და განადგურა პოემის თითქმის ყველა ეგზემპლარი, სამართლიანად ჩათვალა იგი თავისი ნიჭის შეუფერებელ ნაწარმოებად. გადარჩენილა მხოლოდ სამი ეგზემპლარი. ერთი მათგანი „წიგნებზე მონადირეთა“ დაუღალავი ძებნა შემდეგ, ინახება მეზუტში.

მეზუტში ინახება სამ ეგზემპლარად გადარჩენილი რადიშჩევის „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვში“, რომლისთვისაც ავტორს სიკვდილი მიუთაყვის, ხოლო შემდეგ შეიწყვეტეს. წიგნი კი ვიკატრინე II ბრძანებით დასწვეს.

განყოფილებაშია — ფოტო ასლები: ქართული შარქისტიული ვახეთ „ბრძოლის“ პირველი ნომრები, 1905 წელს გამოცემული ა. წულეკიძის „ნარკვევები პოლიტიკონომიის შესახებ“. გერამიშვილის უნიკალური პორტრეტის ფოტობირი...

უნიკალური გამოცემების შეფასება შეუძლებელია. სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ისინი ფასდაუდებელი ანდა განუმეორებელი არიან.

იქ, სადაც კურნავენ წიგნებს

დიდი ქალაქის არსებობა უსაავადმოყოფოდ წარმოუდგენელია. საავადმოყოფო ბიბლიოთეკაშიც არის. მხოლოდ მის სხვაგვარი სახელი აქვს — ჰეიენისა და რუსტავარიცის განყოფილება. მისი ამოცანაა, — წიგნების სიცოცხლის გახანგრძლივება. ეს მათი დავიანებით მოაწეეს განსაკუთრებული ფაჩვრები ბიბლიოთეკაში ორმაგი ჩარჩოების შიდა მინა — ცარიე-

ლია. ეს იმითმ გააკეთეს, რათა შენასტონ მზის სხივების შაენე ვაეუნა წიგნებზე. განყოფილება თვალყურს ადევნებს იმასაც, რომ წიგნისაკაეში შემდივად 18-20 გრადუსი სითბო იყოს, რათა პიერის სინესტე 65 პროცენტს არ აღემატებოდეს. შაკრამ „საავადმოყოფოს“ თანამშრომელთა შთავარი ამოცანაა — სიცოცხლე დაუბრუნონ

„დავალებულ“ წიგნებს. მექანიკური დაზიანების აღდგენა ადვილია: დაზეული ფურცლები შეიძლება დაწებო, გაცვეთილი ვარკიანი ახლით შეცვალო. ბიოლოგიური მკვებლების ოპისა და მწერების წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება მხოლოდ ახალი მეცნიერული საშუალებებით.

როდესაც განყოფილებაში შევედით, რეგისტრატორის თაროზე, „ავდამყოფ“ ძვირფას წიგნთა შორის ეწყო ბერების მიერ ზამთრის კრძელ ღამეებში გადაწერილი უძველესი მა-

ტიანეები. სანთელი დნებოდა და უღვევთვლად წიგნის ფურცლებს. ამ ლაქების მოსაცილებლად, რესტავრატორს ქირურგიის მკვლევარ უნდა ქონდეს, არა მარტო მარჯვე ხელი, არამედ ულველი მოთმინებაც. მას უნდა უყვარდეს წიგნი. შარშან 370 ათას წიგნს დაუბრუნეს სიცოცხლე რესტავრატორებმა. ამ აღმზანების შრომა გვშველის, საუბუნეების მანძილზე შევიანხოთ კაცობრიობის აზრებების სიმდიდრე.

მიტლ ქვევანას, ყოველი ქვეყნიდან

ლენინის ბიბლიოთეკა — სამკითხველოა. მკითხველებმა იციან, რომ წიგნის შინ წიღება არ შეიძლება. გამონაკლისი ხდება ზოგიერთი ავადმყოფის, მწერლისა და სახელმწიფო მოღვაწისათვის.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ბიბლიოთეკათშორისო ამონეშენტებით მოდიან შოთხოვნები ქართული ფონდის წიგნებზე. ეს შოთხოვნები უშალვე კმაყოფილდება.

ლენინის ბიბლიოთეკა ბიბლიოთეკათშორის ამონეშენტებით დაკეშირებულია 4500 ბიბლიოთეკასთან, მათ შორის უცხოეთის 156 ბიბლიოთეკასთან. შარშან მათ გაეგზავნათ დაახლოებით 500.000 წიგნი. საინტერესოა ისიც, რომ ქართულ წიგნებზე შოთხოვნა მოდის საზღვარგარეთიდანაც. შარშან ეს შოთხოვნა სამოცს აღემატებოდა. ჩვენს წინაა ვისაგზავნად გამზადებული ბანდეროლები. კალკუტაში და ლონდონში იგზავნება ტექნიკური ლიტერატურა, ავსტრიაში — მოსტაკოვისა და არუთინიანის ნაწარმოებთა ნოტები, ბულგარეთში — ლიტერატურათმცოდნეობის შრომები. ბანდეროლებზე აწერია: იაპონია, საფრანგეთი, პოლონეთი, შვეიცარია...

აქამდე წიგნებზე შეკვეთა შინაგანი ბიბლიოთეკათშორისო ამონეშენტებით ფოსტით იგზავნებოდა, რაც გზაზე რამდენიმე დღე ყოენდებოდა. ახლა შეკვეთის შესრულების დრო ძალზე შემცირდა. ბიბლიოთეკამ განყოფილებებში დადგა საამონენტო ტელეგრაფები. რამდენიმე წიგნის ან ეურნალის მოსათხოვნად ახლა აღარაა საჭირო ფოსტით შეკვეთის გაგზავნა, საკმარისია ბიბლიოთეკარს გადასცეთ ტელეგრაფის აპარატით გამოსამხებელი სიგნალი და შეკვეთის ტექსტი და რამდენიმე დღეში შიილებთ აუცილებელ ლიტერატურას.

ლენინის ბიბლიოთეკის საერთაშორისო კავშირი ამონენტებით როდი განისაზღვრება. იგი იძენს უცხოურ ლიტერატურას წიგნთაცვლის საფუძველზე. გაცვლა-გამოცვლა ხდება 80 ქვეყნის 2427 საზღვარგარეთელ ბიბლიოთეკაში. შარშან საზღვარგარეთიდან მიღებული იქ-

ნა 200 ათასი წიგნი და ეურნალი და 250 ათასზე მეტი ვეგეშლარი მათაც გაეგზავნა.

ბოლო წლებში ბევრად ვიზარდა ბიბლიოთეკის კეშირი აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან (მაგ. დამყარდა წიგნთა გაცვლა-გამოცვლა განასთან), პირველად დამყარდა ეულტურული ურთიერთობა ესპანეთთან, საიდანაც მიღებული იქნა ბევრი საინტერესო გამოცემა. რჩევი ვიზარდა წიგნთა ცვლა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, სამყერ იაპონიასთან. შარშან შანტინგეტანის (კალკუტის ახლო) უნივერსიტეტიდან, რომელიც შექმნილია რაბინდრანათ თაგორის მიერ, საჩუქრად გამოგზავნეს ათობით ტომი თაგორის ნაწარმოებებისა, ცნობილია საზოგადო მოღვაწე და მწერალი ქალმა, თაგორის მეგობარმა და მისმა მოწაფემ — შიიტრათა დევიმ ბიბლიოთეკას ანუქა ხელნაწერი თაგორის მოთხრობისა — „ბანგშორი“.

თითქმის ყოველდღე წარმოებს წიგნების, ვახეთების, ეურნალების გაცვლა-გამოცვლა 160 ამერაქულ ბიბლიოთეკასთან, უნივერსიტეტთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან და გამოცემლობასთან, მათ შორის აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკასთან, ნიუ-იორკის სახალხო ბიბლიოთეკასთან. აი უკანასკნელი დროის მოთხოვნა. კენტუკის შტატის უნივერსიტეტი ითხოვს ვეუგზავნონ XVI-XVII საუკუნის იშვიათი რუსული წიგნების მიეროფილშები. შრავალი ამერაქული სწავლული დაინტერესებულია ვ. ი. ლენინის ნამუშევართა ფოტობირებთ. ათასობით წერილში თხოვნაა — ვეუგზავნონ წიგნები, რომლებიც მოუთხოვრებენ საბჭოთა მეცნიერებებს მიღწევათა შესახებ. ახლა საერთაშორისო წიგნთა ცვლის განყოფილება საზღვარგარეთ ვავნის წიგნს „კოსმოსური ერას დილა“, რომელსაც თან ერთვის წითელ მოედანზე ნ. ს. ხრუშჩოვისა და ი. ა. ვავარინის გამოსვლის ჩანაწერები.

აღრესატთა ჩაოდნობის მიხედვით განსაკუთრებული ადვილი უქირავს სკპ ცკ XXII ყრილობის მასალებს, ეს მასალა ვავგზავნილია უკ-

ვე 54 ქვეყანაში და კიდევ გრძელდება მათი ვაჭრება.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ბრუნის უნივერსიტეტი რაიდა-აილენდის შტატში მო-

ითხოვს მასალებს საზღვარგარეთ XIX საუკუნის ნაელებად ცნობილ რუსი პოეტების — ვენევიტინოვის, ვიაზემსკის, დულეგინის და კიუხელბეკერის შემოქმედების შესახებ.

დროშები შესახელდში

იმ დღეებში, როდესაც ბიბლიოთეკაში გახსნილია მსოფლიოს რომელიმე ქვეყნის ლიტერატურის გამოფენა, შესახელდში საბჭოთა დროშასთან ერთად აფრიალდება ამ სახელმწიფოს ეროვნული დროშაც. უკანასკნელ ხანებში ბიბლიოთეკის ფსალზე ფრიალებდნენ კუბია და იპონიის, იტალიისა და ინდოეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ავსტრიის, შვეიცარიისა და ჩინეთის დროშებ. უკანასკნელ წელს ბიბლიოთეკამ მოაწყო 700-ზე მეტი სხვადასხვა გამოფენა.

ასეთი გამოფენა მრავალ დამთავლებულს იზიდავს. ფართო რუზონანსი მიიღო, მაგალითად, ინგლისური გამოცემების გამოფენამ. სადაც წარმოდგენილი იყო 170 გამოქვეყნების მიერ გამოშვებული დაახლოებით ოთხი ათასი წიგნი და 650 ეურნალი.

საინტერესოა იყო ინგლისური ლიტერატურის რუსული თარგმანების ესპოზიციები. საბჭოთა გამოშვებების მიერ გამოცემულია ინგლისელი ავტორის 2700 წიგნი სსრკ ხალხთა 58 ენაზე, მათი ტრაჯე — თითქმის 100 მალიონი ეგზემპლარია.

რასაკვირველია, ეს გამოფენები მარტო საზღვარგარეთელი ლიტერატურის გამოფენებს როდი ეძღვნება, არამედ საბჭოთა ლიტერატურასაც. ჯერ კიდევ ომამდე, ბიბლიოთეკაში დიდს წარმატებით ჩატარდა შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი გამოფენა. ეს მასალები ახლაც ინახება ბიბლიოთეკაში. სამი წლის წინ ი. ჭავჭავაძის მუზეუმს საგერაშიში გადაეცა პოეტის მუეღის —

ლენინის სახელობის

სტატიამი — „რა უნდა გავთდეს სახალხო განათლებასთვის“, ელდიმერ ილინი წერდა, რომ „საყარო ბიბლიოთეკის დიდება და სიმამლე მარტო ის კი არ არის, თუ რამდენია შიგ იშვიათობა. XVI საუკუნის რამდენი გამოცემა ანდა X საუკუნის რა ხელნაწერია, არამედ ისიც თუ რა ფართოდ გადის წიგნი ხალხში, რამდენი მკითხველია ჩაბმული ბიბლიოთეკაში, რამდენი წიგნია გაცემული სახლში, რამდენი ბავშვი მიიზიდა კითხვამ და ბიბლიოთეკით სარგებლობამ“.

ოლას იშვიათი სურათი. უკანასკნელ წლებში არ ჩატარებულა ქართული ლიტერატურის არც ერთი დიდი საიუბილეო თარიღი, რომელთანაც დაკავშირებით ბიბლიოთეკას არ მოეწყოს გამოფენა.

ბიბლიოთეკაში ყოველდღე მოდის ექსკურსანტების რამდენიმე ჯგუფი, რომელთა შორის მრავალი უცხოელია. შობაგებულიათა წიგნი აკრძალვების მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე, ჩინაური შობაგებულით. ამ ავტორთა შორის შეხვდებით ნეპალის პოეტს, მომღერალსა და მუსიკოსს ჯანარდ ამსამს და ფრანგ მწერალს ლუი არაგონს, შვეიცის საშფოო ბიბლიოთეკის დირექტორს, უ. ვილერს და ინდოეთის დიდ სწავლულ-ბიბლიოგრაფს ს. რ. რახ-განტანს, ზანგ მომღერალს პოლ რომბონს და შოტლანდიის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს ბან პატინგერს, ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებს სომეხ მწერალს კარაპეტ სკიტალასა და ირანელ პოეტ ქალს ფაღუს. ბიბლიოთეკა მონახულეს ჩეხოსლოვაკელმა ბიბლიოგრაფებმა, ჩილელმა ეურნალისტებმა, სერბიელმა მღვდელმთავრებმა, ინდონეზიელმა მუშებმა, ოქსფორდის უნივერსიტეტის მასწავლებლებმა და სტუდენტებმა.

აშშ-ებში მცხოვრებმა ცოლ-ქმარმა კ. და ვ. ყულმა შობაგებულიათა წიგნში ჩასწერა: „თქვენ უნდა ამაყობდეთ იმით, რომ ასეთი ბიბლიოთეკა გაქვთ, და კიდევ იმით, რომ ცხოვრობთ ასეთი ბიბლიოთეკის შემქმნელ საზოგადოებაში“.

ჩვენთან ერთად წიგნის ქალაქის დათვალეობისას, თქვენ დაინახეთ, თუ პრაქტიკულად როგორ განხორციელდა დიდი ლენინის ეს აზრი. ლენინი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა ბიბლიოთეკას და გასაკვირიც არაა, რომ 1924 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ, ბიბლიოთეკის ლენინის სახელი მიეცეთ. 1945 წლის მარტში კი მთავრობამ ბიბლიოთეკა დააქილდოვა უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით.

ყველასათვის ღიაა ლენინის ბიბლიოთეკის საგანძურები.

ბ. ბაჩინძე

ქან-ქაკ რუსო ქართულ მწერლობაში

(მწერლის დაბადების 250 წლისთავის გამო)

XVIII საუკუნის ფრანგულმა ლიტერატურამ განმანათლებლების ბრწყინვალე პლუადა მოგვცა. მაგრამ იშვიათია არა მარტო XVIII საუკუნის ლიტერატურის ისტორიაში, არამედ საერთოდ მსოფლიო ლიტერატურაში ისეთი მწერალი-მოაზროვნე, რომელსაც ასე აელელებინოს მკითხველი საზოგადოება, როგორც რუსოს.

ქან-ქაკ რუსოს ისევე, როგორც მონტესკიეს, ვოლტერის, დიდროს და სხვა განმანათლებელთა შემოქმედება, მიმართულია ფეოდალური წესწყობილების და ადამიანთა უთანასწორობის წინააღმდეგ. ყველა ამ მწერალს თავისი წვლილი მიუძღვის დიდი ფრანგული რევოლუციის იდეოლოგიურ მომზადებაში.

მაგრამ რუსოს მსოფლმხედველობა და კონცეფციები ხშირად სხვა განმანათლებელთა კონცეფციებისაგან განსხვავდება. მათ შინაგან წინააღმდეგობრიობას აღნიშნავენ საბჭოთა მკვლევარები: „რუსოს მსოფლმხედველობა გამოირჩევა ისეთი ღრმა წინააღმდეგობებით, როგორსაც ვერ ვხედავთ XVIII საუკუნის ვერც ერთ მოაზროვნეში. პოლიტიკური თვალსაზრისით რუსო, ძველი საზოგადოების საფუძვლების ყველაზე გაბედული და თანმიმდევარი უარმყოფელია. ფილოსოფიის სფეროში იგი მატერიალიზმის ამჟარა მტერია. როგორც პოლიტიკური მოაზროვნე, რუსო უშიშარია აბსოლუტიზმის სახელმწიფოებრივი სისტემის ანალიზში. როგორც ფილოსოფოსი, რუსო პატრიარქალურობის და ღმერთის მოწყალეობის ბრმა რწმენის მჭადაგებელია.“¹ ითვლისწინებს რა ამ წინააღმდეგობრიობას, საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა ღებულობს რუსოს შემოქმედების დადებით მხარეებს და მალაღ

შეფასებას აძლევს მას, როგორც მხატვარს. ცხოვრების დევიზად ქან-ქაკ რუსომ რომელი პოეტის იუვენალის სიტყვები *Vitam impendere vero* (სიმართლეს მიუძღვენი სიცოცხლე) დაისახა. ამ დევიზის განხორციელება მისთვის არც ისეთი ადვილი აღმოჩნდა. საზოგადოებამ რისხვით და დევნით უპასუხა რუსოს: „ემილი“ დაწვებს, მის ავტორს კი ქვეშესროდნენ და დაპატიმრებას ემუქრებოდნენ. მაგრამ რუსომ სიმართლეს არ დასთმო. მწერალი მწვავედ განიცდიდა უმცირეს უსამართლობას, ადამიანთა მიმართ ჩადენილ ყველა თავის დანაშაულს. რუსოს ვერ წარმოედგინა ცხოვრება ვერც სიმართლის და ვერც თავისუფლების გარეშე. მალწერბისადმი გაგზავნილ თავის ერთ-ერთ წერილში მან აღიარა: „დიდხანს მე თვითონ მცდარად უხსნიდი იმ გადაულახავი ზიზღის მიზეზს, რომელსაც ყოველთვის ვგრძნობდი ადამიანებთან ურთერთობაში... ეს მიზეზი სხვა არაა, გარდა თავისუფლების დაუნდობელი წყურვილისა, რომელიც ვერაფერმა დასძლია და რომლის წინაშე არც პატივისცემა, არც სიმდიდრე და თვით სახელიც არაფერია ჩემთვის“.

ასეთია რუსოს შემოქმედების ორი მთავარი ბერკეტი — სიმართლეს და თავისუფლება, რომლებითაც მან ნამდვილი გადატრიალება მოახდინა სულიერ სამყაროში.

რუსო მრავალფეროვანი გუნით დააჯილდოვა ბუნებამ. მის კალამს ეკუთვნის ფილოსოფიური ტრაქტატები, მხატვრული პროზაული ნაწარმოებები, თეორიული შრომები ხელოვნებაზე, ენათმეცნიერებაზე, მთელი პედაგოგიური სისტემა, მუსიკალური ნაწარმოებები, ლექსები, თეატრალური პიესები. ყველაფერი, რა თქმა უნდა,

¹ ი. ვერცმანი. ქან-ქაკ რუსო. შ., 1958, გვ. 6.

ერთ დონეზე არ დგას. მისი ეპისტოლარული მეგვიდრობა არაჩვეულებრივად მდიდარია. რუსოს შემოქმედების რუსოანისი ისეთი იყო, რომ მას სამართლიანად უწოდებს მთელი ევროპული თაობის „ფიქრთა მპყრობელი“. ჩვენში სახელმისაწვდომი პოეტებს მართლ სახელით იხსენიებენ ხოლმე: აკაკი, ილია, ვაჟა... საფრანგეთში მსგავსი ჩვეულება არ არსებობს და არც არაგისთვის ყოფილა გამონაკლისი — არც ადრე, არც გვიან. მხოლოდ რუსოს უწოდებენ უბრალოდ და სიყვარულით: ჟან-ჟაკ.

რუსოს ბიოგრაფია კონტრასტების მაკალითა: ენეველი მესაათის შვილი, ლაქია, მოხეტიალე, ფრანგი დიპლომატი ვენეციაში და ბოლოს სახელმისაწვდომი მწერალი და მოაზროვნე, — ასეთია მისი ცხოვრების უცნაური საფეხურები.

მიუხედავად იმისა, რომ ჟან-ჟაკ რუსომ ყმაწვილობიდანვე დაიწყო ლექსების და პიესების წერა, რუსო ღრმად მოაზროვნე ლიტერატორი გახდა მხოლოდ 38 წლის ასაკში, როდესაც გამოაქვეყნა „მსჯელობა მეცნიერებისა და ხელოვნების სარგებლიანობაზე“.

თავის შედეგებს რუსო ქმნის ორმოცდაათიანი წლებიდან დაწყებული სამოცდაათიანი წლების დასასრულამდე. 1756 წლის გაზაფხულზე ეპინოს მახლობლად პატარა სახლში რუსომ დაწერა „ახალი ელითის“ პირველი ნაწილი. რომანი დაიბეჭდა 1761 წელს. მას მოყვა „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ (1762) და იმავე წლის 24 მაისს „ემილი“. ხანში შესული მწერალი გადაწყვეტს კალმით უპასუხოს ათასგვარ ჭორს და მის წინააღმდეგ მიმართულ პატივსუტებს. ასე იბადება „ალსარების“ ჩანაფიქრი. რუსო წერს მას 1766—1769 წლებში. წიგნი ავტორის სიკვდილის შემდეგ გამოდის. რუსოს უკანასკნელი და დიდებული ნაკლებად შესწავლილი ნაშრომებია „მარტოხელა მოსიერის ოცნებანი“. 1778 წლის 12 აპრილს მწერალი იწყებს მეათე „სეირნობას“, 2 ივლისს კი იგი გარდაიცვალა ურემონთში.

ჟან-ჟაკ რუსოს სოციალური შეხედულებანი გამთლილი სახით ჩამოყალიბებულია „საზოგადოებრივი ხელშეკრულებაში“, მის შთავარ პოლიტიკურ ნაწარმოებში. „საზოგადოებრივი ხელშეკრულებაში“ მკვეთრად ჩანს რუსოს პოლიტიკური და სოციალური შეხედულებების ევოლუცია. ადრე დაწერილ ტრაქტატებში პირველყოფილი ადამიანი, რომელიც ბუნების წიაღში ცხოვრობდა და მის კანონებს ემორჩილე-

ბოდა, მას მიაჩნდა უფრო ბედნიერად, ვიდრე ცივილიზაციით გარყვნილი თანამედროვე ევროპელი. „საზოგადოებრივი ხელშეკრულებაში“ კი რუსო აგალიძებს მომავალი სამაგალითო სახელმწიფოს პრინციპებს. ეს სახელმწიფო, ცხადია, ცივილიზებული იქნება. იგი შესდგება თანასწორუფლებიან მოქალაქეებისაგან. მოქალაქეები ხდებიან ერთმანეთთან საზოგადოებრივი ხელშეკრულებას, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს წესწყობილებას, მოქალაქეთა უფლებებს და ვალდებულებებს და სხვ. რუსოს მიაჩნია, რომ ერთი ადამიანის თავისუფლება თავდება იქ, სადაც იწყება მეორე ადამიანის თავისუფლება. რუსოს თანმიმდევრობით გაყავს ხალხის სუვერენიტეტის აზრი. რუსოს რესპუბლიკაში მოქალაქეები ცხოვრობენ უბრალოდ, მათ საჭირო ნივთები აქვთ და იმავე დროს ზედმეტი ფუფუნება გამორიცხებულია მათი ცხოვრებიდან. კერძო საკუთრების პრინციპს რუსო ღებულობს.

მიუხედავად რიგი იდეალისტური და მცდელი დებულებებისა, რუსოს სოციალური მოძღვრება თავის დროისთვის პროგრესული იყო. „საზოგადოებრივი ხელშეკრულებაში“ გარკვეული გავლენა იქონია ამერიკელ პოლიტიკურ მოღვაწეებზე ჩრდილოეთ ამერიკაში რესპუბლიკის ჩამოყალიბების პერიოდში. რუსოს ბევრი იდეა პრაქტიკულად განახორციელა საფრანგეთის რევოლუციამ.

ახალ საზოგადოებისათვის, რომლის კონტურები ჟან-ჟაკ რუსომ დასახა „საზოგადოებრივი ხელშეკრულებაში“, საჭირო იყო ახალი ადამიანის აღზრდა. ამ აღზრდის სისტემა მან ჩამოაყალიბა რომან-ტრაქტატში „ემილი, ანუ აღზრდის შესახებ“. ყველაფრის შემცველია რუსოსთან ბუნების კულტი: ბავშვი და ყმაწვილი უნდა იზრდებოდეს ისე, როგორც ეს მის თავისუფალ ბუნებას შეეფერება. ადამიანის ბუნების კანონზომიერების მცოდნე ჭკვიანი აღმზრდელი არ მისცემს ბავშვს საშუალებას გადაზვიავოს სწორ ჯასს. ადამიანის აღზრდა აკვირდნენ იწყება. მოზარდი ისე, როგორც ძველ სპარტაში, უნდა იყოს ჯანსაღი და ფიზიკურად გამძლე. რუსო ხელოვნურად ანცალკეებს ბავშვს საზოგადოებისაგან, სკოლისაგან, რათა დაიცავს იგი მათი ბავშვ გაკლენისაგან. პედაგოგიურ პროცესში რუსო ითვალისწინებს ბავშვის მიდრეკილებებს, ნიჭს, საპატიო ადგილს უთმობს შრომას.

თავის დროს „ემილი“ მძლავრი იარა-

ლი იყო არისტოკრატიული აღზრდის პრინციპებთან ბრძოლაში. „ემილში“ ერთად არის მოქცეული სენსუალისტურ-მატერიალისტური და იდეალისტური ელემენტები. ბევრი რამ რუსოს პედაგოგიური მოძღვრებიდან მოძველდა, ბევრი ახლაც არის გამოყენებული ჩვენს პედაგოგიის მიერ.

გარდა პედაგოგისა, რუსო გვესახება „ემილში“ როგორც მხატვარი. რომანის პერსონაჟები — ემილი, სოფი — რუსოს პედაგოგიური იდეების ილუსტრაციაა, მაგრამ იმავე დროს ეს ცოცხალი ადამიანები არიან. რუსოს მხატვრული შემოქმედების მწვერვალია ეპისტოლარული რომანი „ჟიული, ანუ ახალი ელიოზა“. აქაც ჟიული, სენ-პრე, დე ვოლმარი, კლერ, მილორდ ედუარდი რუსოს შეხედულებების მატარებელი არიან. მაგრამ თვითეული პერსონაჟი თავისებური პიროვნებაა, მხატვრული ტიპია.

რუსოს თანამედროვე მკითხველი „ახალი ელიოზის“ შესახებ სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ასეთი გულწრფელი და ფსიქოლოგიურად ზუსტი ნაწარმოების შექმნა შეუძლებელი იყო ავტორის პირადი გამოცდილების გარეშე.

რუსო ამბობდა თავის თავზე, და შემდეგ ეს კრიტიკამაც გაიმეორა, რომ მას ჰქონდა გრძნობათა მესხიერება. საზოგადოებაში იგი შებორკილად გრძნობდა თავს და დარბაისლურ საუბარში არ ბრწყინავდა, მაგრამ კარგად ამჩნევდა ადამიანთა მოქმედების ფარულ მოტივებს, სწვდებოდა მათ ხასიათებს.

ხშირად რუსოს მიერ აღწერილი ადამიანი სცნობდა თავს ამა თუ იმ პერსონაჟში და უკმაყოფილებას გამოხატავდა იმით, რომ რუსომ გააშინგვლა მისი პიროვნების არსი. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში რუსოს მიერ შექმნილი პერსონაჟი წარმოადგენს რამდენიმე პროტოტიპის მხატვრულ სინთეზს.

ერთად აღებულმა რუსოს ფილოსოფიურმა, სოციალურმა, პედაგოგიურმა შეხედულებებმა და მხატვრულმა შემოქმედებამ წარმოშვეს ფილოსოფიასა და ლიტერატურაში მოვლენა, რომელსაც რუსოიზმი უწოდეს.

რუსოს შემოქმედებამ გაანაყოფიერა მთელი XIX საუკუნე, მისი გავლენა XX საუკუნეშიც გრძელდება და მისი მემკვიდრეობის გარშემო ბრძოლა არ სუსტდება. ასე გასინჯეთ, დღევანდელი დასავლეთის ერთ-ერთი მოდური ლიტერატურული და ფილოსოფიური მიმართულების — ეგზისტენციალიზმის წარმომადგენლებიც კი ცდი-

ლობენ თავისიანად გამოიყვანონ დაუღობელი „ეენევის მოქალაქე“.

თავის დროზე გოეთემ კარგად შენიშნა რუსოს შემოქმედების „კონსტრუქციული“ ხასიათი და ამ მხრივ დაუპირისპირა იგროვოლტერას: „ვოლტერთან ერთად თავდება ძველი სამყარო, რუსოსთან ერთად კი ახალი სამყარო იწყება“.

გრძელდება მწერლის მემკვიდრეობის ტექსტობრივი დაზუსტება. მაგალითად, რუსოს უკანასკნელი ნაწარმოების „მარტოხელა მოსვირნის ოცენანი“-ს მეცნიერულად დადგენილი ტექსტი საფრანგეთში დაიბეჭდა მხოლოდ 1960 წელს.

იმ გარემოებას, რომ ჟან-ჟაკ რუსოს შემოქმედებას საბჭოთა მკითხველები ფართოდ იცნობენ, მოწმობს თუნდაც უკანასკნელი წლების განმავლობაში რუსულად გამოცემული წიგნები: ი. ვერცმანის მონოგრაფია „ჟან-ჟაკ რუსო“ (მოსკოვი, 1958), კრებული „ჟან-ჟაკ რუსო ხელოვნების შესახებ“ (ლ. მ., 1959) და „გოსლიტიზდატის“ მიერ შარშან გამოშვებული რუსოს თხზულებათა სამოქმედო.

ჟან-ჟაკ რუსოს ცხოვრების დროს ჭარბოვლად თარგმნილი მისი ნაწარმოები ან მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი კრიტიკული წერილები არა ჩანს. მაგრამ უთუოდ ჭარბი საზოგადოების განათლებულ წარმომადგენლებს ჰქონდათ საშუალება დედანში გასცნობოდნენ რუსოს ნაწარმებს.

სამაგიეროდ, XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენ მოწმენი ვართ საკმაოდ ცხოველი ინტერესისა რუსოს შემოქმედებისადმი.

უნდა ითქვას, რომ ფრანგული განმანათლებლური ლიტერატურა ფართო გამოცხილს პოულობდა საქართველოში. ხშირად ფრანგი მწერლების შემოქმედების გაცნობა ხდებოდა რუსული თარგმანების და კრიტიკის მეშვეობით, მაგრამ ისეთმა მწერლებმა, როგორც იყვნენ დავით ბატონიშვილი ან ალექსანდრე ჭავჭავაძე, კარგად იცოდნენ ფრანგული. ქართულ კრიტიკულ ლიტერატურაში სპეციალური გამოკვლევები მიძღვნილი ვოლტერაიზმისადმი საქართველოში. გაშუქებულია მონტესკიუს, მარმონტელის და მე-18 საუკუნის სხვა მწერალთა ნაწარმოებების ბედი ჩვენს ქვეყანაში.

რაც შეეხება ჟან-ჟაკ რუსოს, ჭარბი საზოგადოების რეაგირება იმ კულტურულ მოვლენაზე, რომელსაც რუსოიზმი წარმოადგენდა, ჯერ კიდევ დაკვირვებას და შესწავლას საჭიროებს, რაც უფრო მთლიანს გახდის საქართველოში ფრანგული

განმანათლებლობის იდეების გავრცელების საერთო სურათს.

რუსოს გავლენა პირველად ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში გამოჩნდა. მკვლევარმა აკ. კენჭოშვილმა შეუპირისპირა ალ. ჭავჭავაძის პროზაული ფილოსოფიური ნაწარმოები „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ (დაწერილი 1804 წელს) ჯან-ჭავჭავაძის „მსჯელობას ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობის მიზეზის შესახებ“¹ ალ. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ რუსოს ეს ნაწარმოები: „ქმნილია მხოლოდობისა თვისისა ჟამსა რომლისაზე ფრანცუზისაგან, ოდეს განვიდა იგი პარიჟით უდაბნოსა შინა საცხოვრებლად“. ქართველ პოეტს რუსოზე მოცემული აქვს საერთო ხანაათის ასეთი ცნობა: „აღწერა მან მრავალნი წიგნი ადვსილნი ბრძნულითა და ჭეშმარიტითა მეტყველებითა, ყოველსა არსებასა ზედა კეთილ განმსჯელობით და პირუთვნელად“.²

„ახლოით განჩხრეკილ კაცში“ აკაკი კენჭოშვილი ხედავს რუსოს ზემოხსენებულ ნაწარმოების იდეების გამოძახილს. „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ განწყობილებას ეხმაურება აგრეთვე ალ. ჭავჭავაძის ლექსი „ვაჰ სიფელსა“. ეტყობა ქართველმა რომანტიკოსმა ისევე, როგორც ფრანგმა პოეტებმა, ახლო იდეური ნათესაობა ჰქონდა რუსოსთან, გაიზიარა მისი პროტესტი უსამართლოდ მოწყობილ საზოგადოების მიმართ.

დავით ბატონიშვილის კარგად იცნობდა მე-18 საუკუნის ფრანგ მწერლებს, იყო ვოლტერისა და მონტესკიეს ურთ-ურთი პირველი წარმომადგენელი საქართველოში, კერძოდ, მან თარგმნა მონტესკიეს „კანონების სული“.

დავით ბატონიშვილის ნაწარმოების „ახალი შიხის“ ლიტერატურული წყაროს საკითხზე სხვადასხვა აზრი არსებობდა მეცნიერებაში. ზოგი ხედავდა „ახალ შიხში“ მონტესკიეს „სპარსული წერილების“ გავლენას. საყურადღებო ჰიპოთეზა გააშთქვა ამ საკითხზე ჯ. ჭუმბურიძემ („ახალგაზრდა კომუნისტი“, 1955, 4 ივნისი) წერილში „ერთი ნაწარმოების ლიტერატურული წყაროს შესახებ“. ჯ. ჭუმბურიძეს რამდენიმე არგუმენტი მოჰყავს (მათ შორის, სათაურის მსგავსება) იმის სასარგებლოდ, რომ „ახალი შიხის“ ლი-

ტერატურულ წყაროს წარმოადგენს რუსოს „ახალი ელოიზა“. ეს მით უფრო საგულისხმო ფაქტია, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსოს ამ ნაწარმოების ქართული თარგმანი ჯერ არ აღმოჩენილა, თუმცა არსებობს ხელნაწერი თარგმანი სხვა ნაწარმოებისა, „ბელარისა და ელოიზისა“, რომელმაც შთააგონა რუსოს; დაეწერა „ახალი ელოიზა“. უთუოდ საინტერესო შედეგს მოგვეცემა „ახალი შიხისა“ და „ახალი ელოიზის“ დეტალური და ყოველმხრივი შედარება. კერძოდ, საინტერესოა, თუ რა გავლენა იქონია დავით ბატონიშვილის შემოქმედებაზე რუსოის იდეებმა.

როგორც ტ. რუხაძე აღნიშნავს,³ რუსო დამოწმებულია ნიკოლსკის „რიტორიკის“ ქართულ თარგმანში, რომელიც შესრულებულია XIX საუკუნის პირველ ათეულებში.

თავის ლექსში „კნიაზ ნესვიცკის ქალს“ პოეტი დიმიტრი თუმანიშვილი, სხვა მწერლებთან ერთად, პატივისცემით იხსენიებს ჯან-ჭავჭავაძე:

„მე ვით გამეეჭვეყანამან, ნეტარ
ლომერ მოგსწრებოდა;
ბოლინებთან ადგილ ეცა, სვემალალი
შეგსწრებოდა.“

ან ვირგილოსსა ენახე, მეტეხიზობით
გმომწრებოდა.

ანუ ვოლტერს და რუსოსა, მათგან
ქება გფერებოდა...“⁴

საკულისხმო ფაქტია ის, რომ ვოლტერის და რუსოს სახელები ერთი მეორის გვერდით არის მოხსენებული. ცნობილია, რომ სიცოცხლეში ამ ორ მწერალს პოლემიკა ჰქონდათ და, როგორც კრიტიკა აღნიშნავს, პოლემიკით გატაცებული ვოლტერი თბილქტურად ვერ აფასებდა რუსოს მნიშვნელობას, რუსო კი — პირიქით. მაგრამ კაცობრიობამ შეარიგა მოწინააღმდეგენი ისევე, როგორც ქართველმა პოეტმა მოყვანილ ლექსში.

1800 და 1828 წლებს შორის არის შესრულებული თარგმანი „პაზრნი სხუდასხუათა საგანთათვის“ (პირველი ნაწილი), რუსულიდან გადმოთარგმნილი ფარნაოზ ბატონიშვილის მიერ. ეს თარიღები (1800—1828) ემყარება იმ ვარაუდს, რომ რუსული თარგმანი შესრულებულია

¹ ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVIII სს. თბ., 1960, გვ. 242.

² ციტირებულია ტ. რუხაძის წიგნის მიხედვით: ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან. თბ., 1954, გვ. 176.

³ აკ. კენჭოშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, 1953, გვ. 88-90.

⁴ ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხუხულებანი, თბ., 1940, გვ. 169.

1800—1802 წლებში, ხოლო ქართული თარგმანის შემონახული ხელნაწერები დათარიღებულია 1828 წლით. პ. ანდრეევსკის რუსულ თარგმანს, რომელიც ფარნაოზისთვის დედანს წარმოადგენდა, შემდეგი სათაური ჰქონდა: „Мысли Ж. Ж. Руссо о различных материях“ და შეიცავდა ორ ნაწილს (ქართულად თარგმნილია მხოლოდ პირველი). აღწერს რა ქართულ ხელნაწერს, ს. გორგაძე აღნიშნავს: „ჯან-ჟაკ რუსოს დასახელებული თხზულება ფრანგულიდან გადმოთარგმნილი იყო პ. ანდრეევსკის მიერ...“¹ მაგრამ საქმე ისაა, რომ ნაწარმოები ასეთი სათაურით („პაზრნი სხუადა-სხუათა საგანთათვის“) რუსოს არა აქვს. რუსული და მისი მიხედვით გაკეთებული ქართული თარგმანი წარმოადგენს ერთგვარ დიდაქტიურ-ფილოსოფიურ ანთოლოგიას, რუსოს სხვადასხვა ნაწარმოებების ნაწყვეტებიდან შედგენილ კრებულს. ნაწყვეტების შერჩევა და ანთოლოგიის შედგენა პ. ანდრეევსკის უნდა ეკუთვნოდეს, ყოველ შემთხვევაში, ქართული ხელნაწერის მკითხველმა მიიღო საკმაოდ ვრცელი კრებული რუსოს შეგუდულებიდან.

„პაზრნი“-ს ხელნაწერის ხასიათზე სრული წარმოდგენა მაშინ შეიქმნება, თუ დაედაგნენ ყველა სათანადო დედნის ტექსტს და შევედარებთ ქართულს, რაც სპეცი-ალურ კვლევას მოითხოვს.

ცნობილ ქართულ ენციკლოპედიკოს იოანე ბატონიშვილს ეკუთვნის მრავალი თარგმანი, მათ შორის, რუსულიდან თარგმნილი კონდილიაკის „ლოლიკა“. ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმულია აზრი, რომ მისი ნაწარმოები „ვოლდემარი“ („თქვეს გახსოვთ მოხუცი ვოლდემარი“), შესაძლოა, იყოს რუსოთი შთაგონებული (მხედველობაში აქვთ, ალბათ, „ახალი ელიოზა“, სადაც არის დე ვოლმარის პერსონაჟი).²

1849 წელს არის თარგმნილი „სქვა კითხვასა ზედა აღდგინება მსწავლათა და ხელოვნებათა შემწე ექმნებოდა წარმართუ-ასა ქცევათასა...“ საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში ვნახეთ ამ თარგმანის ორი ხელნაწერი: S 1260 და S-1445. პირველში მთარგმნელის ვინაობა არ ჩანს. მეორეში კი მთარგმნელად დასახელებუ-

ლია დავით ესტატესე ციციშვილი, ხელნაწერი S 1260 უნდა იყოს თარგმანის შავი ვარიანტი. ამას გვაფიქრებობს სტილისტური ხასიათის მრავალი გასწორება და სათანადო სიტყვის ძებნა, უვარგისის წაშლა. ორივე ხელნაწერის ხელის შედარება ცხადყოფს, რომ ორივე ერთი მთარგმნელის ნამუშევარია. ამას ადასტურებს თარგმანის შესრულების თარიღი და ადგილი. ამრიგად, შავი თარგმანი გაკეთებულია ციციშვილის მიერ 1849 წლის მაისში და მის მიერვე თეთრად გადაწერილია ამავე წლის ივნისში, ორივე შესრულებულია სოფელ ქარელში. ფრანგულ დედანთან შედარება გვიჩვენებს, რომ ქართული ტექსტი გადმოგვიცემს დედნის აზრს, მიმართავს პერიფრაზებს, მაგრამ სწორად თავისი სიზუსტით პირდაპირი თარგმანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის მიერ რუსოს შემოქმედების მაღალი შეფასება „ციცისის“ 1861 წლის № ნ-ში გამოქვეყნებულ წერილში „პასუხი“. ეს წერილი, როგორც ცნობილია, ძველი თაობის მწერლებთან პოლემიკას წარმოადგენს. „პასუხში“ ილია იბრძვის დიდი შინაარსის, ღრმა აზრის და ნამდვილად მშვენიერი ფორმის მოწინავე ლიტერატურისათვის. ამ წერილში ხსნის ილია ჭავჭავაძე თავის გაგებას ლიტერატურისა: „ლიტერატურა — ხალხის ჭკვა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია“, „კრიტიკა არის განხილვა, განჩხრეკაც, ვარკვევაც, გარჩევა და დაფასება ერთად“.

მაღალი ხელოვნების ნიმუშად აღიარებს ილია ჭავჭავაძე გოეთეს, რუსოს და ბერნარდენ დე სენ-პიერის შემოქმედებას:

„როცა ცრუ-კლასიკური მიმართულება ეცემოდა ევროპაში და იბადებოდა ნელნელა რომანტიკული მიმართულება, რომლის წარმომადგენელი შეიქმნა ბოლოს დიდი შილერი; როცა გამოსჩნდა გეტე თავის „ვერტერი“, ბერნარდენ დე სენ-პიერი თავის „პოლ და ვირგინიით“, ჟან-ჟაკ რუსო თავის „ელიოზით“, მაშინ ევროპას პირველად ეცა დამატკბობელი სხივი პოეზიისა; მაშინ ცრუ კლასიკურ მიმართულებით დათრგუნვილი მწერალნი მივიარდნენ მშვიდრსავით ახალმობილს პოეზიის მიმართულებასა; მაგრამ პირველად ვერ იცნეს ვერც გეტეს „ვერტერი“, ვერც „ელიოზა“ ჟან-ჟაკ რუსოსი და ვერც „პოლ და ვირგინია“ ბერნარდენ დე სენ-პიერისა. ამათში სენტიმენტალური სული მოესმათ; ეგ სული მიმდევართა მისთა განავითარეს

¹ ს. გორგაძე, ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში. ფფრ. „ჩვენი მეცნიერება“, 1923, № 4—5, გვ. 11.

² ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული უზთიერეთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს. გვ. 244.

და დაჰბადეს სენტიმენტალური სხოლა, რომლის წარმომადგენელი რუსეთში შეიქმნა კარაშინი“.

შემდეგ ავტორს სრულიად სამართლიანად გაუყავს ზღვარი ნამდვილ ხელოვნებასა, რომელსაც ამ შემთხვევაში რუსი და გოეთე წარმოადგენენ, და მათ მკრთალ მიმბაძველობას შორის, რომელსაც ვხვდებით, კერძოდ კარაშინის შემოქმედებაში.

როგორც კარაშინის შემოქმედების შეფასებისას, ისე, საერთოდ, „პასუხში“ აღძრული საკითხების გარკვევისას ილია ჭავჭავაძე ეყრდნობა თავის დროის მოწინავე კრიტიკის აზრს. სხვა მაგალითს რომ არ ვივარაუდოთ, წერილის ეპიგრაფად ილიას ბელინსკის სიტყვები აქვს აღებული. თვითონ რუსოს შეფასება, როგორც რომანტიზმის წინამორბედისა, სრულიად სამართლიანია, და დღეს ეს შეხედულება საყოველთაოდ აღიარებულია. ილია ჭავჭავაძემ კარგად შეინიშნა რუსოს პროზის პოეტურობა მოყვანილ სიტყვებში: „...მამინ ევროპას პირველად ეცა დამატებობელი სხივი პოეზიისა...“ ეს აზრი, როგორც ვნახეთ, შემდეგში კიტა აბაშიძემ განავითარა. გარდა ამისა, ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს რუსოზე არ შეიძლება არ ჰქონოდა დადებითი გაგონება მის მიერ რედაქტირებულ ჟურნალ-გაზეთებში და, საერთოდ, იმ დროის ქართულ პრესაში დაბეჭდილ წერილებში.

ილია ჭავჭავაძის ჟურნალმა „საქართველოს მოამბემ“ თავისი არსებობის პირველ წელსვე, 1863 წლის მესამე ნომერში, გამოაქვეყნა რუსულიდან თარგმნილი რუსოს გერმანელი მიმდევარის ს. გ. ზალცმანის ნაწარმოები: „კონრად კიფერი“. თარგმანის წინასიტყვაობაში ნათქვამია:

„კონრად კიფერი“ ნემეცურს ენაზედ არის დაწერილი წარსულს საკუნეში ხ. გ. ზალცმანი აგან, რომელიც პედაგოგიაში გამოჩენილი ფრანკუზი მწერლის ჟან-ჟაკ რუსოს იდეებს მისდევდა“.

საკულისხმოა წინასიტყვაობის ავტორის დაინტერესება პედაგოგიით.

„ვერობულ გაბათლებულ ხალხებსა აქვსთ ვრცელი საპედაგოგო ლიტერატურა და მათში გამოდის ბევრი ჟურნალები, სადაც მხოლოდ ის კითხვები განიხილებიან, რომელნიც აღზრდას შეეხებიან; ჩვენში სულ არაფერი არის ამაზედ დაწერილი და ძლიერ ცოტამ იცის, რომ არსებობს მცენიერება — პედაგოგია, რომლისა საგანი არის ყმაწვილების აღზრდა. ჩვენ ვგონებთ, რომ ნამეტანი იქნება იმაზედ ლაპარაკი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის

კითხვას ყმაწვილების აღზრდაზედ, რადგანაც ცხადია, რომ ქვეყნის მყოფად მდგომარეობა დამოკიდებულია იმ მიმართულებაზედ, რომელსაც მიხედვით ახალს თაობას. ამასთანავე ყველამ კარგათ ვიცით, როგორ ცუდამ იზრდებიან ჩვენი ნიჭიერი, მაგრამ საცოდავი ყმაწვილები. რამდენს ჰკარგავენ ისინი და როგორ ხდებიან იმისაგან, რომ მშობლებმა მათი გაძლოლა არ იციან. ამის გამო „საქართველოს მოამბის“ რედაქცია საპედაგოგო თხზულებებს ჩვენი საზოგადოებისათვის ძლიერ საჭიროდ და სასარგებლოდ რაცნს და ჰფიქრობს შეძლებისამებრ წარმოუდგინოს თავის მკითხველებს სტატიები, სადაც განიხილება კითხვა ყმაწვილების აღზრდაზედ. ამ პირველ შემთხვევაში ჩვენ ვბეჭდავთ „კონრად კიფერს“, რომელიც არის გადმოღებული უფ. ჯანდიერიშვილისაგან რუსული ნათარგმნიდამ“.

პედაგოგიის მდგომარეობაზე იმ დროინდელ საქართველოში თავის თავად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ რედაქციამ საჭიროდ ჩათვალა განმარტებითი სქოლიო მოეცა სიტყვა „პედაგოგიისათვის“:

„პედაგოგია ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს: ყმაწვილის აღზრდას, მეცნიერებას ყმაწვილის აღზრდაზედ. პედაგოგი — ნასწავლი, რიგიანი აღმზრდელი, მასწავლებელი“.

1872 წლის 17 ნოემბრის „დროშაში“ მოთავსებული (რიგით მეოთხე) „წერილები ჟენვიდან“. მას ხელს აწერს დ. ზურაბისშვილი.

შვეიცარიის კავშირისა და ჟენევის რესპუბლიკის ამსახველი ძეგლის აღწერის შემდეგ ავტორი განაგრძობს:

„მეორე ძეგლი აუცილთ ჟან-ჟაკ რუსოსათვის, რომელიც ჟენეველი იყო. რუსოს ქვაზედ კრესლო უდგია და ზის ზედ კალმით ხელში, ჩაფიქრებული. ვინც კი იცნობს ამ გენიოსის თხზულებებს, ის, რასაკვირველია, უმაღლესის პატივისცემით მოიხდის ქედს და დაუწყებს ცქერას ყურადღებით რუსოს ძეგლსა. მე ცოტა ვიცი კაცობრიობის ისტორიაში ისეთი მზურვალე კაცობრიობის მოყვარული და თავგანწირულად ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი, როგორც ჟან-ჟაკ რუსო. მისმა თხზულებებმა ძირში მოკვეთა მეთვრამეტე საუკუნის უსამართლობა; მან მოაახლოვა რევოლუციის მოსვლა და ხალხის განთავისუფლება ზნობითი და ნიეთური მონობისაგან. როდესაც რომესპიერი და სენ-ჯუსტი რევოლუციის წინამძღოლათ შეიქმნენ, იმათ რუსოს თეორია ცხოვრებაში გაჰყავდათ. ოთხმოცდა ცამე-

ტის (93) წლის კონსტიტუცია რუსოს „საზოგადო პირობის“ ნიმუშად არის შემდგარი. ისე ძლიერი იყო მეთურამეტე საუკუნეში ჟან-ჟაკ-რუსოს და ენციკლოპედისტების გავლენა, რომ რუსეთის იმპერატორია ეკატერინე მეორემდის მიაწია იმათა ქადაგებამ. ეკატერინე თავის თავს ფრანკუზი ფილოსოფოსების, როგორც ფრიდრიხ მეორეც, შავირდათ სთვლიდა და ამყობდა მათთან მველობობით. თუ რამე ლიბერალური მოხდა წარსულის საუკუნეში რუსეთში, ეკატერინეს დროს, რასაკვირველია, ეს მიუწერება იმ მიზეზს, რომ ფილოსოფოსების გავლენა ყოვლად შემძლებელი იყო მაშინ. ბედნიერია ის ხალხი, რომელსაც ისეთი შვილი ჰყოლია, როგორც ჟან-ჟაკი! ნეტარია იმისთანა შვილის დედა!

როგორც ვხედავთ, წერილის ცენტრშია რევოლუციის, თავისუფლების იდეები, რომლებსაც თანამედროვე ელფერი გადაკრავს. ყოველივე ეს გასაგები იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ „დ. ზურაბისვილი“ დავით მიქელაძის ფსევდონიმი. 70-იან წლებში დავით მიქელაძე სასულერგარეთ იმყოფებოდა და რევოლუტარულად გზავნიდა „დროშაში“ კორუსპონდენციებს საფრანგეთის რევოლუციური მოძრაობის შესახებ.

გაზეთ „ივერიის“ 1887 წლის 3 მაისის ნომერში მოთავსებულია ანგარიში — რუსი მეცნიერის ა. ალექსეევის მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვა თემაზე: „ჟან-ჟაკ რუსო და ის კავშირი, რომელიც არსებობს მის საპოლიტიკო თეორიასა და ჟენევის წესწყობილებას შორის“. კორესპონდენციის სათაურია „წერილი მოსკოვიდან“. წერილი მოწმობს დიდ ინტერესს რუსოს შემოქმედების მიმართ.

ჩვენითვის მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ წერილს ხელს აწერს მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის 23 წლის სტუდენტი, მომავალში გამოჩენილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე გარსევანიშვილი (1854—1936).

ზ. ტიჰინაძის წიგნში „ვოლტერი“ (თბილისი, 1889) ლაპარაკია ვოლტერისა და რუსოს ურთიერთობის შესახებ. ამავე წიგნის პირველ გვერდზე ნათქვამია: „დიდრო, დალამბერი, გოლბასი, გულვეციუსი, რუსსო, კონდორსე თავს ვოლტე-

რის მოწაფეებად აღიარებენ.“ მართლაც, რუსო ვოლტერის შემოქმედებას გაეცნო პანამდე, ვიდრე თავის ნაწარმოებებს გამოაქვეყნებდა, და ვოლტერმა იქონია გავლენა ახალგაზრდა რუსოს, როგორც მოაზროვნის, ჩამოყალიბებაზე. მიუხედავად ამისა, რუსოს დამოუკიდებლობა და ორიგინალობა ეჭვს გარეშეა.

საპატიო ადგილი აქვს დამოზობილი რუსოს შემოქმედებას კიტა აბაშიძის წიგნში „ევოლუცია სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში მე-19 საუკუნეში“ (ქუთაისი, 1919), რომელიც ადრე ნარკვევების სახით გამოქვეყნდა 1894 წლის ეურნალ „მომამეში“. ავტორი იხილავს რუსოს შემოქმედებას, როგორც რომანტიული პოეზიის წინამორბედს საფრანგეთში. წიგნში ვკითხულობთ:

„დაპებრა თუ არა საზოგადოების რევოლუციის ქარმა, ლირიკაც განდა და ჟან-ჟაკ რუსოს ნაწერებში უკვე ვამჩნევთ პირველს კვალს ლირიკისას. მის „ელიოზაში“ ჰხედავთ სალირიკო ლექსებს, რომელიც პროზად არის დაწერილი. თავის „აღსარებაში“ იგი ნამშვილი ლირიკოსია: ნიადვ იმასა ცდილობს თავისი პირადი გრძნობანი დაგვიყენოს თვალწინ, მუდმივ თავის თავზედა ფიქრობს; გატაცებულია თავისი პიროვნებით, ხან თავყანას სცემს, ხან აკვირვებს მისი თვისებანი, ხან ებრალება და ეს ზომ უმთავრესი თვისებაა სალირიკო პოეზიისა! დარიდ არა აქვს რიგისა და წესისა, ორიგინალობა, თავისებურება დანაშაულობა კი არა, საუკეთესო თვისებად მიაჩნია. თუ ბოსსუეტი თავის დიადს ჰტყაასა და გონებას იმას ახმარდა, რომ თავის მოძღვრება—ქადაგებამი პირადი, თავისებური არა წამოსცდენოდა რა, რუსო თავის გარყვნილებასა და სიბინძურესაც კი არა ხალავს, და არა თუ არა ხალავს, არამედ განსაკუთრებულის სიამოვნებით აცხადებს საქვეყნოდ. მის ნაწერებში ვპოვებთ იმასაც კი, რაც ბოლოს პოეტ-ლირიკოსებს ავადმყოფობად გადაეცეტა. რუსოს ძლიერ უწყობდა ხელს სალირიკო თხზულებათა წერაში თვით მისი პირადი თვისებანი: მისი სულით ავადმყოფობა, მისი მეტისმეტი თავმოყვარეობა, მედიდურობა, გულძვირობა და გადაჭარბებული გრძნობიერება, მხოლოდ ლექსები არ დაუწერია, იმეტომ რომ, როგორც სხვა სფეროში, ისე ლიტერატურაში, ნახტომით არა კეთდება, არამედ ყოველივე რიგზედ და წესზედ მიდის. რუსოს ნაწარმოები არის მხოლოდ ბუდე ლირიზმისა, მისთა თხზულებათა ლირიკა მხოლოდ თესლია. მის ნაწერებს შუა ადგილი უკავია საეკლესიო მჭერმეტ-

¹ იხ. ს. ზუციშვილის წერილი: Давид Микеладзе в революционном Париже. „Вечерний Тбилиси“, 23.VI. 1959.

ყველბასა და სალირიკო პოეზიას შორის. მისი ნაწერები ბოსსუეტის ჭადაგების გარდაცვლად, რადგან აქ უფრო ნათლად არის პირადი გრძნობანი გამოხატული, და თანაც, როგორც ფორმით, ისე შინაარსით, წინამორბედი მხოლოდ ლამარტინისა და პიუგოს პოეზიისა“ (გვ. 11-13).

შინამდებელი, რუსოს ლექსებიც აქვს მაგრამ ისინი იმდენად სუსტია, რომ მისი შემოქმედების საერთო ფონზე თითქმის არ ჩანან. ეს გარემოება არ ცვლის კ. აბაშიძის სამართლიანი მსჯელობის არსს.

ჩერდება რა ჟან-ჟაკ რუსოს ფილოსოფიურ შეხედულებებზე, ავტორი აღნიშნავს: „ტოლსტოის მოძღვრება მხოლოდ მიხამდა რუსოსი...“ (გვ. 14) ეს დებულება, ცხადია მთლად მართებული არ არის. მართალია, ლევ ტოლსტოი თვითონ აღიარებდა, ჯერ 18 წლისამ გატაცებით წავიკითხე რუსოს ყველა ნაწარმოები და მათ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. მართალია, უკვე მომწიფებული მწერალი მადლობის გრძნობით იხსენიებს რუსოს, მაგრამ ტოლსტოის მსოფლმხედველობა იმდენად თავისებურია, რომ იგი არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო ვინმეს მიბაძვა.

კ. აბაშიძეს კარგად აქვს გარკვეული რუსოს როლი ფრანგული მწერლობის განვითარებაში:

„რუსოს გავლენა საფრანგეთის ლიტერატურაზე უსაზღვროა, შეუდარებელი და გასაოცარი. რუსო გახლდათ ერთი იმ გენიოსთაგანი, რომელნიც თვით შექმნიან ხოლმე გარემოებათა, რომელნიც მათი მოქმედებისათვის საჭირო და სახერხოა, თვით დაამსხვრევენ და მოსპობენ ხოლმე იმ ვითარებასა, რომელიც მათ ხელს უკრავს.“ (გვ. 15).

მართებულად აქვს შეფასებული კ. აბაშიძეს რუსოს პეიზაჟი (გვ. 14-15). მას სწორი პარალელი გაყავს რუსოს და ბერნარდენ და სენ-პიერის პეიზაჟებს შორის (გვ. 17). პეიზაჟმა რუსოს შემოქმედებაში ბუერი მკვლევარის ყურადღება მიიპყრო, კერძოდ, მას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა დანიელ მორიემ.

1902 წლის 16 თებერვლის „ივერიაში“ მოთავსებულია ხელმოწერილი მასალა: „შესანიშნავ მწერალთა ზნე-ჩვეულებანი“ (გურნალ-გაზეთებიდან). აქ მოცემულია რამდენიმე დეტალი, თუ როგორ წერდნენ ვოლტერი, რუსო, დელილი, ბალზაკი. ვოლტერზე სახელდობრ ნათქვამია, რომ მას „... უყვარდა ყოველივე საუ-

ცხოვო და მშვენიერი -- ლამაზად ნაკეთები ავეჯი და მორთულობა სახლისა, ხელოვნებით შემკული საგნები, სასოჯადოდ ყოველივე, რაც სიმდიდრის კუთვნილებაა“ ამას მოსდევს რუსოსადმი მიძღვნილი სტრიქონები:

„ჟან-ჟაკ რუსო კი, პირიქით, ნამდვილი ტიტია იყო და სრულიად არა სწამდა სიმდიდრე და ფუფუნება. რუსოს გატაცებით უყვარდა ბუნება და წერა სოფლად, სოფლის მიდამოთა შორის, პიერზედ, ცის ქვეშ. საუვეთესო სამუშაო კაბინეტია ჩემთვის ტყე. მაგრამ ბედი თითქოს აბუნად იგდებდა რუსოს და აიძულებდა ეცხოვრა პარიზში, ერთი და დიდის სახლის შესუთე სართულში, ბნელ და მიყრუებულს ვიწრო ქუჩაზე. მთელი იმისი ბინა ერთი ოთახი იყო. იქ ეძინა, იქა სჭამდა პურს, იქვე მუშაობდა და, ასე გახინჯეთ, საჭმელსაც იქვე ამზადებდა. საწერ მაგიდას გვერდულად უდგა რკინის ღუმელი, უბრალო ხის საწოლი და კლავიკორდები. რუსო ჩაიცვამდა თავის ჩითის ხალათს, დაიხურავდა ჩითისავე ჩანს და დაიწყებდა წერას. ხან წერდა, ხან უკრავდა კლავიკორდებზედ, ხან წევნსა ჭქაფავდა რკინის ღუმელზედ და ხან მწუხარებით შესტყვროდა მონმორანსის ტყის დახატულს გვემას, რომელიც იქვე კედელზედ ეკიდა. კედელზედ ეკიდა გალია ტყის ჩიტებითა და ფანჯარაში იდგა ორიოდე ყვავილი თიხის ჯამითა. აი, რით იკლავდა რუსო ბუნების გატაცებულ სიყვარულის გინს!“

მართლაც, რუსოს უყვარდა თქმა, აზრები მხოლოდ სიარულის დროს მომდის თავში. ტყეში სეირნობის დროს ყალიბდებოდა, მისივე მოწმობით, „მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობისა და საფუძვლების შესახებ“. სიარულის დროს მოსული აზრების „პოეტური სტენოგრამაა“ რუსოს უკანასკნელი ნაწარმოებიც — „მარტოვლა მოსიერნის ოცნებანი“. პარიზში ცხოვრების დროს კი „ბუნების გატაცებულ მოყვარულს გინს“ რუსო კიდევ იმით იკლავდა, რომ თითქმის ყოველ დღე ფეხით (კარგით მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მოგზაურობდა) გადიოდა პარიზის გარეთ.

რუსოს ეს „ზნე-ჩვეულებანი“ დაინტერესებდა მხოლოდ „... ანთ მკითხველს, რომელიც უკვე იცნობდა რუსოს ნაწარმოებებს ან ჰქონდა რამე წავითხული მასზე. გაზეთს, ეტყობა, ასეთი მკითხველი ჰყოლია მხედველობაში.

ფსევდონიმით „ი. პ-ვი“ 1905 წლის

23 აპრილის „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა წერილი: „ჯან-ჯაკ რუსსო და მონტესკიე სახელმწიფოს შესახებ“. წერილის დიდი ნაწილი წარმოადგენს სახელმწიფოს რუსოსხეული თეორიის პოპულარულ გადმოცემას. თუმცა თვითონ ნაწარმოები წერილში ნახსენები არ არის, მაგრამ უდავოა, რომ ავტორი ეყრდნობა „Contrat social“-ს. გარჩეულია ცნებები ხალხისა, ხელმწიფისი, საზოგადოებრივი ხელშეკრულებისა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალაუფლებისა და სხვ.

ჩერდება რა კანონის და მთავრობის როლზე სახელმწიფოში, ავტორი დასკვნის: „იმისათვის კი, რომ მთავრობამ სავსებით არ ჩაიგდოს სახელმწიფოს გამგებლობა ხელში, საჭიროა: 1) მთავრობა ხალხის მიერ იყვეს არჩეული, 2) მოკლე ვადით და 3) ყოველ მის ნაბიჯს და მოქმედებას ხალხი თვალყურს ადევნებდეს“.

ამგვარი იდეების პოპულარიზაცია, თუნდაც რუსოს შეხედულებების გარჩევის სახით, პროგრესულ და გაბედულ მოქმედებას წარმოადგენდა იმ დროს.

რუსოს სოციალური თეორიების განხილვას მოსდევს საერთო დასკვნა:

„რუსომ პოლიტიკური თავისუფლების დროსა აშართა მალღა და გადაჭრით გამოაცხადა — ეს თავისუფლება უსათუოდ ყველას ხვედრი უნდა იყვესო. მის მხოლოდ ის სახელმწიფო სწამს, რომელშიც ხალხი ხელმწიფეობს. სახელმწიფოს თავისუფლებას რუსო მზად არის კერძო პირთა თავისუფლებაც შესწიროს, რადგან საერთო სურვილი, მისი აზრით, ყველასათვის თანასწორი, გონიერი და სამართლიანი იქნება ყოველთვის. ქვეყნის რესპუბლიკის მოქალაქე და შვილი რუსო იტალიის ძველებურ წერილ სახელმწიფოებს ეტრფის და თანამედროვე მსხვილ სახელმწიფოებსა არა სწამს რა.“

შემდეგ ავტორი რუსოს უპირისპირებს მონტესკიეს და, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელის შეხედულებებს იზიარებს.

ქურნალ „განათლებაში“ (1908 წ. №3 და 4) გამოქვეყნებულია ვრცელი წერილი: „გ. გ. რუსსო (Contrat social)“. ხელს აწერს „ა. მ.“. შესაძლოა ეს ინიციალები ეკუთვნოდეს ცნობილ პედაგოგს და ლიტერატორს ალექსანდრე მიქაბერიძეს, რომელიც იმ წლებში ბეჭდავდა წერილებს „განათლებაში“ წერილს წინ უძღვის XVIII საუკუნის სულიერი ცხოვრების საერთო მიმოხილვა. რუსო ავტორს მიაჩნია „XXVIII საუკუნის მეორე ნახევრის ცენტრალური ფიგურად“. მიიჩნევს რა-რუსოს, უწინარეს ყოვლისა, ზნეობის მოძღვრად (მორალისტად), ავტორი ყურადღებას უმახვილებს რუსოს შემოქმედების დემოკრატიულ მხარეზე.

„რუსსო ხალხის თვალში იყო მეგობარი სიმართლისა, დამცველი ჩაგრულთა და ტანჯულთა. როგორის სინაზით და სიყვარულით დაუთვალეირებიათ გრავეურა (ნატიფი) ქვეყნდოსი, საცა რუსსოა დახატული, ახალგაზრდებით და ბუქმწიფარ ბავშვებით გარს შემოხვეული! რამდენჯერ უმღერიათ ქიშინი 20 ვანდემიერის, რომელიც რუსსოს აღიარებდა როგორც ბრძენთა მაგალიტის და კაცობრიობის კეთილის მყოფელს! რუსსოს უყურებდნენ, როგორც მტარვალეების მსხვერპლს“.

ავტორი აღნიშნავს რუსოს იდეების როლს რევოლუციის მომზადებაში, მათ შემდგომ გავლენას ევროპის ლიტერატურაზე. რუსოს გავლენის ქვეშ მოხვედრილ მწერლებიდან დასახელებულია ბერნარდენ დე სენ-პიერი, შატობრიანი, მადამ დე სტალი, ლამარტინი, დევინი, ჰიუგო, მიუსე. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს: „რუსსოა მამა რომანტიზმისა...“ მაგრამ მას მხედველობიდან გამოიტრა (როგორც საერთოდ იმ დროის ლიტერატურათმცოდნეების უმეტესობას) ჯან-ჯაკ რუსოს ორი უშუალო მიმდევარი, მისი დემოკრატიული ტინდენტების გამარჯვებულნი: სებასტიენ მერსიე და რეტიფ დე ლა ბრეტონი. ამ უკანასკნელს ზომ „ჯან-ჯაკის სამქედლოს ცილოტოს“ უწოდებენ; თვითონ რუსომ კი მასზე თქვა: „ამ ავტორს მოქმედებაში მოყავს ის, რასაც მე ვჭადავებ“.

ავტორი მოკლედ ჩერდება რუსოს ბიოგრაფიაზე და წერილის ძირითად ნაწილს უთმობს „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ ანალიზს. უნდა ითქვას, რომ ეს ანალიზი ღრმა და პრინციპულია. ავტორი ხედავს რუსოს მოძღვრების როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს (უარყოფა პროგრესისა).

რუსოს დაბადების 200 წლისთავთან დაკავშირებით, 1912 წელს ქურნალ „განათლებაში“ სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი: „ჯან-ჯაკ რუსსო (1712-1778 წ.)“. წერილში მოკლედაა მოცემული ჯან-ჯაკ რუსოს ბიოგრაფია და განხილულია მისი პედაგოგიური სისტემა „ემილის“ მიხედვით. წერილი შემდეგი სიტყვებით იწყება:

„რუსოს სხენებაზე პედაგოგიკაში რაღაც სასწაული გვეფინება წინ. ასეთი პიროვნება მეტად იშვიათია, და ბუნებაც, უშუველია, ვერ წარმოშობს მეორე რუსსოს.

იგი არც მეცნიერი იყო და არც რომელსა-
მე სკოლას ეკუთვნოდა“.

წერილის დასასრულს ვკითხულობთ:

„ჩვენი აღზრდა დიდხანს იმყოფებოდა
პედაგოგიური თეორიების შემოწმების გა-
ვლენის ქვეშ, რომელსაც ჰქმნიდნენ მეცნი-
ერები. ხოლო მათს შეხედულებას და ინ-
ტერესს ყოველთვის კაბინეტის სუნი ასდ-
ის. ადამიანი მარტო ტვინით არ ცხოვ-
რობს, იგი ცხოვრობს უმეტესად მოქმედ-
ებით და გულით. ამ აღმოჩენით ჩვენ მად-
ლიერნი ვართ დიდებული საწინასწარმეტ-
ყველო წიგნისა, რომელიც დაგვიტოვა
რუსოში“.

წერილი რუსოს პედაგოგიური სისტე-
მის პოპულარიზაციის ცდას წარმოადგენს,
მაგრამ ეს პოპულარიზაცია ჯერ მთლიანად
ვერ აღწევს დასახულ მიზანს, რადგან
თვითონ „ემილის“ ტექსტი ჯერ არ იყო
ქართულად თარგმნილი და ქართველი მე-
ცნიერებიც უფრო სხვების მიერ გამოთქ-
მულ აზრებს გადმოგვცემენ.

1928 წელს დაწერილ კრიტიკულ ნარ-
კვეში „გოეტე“ კონსტანტინე გაქსახურ-
დიამ მოგვცა შეკუმშული და სინთეზური
შეფასება რუსოს მთელი შემოქმედებისა.

„ჟან-ჟაკ რუსო თავისი საუკუნის უდი-
დესი ალამდარია, — წერს კ. გამსახურდია.

— მან გაილაშქრა ევროპული რაციო-
ნალიზმისა და მშრალი, დოგმატური ცივი-
ლიზაციის ფილისტერების წინააღმდეგ.
უკუიქცეთ ბუნებისაკენ! — ეს იყო ანი და
პოე რუსოს ახალი უვანგელიისა. მოიტათ
ბუნებრივი ადამიანი, მოიტათ ბუნების
მოტრფიალე გული! ყოველივე ქველია და
მშვენიერი, რაც ბუნების სახელოსნოდან გა-

მოსულა, ყოველივე მახინჯდება — ადამი-
ანის ხელში“.

ლევან ასათიანის წიგნში „ეოლტერია-
ნობა საქართველოში“ (თბილისი, 1933)
რამდენჯერმეა ნახსენები რუსო.

პროფესორ ს. დანელიას წიგნი „ჟან-ჟაკ
რუსოს ცხოვრება და პედაგოგიური სისტე-
მა“ (თბ., 1948) შესდგება ორი ნაწილი-
საგან: პირველი წარმოადგენს რუსოს
ცხოვრების ნარკვევს, მეორეში მოცემულია
ფართო მეცნიერული ანალიზი რუსოს პე-
დაგოგიური შეხედულებებისა. ცალკე თა-
ვებად არის გამოყოფილი საკვანძო საკი-
თხები. ეს წიგნი წარმოადგენს ქართველი
მეცნიერის მიერ დაწერილ პირველ სერიო-
ზულ მონოგრაფიას დიდ ფრანგ განმანათ-
ლებელზე.

1949 წელს გამოვიდა „ემილის“ სრუ-
ლი ქართული თარგმანი,¹ რომელსაც წინ
უძღვის ემ. გოჯინავას წერილი „ჟან-ჟაკ
რუსო და მისი პედაგოგიური შეხედულება-
ნი“. ამ თარგმანს შეფასება მისცა ვლ. ზა-
მნასიძემ.²

ამრიგად, ჟან-ჟაკ რუსოს შემოქმედების
ფართო და მეცნიერული შესწავლა ჩვენს
რესპუბლიკაში ახალ საფეხურზე ავიდა.
იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავ-
ალში ქართველი მკითხველი თავის დე-
დაენაზე მიიღებს რუსოს შემოქმედების
ისეთ შედეგებს მაინც, როგორც არის
„ახალი ელოიზა“ და „ალსარება“, რომ
კიდევ უფრო გაძლიერდება და გაღრმავდებ-
ა ქართულ მწერლობაზე და საზოგადოე-
ბრივი აზრის განვითარებაზე რუსოიზმის
იდებების შემოქმედების შესწავლა.

¹ ჟან-ჟაკ რუსო. ემილი ანუ აღზრდის შესახებ. თარგმანი შესრულებულია ფრანკელიძის პროფესორ ს. დანელიას, დოც. ივ. კვაჭიძისა და დოც. ერ. აბაშიძის მონაწილეობით. თბ., 1949.

² ვლ. ზამნასიძე, ჟან-ჟაკ რუსოს „ემილი“ ქართულ ენაზე. „სახალხო განათლება“, 22, IX, 1949.



ბიოგრაფიული

პოგარტის ესთეტიკა

ანტიკური ხელოვნების ვაძლიერებულმა შესწავლამ რენესანსის ეპოქაში, ხოლო შემდეგ კლასიციზმში ლიტერატურამ ისეთი რეაქცია გამოიწვია, რომ უოველგვარი ძველი ბერძნული და რომაული მხატვრული ძეგლი ფანტიკური ვატეების ობიექტად იქცა. უკვე მე-17 საუკუნის მიწურულსა და მე-18 საუკუნის დასაწყისში ჩნდება კონსერვატიზმი, როგორც ევროპული მოვლენა. ანტიკური ნიმუშებისადმი გულწრფელ სიყვარულს თან ახლავს დიდიანტიზმი, დაუსრულებელი ასლგადიდებანი, თანამედროვე ხელოვნების შეუფასებლობა და აქედან გამომდინარე ნეგატიური ტენდენციები. როგორც ყოველ მოვლენას, კონსერვატიზმსაც თავისი მოწინააღმდეგე უჩნდება, ხოლო ადამიანი, რომელმაც მისი განადგურება სცადა, ვილიამ პოგარტი იყო.

პოგარტის ესთეტიკა თავისი იდეური ერთეობით ორ უმთავრეს სფეროში გამოვლინდა: ფერწერულსა და თეორიულში. პირველი, როგორც პრაქტიკა, მოიცავს პოგარტის მიერ მხატვრულ შემოქმედრობას, მეორე — მეცნიერულ ტრაქტატს, რომელსაც „The Analysis of Blauty“ ეწოდება. ავტორმა წიგნის სახელწოდებაშივე გახსნა გამოკვლევის ძირითადი მიზანი, როცა ქვესათაურიც დაურთო: „დაწერილია გემოვნების შესახებ არამყარ ცნებათა განმტკიცების მიზნით“. ეს არის პოგარტის ერთადერთი თეორიული ნაშრომი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის სახელგანთქმულ ავტობიოგრაფიას, სადაც ცხოვრებისეულ ფაქტებთან ერთად გვხვდება არაერთი მსჯელობა ხელოვნების თეორიულ საკითხებზე. მაგრამ ამ ერთადერთმა გამოკვლევამ ისეთი ადგილი მოიპოვა ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში, რომ ძნელია მას გვერდი ავუვაროთ, როცა გვინდა სილამაზისა და ამაღლებულის კატეგორიები შევისწავლოთ. მართალია, წიგნის სახელწოდება „სილამაზის ანალიზი“, მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა ავტორს მისთვის ეწოდებინა „სილამაზის კანონები“, ვინაიდან მთელი ნაშრომი ამ კანონების აღმოჩენასა და დიდების ეძღვნება.

პოგარტის ესთეტიკურ „ერესს“ თავიდანვე იმის აღიარება წარმოადგენდა, რომ ბუნების მშვენიერება ხელოვნების მშვენიერებაზე მაღლა დგას. აგრობიოგრაფიაში მას მითითებული აქვს: „მე დაიწიე ბუნების დაყენება ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებთა შორის“.1 ეს აზრი პოგარტს არასოდეს არ შეუცვლია, ბოლომდე ამ დებულების ერთგული დარჩა, ხოლო ადამიანი, რომელმაც შემდეგი თაობიდან იგი გაიზიარა, იყო ფერწერალი ჟონ კონსტებლი (1776—1837). ეს უკანასკნელი ამტკიცებდა: „ბუნება ყველა თავისი ნაწარმოებით... წარმოვიდგება ჩვენ მნიშვნელოვნად უფრო მშვენიერი, ვიდრე ის, რომელიც ადამიანური ხელოვნების საშუალებებით წესრიგში მოჰყავთ ყველაზე საუკეთესოდ“.2 მაგრამ ეს არ იყო ბუნების მონური წარმოსახვის ან ასლგადიდების ჭადაგება. პოგარტი უოველთვის განასხვავებდა ხელოვნებას ბუნებისაგან, მაინდა, რომ ბუნება მაგალითია, რომლის კანონები ხელოვნებამ თავის ენაზე უნდა გადათარგმნოს. აქედან გამავალია ლიტერატურის კრიტიკა, როგორც ბუნების მონა რეალისტია. ბუნება ხელოვნებაზე მაღლა დგას. პოგარტი, რომელიც თვითონვე იყენებდა მეტოქონტრას, ფიქრობდა, რომ მეტოქონტრის გრავიურები ისე ზუსტად რომ სრულდებოდეს, როგორც კლასიკური გრაფიკა (ალბათ პოგარტს მხედველობაში ჰქონდა კლასიკური გრაფიურების პლასტიკური ბა, სინათლისა და ჩრდილების სიმდიდრე), მაშინ ისინი უფრო მთავრობდნენ ბუნებას, ვინაიდან მათი შესრულების წესი გამოირიყბავს შტრიხებს ანუ ხაზებსო. სინათლის, ჩრდილისა და ფერების ანალიზი პოგარტმა ბუნებას დაუკავშირა, როგორც პირველწყაროს, ხოლო აქედან მთელი ფერწერა — ბუნებას, სინამდვილეს, ცხოვრებას. კეთილშობილი სისხლავის აღქმავტურ გამოსა-

1 იხ. ვ. პოგარტი, სილამაზის ანალიზი, 1958 წ., რუსული გამოცემა, მ. პ. აღმსწვევის შესავალი წერილი, გვ. 31.

2 იქვე.

ხელეხად ოვადი მიიხინა თავისი მრავალწინაობით ბუნებრივ სხვა საგნებთან შედარებით.¹ თვით სისადავის მიღწევა ხელოვნებაში მდებარე ბუნებრივი წესების გარეშე შეიძლება ჩასთვალა. საერთოდ, პირადი დაკვირვებანი ბუნებრივ სინათლესა და ჩრდილოებზე ჰოვარტმა ძალიან ფართოდ გამოიყენა ფერწერულ პრაქტიკასა და თეორიულ ანალიზში. მისთვის სრულიად უპიკველი იყო, რომ ბუნებაში უსასრულო ვარიანტებია იმისა, რასაც შეიძლება ვუწოდოთ სხეულზე საღებავების ულამაზესი განლაგება. ბუნება უფროა და ყოველთვის ხელოვნების მავალია. ხელოვნების ფერები უფრო დაბალია ღირსებასა, ვიდრე ბუნების ფერები, ვინაიდან ამ უკანასკნელს სინათლე და სიციცხლე უფრო მეტი აქვს.² ფერწერულ სურათში დროს სწორედ ეს სინათლე და სიციცხლე მიაქვს, ამიტომ ჰოვარტი არ იზიარებს არც ადისონისა და არც დრაიდენის მონასტრებს, თითქმის დრო ფერწერის ნამუშევარს არ მარტო ამეღებს, არამედ, ძველის ბრწყინვალე შეხედულებასაც აძლევს; განადიდებს მხატვრის სახელს საუკუნეებში, მისცემს მის სურათს მეტსილამაზეს, ვიდრე წაართმევს ეს ახრი ჰოვარტს პირდაპირ საბედისწერო შეცდომად მიანია, მთელი თავისი შესაძლებლობით ებრძვის, როგორც „სილამაზის ანალიზში“, ისე მხატვრულ შემოქმედებაში. მისი გრავიურა — „ქრონოსი, ყალიბით რომ უბოლებს სურათს“, იმ აზრს გამოხატავს, რომ დრო კი არ აღმოცენდება, პირიქით, იფუჭებს ხელოვნების ნაწარმოებს. ისიც საინტერესოა, რომ ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი უძველესი ღვთაება — ქრონოსი ჰოვარტს აქ გამოიყენებოდა ჰყავს ახალი დროის ფერწერისათვის დამახასიათებელი სახით: მოხელე, რომელსაც ხელში ცელი უჯავია. დრო რომ თითქმის აღმოცენდება კარგ სურათებს, ჰოვარტს ამაზე უფრო მეტი აბსურდი არც ეგულება ამგვარად, ბუნების ფერების სინათლე და სიციცხლე ისეთი ღირსებაა, რომელსაც ხელოვნების ოსტატთა მიერ გამოიყენებულ ფერები ვერ გაუტოლდებიან. ბუნება ისე რთული სახით აერთებს საღებავებს, რომ მისმა არ გაგებამ თვით ფერა ფერწერულ ხელოვნებაში ყველა საუკუნისათვის გამოიყენებდა ვადაქტია. ამიტომ ფერების ჰოვარტი, რომ მზავალი იბრძვის ფერწერისადმი, რომლებიც ცდილობდნენ ჩასწვრივოდნენ ბუნების საღებავთა საიდუმლოებს, წარმატებას მიაღწია არა უმეტეს ათმა-თორმეტმა მხატვარმა. „კორეჯო, რომელიც სოფელში ცხოვრობდა და შეეძლო

მხოლოდ ცხოვრებისაგან ესწავლა, თითქმის ერთადერთი იყო, რომელმაც ფერში განაყუდრებულ უპირატესობას მიაღწია, გვიღობ, რა მელმაც სილამაზე თავის მთავარ ამოცანად დაისახა, არასოდეს არ იცოდა ფერით სარგებლობა. პუსენს ძნელად თუ რაიმე გაეგებოდა ამ საქმეში, როგორც ეს ჩანს მისი მრავალწინაობის ცდებიდან. საერთოდ, საფრანგეთს არ მოუცია არცერთი გამოჩენილი კოლორისტი.“³ რაც შეეხება რუბენსს, მან გაბედულად და ოსტატურად შეინარჩუნა თავისი ნათელი საღებავები. ჰოვარტი იქვე აყენებს ძალიან თამამ დებულებას, ამტკიცებს, რომ ყველა მხატვარი, რომელმაც იყის საღებავების გამოყენებად წასმა, კოლორისტი საკითხებში ხდება რუბენსი, ტიციანს ან კორეჯოს.

ყველაფერი ეს უფრო ვასავები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჰოვარტი ერთსა და იმავე დროს იყო რეალისტი პორტრეტისტი და ნოვატორი სატორიკოსი, თავისი დროის განატონებული გვიმონების შეუპოვარი კრიტიკოსი და სოციალურობის ფიზიკალი ანალიტიკოსი, თანამედროვეობის ზნეობრივ თემთა ამსახველი ხელოვნებაში და კონსერვატიზმის დაუცხრომელი მტერი, სინამდვილის მომღერალი და ვანყენებულ (ცხოვრებას მოწყვეტილ) საფუძვლად უარყოფელი. შემოქმედებითაც ჰოვარტი თანამედროვე იყო ისეთი გამოჩენილი მწერლებისა, როგორც არიან დანიელ დეფო, ჟოანთან სეფტი, ჰენრი ფილდინგი, ჟოჯილილი ინგლისში. გერმანიასა და საფრანგეთში მას მეტი პატივისცემა შეხდნენ ახალი ლიტერატურის ვიგანტები — ლესინგი და დიდრო (მთხედვად ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნისა), ვიდრე იმდროინდელი განატონებული ინგლისური ხელოვნების სამყაროს შესყუერები. ამიტომ საყვებით ბუნებრივი ინტერესი, რომელსაც უკანასკნელ ხანებში ჰოვარტის ესთეტიკისადმი იჩენენ. მავამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჰოვარტის ესთეტიკის დანახვა და შესწავლა მარტოდღენ ისტორიის საკითხს არ წარმოადგენს. თუ ერთის მხრივ იგი ევროპული ესთეტიკური აზროვნების განვითარებაში ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანსვეტია. მეორეს მხრივ შეიცავს პრაქტიკულ ლირებულუბას, ვინაიდან თავისი ცოცხალი ნაწილებით ხელს უწყობს ესთეტიკური პრობლემების გულრმეველ დამუშავებას. ჰოვარტი ნამდვილად განასხივრებს იმ უცილო დებულებას, რომ წარსულის ცოდნა აქმყოსა და

¹ ე. ჰოვარტი, სილამაზის ანალიზი, გვ. 207.

² იქვე, გვ. 217.

³ იქვე, გვ. 217.

¹ ე. ჰოვარტი, სილამაზის ანალიზი, გვ. 218. ამ უკანასკნელ მდარ დებულებას ჰვეით შეგებებით.

მომავალს ემსახურება. მარტოდენ გაღვიძებული ცნობისმოყვარეობისათვის წარსულს არაეინ შეისწავლიდა. გასათვალისწინებელია ის მდგომარეობაც, რომ გენიალურმა ლესინგმა პოგარტს უწოდა „უღაგოდ, ერთერთი უდიდესი მხატვარი, რომელიც უოღენსე ინგლისს აყოლია“¹. შემთხვევითი არ არის „ლაოკონისა“ და „სამშურვის ღრამტურგიაში“ პოგარტის სახელის მოხსენიება, ციტირება და ის მაღალი შეფასება, რომლითაც ლესინგი შეხვდა გერმანულ ენაზე „სილამაზის ანალიზის“ თარგმანს.

მეგრამ რას წარმოადგენს თანამედროვე მკითხველისათვის „სილამაზის ანალიზი“?

რომ გვკითხონ, თუ რა არის პოგარტის ჩვენთვის, ვუპასუხებდით: ფერწერასა და ესთეტიკურ თეორიაში გენიით გაცნსკროვებული მემამბოვე პლემბური სული. შესაძლოა ეს დებულება ყველაზე უკეთესად გამოხატავდეს პოგარტს, როგორც შემოქმედს, და პოგარტს, როგორც მოაზროვნეს, თუ საერთოდ დასაშვებია უკანასკნელი ტერმინის მის მიმართ გამოყენება. მეგრამ ზენ არ შეგვიძლია მოაზროვნე არ ვუწოდოთ ადამიანს, ვინც შეიძლოა, მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურული ოსტატობა არ გააჩნდა, თეორიული გამოკვლევის დაწერა, ხოლო ფერწერაში, დად ოსტატობასთან ერთად, პოგარტი რომ მოაზროვნედ გვევლინება, ეს სრულიად უღაოა. ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ უაღრესად სერიოზული ნაკლოვანებებს მიუხედავად, პოგარტის ესთეტიკაში სილამაზის ანალიზის თვალსაზრისით უფრო მეტი ჰემორიტეობანია, ვიდრე მათ ნაწერებში, ვინც დიდი ფერწერლის ტრაქტატს აუვად იხსენიებდა ან სულ არ მიიჩნევდა რაიმე ღირებულების მქონე ნაშრომად. პოგარტის გამოკვლევას ბედა ერთხელ კიდევ გვიდასტურებს იმ სამწუხარო ისტორიულ ფაქტს, რომ ზოგჯერ ძნელი ხდება ერთხელ გავრცელებული აზრის, თუნდაც იგი საფუძველს მოკლებული იყოს, უკუბღება და ქუმშარტებისათვის „საკუთარი თვალებით“ ცმტრა. ეს ბედი იმდენად მწარე იყო, რომ ეტყობა დიდი მითქმა-მითქმა, რაც „სილამაზის ანალიზმა“ გამოიწვია, მოწინააღმდეგე ბანაკიდან კონესიორების გარდა ახლადგანენილი მტრების თავდასხმები — ყველაფერი ეს პოგარტმა თითქოს წინასწარ განსკვირბა, როცა ლექსად დაწერა შემდეგი სიტყვები: „რასაც მან (ე. ა. პოგარტმა — გ. გ.) თავისი ფანქრით

მიაღწია, კალმით დაქარავასო“¹. წიგნის გამოსვლის შემდეგ პოგარტმა პირადად მართლაც ბევრი რამ დაქარავა, რაც ფერწერის უღამით მოაბოვა, მეგრამ ესთეტიკური პრინციპების ისტორიაში, თანდათან ისეთი დიდი აღვილო დაიკავა, როგორც მისთვის მხოლოდ სანატრელი შეიძლებოდა ყოფილიყო. პირადად დანაქარბი ისტორიული პატივისცემით მოთლანად ანაზლაურებულ იქნა, თუმცა ძალიან გვიან, პოგარტის ვარდაცეალებს დიდი ზნის შემდეგ, არამარტო წინასწარმეტყველურ ლექსში, ატობიოგრაფიაშიაც პოგარტი არ მაღადა, რომ „სილამაზის ანალიზი“ მისთვის დაკავშირბული იყო უსიამოვნებათა შორედას, რომლის ძალიც მას აღრევე აგრძნობინებს ერთ ბანაკად დარაზმულმა მტრებმა.

მოკლდობით პატარა, მეგრამ მნიშვნელობით უთუოდ დიდი პოგარტის ტრაქტატი განახილავდა სილამაზეს, როგორც ესთეტიკურ კატეგორიას, დაკავშირბულს ამაღლებულთინ, ეხებოდა სიმახინჯეს, როგორც ანტიესთეტიკურსა და ხელოვნებაში მისი გამოხატვის სპეციფიკას. თუ რამდენად ღირბებული იყო მარტოდენ ეს უკანასკნელი, იქიდანან ზანს, რომ სიმახინჯის ესთეტიკურ პრობლმატიკას პოგარტის შემდეგ ეხებოდა ედმონდ ბიორკი (1729—1797), რომელმაც 1757 წელს გამოსცა თავისი ნაშრომი — „ფილოსოფიური გამოკვლევა ამაღლებულისა და მშვენიერის შესახებ“². ოალპირველად, ვიდრე იგი პროგრესული თელსაზრის ანეითარბდა, სენსუალიზმის მიუხედავად, ნაწილობრივ იზიარბდა პოგარტის ესთეტიკურ თეორიას. მისაც მიაჩნდა, რომ გარკვეულ პირობებში სიმახინჯეს შეუძლია ესთეტიკური ტებობა განგაცდევინოს. ეს იყო სოკრატეს მოძღვრბების თავისებური გამოყენება, ისევე, როგორც ამაღლებული ანალიზში დიონის ლონგინის ტრაქტატის ატლებური ვაზარბის ცდა. როდის შეიძლება სიმახინჯემ ესთეტიკური ტებობა მოგვანიქოს? როცა ხელოვნების, ოსტატობის ობიექტად იქცევა, თუ ცხოვრბებაშიც არის პირობები ან მომენტები, რომლებიც სიმახინჯეს მისცემენ უნარს ესთეტიკური განცდა გამოიწვიონ? ორბვე შემთხვევაში ბიორკის პასუხი დადებითი იყო, თითქმის საეცებით სოკრატეს მსგავსად, ისევე, როგორც პოგარტისა.

ინტერესმოკლებული არ არის, რომ პოგარტის წიგნი არ გამოჰპარბია არც „სახელოვან მოსტ მერდლსომს“ (1729—1786), როგორც მარტსი იხსენიებდა ამ დიდ ფილოსოფოსს. ორა წლის შემდეგ (1755 წელს) მენდლსონი სპეციალურად შეეხო „სილამაზის ანალიზს“ თა-

¹ იხ. მ. პ. ალექსიევის შესავალი წერილი, გვ. 88.

² ეს ლექსი მოტანილი აქვს მ. პ. ალექსიევის თავის შესავალ წერილში, გვ. 44.

ვის გამოკვლევაში „წერილები შეგრძნობათა შესახებ“ და აღნიშნა, რომ „გერმანიაში ძალა იცოან ტალისმანური ხაზი, რომელიც ჩვენმა ჰოგარტმა განსაზღვრა მხატვრებისათვის როგორც სილამაზის ნამდვილი ხაზი“.¹ გარდა ამისა, თავი რომ დაეანებოთ კასელელი რაფელეინის პანეგირიკულ წერილს,² ჰოგარტის სახელს გერმანიაში 1776 წელს მიეძღვნა იოჰან-ფრიდრიხ შერკის — გოეთეს, ჰერდერისა და ვილანდის შეგობრის, ცნობილი მწერლისა და მთარგმნის სპეციალური ნაშრომი, დაწერილი ანტიკური დიალოგების ფორმით — „სილამაზის შესახებ. საუბარი ბიოგრაფი და ჰოგარტის შორის“.³ მერკის დიალოგი უმთავრესად ეყრდნობოდა ჰოგარტისა და ბიოგრაფს ტრაქტატებს, ხოლო კამათი არსებითად მათ შორის წინააღმდეგობას გამოხატავდა.

მიუხედავად მისი კრიტიკისა, უმთავრესად ფრანგული ფერწერის შესახებ ჰოგარტის ერთი დებულების გამო, დენი დიდრომ „სილამაზის ანალიზის“ არა ერთი დებულება გაამეორა, რასაც დამაყვრებელი ფაქტებით ადასტურებს შ. პ. ალექსიევი.⁴ მართალია, ჰოგარტის წიგნი ფრანგულ ენაზე გაცილებით უფრო გვიან გამოვიდა, დიდრომ გარდაცვალების დღიდან წინ შემდეგ, 1805 წელს (ტალირანის ბიბლიოთეკარ იანსენის თარგმანი), მაგრამ ის გარემოება, რომ დიდრომ თავის წერილში — „1765 წლის საღონი“ გააკრიტიკა „სილამაზის ანალიზის“ ავტორი, ნათლად მოწმობს პენდრე იანსენის თარგმანზე აღტ ჰოგარტის წიგნი ფრანგებისათვის უკვე ცნობილი იყო.

თვით ინგლისში, როგორც ალექსიევი შენიშნავს, ჰოგარტის ესთეტიკის ნამდვილი დაფუძნება უფრო გვიან მოხდა. მატერიალისტური ბუნებისმეტყველების განვითარებამ ჰოგარტის სახელიც წინ წამოსწია. ერნსტ ჰეკელინსის „Kunstformen der Natur“, რომელიც 1899 — 1903 წლებში გამოვიდა, მართლაც იყო დარვინის მოძღვრების შემდეგ მატერიალისტური ბუნებისმეტყველების ერთ-ერთი დიდ გამარჯვება. „ფორმითა ხელოვნება (სილამაზე) ბუნებაში“ წარმოაღვიძა თვით ბუნებისმეტყველებათა აღიარებას და დადასტურებას უღარესად ნათელი, თან უამრავი ფაქტობრივი მონაცემით. მართლაც, „XX საუკუნის ესთეტიკამ — როგორც შ. პ. ალექსიევი

სამართლიანად ამბობს, — ბიოლოგიასთან, ხოლო ნაწილობრივ მათემატიკასთან ხელი-ხელმკობდებულმა, ენერგიულად დაიწყო გამოკვლევა საერთო მიზეზებისა, რომლებიც ხელს უწყობენ „სილამაზის“ წარმოშობას ცოცხალ არსებებში და ხელოვნების წარმოებებში.“¹ ამ ესთეტიკამ მართლაც ენერგიულად დაიწყო გამოკვლევა „...новыми математическими численными «красивых» пропорций и соотношений физических тел, опытно проверенных на разнообразных формах, представляемых органической жизнью природы, поисками закономерностей в эволюции прекрасных форм на основе биологических и математических законов и т. д. вновь вспомнили тогда и о Гогарте»,² მაგრამ ეს არ იყო ჰოგარტის მართლმოდენ განმანათლებლური იდეების გახსენება. ჰოგარტის ესთეტიკა წარმოსდგა მთელი თავისი შინაგანი არსებით, პირველყოფისა იმ ესთეტიკურ შემართებათა წყალობით, რომლებსაც იგი ორგანიზულად შეიცავდა.

აქედან წარმოსდგა პოპულარობა, რომელმაც ჰოგარტის მთელი მოსოფლიო მოატარა. რუსეთში მას, როგორც ფერმწერს — კარაიკატორისტს იცნობდნენ უკვე რადიშჩევის დროიდან. შემდეგ თუკოვსკი, ჩაიკოვი, ნადეჟდინი, ბესტუჟევი-მარლინსკი, ბენსარონ ბელინსკი, ჩერნიშევი, ლავროვი ჰოგარტში აფასებდნენ ფერმწერალსა და მთარგმნეს. რუსეთმა თავიდანვე სწორად გაიგო ჰოგარტი და თავიდანვე მალღი შეფასება მისცა მას, როგორც ცხოვრების გამომხატველს. საგმარბითა დაგასახელოთ რადიშჩევი და ბელინსკი. პირველმა თავის სახელგანთქმულ „მოგზაურობაში პეტერბურგიდან მოსკოვამდე“ მრავალსმეტყველად აღნიშნა: «Если бы у нас родился Гогарт, то бы обильное нашел поле на карикатуре», ხოლო მეორემ ცნობილ წერილებში — „1843 წელს რუსული ლიტერატურა“ და „პასუხი „მოსკვიტიანის“ მალღი შეფასება მისცა ჰოგარტს, რომელიც „...Изображал только пороки, разврат, злоупотребления и пошлость английской общества его времени. И ни один англичанин не скажет, что Гогарт оклеветал Англию, что он не видел и не признавал в ней ничего человеческого, благородного, возвышенного и прекрасного. Англичане понимают, что талант имеет полное и святое право быть односторонним и что он мо-

¹ იბ. მ. პ. ალექსიევის შესავალი წერილი, გვ. 91.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 92.

⁴ „საფრანგეთის არ წარმოუშვია არცერთი გამოჩენილი კოლორისტი“. დიდროს კი შარდენი მიანიშნა „დიდ კოლორისტად“.

¹ იბ. მ. პ. ალექსიევის შესავალი წერილი, გვ. 96—97.

¹ იბ. მ. პ. ალექსიევის შესავალი წერილი, გვ. 105.

² იქვე, გვ. 105—106.

жет быть великим в самой односторонности»¹.

II

როგორც უკვე მითითებული გვაქვს, ჰოგარტის ტრაქტატი შედარებით შვირე მოკლეობის ნაშრომია, რომელიც შედგება წინასიტყვაობისა, შესავლისა და ჩვიდმეტი თავისაგან. თვითველ მათგანს ცალკე სათაური აქვს მიკრძეული და ამ პრობლემის გაჩვენვა ევალება, რომელსაც ეძღვნება. ამ მხრივ წიგნის თავები მნიშვნელოვნად ლოკალიზებულია, ავტორი ცდილობს თვითველს ლოკალური თანმიმდევრობა მისცეს, მიუხედავად მათ შორის არსებული სადემარკაციო ხაზებისა.

ტრაქტატი დაწერა ილია მეტისმეტად შეუმშული ფორმით, ავტორი თითქოს არც ცდილობს ანალიზს მისცეს ანალიზის სახე, განაერთოს მსჯელობა, ფართოდ შეიქვას პრობლემის არსებაში, უფრო მეტად სიღრმეს ეძებს, ვიდრე ფონს, მაგრამ ამ სიღრმის ძიებაში ისე ვიწროდ იჭრება, როგორც მიწიში ჰაბურლილი. ამიტომ გვეჩვენება რომ ჰოგარტის მსჯელობის სიღრმეს ნამდვილი სიღრმე აკლია, შესაძლოა იმ მიზეზითაც, რომ ავტორს არ ეხერხება ლიტერატურულად ჩათაყალიბოს თავისი აზრები, ფაქტობრივად, რომ მეტი იცის, მეტი უნდა თქვას, ვიდრე გადმოაკვირვს. წიგნის ამ ნაკის არც თვით ჰოგარტი მალავდა, ხოლო მის შეგობრებასა და მტრებს, ცხადია, შეუშინეველი არ დარჩენათ.

წინასიტყვაობიდან ირკვევა ჰოგარტის ფართო განზრახვა შექმნას ისეთი წიგნი, რომელიც აღარ იქნება სილამაზის მიზნითა ახსნის „უწყაოფო კლა“, როგორც მანამდე ასე დიდი რაოდენობით გვხვდება. მიიჩნია, რომ მისი წიგნი „ახალთა თავისი შინააარსით“ და ამდენად „...იგი ბუნებრივია შეეყახება ზოგიერთ საყოველთაოდ მიღებულსა და დიდი ხნის წინათ დამკვიდრებულ აზრებს, შესაძლოა აგრეთვე კიდევაც უკუაგდებს მათ“² ამიტომ, — ფაქტობრივად ჰოგარტი, — სწორად იქნება შეახვედრეს მიეწოდოთ უკუაღვარი, რაც შეიძლება შეკრებილ იქნას ამის შესახებ ძველი და თანამედროვე მწერლებისა და მხატვრების თხზულებებში“³ ეს დაპირება ჰოგარტმა ნამდვილად განაორბოთ თავის ტრაქტატში, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, ვინაიდან მას სილამაზის შესახებ უკვლავ არც არც შეეყრება, სამისთოდ არც ცოდნა გყო, არც გამოცდილება. წინასიტყვაობაში მან აგრეთვე მიუთითა, რომ მშვენიერების

არსებას მარტოოდენ ლიტერატურები ვერ მიწვედებიანო. თუ ეს დებულება დასაბუთებულია, ასეთივე აღარ არის მეორე კატეგორიული მტყუცება, რომლის მიხედვითაც სილამაზის საიდუმლოებათა ფაგვებისათვის „...აუცილებელია პრაქტიკულად იცოდეს ხატვის ხელოვნება მთლიანად (მარტოოდენ ქანდაკებისა საქმარისი არ არის)“⁴ და იცოდეს სრულყოფილად. პირველი დებულება დასაბუთებულია იმ მხრივ, რომ ლიტერატურაში ჰოგარტი უკველად გულისხმობს ფილოსოფოსებს, რომლებმაც მშვენიერების პრობლემას მთელი ტრაქტატები მიუძღვნეს, თეორიტიკოსებს საერთოდ, და არა მწერლებს ზოგადად. მაგრამ თუ მწერლებიც ნაველისხმევი, მაშინ რატომ არ უნდა შესწავლობდათ მათ, თავისი პროფესიის პრაქტიკულად ასეთივე ოსტატებს, როგორსაც ჰოგარტი ფერწერაში წარმოადგენდა, მისწვდომოდნენ სილამაზის საიდუმლოების, თუნდაც იმ სახით, რასაც ისინი ჰქმნიდნენ მხატვრული სიტყვის სამულებით? ან რატომ არ შეუძლია ლიტერატორს, ფილოსოფოსს, დიდი ცოდნით აღჭურვილს, თუმცა პრაქტიკულად არა ფერმწერალს ან მოქანდაკეს გაიგოს სილამაზის საიდუმლოება? მაშინ ლიტერატურულ კრიტიკოსსაც უფლება აღარ უნდა ჰქონდეს განიხილოს პოეტის შემოქმედება, რაკე მის პოეტური თხზულების დაწერის პრაქტიკული გამოცდილება არა აქვს და მის მიერ შეფასებული არცერთი სტრიქონის შექმნა პრაქტიკულად არ შეუძლია. მთელი აზრება თვით ჰოგარტისველ კონცეფციამა საძიებელი, ვინაიდან მშვენიერებას იგი წარმოადგენს უშთაბრუნად ფერწერის, ქანდაკებისა და მხატვრული სიტყვის სახით, ხოლო ლიტერატურის, პოეტიკის, საერთოდ სიტყვაებაში უღივლი ხელოვნების მასალებს მხოლოდ საიდუმლოებით იყენებს.

ძირითადი ამოსავალი წერტილი ჰოგარტისათვის რომცაოს მერ აღწერალო ერთი წესია, რომელიც შემდეგ მიქვლანჯელომ გამოიყენა. მაგრამ ბევრ მწერალს, რომელიც ლომაციოს შემდეგ რეკომენდაციებს იძლეოდა გამოიყენებინათ ეს წესი, არ ესმოდა მიქვლანჯელოს მითითების აზრი, — ფაქტობრივად ჰოგარტი, — ვინაიდან „...ვიღებ იგი შესწავლული არ არის სისტემატურად, პრაქტიკული არსება იმისა, რასაც ჩვენ „მომზიბლელობას“ ვწოდებთ, შეუძლებელია ჩვენს მიერ მიღწეულ იქნას“⁵ შარალფონს დიუფრენუაც (1611—1665) თავის ლესალურ ტრაქტატში „ფერწერის ხელოვნების შესახებ“ მართალია მიქვლანჯელოს მითითებას იყენებდა, კე-

¹ უფრო დაწერილობით ეს საკითხი იხ. მ. პ. აღმეცვის შესავალ წერილში, გვ. 107—116.
² გ. ჰოგარტი, სილამაზის ანალიზი, გვ. 121.
³ იქვე, გვ. 121.

⁴ გ. ჰოგარტი, სილამაზის ანალიზი, გვ. 122. ხაზი ჩვენია—გ. ჯ.
⁵ იქვე, გვ. 123.

როდ, ილიაზედა ტაღოვანი, გველი-
სკეპტრი ზსზეზბის, როგორც სილამა-
ზის გამოვლენის აუტოლუბელი ფორმების არ-
სებობას, მაგრამ მასაც არ ეძიოდა ის, რასაც
ლაპარაკობდა, რაკი შემდეგ საკუთარ შეზღუ-
ლებას თვითონვე უწინააღმდეგებოდა, როცა ამ-
ტიციებდა, რომ „ეს ძნელი საქმეა და იშვიათი
ნიჭი, რომელსაც მხატვარი უფრო ღებულობს
ღვთობისაგან, ვიდრე იქნდეს საკუთარი მონ-
დომებთა და შრომითა“.¹

პოგარტი ფიქრობს, რომ კიდევ უფრო მეტად
უწინააღმდეგება საკუთარ თავს როცა დე პი-
ლი (1635—1709), რომელიც თავის „მხატვარ-
თა ცხოვრების აღწერას“ შენიშნავს მხატ-
ვარს შეუძლია ფლობდეს მას (იგულისხმება
„მომხიბლველობას“) მხოლოდ ბუნებისაგან და
არც კი იცოდეს, რომ მას ფლობს, არც ის, თუ
რა ზომით ფლობს, არც ის, თუ როგორ ვადას-
ცემს მას თავის ნაწარმოებებს, არ იცოდეს,
რომ მომხიბლველობა და სილამაზე — სხვა-
დასხვა საგნებში; სილამაზე გაოცებას იწყებს
წესების წყალობით—მომხიბლველობა მათ გა-
რეშე“.²

და ეს მისტიფიკირება, ფიქრობს პოგარტი,
გრძელდება და დიდხანს; ინგლისელი მწერლე-
ბიც, რომელთა ვალამს არაერთი შრომა შეუქმ-
ნია ამ საკითხზე, იმეორებდნენ ანალოგიურ
სიტყვებს; მოდერ ფრანზა იქცა, — შენიშნავს
პოგარტი, — „არ ვიცი რა არის“, იმის მი-
მართ, რასაც ჩვენ „მომხიბლველობას“ ვუწო-
დებთ. ამგვარად, მიქელანჯელომ მითი-
თება იქცა გამოუცნობ სიღრმისა და გაგებულ
ქნა საწინააღმდეგო აზრითაც.

სწორედ ამ პირობებს ირკვევს პოგარტი
თავის წიგნში და მიიჩნია, რომ იგი ისევე აღ-
საყვას წინააღმდეგობებით, როგორც დღევან-
ში ორატულის ყველაზე უფრო ბნელი წინას-
წარმეტყველება.

მათილოა, პოგარტი უფრო მეტად გრაფიკუ-
ლი გამახსებლებით მსჯელობს, მაგრამ იღუ-
ტრაციებად და არგუმენტებად ხშირად იყენებს
გამახსებლ ხელოვანთ, მწერლების, რომელთა
შემოქმედებებთან არაერთი მავალეობა მოპყავს.
მისი ინტერესების სფეროში ეპყევა ყველაფე-
რი, რასაც შეუძლია აზრი ნათელჰყოს ამ განამ-
ტიციოს, ლიტერატურული მასალები სულ ამ
კუთხით არის გამოყენებული არქიტექტურის,
ფერწერის, მანაჰების ძეგლებთან ერთად. ერთ-
ნაირი ძალი მიმართავს ძველსა და ახალს, უძ-
ველესსა და უახლესს, ანტიკური, შუასაუკუნეე-
ბის, რენესანსის, თანამედროვე ხელოვნება მის-
თვის ვრცელი ველია შშეცენიერის, ამალ-
ლებულის, მდაბალისა და მახინ-

ჯის ბუნების გასარკვევად. მაგალითად, რად
შექსპირის დამოწმება ტრაქტატში იმდენ-
ნად სასტუმარტერ ხასიათს ატარებს, რამდენსავე
ლიად შეპველია ცდა — გენაღწევაში რამაშა
ტურგის ავტორიტეტის დახმარებით უდაო-
ქნას აღიარებული მშეცენიერების ის-
ფორმები, თერებები და სახეები, რომელთა და-
დგენასაც „სილამაზის ანალიზის“ ავტორი მიზ-
ნად ისახავდა. „შექსპირმა, — წერს პოგარტი,
— რომელსაც ჰქონდა ბუნების ძალიან ღრმად
გაგების ნიჭი, სილამაზის ყველა საკვირველ-
ბანი გამოხატა ორ სიტყვამი: უსასრულო
მრავალსახეობა“! საილესტრაციოდ მო-
ტანილია შექსპირის ტრაგედიიდან — „ან-
ტიონისი და კლოპატრის“ — ადგილი, სადა
ილით ღრმადტარგი ლაპარაკობს, თუ რა ძალა-
უფლება ჰქონდა, კლოპატრას ანტიონისზე.
ასევე ავტორიტეტად მიიჩნია პლატონისა
და არისტოტელის თანამედროვე მხატვ-
რი პამფილი, სახელოვან აპტელესის მა-
სწავლებელი, იმ აქელესისა, რომელიც შეძღვ-
ა იქმანად რე მაკედონელის სასა-
ლის ფერმწერალი გახდა. ბერძენ მხატვართაგან
პამფილი პირველია, მათემატიკის გა-
რეშე შეფძლებულ რომ თელიდა ფერწერაში
სრულყოფილებას მიღწევას. შემდეგ მოქან-
დაკეებმა და არქიტექტორებმა დაიწყეს მათე-
მატიკის გამოყენება თავის ხელოვნებაში,
და პოგარტი ვასუებით იზიარებს ზელეს ქრისტო-
ფორ ლე ბლონის მტყიცებას, რომ ამ შე-
ცნიერების გარეშე ბერძნები დარ-
ჩებოდნენ ისეთივე უმეცარნი,
როგორიც მათი წინაპრები იყე-
ნენ“.³ მომდევნო დებულებანიც ლე ბლო-
ნისა პოგარტის ხასუებით მისაღებად მიიჩნია „სა-
კუთარი სქემისათვის“, ეინაღდან მათში ხედავს
დამამტყიცებლ არგუმენტებს. პითაგორეს
აღმოჩენები (უმათარესად მათემატიკურ მეც-
ნიერებათა დარგში — გ. ჯ.) გამოყენებულ იქ-
ნა თითქმის ყველა ხელოვნებაში და ბერძნები
გვლიაქენენ სასწაულ მოვლენად მთელი მსოფ-
ლიოსათვის, „განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც
ახიის ხალხებმა და ეგვიპტელებმა (რომლებიც
წინათ ბერძნების მასწავლებლები იყენენ), დრო-
თა სელაში და გამანადგურებელი ომების მიზე-
ზით დაჰკარგეს თავიანთი წინანდელი ტპირატე-
სობა მეცნიერებათა და ხელოვნებათა დარგში“.⁴
ლე ბლონის შემდეგ პოგარტი ისევე მიმართავს
ლომოსს, რამელსავე მითითებული აქვს,
რომ „ბერძნებმა, მადადნენ რა ძველ ხალხებს,

¹ პოგარტი სილამაზის ანალიზი გვ. 123.

² იქვე, გვ. 123.

³ გ. პოგარტი, სილამაზის ანალიზი, გვ. 129.

⁴ გ. პოგარტი, სილამაზის ანალიზი, გვ. 127.

ეს არის ნაწვევტი ლე ბლონის ვრცელი ციტა-
ტიდან, რომელიც პოგარტს მოპყავს.

⁵ იქვე, გვ. 129.

გამოიკვლიეს სახელგანთქმულ პრინციპები¹, რომლებშიაც ელანდებოდა სილამაზის სრულყოფილება სამკეთხელის ფორმით. ეს რეალია პოგარტს მიაჩნდა მსგავსად იმ ხაზისა, რომლის დაკვირვებაც მოქმედანჯერდო. ფერმწერლებს უჩრქვდა სამკეთხელის ფორმისა და გველისებური ხაზი. პოგარტი ამბობს, ყველაზე უფრო სრულად გამოხატავენ არა მარტო სილამაზესა და მომხიბლველობას, არამედ, ფორმის მთელ წყობასაც.¹

ისტორიის დამადასტურებელ ანალოგიურ ფორმებს პოგარტი ეძებდა ხელოვნების ისტორიის ანალოგში, როგორც კი მისი დროისათვის მისაწვდომი იყო. პლინიუსის მიერ აღწერილ პრაქტიკურებსა და აპელესის დამოკიდებულებაში, მიუხედავად იმისა, რომ თვით პლინიუსს ერთი შემთხვევა ბუნდოვნადა აქვს გადმოცემული, პოგარტი ზედღვა მიქელანჯელოსებური სილამაზის ხაზის ვარიაციულ პრაქტიკას. შესაძლოა ეს იყო ორი დიდა ფერმწერის მიერ იმის ხაზგასმია, რომ თვითველს თავისი საკეთხარი მანერა ჰქონდა და რომ თვითველი მათგანის გამოცნობა შეუძლებოდა ერთი უბრალო ხაზითაც. მაგრამ პოგარტი საკმაოდ კატეგორიული ტონით ამტკიცებს თითქოს აქ ადგილი ჰქონდა ფერწერის სწორედ იმ ხაზების აშკარებებს, რომლებსაც მან სილამაზისა და მომხიბლველობის ხაზი უწოდა. თვით პოგარტი დაახლოებით ასე გადმოცემს პლინიუსის მიერ აღწერილ შემთხვევას:

როცა აპელესმა გაიგო პრაქტიკურად დიდიანი შესახებ, გაემგზავრა როდოსში მის სანახავად. მაგრამ პრაქტიკურად სახლში არ დახვდა. მაშინ მოითხოვა დაუა, რომელზედაც დახატა ხაზი და მისამსახურეს უთხრა, რომ მისი პატრონი ამ ხაზით გაიგებდა ვინ მთვოდა სანახავად. როცა პრაქტიკურად შინ დაბრუნდა, ის მიხვდა საქმის ვითარებას და აპელესის ხაზს ვერადით მიუხატა კიდევ უფრო წერილი ხაზი. აპელესი მალე დაბრუნდა. ის ძალიან კმაყოფილი დარჩა პასუხით და დარწმუნდა, რომ პრაქტიკურად დამსახურებულად განადიდებდნენ. აპელესი ამით არ დამკვიფრებულა. მან ერთხელ კიდევ გაასწორა ხაზი ალბათ, კიდევ უფრო გააღამაზა და წავიდა.²

მაგრამ რას წარმოადგენდნენ ეს მაგერო ხაზები, რომლებიც დიმიტოს ლმერთას ძარბათეკატესაც კი შეშერდებოდა და რომლებსაც პლინიუსი მხოლოდ წეროდა, ლამაზ ხაზებს უწოდებს? პლინიუსის ახსნა პოგარტს არ აკმაყოფილებს. იგი თვითონვე აღიარებს, რომ „ჩვენთვის ზუსტად ცნობილი არ არის, თუ

რა ხაზი იყო ეს, რომელსაც შეედო ასეთი გარკვეულობით დახასიათებინა თავის ხელოვნებაში ერთი საუკეთესოთაგანი. თუ ეს ეფუძნება რაღაც პირდაპირ ხაზს (თუწინააღმდეგარაგორც თმა, მლინიუსი რომ ფიქრობს), მას არავითარ შემთხვევაში არ შეედო გამოხატადი ფერმწერის ტანტი. მაგრამ თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ეს იყო არაჩვეულებური იგი თვისების ხაზი, მაგალითად, გველიისებური, მაშინ აპელესს, რომელსაც სურდა პატივი ეცა პრაქტიკურად ათვის, არ შეედო დაეტოვებინა უფრო შესაფერის ხელმოწერა.³

ანალოგიური მსვლელობანი პოგარტს, მთელტრაქტატებში ერთად, მიმართული აქვს თავისი დროის ხელოვნების ყალბი გაგების წინააღმდეგ, არამარტო ანტიკური, საერთოდ ხელოვნების კონსტიტუციური ანტიკური, რომელიც აქვს, რომ ისინი საერთოდ მოწინებით შეხედებინა „სილამაზის ანალიზს“, ხოლო კიდევ უფრო ნაყლები იმედი აქვს იმ ადამიანების მხრივ წაქეზებასა, რომლებიც „დაინტერესებულნი არიან ძირი გამოუთხარონ ყოველ მიცნობებს, რომელიც გუთავაზობს, ვხედავდეთ ჩვენ იგივე საკეთხარი თავდადებით.“⁴ პოგარტის ამ აღიარებაში საყურებით ნათლად ჩანს მისი ვაზნაზავიც და თვით წიგნის ხასიათი. „სილამაზის ანალიზი“ ენთეტრიკური თეორიის ისტორიაში მართლაც წარმოადგენს ოპოგინალურ, დამოუკიდებელ ნაშრომს, რომელიც ვათელიც ვაზნა კი არ მიხვევია. თავდაფირა აყურებს ვაზნაზავებულ შეხედულებებს, საყოველთაოდ ცნობილ ერპებს, ბევრ შემთხვევაში მართლაც დაუმსახურებლად განდიდებულნი, ძირს ანარცხებს. ხოლო თეორიული კვლევაძიების პრაქტიკაში ყველაფერს ზედან საყოფთარი თვალბობით და არა ლტერატურული რეზინისკეცეობით. ეს ნამდვილად არის ვილიამ პოგარტისა და მისი ტრაქტატის — „სილამაზის ანალიზის“ ისტორიული დამსახურება.

მავე დროს, ვილიამ პოგარტი მთელი არსებით ებრძოდა რემინისცენცი-

¹ ე. პოგარტი, სილამაზის ანალიზი, გვ. 130. ხაზი ჩვენია—გ. უ.

² იქვე, გვ. 134.

³ იქვე, გვ. 135, სადაც პოგარტი პირდაპირ გამოთქვამს თავის ურყოფილ დამოკიდებულებას უგემოვნოდ შესრულებული, ყალბი, მაგრამ უფიციბის შედეგად განდიდებული სურათებისადმი და მიწასთან ასწორებს „ვენერასა და კუპიდონს“, რომელიც მაშინ კენსიტონის სასახლეს ამწვევებდა.

¹ იქვე, გვ. 129—130

² ე. პოგარტი, სილამაზის ანალიზი, გვ. 130.

ეხს ფერწერაში, ანტიკური ზელოვნების ნიშნითა ქება-პოდიუმთან ერთად, მკაცრად ილაშქრებულ ხელოვნებასთან, თუნდაც უციად შესრულებული ბერძნულ-რომაული ვანდილების წინააღმდეგ, მიიჩნდა, რომ ახალგაზრდა ფერწერების რიგში გაგზავნა ოსტატობის დასაუფლებლად, როცა ისინი მხოლოდ ასლგადანებზე შეშობდნენ და ძველებს სწავლობდნენ, შეედომას უშეძლებდნენ, რაკი მოგზავრობდნენ როგორც მცოდნე დამფასებლები და არა მხატვრები. ამით ისინი აგებდნენ მხატვრობაში, თავიანთ ძირითად პროფესიაში, და ეგებდნენ ცოდნაში, მათში, როცა ფერწერის თვლი სრულყოფილ არ არის უკეთ მომზადებული ახალ შეთბედილობათა აღქმისათვის, თუ ზელოვნების ნაწარმოებთა ტყვეობაში იმყოფება, ვინაიდან ისიც მზადაა, ჩრდილს გამოკიდებულმა, რეალურობა დაქარგოს. ეს იყო ერთისა და იმავე დროს ბრძოლა ფერწერაში სიყალბის წინააღმდეგ რეალიზმის დამკვიდრებისათვის. ორივე ერთად სიმართლეს მსახურადად მიზნად და პოვარტივ მოუწოდებს: „ისინი, რომლებსაც სურთ ისწავლონ სიმართლის დანახვა, უნდა ეფრთხილებოდნენ ყალბ დასკვნებს“.

გარდა ამისა, პოვარტივა შესავალშივე განსაზღვრა თავისი გამოკვლევის მთავარი საგანი. მისი მიზანი იყო დაედგინა „ძირითადი ფენები“, რომლებიც სათანადო სახით შეერწყმიან რეალიზმს, სინატიფესა და სილამაზეს აძლევენ ყოველგვარ ფერწერულ კომპოზიციას. მაგრამ ეს იყო ერთი მხარე. პოვარტივის მიზანს წარმოადგენდა აგრეთვე შეთბევილისათვის „უზვენებამათა თვითი ელი მათგანის განსაკუთრებულ დებულაბუნებებისა და ბელოვნების კომპოზიციებში, რომლებიც ყველაზე მეტად ახარებენ და იზიდავენ თვალს და გადასცემენ მათ მომხიბვლველობასა და სილამაზეს“.

მაგრამ რა იყო ეს „ძირითადი ფენები“? პოვარტივა შესავალ დამთავრა სწორედ ამ წესების დასახელებით: „მიზანდასახულობა, მრავალსახეობა, ერთსახეობა, სისადავე, სიართულედასიდიდე“¹ თან დასძინა, რომ „უკველი ისინი მორაწილეობენ სილამაზის შექმნაში, ერთერთს უსწორებენ, ხოლო ზოგჯერ ზღვდავენ ერთმანეთს“.

პოვარტივის ძირითადი დებულებანი წარმოადგენენ გაშლას და გაფართოებას მიქელონჯელოს იმ მიითებებისა, რომელიც ზელოვანს თავისი ერთერთი მოწოდებას — „სინატიფესა და სიენასათვის მიუთვია. ეს მიითებუბა პოვარტივა ვიცნო ჯოვანი პაოლო ლომაციოსი“ (1538—1600). „ტრაქტატში ფერწერის, ჭანდაკებისა და არტიტეტრის ზელოვნების შესახებ“, რომლის ინგლისური თარგმანი პეილოტიასა პოვარტივის ზელონა ჰქონია. სწორედ ამ თარგმანიდან მოჰყავს მას ვრცელი ამონაწერი, როგორც საკუთარი მოძღვრების მინიშნება.

აი ეს ნაწევრები ლომაციოს წიხიდან: „...და იმით, რომ აქ არ არის მიქელონჯელოს რომელიღაც მიითებუბა, რომელიც შეიძლება გამოადგეს ჩვენს მიზანს, მე არ დავმალავ მას, დავუტოვებ მის შემდგომ ახანა-განმარტებასა და გაგებას თვით შეითხველს. მოვითხოვბენ, რომ მიქელონჯელოს ერთხელ შემდეგი რჩევა-დაჩივება მისცა თავის მოწოდებას: მხატვარი მარკო მასიენი და: საფუძვლად თავისი კომპოზიციისა ის ყოველთვის უნდა აწყობდეს პირამიდულ, გველისებურ ფიგურებს და დაყენებულ სერთ, მარსა მამდგომარეობაში. ამ წესში (ზემის აზრით) მდგომარეობს ზელოვნების მთელი საფუძვლი, იმით, რომ უდავლად მომხიბვლელობა და სიციცხლე, როგორც ვი შეიძლება ჰქონდეს სურათს, — ესაა გადმოცემა მოძრობისა, რასაც მხატვრები სურათის სულს უწოდებენ. არ არის ისეთი ფორმა, რომელიც მოძრობისა გამოხატავდეს უკეთ, ვიდრე ალი ამ ეცხლო, რომელიც, არისტოტიელისა და სხვა ფილოსოფოსების მოძღვრების თანახმად, წარმოადგენს ყველაზე უფრო მოქმედ ყველა სხვა ელემენტთა შორის. ამიტომ ალის ენის ფორმა ყველაზე უფრო გამოსაღვია მოძრობის გამოხატავდა. ალის აქვს კონუსის ან წვერის ფორმა, რომლითაც იგი თითქმის და ჰერს ევეთავს, რათა ამაღლდეს თავის, მისთვის დამახასიათებელ სფეროში. ამგვარად, კომპოზიციუბა, რომელსაც ეს ფორმა აქვს, იქნება ყველაზე უფრო ლამაზი...“²

ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ ჩვენ უკვე შევიძლია უშეალოდ გადავიღოთ პოვარტივის ეს თეტიკის დასასათებუბე.

პოვარტივის ტრაქტატი, პირველყოფილისა, განიხილავს შესატყვისობის პარობლე-

¹ ვ. პოვარტივი, სილამაზის ანალიზი, გვ. 136. ხაზი ჩვენია—გ. ჯ.
² იქვე, გვ. 139—140. ხაზი ჩვენია—გ. ჯ.
³ იქვე, გვ. 139—140. ხაზი პოვარტივისა—გ. ჯ.
⁴ იქვე, ხაზი პოვარტივისა—გ. ჯ.

¹ დაწერილებით იბ. გ. ჯიბლაძე, „ესთეტიკური თეორიის საკითხები“, 1961 წ., გვ. 240—241.
² იქვე, გვ. 123.

მას, ენაიდან თავისთავად აღებული შესატყვისობა მიჩნეულია, როგორც მთლიანად სილამაზისათვის ყველაზე დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენა. მაგრამ შესატყვისობა არ განიხილება, როგორც მართოდენ ნაწილების ერთობრივადმოკლებულება, თვით ეს უკანასკნელი მჭიდროდ დაკავშირებულია საერთო ჩანაფიქრთან, რომლისათვისაც თვითველი ცალკე საგანი იქმნება. პოეტური საესებით მართალია, როცა ამ კანონს მართო ხელოვნებაში არ გამოყოფს, პირველ ყოვლისა, მას ხედავს ბუნებაში, ცხოვრებისეულ საგნებში, რომლებიც შესატყვისობის გარეშე არამართული უღამაზონი, არამედ, გამოუხსადეგარნიცი იქნებოდნენ. პოეტრმა აგრეთვე იცის, რომ ძალიან ლამაზი ფორმები ხშირად გვეჩვენება საზოგადო, თუ მათ არასწორი გამოვლენება აქვთ. მთავალთად მოტანილია ხეველი კოლონები, რომელთაც, უშეველია, ლამაზია მაგრამ რაკი ჩვენში იწვევენ სისუსტის წარმოქმნას, როცა არასწორად გამოყენებულია რამე ტვირთის ან სიმძიმის დასაქერად. ისინი ჩვენ უკვე აღარ მოგვწონს.¹ ეს იმიტომ, ხდება, რომ „საგანთა მოცულობა და პროპორციები განისაზღვრებიან მიზანდასახელობით.“² სწორედ ეს გარემოება იყო მიზეზი, ამბობს პოეტრტი, რამაც დააწესა სკამების, მაგიდების, საერთოდ ყველაფერი სახის სამკაულებსა და საოჯახო საგნების როგორც მოცულობანი, ისე პროპორციები. სწორედ ეს განსაზღვრავს კოლონიების, თალების, ფიგურების, კარებისა და სხვ. ზომას. მაართალიც. პოეტრის არ იყოს, რაც უნდა დიდი შერობა ავაგოთ, კიბის საფეხურები სიმძლიერით ხომ მაინც ისეთი ვაქვთდება, რომ აღამაინმა ასეღა შეიძლოს? ხოლო, თუ მათ ეს მიზანდასახელობა დაქარგვს, მაშინ დაქარგავენ თავის სილამაზსაც. „თუ ხომალდს კარგი სეღა აქვს, მგზავრები მას ყოველთვის უღამაზეს უწოდებენ — ასე მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული ეს ორი ცნება.“³ აღამაინის სხეულის ნაწილთა საერთო ზომები შეგუებულა იმ ფუნქციებთან, რომლებიც მათ უნდა შეასრულონ.

შესატყვისობა, პოეტრის აზრით, განსაზღვრავს აგრეთვე საგანთა ზასიითის განსაკუთრებულ მხარეებს. „დოლის ცხენი თავისა თვისებებით და გარეგნული ნიშნებით იმდენადვე გამსხვედრება კავალერიის ცხენისაგან, როგორც პერკულუსის ფიგურა გამსხვედრებულია პერკულუსის ფიგურისაგან“. დოლის ცხენი მართალიც იმით მოგვწონს, რომ მისი სილამაზე მთლიანად მიპირაბრებულია სწრაფი რბენისათვის განკუთვნილი სხეულის ნაწილთა ზომებით, პროპორცი-

ებითა და ძირითადი ფუნქციოსაღმი შესატყვეობით. იგივე შეიძლება ითქვას კავალერიის ცხენზე. შესატყვისობის კანონთა გოგონებზე შეიქმნა აგრეთვე, ფიქრობს პოეტრტი, ფიქრებზე ზის მტრულესი, რომლის ატორია ათენელი მოქმედაც გლიკონი.

რა ახასიათებს ამ შვენიერ ნაწარმოებს?

პირველ ყოვლისა, ის, რომ პერკულუსის სხეულის „ყველა ნაწილი ჩინებულად ესატყვისება ჩვენს წარმოდგენას ზღვრულ ძალზე, რაც დასაშვებია აღამაინის სხეულის სტრუქტურით.“⁴ გლიკონს არავითარი შევღამა არ დაუშვია, ეს მხოლოდ მოჩვენებითია, ვინაიდან მან კარგად იცოღა ხელოვნების სატყვისა და შეგნებულად წიღიღა ბუნების დარღვევაზე, როცა თანამწორად არ ვაღიღა პერკულუსის სხეულის ყველა ნაწილი, როგორც ამას „აღამაღდროვე წესები“ მოითხოვენ, — კრიტიკულად შენიშნავს პოეტრტი. პირაქით, მთელი ქანდაკება მოწმობს, რომ „ეთილოგონიერმა მოქანდაკემ“ ფიზიკური ძალა გადაიტანა სხეულის ისეთ ნაწილებზე, როგორიცაა ზურგი, მკერდი, მხრები, მსხვილ ძეღებს შესაფერი ტუნთები მისცა, კისერიც ასევე სიძლიერის გამოშატეული გვიჩვენა, ხოლო სხეულის ქვედა ნაწილი ფეხებშიც კოტა უფერი შემოკრული ზომის კენაბით გამოაკეთა. ასე რომ არ მოქეტუღაყო, გლიკონი თავიდან ვერ აიცილებღა ზეღმეტ სიმძიმეს, რაც დაბრკოლებად გადაექცეოღა როგორც ძალის, ისე ამგვარი სიღამაზის გამოშატეას. ყვეღაფერი ეს მოწმობა, თუ რა ჩინებულად იყოღდენ ძველი დროის მოქანდაკეებმა ანატომია, როგორი წინდახედულობით მუშაობღდნენ ისინი თვითველ მხატვრულ ნაწარმოებზე, და როგორ დაქარგა ყოველვე ეს იმ ასღში, რომელიც ვღაყოინღან გადაღღეს ჰაიდპარკისათვის. „ახლანღელი სასოწარყვეოღი გენოსები ფიქრობენ, — ოროსღულად შენიშნავს პოეტრტი, — რომ შესღესს გაეწორობინათ ეს ამგვარა დისპროპორციები.“⁵

სამწუხაროდ, პოეტრტს არ მოღსხენებია ვენერა მიღსღელი (მაშინ აღმოჩენილი არ იყო), არც აპოლონი და მრავალი სხვა ანტიკური ქანდაკება, რომლებიც სულ ასეთი პროპორციული „დისპროპორციებით“ არის შექმნილი. მაგრამ მთავარი ეს კი არ არის; მთავარია თვით პოეტრტის მიღღმმა შესატყვისობთა კანონისაღმი, რაც პირველად ძვეღმა ბერქნებმა აღმოაჩინეს, მთელი თეორიის საბით დაამუშავა სოკრატემ ის, რასღც მოწმობს ქსენოფონტე ათენელიღს „სოკრატული ნაწარმოები“, და იმის

¹ გ. პოეტრტი, სიღამაზის ანაღიბი, გვ. 141.
² იქვე, გვ. 142.
³ იქვე, გვ. 142.

⁴ გ. პოეტრტი, სიღამაზის ანაღიბი, გვ. 142.
⁵ იქვე, გვ. 143.
⁶ ამ საკითხზე იხ. გ. ჯიბღაძე, „ხელოვნება და სინამდღე“, ტ. I, გვ. 134.

ჭანვასმა, რომ ზუნების დისპროპორცია ხელოვნებაში პროპორციულობის მიღწევისათვის ზოგჯერ აუცილებელია.

რაც შეეხება მსგელოზს ზომალდის, ვარჯის, ფანჯრების პროპორციითა შესახებ, ფიქრობენ, რომ ჰოვარტი იყენებს დაკვირვებით მის წიგნის („ვაიოკლევეები მოჩალის პრინციპების შესახებ“) მესხეთე ნაწილს — „რატომ მოგვეწონს სასარგებლო“, რომელიც „სილამაზის ანალიზზე“ რამდენიმე წლით ადრე გამოვიდა (1751 წელს).¹ ეს მოსახრება საკვებით მართებულია, ვინაიდან ჰოვარტის მთელი მსჯელობა ამ საკითხზე აპრიორა და მავალითებითაც იქმნის წიგნის ამკარა გამოყენების გვიდასტურებს. მაგრამ ეს ოდნავაც არ ნიშნავს იუმიზსა და პოვარტიონს ეს უსთერტიერ თეორიითა ნათესაობას. მთ შორის წინააღმდეგობა შეუღებულად უფრო მეტია, ვიდრე თამხვედრი მომენტები, იქმნა და -ჰოვარტი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებზე იდგნენ.

მეორე პრობლემას, რომელსაც ჰოვარტი ეხება, დიორსახეობა ეწოდება. ეს იგივეა, რაც სხვადასხვაობაა, რომელსაც სილამაზის შექმნაში დიდი როლი აქვს დავისრეული. ამას აღასტურებს „ზუნებრივი ორნამენტი“, და გვეჩვენება, რომ თიქოს მცენარეების, ყვავილების, ფოთლების ფორმა და ფეროვნება იმისათვისაა შექმნილი, რომ „თვლი გააბაროს თავისი ნაირსახეობით“.² ცალკე აღებული ერთსახეობა ჩვენითვის მისაწყენი, ხილი შემდეგ საზიზღარია. მაგრამ როცა თვალი ძლება ნაირსახეობით ამ რავალსახეობით, მაშინ ერთსახეობა თვალს სიამოვნებს, მოგვეწონს, ისევე როგორც დაუსრულებელი ველების შემდეგ მუხის ხილი გვახარებს, აღტაცებაში მოყვარათ და პირიქით. ადამიანის ყურიც აღნიშნდება ერთი და იგივე ნოტის დასრულებული განმეორებით, მაგრამ ყველგან, როცა ამ თქმზე ლაპარაკობს, ჰოვარტს მხედველობაში აქვს „ორგანიზებული მრავალსახეობა“, ვინაიდან მიანიხი, რომ „ქოატური მრავალსახეობა, რომელსაც ჩინაფორტი არა აქვს, წარმოადგენს არეულ-დარწყოლობას და სიმხიწესს.“³ თვით მრავალსახეობის ანგებას ჰოვარტი ისე დაწერილებით აქ არ ახსიათებს, ვინაიდან ამ პრობლემას შემდეგაც ეხება, მაგრამ საინტერესოა ნაირსახეობის ერთერთი გვარის აღნიშვნა. მხედველობაში გვაქვს „თანდათანობითი შემცირება“, რომელიც „სილამაზის ქმნის“. მავალითებად დასახელებული პირამიდა (საფუძელიდან სიმაღლისაყენ რომ მცირდება), სპირალი და

ა. შ. ყველაფერი ეს უკავშირდება პერსპექტივას, რაც თვალისათვის სისამოვნოა. ჰოვარტმა სპეციალური, ტრანსპარენტის შესახებ თავი მოუძღვნა ერთსახეობის (ერთგვარობის) სისწორის ანუ სიმეტრიის პრობლემას ხელოვნებაში და სცადა საფუძველი გამოეცალა იმ გვერცელებული, თან გაბატონებული დებულები-სათვის, რომელიც ვადმოცემულია შემდეგი სახით: სილამაზის ძირითადი მიზნები სილამაზის ნაწილობა სიმეტრიისაში მდგომარეობს.⁴ ჩვენ არ ვფიქრობთ თითქოს ჰოვარტის მიზანს წარმოადგენდა უარეყო სიმეტრიის როლი სილამაზის შექმნაში, თვით ჰოვარტის განცხადება — სისწორე, შესატყვისობა, სარგებლიანობა — ყველა ისინი თავიანთი სილამაზით ნაყლებად პასუხობენ ამოცანას თვალი გაბარონ.⁵ შეიცავს გარკვეულ აზრს, კეჩილ, იმის დასაბუთებას, რომ თვითველ მათგანს მხოლოდ მაშინ შეუძლია სილამაზე შექმნას, როცა ჩანაფიქრსა და მინდამახებლობას, ყმსა-ხერება. „ჩვენ კმაყოფილებას ვეძებულობთ, — წერს ჰოვარტი, — არა ერთი მხარის მეორე მხარესთან ზუსტი მსგავსების წყალობით, არამედ იმის შეგნებისაგან, რომ ისინი ერთმანეთს ემთხვევიან ჩანაფიქრთან და მიზანდასახეობასთან შესატყვისობის საფუძველზე.“⁶ ესაა ძირითადი და ვადაშეყვეტ, ამიტომია, რომ საგანთა უმრავლესობა მოგვეწონს რაკულარსში, იოდრე პირდაპირ, ისევე, როგორც სახის პაროფილი უფრო მეტ კმაყოფილებას გვაგრძნობინებს, ვიდრე ფასსი. როცა ქალის თავი ცოტათი შემობრუნებულია, რითაც ორდევს სახის ორივე მხარის ზუსტი შესატყვისობა, ხოლო მსუბუქი დახრილობა მას აძლევს კიდევ უფრო მეტ სტავდასხვაობას სრული ფასის პარადიპრსა და პარალელურ ხაზებთან შედარებით, — ასეთი სახის ცქერა, — ამბობს ჰოვარტი, — ყოველთვის სისამოვნოა.⁷ აქედან გამომდინარეობს ჰოვარტის ესთეტიკური იმპერატივიები, რომლებიც გამოხატულია შემდეგი სახით: „ფერწერაში კომპოზიციისათვის მუდმივი წესია: — თავი დააღწიო ერთსახეობას“; მისივე ნაირფერება ანუ, რაც იგივეა, დაარღვიო ერთსახეობა.⁸

დაეთანხმებით თუ არ დაეთანხმებით ამ ესთეტიკურ იმპერატივებს, ერთი რამ უდაოა: ჰოვარტს მოწონებდაში, სილამაზეში, მხატვრულ ცნებაში შეაქვს შეგნებულობა, რასაც იდეალისტურია ესთეტიკის არაერთი განმტოება უარყოფდა. უფრო მოგვიანებით

¹ იხ. „სილამაზის ანალიზი“ შენიშვნები, გვ. 256.
² იქვე, გვ. 144.
³ იქვე, გვ. 144.

⁴ გ. ჰოვარტი, სილამაზის ანალიზი, გვ. 146.
⁵ იქვე, გვ. 146.
⁶ იქვე, გვ. 147.
⁷ იქვე, გვ. 147.
⁸ იქვე, გვ. 147.

„სილაშხის ანალიზი“ წინააღმდეგ კონკრეტულად ვადაცხადებელი თვადსახმები, ვინაიდან ყველა ისინი, შესაძლოა უმნიშვნელო მცირეს გამოკლებით, იდეალისტურ თვალსაზრისს იცავდნენ. ჰოვარტი კი სრულიად სპინალობდებოდა პოზიციასზე იდეა. მისთვის უფრო კუმიარობას წარმოადგენდა, რომ „სისწორე, ერთსახეობა ან სიმეტრია მოგვეჩინა მხოლოდ მაშინ, როცა წარმოდგენას ქმნიან მიზანდასახულობის შესახებ“.¹ ეს არ არის კანტიანური მიზანდასახულობა, როგორც გარეგნულად შეიძლება ბევრს ასე მიეჩვენოს.

ტრაქტატის მე-4 თავი ეძღვნება სისადავის ანუ სიეხადის ანალიზს. მაგრამ მთელი წიგნის მანიხლზე საესებით ნათლად ჩანს ჰოვარტის არაჩვეულებრივად ფაქიზი დამოკიდებულება სისადავისადმი. მგონი არავის ამდენი ყურადღება არ მიუძღუოდა კუმიარობის ხელოვნების შინაგანი ბუნების ამ არსებობად ძირითადი კანონისადმი, როგორც „სილაშხის ანალიზი“ ავტორს. ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში ჰოვარტს უნდა მიეკუთვნოს იმ თეორეტიკოსის სახელი, რომელმაც სისადავე ხელოვნების იმპერატორულ კანონად გამოაცხადა. როგორც მხატვარი, სისადავის პრაქტიკული გამოკიდებულება ფორმირებაში ჰოვარტმა ბოლომდე გამოაყენა, ხოლო როგორც თეორეტიკოსმა განზოგადება მისცა პრაქტიკას და შეიძლო მართლაც ღამად ჩასწვლონოდა იმ კუმიარობებს, რომ არა ყოველგვარი სისადავე, არამედ, მხოლოდ მრავალსახეობასთან შეერთებული კქმინა სილაშხის მრავალსახეობის გარეშე სისადავე მტკნარია და მისი ჩვეულებრივი თვისება მრავალსახეობაგვობაში უნდა ვეძიოთ.

სისადავის, უბრალოების, მაგრამ ამავე დროს მრავალსახეობაგვობის მავალითად ჰოვარტი ასახელებს პირამიდას და მისთვის არ არსებობს სხეული, რომელიც სწორი ხაზებისაგან შედგებოდეს, თან ბევრი ნაწილი არ ჰქონდეს და ისე მრავალსახეობაგვობი იყოს, როგორც პირამიდა.² ამ საიდუმლოების ხელოვნებაში აღრევე მიაგნეს ძველმა მოქანდაკეებმა, — ასე უნდა ფიქრობდეს ჰოვარტი, — ვინაიდან ილუსტრაციისათვის დასახელებულია ლაოკონი.

ძველი როლოსელი მოქანდაკეების — აგონისა და დროსის, აფინდორისა და პოლიდორის ვენიანური კქმინება ჰოვარტს მიაჩნია ყველაზე უკეთეს ნაწარმოებად, რაც კი ბერძნულ ანტიკას შეუქმნია. ლაოკონის პირამიდის ჩარჩობი აქვს და ამიტომ, რომ შეილუ-

ბი მამაზე ორჯერ ნაყლებია, თუმცა სხვა ნაშენების მიხედვით საესებით მოწიფული ადამიანები არიან. ეს „უმეცრე ბუნება“ მოგვჩვენოდა იმისათვის, რომ კომპოზიციის უკეთესობა ფორმა ჰქონდეს, თუ ხეროს დაევალებთ ლაოკონის შესაფუთავად მის ფურღლიან გააქეთოს, ის აუცილებლად მის მისცემს პირამიდის ფორმას, რომელმაც როლოსელი მოქანდაკეების კქმინება მშვენიერად მოთავსდებოდა.³ ჰოვარტი საესებით დაწმუნებულა, რომ სისადავე სილაშხის ადლევს მრავალსახეობასაც, ვინაიდან მას ხდის უფრო მისაწვდომს აღქმისათვის და თავიდან გვაშორებს არეულ-დარეულობის მშვენიერ ფორმებში. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ხელოვნება თავისი ბუნებით რთულია.

ხელოვნება რომ რთული მოვლენაა, ეს აღრევე შეინიშნა ანტიკურმა ესთეტიკამ.⁴ ჰოვარტიც გვერდს ვერ აუვლოდა ამ პრობლემას, რაც მისთვის არა მარტო თეორიულად, პრაქტიკულადაც ცნობილი იყო ხელოვნება, როგორც რთული მოვლენა. მაგრამ მის ინტერესებზე გარეკია არა ეს საკითხი, არამედ, თვით სირთულის, როგორც მოვლენის, არსებობის ბუნებობა და მისი როლი სილაშხის შექმნაში. ტრაქტატის მეხუთე თავი სწორედ ამ პრობლემის ანალიზს შეიცავს. თვით ანალიზი კი იმის მითითებით იწყება, რომ „ყოველგვარ გონებას ყოველთვის მიღრევილება აქვს მოქმედებაში იყოს. ძიებანი — მთელი ჩვენი ცხოვრების საქმეა; მათი მიზნისაგან დამოკიდებულად კი ისინი ჩვენ კმაყოფილებას გვანიჭებენ“.⁵ სიმწედა, რომელიც გარკვეული დროით აულოვნებს და წვეუტს ჩვენს მიერ წამოწყებულ ძიებანს, ბიძგს აძლევს გონებას. ყველავე რთული ამოცანების გადაწყვეტა გონებისათვის სისამოვნო სამეშაოა, საერთოდ, მოქმედება, ძიებება, სიმწედა, სირთულე — ადამიანური ცხოვრების შინაგანი მოთხოვნით დაბანია მათ გარეშე არ არის ინტერესი, მათ ექვთ თავიანთი საჭირო და სასარგებლო მიზანი. მავალითისათვის დასახელებულია მონადირე, რომელიც ნადირობდა უკმაყოფილო ბრუნდება, თუ რაღაც სიმწელე ან სირთულე არ გადალახა (ტურდელემა თუ სემპარისად არ გააწამა). ეს სიყვარული დვენისადმი ჩაქსოვილია ადამიანის

¹ იქვე, გვ. 150.

² იქვე, გვ. 150.

³ იქვე, გვ. 151.

⁴ დაწერილებით იხ. გ. ჯიბლაძე, ხელოვნება და სინაიდვილი, ტ. I, 1955 წ. გვ. 17—18.

⁵ იქვე, გვ. 152.

⁶ იქვე, გვ. 153.

¹ ვ. ჰოვარტი, სილაშხის ანალიზი, გვ. 148.

² იქვე, გვ. 149.

ბუნებაში, ხოლო ცხოველებთან იგი აღბაღ ინსტინქტურია, — ასე ფიქრობს პოგარტი. მძებბარი ძალი, კატა მოუთმენელი გატაცებით მისდევენ თავის მსხვერპლს. პიესის ან რომანის ძაფის კარგ ხლართს ჩვენ დიდი კმაყოფილებით ვაძვევებთ თვალს. „თვალის კმაყოფილებას ღებულობს მსგავსი დაკლავნილი ხეივანი, გველისებურად გაწოლილი მდინარეებით და ყველა იმ საგნით, რომელთა ფორმა, როგორც ჩვენ შემდგომ დაეინახავთ, უმთავრესად შედგენილია იმისაგან, რასაც მე ტაღლისებურ და გველისებურ ხაზებს ვწოდებ“.¹ როგორც აქ, ისე ყველგან, ეს ხაზები პოგარტისათვის სილამაზის ყველაზე უკეთესი და უპირატესადესი ფორმაა. იგი რთულია, ხოლო ფორმის სირთულეს პოგარტი განსაზღვრავს, როგორც ფერმის შემადგენელი ხაზების ისეთ თავისებურებას, რომელიც აძულებს თვალს მისდინოს ამ ხაზებს მისთვის დამახასიათებელი ნივარდით, ხოლო კმაყოფილებას, ეს პროცესი

რომ ცნობიერებამ აძლევს, იგი აქვება სიღამაზე მღვ. ამიტომ „...თვით მიზნოდკლავის ცნება უფრო უშუალოდ დამოკიდებულია ამ წესისაგან (სირთულისაგან), ეიღრე ჩვენისაგან, მრავალსახეობის ვამოკლებით, რომელიც თავისში მართლაც შეიცავს როგორც ამას, ისე ყველა დანარჩენს“.¹

მთელი ეს ანალიზი ბუნებრივად უკავშირდება მოძრაობას, რომელიც ყოველთვის იტაცებს თვალს, ისევე, როგორც კონტრდასის შესრულების დროს კმაყოფილებას განვიცდით საუკეთესო მოცეკვეთაგან. სილამაზის ასეთ კატეგორიას პოგარტი უწოდებს „ო რგანიზებულ რთულ ფორმის სიღამაზეს“. თმის კულული, რომელიც ირბევა, არაწვეულებრივად ღამაზია, რაც კარგად იციან პოეტებმა და ფერმწერლებმა. მაგრამ თავიდან უნდა ივიცილოთ ზედმეტობა ფორმებში, რათა შევინარჩუნოთ სირთულე და სილამაზე.

(გერბელება იქნება)

¹ იბე, გვ. 153. ხაზი პოგარტისაა—გ. ვ.

¹ იბე, გვ. 153.

მიხილ გუჟინდაშვილი

გიორგი წერეთლის შემოქმედებითი მეთოდის თავისებურებანი

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის გიორგი წერეთლის მხატვრული შემოქმედების შესახებ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისი ჩამოყალიბდა. ზოგი კრიტიკოსი გიორგი წერეთელს ნატურალისტად აცხადებდა, ზოგი კრიტიკული რეალიზმის მიმდევრად. ამასთან არცერთი ეს თვალსაზრისი, ჩვენი აზრით, სათანადოდ დასაბუთებული არ არის.

თავის შემოქმედებით მეთოდს გიორგი წერეთელი „შეუფერავ რეალიზმს“ უწოდებდა. მას არ მოუცია „შეუფერავი რეალიზმის“ ყოველმხრივი დახასიათება ერთ რომელიმე წერილში. მისი კრიტიკულ-ესთეტიკური შეხედულებანი გაბნეულია მრავალ წერილსა და რეცენზიაში, რომლებიც გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა. ამ შეხედულებათა თავმოყრა და სისტემატური გადმოცემა, მწერლის ზოგიერთი მსოფლმხედველობისა და ეპოქის საზოგადოებრივი პირობების გათვალისწინება შესაძლებელს ხდის ყოველმხრივ დავახასიათოთ და ავხსნათ გიორგი წერეთლის შემოქმედებითი მეთოდის ძირითადი თავისებურებანი.

ამ თავისებურებებიდან, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ გამოჩენილი ქართველი განმანათლებელი მხატვრულ ლიტერატურას განსაკუთრე-

ბულ მნიშვნელობას ანიჭებდა თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ხალხის ფართო მასების ბრძოლაში; რომელიც გასული საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ჩაღდებოდა. გიორგი წერეთლის თქმით, საერთოდ, მხატვრული ლიტერატურის დანიშნულება ის იყო, რომ „გამოეკვლია გონიერი და საფუძვლიანი დასაწყისები, რომელზედაც მაგრად უნდა დაფუძნებულიყო მომავალი პოლიტიკური წყობილება“. ქართული ლიტერატურის დანიშნულებას კი ამასთან ერთად ისიც შეადგენდა, რომ გაეძლიერებინა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ იმოწმებდა გ. წერეთელი ჩეხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილებას და წერდა: „ძლიერმა ეროვნულმა ლიტერატურულმა მოძრაობამ გამოიწვია ჩეხიის ეროვნული და პოლიტიკური მოძრაობაცო“. ამასვე მოელოდა გ. წერეთელი საქართველოშიც. და, მართლაც, მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლების საქართველოში ლიტერატურა იყო ეროვნული და პოლიტიკური ბრძოლის უმთავრესი ასპარეზი. ხალხის მასების განათლები-სათვის გამოყენებული უნდა ყოფილიყო შედარებით იოლი და უფრო ადვილად მისაწვდომი საშუალება. ასეთ საშუალებად თვლიდნენ ქართველი განმანათლებლები მხატვრულ ლიტერატურას. ამაზე ამბობდა ნ. ნიკოლაძე: „ხალხის

გონება სიტყვას, მოძღვრებას, აზრს ისე ადვილად ვერ იტყვებს და ინსოუმებს, როგორც მოქმედებას, ან სურათს“. გ. წერეთელიც იზიარებდა ამ შეხედულებას. მან იცოდა, რომ „თავი კანონი ესთეტიკისა არის ცხოვრების სურათის სიტყვით ვაცოცხლება;“ მაგრამ მისი შემოქმედებითი მეთოდის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ისაა, რომ იგი, როგორც ნ. ნიკოლაძემ შენიშნა, ზოგჯერ ივიწყებდა ამ კანონს და ამის გამო მის მხატვრულ შემოქმედებაში მხატვარი ხშირად ადგილს უთმობდა მოაზროვნე პუბლიცისტს. ამასთან ეს გარემოება აიხსნება არა იმდენად გ. წერეთლის ნიჭის თავისებურებებით, რამდენადაც იმ ესთეტიკური თეორიის თავისებურებებით, რომლითაც გ. წერეთელი ხელმძღვანელობდა. ამ თეორიას გ. წერეთელი „ნამდვილ, შეუფერავ, შეუკეთებელ რეალიზმს“ უწოდებდა და მკვეთრად განასხვავებდა მას ი. ჭავჭავაძის რეალიზმისაგან. და უნდა ითქვას, რომ რატიგ ტენდენციურიც არ უნდა იყოს გ. წერეთლის შეხედულება ი. ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაზე, ერთი ცხადია: გ. წერეთლის რეალიზმი, მისი ხელოვნების თეორია მნიშვნელოვნად განსხვავდება ი. ჭავჭავაძის რეალიზმისაგან.

გ. წერეთლის „შეუფერავი რეალიზმის“, როგორც მისი შემოქმედებითი მეთოდის გამოსავალი დებულება ის არის, რომ ხელოვნება, კერძოდ, ლიტერატურა უნდა ასახავდეს ბუნებისა და საზოგადოების რეალურ ცხოვრებას. ამ შემთხვევაშიც გ. წერეთელი ემყარებოდა თავის დიდ მასწავლებელს ჩერნიშევსკის, რომელიც, როგორც ცნობილია, ხელოვნებას და მის დანიშნულებას ასე განსაზღვრავდა: „ხელოვნება არის სინამდვილის ხელახლა წარმოქმნა... ხელოვნების პირველი დანიშნულება, რომელიც მის უკლებლივ ყველა წარმოებს ეკუთვნის, — ბუნებისა და ცხოვრების გადმოღება, ხელახლა წარმოქმნა“. ამ მხრივ გ. წერეთელი

არავითარ განსხვავებას არ ხედავდა ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის. „მხატვრული ლიტერატურა... ამ ბოზდა იგი, — ისეთივე მიზნებით უნდა ხელმძღვანელობდეს ცხოვრებაში, როგორც ყოველი ზუსტი მეცნიერება: ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვების გზით მან უნდა მოსძებნოს ჭეშმარიტება“. ამასთან ხელოვნება, გ. წერეთლის აზრით, მხოლოდ დაახლოებით ასახავს ცხოვრებაში უფრო სრული სახით არსებულ საგნებსა და მოვლენებს. ხელოვნების ყველა დარგის ამოცანა „ცხოვრების, ცოცხალი ტიპების ასახვა; მაგრამ რაჟი მათ არ შეუძლიათ საგნებით განახორციელონ თავიანთი მოწოდება, კმაყოფილდებიან მხოლოდ დაახლოებით შესრულებით“.

მაგრამ რას გულისხმობდა გ. წერეთელი ცხოვრების ასახვაში? იგი გულისხმობდა საგანთა და მოვლენათა გადაღებას ხელოვნებაში მთელი ნაით ბუნებრივი სახით. ამიტომ ეწინააღმდეგებოდა იგი იმ ადამიანებს, რომლებიც ამტკიცებდნენ: დახატული ხე სჯობია ცოცხალსო. ასე რომ იყოსო, ამბობს გ. წერეთელი, მაშინ ლუდოვიკო მეორე ბუნებრივ ტყეს სცენად არ გადააქცევდაო. თავისი შეხედულების დასაბუთებლად გ. წერეთელი იმეორებს ემილ ზოლასაც, რომელიც, მისი თქმით, „რეალიზმის თანამედროვე სკოლისა და შენობორკავ ხელოვნურ მოთხოვნილება-თაგან სცენის განთავისუფლების პრინციპების ცნობილი წარმომადგენელია“. ამრიგად, გ. წერეთელი ფაქრობს, რომ ბუნებრივი მშვენიერება ხელოვნურ მშვენიერებაზე უფრო სრული და მაღალია. ამასთან მშვენიერი, გ. წერეთლის აზრით, ის არის, რაც სასარგებლოა, რადგან „ახლანდელს დროში მოწინავე ხალხი... სიმშვენიერეს ბევრს აღარ დასდევენ; ისინი მშვენიერებასა და პოეზიას ზევით ძალასა და გამოჩინას აყენებენ“. მაგრამ ეს არ ათავისუფლებს ხელოვანს მისი მთავარი მოვალეობისაგან — ასახოს ბუნება და სა-

ზოგადობა, ისე, როგორც იგი არის. „მხატვარი, — ამბობს გ. წერეთელი, — მოვალეა მოგვეცეს თვით ცხოვრების სახე მისი გარემომცველი ყველა გარემოებით ისე, როგორც იგი არის, რათა მივიღოთ მისი ყველაზე მართალი ასახვა. მასში თვითთუქლი პირი თავისთავად უკვე ტიპია; მას ატყვია ღრმა ანაბეჭდი იმ ცხოვრებისა, რომელშიც ეს პირი შექმნა. აღურიცხველად მრავალ ასეთ პირთა რიგში არიან ისეთები, რომლებიც ცხოვრების მთლიან შედგენილობაში მთელი თავით მალა დგანან სხვა მათ მსგავსებებზე“. მაგრამ ხელოვნებამ რეალური ცხოვრების ყველა მოვლენა, დიდიც და მცირეც; ბუნებრივად უნდა ასახოს. ამასთან ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ხელოვნება ყველა მოვლენა ტიპიურად უნდა მიიჩნიოს. გ. წერეთელს ტიპიურობის პირველ ნიშნად რეალობა მიაჩნია. მისი აზრით, ტიპიურია განზოგადებული რეალობა, რომელიც არსებობდა, არსებობს ან იარსებებს. მაგრამ ყოველივე არსებული ან შესაძლებელიც არ არის ტიპიური. ტიპიურის უფრო არსებით ნიშნად გ. წერეთელს მიაჩნია ის, რომ ტიპი არის მრავალ მსგავს მოვლენათა განზოგადებული ჯამი. „შესაძლებელი დიად ბევრი რამეა ქვეყანაზე, — ამბობდა გ. წერეთელი, — მაგრამ ყველა ღრამის საგნად ხომ არ აიღება?... მაგალითს მოგახსენებთ: იმერეთში ბატონყმობის დროს ერთმა თავადიშვილმა თავის მოახლე შეირთო ცოლად, მაგრამ აქედან ნუთუ ის უნდა გამოვიყვანოთ, რომ იგი უნდა გახდეს ღრამის საგნათ და ამით დაერწმუნდეთ, რომ ჩვენში წოდებთა გარჩევა არ ყოფილა? ხელოვნების რომელსაზე ნაწარმოებისაგან ჩვენ ვითხოვთ ტიპს (საზოგადო შემკრებლობითის მოვლენის ნაყოფს) და არა განკრძობებულს პირს (შემთხვევითს მოვლინებას)“.

ტიპიურის ასეთი განსაზღვრა, მიუხედავად მისი არასიზუსტისა, თავის დროისათვის წინგადადგმული ნაბიჯი იყო

და სავსებით გამომდინარეობდა გ. წერეთლის ესთეტიკური თეორიის უმთავრესი დებულებიდან — ხელოვნებამ მთელი ბუნებრიობით უნდა ასახოს ბუნებისა და საზოგადოების რეალური ცხოვრებაო. გ. წერეთელი გამოხდა არაბუნებრივ, ფანტასტიკურ ამბებზე აგებულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს. იგი ლიტერატურული ნაწარმოებისაგან მოითხოვდა მეცნიერული სიზუსტით აესახა ბუნება და საზოგადოება, რომელთა განვითარების კანონების შესახებ მეცნიერული ცოდნის გაერცლებას გ. წერეთელი ლიტერატურის ერთ-ერთ ძირითად დანიშნულებად თვლიდა. მაგრამ „საცა ერის გამოხატულება ბუნების კანონების წინააღმდეგია, პოეტური სურათები ცრუ და ერის გონების შემაშინებელია, — იქ ნამდვილი ცოდნის შექმნა და მეცნიერების მოპოება შეუძლებელიაო“, — ამბობდა იგი. ლიტერატურას უნდა ეჩვენებინა „ნამდვილი კაცი, რომლის ზნეობითი სიდიდე და დამცრობა უმეტეს ნაწილთ გაერმოებაზეა დამოკიდებული“. ამიტომ იყო, რომ გ. წერეთელი „ვეფხისტყაოსანში“ არაბუნებრივი მომენტების შემცველ ზოგიერთ ადგილებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებდა იმ ადგილებს, რომლებშიც დახატულია „მრავალგვაროვნებით სავსე ბუნება“ და „ნამდვილი კაცი“. ამიტომ იყო, რომ „დავითიანის“ იმ ნაწილთან შედარებით, რომელშიც ლეთაებრივი ფანტასტიკის ყოვლისშემძლეობაზეა ლაპარაკი, გ. წერეთელი უპირატესობას აძლევდა იმ ნაწილს, რომელშიც ლაპარაკია სწავლისა და შრომის მნიშვნელობის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ ებრძოდა გაქირვებას „მხოლოდ დაფლეთილის პერანგის ამარა, თავგადააპარსულს. ფეხშიშველა კაცი“. საერთოდ დ. გურამიშვილის შემოქმედებას კი გ. წერეთელი ასე ახასიათებდა: „გურამიშვილის თხზულებებში მოქორწიებული არა არის რა... დავით გურამიშვილის თხზულებაში აღიბეჭდა თავის თანამედროუ-

ლი სურათი ერის ცხოვრებისა: იმისი აზრი, სულისკვეთება და გაჭირვება“. ამასვე მოითხოვდა გ. წერეთელი მისი დროის მწერლებისაგან: „მოგვეცით, დაგვიხატეთო ხელოვნურად ჩვენი აწინდელი ცხოვრება... შორს ჩვენგან ცრუკლასიკური გამოხატვა ცხოვრებისა“. გ. წერეთლის შეხედულებით, მწერალს მისი თანამედროვე ცხოვრება, მის მიერ „ნახული და განცდილი“ უნდა აესახა იმიტომ, რომ მოეცა სინამდვილის რაც შეიძლება მართალი, ბუნებრივი, შეუფერავი სურათი, რომელშიც მკითხველი დაინახავს არა „ელვარე ფორმას“, არამედ „შინაგან აზრს“. მხოლოდ ამ პირობით შეუძლია ლიტერატურას სთქვას ხალხის სიტყვა, სთქვას ის, რაც სტანჯავს ხალხს, შემოქროს ის ნაკლოვანებანი, რომლებიც აბრკოლებენ ცხოვრების განვითარებას და აჩვენოს ხალხს ის „შეშინებები და კანონები, რომლების ძალითაც ისპობა ეს ნაკლოვანებები“. „მაგნებელია ლიტერატურა და პოეზია, — ამბობს გ. წერეთელი, — როდესაც ის არ მსახურებს ხალხის ცხოვრებას, ატარებს დროებას ფუჭ დეკლამაციაში, როდესაც გადაღებაში... გამომღები ხელმძღვანელობს ერთ გარეგან ბრკიალა სახით და ვერ სცნობს მის მართალს მნიშვნელობას, მის შინაგანს აზრს, ურომლისოდაც თვით ელვარე ფორმა ფუჭია და მანებელი“.

ამრიგად, გ. წერეთელი ხელოვნების ამოცანად თვლიდა არა მარტო ცხოვრების შეუფერავ ასახვას, არამედ ცხოვრების გარდაჭმნასაც. „ცხოვრების ცუდი მხარეების დამახასიათებელი მწერალი, — ამბობდა იგი, — მითი ნუგეშობს და იმედი უუეთესი მომავლისა მით უათვეცდება, რომ ის ღრმად დარწმუნებულია: ჩემი მწერლობით თანამედროვე ცხოვრება გაუმჯობესდებაო და ერთი წარმატებით ნაბიჯს წინ წარდგამსო“. ამასთან უიდეო ხელოვნების, მგომბელი გ. წერეთელი გადაჭრით ილაშქრებს ხელოვნების ტენდენციურობის

წინააღმდეგ. მისი აზრით, ხელოვნება გარკვეულ იდეას უნდა გამოხატავდეს, ამ იდეის უარყოფას ან დამკვიდრებას უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ ხელოვნების იდეურობა თავისთავად გამომდინარეობს ცხოვრების შეუფერავი ასახვიდან. გიგო გაბაშვილის მხატვრობასო, — წერს გ. წერეთელი, „ზოგი გამომეტყველებს უწუნებს, ზოგი პეიზაჟის უხერხულობას, ზოგიც ასე ამბობს, ყოველიფერი ნამდვილად არის გამოყვანილი, მაგრამ მის მხატვრობას იდეა აკლიაო... იგი, — ამბობს შემდეგ გ. წერეთელი გაბაშვილზე, — ეკუთვნის რეალურ შკოლას, ყოველიფე მისგან გამომხატული სურათი ცხოვრების სინამდვილით არის აღბეჭდილი. და რადგანაც თვით ცხოვრება და მისი მოვლენა იგივე აზრი და იდეა არის, მაშ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ მოკრიტიკის დაფასებას, რომელიც ამტკიცებს, რომ გაბაშვილის მხატვრობა მართალია, ცხოვრების სინამდვილით არის აღბეჭდილი, მაგრამ იდეა აკლიაო. ცხადია, რომ მოკრიტიკე ან სუსტობს ხელოვნების ცოდნაში, ანდა მხატვრობაში მის სატრფიალო ტენდენციას ეძებს, ის კი არ იცის, რომ გაბაშვილის მხატვრობის ღირსება კიდევ იმითაა უფრო ამაღლებული, რომ ეს ესრეთ წოდებული ტენდენცია იქ არ არის“...

აქედან ნათლად ჩანს, რომ გ. წერეთლის ესთეტიკურ თეორიას, მის „შეუფერავ რეალიზმს“ საფუძვლად ედო მისკვე ფილოსოფიური მსოფლმხედველობა — საბუნებისმეტყველო — მეცნიერული მატერიალიზმი. მეორე მხრით, გ. წერეთლის ესთეტიკური თეორიის შინაარსი განისაზღვრებოდა მისივე პოლიტიკური მსოფლმხედველობით — დემოკრატიზმით. ამიტომ იყო, რომ წინააღმდეგ დ. მიქელაძისა, რომელიც უარყოფდა კლასთა ბრძოლის არსებობას 90-იანი წლების საქართველოს სინამდვილეში და ამის შესახამისად მხატვრული ლიტერატურის ამოცანად თვლიდა სინამდვილის შეფერავებას და

გაიდეალებას, გ. წერეთელი წერდა: „ხელოვნება და ლიტერატურა მხოლოდ მაშინ არის საზოგადოების გონების განმავითარებელი, როცა იგი თავით ცხოვრებაზეა დაკავშირებული, როდესაც იგი აღმოხატავს ნამდვილად ზედმიწევნილი სიმართლით ცხოვრების ვითარებას, მის გულისტკივილს, მის გულისკრილობას, რომ საზოგადოებამ და მთელმა ერმაც სამართლიანად იძიოს წამალი თავის სატკივრისა და დამაუძლურებელის სენისაგან თავი განიკურნოს“.

მდაბიო ხალხის ცხოვრების ასახვას, მისი რეალური ინტერესების დაცვას, ერთი სიტყვით, მდაბიო ხალხისათვის წერას გ. წერეთელი მწერლის უმაღლეს დანიშნულებად თვლიდა. ამიტომ ამბობდა იგი: მე მეცნიერებისათვის კი არ ვწერ, „უფრო მდაბიური მკითხველის მეშინია“. ამიტომ აფასებდა გ. წერეთელი ე. ნინოშვილის შემოქმედებას. იგი, — ამბობდა გ. წერეთელი ნინოშვილზე, — „დასტიროდა ქართველი ხალხის ჩაგრული ნაწილის გაპირვებასა და ტანჯვას... მან თავის ნაწარმოებებში გვაჩვენა, რომ ქართველმა გლეხობამ, ამ უმრავლესობამ ჩვენი ერისა, — რომლისგანაც საქართველო ელის განვითარებას, პროგრესულ მოძრაობას, — უკვე გამოიღვიძა, შეირხა და ვითარდებოდა... იმან მიგვიათთა ჩვენი ერის საძირკველზე, მიწის მუშა დაბალ მშრომელ წოდებაზე და ცხოველის სურათებით დაგვიხატა, თუ რა დაცემულ მდგომარეობაშია იგი... იმან ამით შეგვასმინა, რომ მივეშველოთ ამ დაცემულს ბურჯს ჩვენი ერისას, წამოვაყენოთ იგი, ზნეობით ავამაღლოთ: მივეცეთ მას ზურგი და მასთან ხელისხელჩაკიდებულნი ვისწრაფოთ ერთად ერის წარმატებისათვის“.

რა თქმა უნდა, ამ სიტყვებით გ. წერეთელი იცავდა ლიტერატურის ხალხურობის იმავე შეხედულებას, რომელიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მთელი ქართული პროგრესული ლიტერატურის ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელო

პრინციპს წარმოადგენდა. მაგრამ გ. წერეთლის შემოქმედებითი მეთოდის თავისებურება ამ შემთხვევაში მისი იყო, რომ იგი ხალხის ცხოვრების ასახვაში გულისხმობდა ყოველდღიური ცხოვრების მომაკვდავი თუ განვითარებადი მხარეების პირდაპირ გადღებას, ყოველმხრივ და ყოველგვარი სუბიექტური ტენდენციის გარეშე. გ. წერეთლის შეხედულებით, ლიტერატურას ზედმიწევნით სწორად, პირდაპირ მეცნიერული სიზუსტით უნდა აესახა „ცოცხალი, ერთნაირ ბუნებაში და გარემოებებში შექმნილი ტიპიური არსებები“. იგი თვლიდა, რომ „შეუფერავი რეალიზმის“ ამ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა ი. ჰავკავაძისა და ქართველი ნაროდნიკი მწერლების „სანტიმენტალურ-ტენდენციური მიმართულება“ და ამიტომ „ლუარსაბი და დარეჯანი უფრო კარაკატურას წარმოადგენენ ქართველი მებატონის და ქალბატონის ტიპებისას“, ხოლო ნაროდნიკი მწერლების მიერ გაღმერთებული განუვითარებელ გლეხთა ტიპები „რაც არ იყვნენ ნამდვილი ცხოვრების წარმონაწილი, როგორც არ იყო თვით გლახა თ. ილ. ჰავკავაძისაო“ გ. წერეთლის ამ მკდარი შეხედულების წყაროა მისივე ფილოსოფიური და ესთეტიკური მსოფლმხედველობის შეზღუდულობა. რაკი ცხოვრება იგივე აზრი და იდეაა, მსჯელობს ბუნებისმეტყველი მატერიალისტი და „შეუფერავი რეალისტი“, მაშასადამე, საჭირო აღარ არის ცხოვრების რეალური ფაქტების „განაზრება“ (განზოგადება) და გაიდეალება; რაკი ცხოვრებაში რეალურად არსებობენ აზრები და ტენდენციები, ამიტომ საკმარისია ავსახოთ, გადავიღოთ ისინი ხელოვნებაში და მივიღებთ „ცოცხალ ტიპებს“, რომლებიც მოგვეცემენ ცხოვრების ყველაზე უფრო სრულ, მართალ და იდეურ გამოხატულებას. ესაა, გ. წერეთლის აზრით, რეალური ცხოვრებიდან აღებული „ცოცხალი ტიპების“ უპირატესობა რეალური ცხოვრებისაგან განყენებით, რეალური ფაქტების განზოგადებით მიღებული „ტენდენციური ტიპებისაგან“. სწორედ აქ იჩენს თავს

გ. წერეთლის „ობიექტივისტობა“ და „ნატურალისტობა“; რაზედაც სამართლიანად მიუთითებდნენ ი. გომართელი და ნ. ნიკოლაძე, მაგრამ ეს ობიექტივიზმი, რომელიც ვითომ „ტენდენციის გულისათვის არ ამახინჩებდა ცხოვრებას“, არც ისე „უნაკლოა“, როგორც გომართელს ეგონა. საქმე ის არის, რომ ცოცხალი ტიპების ობიექტივისტური ასახვა, გაცილებით უფრო არასრულ და არა ქვეშარტ სურათს იძლევა რეალური ცხოვრებისას, ვიდრე „რეალური ფაქტების“ „ტენდენციური“ განყენება სინამდვილისაგან და მათი განზოგადოება, რადგან მწერალი სინამდვილის კონკრეტული ფაქტების განზოგადოებას რომ აღდგენს, ამით კი არ შორდება სინამდვილის ჰემარიტ სურათს, არამედ კიდევ უფრო უახლოვდება და ღრმად სწევდება მას. გ. წერეთლის ესთეტიკური თეორიის სუსტი ადგილი სწორედ ამის გაუთვალისწინებლობაა. მეორე მხრით, არც ის არის მართალი, თითქოს გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედება მოკლებული იყო ტენდენციურობას, ან როგორც გომართელი ამბობდა, თითქოს „მის ნაწერებში მისი საკუთარი მე არ გამოსუვიოდეს, მისი საკუთარი სიმბატია, ანტიბატია, სურვილი, მისწრაფება არ აძლევდეს თავისებურ ელფერს იმ მოვლენებს და პირობებს, რომლებსაც ის ხატავს“. თავი რომ დავანებოთ გ. წერეთლის მხატვრულ ქმნილებათა პუბლიცისტურ ადგილებს (მაგალითად, „მგზავრის წერილებს“ მეორე ნაწილს), რომელთა ტენდენციურობაზე სრულიად სამართლიანად მიუთითა ნ. ნიკოლაძემ, — მისი ნაწარმოებების მხატვრულად ყველაზე სრულყოფილი სურათებიდანაც ნათლად ჩანს გ. წერეთლის ტენდენციურობა, მისი „სიმბატია — ანტიბატია“, — ჩანს, რომ გ. წერეთელი მხარს უჭერს ბურჟუებს ფეოდალების წინააღმდეგ და „მშრომელებს“ ბურჟუების წინააღმდეგ. ესაა გ. წერეთლის „მეუფერავი რეალიზმის“ იდეური შინაარსი ობიექტურად, პრაქტიკაში. მამსადაძე, პრაქტიკაში მან არაბობად აქცია „მეუფერავი რეალიზმის“ მცდარი სუბიექტუ-

რი თეორიული თვალსაზრისი — ხელოვნება ტენდენციური არ უნდა იყოს — და გასცა მის ვიწრო ფარგლებს, ამასთან მთავარი ის კი არ არის, აღიარებდა თუ არა გ. წერეთელი თეორიულად ხელოვნების ტენდენციურობას, მთავარი ის არის, რომ პრაქტიკულად მის მხატვრულ შემოქმედებაში აისახა მისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური ტენდენცია — ფეოდალიზმის მოსპობისა და კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობა. ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში, რადგან ამ ლიტერატურის თვით ისეთი კლასიკური წარმომადგენლის შემოქმედებაშიც კი, როგორც ი. ჭავჭავაძეა, ძირითადად იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური ტენდენციის — ბატონყმობის მოსპობის და კაპიტალიზმის განვითარების მხოლოდ ცალი მხარე — ბატონყმობის მოსპობის აუცილებლობა აისახა და აისახა უფრო ზუსტად და მაღალ იდეურ-მხატვრულ დონეზე, ვიდრე ამას „მეუფერავი რეალიზმის“ ზოგადი პრინციპები ითვალისწინებდა. ამ მხრივ ი. ჭავჭავაძე მთელი თავით მაღლა დგას გ. წერეთელზე, რადგან იგი ბატონყმური ცხოვრების კონკრეტული ფაქტების გენიალური მხატვრული განზოგადებით უფრო ღრმად ჩასწვდა სინამდვილის ობიექტურ ტენდენციას, ვიდრე ამას მოახერხებდა „ცოცხალი ტიპების“ რომელიმე გადაშლები და ხელოვნების ტენდენციურობის უარყოფელი. რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი „ცოცხალი ტიპების“ შექმნას აუცილებელი უნდა გაეხადოს სინამდვილის ასახვა მეცნიერული სოზუსტით და დაემკობებინა შემოქმედისა და შემოქმედებითი ფანტაზიის როლი სინამდვილის ასახვის საქმეში. და გ. წერეთელი არც უარყოფდა ამ აუცილებლობას. ამას მოწმობს გ. წერეთლის მთელი ესთეტიკური თეორია, განსაკუთრებით კი, გ. წერეთლისეული განსაზოგერა მწერლისა. გ. წერეთლის აზრით, მწერალი არის საზოგადოების ჩვეულებრივი წევრი, რომელიც აჩვენებს ხალხს სა-

ზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებებსა და ამ ნაკლოვანებათა მოსასპობ მეცნიერულ საშუალებებს, რომლებზედაც უნდა დაფუძნდეს უკეთესი საზოგადოებრივი ცხოვრება. ამ ამოცანების შესრულება შეეძლო საზოგადოებათმეცნიერებას დაუფლებულ მეცნიერსაც და უნდა ითქვას, რომ გ. წერეთლის მიერ მოცემული განსაზღვრის მიხედვით, მწერალი საზოგადოებათმეცნიერი უფრო არის, ხოლო მწერლობა — საზოგადოებათმეცნიერება.

ასეთია გ. წერეთლის შემოქმედებითი მეთოდის ძირითადი მოთხოვნები, რომლებსაც პრაქტიკაში გ. წერეთელი არცთუ სავსებით ზუსტად ატარებდა და ამიტომ მისი მხატვრული ნაწარმოებებისათვის უცხო როლია კრიტიკულ-რეალისტური სული (ეს საკითხი ცალკე შესწავლის საგანია). მაგრამ ძირითადად გ. წერეთლის მხატვრულ-შემოქმედებითი პრაქტიკაც და თეორიაც იმის შაჩვენებელია, რომ „შეუფერავი რეალიზმი“ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა კრიტიკული რეალიზმისაგან. ეს ბუნებრივია, რადგან „შეუფერავი რეალიზმი“ იყო არამართი გაგებლება, არამედ შემდგომ განვითარებად კრიტიკული რეალიზმისა. ეს განვითარება ზოგიერთ ხაზებში ნატურალიზმისაკენ მიემართება, მაგრამ ამით „შეუფერავი რეალიზმი“ არც მხოლოდ უარყოფით მოვლენად ჩაითვლება და არც გ. წერეთლის მხატვრული ნიჭის სისუსტის მანიფესტად. რა თქმა უნდა, „შეუფერავი რეალიზმს“ ჰქონდა ნაკლოვანებანი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც იმაში მდგომარეობენ, რომ იგი თეორიულად თითქმის აიგივებდა მხატვრულ შემოქმედებას საერთოდ შემეცნებასთან, ამცირებდა მხატვრის, მხატვრული ფანტაზიის და მათი მეშვეობით ცოცხალი სინამდვილის განზოგადების როლს მხატვრულ-შემოქმედებითს პროცესში, ხელო-

ვნების ტენდენციურობის თუნდაც უარმაღური უარყოფით უბიძგებდა ხელოვნებას. აბოლიტივიზმისა და ობიექტივიზმისაკენ. მაგრამ ამ ნატურალისტური ელფერის უარყოფით მხარეებს ვარდა „შეუფერავი რეალიზმს“ ჰქონდა მრავალი დადებითი მხარე, იგი მოითხოვდა ხელოვნებისაგან თანადროულობის საზოგადოებრივი ტენდენციების ასახვას, ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების შეცნობას და მათ გამოყენებას საზოგადოებრივი ცხოვრების გარდასაქმნელად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის არის, რომ „შეუფერავი რეალიზმი“ მოითხოვდა მდებრივ ხალხის ინტერესების დაცვას ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მხრივ გ. წერეთლის „შეუფერავი რეალიზმი“ ძირეულად განსხვავდება დასავლეთ-ევროპული ნატურალიზმისაგან, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ყოველგვარი ანალოგიის არსებობის უარყოფა შეუძლებელია. იმ დროს დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში ფეოდალიზმი დიდი ხნის განადგურებული, ხოლო ბურჟუაზია დიდი ხნის გაბატონებული იყო. საქართველოში კი ფეოდალიზმის ძლიერი ნაშთები ჯერ კიდევ არ იყო აღმოფხვრილი, თუმცა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება ბურჟუაზიული გზით მიემართებოდა. „შეუფერავი რეალიზმი“ ფეოდალიზმის ნაშთების წინააღმდეგ მებრძოლა წვრილბურჟუაზიულ-გლეხური ფენების პროგრესულ ინტერესებს გამოხატავდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად დასავლეთ-ევროპული ნატურალიზმისა და ქართული „შეუფერავი რეალიზმის“ ერთგვარი თეორიული მსგავსებისა, მათი პოლიტიკური, სოციალურ-კლასობრივი შინაარსი არაერთად განსხვავებული იყო. ამიტომაც უნდა ჩაითვალოს შეცდომად შეუფერავი რეალიზმის სრული გაიგივება ნატურალიზმთან.

გიორგი მარკვილაძე

მხატვრის ოსტატობა

მიხეილ ჭავჭავაძის „არსენა მარაბდელი“ დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას, როგორც ჩვენი ისტორიული წარსულის მსახურის ახალი საფეხური ქართული კლასიკური ეპიკური ფორმის განვითარებაში. „არსენა მარაბდელი“ სიუჟეტურ-კომპოზიციურ წყობაში მრავალი ისეთი ელემენტია, რომელიც მას ახალი ტიპის ეპოპეის ფორმას აძლევს.

ჭერ ერთი, მისი ბევრი პერსონაჟი, მძაფრად გამოვლენილ რეალისტურ ხასიათთან ერთად, ატარებს რომანტიკულ იერსაც. რეალისტურ-რომანტიკული საწყისების ეს ერთობლივი კომპლექსი, რომელიც სიტუაციებსაც აბლუბურ აქტუალებს ანიჭებს, საინტერესოდ გამოითქვს რომანის კომპოზიციას. ეს თავისებური სპეციფიკური ბერბი დაეხმარა მწერალს შეექმნა ახალი ტიპის ქართული ისტორიულ-პერსონაჟული რომანი. კონფლიქტებიც და მათი გახსნის მხატვრული საშუალებებიც აქ სხვაა, ვიდრე, მაგალითად, „ჯაყოს ხიზნებში“, „გივი შადურში“, „თეთრ საყელოში“, ან, თუნდაც, ქართული ხალხის რევოლუციური წარსულსადაც მიძღვნილ რომანში — „ქალის ტვირთში“.

გიორგი, — „მარაბდელი“ პერსონაჟები საზოგადოებრივი მოვლენების, ცხოვრების პირშონი არიან. მათი ბედის გაპირობებულობა სოციალური გარემოთი, მათი ფსიქოლოგიური სამყაროს ამოხსნა, როგორც ამ გარემოს შედეგისა, რომანში გადამოლილია მრავალმხრივი მხატვრული, მდიდარი კომპოზიციური საშუალებებით.

და მესამეც, — სტილური ბერბების ორიგინალური სინთეზი აქ ქმნის განსა-

კუთრებულად გამოკვეთილ ერთ მთლიან მხატვრულ სისტემას თავისი მრავალფეროვნებითა და იდეური დატირთვით.

პირველი მთავარი პრობლემა, რომელიც ოსტატობის თვალსაზრისით საინტერესოდ არის გადაწყვეტილი რომანში, ეს არის ხალხის მონუმენტური სახის ხატვის, მთავარი გმირის საშუალებით ხალხის სულის განსახების, გმირისა და ხალხის ურთიერთობის პრობლემა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „მარაბდელი“ თანამედროვე ქართული რომანის მთელს წყებაში დღემდე რჩება ისეთ ეპიკურ-ისტორიულ ტილოდ, რომელშიც ყველაზე მკაფიოდ არის დახატული მშრომელი ხალხის მასები მისი ტიპური წარმომადგენლების სახით და მისაღმი დაპირისპირებული სხვა სოციალური კლასები თუ ფენები.

უსათუოდ, ხალხის სახის ჩვენების ორიგინალური ოსტატური მანერით არის გააზრებული რომანის ის პასაჟები, რომლებიც თავადაზნაურული არისტოკრატისა და მარაბდელი გლეხების დაპირისპირებას ეყრდნობა. მრავალი ისეთი დამახასიათებელი პასაჟიდან ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ ორს, რომლებშიც მოცემულია ხალხის ძალის ვალდებობის ჭერ ემპრიონალური, ხოლო შემდეგ — ძალმად გამოკვეთილი პროცესი.

პირველ მათგანში დახატულია წინააღმდეგობა ვასელისა, რომელსაც ალგეთლები ტრადიციული ზემით ხედეიან. აქ მკვეთრი კონტრასტის მოშველიებით, რაც ორი სიმღერის ფონზეა წარმოქმნილი, მხატვარი აღწევს ხალხის ძალის,

ტრადიციის, სიცოცხლის ოპტიმისტური აღქმის ძლიერ წარმოქმნას, ხალხს განსაღი ზელის დაპირისპირებას თავად-თა გადაგვარებულ ყოფასთან.

აი, მებატონე ბარათაშვილების უკანასკნელი წარმომადგენელი დავითი ჭოჭინაში ჩაწოლილა, თარს აქლარუნებს და „უნდლილად“ ლილინებს აღმოსავლურ კილოზე, რადგან „თავადებს სუფრასზე სამ ხმაზე აღარ მღეროან: სამხმოვანი სიმღერა გლეხურია, მდაბიური, ქართული, ხოლო ერთხმოვანი სპარსულ-ოსმალური გაფი და მუხამბაზი, შექასტა და მუსტაზადი, ბაიათი და ყველა „ყოი-და“ დადებულთა სამღერალია, რადგან იგი მათი გადაგვარებული სულის გამო-ნაყოინა“.

ამგვარად არის მინიშნებული თავად-თა მიერ დაკარგვა დიდებული ეროვნული ტრადიციებისა, რომელიც მხოლოდ ხალხს შემოუნახავს. ამ ხალხის დევგმირული ძალის გამომხატველია არსენას მამა — ლეთისავარი. „ყველა საქვეყნო საქმეს ის ნათლავს, ისა ზრდის, ჰკვებავს, მისდევს და მოქდევბა“ (გვ. 76). ახლაც ქუხილად ამოგარდნილი მისი სიმღერა უპირისპირდება ჭოჭინიდან მონადენ აღმოსავლურ ქვეითისა და სლოკინს. ლეთისავარს პაპუნა ესიტყვება, პაპუნას — ფეიქარი ნასყიდა, ნასყიდას ბერუა ჩამოართმევს სიმღერას და ზარით ვით გუგუნებს ოციოდე გლების გაუმზარავი ხმა, რომელშიაც ინთქმება და იკარგება აღმოსავლური მოტივი. ეს სიმღერა როგორც ხალხის ძალისა და ერთიანობის, ისე შინაგანი სულიერი მღეღვარების სიმბოლური გამოხატვაა.

მეორე პასაჟია აჯანყებულთა დაფიცება დროშაზე. აქაც ასეთივე მხატვრული ძალით არის გახსნილი ხალხის ხასიათი, აქაც იგი ნაჩვენებია ისტორიის შემქმნელ ძალად და ისტორიული ტრადიციების ნამდვილ გამგრძელბლად. საბარათიანოს დროშა, რომელსაც წინათაც მახარა და ლეთისავარი ატარებდა (მაგრამ მაშინ იგი საგვარეულო ღირსებას გამოხატავდა), ახლა არსენას ხელთაა და მასზე ახალი წარწერა ჩნდება. ეს წარწერა მას დროისა და ეპოქის შე-

საფერი ახალი შინაარსით გამსჭვალავს. ასე ჩნდება საბრძოლო დროშაზე თანდასწორების და თანასწორების ლოზუნგი. თვით დროშა იქცევა აჯანყებულთა ხალხის მიზნის, მისი იდეის თავისებურ სიმბოლოდ, რომლითაც დევდება ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის ჩაუქრობელი ცეცხლი.

მაგრამ დროშის ამ სიმბოლოდ ქცევას რომანში ხომ ესაჭიროებოდა თავისებურა შემზადება, მხატვრული განვითარების ლოგიკა!

და ჩვენ აქ გვაგონდება მესამე პასაჟიც — რომანის დასაწყისში ასე ოსტატურად გამოკვეთილი კოლიზური სცენა. როცა კოლონიზატორი, მაიორი არლოვი, გაოცებული და გააფთრებული იმით, რომ ქვემო ქართლს თავისი მეწინავე დროშა ჰქონია, გადასწყვეტს მის ჩამორთმევას, მას წინ გადაელობება არა ბარათაშვილები და ორბელიანები, არამედ ხალხის ძალა არსენას სახით.

„არსენა მაიორს საწადელს მიუხვდა. პირსახეზე მწვავე აღმურმა აპკრა და თავში აუჯარდა.“

ეს რა მიქარა ბასილ მაიორმა? სურს დროშა ჩამოართვას? ვის, ბარათაშვილებს და ორბელიანებს? კეთილი, მაგრამ ეს ალაში მარტო მათი ხომ არ არის! არა, მარტო მათი აღარ არის“ (გვ. 25).

სწორედ უკანასკნელი ფრაზა — „მარტო მათი აღარ არის“, — რომელსაც ახალ ხარისხში აყვავს წინა აზრი — „მარტო მათი ხომ არ არის“, წარმოადგენს სწორედ იმ გასაღებს, რომელმაც უფრო გვიან დროშის მთლიანად ხალხის ხელში გადასვლის მთელი სიტუაცია უნდა დაგვანახოს და მას ლოგიკური გამართლება მისცეს.

გვირის ამ გაფიქრებას მოსდევს დროშის ისტორია, რომელიც ახლა არსენას ფიქრშია გადატანილი და მისი თავისებური შინაგანი მონოლოგით იხსნება, ხოლო ხანაც მწერლის მიერ უშუალო ხატვის ასპექტით არის მონაცვლებული. ის სიმბოლურად, უფრო ფართოდ მოხაზული ისტორიაა ერის დიდებისა, მი-

სი ღირსებისა და მამაცობისა, რომელიც მუდამ მახარათა თუ ღვთისაგართა მხრებზე ყოფილა დაყრდნობილი და მათი სისხლით განმტკიცებული. ახლაც მათ უნდა დაიცვან ეს ღირსება.

და აი, მძაფრი კოლიზია: „...მაიორმა ცხენი დასძრა და დროშას ხელი მიატანა“. „ბატონები... გაჩუმებულან, დარცხვინილან, დადუმებულან“. ღვთისაგართა კი „ხელი მაიორის აღვირს გაუშვა და აღლიან ხანჯალზე დაიდო“. ხოლო არსენამ, რომელსაც ელვასავეთ გაჰკრა აზრმა, რომ თავადები, რომლებიც „დაძაბუნდნენ“, „დაჭივდნენ“, დროა განზე გადავინ და გზა „ოძელაშვილებს დაუთმონ“, „უცებ ღეზი ჰკრა ლურჯას, დროშაზე მიავდო, თავის მამას ალაში ასტაცა და ბასილას თვალი თვალში გაუყარა. მერმე თავის ძუძუმძეს დავით ბარათაშვილს მიუბრუნდა და —

— ბატონო, — ჰკითხა, — გამაგებინე ამ ეკის რა უნდა?

— ეგ დროშა უნდა, — დარცხვინით მიუგო დავითმა.

— მას წაიღოს. — დაბალი ხმით ჩაიხრიალა არსენამ და არღოვს ალაშისკენ აუქნია თავი: მობრძანდი და წაიღეო“. (გვ. 25).

ამ სურათში კოლორიტულად ნაჩვენებია ქართველი თავადზნაურობის გადაგვარება, უხეში გარეშე ძალისადმი მისი ყურმოჭრილი მორჩილება, რაც ახალი წარჩინებისა და უზრუნველპარაზიტული ცხოვრების ფასად არის შეძენილი: არსენას მოწვეული ბედის მინიშნებაც („გზა ოძელაშვილებს დაუთმონ“) და გმირის ხასიათის წინაწარმი მონახაზიც, რაც ასე მკაფიოდ გამოხატის სიტყვებში — „მას წაიღოს“, რომლის პირდაპირი მნიშვნელობა შეცვლილია უკუ ჩანაფიქრით.

ეს ხასიათის მონუმენტური ხატვის თავისებური ხერხია, მიზეზილ ჯავახიშვილის მხატვრული სტილისათვის ესოდენ დამახასიათებელი. ხატვის თავისებური რეალისტურ-რომანტიკული მანერა მწერალს საშუალებას აძლევს მრავალმინაარსობრივად შეიმეცნოს და განახა-

ტოვნოს სახე ძირითადი, ისტორიული გმირის — ხალხისა.

უთუოდ, ხალხს სულს მიუყვება გაცხადებული ჰაბა მახარას ჰიპერბოლური მანერით შესრულებულ იმ მონუმენტურ ისტორიულ პორტრეტში, რომელიც მას წარმოგვიდგენს ცხოვრების, სამშობლოს მარად უცვლელ ბურჯად, „ვინც სწორედ ნახევარ საუკუნეს ეზიდებოდა მეწინავე დროშას“; ვისაც „ტანზე აღავი აღარ შერჩა დაუჭრელი, დაუბეგველი, დაუსერავი. მართო თავებზე შეიდი ნამახვილევი ამინევი... ვინ მოსთვლის, რა არ გადაჰხედა, ვის არ დასტაკებია, რამდენი დამარცხება და გამარჯვება არ უნახავს ამ უკბილო ლომს, რომელსაც ეხლა, სამარეშა ჩამდგარს, ლეკვებს უყვიდიან და თვითონ მასაც ხალხით გაჰყვიდიდნენ, ერთი მანეთიც რომ ვინმეს შეეძლია!“ (გვ. 57—58).

ძნელი დასანახავი როდია, რომ ეპიკურობის, მხატვრობის ელემენტებით შეზავებული ეს შეგუშული ისტორია გმირის გზისა, ამავე დროს, არის მთელი თაობების ცხოვრება. რამდენადაც კონკრეტულ-ისტორიულია იგი, იმდენადვე ვრცელია და გადაგვახედებს დროის მიღმაც, ისტორიის ვრცელ თვალმისაწვდომზე.

კონკრეტულის ასეთი მონუმენტური, ზოგადი მეტაფორულ-ლიტერატურული წარმოხატვა ეხმარება შემოქმედს მახარას ისტორიაში მისი ხალხის ბედი განჭვრიტოს, რისთვისაც მას ყოველთვის ხელს უწყობს მწერლის ძირითადი კონცეფცია: თვითუღლ სახეს მოუნახოს მისი საზოგადოებრივ-ისტორიული ფუნქცია.

საერთოდ, ტიპიურისა და ტიპის ხატვის ჯავახიშვილისეული მანერა ბევრი თავისებურებით, ორიგინალური ხერხით არის შესრულებული. ჩვენ ვნახეთ თუ როგორ წარმოქმნა მან ჰაბა მახარას სახე. მასში მთავარია მონუმენტურობის ელემენტი. ასეთსავე მანერას მიმართავს მხატვარი ღვთისაგარის სახის ძერწვისას. აქაც გამოყენებულია რომანტიკულობის ელემენტი, რომელიც ამ „ცალ-

თვალა ღვეს“ სამშობლოს ბურჯად წარმოგვიღვენს.

ასეთ შემთხვევაში ტიპის ხატვა, ძირითადად, პირდაპირია; ნაკლები ადგილი ეთმობა მინიშნებას, შემოვლითობას გმირის ხასიათის გასახსნელად, როდესაც თვით ჰიპერბოლაც თავისებურ რეალურ ჩარჩოში ექცევა. შუქმიფნა ხდება ისტორიული ექსკურსის ან მოქმედების უშუალო დანახვის კუთხიდან, როგორც ამას ანხორციელებს მხატვარი, მაგალითად, სევასტის, როსტომის, მაგდანას, ფიქრიას, კარპიჩას, ზურას, სულხანას, მარინეს, დალი ჰასანის, ოსტაპის, სიმონას და ხალხის სხვა წარმომადგენელთა სახის გამოქანდაკებისას.

მეგრამ, მახარას და ღვთისაგარის სახეებს მინც დაჰკრავთ თვალსაჩინოდ გამოვლენილი განმასხვავებელი ნიუანსი, რამდენადაც მონუმენტურობის ელემენტი მათი ცხოვრების ისტორიას უფრო მკვეთრად ამალღებულსა და უფრო განზოგადებულს წარმოგვიღვენს. ეს სახეები როგორღაც სინთეზურ-კონცენტრული ხილვია ხალხის სულისა სერითოდ, მაშინ, როდესაც, ვთქვათ, სევასტი ან მაგდანა ამ სულის ერთი გარევეული თავისებურების კონკრეტული მატარებელია, ცხადია, განზოგადების მაღალ რანგში აყვანილი.

შემთხვევით რაღაცა, მაგალითად, რომ რომანის არცერთი მოქმედი გმირის თუ პერსონაჟის ენა ისე მდიდარი და ფერადოვანი არ არის, როგორც ღვთისაგარისა. გაიხსენათ მისი საუბარი უსამართლობით აღსფოთებულ მარაბღლებთან, როცა იგი მოუწოდებს არ აჩქარდნენ და საქმე არ წააგონ. ამ შესიტყვებაში იგი წიგნის სულ რაღაც ნახევარ გვერდზე ათამდე აფორიზმსა და ანდჰასს იშველიებს. სხვა პასაჟებშიაც მისი ენით ცხოვრების უდიდეს გამოცდილებასა და ცოდნას უამყარებელი ხალხური სიბრძნე მეტყველებს.

პაპა მახარასა და ღვთისაგარის სახეების ხატვის გამოჩვეულ მანერას ისიც განაპირობებს, რომ ისინი რომანში შემოდიან, როგორც დასრულებული ტი-

პები, რომელთა ხასიათის განვითარება უკვე დამთავრებულია და სრულყოფისათვის ამ სახეებს ახალი შტრიხების მომატება აღარ ესაჭიროება. სხვა სევასტი ან ფიქრია, კარპიჩა ან მაგდანა და ა. შ. რომანის ექსკურსიას, შინაგან დინამიკას ხომ, არსენასთან ერთად, მათი ხასიათების განვითარებაც გამსაზღვრავს! ამიტომაც, ვთქვათ, სევასტისთან პირველი ვაცნობა არის პატარა ექსკურსი მისი უკვე განვლილი გზისა, ის მონაკვეთი, სადაც გმირი ეპიკურ თბრობაში შემოდის, რომ სხეებთან ერთად გაჰყვები ამბავთა მდინარეებს თავისი შემდგომი საინტერესო თავგადასავლით.

გმირის ასეთი შემოყვანა ეპოპეაში თავისებურად ხორციელდება: იგი გომონდება, როგორც უშუალოდ მოქმედი ადამიანი, რომლის წარსულის ისტორიაც მის ახლანდელ მოქმედებაში ჩართული და არა განყენებულად მოთხრობილი. აი, მაგალითად, როგორ ვეცნობით ჩვენ სევასტის ან კარპიჩას:

„სახელოვანი მზარეული სევასტი ლაცაბიძე — შორანელი გლეხი, იმერეთის აჯანყების მონაწილე, წერეთლის ნაყმევი და მარაბდას შეფარებული — ორთქლსა და ბოლში გახვეულ ქურჭელს სარდალივით დასდგომია და ათორღე თანაშეწიეს, სოფელ ბიჭებსა და ქალებს, დინჯად განაგებს და დროგამოშვებით ბრძანებლობს“. (გვ. 42).

„მთავარი ხაბაზი კარპიჩა — კოჭლი ნასალდათარი რუსი, ხეიბრობის გამო განთავისოფლებული, სამი წლის წინათ ზაალთან შემოხიზნული — მოდამ დამკლაგებულია, უქუღოა და ფეხშიშველი, გაშუღმებით ხან ჩიბუხს აბოლებს, ხან მხუტუჭვრიტას აწყაბუნებს, თან ფუსფუსებს და ბედნიერია იმის გამო, რომ დამხმარე დედაკაცები ძლივს მისცეს და ერთი დღით მინც შეასვენეს“. (გვ. 41).

მოქმედებაში ჩართული სხარტი ისტორიული ექსკურსი, გმირის თავგადასავალი მთელი თემაა ცალკე ტილოს შექაქმნელად. მეგრამ მხატვარი მას არ განაერცობს. მას არ ესაჭიროება ამ სახეთა ექსპოზიციები, რადგან გმირის ხასიათი მან აწი უნდა გაშალოს და გახს-

ნას, ზოლო ის ორიოდე შტრაზი, რომე-
ლუც მას აქ გაუკრავს, აუცილებელია ამ
გახსნის მხოლოდ შემზადებისათვის.

მანც, მახარაღეთისავართა და სევა-
სტი-კარპინას ზასიათთა ხატვის ზერზი,
როგორც უკვე ვთქვით. ძირითადად, ერ-
თია — პირდაპირ დანახული და შეც-
ნობილი მოქმედება გმირისა.

სულ სხვაგვარია არსენას ხასიათის გა-
ხსნას, მისი მონუმენტურობის ხატოვა-
ნი აღქმის მანერა. სახალხო გმირის ბუ-
მბერაზულ ძალას, მის აზოვნობას, სუ-
ლის სიდიადეს მწერალი თითქმის არსად
არ გვიხატავს მის ამ თვისებებზე უშუა-
ლოდ მითითებით, პირდაპირი თხრობით
ან ასევე პირდაპირი აღწერა-გადმოცე-
მით. მხატვრისათვის აქ უკვე მთავარია
მინიშნებს ძალა, ძეგლი სურათის მო-
ხატვა ან სიტუაციის შექმნა, რომელმაც
მკითხველს უნდა წარმოადგენდეს
მისი, გააცნობიერებოს
გმირის მონუმენტურობის სახე. ეს არის მუ-
დამ განვრცობადი და განვითარებადი
სახე, რომელშიაც მონუმენტურობის
პიპერბოლოური ელემენტი გამოიციხავს
უშუალო განსაზღვრულობას.

არსენას სულში ჩამჯდარი უძლეველი
ძალა რომ დაგვიანახოს, მწერალი, მაგა-
ლითადად, ყმების საუბარს გადმოგვცემს.
ერთი მას დევგმირ ფალავანს გაორგი
მჭედელს ადარებს; მეორე აღზევნიდან
მომავალი, მართლით დატვირთული ურ-
მის ისტორიის ჰყვება — მძიმე ურემი
არსენას „ბუმბულავით“ აუგდია მხრე-
ბზე და ტალახიდან მშრალზე გამოუტა-
ნია; მესამე მარნეულში გავოფებული
მოზერის აშხავს გადმოსცემს, რომელ-
საც არსენამ „ქისრის ქვლები მოუშტე-
რია და ძარღვები დაოწყვიტა“; ერთ აღ-
გილს მწერალი არსენას და მარინეს შე-
ხედრას ხატავს და ამ სურათში სინა-
რულით ატაცებული მარინე არსენას
ორივე ხელით მკლავზე ჩამოეკიდება;
„ჩიდილს ჩიდელივით მიეყრდნოვო“. —
ამბობს მხატვარი მეორე ადგილას და
შედარების ამ ხერხით დაგვიანახებს თა-
ვისი გმირის ძალას.

საჯინბოში ჩაყრილ გაროზგილთა
სურათს რომ წარმოგვიდგენს, მიხეილ

ჯავახიშვილი ამ მძიმე სიტუაციაში ასევე
არსენას მონუმენტურ სახეს რთავს:
„არსენა ანთებული ბუხრის თავზე იყო
დაბჯენილი და იქვე ბუხრის შარჯენზე
და მარტანიე მწოლარე კარპინას, სევა-
სტის, მეშთას და ლაშქარას მკმუნვარედ
დასცქეროდაო“ (გვ. 144). — ამბობს იგი.

ერთი შეხედვით, გამოთქმა — „იყო
დაბჯენილი“ — ძალიან ტლანქია და შე-
უსაბამოც. თითქმის, „დაყრდნობოდა“
იჯობებდა, უფრო გამართული იქნებო-
და ენობრივად. ეს არ შეიძლება არ ეგ-
რძნო ქართული ენის ისეთ ოსტატს,
როგორაც მიხეილ ჯავახიშვილი იყო.
მაგრამ ფორმა — „იყო დაბჯენილი“ —
აქ, უსათუოდ, განგებ არის ნახმარი. მწე-
რალი ზომ არსენას ფიგურას მუდამ
ბუმბერაზულობის შტრახით ხატავს. ამ
თვალსაზრისით, ბუნარზე დაბჯენო-
ლი ფიგურა, ისიც ჭრატის შექმნე, გა-
ცილებით მონუმენტურად ჩანს, ვიდრე
დაყრდნობილი კაცისა. გარდა
ამისა, ეს დაბჯენა უფრო გამოხატავს
არსენას სულიერ განწყობილებას.

ტიპების ხატვას ჩვენ ცალკე განუ-
ხილავთ. ზოლო თუ აქ რამდენადმე ვჩე-
რდებით ამ თვალსაზრისით დამახასია-
თებელ ზოგიერთ დეტალზე, ეს მხო-
ლოდ იმითაა, რომ ზემოდ დასახელე-
ბულ ტიპთა საშუალებით მხატვარი გა-
ნასახოვნებს ხალხის ძალას,
სულს, მის სიდიადესა და მო-
ნუმენტურობას.

ამ თვალსაზრისით არსენა რთული
სახეს, რომელშიაც ერთმანეთს გადანას-
კვია გლახური ბუნტარობაც და გულუბ-
რყვილობაც, ქართველური რაინდობაც
და უბრალოებაც, ხალხის ამტანიანობაც
და გულვიცილობაც. იგი ხასიათთა რთუ-
ლი კომპლექსია თავისი ერის ფიზიკუ-
რი, მორალური, ფსიქიკური მაღალი
თვისებებით აღჭურვილი.

ამ ნიშნით მეტად ოსტატურია მთე-
ლი ის მომდევნო სკივნაც, რომლითაც
გადმოცემულია არსენას გამძლეობის გა-
მოყრდა პაპა მახარას მიერ.

მახარა გაროზგილებთან მოსულა. იგი
ძლიერ შეუწყუხებდა მათს ბედს. მანც,
საცდელად, ჭერ ქრისტიანულ მორჩილე-

ბას უჩვეულ ყმებს, მაგრამ გაოზობილთა დაშოშინება შეუძლებელია; იხინი მხაგრელთა სისხლის დაღვრაზე ოცნებობენ: „დავტრით!... გადაუხდით! არ შევარჩენთ!“ „ბიჭოს, თქვენ თურმე არა ხუმრობთ... მართლა ვაყვავები ყოფილხართ...“ (გვ. 148) — იძაბის ბოლოს პაპა, როდესაც რწმუნდება, რომ მათი სიტყვები ცარიელი მუქარა როდია. მაგრამ შესძლებენ კი ისინი საწაფელის აღსრულებას? ვიძლებენ კი მიძიე განსაცდელს? აი რა აინტერესებს ახლა ამ ბებერი ლომს, რომელსაც ცხოვრებამ ბევრჯერ თვით განაცდევინა უჩვეულოდ მიძიე სისასტიკე: არსენა ვაყვავია, მაგრამ მაინც ჯერ ახალგაზრდაა და სისხლი უღელს. ხომ არ მოდრეკება იგი სასტიკი განსაცდელის ემს?

„მახარა ისევ ტახტზე ჩამოვდა, ქისა და ჩიბუხი ამოიღო და არსენას აპხედა. მარაბდელი მათხვდა და მამას დაუწყობებნა, მაგრამ ვერ იპოვა. მისი პაპა კი უცნაურად იღიმებოდა, სდუმდა და თითქო სხვა რაღაცას ელოდებოდა. არსენამ ხელით აიტაცა ნაკვერცხალი, მახარა კი კვლავ იღიმებოდა და ქისის ძირში ნელი ნელ აფათურებდა თითებს“ (გვ. 149).

სახეს მოფენილი უცნაური დომილი და თითების ნელი ნელ ფათური ქისის ძირში სულს ერთი შერხევით გაპირობებული, ფსიქოლოგიურად მარჯვედ დაპერილი ის მომენტია, რომელმაც უნდა მიანიშნოს არსენას პაპის განზრახვა. და აი, ორი უტეხი ნება ერკინება ერთმანეთს.

„მარაბდელი ნაკვერცხალს ჯერ ხელის გულზე ატრიალებდა, მერმე ორ თითში გააჩერა, კრიკა შეიკრა და გახეცდა. პაპა არა ჩქარობდა, თითქოს არაფერს არ ამჩნევდა, ნამდვილად კი ყველაფერს ხედავდა და ულვაშებში იღიმებოდა. ყვილანი გამუხმებულიყვენ და არსენას მისჩერებოდნენ. ისინიც მიხვდნენ, რომ პაპა მახარა თავის შვილას-შვილს სასტიკი და უღმობელი ფანდით ჰცდიდა. მათ ეგონათ უცვე ერთი საათი გავიდა და ციკხლი არსენას ძვლამდე დავიდოდაო. მწუხარებამ სული შეუგუ-

ბა მათ, მაგრამ ჯერ მაინც ითმენდნენ და გამოცდის დასასრულს ელოდებოდნენ. მახარაც ვადის მოწვევას ელოდებოდა. არსენას კი თითებზე შიშინი ანდიოდა. როცა პაერში დამწვარი ხორციის სუნი დატრიალდა, პაპამ ამაყი ღიმილით აპხედა თავის ჩამონავალს და ჩიბუხი გაუწყოდა.“ (გვ. 149).

და მხოლოდ მას შემდეგ, რაც არსენამ ჩიბუხზე ნაკვერცხალი დაუღო და „დონჯად შეუსწორა“, აკურთხა მახარამ მათი ჩანაფიქრი: „მამ, ღმერთმა ხელი მოგიპართოსათო“.

ეს დიდი მორალური შინაარსით და შემოქმედების განსაკუთრებული ძალით აღჭურვილი სურათია. იგი რომანის ერთ-ერთი ძვირფასი მარგალიტია, სადაც აღმინათა სახეების ძლიერი რომანტიკული გასხივება მაინც რეალისტურის სამყაროში სტოვებს მათ თავიანთი რაინდული სულითა და ბუნებით. პაპა მახარას საბეც აქ უფრო სიმბოლური ხასიათისაა, როგორც მთელი ხალხის სულის გამოხატველი და ამდენად ჩვენ ვხედავთ ორი სატუაციის ერთმეორის განმპირობებელ შინაარსს: ერთი — ხალხი ბრძოლის წინ ცდის თავის გმირს, მის ფიზიკურ გამძლეობას, შინაგან ძალას, სულის სიმტკიცეს და, მეორეც — გმირი მოვალეა ყოველგვარი განსაცდელი აიტანოს, ყოველ ვითარებას გაუძლოს თავისი ხალხის წინაშე.

სწორედ ამ გამოცდის შემდეგ იძენს დამაჯერებლობის განსაკუთრებულ ძალას პაპა-შვილიშვილის უფრო გვიანდელი დიდილოგი, რომლითაც ვადმოკვირულია არსენას წასვლა თავისუფლებისათვის საბრძოლველად. მიდის ოძელაშვილი იქ, სადაც „სამართალია“. მაგრამ ცხოვრების სიბრძნით ჭკუანასწავილმა მახარამ ხომ კარგად იცის, რომ „სამართალი არსად არ არის“. არსენას მოკლე პასუხში — „არ არის და მე გავაჩენ“ — გახსნილია როგორც ისტორიის შემოქმედი ხალხის ძალა, ასევე მთელი რომანის ძირითადი იდეური ხაზი.

ხოლო როგორია იგი, ეს ხაზი? რომანის მთელი ხატოვანი სისტემა, გამოხატ-

ვაგამოსახვის ყველა შესაძლებლობა იქით არის მიმართული, რომ აჩვენოს თავისუფლებისა და სამართლიანობის არა მხოლოდ ძიება, არამედ ნიჭი და დგენა-შოვნებისათვის ბრძოლა.

კიდევ რამდენიმე მაგალითი იმისა, რომ სახალხო გმირის არსენას გოლიათობა, ასოვანება რომანში თითქმის ყველგან ხაზგასმულია წარმოდგენის შექმნელი ნიჟარანებით, შტრიხებით, ჩანახატებით ან სიტუაციებით და არა პირდაპირი უშუალო ხატვის ხერხით.

აი, პატარა ტატე ფეხზე ეკოწილება არსენას. იგი „ისე მიფოფხავდა მის ბარძაყზე, თითქო წელანდელ ჭანდარზე ადიოდაო“;

არსენა მას მხრებზე შეისვამს და გააქნებს. აქ იგი „მოძრავ კოშკს“ არის შედარებული;

საჩინობიდან გამოქცეული არსენა ისე „წამოვიდა ბანებზე და ორღობეებში, რომ მისი სიარული სხვათა სიბიბის უღრიდაო“, ვეუბნება მხატვარი და ჩვენც დევის ამ ნაბიჯებში შევიმეცნებთ გმირის გოლიათობას;

გამოქცეული არსენა ხევშია, რომელსაც ზაალის სახლი ციხე-კოშკით წამოდგომია თავს. მარადელი შეჩერდება და მისი ხმა შემზარავ გრგვინვად ედება მთელ ხევს: „ბარათა-შვილოოო!... ეხლა კი მიფრთხილდიი, ბარათიშვილოოო! დედას გიტირებ, დედასაა!“ ჭეჭაჭხილის ეს ძალაც თავისებური მეტაფორული გამოხატვაა გმირის ძალისა;

არსენა სადაც გზაზე შიშველ ბოგანოს წააწყდება, შეეცოდება, ჩოხას გაიხდის და მას ჩააცმევს „სასაცილო რამ იყო ის საწყალი: ისე იჭდა იმ ჩოხაში, როგორც თავვი ქურჭში. ჩოხის კალთებს მიწაზე მიათრევდა და ფრთებმოტეხილი ქათამივით მიტუნტუნებდა“ (გვ. 229);

ან კიდევ: არსენა ქვიშხეთელ მომკვლევთან შრომის შემდეგ გამართული სუფრიდან რომ წამოდგება, „ხის ტოტებამდე აისვეტება“; ხოლო ერთ სურათში დიდი პასანი მის მკერდზე „გა-

ტსავით“ გამოჩნდება, „რომელიც ღომს უაღერესებს“;

და ბოლოს, ჩვენს წინაშე მკვდარი არსენა, ასევე გოლიათური, „მონსუქმტური“: „მკვდარი ოძელაშვილიც ისევე არ ეტეოდა თავის ახალ ქერქში — უგრძეს კუბოში, — როგორც ცოცხალი არ ეტეოდა ამ ქვეყნადო“ — გვითხულობთ რომანის ფინალში. ეს არის პიპერბოლური ხილვა გმირის გოლიათური ძალისა და ამ ფიზიკური ნიშნის გადატანა იდეაში — მეამბოხე სულის განხანაში. კუბოში იგი ვერ ეტევა, როგორც გოლიათური აგებულობის კაცი, ამ ქვეყანაზე კი — როგორც მისი დროისათვის შეუთავსებელი მეამბოხე სული.

მაგრამ გმირი, თუ იგი ხალხის სულის გამონატევა, ხომ მუდამ ცოცხალია!

მუდმივ სიცოცხლეში გადასული მონუმენტურობის ამ ბეჭდით არის აღნიშნული არსენას პირშმოს — დათუნას სახე, რომლისათვისაც მხატვარს უკვე აღარ ესაჭიროება მინიშნება, მეტაფორა, სიმბოლოობა. იგი მას ხატავს უშუალოდ, როგორც სრულ პორტრეტს მკერდგანიერი, ახოვანი, მუქი ოქროსთმიანი, შავთვალა ლამაზი ჭაბუკისა.

მიზეილ ჯავახიშვილი ხალხის სულს, ისტორიულ როლს, მის ოცნებას, შემართებას მრავალნაირი ოსტატური ხერხით ხატავს. ზევით მოყვანილი იყო ხალხის წარმომადგენელ გმირთა აახეში ხალხისავე ნიშანთავისებურებების ორიგინალური განხატვის მხოლოდ რამდენიმე მაგალითი. რომანისტი არა ნაკლები ძალით წარმოქმნის ხალხის გიგანტურ სახეს თავისი ეპოპეის მასობრივ სცენებში, ხალხური ჩვევების აღწერისას და სოციალურ-ყოფითი ცხოვრების მოვლენების ხატვის დროს.

მათგან გამსაკუთრებით გამოირჩევა თრიალეთის ბრძოლის სურათი, როგორც მასობრივი გმირობის თავისებური ოსტატური ხედვა. აქ შწერალი აღწევს მოქმედ პირთა და მოვლენების მოწინააღმდეგე ძალთა ისეთ კონტრასტულ-შეპირისპირებულ წარმოსახვას,

რომელსაც ახალ საფეხურზე აჰყავს საერთოდ რომანის ეპიკური ფორმა.

ამ სცენის თავისებურება, უპირველესად, ის არის, რომ დიდი სახალხო ბრძოლის წინ მასში არსენას ბაგეებით განცხადებულია ხალხის ადგილი ისტორიის ქარტეზილებში: „მეღწეწიწეებში მართო თავადების გმირობა სწერია, ესლა კი ჩვენზედაც დასწერენ და კეთილად მოგვიხსენებენ. გლეხებიც წაიკითხავენ და იტყვიან: ბარაქალა გლეხო, ჩვენც კაცები ვყოფილვართ, ქუდიც გვიტარებია და პატროსანი აღავიც მოგვიხვეჭია“ (გვ. 364—365). ამ განცხადებას ხალხის ძალისა თან მოსდევს მისივე ნათელყოფა არსენას, ღვთისაფარის, სევასტის, კარპინას, მესთანას, პასანის, როსტომის, ქაეთარის, სულხანის, საბას, ოსტაპის, ბალოს, ლაშქა-

რას, მაგდანას, თედოსა და სხვათა თავგანწირული ბრძოლით.

ყურადღებას იმპრობს ისიც, რომ რომანი სწორედ ხალხური განთრომის წვედების აღწერით იწყება, რაც თავიდანვე მინიმუმებულად წარმოქმნის მისი ძირითადი გმირის — ხალხის სახეს, რომლის ტიპური წარმომადგენელიც — არსენა მწერალს გამარჯვებული გამოჰყავს ყველა შეჭიბრებაში.

არსენა რომანში დაბატულია თავისი დროის მონუმენტურ, გოლიათურ ფიგურად, მაგრამ რამდენად განდიდებულია მისი ფიზიკური ძალა, იმდენად უბრალოა მისი სული. გოლიათობის ამ უბრალობაში მხატვარს თავისებურად აქვს გააზრებულ-გადმოცემული ხალხის სახე. ეს მისი ოსტატური მანერაა მთავარი გმირის ხატვისა.

„ფაუსტური პარადიგმა“

მიხეილ კვეციელავს ამ შრომის მთავარი მიზანია ფაუსტური პარადიგმების კომპლექსური შესწავლა, ფაუსტური იდეების განხილვა განვითარებაში.

წინაწარვე უნდა აღვნიშნო, ეს ამოცანა მასშტაბურობისა და ფუნდამენტურობის მხრივ, წარმატებითაა შესრულებული.

შრომის ავტორს გათვალისწინებული და გაზრებული აქვს მილიანად თითქმის მთელი მსოფლიო ლიტერატურის განვითარების მაგისტრალური ხაზი ყველა განმტოვებითა და გადახვევითურათ. ამდენად, ეს შრომა ერთი ცალკეული საკითხის დამუშავებას რაღაც წარმოადგენს, არამედ ეს არის ლიტერატურულ პრობლემათა მთელი კომპლექსი, რაც ფაქტურად მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის გათვალისწინებას გულისხმობს.

კიდევ უფრო ზუსტად: ეს ნაშრომი არაა რამელამე ერთი ერის ლიტერატურის გარკვეული ნაკვეთის კვლევის ცდა, არამედ ესაა მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული პრობლემის გადამყვების პოზიტური ნიმუში. მაგრამ ეს ლიტერატურული პრობლემა თავისი ბუნებით გულისხმობს ფილოსოფიური, სოციოლოგიური, ისტორიული, ზელოვნებისეული საკითხების გადაწყვეტას.

ამ წიგნით ავტორი აქვდავენებს სოლიდურ ერუდიციას არა მარტო ლიტერატურის დარგში, არამედ ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ისტორიის, ზელოვნების (მხატვრობა, მუსიკა) და სხვა სფეროებშიც.

ავტორის მიერ წაყითხული, შესწავლილი, დამუშავებული და გაანალიზებულია დიდძალი მასალა. მ. კვეციელავა იცნობს და იყენებს ფაუსტოლოგიის უდიდეს ლიტერატურას, იცნობს უახლეს, უკანასკნელი წლების შრომებსაც.

მ. კვეციელავს შრომა არაა უბრალოდ მონოგრაფია, არამედ ესაა კულტურის ისტორიის უდიდესი მონაკვეთის, კულტურის ისტორიის ერთი ხაზის კომპლექსური შესწავლის თამაშიცაა.

ავტორს შეუსწავლია არა მარტო ვივა კლასიკური მემკვიდრეობა ლიტერატურის, ფილო-

სოფიის, კულტურის ისტორიის, სოციოლოგიაზელოვნების სფეროში, არამედ ზედმიწევნით ზაწვდომია თანამართლოლობის ჭეკ კიდევ არასრულად შესწავლილ ლიტერატურულ და ფილოსოფიურ ურთულეს მოვლენებს, სკოლებსა და ნაკადებს ავტორს ზელთ ჰქონია არა მხოლოდ ამ მიმდინარეობათა ამსხნელი და განმმარტბელი გამოკვლევები, არამედ პირველწყაროები და უშუალოდ ამ მიმდინარეობათა წარმომადგენლების ხელიდან გამოსული ნაწარმოებნი. ასე, მაგალითად, მ. კვეციელავს სპეციალურად შეუსწავლია ისეთი დახლართული და რთული ფილოსოფიური სკოლა, როგორცაა ეგზისტენტციალიზმი, და დედნებში დაუშუშავებია პიოდვეგერის, ბასპერსის, სარტრის, კამიუს და სხვათა წიგნები.

თუ აქამდე ჩვეულებრივ საბჭოურ ლიტერატურათმკვლევებაში და ფილოსოფიაში ჩვენთვის მიუღებელ იდეალისტურ და ანტირეალისტურ თეორიებს მხოლოდ ლანძლავდნენ ისე, რომ არ ვაღმოსცემდნენ მათ შინაარსს (ხშირ შემთხვევაში არც კი იცნობდნენ და წარმოუგნას ერთნაღნში კანტო-კერნელ დაბეჭდილი ციტატებით იქმნიდნენ), მ. კვეციელავა მეცნიერული ობიექტურობით (ამევე დროს პარტიული სიმამვილით) აღაჯებს ბერყუხიბულ, იდეალისტურ, ჩვენთვის მიუღებელი ფილოსოფიური სკოლების მოძღვრებას პირველწყაროების მიხედვით (არა ჩვენს ერთნაღნებში დაბეჭდილი პოლემიკური სტატებების საფუძველზე) და შემდეგ პირიციმულად, დაუნდობლად აკრიტიკებს მათ. ავტორის ფაუსტური პარადიგმა ყოველითვის განხილული აქვს შესაბამისი ეპოქის ისტორიულ-სოციალურ სიტუაციათან კავშირში. ასევე არ ყვეტს ავტორი ლიტერატურულ პროცესს შესაბამის ფილოსოფიურ-სოციალ-მხედველობრივ საფუძველს. ყოველი ფაუსტური პარადიგმა ნაშრომში მოთავსებულია შესაბამის ფილოსოფიურ და ისტორიულ კონტექსტში.

მიუხედავად სარეცენზიო წიგნის მეცნიერული, სპეციალური ხასიათისა, მიუხედავად მასში დასმული პრობლემების სირთულისა, იგი მაინც ინტერესით იყითხება.

სტილის, გაღმოცემის მანერის, მსყელაობის პროფესიულობისა და მეცნიერულობის მიუხედავად, ნაშრომი არ ტოვებს შრალის, პედანტური, „აქადემიური“ ტრაქტატის შთაბეჭდილებას.

წიგნში მისალა განხილულია არა კონკრეტულ ნაწარმოებთა ცალკაღვ თანმიმდევრული, მიუღობითი კანალიზების გზით, არამედ თეორიით პრობლემური ნიშნის მიხედვით, რაც გაცილებით რთული და ძნელია, ამგვ დროს ღირებულები.

მ. კვესელავა მართებულად ადგენს, რომ ფაუსტის საყოველთაო პროგრესისა და კუჭმარობის მიხედვით კომპლექსური ლიტერატურული სახეა, რომელიც დემონსტრირებს ცლილობს დაძლიოს აღმინაწერი შეზღუდულობა და მიადწიოს კვეყნისა და პაროგნების სრულყოფას.

წიმი აზრით, ავტორის დამახებრება ისტორიული ფაუსტის პიროვნების კუჭმარობი სახის აღდგენა და მისი განთავისუფლება თეოლოგიურ-რელიგიური მიწარუგებისაგან. ვფიქრობ, მ. კვესელავამ წარმატებით განახორციელა ფრ. ინგელსის მიწოდება: ფაუსტზე თქმულებათა ტექსტების კრიტიკული შესწავლისა, მათი „პირველყოფილი სიწმიდით“ აღდგენისა და შემდგენილთა გულბზყვილი ინტერპოლაციებისაგან განთავისუფლების თაობაზე. მ. კვესელავამ თქმულება დოქტორ ფაუსტზე შესწავლა მეცნიერულ-კრიტიკული თვალსაზრისით, ისე, როგორც ამას ფრ. ინგელსი მოითხოვდა. მასასადაში, ავტორმა წარმატებით განახორციელა მის მიერვე შრომის დასაწყისში დასული შიჩველი ამოცანა: მან ისტორიული ფაუსტი გაათავისუფლა ცრუმარწმუნეობიანი ბურჟუასიდან და კუჭმარობის ძალა მისცა მისი კანოცრების ფაქტებს. ასევე ჩინებულად გადაწყვიტა მან მეორე ამოცანაც: კრიტიკულად შესწავლა თქმულების ტექსტები და გამოიკვლია ფაუსტური პარადიგმების ხალხური ძირები.

აქვე მისაძლბა შეცნიშნობა, ნაშრომის უღაწო ღირებება ფაუსტურის იდეების განვითარების განხილვა როგორც კაცობრიობის მარადილი პროგრესისა და აღმინაწების სრულყოფისათვის ბრძოლის გამომხატველი მითოლოგიის მავსიტრალური ხაზის გაგრძელებისა.

ძალიან საინტერესო და ანგარიშგასაწივია ავტორის დადებულბა ისტორიული ფაუსტის კავშირის შესახებ რევილუციურ-პლბეურ ბანაკთან, რომელსაც თომას მიუნციერი მეთაურობდა. ასევე უაღრესად საყვლისმნაო ავტორის მიერ ფაუსტისა და თომას მიუნციერის შედარება, აგრეთვე ფაუსტისა და ვერმანელი კუჭმარობის შეპარისმარება. თვალსაზრისითა ნაწვენები და განალიზებული შეა საუყუნებში ფაუსტური იდეების თეოლოგიური ფალსიფიკაცია.

მ. კვესელავა თქმულებათა ფაუსტს აღადგენს

მისი პირვანდელი შეურველი სახით, ავტორებს ყალბ ლეგენდებს თქმულების ფაუსტზე, რომელიც თითქოს ანგარების, გაგრყენილბა, ამქვეყნიური სიამოვნებით გატყუებს, გამოხატულება იყო. მ. კვესელავა სათანადო მასალასა და არგუმენტების მომარყვებით გვიჩვენებს და ადგენს, რომ თქმულებათა ფაუსტი არაა შარლანტი, თინზანი, ანგარებანი მავსიერი, როგორც ამას ტრადიციული ფაუსტოლოგია წარმოგვიდგენს, არამედ ის არის, უპირველეს ყოვლისა, ცოდნისა და კუჭმარობების ძიებით გატაცებული. ძალიან საინტერესოა ავტორის თეორია ფაუსტური იდეების ინტეგრაციისა და დეზინტეგრაციის შესახებ (ესა ღერძი საჩუკენითი ნაშრომისა) მ. კვესელავა ადგენს ფაუსტური იდეების განვითარების კანონზომიერებას, ამყარებს კავშირს ამ იდეებსა და ისტორიულ-სოციალურ ვითარებასთან, მეორე მხრით, შესაბამის ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივ ცუკვალენტებთან. ნაწვენებია ფაუსტური იდეების განვითარების აღწვალა ხაზი გოეთეს „ფაუსტამდე“, შემდეგ ფაუსტური იდეების ორი მიმართულება — ერთის მხრით, ფაუსტური იდეების გადაქცევა თავის საწინააღმდეგო, მეფისტოფელურ ნაქადად, და მეორე მხრით, მათი პროგრესული გაღრმავება-განვითარება. პირველი ნაკადი თანამედროვე სუავლბტურ, ანტიპემანური ლიტერატურაშია სვგულვებელი, მეორე კი — სოციალისტურ რეალიზმში.

ძოლიანად ყამირ ნიადაგზე უხებობდა ავტორს შემოაბა მისი გარკვევისა, თე როგორც ასახა ჩვენი დროის ევროპულ ლიტერატურაში ფაუსტური იდეები, როგორც ამ იდეების სახეობრივი გამოვლენის თანამედროვე პარადიგმული ფორმები და მათი განვითარების გზები.

მ. კვესელავა მეცნიერული სიღრმითა და ობიექტურობით ათავისუფლებს მარლოუს „ფაუსტს“ ლეგენდებისა და ფალსიფიკაციისაგან. ავტორის მიერ მარლოუს „ფაუსტის“ იდეურ-მხატვრული ანალიზი, ჩემის აზრით, ერთი საუკეთესოთაგანია მარლოუს შესახებ არსებულ სპეციალურ ლიტერატურაში.

პროფესიულადაა გაანალიზებული გოეთეს „ფაუსტი“. დამარწმუნებლბაა გაკრიტიკებული დასავლეთის ფაუსტოლოგები და გოეთელოგები. მ. კვესელავა მარყველ, თავისუფლად ეარყვება გოეთეს „ფაუსტის“ უროულეს იდეურ და მხატვრულ-ესთეტიკურ ლბიჩინითებში.

ორიგინალურად, ამგვე დროს მართებულადაა შემწინეული და გაღმოცემული ცემს ჩოისის მხატვრული მეოოდის თავისებურებანი. მარყველად ადვიროლი ამ მწერლის შემოქმედებით-მხატვრული სპეციფიკა, მისი ასახვის ორიგინალობა და სიახლე.

რელიეფურადაა ნაწვენები და განალიზებუ-

ლი თანამედროვე ბერევაზიული სამყაროს სულიერი კრიზისი და სრულად განხლებული ამ კრიზისის გამოვლენა აზროვნებისა და ცნობიერების ყველა დარგში.

ჩემს წინაშე ისეთი ხასიათისა და მასშტაბის ფენდამენტური შრომაა, რომ შეუძლებელია მკითხველში არ წარმოშვას ბევრი ახალი აზრი და იდეა, არ უკარნახოს მკითხველს და მეცნიერმუშაყს ახალი თემები და პრობლემები, არ მისცეს ბივი, იმპულსი — ზოგიერთ საკითხს ახლებურად, სულ სხვა თვალთ შეხედლოს. და ბოლოს, ეს ისეთი შრომაა უამრავი ახალი პრობლემითა და ახალი ინტერპრეტაციით, რომ შეუძლებელია მკითხველი და სპეციალისტი არ აღჭრას საკამათოდ და საამყროდ. ეს შეეებერთელა ორტომიანი წიგნი (70 თაბახი) ჩემშიც იწვევს შენიშვნებსა და წინააღმდეგობას. ოღონდ, წინასწარ აღენიშნავ, მცირე გამონაკლისებს ვარდა, ჩემს შენიშვნებს შეცდომების აღმოჩენისა და მითითების პრეტენზია კი არა აქვთ, არამედ ავტორს სხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობასაც უჩვენებენ. ზოგჯერ ავტორის ყურადღება მინდა მივამოციო იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი საკითხის დანახვა სხვა კუთხიდანაც, სხვა ასპექტშიაც შეიძლება.

ვაუშართლებელი იქნებოდა, ავტორისაგან მოგვეთხოვა, რატომ ყველა ნაწარმოებში, ყველა ფაუსტური პარადიგმა არ განიხილეთ. ეს შეუძლებელია (ამას კიდევ ტომები დაკორიგებოდა) და უსარგებლოც (რადგან კანონზომიერება უამისოდაც დადგინდება). მაგრამ მაინც შეიძლება ვედავთ ავტორს გამორჩენილი მასალის, ზედმეტი მასალის და არახუსტი ინტერპრეტაციების გამო.

ჩემი აზრით, ავტორის სპეციალური მსჯელობის, კვლევის საგანდ უნდა იქცია ვოლფრამ დონ ესენდახის „პარციფალი“, როგორც ფაუსტური პარადიგმა. მართალია, „პარციფალი“ არაა უშუალოდ ფაუსტის სიფეტრე დაწერილი ნაწარმოები, მასში არაა ფაუსტ-მეფისტოფელის ანტითეზა, მაგრამ როგორც თვითონ ავტორი აღიარებს მართებულად, პარციფალი წარმოადგენს ფაუსტის ადრინდელ პროტოტიპს (გვ. 225, 11) ამდენად, ცხადია, იგი შემოღობს ფაუსტურის იდეურ სფეროში. დამახასიათებელია, რომ თითქმის ყველა მკვლევარი, რომელიც კი „პარციფალს“ ეხება, პარალელს ავლებს „ფაუსტთან“. „პარციფალიში“, თვით კვესელავს სიტყვებით რომ ეთქვას, დაეკლავ ფაუსტურის ცენზის შენარსის სპეციფიკური ნიშნები, ვაკლებით უფრო მეტად, ვიდრე სარგებნიო წიგნში განხილულ ზოგიერთ ადრინდელ ძეგლში (თუნდაც „გილგამეში“). „პარციფალი“ განსაკუთრებით ახლოს დგას გოეთეს „ფაუსტთან“.

გრაალის სამეფო, რომელშიც პარციფალი

ზნეობრივი და სულიერი სრულქმნილების შედეგად, თავის ავტორს მოთხოვებს, თავისებური „ერტოია“, სადაც აღმანიანი თანაბრულბიანი და ერთნირად ზედნიერი არიან. გრალის იდეალური სახელმწიფოს უტოლიური სურათი ვეაობათეს ეოლფრამის ხალხურ ოცენბას სრულქმნილ სოციალურ სინამდვილეზე, რაც საოცრად ჩამოგვავს გოეთეს „ფაუსტის“ სოციალურ უტოპიას.

პარციფალი ფაუსტით ცდუნებათა და ცდომილებათა გზით აღწევს ჭეშმარიტებას. პარციფალი ღმერთისაგან ვამდგვარი ხანგრძლივი ძიებისა და ბრძოლის მერე კვლავ უბრუნდება ღმერთს (სოკრატეს, ჭეშმარიტებას, ჭეშმანიშს). ასევე ფაუსტაც, ხანგრძლივი ცდომილების მერე, თავისუფლდება ეგოცენტრიზმისაგან, ინდივიდუალიზმისაგან და ისევ ღმერთის წინა მიმუხრებს (სოკრატეს, ჭეშმარიტებას, ჭეშმანიშს). კიდევ მრავალი საერთო ხაზისა და წერტილის დღასტურება შეიძლება, მაგრამ აქ ამით დაკმაყოფილდეთ. ინგარიშვასწივეი უყო აგრძედე ისიც, რომ თომას მანი „პარციფალს“ „მეორე ფაუსტს“ უწოდებს (იხ. თვით „ფაუსტური პარადიგმაში“, გვ. 622, 11) ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, ბოლოსდაბოლოს საჭირო იყო თუნდაც იმის უარყოფა, რომ „პარციფალი“ ფაუსტური პარადიგმაა, რადგან ეს გაერეკლებული შეხედულებაა. თითქმის ყველა ავტორი, რომელიც „პარციფალს“ იხილავს, პარალელს ავლებს „ფაუსტთან“. ამ საკითხზე არსებობს დიდძალი ლიტერატურა, რომლის გამოათილება მაინც იყო საჭირო.

ვფიქრობ, ფაუსტის წინამორბედთა შორის უნდა მოხვედრილიყო ბიზლიური იობიც, რომელსაც შ. კვესელავა საერთოდ არც ახსენებს. იობის წიგნიც შემოღობს ფაუსტური იდეების სფეროში. იობიც ვანუღდება ღმერთს, წინაუღუდება მას, მერე კვლავ ღმერთს წილის უბრუნდება. იობიც მიძიებელი, ეკვიანი, ამყვი აღმანიანი ცნობილია, რომ გოეთემ ამ წიგნიდან ისესხა თავისი „პროლოგის“ შოტიკი. იობის წიგნშიც შეხვდებიან ერთმანეთს ღმერთი და სატანი და იობზე ისაუბრებენ. აქაც ეკითხება ღმერთი: ჩემს მსახურ იობს თუ იცნობ? და აქაც დებენ ნამლევს. ეშმაკი ეტყვის, წყალობას თუ მოაკლებ იობს, მაშინვე განვიდგებო და ა. შ. იობყსა და ფაუსტის ნათესაობაცეცეც არსებობს ერცილი ლიტერატურა.

მე მგონია, „ფაუსტურ პარადიგმაში“ უნდა მოხვედრილიყო ადალბერტ შამისოს „პეტერ შლეგილიც“. პეტერი ხომ საკეთარ ჩრდილს მოყვილის ეშმაკს და სმავიეროდ მისგან ქისას მიიღებს, რომელშიაც ოქრო არასოდეს არ ილევა. ავტორი ლამარაკობს თომას მანის „ბუნდებრივობებზე“, აგრეთვე „მოწყალებულ მთაზე“.

შეგრამ არაფერს ამბობს „იოსებმა და მის ძმებზე“, ეს უკანასკნელი რომანი კი თომას მანის შემოქმედებაში ყველაზე ფაუსტურია „დოქტორ ფაუსტუსის“ შემდეგ.

„იოსები და ძმანი მისნი“ თავისებურ ფაუსტურ მოტივზეა გაშლილი. გოეთეს ფანტაზიით, რომელიც ევოლუციას განიკდის ინფანილენ-ალზმიდან და ევოლუციონარიზმიდან ჰუმანიზმსა და კოლექტივიზმამდე, იოსებიც, თავდაპირველად ასოციალური და ამოლიტიკური ადამიანი, ბოლოს აქცევა დემოკრატ და სოციალურ პიროვნებად. ასევე ფაუსტიც, რომელიც ცხოვრების აზრს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაში, კაცობრიობის მატერიალური კეთილდღეობისა და სოციალური ბედნიერებასათვის ყოველდღიურ ბრძოლაში პოულობს, იოსებიც არსებობის მიზანს ხალხისადმი სამსახურში, პროგრესული სოციალური და გეონომიური გარდაქმნების განხორციელებაში ხედავს.

გაყვართა ნახსენება და არაა განალოზებულ სპეციალურად კლავს მანის რომანი „მეფისტო“, რომელიც შემოღის ფაუსტური მოტივების სფეროში.

ფაუსტურ პარადიგმათა შორის თავისი ადგილი უნდა დაეკავებინა, ჩემი აზრით, ჰეგო ფონ პოფჰანსტალის პიესას — „შლეგი და სიკვდილი“. ჰეგულებრივ მკვლევარებმა პარალელს აუღებენ ამ პიესასა და გოეთეს „ფაუსტს“ შორის. თვითონ ჰეგო ფონ პოფჰანსტალი ავლებს პარალელს „ფაუსტთან“. „შლეგი და სიკვდილი“ გამოდგება ფაუსტის დეზინტეგრაციის შესანიშნავ მაგალითად.

ავტორი მართებულად იხილავს მრავალ ლიტერატურულ მიმდინარეობას, რომელსაც პრინციპული კავშირი აქვს ფაუსტური პარადიგმატიკის ევოლუციასთან, მაგრამ ამ მიმდინარეობათა ანალიზისას ხშირად მასალა წინაუთუბებს ხოლმე და იჭრება ისეთი დეტალებს აღნუსხვასა და ანალიზში, რომელთაც უკვე არავითარი კავშირი აღარა აქვთ ფაუსტურ თემატიკასთან.

ჩემი აზრით, ზედმეტია, ფაუსტურ პარადიგმატიკას არავითარი კავშირში არ არის ფუტურისტების დაწვრილებითი დახასიათება, მათი წყაროებისა და წინამორბედების ძიება და მათი ესთეტიკის განხილვა (გვ. 430-437, II) ფაუსტურ პარადიგმატიკას შორეული კავშირიც კი არა აქვს იმ ფაქტს, რომ ფუტურისტები მოითხოვდნენ ზმნის განუსაზღვრელ კალაში ხმარებას, რომ ისინი ზედსართავ სახელებს უარყოფდნენ, ავტოტე უარყოფდნენ პუნქტუალის და ა. შ. (გვ. 435, II). ასევე ზედმეტი დეტალებითაა გადატვირთული დადასტურების შემოქმედებისა და თეორიის დახასიათებაც (გვ. 438-440, II). ზედმეტია სიმბოლისტი პოეტების მეტაფორების შესახებ დეტა-

ლური მსჯელობა (გვ. 443, II). ასევე ზედმეტია მთელი თავი „სიტყვათა აღქმისა“, იგივე ითქმის „ემბლემატიკურ ფერებზე“ (გვ. 447-458, II) რა კავშირი აქვს სინესტეზურ მოვლენებს ფაუსტთან, ან რას შატებს ფაუსტური პარადიგმატიკის კვლევას ასეთი დაწვრილებითი აღწერა სინესტეზური წარმოდგენებისა?

შრომაში ალაგ-ალაგ შეიძინევა მხოლოდ გარეგნულ მსგავსებაზე დაყრდნობული პარალელები და ანალოგიები. შევებით ზოგიერთ მათგანს:

„უსაფუძვლოდ მესახება ბალხაის „შეგრენის ტყეის“ პერსონაჟის — ანტოკარის შედარება ვაჟის შთებთან: „ის მხოლოდ ელას, ის ელას, როგორც ვაჟის შთები ელიან რაღაც უხილავსა და მიუწვდომელს“ (გვ. 612, I).

ასევე უადგილო ანალოგია მგონია კვლავ ვაჟის შთების მოლოდინის შედარება თომას მანის ადრთან ლევერკიუნის ძიებასთან: „იგი (ადრთან ლევერკიუნი) ეძიოლობს ჩაიხედოს ბუნების საიდუმლოებათა სარკვეში, იხილოს ის „უნახავი“, რასაც ასე მოთმინებით ელიან ვაჟის მთანი მაღალი“ (გვ. 668, II).

შეუსაბამოა ფაუსტის ძიების პროცესის (მისწრაფება და ცდუნება), კუშმარტიკისა და მცდარის მონაცვლობის შედარება საბა „სიბრძნე სიცრუესთან“ (გვ. 403, I) ეს ორი სხვადასხვა რამეა. საბას „სიბრძნე სიცრუისა“ ნიშნავს იმას, რომ „სიკრუით“, ე. ი. შეთხზული, გამოგონილი ამბებით გაღმობულია სიბრძნე. კუშმარტიკება უმართებულთა ილია ჰეგევიკის ხსენება და მისი ლექსიდან ციტატის მოტანა ევზისტენციოლისტიკის კონტექსტში. აქაც ავტორის გარეგნული მსგავსება იკუნუნებს (გვ. 88, I) ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს ილიამ ივრძნო იმ „Nichts“-ის და „ახსურდის“ ხიფათი, რაც შემდეგ ევზისტენციოლისტიკაში პრინციპში იხუვანეს. „ილია ჰეგევიკე თავის დროზე სრულად გარკვევით წერდა „არაფრობის“ შიშის შესახებ და, როგორც დიდი რეალისტი მწერალი უარყოფდა მას“ (გვ. 88, I) („ხოლო ჩემს თავს არაფრობისა არ ძალძამს, ძმანო, ვერაოთ გაძლება“) ილია აქ სულ სხვა რამეზე ლაპარაკობს, სახელდობრ, იმაზე, რომ მას აწინებს შემოქმედებითი არაფრობის, წარმავლობის, მწერლური მოკვდაობის შესაძლებლობა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვითონ მ. კვესელაეის მოაქვს იქვე ციტატი ე. კობეტიშვილის წიგნიდან („ქართული ლიტერატურა“, 1959, გვ. 352-353), რითაც დასტურდება, რომ ილიას ამ „არაფრობის“ შიშეული კავშირიც არა აქვს ევზისტენციოლისტიკურ „არაფრობას“. აქ არავითარი უარყოფა არ არის ევზისტენციოლისტიკური „არაფრობის“, არამედ უმბრალედ ილიას მიერ ნათქვამია, ე-

ით, როგორც მწერალი მალე მივყვები დავწყობას.

მე კვლავ თომას მანის შემოქმედებას წინაშე გვხვდება, მაგრამ აქავე შეიძლება მისი უხეშობანი და შეუსაბამობანი.

ავტორის ნეგატიური პათოსი დასავლეთის დეკადენტური კულტურისადმი ერთბაშად ძლიერია. ეს ცუდი არ არის, მაგრამ ზოგჯერ ზომიერების ვერ იცავს. ხანდახან ავტორის სუსტი დასავლეთის პროგრესულ მწერლებსაც სწავდება. სხვათაგან მწველ ასახვებია თომას მანისა და პერმან პესის მიერ („დოქტორ ფაუსტუსი“ და „Glasperlenspiel“-ში) გამოყენებული ხერხის „ექსტრავაგანტურ პოზად“ მინიშნება (იხ. გვ. 323-324, II). საქმე ისაა, რომ ეს ხერხი მიღებული და გამოყენებულია არა მარტო თანამედროვე ლიტერატურაში და არაერთი მისტიფიკაციას არ წარმოადგენს. ავტორი უშუალოდ არ მოგვითხრობს გმირის თავგადასავალს, არამედ ეითომ აქვეყნებს სხვა პირის ჩანაწერებს და ა. შ. რა არის ამაში საუფრო ანდა საინტერესო? განა ეს პოზიციობაა?

უფრო საყურენია ის ფაქტი, რომ ავტორის თომას მანი ზოგჯერ უმართებულად შევიყვანებულ რატორიკულ მოთხრობებსა და მწერლების „კომპანიას“ (გვ. 410, II). აქ, მაგალითად, თომას მანის გმირის — აღრიან ლევერკიუნის აზრი მიეწერება თომას მანს, რაც შეუძლებელია; თითქოს თომას მანის აზრითაც, დემონების გარეშე შექმნილია შემოქმედება და შემოქმედება. თომას მანი აქ დეკადენტურ შემოქმედებას გულისხმობს, რასაც აღრიან ლევერკიუნის მუსიკა განასახიერებს და არა ურველგარს.

არაა ზუსტი ავტორის დებულება, რომ თითქოს აღრიან ლევერკიუნის სახე მთლიანად ზიგუნდ ფროიდის თეორიის გავლენით იყოს შექმნილი (საბევდ თეორიას (ფროიდის ფსიქოანალიზს) ეყრდნობა თომას მანი, რომელიც ნიცშეს მოძღვრებებს აღრიან ლევერკიუნის სახეს. ლევერკიუნის შიგნი ცხოვრება გაპრობებულია სექსუალური ინსტიტუტების მშენებლობის მოძრაობით, რასაც ის ვერ „გენიალური ავადმყოფობა“მდე“, ხოლო შემდეგ შემოღობვამდე მიყვება. თ. მანს, ფ. დოსტოევსკისა და ფ. ნიცშეს „გენიალური შემოღობვის“ საფუძვლად სექსუალურის სფერო მიაჩნიათ“ (გვ. 56, II).

თუ კი ეს ასეა, მაშინ რა პოზიტიური ლიტერატურული აქვს საერთოდ. თ. მანის რომანს, ანდა ლევერკიუნის ტრაგიკულ სახეს? ნეთ ამ გმირში არაფერია ისტორიულ-სოციალურად გაპრობებული? მაშინ როგორღა აქ მოცემული დეკადენტის დაყვანა ad absurdum ანდა ბიურგერული კულტურის აღსასრულის ასახვა? თუ თომას მანს ლევერკიუნის აქცია

რად სოციალური ტრაგედია მხოლოდ სექსუალური სფეროთი განსაზღვრულად მიანიშნავს, როგორღა ის რეალისტია? ნეთ თომას მანს „დოქტორ ფაუსტუსში“ — ყველაფერი მშენებლობის ინსტიტუტებამდე დაიყვანა?

არავითარ შემთხვევაში, არცერთი თვალსაზრისით არ შეიძლება ისევე შეხედვარისა და თომას მანის ერთ სიბრტყეზე მოთავსება (გვ. 176, II).

ასევე არ შეიძლება უშენიშვნოდ მოხასიანსა და თომას მანის ერთ რეალში, ხოლო ორივესი კი — ნიჰილისტ დეკადენტთა გარემოცვაში (გვ. 220, II) მოთავსება. არაზუსტადია ინტერპრეტირებული თომას მანის აღრიანული ნოველა „გზა სასაფლაოსკენ“ (იქვე). ამ ნოველაში დაპირისპირებულია „ცხოვრება“ და „ხელოვნება“, „სული და საქმე“. გელოსიკადისტური ცხოვრებას განასახიერებს, ლაზარე პიზამიკი — „სული“, „ხელოვნებას“. აქ „ცხოვრება“ იმარჯვებს „სულზე“ ნიცშეანური გავებით (დაწერილობით იხ. მონოგრაფიები თომას მანზე).

მეტ სიზუსტეს მოითხოვს ავტორის მხედობა თომას მანის დამოკიდებულება-მიმართულად ნიცშესადმი (გვ. 23, II). საყოველთაოდ ცნობილია, რომ „დოქტორ ფაუსტუსში“

თომას მანი უარყოფს, ad absurdum დაიყვანს ამ ფილოსოფოსის ნააზრევი. ნიცშეს გაეღენა, საგულეებელია მის აღრიანულ შემოქმედებაში.

მაგრამ მეორე მხრით ავტორი ზოგან თომას მანის მეტისმეტ აქტუალიზაციასა და „გაპრობირებულებას“ ახდენს.

„თომას მანის შემოქმედების ძირითადი მიმართება მსოფლმხედველობრივი განვითარების ისეთ კომპლექსს ქმნის, სადაც ორი, ზოგჯერ ერთმანეთისადმი მკვეთრად დაპირისპირებული, თვალსაზრისი ერთსა და იმავე სიბრტყეზე მოთავსებული, ერთი მათგანი ბურჟუაზიული ცხოვრებისა და კულტურის დასასრულს უჩვენებს, ხოლო მეორე უკეთესი მომავლის პერსპექტივებს“ (გვ. 597, II)

ისევე, როგორც XX საუკუნის სხვა ევროპული კრიტიკული რეალისტები, თომას მანიც ვერ გვიჩვენებს „უკეთესი მომავლის პერსპექტივებს“. ავტორის ეს განცხადება არაა დასაბუთებული, და ამის დასაბუთება შეუძლებელია, რადგან თომას მანის შემოქმედება არ იძლევა ამის საფუძველს. ბიურგერული მსოფლმხედველობის ფარგლებიდან გამოუსვლელად ამის ჩვენება შეუძლებელია, ხოლო თომას მანი არასოდეს არ გამოსვლა ბიურგერული იდეოლოგიის ჩარჩოებიდან. ერთგან თეორიულ სახითაც წერს იქვე თომას მანი ლამაზობის მომავალში სოციალიზმის გარდევარებაზე, მაგრამ ეს არ არის არც მეცნიერული-სოციალური და არც უტოპური სოცია-

ლანში. ამის გარდა, მწერალს არც თეორიულ პლანში არ მიუთითებია მეთოდებსა და გზებზე, რომელიც მიეყვანდა ამ სოციალიზმამდე. და ბოლოს, თავის მხატვრულ შემოქმედებაში არსად არ უჩვენებია „უკეთესი მომავლის პერსპექტივები“.

ავტორი აღნიშნავს, „მოქალაქეებელ მთაში“ ჩნდება გარდუგვის პირველი ნიშანი (გვ. 602, 11), მარტოობის დაძლევისა და სინამდვილესაკენ შემობრუნების პირველი ცდაო, მაგრამ იქვე აუფასურებს ამ ცდას, როცა წერს: „ამ ცდის ფორმა ნიშნეანური სწრაფვა სიმაღლისადმი, სადაც სიკვდილიც გათავისუფლებას და აპარატობის სიკარგელსთან შეერთებას ნიშნავს“. (გვ. 602, 11).

ავტორი ახალიზებს „ბუნდებრივებს“, „მოქალაქეებელ მთას“. „ლოქტორ ფანტუსს“ მაგრამ ვერსად ვერ გვიჩვენებს თომას მანის მიერ მიითთებულ მომავლის პერსპექტივებს.

მეორე წიგნის 474-ე გვერდზე მ. კესელავა თომას მანს მოულოდნელად მიიჩნევს იოჰანეს ბექერსა, ჰაინრიხ მანსა, ანრი ბარბიუსსა და სხვებთან ერთად ბურჟუაზიული ჰუმანიზმისა და პაიფიზმის ჩარჩოებიდან გასულად. ეს მეორე უკიდურესობაა: ვერ ერთი, არ შეიძლება იოჰანეს ბექერსა, კომუნისტისა და სოც. რეალისტისა და თომას მანის, კრიტიკული რეალისტისა და ბიურგერული ჰუმანიზმის ერთ სიბრტყეზე მოთავსება. ამას გარდა, თომას მანმა ბოლომდე ვერ დაძლია ბიურგერული იდეოლოგია. რასაც თვითონ საკუცხზო შრომის ავტორი გვიჩვენებს კონკრეტულად.

იმ მიზეზთა რკვევისას, რომელთა გამოც აღრიან ლევერკუნეი, XX საუკუნის ეს ფანტო, თომას მანმა კომპოზიტორად აქცია და არა მკენიერად ან მწერლად, ავტორს გამოჩენია თომას მანის ერთი მეტად საყურადღებო აღიარება, რასაც ვხვდებით მის სიტყვებში „გერმანია და გერმანელები“ (1945) (ეს სიტყვა მწერალმა თავისი დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით უოშინგტონში წარმოსთქვა „ლოქტორ ფანტუსის“ წერის პროცესში):

„ოქმელებისა და პოემის (გოეთეს „ფაუსტის“ ნ. კ.) უდიდესი შეცდომაა ის, რომ ისინი ფანტის მუსიკასთან არ აკავშირებენ. ის მუსიკალური უნდა უფილყო... მუსიკა... სინამდვილისაგან ყველაზე დაშორებული და ამავე დროს ყველაზე ენებიათი ზელოვნება, აბსტრაქტული და მისტაურია, თუ ფანტო გერმანული სულის წარმომადგენელია, მაშინ ის აუცილებლად მუსიკალურიც უნდა იყოს, რადგან აბსტრაქტული და მისტაური, ე. ი. მუსიკალურია გერმანიელის დამოკიდებულება სამყაროსადმი“.

რასაკვირველია, ჩვენ ვერ დავთანხმებით თომას მანს მუსიკის ბუნების ასეთ განსაზღვ-

რამში, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მუსიკის ეს გაგება იქცა იმის ერთერთ მთავარ მიზეზად, რომ მწერალმა აღრიან ლევერკუნეი კომპოზიტორად წარმოგვიდგინა.

განსაკუთრებით არ წყალობს შრომის ავტორი ერთ მარია რემარკს. რასაკვირველია, ყველას აქვს უფლება მისწონდეს ან არ მისწონდეს ლევერკუნე მწერალი. ეს გემოვნების საქმეა, მაგრამ არ შეიძლება მწერალს მიეაწიროთ ის ცოდვები, რაც მას არა აქვს.

არაა გამართლებული რემარკის ეგზისტენციალისტების რიგში ჩაყენება (გვ. 169, 11) ანალოგია მხოლოდ გარკვევან მსგავსებას ეფუძნება. ძალაან საეჭვოა, რომ ეგზისტენციალისტური „სიბრძნე“ ელიზაბეტის (ეჟამი სიკოცხლისა და ეჟამი სიკვდილისა) პირით დაღაღებდეს (იქვე).

რემარკი „არაფერს“ ეგზისტენციალისტური გაგებით არ ხმარობს (გვ. 172, 11). აქაც მხოლოდ გარკვეული მსგავსებაა.

არაფრით არაა გამართლებული რემარკის მოთავსება უკიდურესი რეაქციონერი მწერლების მწერაჟში, რომელთა მიხედვით, ადამიანისათვის განკუთვნილია მხოლოდ სიმატური ბედნიერებანი (გვ. 235, 239, 269, 11). არც რაჟი და არც ლუდვიგ ზოდმერა არ კმაყოფილებიან „წამიერი ბედნიერებით“, ადვილად არ ეგუებიან ყოველგვარ მდგომარეობას და გულგრილად არ უყურებენ ყველაფერს.

ავტორი რემარკს ადგოს მიუჩენს ანტიჟმანურ, ცინიკოს, კაცობიძული, ანტიფანტურ, რეაქციონერ მწერალთა და მთაბრუნებების წრეში (მაქსლა, კამილ და სხვები...), რაც მეტისმეტი „შემარცხენობაა“ და ფაქტურად ვითარებას არ შეესაბამება; მეორეგან რემარკს კამილსა და სავანის ვარემოცვაში ეხედათ (გვ. 294, 11).

ავტორი კატეგორიულად აცხადებს: „ერი მარია რემარკს პარაზის ტრიუმფალური არაა მოფიქრებული აქვს როგორც ჟოჟსეთის შესახვლი“ (გვ. 285, 11). რას ეყრდნობა ავტორი, ასეთ დასკვნას რომ აკეთებს? თვითონ რემარკი ამას არსად არ ამბობს, არც მკვლევარები აღნიშნავენ.

ვფიქრობ, მდლარადაა ინტერპრეტირებული რემარკის „ეჟამი სიკოცხლისა და ეჟამი სიკვდილის“ ის ადვილი, სადაც გრებერი და ელიზაბეტი ჩაბნელებულ ქალას დაკუთრებენ მალობიდან და სინათლეზე საუბრობენ (გვ. 200, 11). ამ ადვილის დაკავშირება ანდრე ჟიდთან და კაცობრიობის განვითარების შესახებ ნიმილისტური შეხედულებებთან არაა მართებული. აქ რემარკის გმირები თავიანთ გუნისტკივლს გამოჟქამენ, რომ იკაცობრიობა დროებით წყვილიაში ჩაეფლო ფანისტ ბორბტოქმედთა წყალობით.

გაოცებას იწვევს ერთი მარია რემარკის, თა-

წამედროვე კრიტიკული რეალისტის, ჰუმანისტისა და პროგრესული ანტიფაშისტის მწერლის ასეთ კონტრესტში მოთავსება: „მნიშვნელოვანი ნაწილი ასეთი ნაწარმოებებისა იქონებდა ინტერესით, იპყრობს მაყურებელთა უფრადლებას, იქნეს მომხრეებს და ვარკვეულ წრეებში საკმაო პოპულარობითაც სარგებლობს. ყოველივე ამას ფარდის ახლად აღწერდა და არა ჩამოთვარება (ხაზი უტორისაა ნ. კ.). არ შეიძლება უარყოფილ იქნას ის დიდი გავლენა, რომელსაც ახდენს დასავლეთის ახალგაზრდობაზე ექსისტენციალიზმი-სარტრისა და კამიუს შეხედულებები, რემარკისა და სავანის ნაწარმოებები, ანტირაქციონისტული სახებით ხელაყრება თუ დოღჯაფიანობა მუსიკის ზარზაროსული ინტონაციები“ (გვ. 11, 11) როგორც ვხედავთ, რემარკე მოთავსებულია ულტრაბოქსოვლ და ულტრადავადენტურ კონტრესტში. სინამდვილეში კი რემარკე ბიურგერული ჰუმანისტიკა, გულწრფელი ანტიფაშისტია და ანტიიმპერიალისტი, რომელსაც სწერა ადამიანში იმპერიალისტი ნაშტარქლის არსებობა. მ. ფელდმანთან საუბარში რემარკმა ვანაცხადა: „ადამიანი კეთილია, მიუხედავად ევოლუტრისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ატომური ყუმბარა საკიბის უმარტივესი ვადაწყვეტა იქნებოდა“. შეიძლება რემარკის შემოქმედებლად დიდადო მასალის მოტანა, რითაც დადასტურდება ამ მწერლის გაეთმოყვარეობა და ოპტიმიზმი („ყოველთვის პასუხისმგებლად ვგაჩნობ თავს იმისათვის, რაც კი მთელ მსოფლიოში ხდება, ფსიქოპათია ხომ არა ვარ?“ ამბობს „შვიდ თბლისის“ გმირი, ლუდვიგ ბოდმერი; „და თუ საკითხი მჭეფანა სასოებას წარაკვეთავს, უნდა მსოფლიოსი იწამო მაინც. მისი დაბნელება შესაძლებელია, მაგრამ მარადიული უყნუეთი არა... არ შეიძლება ასე იოლად ფარხმალის დაყრა და მსნეობის დაყარგვა... ...ქვეყნად ვერ კიდევ არ ყოფილა ისეთი ტრანია, რომელსაც ბოლო არ მიღებოდეს...“ — ამბობს ემილი სოცოხლისა და ემილი სოცოხლისა“ — სემირი პოლმანი).

მ. კვესელავა ახდენს პოლმანთან გრებერის საუბრის („ეამი სოცოხლისა და ეამი სოცოხლისა“) მეტად მოულოდნელ ინტერპრეტაციას. — „უნდა გწამდეს კაცს. გწამდეს. ამა, მამ, სხვა რაღა დავერჩენია?“ — რა უნდა გწამდეს? — ღმერთი და კეთილი საწყისის არსებობა ადამიანში. — მერედა, თქვენ არასოდეს არ შეგპარვიოთ ამაში ეჭვი? — როგორ არა, — მიუგო ბერიკაცმა, — ხშირად. მამ, სხვაგვარად როგორ შეიძლება გწამდეს კაცს?“. ავტორი აქ პოულობს ეგზისტენციალურ

ურწმუნოებას, უკეთ გაურკვეველი, ბუნდოვანი უსავნო რწმენის გამოხატულებას, რაც წარმოადგენს ყოველ ადამიანში მყოფულ მიდრეკილებას რამეს რწმენისადმი. რამე თეოთონაც არ იცის, რაა ეს „რამე“ (გვ. 302, 11).

სინამდვილეში კი აქ გამოხატულია რემარკის ჰუმანიზმი, ოპტიმიზმი და ადამიანისადმი რწმენა. ამავე დროს რემარკი აქ ფანატისმის, დოგმატურ-რათოდოქსული რწმენის წინააღმდეგ ილაშქრებს, რომელიც არ ცნობს ეჭვს. თვისი ნაშრომის 475-ე გვერდზე (II წიგნი) მ. კვესელავა არსებითად სწორად აფასებს რემარკს და მას კეთონი ადღისაც მიუჩენს, მაგრამ ეს ადგილი აშკარად ეწინააღმდეგება აღზინდელი გამონათქვამებს რემარკის შესახებ. „მიუხედავად შინაგანი მოთხოვნილებისა — გაეცნენ „ცხოვრების საზინებებს“ ა. შორუა, ე. ჰემინგუეი, ე. მ. რემარკი, ე. სტივენსი, ს. შოეში. უ. საროინი, პ. ჰესე და სხვები, მაინც ვერ ახერხებენ საკუთარ „მეში“ ჩვეუტყვას და ხშირად შეტად აქტუალურ საზოგადოებრივ პრობლემებს აყენებენ. შათი ნაწარმოებში არ არის მოკლებული კრიტიკულ ტონს. ისინი ზოგჯერ მკვეთრადაც გამოენ ბურჟუაზიულ ცხოვრებას, მაგრამ გარლევებს მაინც ვერ ახერხებენ...“ (გვ. 474-475, 11).

ასევე უადგილოა ერანესტ ჰემინგუეის დასახელება ეზრა პუნდლისა და მისი ჭრის დეკადენტების წრეში (გვ. 101, I) და საერთოდ, არ შეიძლება „დაყარგული თაბისი“ მწერლები დავითათესაოთ (მით უმეტეს. გაეაიგოთ) ეგზისტენციალისტებსა და სხვა რეაქციონერ მწერლებს (გვ. 174—190, 192, II).

ასევე გაუმართლებელია რეაქციონერთა მწკრივში ჩვენი ნიკო ლორთქიფანიძის ჩაყენება (გვ. 235, II). რა საერთო აქვს მას ეგზისტენციალისტებთან?! („უა არ არსებობს, მაგრამ, რა შედარდება, მშვენიერი საზაბობა ხომ არის!“ — ამბობს ნ. ლორთქიფანიძის ერთერთი გმირი. ეს არარსებელი ანუ „არარარობის სიამე“ ისევ ტრატულური უარყოფის ანუ გაარაფრების შედეგია“, (გვ. 235, II) აჭყავტორის ვარკვეული მსგავსება აცლუნებს.

არ შეიძლება იმპრესიონიზმის ხელილებით უარყოფა (განსაკუთრებით ფერწერის (გვ. 10, 11). ისეთი დიდი მხატვრები, როგორცაა სუზანი, რენუარი, პისარო, დეგა, მონე, მანე და სხვები იმპრესიონისტები იყვნენ.

ავტორის მიერ არასწორადია ინტერპრტირებული ვალაკტონ ტაბისის შესანიშნავი ლექსი — „პარხალი“. მ. კვესელავას ეს ლექსი უარზარ, ფურტრისტულ-დაიანსტრუი „ხეშისი“ ნიშნულად მაინცა და ჰგონია, რომ „პარხალი“ შემთხვევითი გამოჩაგლსია ვალაკტონის შემოქმედებაში (გვ. 441, II). საქმე ისაა, რომ ავტორი ამ ლექსს არასწორად კითხულობს

სარეცენზიო წიგნში ასეა ციტირებული ლექსი:
„ზობრი ბელადეა კახაშხალს ეოლას.
ბოტიკის ბატეზი ქარში მორეკა“ (გვ.-441, 11)

უნდა იყოს: „ზობრა ბელადეა კახაშხალს,
ეოლას

ბირკვილს ბატეზი ქარში მორეკა“.

ლექსში ასახულია ქვემოთმოწერილი ლანდშაფტი, გადმოცემულია ქვემოთმოწერილი სოფლის ფილია — ეს ვალაქტიონის ბავშვობის მოგონებაა. აქ გაუგებარია და ბუნდოვანი არაფერია: ზობრა ი ქვემოთმოწერილი ჰქვია ქარა კაცს, ბელადეა — ე. ი. კაფადეა, ტრადეა, სხე-პადეა; კახაშხალი — ერთგვარი ზალია, წერილი და მოწითალო; ეოლა ანუ ბეოლა — თეთის ხეა, რომელსაც აბრეშუმის ტიხისათვის ტოტებს ჰქვია ზოლმე. ბირკვილი (და არა ბორკილი) აივნის რიკელეზია. ე. ი. ლექსში ნათქვამია: ქერა კაცო ბლანს და თეთის ხეს კათავდა; ქარში აივნის ძირას მოუყარა თავი ბატეზს (მართლაც, ქარის დროს ფრინველებმა აივნის ძირას იციან მიუყუდა).

ზუსტად არაა ინტერპრეტირებული ფრანც კაფკას შემოქმედება. კაფკას შემოქმედება სიმბოლური ანდა სიმბოლურ-ალეგორიული (იხ. Wilhelm Emrich, „Franz Kafka“). ამიტომ არაა საკმარისი მისი ნაწარმოების მხოლოდ იმის მიხედვით განხილვა, რაც პარადპირ, უშუალოდ და ნათქვამი თუ ასახულია.

ნაწარმის ავტორი კი ფრანც კაფკას მხოლოდ პარადპირი აზრით განიხილავს.

კაფკას დაწერილი ჰქონდა 3 რომანი, რომელიც მისი სიკვდილის შერე გამოქვეყნება მას პარადპირს: ესენია „ამერიკა“ ანდა „უცვალად დაკარგული“, „პროცესი“ და „სოფი“. თანმიმდევრულად შეეხებოთ ამ ნაწარმოებთა კვლევისათვის ჩნტერპრეტაციებს.

„ამერიკაზე“ წიგნში შემდეგს ვითვლილობთ: „ასეთი კონცეფციით მიღის ფრ. კაფკა ფუნქტურ თემასთან, ოღონდ მასალად ფაქტებს თქმულებს კი არ იღებს, არამედ მის ადრინდელ პოტოტიკას, პარადიფალს, რომელიც წმ. გრაალს ეძებს, როგორც რომანტიკოსები ეძებენ ცისფერ ყვავილს ან მტკვრლინის გმარები — ლურჯ ფრინველს. ბედნიერების წმ. გრაალის საპოვნელად კაფკას გმარი კარლ როსმანი ამერიკაშიც კი მიდის, მაგრამ ამოიღ. მისი ძიებაც უშედეგოა, რადგან სწორედ ამოებამთა არსებობის საყოველთაო კანონი“ (გვ. 225, 11).

„ამერიკის“ მასალა არაა აღებული პარადიფალის თქმულებიდან. კარლ როსმანი თავის ნებით არ მიდის ამერიკაში. 16 წლის კარლ როსმანი ლარბიშა მშობლებმა გააძევეს ამერიკაში, ფაქტურად მიიშორეს თავიდან, ბედის ანაბარა შიგდეს (კარლი არაფერს არ ეძიებდა ამ დროს — იყო უბიძი, მიამიტი, ტლუ ბიტი), რადგან ბატარა კარლი 35 წლის მოსა-

მსახურე ვოგამ, მზარეულმა ქალმა, რომანა ბრუშერმა შეაცდინა და მისგან შეიღო იყოლია. აღიშნებო რომ არ ეხადათ და ქალი რომ არ აკიდებოდა, მშობლებმა ქალისთვის გვადაგდეს ვეით ცხრა მთას იქით. ამერიკაში შემთხვევით შეიღარა ბიძას შეხედა, მაგრამ მალე ბიძამაც მოიშორა კარლი.

„ამერიკა“ კაფკას ნაწარმოებთა შორის ყველაზე რეალისტური და ყველაზე ნაკლებად ფანტასტიკურია.

მრავალი გამოჩენებისა და თავდადასავლის შემდეგ (ძირითადად კარლი მატერიალური უზრუნველყოფისათვის იღწვის) როსმანს ოკლამის თეატრში მიიღებენ (ეს არაა ჩვეულებრივი თეატრი) და მატარებლით მიჰყავთ... კარლს აქამეს და ასევე სხვებთან ერთად და წერწერილით ბედნიერია. აქ უდება რომანი. ეს რომანზე, როგორც ფრანც კაფკას ორი დანარჩენი რომანი, დაუმთავრებელია. თვითონ კაფკა თავის ამ რომანს „ნათელს“ და „იმედის“ ეძახდა (უკეთ, „უფრო ნათელს“ და „უფრო იმედის“, სხვა ნაწარმოებებთან შედარებით).

მას ბროლის ცნობით, რომანი მშვიდობიანად, ბედნიერად უნდა დასრულებულიყო. „კაფკამ ღიმილით მითხრა, რომ მისი ახალგაზრდა გმირი (ე. ი. კარლ როსმანი ნ. კ.) ამ თითქმის უსაზღვრო თეატრში თითქოსდა სამოთხისეული ჯადოქრობით კვლავ მოიპოვებდა პრაფესისა, თავისუფლებას, კეთილდღეობას, თვით სამშობლოსა და მშობლებსაც“.

მეორე რომანზე — „პროცესზე“ სარეცენზიო შრომაში შემდეგი წერია: „ფ. კაფკას ერთ-ერთი რომანის „პროცესის“ პერსონაჟი კ. დაპატიმრებულია. მის საქმეებს „ვილაც“ აღგენს. რაღაც საბრალმდებლო მასალები გროვდება კს შესახებ. ის უდანაშაულოა, მაგრამ ყოველივე ეს მის გარეშე ხდება, მის ჩურჩყლად. ბოლოს სიკვდილითაც სჯიან, მაგრამ არაინ იცის, რისთვის, ასე სიკვდილმისჯილია ყოველი უდანაშაულო ადამიანი. ეს ყველამ იცის, მაგრამ არაივის შეუძლია რამე გააწყოს, გარდა იმისა, რომ შეზინებული თვალბინი და გულის ფანქვლილი ელოდეს იმას, თუ როდის მობრძანდება „ბატონი ვილაც“, ვინც მას განაჩენს გამოტანს“ (გვ. 224, 11).

არსებობს კაფკას შემოქმედების უამრავი ინტერპრეტაცია, მათ შორის: ბიოგრაფიული, ფსიქო-ანალიტიკური, სიმონსტურ-ეზრაული, პოლიტიკური, კათოლიკური, ეგზისტენციალისტური და ა. შ. მაგრამ არცერთი მკვლევარი კაფკას ნაწარმოებს არ განიხილავს იმის მიხედვით, თუ უშუალოდ, პარადპირი რა წერია მასში გადატანითი აზრისა და სიმბოლიკის გათვალისწინების გარეშე.

რასაკვირველია, კაფკას რომანები და მოთხრობები მკითხველსა და ინტერპრეტატორებს

დიდ სიძნელეებს უჭმნიან. თვით დამთავრებული პატარა მოთხრობებიც კი (რომანებზე რომ არაფერია ვთქვათ) იძლევიან ახსნისა და ინტერპრეტაციის მრავალ შესაძლებლობას. სარეცენზიო წიგნში კი ფაქტიურად ინტერპრეტაციის ცდაც კი არაა მოცემული — უბრალოდ რომანთა ფაბულაზეა ძირითად ხაზებში გადმოცემული, ხოლო კაფკას ნაწარმოების შიშველი ფაბულის გადმოცემას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

კერძოდ „პროცესზე“ შეიძლება მოკლედ შემდეგი ითქვას: იოზეფ კ. („პროცესის“ გმირია იოზეფ კ., ხოლო „კოშკისა“ — კ. და არა ორივეგან კ., როგორც ეს სარეცენზიო წიგნში) ნამდვილად დამნაშავეა, თუმც მას სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია. ის გულცივი, ეგოისტი, არაფერ არ უყვარს ნამდვილი სიყვარულით (განსაკუთრებულ გულცივობას იჩენს დედისადმი, რომელსაც მხოლოდ განრიგის მიხედვით, მისი დაბადების დღეს ნახულობს, ბოლოს, დაბადებას დღესაც არ მოინახობენ); ასევე გულცივია მეზობელი ქალის ფრაილან ბიერსტენერისადმი) და მთელი რომანი წარმოადგენს გმირის სინდისის ქეჩქანას, მის სულიერ ტკივილებსა და სულიერ ბძაქობას, რომელიც „გასაგონობრივებელი“ და გარეგანი მოქმედებით ობიექტივირებულია. (ფრანკ კაფკას სპეციალთა სულიერი მოძრაობის გასაგონობრივება იკავშირებულია) იოზეფ კ.-ს თვითონ გამოაქვს საერთო თავისთვის განაჩენი. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ორი ქალათს მიერ იოზეფ კ.-ს მოკვლა, ნიშნავს თვითმკვლელობას. ესაა მსჯავრი, რომელიც თვით გმირმა გამოუტანა თავის თავს.

წიგნში მცირე უზუსტობაა დამკვიდრებული რომანის შინაარსის მხრივაც. წიგნის მიხედვით, რომანის გმირი დაბადებულა (იხ. გვ. 224, 11) საქმე ისაა, რომ იოზეფ კ. პირობითადაა დაბადებულა: ის სამსახურში დადის ყოველდღე, აღონდ დროდადრო სასამართლოში უნდა გამოცხადდეს. მისი პროცესი ისე მიმდინარეობს, რომ იოზეფ კ. ერთი საათიც კი არ ზის სამსახურში. წესდებებზე მასთან ორი კაცი მოვა. გაიყვანს ქალაქგარეთ და ერთერთი დანას გაუყვარს გულში.

სწორად არ არის ინტერპრეტირებული არც მესამე რომანი — „კოშკი“, „ფრ. კაფკას კ. წლების განმავლობაში იმაზე ზრუნავს, რომ როგორმე მიიღოს ქალადის ნაგლეჯი, რაც უფლებას მისცემს იცხოვროს და იმუშაოს სოფელში. ასეთი „ფანტაზიები“ მხოლოდ თავიანთ ბედს ეძებენ, სხვას არაფერს“ (გვ. 98, 1). ეს სწორია. თუ შიშველ ფაბულას ავიღებთ და დავუკლით სიმბოლური აზრისაგან, მაგრამ კაფკას არცერთი სპეციალისტი ასე არ იქცევა.

„აი თუნდაც ფრანკ კაფკას მოთხრობის „სა-

იღუმლო კოშკის“ გმირი, რომელსაც სახელი და გვარიც არა აქვს, არამედ ერთი ინიციალით კ-თაა მოხსენიებული. მთელი მისი „ფანტაზია“ მისწრაფება იმაში გამოიხატება, რომ მიიღოს ცნობა, რომელიც უფლებას მისცემს იცხოვროს და იმუშაოს სოფელში. ეს არის და ეს, სხვა არაფერი, მაგრამ ესეც ისევე შეუძლებელი აღმოჩნდება, როგორც ფანტაზიური ძიება“ (გვ. 222, 11).

„ამ მოთხრობაში („კოშკი“ ნ. კ.) პატარა ადამიანის მინიატურამდელი დაუვანილი ფანტაზიური ტრაგედიაა. რა უნდა ქნას ამ პატარა ფანტაზმა? ის ზომ დიდს არაფერს მოითხოვს, ქვემარტების წყლამას ან ადამიანის სრულყოფას? არა, მას მხოლოდ ქალადის ერთი პატარა ნაგლეჯი უნდა, მარტო ამას ეძებს, — მას სწირავს მთელ სიცოცხლეს და მიანიჭებს ვერ აღწევს, რადგან იგი უსუსურია, უმწეო სამყაროს კოლოსალური უსამართლობის წინაშე, ან რა შეუძლია მას, როცა ისეთი უბრალო უფლებაც ვერ მოუპოვებია, რომ სოფელში იცხოვროს.“ (გვ. 223, 11).

კაფკა თავის შემოქმედებაში და, კერძოდ, ამ რომანშიც ასახავს თანადროულ ბიურჯერულ სამყაროში ადამიანის იზოლირებას, განმარტობას, სიყვარულისა და პოზიტიური გრძნობებისაგან დაცლას, მოყვასისაგან, მახლობელი ადამიანისაგან მოწყვეტას, გაუცხოებას.

„კოშკი“ კ-ს უნდა დაკარგული კავშირის აღდგენა ადამიანებთან, მარტობიდან, იზოლირებიდან, „ატომიზმიდან“ თავის დახსნა (ეს სიმბოლიზებულია სოფელში ცხოვრების უფლების ნებართვის მიღებით, რასაც ვერ აღწევს გმირი) სოფელი ეს საზოგადოებაა, ადამიანთა ერთობელია, კოლექტივი. თუ ამ საზოგადოებაში მიიღებენ კ-ს, ე. ი. გამოიყვანენ მარტობიდან და იზოლირებიდან, მაშინ ის მოიპოვებს ბედნიერებას, რაც კოშკის სახითაა სიმბოლიზებული.

ზოგიერთის აზრით, „კოშკი“ ასახულია ებრაელთა ბედი თანამედროვე სამყაროში, სადაც ებრაელებს ყველგან ვადაპოილად მიიჩნევენ და არ „ინიშნებენ“ ზოგიერთი კი ფიქრობს, რომ ამ რომანში სიმბოლიზებულია ადამიანის მისწრაფება ზნეობრივი სრულქმნილებასაგან, რელიგიის ისტორიკოსის პანს იოაჰიმ შოსის მიხედვით. „კოშკი“ მოცემულია მიმართება ზეცასა (კოშკი) და ადამიანურ საზოგადოებას (სოფელი) შორის.

„კოშკი“ მკვლევარებს „ფანტაზიის“ თავისებურ პარალელად იმითმეო მიანიშნებს, რომ 1) კ. იბრძვის ინდივიდუალიზმის, მარტოდ ყოფნის, მგოცენტრიზმის წინააღმდეგ, ცდილობს დამლოს ინდივიდუალიზმი. 2) კ-ს მიზანია ცხოვრება საზოგადოებაში, თუმცა, კოლექტივი და აზრიანი შრომა. 3) მართალია, კ. ამას ვერ ახერ-

ხებს, მაგრამ ის უკომპრომისოდ იბრძვის, იღწვის, ბოლომდე არ თმობს პოზიციებს. კაფკას განზრახვა ჰქონდა ასე დაესრულებია რომანი: „მოკვდებოდა განუწყვეტელი ბრძოლითა და ცდილთ დატბუქებულთ, მთელი თემი შეიკრიბებოდა მის სასიკვდილო სარეცელთან... აქ მაქვს ბროდი ნახულობს გოეთეს „ფაუნტური“ გადაიხებებს.“

თომას შანი ასე ანალიზებს „კოშკს“: „მარტოობის ტენდენცია პრინციპულად უარყოფილია. უზენაესი მიზანია ცხოვრება საზოგადოებაში და აზრიანი შრომა (მართალია, რომანის გმირი კ. ასეთ ცხოვრებაში ვერ შეიღწევს)“.

ფრანც კაფკას ნაწარმოებს ჰქვია „კოშკი“. მ. კვსელავა მას „საიდუმლო კოშკს“ უწოდებს, რაც, ჩემი აზრით, გაუმართლებელია. მართლაც კაფკას ეს კოშკი იდუმალებითაა მოცული, ის არაა ჩვეულებრივი კოშკი და ა. შ. მაგრამ მაშინ ასეთივე ლოგიკით კაფკას თითქმის ყველა ნაწარმოებს უნდა შევეყვაროთ სახელწოდებანი. ასე, მაგალითად, „პროცესს“ რომელშიაც ასახულია უცნაური, გაუგებარი, იდუმალებით მოცული ალთგიური სასამართლო პროცესი, შეიძლება (ანდა: უნდა) დავარქვათ: „უცნაური პროცესი“. ასევე „Die Verwandlung“-ს რაც „გარდაქმნას“ ნიშნავს, უნდა ვერწოდოთ „ფანტასტიკური გარდაქმნა“, რადგან აქ არა-

ჩვეულებრივ გარდაქმნაზეა ლაპარაკი (ინამიანი მწერად იქცა), მაგრამ ეს სწორედ არაკაფკასებური საქციელი იქნებოდა! რადგან კაფკას ერთერთი სპეციფიკური ნიშანქვეშითაა რამე, ეს მწერალი ფანტასტიკურ, არაჩვეულებრივ ამბებზე ისე წერს, თითქოს საქმე ჩვეულებრივსა და ყოველდღიურს ეხებოდეს.

მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, მ. კვსელავას ფუნდამენტური ნაშრომი ორ წიგნად, თამამად შეიძლება მიიჩნეულ იქნას ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის მნიშვნელოვან მონაპოვრად. სამოცდაათ თაბახიან წიგნში, რომელშიაც ზღვა მასალაა გამოყენებული და უამრავ პრობლემა დასმული და გადაწყვეტილი, ბუნებრივია, გააპარებოდა ლაფსუსებიც, უზუსტობანი და, ზოგჯერ შესაძლოა, ცალკეულ ფანტობრივი შეცდომებიც. მაგრამ ეს ნაყოფანებანი ვერც ოდენობრივად და ვერც თვისობრივად ვერ აღწევენ იმ ხარისხს, რომელიც არსებით ზიანს მიაყენებდა წიგნის ხაერით ღირებულებას.

ჩვენი შენიშვნების მიზანი ის იყო (თუ კი ავტორი ზოგიერთ მათგანს მაინც მიიღებს), რომ წიგნის რუსულ, ანდა რომელიმე უცხოურ ენაზე (სასურველია გერმანულზე), თარგმნისას ავტორის ყურადღება მიგვექცია ზოგიერთ გასწორებულ შეცდომასა და ლაფსუსზე.

იხიილ შეხვედი

სამედიცინო-ბიოლოგიური საკითხები სულხან-საბა
ორბელიანის ნაწარმოებებში

სულხან-საბა ორბელიანის მრავალმხრივი შემოქმედება დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს მეცნიერების სხვადასხვა დარგში მომუშავეთათვის. ენათმეცნიერები, პედაგოგები, ფსიქოლოგები, ბოტანიკოსები, გეოლოგები, ლიტერატორები, მათემატიკოსები და ბუნებისმეტყველები თანაბარი სიუსხვით სარგებლობენ სიბრძნისა და მალაღონიერების ამ ძვირფასი საგანძურით.

საბას შემოქმედება ძვირფას მასალას შეიცავს აგრეთვე ქართული მედიცინის ისტორიის ზოგიერთი საკითხის გასარკვევად. მისი ლექსიკონი, „სიბრძნე სიკურთისა“, „მოგზაურობა ევროპაში“ და „სწავლანი“ საშუალებას იძლევიან გარკვეული დისკენები გავაყოთ მთელ რიგ საკითხებსა და თვით საბას სამედიცინო-ბიოლოგიურ კონცეფციასზე.

საინტერესოდ აქვს საბას განმარტებული ორგანიზმის ისეთი რთული ფიზიოლოგიური პროცესები, როგორც არის ძალი და სიზმარი.

„ძილი არს აღორთქლებად სტომოქისად რა აღვალს ტვნად. შველს ძარღუთა საგრძობელთასა და დაკშავს ორღანთათა: თვალთა, ყურთა და ფართასა, ხოლო სხ ყელი თვნიერ ამბთასა ექმ იქმნების და მღებარე“.

როგორც ვხედავთ, ძილის წარმოშობას მექანიზმი დაკავშირებული ახაა რაიმე „მისტიკურ“ ამბებთან, გარკვევითაა ნაჩვენები ცენტრალური ნერვული სისტემის—ტვინისა და გრძნობათა ორგანოების მონაწილეობა ამ ფიზიოლოგიურ პროცესში მათი დროებითი გაერთიანების (შეკავებითი პროცესების), „დაბშობის“ სახით.

სიზმარიც ასევე რეალურ ფიზიოლოგიურ პროცესად არის აღწერილი. სიზმრის წარმოშობაში, სრულად მართებულად, საბას მოწმობით მნიშვნელობა ჰქონია ძილის წინ განცდილ ამბებს: „სიზმარი ოთხთა რეკმათა მიერ იქმნების ჩაყოლითა დღისა წაღლისა და ნდომისა მიერ... ხოლო საღუთათა ძილითა ჩვენებამა არა ეწოდების სიზმარი“.

აღსანიშნავია, რომ საბას დროს სიზმრის

ფიზიოლოგიური პროცესის ამახველი მრავალი მეტყველი სინონიმი უფილა გავრცელებული: ძილის-შინა, ძილისშორისნი, და მისგან ნაწარმოები სიტყვები: მეძილისშინათა (მესიზმრეთა), გაძილისშორისე, ვიძილისშინე (სიზმარი ვნახე), იძილისშორისა (სიზმარი ნახა).

გარემოს შეგრძნება, აღქმა გრძნობათა ორგანოების მეშვეობით ხდება, რადგან „გრძნობა ესე არს ძალი სულისა შემატყუებელობითი, ესე იგი არს განმარტებულთითი ნეთთაჲ“. გრძნობათა ორგანოები კი ნერვების საშუალებით დაკავშირებულია ტვინთან. „ყოველი ძარღვ წგრძნობელი არს, მგრგული და უსხუესი და დასაწყისი ტვნადამ აქუს“. მასთანადავ, გარემოს აღქმისა და შეცნობის ორგანო, ცენტრი არის ტვინის სუბსტანცია, ტვინი, რომელიც გრძნობათა ორგანოების საშუალებით ღებულობს გარემოდან იმპულსებსა. სიტყვის „სავგრძნობელი ასონის“ განმარტებაში სახას საკმაო სიუსხვით აქვს გარკვეული გრძნობის ორგანოები და მათი ფუნქციება.

დაავადების, პათოლოგიის არსი თითქმის ყველა ცივილიზებულ ქვეყანასა და ეპოქაში ანტიკური დროიდან მე-17—18 საუკუნეებამდე დაფუძნებული იყო ჰიპოკრატეს ჰუმორალურ-პათოლოგიურ თეორიაზე, რომელიც თავის დროისათვის მატერიალისტურ მსოფლმხედველობას წარმოადგენდა. სავარაუდელია პროვანსელის საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენლები, მათ შორის ქართველი ექიმები, ძიარებდნენ და იყენებდნენ ამ თეორიას, როგორც ქრისტიანული, ისე სხვა რელიგიური დოგმატიზმის წარმომადგენლებთან იდეოლოგიურ ბრძოლისა და პაექრობაში. საბასულხან ორბელიანიც ყოველგვარი რელიგიური დოგმების გარეშე იხიარებს ამ თეორიას:

„ქადოენება არსებად და ძალად სიართ მთავართა დანაბაში ჰგონე, რომელ არს ქვეყნისა (მიწისა—მ. შ.) სივრილე, წყლისა სინოტივე პირის სიზხურვალე, ციციხლის სივმელე“
ამ თეორიაზე დაფუძნებული ადამიანის სიჯანსაღისა და დაავადების არსი, ეთიოპათო-

გენეზი. საყაროს მსგავსად ადამიანის ორგანიზმიც 4 ელემენტისაგან შედგება. საბა ორგანიზმის შედგენილობას „რევმას“ უწოდებს და შემდეგი ფორმულირებით აყალიბებს ამ მოსაზრებას:

„რევმა ვეგ არიან ოთხნი იგი ასონი ცხოველთა-ნი (კაცთანი): შინათური ნაეღლი, რომელ არს ზოფრა შევი ნაეღელი, რომელ არს სევედა. თელგამი, რომელ არს ბალაში და სისხლი“.

ამ ოთხ ელემენტთა აღრევა, ჰუმორალურ-პათოლოგიურ თეორიის თანახმად, იწვევს ორგანიზმის დაავადებას. მათი წონასწორობა კი — სიჯანსაღეს.

გარდა ზოგადი სამედიცინო-ბიოლოგიური საკითხებისა, საბას შემოქმედებაში, განსაკუთრებით მის ლექსიკონში, უხვად არის მოცემული ადამიანის ანატომიის, ფიზიოლოგიის და სამკურნალო საქმესთან დაკავშირებულ ტერმინთა და ცნებათა განმარტებანი. ზოგადი სამედიცინო-ბიოლოგიური ზასიათის 180-მდე ტერმინი და ცნებაა განმარტებული ლექსიკონში. 50-მდე ანატომიურ-ფიზიოლოგიური ტერმინი, დაავადებათა სახელწოდება—160-მდე, 40-მდე დაავადების სიმპტომთა აღმწერელი სიტყვებია — (მაგ. ქოშინი, ხრტალი, ქუჭუქუნი, ვუნემა, ბორგა, ბრბუნვა, გარინდება, ფანცქალი, ჭავილი, ძვერა, მარვა, ძროლა, წყევა, ჭლოყინი და სხვ.), 140-მდე სამკურნალო მცენარე, წამლევი ფორმა და სხვა სამკურნალო-წამლო საშუალებათა (ცხოველური, მინერალური, მცენარეული) აღმნიშვნელი ტერმინები—60-მდე.¹

ეს განმარტებანი გარკვეულ წარმოდგენას ჰქმნიან მედიცინის ცალკეულ დარგთა და ცალკეულ საკითხთა გარშემო... ჩვენ არ შევუდგებით მათ დეტალურ განხილვას. მხოლოდ ვიტყვით: რომ არ გეჭონდეს თვით ძველი სამკურნალო ძველები, საბას ლექსიკონითაც კი მოხერხდებოდა მედიცინის განვითარების იმდროინდელ დონეზე ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნა. სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაში ბევრი ისეთი საკითხია გაშუქებული, რომლებიც საკუთრივ სამედიცინო წყაროებში არ გვხვდება და მხოლოდ საბას ნაწარმოებთა საშუალებით ხერხდება მათი დადგენა. ეს დასტურდება გარდა ლექსიკონისა, საბას სხვა ნაწარმოებებითაც („სიბრძნე სიკრუსი“, „სწავლანი“, „მოგზაურობა ევროპაში“), სადაც ბმობად მოპყავს საბას ექიმობასა და მკურნალობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ამბები.

¹ საბას „ლექსიკონსა“ და „სიბრძნე სიკრუსისაში“ აღწერილ ზოგიერთ საკითხს შევხვდნენ პროფ. მ. სააკაშვილი და ა. გულაშვილი წიგნში „საქართველოს მედიცინის ისტორია“, ტ. III, წ. 1, 1956 წ., საქმედგამი.

ევროპაში მოგზაურობის დროს მას არსად დაუტოვებია უნახავი და აუწერელი საავადმყოფოები, ანატომიურა მუზეუმები, და სხეულთა თავშესაფრები. ჩანს მათი ნახვაც პირადი დანიტრესებით კი არ იყო ნაყარნახევი, არამედ მათი დათვალიერება და აღწერასრულიად საქმიანი და ოფიციალური იყო. მისი ქვეყნის საჭიროებით — „სოფლის საქმით“ გამოწვეულა.

„სხვებზე მრავალი უცნობი იყო. მერამ რადგან ვერ ვნახე, აღარც დაწერე. საქმემ არ მოგვიხდინა ნახვა არა თუ ჩემი საქმით, სოფლის საქმით“.¹

იტალიაში საბამ დათვალიერა ანატომიური და ზოოლოგიური მუზეუმები, იქ ნახა ფიტულები, ანატომიური მულაეები და ქანდაკებები.² ნახულობს ადამიანის ემბრიოლოგიური განვითარების ამსახველ სურათებს. ერთერთ საავადმყოფოსთან არსებულ აფთიაქს და აღწერს მის.

საავადმყოფოები ბევრგან დათვალიერებია, დიდიც, პატარაც. აღსანიშნავია, რომ 140 საწოლიან საავადმყოფოს პატარა საავადმყოფოს უწოდებს: „და ქსენონი მისთნა ვერსად ენახე, მომცრო იყო ასორმოცი კაცისა“.³

ერთ-ერთ სასწავლოში 1200 საწოლი ყოფილა, მამაკაცების, დედაკაცების, ქალწულებისა და ბავშვებისათვის ცალკე განყოფილებებით. ჩანს, იქვე ყოფილა მოწყობილი ფსიქიატრიული განყოფილება:

„ორმოცი გიცი და დღემამის უარშია, მათ ფეხში ბორცილი ეყარა დაბულნი იყენენ... ერთი მღელილი მათი მასწავლებელი და მოძღვარი იყო... მათს საყრდისს სისმელ საქმელს მისცემდნენ“.

საბა საინტერესო ცნობას იძლევა, იმ დროს ფსიქოლოგიურად დაავადებულთაგანი დამოკიდებულების შესახებ, რომ ისინი „ბორცილ გაყრილები“ იყენენ დაბულნი და ექიმის დანიშნულებით მათ ფიზიკური დასჯით „მკურნალობდნენ“.⁴

ერთ-ერთი დიდი საავადმყოფო უნახავს საბას, სადაც ცალკე იყო თერაპიული (საქიმო) და ქირურგიული (საყარაო) განყოფილებები. ჩანს, ეს საავადმყოფო სასწავლო ბაზაც იყო მომავალი ექიმებისათვის.

მრავალი საავადმყოფო დაათვალიერა საბამ: მალთაში სამას საწოლიანი საავადმყოფო,

¹ საბა-სულხან ორბელიანი, „მოგზაურობა ევროპაში“, გვ. 115.

² იქვე, ჩვ. 38.

³ საბა-სულხან ორბელიანი, „მოგზაურობა ევროპაში“, 51—54.

⁴ საბა სულხან-ორბელიანი, „მოგზაურობა ევროპაში“, გვ. 57.

წმინდა მართას მონასტერში დიდი სააღმშრუო-
ფო უბატონოთათვის. ყველა ცალკეულ
შემთხვევაში აღწერს იმ ახალსა და განსაკუთ-
რებულს, რასაც ნახულობს ადრე ნახულ სა-
აღმშრუოთათვის განსხვავებულს. მალთის
სააღმშრუოთათვის საბას მიუქცევია უფრადღება
მოწყობილობასა და ინვესტირის მდიდრულ-
ობისათვის. „სასახურებელი და კურხის სულა:
ქებაი, სინი, თეფში, ჭამი სნულთა შარდის გა-
სასტელი ამდენის კაცისა სრულ ვეცხლა
იყო“.¹

ამ სასნელოში მნიშვნელოვანი ყოფილა
აგრეთვე კვების, ღიერის რეგულირება.

წმინდა მართას მონასტერთან არსებული სას-
ნელო იმით ჩანს განსხვავებული დანარჩენ-
თაგან, რომ აქ „მარტობელა დიდების“, კორწი-
ნების გაჩეჭე დაორსულებულთა ბავშვებს ლე-
ბულობდნენ:

„აგი დედაკაცი დაორსულდება, შეიღს ვერ
წიბლენს, იქ გზაზე ერთი ქახაჯია. იმაში
თბილად აგია. შიგ ყმაწვილს ჭაუწვენენ. მოაბ-
რებენ, ზარს დაბეჭდენ. ჭალები წაეღენ...
იქ თორმეტი ძიძა იყო ცამეტ ჩჩვილს ყმა-
წვილს ზრდიდენ, რომ ყმაწვილი საბის ოთხის
კვირისა შეიქმნება, გარეთ მისცემენ სხვას ძი-
ძასა. თეფში შარნილი აქვსთ და ოთხს წელი-
წაღზე ამათვე მოაბარებ... საბი იმ დამეს
მოყუანათ, მე რომ მიველ და რეასი ქალაქში
გებარა“.²

ერთ მონასტერში მისი უფრადღება იმან მი-
იქცია, რომ იქ „ვეცხესია და ამისი მონასტერი
და სასნელო სულ მებაღეებმა და მებეღეებმა
ააშენეს და გააჩვიეს. ვინც იმათი ავად გახ-
დებდა, იქ დაწებია“. ხალხის მიერ გაშენებულ
სასნელოები საინტერესო მოვლენაა.

სამედიცინო საკითხებით დაინტერესება სა-
ბასათვის შემთხვევითი არ იყო, ეს ჩანს არა
მარტო ზემო განხილული ლექსიკონიდან, არა-
მედ მისი აღრინდელი, სიურმის წლებში შექმ-
ნილ ნაწარმოებდანაც — „სიბრძნე-სიცრუ-
ისა“, სადაც მოცემული და განხილულია აგ-
რეთვე მედიცინისა და მკურნალობასთან და-
კავშირებული ზოგერთი საკითხი. მაგრამ სა-
ბას შემოქმედებამი ერთი რამ გარკვევით შე-
ინიშნება: ცნობილია, რომ ლექსიკონი და
„სიბრძნე სიცრუისა“ საბაჲ სიურმეში, „ერის-
კაცობაში“ დაწერა, „მოგზაურობა“ და „სწაე-
ლანი“ კი გვიან, ბერად შეღვამის შემდეგ. რე-
ლიგიის სამსახურში მყოფი საბა, ვალდე-
ბულად სთვლის თავისთავს მისი შემოქმედება
ბიბლიური ამბებით შეაფერადოს, ცალკეულ
საკითხები სახარებიდან აღებული დოკუმენტით
ვახსნას. სწორედ ამიტომაც „მოგზაურობასა“

და „სწაელანში“ ხშირად სასწაულებრივად გან-
კურნების ამბავი მოხსრობილია!

„სიბრძნე სიცრუისაში“ და ლექსიკონში „კო-
ფრო რეალური ამბებია აღწერაბა... ჩქ! სტუმ-
ნობა უფრო განათლებული, „საეროდ“ მთაზ-
როვენ, „ერისკაცის“ თვალი და აზრი.

„სიბრძნე სიცრუისაში“ საბას მოცემული
აქვს საშუალო სიუჟეტებში მეტად გავრცე-
ლებული „მკურნალი ვახსნით“ და „სისხლის
გაღებით“ მკურნალობის შემთხვევები,³ საი-
დანაც ჩანს, რომ „ხელოვანი მკურნალისა-
თვის“ შესაძლებელი ყოფილა პიპერტონიულა
კრზის პაბიტუსით შეტყობა და სელოდნიით
ამ შემთხვევაში სისხლის გაღების ეფექტუ-
რობა.

„სიბრძნე სიცრუისას“ არაკებში აღწერილია
აგრეთვე არა სასწაულებრივი, არამედ რაციო-
ნალური მკურნალობის ეფექტიურობის მაგა-
ლოთები მალამოებით, წამლებით. ერთ-ერთ
იგავში სამკურნალო წამლად დასახელებულია
ველის, ასპიტის შხამი.⁴

„შეინერა“ ექიმის დიაგნოსტიკაც ობი-
ექტიურ გამოკვლევათა სიფუძველზეა დამ-
ყარებული. „ერთი კარგი აქიმი იყო.
სნეულთან რა მივიდის, სნეულის პატ-
რონი ჰქიით მის შარდს მიუტანდის, და რა ნა-
ხის, სენი ცნის, წამალი მისცის და განიურ-
ნის“.⁵

მაგარად საბამ იცის, რომ მარტო წამლები
არა საკმარისი ავადმყოფისათვის, რწმენა, გან-
წყობილება, სულერი კმაყოფილება, ფსიქიკე-
რი ზემოქმედება მნიშვნელოვან სამკურნალო
ფაქტორებად თვლება და ის „ბრძენი მკურ-
ნალის“ ერთ-ერთ სამკურნალო საშუალებად
გამოიყენება. „...ამისი ცოლი მთამა, და მით
მოვრი. რა სწეულის გულს დღიად იამოს, იგი
მორჩეს უსაცოლოდ“.⁶

თითქმის სამასი წლის წინათ ნათქვამი საბას
ეს ხატუვები, საკვირველად ეხმარება პელო-
ფურ მოძღვრებაზე დაყრდნობილ ღღეანდელ
ფსიქოთერაპიას. საბას იგავების ექიმი-ბერსო-
ნაყები განსწავლული იქნებოდა არიან — „ბრძენ-
ნი“, „შეინერანი“, „ხელოვანი“, რომელნიც
მსჯელობენ დაეადებათა გამოცნობასა და
მკურნალობის საშუალებებზე, იკრიბებიან ავად-
მყოფთან, იწვევენ „კონსილიუმს“ და სხვ.
მთელი რიგი მანიპულაციები და მკურნალობის
მეთოდებია აღწერილი საბას იგავებში. იმდენ-
ად დღიად საბას ფანტაზიის დიაბაზონი, რომ

¹ იქვე, გვ. 27.

² იხ. „სიბრძნე სიცრუისა“, გვ. 85, „ძიძა ჩემი
დია ხელოვანი მკურნალი იყო...“

³ იქვე, გვ. 89.

⁴ იქვე, გვ. 129.

⁵ იქვე, გვ. 86.

¹ იქვე, გვ. 133.

² იქვე, გვ. 85—86.

ზოგიერთი ოპერაციისა და მეთოდის იდეა მთელი საუკუნეებით აღრე აქვს ვააზრებული, სინამდებარე დაამკვიდრებოდნენ ისინი თანამედროვე მედიცინაში. ასეთ მანიპულაციებს ეკუთვნის: 1) თავის ქალის დეფექტის დახურვა (კრანიალასტიკა) მენტალით; „აქი ერთი ომში დამწვედვლოდი. თავის ქვაზე სრულობით დამსხვრეული ჰქონდა, იგი ძალი აღარ მიეზმოდა. სრულებით ძალი გამოვიღე და ძვლის წილ სპილენძი ჩუგადვე, შედუღდა და მან კაცმან დიდი ხნია იცოცხლა“.¹

აღსანიშნავია, რომ არაორჯანული ნივთიერებებით თავის ქალის დეფექტის დახურვის იდეა ნეორაქიოტრეგიაში არც ესე დიდი ხნის წინა დამკვიდრდა და დღესაც მეცნიერული დამუშავებისა და დაზუსტების ობიექტს წარმოადგენს.

2) ქსოვილთა ჰეტეროგენური ტრანსპლანტაცია: „მეზობელა ჩემი ხელმარჩევი დოსტაქარი იყო. მეზობელმან ჩემთან წვივი დაილეწა ასე, რომე ძვალი სრულობით დაიფუჭა. აღარ შეერთდებოდა, ხორცი გაუჭრა, ძვლები გამოვლო და წვივიღ ვირის წვივი ჩაუგდო. წამლები აყარა, შეადუღა, მოარჩინა და უქეს ზღოვუნება“.²

ქსოვილთა ჰეტეროგენული ტრანსპლანტაციის იდეა დღესაც იდეად და პრობლემადაც არის დარჩენილი მედიცინაში.

3) კიდურის ამპუტაცია (მოკვეთა).

საბას იგავის ერთ-ერთმა პერსონაჟმა მაგისტროსმა „წვივი სრულობით დაილეწა“, რომელსაც „ვერა უწამლეს რა“, მოაწვიეს, როგორც ჩანს დოსტაქართა კონსილიუმში. დოსტაქრები ავადმყოფის გასინჯვის შემდეგ ცალკე ოთახში გადინან, რომ დაავადების გარშემო მსჯელობა ავადმყოფის გარეშე მოხდეს, მაგრამ „მაგისტროსს ერთი გულითადი მონა ჰყვა... იგი შეუყვნა დოსტაქართა. — ჩემთვის რას იტყვიანო? — მონამ მოისმინა დოსტაქართა კონსილიუმის დასკვნა. დასტაქართა თქვეს: — ხეალ მოვიდეთ, თუ მუხლში მოგვატრევირის, უწამლოთ, და კიდვე მოარჩება, თვარა მოკვდება და ხელს ნუ მივყოფთო! — მოვიდა მონა ტირილით და ყველა უამბო. რა მაგისტროს მოისმინა, ასე თქვა: — მე ცალფეხს სიცოცხლეს, მოკვდე, დია მივობსო! — მრავალი იტირა და მიეძინა“.

მეტად საინტერესოა ამ იგავში დასტაქართა კონსილიუმის მოწვევის ფაქტი, რაც მთავარია, თვით გონიერული გადაწყვეტილება ამპუტაციის აუცილებლობაზე.

ყოველივე ეს მიუთითებს, ერთი მხრივ, სა-

ბას დიდ დაკვირვებას და ცოდნაზე მედიცინის უაღრესად პრაქტიკული საკითხების გარშემო, მეორე მხრივ, მედიცინის, საექიმო დახმარების კულტურის უაღრესად მაღალ დონეზე, ექიმის ავადმყოფისადმი მიღვამის, ტაქტიკის მეტისმეტ დახვეწილობას და სინატივიზე. თვით კიდურის ამპუტაცია უსათოდ რეალურად აღსებული და გავრცელებული ოპერაციის ანარეკლია საბას შემოქმედებაში. აღსანიშნავია, რომ დღემდე არც ერთი ქართული სამედიცინო ძეგლი არ შემონახულა, სადაც აღწერილი იყოს კიდურის ამპუტაცია.

4) ნარკოზი და მუცლის ღრუს ოპერაცია, რომელიც „სოკოს“ დაავადების ოპერაციულ მექანიზმობაში აქვს საბას აღწერილი:

„ჩემთან მასპინძელმან, ქურთისტანის ბატონმან, მე წამიყვანა. დედა მისი თავად ხნიანი დიაცი იყო, და მერმე ასრე თქვეს: — ოჲი წელიწადია ასრე არისო და ვერა აქიშამ ვერ უწამლა რაო. — მივიღე, ვნახე, უსუსურად იყო, დამკობილ იყო და ღონე არა ჰქონდა; ხორცი დაეყარა, ფერი წასვლოდა, საკმელს ვერ იხელებდა, სული-სიგან დევრდობილ იყო, სიტყვა დამძიმებოდა, მაგრამ ცნობა კიდევ კარგე ჰქონდა. გავსინჯე დიდი ზრუნვა შემეჭნა. რა მრავალი გულისითქმა შევქმენ, მის სენის თავი შევიგინე. ღვიძლზედ სოკო დასხმოდა და მას გაუხადა. გამიჭირდა, დავღონდი. ვუთხარ: — ამას ასეთი სენი სჭირს რომ ხნიანიც არ იყოს, ძნელი მოსარჩენია, მაგრამ ჩემს ოსტატობას ვედი, და მაღალი ღმერთისა მეჭიქ. მათაც ნება დამბრთეს“.¹

ხსენებული ამონაწერი უაღრესად მრავალფეროვანი დასკვნებს გამოტანის საშუალებას იძლევა. საოცარია არაეჭიმიისაგან მუცლის ღრუს ასეთი რთული ოპერაციის თანმიმდევრული და დეტალური აღწერა, ყარგად არის აღწერილი თვით დაავადების ნიშნები. მეტად ზუნებრივად არის მოკემული ექიმის პასუხისმგებლობის გრძნობა მიმე და რთული დაავადების წინაშე.

აქაც მნიშვნელოვანია ექიმის ტაქტიკა ავადმყოფისა და კირაბუფალთა წინაშე: გაფრთხილება დაავადებისა და ოპერაციის სიმძიმეზე, კირისუფალთა ნებათვა ოპერაციულ ჩარევაზე გარანტიის გარეშე, ყოველივე ეს ექიმებისა და საზოგადოების ურთიერთ დამოკიდებულების ერთგვარ რეგლამენტაციასა და ტრადიციულობაზე მიუთითებს.

ტექსტიდან ირკვევა მეტად საინტერესო საკითხი სახელდახელოდ „საოპერაციო“ ოთახის მოწყობის შესახებ: „აბანოს გარ სრულ ნაბა-

¹ სულხან-საბა ორბელიანი „სიბრძნე სიცრუისა“, გვ. 85.

² იქვე, გვ. 85.

¹ საბა-სულხან ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“, გვ. 90.

დი შოკაჯარ და შიგან ფარდაგი დაეკიდე, რომ ნიაფი არ შემოსულიყო და ორთქლი დამდგარყო". ამანოს საოპერაციოდ გამოყენება, მისი ღახშივითა და ორთქლის დაყენებით, პირველად მხოლოდ აქ გვხვდება, არსად ქართულ სამედიცინო ძეგლებსა და წყაროებში არაა აღწერილი ის. დანამდვილებით შეუძლებელია თქმა, თუ რა მიზნის ისახავდა ამანოს ჰერმეტიკობა და ორთქლი ოპერაციის მსვლელობაში, საღებრელია კი ამანოს ცხელი ორთქლი შექმნიდა შედარებით სტერილურ ჰაერსა და გარემოს, რაც უზრუნველყოფდა, მათი აზრით, ინფექციისგან ნაოპერაციე კრილობებსა და მუცლის ღრუს. ვარდა ამისა, შექმნილი სინესტე და მალე ტემპერატურა დაიცავდა ნაწლავებს, ერთი მხრივ, ვერობისხაგან და, მეორეს მხრივ, ცხელი ორთქლი შექმნიდა სხეულის (ნაწლავების) ბუნებრივი ტემპერატურის შესაფერისობის საოპერაციო ოთახში. დღესაც მუცლის ღრუს ოპერაციის დროს ქირურგს ხშირად უხდება ნაწლავებზე სველი და ცხელი საფენების დაფება.

საოპერაციო გარემოსა და ოთახის ასეთი დამუშავება, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს გონებასახელობის მოკლებული იმ დროისათვის.

მაგრამ განსაკუთრებულ უფრადღებას იმსახურებს მუცლის ღრუს ოპერაციის წარმოების თვით ფაქტი და, რაც მთავარია, ზოგადი ნარკოზი ძალით. არა აღუპოლობთ, არა სიმთვრალით გაბრუნება, რომელიც ძველთაგანვე გავრცელებული იყო ქირურგიული მანიპულაციების დროს, არამედ სპეციალური „საძილე წამლი“. „საძილე წამალი ვასვი“ ამბობს საბას დისტაქარი, ჩანს ის ძლიერ მოქმედი, ღრმა ძილის გამომწვევი სამუდებოა, რადგან მხოლოდ მთელი ან ხანგრძლივი ოპერაციის ნატარების შემდეგ „გადღეობა“ ავადმყოფს. „საძილე წამლები“ სხვაგანაც აქვს საბას ნახსენები: „ერთი ქიმა საძილე წამალი“ წაიღო ერთმა კაცმა და ქაყებს დააღვივანა, მოყოფდა საძილე წამალი და ორთაღ დავრინათ“!

ძალით, ნარკოზით ოპერაცია, ვფიქრობ, უცნობია მედიცინის მსოფლიო ისტორიაში იმ დროისათვის. ვინც მუცლის ღრუს ოპერაციას დასწრება, უსათოდ იგრძნობს საბას აღწერილობის თანმიმდევრობასა და სიზუსტეს. „შეიფიანე, საძილე წამალი ვასვი, დაეწვიენ, მუცელი გაუქუბე, შიგანი გამოეწვალე, საცა ლიდილზე, ან ვეამზე სოკო უხსა ამოუთაღე, წამალი დაეცხებე, ზეთები დაეასხი. შიგანი შიგავ შევეჯრაფე. მის მის ადგილას დაეწვიე, მუცელი გაუქუბე, მაგრად შევეჯარ. რა გაეღვიძა, წამლით ხელი შეეწვიე, გაეამოღე, მორბა, გა-

სუქდა, გაეკოდა, დიდად მიქმუნენ, ხელმოუნებასა“. უმჯველია, ასეთი აღწერილობის დამწერს, რეთი უნახავს ეს ოპერაცია.

ზემოხსენებული ქირურგიული მანიპულაციები, თავის ქალის დეფექტის დახურვა (კრანიალასტიკა), ქსოვილთა პეტეროგენული ტრანსპლანტაცია, კიდურის ამპუტაცია, ლამარტოზია — მუცლის ღრუში ოპერაციული ჩარევებით და ზოგადი ნარკოზი. არც ერთ ქართულ სამედიცინო ძეგლში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღწერილი არ არის, რადგან შემონახული ძველი სამედიცინო ხელნაწერი წიგნები მხოლოდ „საქაქიმონი“ არიან (თერაპიული ცნობარის მავარანი). ქირურგია საჭარბოვანოში უძველესი დროიდან სრულიად განვითარებული დირჯა წარმოადგენდა. ძველი „საქაქიმონი“ წიგნების ავტორები ხშირად მიუთითებენ, რომ ესა და ეს მანიპულაცია „საქაქიმოსაგან შორსაა“ და „დასტაქტიკის“ საქმეათ თვით საბაც, იტალიაში მოგზაურობისას, ყოველთვის ცალ-ცალკე ახსენებს „აქიმოსას“ (თერაპიას) და „ქარაობას“ (ქირურგიას), სამწუხაროდ, ქირურგიისა ანუ „ქარაობის“ ამსახველი ქართული სამედიცინო ძეგლები არ შემონახულან თუ დღემდე მიუძღვევდნენ არიან, და ზემოხსენებულმა ქართული მედიცინის ისტორიისათვის უაღრესად სინტერესო ქირურგიულმა მანიპულაციებმა, მხოლოდ საბას შემოქმედებაში მოიხვეს ასახვა.

საბას „პერაობაში“ შექმნილი ნაწარმოები „სწავლანი“ ივენთვის საინტერესო მშვენიერ მასალას იძლევა. „სწავლანი“, უმთავრესად, როგორც თვით სათაური გვიჩვენებს, მხატვრულ-ლიტერატურული ნაწარმოებია, სადაც თითოეული „სწავლა“ გადმოცემულია ზეგულ-სინოკლეტიკური დოქმების ფონზე, მაგრამ საინტერესოა, რომ, ძალიან ხშირად, ცალკეული „სწავლის“ საგანი, ცნება (მაგ. აღსარების, სიყვდილის, გულისწყრომის, ნდომის, სძვის, ზეათობის და სხვათა რაობა) განმარტებულია და ავადღებებსა და მკურნალობასთან დაკავშირებულ ამებთან შედარებით. ამ სულიერ სწავლთა განმარტებისათვის, დამაყრებულობათვის მას მოჰყავს შედარება ავადმყოფისა და „ხორციელი“ მკურნალის, ექიმის ურთიერთობიდან, რომ ავადმყოფმა არ უნდა დაუფაროს არაფერი ექიმს დაავადებისა და მისი ცხოვრების პირობების გარშემო (იხე როგორც სულიერ მამას აღსარების დროს).²

ინტერესმოკლებული არაა ავტორვე საკითხი, რომლის მიმართ საბა არც ერთხელ ამახვილებს

¹ საბა-სულხან ორბელიანი, „სიბრძნე სიკრებისა“, გვ. 143.

² იხილება საქ. სახ. ლიტ. მუხებში ხელნაწერის სახით.

³ „სწავლანი“, დასახელებული ხელნაწერი გვ. 12.

უწრადღებას: საბა გარკვეულ მნიშვნელობას აძლევს აღზრდასა და ცხოვრებაში ფიზიკურ დატვირთვის, ვარჯიშს, მკაცრ გარემო პირობებთან თანდათანობით შეგუებას, კლიმატური ფაქტორების ზეგავლენას, რადგან უოველივე ეს ჰქმნის წანსილასა და ამტან ორგანიზმს. იდამიანი აბ წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოდ ღვთისგან განწმენილ უცვლელ არსებას, საბასათვის უტყაა მეტაფიზიკური დოგმა, მის შემოქმედებაში აღამიანის ორგანიზმი იზრდება, იცვლება და გარეგანი, ბუნებრივი ფაქტორების გავლენით განიცდის წრთობასა და ცვლილებებს. მსგავსი მოსაზრება „სიბრძნე-სიკრთობისა“ ერთ-ერთ იგავშიც კი აქვს გატარებული: „დიდი აუზი იყო, ცივის წყლით იღვა და ყინული ეყარა. შვი სამისა და ოთხის თვის მეტი და წყისა, ორისა და სამის წლის მარტივები იხსნდნენ. ზოგი დავიდოდა, ზოგი იწვა... ჩვენი აგებულება ესრეთ შამა-პაპათ უწვევიათ და ესრე ვიქმით. ვინ მოკვდება, მოკვდეს და რომელიც დაარჩება მე ძოღან რომ მნაბე, მისთანა ჰაბუქი გამოვაო“.¹

საბა გარკვევით იძლევა ორგანიზმის გამოწრთობის მიზნით ხელოვნური გარემო პირობების (სიცივის, ყინულის) შექმნის იდეას. ცუდ კლიმატურ ფაქტორებსა და ფიზიკურ შრომას მიჩვეული კი იშვიათად ხდებათ ავად, ისინი ადვილად იტანენ დაავადებებს:

„იბლდ მოშაქანი ყანათანი ვითარ მოთმეწენ სიტხესა მზეთასა და სოგრძესა დღეთასა მუშა-კობენ... ოფლო დენითა განაქარებენ და განდევნიან უმაშროთა ბაერთა და მავნეთა სნეულებათა, და იშვიათ არიან მუშაქანი შრომისა მოთმინენი სნეულ... რომელ უთმინო არიან, ივანი არიან სნეულნი და მონა მკერნალთა და მკუნესალ და შევალადე და ვეცალა მოთმენენ სნეულებათა მათთა“.²

41-ე და 45-ე სწავლა განკუთვნილია მთლიანად ღვინის (ალკოჰოლის) მავნებლობასა და სიმთვარაღზე („სწავლა სიმთვარისათვის“ და „სიმთვარისათვის თქმულ“).

სიმთვარე საბას განმარტებით ზუთვარიან: ღვინით სიმთვარე ანუ „მემთვარალობა“ აღიარებულია როგორც „აღსავსე სიბილწითა, რომლისა მიერ დაეცნო მრავლნი წმინდანი კაცნი და მის მიერ შთაცვიეს საბრხესა ძინოდ ვანსარინებელსა“.³

ალკოჰოლის მავნებლობას ასე აღწერს საბა: „მემთვარელსა კაცსა... ღვიძლი გაუზურდების, ბუნება დაუსტდების, სიმთვარე განეცადე-

ბის და ვამთა აგებულება სნეულებით აღგესების, თავის ტკივილი განმზარდლებს, თვალთა სრითლე გაუზურდების... მემთვარისა და სინათლე მოავლდების. უწრნი სწენად და უშშიმდებიან. გულთა მგლობელობა უსუსერ ექმნებიან, ტვნი დუთხლდებთან, თავი და გულთა თოთოლასა დუწვეს“.⁴

მაგრამ, საბას აზრით, ზომიერად მიღებული ღვინო არა მავნებელი, პირიქით, მას გარკვეული სარგებლობაც მოაქვს ორგანიზმისათვის:

რასაკვირველია, ღვინის მიღების რეგლამენტაციისა და მისი მავნებლობა-სარგებლობის განსაზღვრას ჩვენს შორეულ წარსულში, გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული მედიცინის, კერძოდ პიკინის ისტორიისათვის საქართველოში.

კიდევ რამდენიმე ცალკეული ისტორიული ფაქტის დადგენა ზერხდება საბას ნაწარმოებთა საშუალებით. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი: საბა რომში მრგზაურობისას ნახულობს მუზეუმს, ექსპონატებს შორის მისი უწრადლება მიიქტა თუვის წიბომ: „თუვის წიბო ვნაბე; ოთხი აღნი სოგრძე მეტი იყო, მკლავის უსხო, ზატონის საღაროში ღორის კბილისაგით რომ კბილი: ორი მისთანა, მაგრამ იბტოლი ვერ იყო, კაცის თავი გაქავეებული, სოკო გაქავეებული, ეს ქართლშიც მინახავს“.

საბას მიერ ზენებელი „ბატონის საღარო“, სადაც „ღორის კბილსავით კბილი“ ინახებოდა, უსათუოდ რალე მუზეუმის მაგვარ ორგანიზაციის არსებობაზე მიუთითებს იმ დროისათვის საქართველოში.

საბას დროს, როგორც მისივე ლექსიკონიდან ირკვევა, „საღარო“ სულ სხვა ვაგებით იხმარებოდა, საბა განმარტავს: „საღარო ღართ საუნჯე“. ღარი — ფარჩუელს, ნაქსოვს აღნიშნავს, საუნჯე კი — საქონლის, უსულო საქონლის, სხვასტაგის შესაქრებელს. ასე, რომ „ბატონია საღაროში“, ძვირფას ხეასტაგთან ერთად ინახებოდა „ღორის კბილსავით კბილი“. საბას „ბატონი“ ვახტანგ მეექვსეა ვახტანგ მეექვსესათვის, ამ დიდი ვანათლებლისა და ერუდციის პიროვნებისათვის, სრულიად ზენებრივი იყო მუზეუმის მსგავსი რამ შეექმნა, ან, ოოველ შემთხვევაში, სამუზეუმო ექსპონატთა კოლექცია ჰქონოდა თავის „საღაროში“. სამუზეუმო კოლექციისათვის საქართველოც კარგ ამსარებს წარმოადგენდა. თეით საბასვე სიტყვით: „კაცის თავი გაქავეებული, სოკო გაქავეებული“, მას ქართლშიც უნახავს.

სრულიად უცნობია ისტორიული წყაროებით და დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე საშობიარო სახლების არსებობის საკითხი საქართვე-

¹ საბა-სულხან ორბელიანი, „სიბრძნე სიკრთობისა“ გვ. 92

² სულხან-საბა ორბელიანი, „სწავლანი“, გვ. 83-21.

³ „სწავლანი“, გვ. 124.

⁴ იქვე, გვ. 138-139.

⁵ იქვე.

ლოში, საბა თავის ლექსიკონში განმარტავს სიტყვას, რომელიც სამშობიარო სახლის აღმნიშვნელია: „კეიტონი — სამშობიარო სახლი“. თუ არსებობდა სამშობიარო სახლის აღმნიშვნელი სიტყვები „კეიტონი“, „სამშობიარო სახლი“, მაშინდა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მე-17 საუკუნის საქართველოში არსებობდა თვით სამშობიარო სახლებიც, როგორც ჩანს, დიდებულ ქალთათვის მშობიარობისას სპეციალური სამშობიარო კარებიც კეთდებოდა. სიტყვა „ბადეს“ განმარტებისას საბა ამბობს: „ბადე... იქმან ბადეთა აბრეშუმთაგან, ბადე-კარავთა ოქრომშებელბუღთა დიდებულთა ქალთა სამშობიაროდ“.

სამშობიარო სახლების არსებობა საქართველოში სხვა ისტორიული წყაროებით არასდარა არის დამოწმებული. მხოლოდ იოანე ბაგრატიონის მიერ 1799 წელს გიორგი მეცამეტისადმი წარდგენილ ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი წყობილების რეფორმის პროექტში არის გათვალისწინებული სამშობიარო სახლების გახსნა.

„ეს სახედვე სამშობიაროები იყოს, რომ თუ ვისმე უქმროს შეეშობას ორსულობა, იქ მოიშობიარებოდეს სირცხვილისა გამო, რადგან თავის სახლში ხალხს მოერიდება, და იმა უმეფილთ მიუჩენდნენ ძიდათ“. როგორც ჩანს, აქ გათვალისწინებულია სამშობიარო სახლები მხოლოდ ქორწინების ვარგე ორსულთათვის. შესაძლებელია, იოანე ბაგრატიონს სამშობიარო სახლების გახსნის იდეა საქართველოში, აღრე, თუნდაც, საბას დროს არსებულ სამშობიარო სახლებიდან მიეღოს. მაგრამ საბას, დროინდელი სამშობიაროები ასეთი სპეციფიკური, მარტო ქორწინების ვარგე ორსულთათვის ვარგეთიანი, არა ჩანს, ის საყოველთაო, კანონიერ მშობიარეთათვის უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

საბას ლექსიკონით ზერხდება დადგენა კიდევ ერთი მეტად საინტერესო ფაქტისა, რომელიც ერთგვარად გაკვირვებასაც იწვევს. საბას თავის ლექსიკონში ცალ-ცალკე, როგორც დამოუკიდებელი დაავადებები, შეტანილი და განმარტებული აქვს: ქენტრუშა, წითელა, ყუვილი, ჩეტყავილა და ხუნაგი (დიფთერია): „ქენტრუშა, სენია, წითელას ჰეავს“, „წითელა, სენია“, „ყუვილი, სენია“. „ყუვილი, სენია, სენია ყუვილივით“. „ხუნაგი, სასის გასიყება“.

ცნობილია მედიცინის ისტორიაში, რომ ქენტრუშა და წითელა ერთიდაიგივე დაავადებად

ითვლებოდა ეძველესი დროიდან, მხოლოდ მე-17 საუკუნის შუა წლებში პირველად ინგლისში მიიჭიეს უერთადლება, რომ ქენტრუშმა ცალკე დაავადებაა, რომელსაც *scarlatina* ანუ *სკარლატინა* არა აქვს რა წითელასთან, მე-18 საუკუნეში ქენტრუშა გამოყოფილი იყო, როგორც დამოუკიდებელი ინფექციური სნეულება.¹ წითელა კი ყუვილთან, ქენტრუშასა და პარტახტინ ტიფთან ერთად, ერთ დაავადებად იყო ჩითვლილი, ის არ იყო გამოყოფილი ცალკე ნოზოლოგიურ ერთეულად, მხოლოდ მე-17 საუკუნეში სიდნეიმის მიერ იქნა აღწერილი როგორც დამოუკიდებელი ავადმყოფობა.

ასევე, საუკუნეების მანძილზე ყუვილი და ჩეტყავილა ერთ დაავადებად ითვლებოდა, მხოლოდ მე-19 საუკუნეში, ფრანგი კლინიკოსის ტრუსოს მიერ ჩეტყავილა გამოყოფილი იყო როგორც სრულიად დამოუკიდებელი ავადმყოფობა.

დიფთერია კი ბრეტონის მიერ პარიზში, 1821 წელს გამოქვეყნებული შრომით, ჩამოყალიბდა დაავადების ცალკე ნოზოლოგიურ სახედ.

საბას ლექსიკონი, დაწერილი უნდა იყოს 1688 წლამდე და ზემოხსენებულ დაავადებათა სახელებიც დიფერენცირებული სახით ამ ხანებშია შეტანილი მასში.

იკვება, რომ მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული მედიცინა უკვე იცნობდა, როგორც ცალკე დაავადებებს, ცალკე ნოზოლოგიურ სახეებს, დიფერენცირებული სახით: ქენტრუშას, წითელას, ყუვილს, ჩეტყავილას და ხუნაგს (დიფთერიას).

უპიკველია, ზემოხსენებული თარიღი გაცილებით უკან გადაიწეოს, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ამ დროისათვის ლექსიკონში ეს დაავადებები წარმოადგენილია წმინდა ქართული ტერმინოლოგიით. დაავადებათა სახელწოდების შექმნას, ტერმინის დამკვიდრებას, ეფიჭრობთ, ძალიან დიდი ხანი დასჭირდებოდა. ქენტრუშას თავისი სინონიმიც კი ჰქონია „ვარდუცხა“.

ამგვარად, სულხან-საბა ორბელიანის მეტად მნიშვნელოვანი შემოქმედებით შემკვიდრებოდა მედიცინის მრავალი დარგის; კერძოდ, ქართული სამედიცინო აზროვნების ისტორიისათვის იძლევა ძვირფასსა და მეტყველ მასალას, რითაც ზერხდება მთელ რიგ შემთხვევაში, როგორც ზემოთ დაიხსენეთ, ჩვენი კულტურის და, კერძოდ, ქართული მედიცინის ისტორიაში, სრულიად უცნობი ფაქტების დადგენა.

¹ პროფ. ნ. ყიფშიძე, „შინაგანი სნეულებანი“ 1942 წ., გვ. 55.



გეგან გიორგაძე

ღონ ჯუგაპე ჯუღიჩე და მისი რედაცია საქართველოს
შესახებ

იტალიელი მისიონერის ღონ ჯუგაპე ჯუღიჩეს რედაციონი საქართველოს შესახებ დღემდე უცნობი და გამოუქვეყნებელი თხზულებაა. მასში მოიპოვება მნიშვნელოვანი ცნობები მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიურ ისტორიიდან.

ჯუღიჩე თვითღამხდურია და მხილველია ლევან დადიანის, რომსტომ მეფის, თეიმურაზ მეფის, მაღაქია გურიელის, შარვაშიძის და სხვა მეფეზოვართა. ავტორს აღწერილია აქვს აღმოსავლეთ და განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს ზენ-ჩვეულებანი, მართვა-გამგეობა დადიანებისა, ტყვეებით ვაჭრობა; აღწერილია კულტურული დონე, ეკონომიურა ჩამოკვეითება თურქეთის მძღავრების მიზეზით, მთავართა ურთიერთშორის წარმოებული ომები და ქიშპი, სოცალურა კატეგორიები, მისიონერთა მოღვაწეობა და კულტურული საქმიანობის მუშანური მხარე; წერა-კითხვის გავრცელებისთვის ზრუნვა, მისახლეობისათვის საყურანლა დახმარების აღმოჩენა და სხვ. ჯუღიჩეს აღნიშნული თხზულება საშუალება ოძლევს შევავსოთ ჩვენი წარმოდგენა მე-17 ს. საქართველოს ცხოვრებაზე.

ვატიკანის ხელნაწერთა არქივიდან ამოკრებული ღონ ჯუგაპე ჯუღიჩეს იტალიური ტექსტი გამოუქვეყნებელია და ქართული ისტორიოგრაფიისათვის დღემდე უცნობი. შრომის ერთი ნაწილი ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. იგი შეიცავს მანქანაზე გადაბეჭდილ 225 გვერდს; მეორე ნაწილი კი დატულია აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის თბილისის ფუნდემის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში და ისიც 225 ხელნაწერ გვერდს შეიცავს. ღონ ჯუღიჩეს მრავალი წერილი გუფგზავნია საქართველოდან რომში. ვატიკანის არქივში დატული ეს უცნობი ხელნაწერები ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახადა მის. თამარაშვილმა, რომელმაც წერილები გადმოწერ-გადმოაბეჭდა და, ამრავად, ქართულ ისტორიოგრაფიას შესძინა ძვირფასი მასალა. ანლა ჩვენ ხელთა უველა წერილი და, ვფიქრობთ, რომ მათი გამოქვეყნება ტექსტის თარგმანითურთ უთუოდ სარგებლობას გაუწევს მკვლევარებს.

ჯუღიჩეს რედაციონი, არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერასთან“ შედარებით, ბევრ ახალ ცნობას შეიცავს. მიუხედავად იმი-

სა, რომ ჯუღიჩეცა და ლამბერტიც ერთსა და იმავე პერიოდში მოღვაწეობდნენ და აღწერილობის ობიექტიც ერთი აქვთ, ჯუღიჩე ასახელებს სრულად განსხვავებულ ფაქტებს. უცხოელ მისიონერს აღწერილი და გადმოცემული აქვს სოციალური ცხოვრების ბევრი საგულისხმო მომენტი. თუ ლამბერტის აღწერელი გამოჩნა რაიმე ამავე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ცხოვრებიდან, მის ენაცვლება აღნიშნული რედაციონი. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ თუ ლამბერტის თაიისა მშვენიერად გამართული შრომა იტალიაში დაბრუნების შემდეგ აქვს დაწერილი. ჯუღიჩე რედაციონს წერილებად სწერდა პროპაგანდა ფიდეის უშუალოდ საპოლვაწეო ადჯალიდან, ე. ი. სამეგრელოდან და ქართლიდან, და ასეთი ბასიათის რედაციაში არ შეეძლო დაეწერა სუბიექტური მოსაზრებანი. ამიტომაც ჯუღიჩეს რედაციონი ომროინდელი სინამდვილის კარგ წყაროდ გამოდგება.

ვიდრე უცნობი რედაციონის განხილვა-შეფასებაზე რაიმე მოსაზრებას გამოეთქვათ, უჭიჭბესად მიგვაჩნია მოკლედ გავეცნოთ რედაციონის ავტორის ვინაობას.

სამეგრელოს აღმწერელი თეათინელი პატრიონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანზე, თავის ამხანაგ პატრიონ არქანჯელო ლამბერტი ნაპოლიტანუბუსთან ერთად, 1631 წელს პალაბისა და არზრუბის გზით მოვიდა ქართლში და ერთ ხანს გორში ცხოვრობდა.

ქართლში როსტომის გამეფების შემდეგ მასოიანე პატრიუსს, როგორც ჩანს, შეეწირებინს შიშით წინასწარი თადარიგი დაუპირათ და სამისიონერო მოღვაწეობა სამეგრელოში გადაუტანათ. სწორედ ამ დროს როსტომ მეფემ ლევან დადიანთან ელჩები გაგზავნა, რათა სადავოფლოვ უმთავრო სამეგრელოს მთავრის და, სიმავე გურჩიელის ნაჭერიელი შირინი, ელჩებზედ ყოფილან თბილელი ეპისკოპოსი და ნიკოლოზ (ნიკიფორე) ირბახი — ირბახი — ირუბაქიძე — ჩოლოყაშვილი, სწორედ ამ უკანასკნელმა ურჩია მისიონერებს სამეგრელოში წასვლა. ამასთან არწმუნებდა, იქ ყარაგდ მიგაღლებენ, მეც დაგვხმარებოთ. შემადგომლობას გავწყვეთო ლევან დადიანის წინაშე.

ამ დაპირებით გამხნეებულ იორი მისიონერი ელჩებთან ერთად 1633 წლის 23 ოქტომბერს სამეგრელოს გზას დაადგა. რადგან ქართლის გზები თემურბეგ I მიერ იყო შეკრული, მათ ახალციხიდან მოკლეს. ახალციხე კი იმ დროს სპარსელებს ეყარათ. მთების გადასახვის შემდეგ ისინი ჯერ გურიაში ჩავიდნენ, სადაც დიდი პატივისცემით შეხვდა გურიის მთავარი — მალაქია კათალიკოსი, მამია გურჩიელის ძმა. საპატიო სტუმრებმა გურიაში ოთხი დღე დაყუბეს. გურიის კათალიკოსი თავისი ეპისკოპოსობით მისიონერების წირვას ესწრებოდა და უქებდა მათ ღვთისმსახურების წესს. გურიის მთავარს სამეგრელოში მისიონერების გაშვება ირ უნდოდა, დადიანის რიღი რომ არ ჰქონებოდა. მისიონერებმა ოთხი დღის შემდეგ დასტოვეს გურია და 29 ნოემბერს ილორში მივიდნენ. ლევან დადიანმა პატივისცემით მიიღო იტალიელი პატრები, მამულები უბოძა და ეკლესიაც მისცა.

თეათინელ პატრებს სამისიონერო მოღვაწეობის დასაწყისშივე შეუძწვლიათ მეგრული და მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება გაუწყვიტო, როგორც სხვა რელიგიონებიდანაც ჩანს, ლევან დადიანს ქვეყნიხთვის სასარგებლო აღმანიებზე ზრუნვა არ მოუვლია და მათ სამისიონერო წარმატებისათვის ხელი შეუწყვიტა. იტალიელი მისიონერები საქართველოში ისეთ დროს მოვიდნენ, როდესაც ჩვენი ქვეყანა დაშლილი და დასაბუნებელი იყო სპარსეთის მმართველის მოქალაქეობისაგან; ლევან დადიანის გამჭირიხი ვიგნება, ამ შემთხვევაში, ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებას ითვალისწინებდა და სურდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა საქართველოსაკენ სააღმშვიტო მიზნით მომავალ ევროპელ დიპლომატთა ანტირესებები,

რაც თავისთავად ოსმალეთის მტაცებელ ზრახვებს დაუპირისპირდებოდა ქართველ მოღვაწეებს, მეფე-მთავრები, ვერცხსთან ურთიერთობას ადრადანვე ესწრაფოდნენ. იტალიელი პატრების გამოჩენამ სამეგრელოს მთავარს ევროპასთან პოლიტიკურ-ეკლერული ურთიერთობის დამყარების იმედი გაუძლიერა.

ლევან დადიანი და მეფე თეიმურაზ I ევროპაში ელჩებს აგზავნიან და ყოველ ღონეს ხმარობენ იხსნან საქართველო განადგურებისაგან, სხვა დიპლომატურ ხერხთა შორის ჩვენმა პოლიტიკოსებმა საქართველოს გაყოლილებაც სცადეს. ასეთი საშუალებით გრან-ოსმალეთის აგრესიული გავლენისაგან თავის დაღწევა სწადათ.

სწორედ ამ ხანებში დადიანს პაპისაგან ბულა მოუვიდა, რომში პროპაგანდის კოლეგიის დაარსების შესახებ. აღნიშნული კოლეგია საქართველოში მოღვაწე მისიონერთა მოთხოვნით დაარსდა უმთავრესად ქართველთათვის. ამ ბულით პაპი ყველა ტომის ხალხს იწვევდა კათოლიკური სარწმუნოების მოძღვრებაში გასწორებულად. დადიანმა, პატრების რჩევით, იტალიაში ელჩის გაგზავნა გადასწყვიტა. მთავარის არჩევანი შეჩერდა პატრ ჯუზეპე ჯუდიჩეზე. დადიანმა ჯუდიჩეს ორი ყმაწვილი გაატანა პროპაგანდის სკოლაში გასარწმუნებლად. ერთს რქვევია ანტონი და მეორეს — ანდრია.

პატრი ჯუდიჩე 1643 წელს გამგზავრებულა. მან დადიანის მიერ გატანებული წერილები გადასცა პაპი ინოკენციო X და პროპაგანდის კარდინალებს. პაპმა ლევან დადიანს თხოვნა შეუძრულა და პატრი ჯუდიჩე, ორ ახალ მისიონერთან ერთად, უკან გამოისტუმრა. ესენი იყვნენ პატრი ჯოვანი მოტი მილანზე და პატრი დონ ჯაკოპო ანტონიო მარტი კრემონზე. 1646 წლის მარტში მისიონერები იტალიიდან გამოემგზავრნენ კონსტანტინოპოლის გზით. დარღწეული მოსვლისთანავე მისიონერებს ოსმალეთის მთავრობამ ევროპის ვაშეშობა დასწამა, ფაშამ ისინი დაატყვევა და კონსტანტინოპოლში გადაგზავნა. იქ მათ ხუნდები დაადეს და სამუდამოდ სამყარობილში ჩასვეს. პატრი ჯუზეპე ჯუდიჩე ბორკილებით ხელფხსშეკრული ციხეში გარდაიცვალა.

ჯუზეპე ჯუდიჩეს რელიგია წარმოადგენს სამეგრელოს აღმწერილობის ერთელ მოთბობას. როგორც მისი წერილიდან ჩანს, ავტორს სერობული განზრახვა ჰქონია მეტა მეცნიერული დახვეწილობით აღუწერა სამეგრელო და ამ სახით წარმოედგინა იგი ევროპელა მკითხველისათვის.

ჯუდიჩეს და ლამბერტის სამეგრელოს აღმწერილობანი ერთსა და იმავე თემაზეა აგებულა, მათვე დროს ჯუდიჩე ლამბერტის წინამძღვარიცაა სამისიონერო მოღვაწეობის ასპარეზზე, არქანჯელო ლამბერტისთან შედარებით

ჯედიჩ სხვა ახალ ფაქტებსაც ასახელებს სამეგრელოს ცხოვრებიდან. ავტორი ეხება სამეგრელოს სოციალურ-ეკონომიკურ მხარეს, მართლმადიდებლობას, მთავრის იურისდიქციასა და ძალაუფლებას. მის რელიგიურ აღწერილ სამეგრელოში გავრცელებული ვაჭრობის ზოგიერთი სახე, მეგრეთა ნადიმი, მათი ცრუმორწმუნეობა, ნადირობა, დასაფლავების ცერემონიალი, დღესასწაულები. რელიგიურ განსაკუთრებით გამოხატულებულია ყურადღება სამეგრელო მომსახურების საინტერესო პრაქტიკაზე.

მართალია, ლამბერტი თავის შრომაში არ ასახელებს ჯედიჩს, სამეგრეოდ, მისიონის პრეზბიტერი ჯედიჩ ვრცელდ მოგვითხრობს ლამბერტის ფრთხილ საინტერესო საქმიანობაზე, როგორც მისიონერობის, ასევე საქეპო და მხატვრობა-ხელოვნობის დარგში, რისთვისაც თურმე ლამბერტიმ ლეეან დადიანისა და მის მეუღლის განსაკუთრებული პატივისცემა და ყურადღება დამსახურა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯედიჩს და ლამბერტის აღწერილობანი ზოგ შემთხვევაში ემთხვევიან ერთმანეთს და ავსებენ ჩვენს წიგნ-მოდგენას ამა თუ იმ საგანზე.

მაგალითად, ლამბერტის მიერ აღწერილი მეგრეთა ნადირობის სურათი ემთხვევა ჯედიჩისას, ასევე ლეეან დადიანის მართლმადიდებლობის აღწერა და მისი ზოგიერთი არსებითი დეტალის ჩვენება განმეორდება ჯედიჩის თხრობისა. ცრუმორწმუნეობის შრავლასობანი აღწერილობა, გარდა იმისა, რომ ერთი და იმავე სიტყვებითაა გადმოცემული, მსკელობის შეთხრობითაც არ განსხვავდება ჯედიჩის აღწერილობისაგან.

ამრიგად, ერთ თემაზე არსებული ამ ორ ნაშრომს მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

სოციალ-ეკონომიური საკითხებში ჯედიჩი ვარჯიშა ჩახედულა, სინამდვილის ზედმიწევნით სწორი აღწერელია; მის მოგონებება პოლიტიკური ხასიათის, არანაკლებ საყურადღებო ცნობები, რაც გამოტოვებული აქვს ლამბერტის.

მაგალითად, როსტომ მეფის (როსტომ ხანის) სპარსეთში მოღვაწეობის შესახებ არსებულ ცნობებს¹ კვლავ ემატება ჩვენი ავტორის საინტერესო დეტალი შაჰაბას II გამეფების დამატებული ისტორიიდან: ხალხს აბასის ტახტზე ასვლა არ სურვებია, რადგან ქართველი დედისაგან ყოფილა შობილი და იმ ხანობას

დღეაც ცოცხალი ჰყოლია, როსტომ ხანი ქართველთა გვარდით დასმარებია და ირანის ტახტზე ხელწოდებულ დაესამს. გვტობი, რისთვისაც მეფის ამბავს საქართველოში მისი ჩამოსვლის დღიდან კვლავ ავრჩელებს, როგორც თანადამხდური. პოლიტიკური მიზნით მოწყობილ ქორწინებად მიანია ლეეან დადიანის დის — მარიაშის ქართლის დედოფალ მოყვანაც. მისი ვართლდით, როსტომ მეფეს და ლეეან დადიანს ქმონდათ საიდუმლო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა იმერეთის ორად გაყოფას. ლამბერტის ამის შესახებ არაფერი არა აქვს ნათქვამი.

მეფე თეიმურაზ I პოლიტიკური საქმიანობა და მისთან დაკავშირებული დაუდ ხან უნდობლობის ურთიერთობა სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყების მომენტებში, დადად ანგარიშგასაწევი მოვლენაა აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის განსუქებულად და ფაქტების დასადგენად, რაც სრულად არ აღვნიშნავს ლამბერტის.

სიმონ გურიელის ტრაგიკულ ამბავს ლამბერტიც ადმოგვეცემს, მაგრამ მაღალი კითხვების ანდ სიმონ გურიელის ბიძის მოთვრად დანიშნაზე, ლამბერტის არაფერი აქვს ნათქვამი, ხოლო ჯედიჩი ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული დირებულების შქონე მასალას ვაწუდებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტის დადგენისათვის, რომ ერთა და იგივე პიროვნება მთავარიც იყო და კითხვითაც.

ლეეან დადიანზე მოთხრობილი ისტორია სრულ შთაბეჭდილებას მხოლოდ მაშინ შეგვიქმნის, თუ მას დამატება საყურადღებო მომენტები მისი ხასითის აღწერილობიდან, რომელიც ჯედიჩის შეუნიშნავს.

ჯედიჩის აღწერილი აქვს შაჰაბასის მიერ სპარსეთში კახელების ვადასახლება. ამ საკითხზე პარალელურ ცნობებს ჩვენ ვმოულობთ სპარსეთში ნაყოფი მისიონერების შრომებშიც, სადაც აღწერილია ფერეიდანში ჩარეული კახელებისა და ჩეჩქელების ტრაგიკული მდგომარეობა.² ამ ამბავს ლამბერტიც მოგვითხრობს თავის მეორე შრომაში: „წმინდა კობეტი“.

ყოველივე ზემოთქმული უტყუარი დადასტურებაა იმისა, რომ ჯედიჩს შრომა ბევრ ახალ ცნობას შეიცავს ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

ჯედიჩი გულწრფელი აღმწერელია სამეგრელოს სინამდვილისა. იგი უშუალო მხახეულია საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების იმ პნელი პერიოდისა, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო განადგურებულ იქნა ირანის შა-

¹ მოამბედ თაბერი ვაჰიდის „შაჰაბას II მეფობის ისტორია“; C. A. Storey. Persian Literature; ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ბატონ. ვახუშტის ისტორია და სხვ.

² იხ. The Chronicle of the Carmelites in Persia, v. I—II.

მის მიერ, და დასავლეთ-საქართველოც პოლიტიკურ-ეკონომიურად დაქვეითებულია ოსმალეთის ბატონობით. ჯედიჩეს მოკეპული აქვს რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი დეტალი საქართველოს პოლიტიკური ვითარებიდან, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზოგიერთი საკითხის გასარკვევად. როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოდან, კერძოდ, კახეთიდან, სამეგრელოში გადმოხვეწილა რამდენიმე ცნობილი პირივნება, რომელთაც პოლიტიკურ ცხოვრებაშიაც მიუღიათ მონაწილეობა. ასეთია ვირილენ-ნიკოლოზ-ირიბახა-ერბასი-ერბახი-ირუბაქიძე-ხოლოყაშვილი. საფიქრებელია, რომ მასთან ერთად სხვა ბევრი იქნებოდა, 1624 წელს და შემდეგაც შაჰის მიერ გამოდევნილი თეიმურაზ მეფე იმყოფებოდა სამეგრელოში, მას უფროდ ამაღაც ეყოლებოდა, რასაც ტომას ჰერბერტი და ლეი გრანჯეც ადასტურებენ.

როგორც ავტორის შრომიდან ჩანს სამეგრელოში მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციებს საფუძველი შეტრეული ჰქონია, რამაც ჯედიჩეს საშუალება მისცა თავის რედაქციებში დაეხატა კულტის მსახურთა ამორალური სახე.

ღონ ჯეზეზე ჯედიჩეს ყურადღება გაუმახვილებია სამეგრელოში გავრცელებული მეტრნალობის საკრალურ წესებს, რომელსაც იმ ეპოქაში დიდი ვასალი ჰქონია არა მხოლოდ ქართველ ხალხში, სხვა ქვეყნებშიც. ავტორი, მოკვიფრებოდა რა ზნეწვეულების ზოგიერთ მხარეზე, გადმოგვეცა ავადყოფილისადმი დაყოფილებების სპეციფიურ ტრადიციებს, რაც მეგრულთა ოჯახებში დამკვიდრებულია მაშინ.

კათოლიკური საწმენოების გასაქცელებლად პატრი მისიონერები იარაღად იყენებდნენ, როგორც კათოლიკური საეკლესიო წესების უპირატესობას მართლმადიდებელი ეკლესიის დაქინებულ მღვთმარტოების სახარის-პაროდ, ასევე-სამეგრელო საქმიანობითაც ცდილობდნენ ხალხის მიზიდვას. ჯედიჩე-ერცლად ეხება მეტრნალობის საკმაოდ საინტერესო პრაქტიკას.

აღსანიშნავია ერთი გარემოება; ჩვენში ნამყოფი მისიონერები საქართველოს ცალკეულ რუთხების მმართველებს და მეფეებს il Re-ს და Regina-ს კი არ უწოდებდნენ, არამედ მთავრებს: il Principe და Principessa-ს. მათი რელაციონებიდან და განსაკუთრებით, ჯეზეზე ჯედიჩეს წერილებიდან — ჩანს, რომ ისინი საქართველოს მეფედ მხოლოდ გავრთობებულ საქართველოს მმართველს მიიჩნევდნენ. მათ ძალიან კარგად იციათ, რომ ცალკეული სამეფოები, როგორცაა ქართლი და კახეთი, სადაც ამ დროს როსტომ ხანი და თეიმურაზ ხანი მეფობდნენ, სამთავროების ტიპი-

საა. ჯედიჩე მათ ყოველთვის შეგნებულად მთავრად მოიხსენიებს. იმერეთის მეფე აღქ-სანდრეც მთავრადაა წოდებული. მანვე აღქრელი და სამეგრელოს მთავარი აღქრელია ნიცი. თუმცა ავტორმა მშვენიერად იცის, რომ ყოველი მთავარი იგივე მეფეა თავისი იურისდიქციითა და ადმინისტრაციული მართვაცამგეობის ფორმებით. როდესაც ჯედიჩე ასახელებს ლეეან დადიანის სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ერთეულებს და წოდებებს, მას ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომ ლეეან დადიანი, მთელი თავისი სახელმწიფო აპარატითა და მოხელეებით, მეფის სწორია; რადგან იგი საკუთარ ფულსა ქრის, ჰყავს გარი, მარჩვეული ვეზირები, და, საჭირო შემთხვევაში ელჩებს ავზავნის უცხო სახელმწიფოში პოლიტიკური ურთიერთობის დასამყარებლად. მაგრამ შეგნებულად მას მეფეს მაინც არ უწოდებს, გარდა რამდენიმე შემთხვევისა, როდესაც წმენი ავტორი დადიანს Re-თ და მის მეფულეს Regina-თ იხსენიებს. ვეროპელი ავტორისათვის მეფის Re-ს წოდებულება უფრო ფართო მნიშვნელობისაა, ამიტომ სახანოებად და სამთავროებად დაყოფილი ქვეყნის მესვეურებისათვის შეუფერებლად მიიჩნია il Re-ს ხმარება და ვეროპაში არსებული ანალოგიური ნომენკლატურით ყოველთვის Principe-თ იხსენიებს მათ.

ღონ ჯეზეზე ჯედიჩე აღწერს ლეეან დადიანის სახელმწიფოებრივ საქმიანობას სამართლის დარგში და მის მრჩევლად ასახელებს ვეზირს Vizir, თუმც არ მოკვავს მისი იტალიური შესატყვისი, როგორც ამას ჩვეულებრივ სხვა მოხელეთა მიმართ ჩადის. 1640 წელს რელაციონის პირველ გვერდებზე ჯედიჩე აღნიშნავს რა რომელიღაც მეფის მიერ ოთხ ვიციფილზე სამეფოს განაწილებას საერისთაოებად დაყოფის ამბავს, შენიშნავს, რომ ერისთავი Aristaf იგივე იტალიური მარკიზია marchese ისევე, როგორც ბართონი barone თავადის სწორად, აგრეთვე, სინიორად signore მიიჩნია, სამეგრელოს სინამდვილიდან ავტორს ჩამოთვლილი აქვს წოდებანი და მოხელენი. მთავარს და მის მეფულეს, როგორც წესი, ყოველთვის Principe — Principessa-ს უწოდებს. ვეზირებს მოსდევს სინიორები, როგორიცაა signor principale ანუ დედაბატონი; signor di qualita-წარჩინებული ბატონი — თავადი, principissima კი გამთჩენილი თავკაცია, personagio grande ავტორს განსაკუთრებულად ჰყავს გამოჩენილი სხვა მოხელეთაგან. ჩვენ ეს მიგვიჩნია დიდი პიროვნების შესაბამის სახელწოდებად. genti grandi-ს აღწერილობისას ჩვენ ვვრჩება მთაბეკდობა, თითქოს, ავტორს დაღებულები ჰყავს მხედველობაში.

თუმცა სიძნელეს იწვევს მოხელეების ნომენკლატურა, ქართულ თანამდებებთან მათა შეფარდება, მაგრამ სათუოდ მიიჩნე არ გვეჩვენება მათ გარკვეული განმარტება. მაგალითად, *gentil' huomo* იგივე *cavaliere* ანუ *Aznaur* აზნაურის წოდებას რომ აღნიშნავს, ეს გასაგებია, მხოლოდ რა ფუნქცია აქისა მას ვერაღა იმისა, რომ დედოფლისა და მთავარს ვეულებან თან ახლავს, ამის შესახებ ავტორი სხვას არაუფერს ამბობს, ზემოდასახელებულ მოხელეთა საქმიანობაზე ჭედიჩეს ნათქვამი აქვს, დაღიანი ვეზირთან ერთად თათბირობს ზოლზე სამართლის გადასაწყვეტადო.

შორმამე ერთი დეტალი საჭიროებს დაზუსტებას, ავტორის რამდენიმე ადგილს უმის შესატყვისად *vassallo*-ს ბმარობს, მაგრამ უფრო ხშირად და გარკვევით *suddeto*-ს უკავია მისი ადგილი, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი ქვეშევრდომის გამოიხატუელია, მაგრამ უმთა კატეგორიის მთლიანად მიიჩნე არ ვაჩვენებენბა. აღმწერელს კარგად ესმის ამ წოდებათა რაობა, ამიტომ ავტორი არ ეძღა მათი დანიშნულების ასახსნელად რაიმე დეტალი დაემატებია, რომ ჩვენ ნათელი წარმოდგენა გვაქონდა მასზე. მას აგრეთვე დისახელებული ჰყავს *il servo*, რომელიც უფროს მსახურს, ასევე *serve basse, persone basse* მდებია მსახური, მდებიათი, ყველა მათ ჭედიჩე დაბალ ფენათ მიიჩნევს და სხვა რაიმეს მათ შესახებ არ ლაბარაკობს.

ლევან დადიანის კარზე ჩანან, აგრეთვე *servitori intimi*, როგორც შინამოსმსახურები. არიან, აგრეთვე, დედოფლის ხელქვეითნიც. ავტორი მათ რამდენიმეჯერ ასახელებს, როგორც *damigelle*-ბს ანუ ხელქველებს, რომელნიც დედოფალს მუდამ თან ახლავს როგორც სამეფო კარზე, ასევე მოგზაურობის დროს.

რუაიონში დიდი ადგილი უჭირავს *il schiavo*-მონას, ტყვეს. ავტორის მონათბობიდან გარკვევით ჩანს და ხახვასმულიცა ის გარემოება, რომ *il schiavo* მთლიანად ტყვეს არ ნიშნავს, არამედ ადგილობრივ მონას. გურიის მთავრის — შალაქია კათალიკოსის ვარდაცივლების შემდეგ (1639 წ.), მისი მის ვახტანგის გამეფებისთანავე კათოლიკე მისიონერებისათვის ყველა — მოძრავ-უძრავი ქონება ჩამოურთმევიათ: უმები, მსახურები, მამულები და პირადი ქონებაც. ავტორის თქმით, ისინი შინის *il schiavo*-ს მდგომარეობაში ჩაუყენებიათ, ამიტომაც მისიონერებს უმჯობინებიათ ერთერთ მახლობელ პატონთან მსახურებად *servo*-დ დამადგარიყვნენ. აქედან ჩანს, რომ ისინი *il schiavo*-ზე მაღლა მდგომ კატეგორიაში ყოფნას მოითხოვენ, ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ *il schiavo* მონა — უფლებააჯრილი და არასმქონე ყოფილა და ასეთა კატე-

გორიის ხალხი, თითქოს, უნდა არსებებოდა კიდევ იმ პერიოდში.¹

არა ერთ უცხოელ მწერალს შეუძლებოდა ცნობა ტყვეთა ყოფა-გაყოფის შესახებ, რამდენად ფართოდ იყო გავრცელებული ჩვენში შონობის ეს საფისებური ინსტიტუტი, ამის ზედმიწევნითი აღწერალობა თვითმხილველმა მისიონერებმაც დავეჩიროვეს. (ქრისტიანობა კატელი, პიეტრო ავიტამილე. არქანჯელო ლამბერტი და სხვ.) ჭედიჩეაღ აღწერა ისტორიული მხელბუდობის ეს ფაქტი, როგორც აღმოსავლეთ. ისე დასავლეთ საქართველოში. ტყვეთ ვაჭრობას შავი ზღვის იმ სანაპიროზე, სადაც თურქეთი ბატონობდა, აუნაზღოვრებელი ზარალი მოქონდა ქართველი ერისთვის. ჭერ ერთი, ლაშა და ქანშირთული ხალხისაგან იტლებოდა ქვეყანა და მეორეც — გონობიურად და გულბრუნად ქვეითდებოდა ისედაც დაპყრობილი მხარე. ამიტომაც იყო, რომ იმ პერიოდში ახლადმოსულ უცხოელებზე ჩვენი სამშობლო უცნაურ მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებდა.

ღონ ჭუხუჩე ქართული საზოგადოების ყველა ფენისთან დაახლოებული, მეტად ვადვირანი და უკვიანი აღმზიანი ჩანს. იმის თვალს არ გამოპარვია, რომ მებატონეთა ერთი ფენა არ თაყოლობდა ყმაწვილებისა და შონრდილების ყიდვა-გაყიდვას. უბრალოდ, ტანსაცმელზე სცელიდნენ შეილებს, დედებს, ცოლებს, ჰყიდდნენ ქართული მოადგმის შესანიშნავ წარმომადგენლებს და ამგვარად, ზღეს უწყობდნენ ერის გადაშენება-გადაგვარებას. აი, სწორედ ასეთ დამაბნელ სიტუაციისა მოუხდათ მოლავაყობა ჰუმანისტური იდეებით გამსჭვალულ პატრებს. ისინი გულმოდგინედ უმტკიცებდნენ, როგორც მაღალი წრეების წრმომადგენლებს, ასევე ხალხთა ფართო მასებს — ტყვეთა გაყიდვის დამლუბელობას.

მისიონერთა საქმიანობაშ თავისი ნაყოფი გამოიღო და იმდენად დიდი გავლენა აქონია მთავარ ლევან დადიანზე (რომელიც ასევე მონაწილეობდა ტყვეებით ვაჭრობაში) და სხვა დიდბატონებზე, რომ მათ ზელი აიღეს საქვეყნოდ ცნობილ ბოროტებაზე.

მოფუსმინათ თვითონ ავტორის მონათბრობს:

¹ აქედან გარკვევით შეიშნევა, რომ *il vassallo* ან *il servo*, რომელნიც პატრებსაც კი ჰყავთ, როგორც ხელქვეითნი, არ უფროს *il schiavo*-ს. წინააღმდეგ შემთხვევაში უჯიდურს მდგომარეობაშიდგ მისულ პატრებს აღარ დასკირადებოდათ ამ კატეგორიის *il schiavo*-ს მდგომარეობიდან თავის დაღწევაზე ფიქრი, როდესაც ერთ-ერთ თავადთან მსახურებად დგებოდნენ, თუკი სინონიმებად *vassallo* ან *servo* გაჩნდათ.

...ამ თვეში (ლაპარაკია 1634—1640 წწ. შუაღელზე — ბ. გ.) სამეგრელოდან კონსტანტინოპოლს მიემგზავრებიან თურქთა გემები, დატვირთულნი ამ ქვეყნის საქონლით და განსაკუთრებით თურქებზე გაყიდული უამრავი ქრისტიანი ყმაწვილით. ისინი ჩვენ ენახეთ და გულმხრეაღმდეგ გამოვიტყუეთ, რასაკვირველია, უფრო მეტი მწუხარება, ვიდრე წარმობრუნის მისტირობდნენ ვარდაცვლილ სულებს, როდესაც ისინი კოკტოს კარონტოს ნავით ქოჭობთში გადაჰყავდათ. ადრეც სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეთ სინიორების მეტად დამღუპველ ჩვეულებას, რომელნიც თავიანთ მონებს და ბავშვებს ჰყადაან. გაუდღულთა რაცები ყოველ წელს ორი ათასს აღწევს. როდესაც ვინმე აუად ზღვება ჩვეულებრივად, ჩვენ გვიზომენ ხოლმე. მათ ჩვენ მივანიჭებთ ყველაზე სწავლულ მკურნალებად ქვეყანაზე. ამიტომაც შესაძლებლობა გვეძლევა ექვადაგოთ მათ თავი დაანებონ სხენებულ მეტად შავზე ჩვეულებას. ხშირ შემთხვევაში დიდბატონებს ჩვენი ქადაგების სწერათ. მათ რიცხვში, ვინც აღგვიტყვია, ხელს ავიღებთ ამ ბინძურ საქმეზე, არიან: შესანიშნავი ბატონთაგანი — როსტომ ნხოტუა (Rostuan Scotua), რომლის დედას კენკოვანი დაეიდება ჰქონდა და შერაელზის განკურნეთ; სჭერია მიქია (Scheria Micheia), 7 წელს ბნელითაა დაეიდებულა, რომელიც განკურნეთ ქინაქინით ოცდაათ დღეში; აგრეთვე მისი ძმა გაკა (Caca), რომელიც განკურნეთ სხედასხვა სნეულებისაგან. სჭერია იბა შარტო გადამწყვიტა, რომ აღარ გაჰყიდის ყმებს, არამედ ფიციც დასდო გაყიდულთათვის ცოდვებსაც მოგინანიებო. ქორთუავე (Cortuaze), გარდაცვლილი დედაფლის მახლი, რომელიც ხშირად ავადმყოფობდა, მისი შორჩინის იმედი აღარაგისა ჰქონდა და ბოლოს სიკვდილის პირას რომ მივიდა, ჩვენ განკურნეთ. იგი ყოველ წელს მრავალ ყმაწვილს ჰყიდა ხოლმე. წრეთს შეეცადა დაებრუნებინა ზოვიერთი გაყიდულთაგანი — წარსული ცოდვების მისატყუებლად.

ჩვენმა ქადაგებამ ტყვეთა სყიდვის საწინააღმდეგოდ, შედეგი გამოიღო და როდესაც წელს სულთნისათვის ყმაწვილების ვაგზავნის დრომ მოაწია, ჩვენი სახლი გამოქცეული ყმაწვილების თავშესაფარი შეიქმნა. მათმა მშობლებმა იცინა; რომ ჩვენ პატრის გვეცემს მთავარიც და დაღებულნიც. ჩვენ ყველა გამოქცეული შევიფარეთ...

გარდა ამისა, ავტორს მოხსენებული ჰყავს საეკლესიო იერარქიის წოდებანი: პატრიარქე-

ბი ინტიოქიისა, პატრიარქი კონსტანტინოპოლისა, რომელსაც საქართველოს ეკლესია ემორჩილებათ, ერთია კათოლიკოს-პატრიარქი აღმოსავლეთსა და — მეორე დასავლეთ საქართველოში. შემდეგია არქიეპისკოპოსი, მას მოსდევს ეპისკოპოსი, მიტროპოლიტი, მღვდელი და ბერი, რომლებთანაც პატრს ვარკვეული ურთიერთობა ჰქონია დამყარებული.

ღონ ქუზეზე ქედნიეს მეგობრული ურთიერთობა ჰქონია ნიკოლოზ ბერთან სამეგრელოში, და მას ძალიან სიმამათიურად იხსენიებს (ქრისტეფოროს კასტელიმ მისი შესანიშნავი პორტრეტიც დაგვიტოვა). ის ის ნიკოლოზ-ნიკეფორეც, ერბახი-ერბახი-ირუბაქი-ნოლოყაშვილია, რომელიც თეიმურაზ მეფემ 1626 წელს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ვარზე ელხად გაგზავნა. იგი, რომის პაპის გარდა, სხვა სახელმწიფოთა სამეფო კარსაც წარუდგა და თეიმურაზ მეფის სახელით დახმარება ითხოვა სპარსეთის წინააღმდეგ.

რეალციის ავტორის მიზანი იყო, პირველ ყოვლისა, ევლტურული დახმარება აღმოეჩინა ქართველებისათვის. რელიგიური რწმენა შთაინერგა მათთვის და წარაეითვა ესწავლებინა, რაც ხალხის შეგნების ამაღლებისა და განვითარების ერთდერთი საწინდარი იყო, რაც ხელს უწყობდა მსოფლიო კულტურასთან მის დაახლოებას. მისიონერები სამეგრელო ცოდნას გადასცემდნენ ხალხს. აგრეთვე ასწავლიდნენ ხელსაქმეს და ოქრომკვეთლობას, მხატვრობას, არითმეტიკას, კოსმოგრაფიას, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას, რაც შთავარია, მათ დღეი აგრეთვე გასწიეს ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ, რამაც რეალტორ შედეგები გამოიღო. თვით ავტორისავე სიტყვით რომ ვთქვათ: მართლაცდა, ამის გარდა, სხვა რომ არაფერი გავკეთებინათ მისიონერებს, ეს ქმაროდა ვალის მოსახდელად. ქედნიეს აღწერილი ფაქტების სისწორეში ევეის შეტანა შეუძლებელია.

ღონ ქუზეზე ქედნიეს მიერ პრეზავანდა ფრედსადმი ვაგზავნილ რეალციიში გულწრფელად და უტყუარი ფაქტებითაა აღწერილი ქართლის, გურიისა და სამეგრელოს მდგომარეობა 1631 წლიდან 1640 წლამდე. აღნიშნული შრომა, არქანჯელო ლამბერტის თხზულებასთან ერთად, უტყუარი დოკუმენტია მე-17 სუტუნის პარველი ნახევრის დასავლეთ საქართველოს სინამდვილეზე. მისი დაწვრილებით შესწავლა ახალ ფაქტებს შემატებს ქართულ ისტორიოგრაფიას.

1 საქართველოში ნიკოლოზ ბერად წოდებული.

მოსე გოგიბერიძე — ვეფხისტყაოსნის მკვლევარი *

ვეფხისტყაოსნის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი აქვს შეტანილი განსვენებულ მეცნიერს მოსე გოგიბერიძეს. რუსთველოგიურ ლიტერატურაში ეს სათანადოდ არის აღნუსხული და შეფასებული. მაგრამ ერთი მთლიანი სახით მკვლევარის კონცეფცია მკითხველს წარმოუდგენია კრებულის, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინ გამოისცა „საბჭოთა მწერალმა“. კრებულის შესადგენად დიდი შრომა გაუწევია იოსებ მეგრელიძეს და სხვადასხვა ეტრნალ-ვაზეთებში დაბეჭდილ წერილებთან ერთად ახალი საარქივო მასალებითაც შეუვსია იგი. პირველად იბეჭდება, მაგალითად, ისეთი საინტერესო სტატიები და გამოკვლევები, როგორც „რუსთაველის ესოპტია“ (მეორე და შესამე თვე), „ქართული ფილოსოფიის პრელუდები“ და სხვ.

მოსე გოგიბერიძე იყო ფართო განათლების და დიდი ერუდიციის მქონე მეცნიერი, ფილოსოფოსი, საქმარისა და ვასაბელოთ ერთ-ერთი პირველი ცდა ფილოსოფიის ისტორიისა, სასამელოც მოსე გოგიბერიძის კალამს ეკუთვნის. წიგნში ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას სპეციალური თავები ეძღვნება და იგი განხილულია მსოფლიო ფილოსოფიის ისტორიისთან მჭიდრო კავშირში. მაგრამ მოსე გოგიბერიძე არ იფარულებოდა ვიწრო ფილოსოფიურად დისციპლინებით და თავისი, სამწებაროდ, ადრე შეწყვეტილი, სიცოცხლის მინძილზე არაკათი შესანიშნავი გამოკვლევა უძღვნა ქართული აზროვნებისა და პოეტური სიტყვის ისეთ ვიგანტებს, როგორცაა მათა რუსთაველი და ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ფართო განათლება და დიდი ერუდიცია საშუალებას აძლევდა მკვლევარს შემიძებოდა უველაზე კარდინალურ პრობლემებს და შეიძლება ითქვას, სხვებთან ერთად სწორედ მოსე გოგიბერიძეს უნდა ვუწოდოლოდეთ რუსთაველის მსოფლმხედველობასთან დაკავშირებუ-

ლი ურთულესი საკითხების ახლებურად დასმას. სხვა ნაყოფანებებთან ერთად ვეფხისტყაოსნის კვლევას იმათივე ერთი უცნაურობა დაჰყვა. არ დარჩენილა თითქმის არცერთი ფილოსოფიური მოძღვრება, თუ ვიწრო რელიგიური ერესი, რომლის მიმდევრადაც რუსთაველი არ გამოეცხადებინათ. იგი ხან სტოეღია, ხან პაგანისტი, ხან ნეოპლატონიკოსი და ხან მანიქეველი. ყველა ეს ერთმანეთის გამომრიცხველი თეორია სრულიად დაუსაბუთებელი იყო და ხშირად ყურით მოთრეულ ანალოგიებს ემყარებოდა. მეორე მხრივ, ამ მდგომარეობამ შექმნა უელიდრესი ვითარებაც. რუსთაველის შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის კვლევის ნაცლად, მკვლევარნი ამ დაუსაბუთებელი თეორიების კრიტიკით იყენენ გართული და უშთაერესი კი კვლავ ხელახლებული რჩებოდა. ერთ-ერთი მკვლევარი, რომელმაც დასძლია ეს სუღუნება, მოსე გოგიბერიძე იყო. აღნიშნული დაუსაბუთებელი თეორიების კრიტიკასთან ერთად, მან პოზიტიურად წამოაყენა საინტერესო მოსაზრებები რუსთაველის მსოფლმხედველობასა და რელიგიურ მარქაშზე.

საკუთარი, რომელიც განსაკუთრებით აინტერესებდა მკვლევარს, ეს იყო რუსთაველის დამოკიდებულება მანამდე თუ იმ დროს არსებულ რელიგიურ სისტემებთან. ამავე დროს ეს იყო პირდაპირი გზა პოეტის მსოფლმხედველობის, თუ მსოფლმეგრძენების რთულ სამყაროში შესასვლელად. ამ საკითხებს მ. გოგიბერიძემ რამდენიმე საინტერესო გამოკვლევა უძღვნა და დღეს, როცა ეს წერილები ერთადაა თავმოყრილი, ჩვენთვის ნათელია მკვლევარის კონცეფცია: რუსთაველი არ იყო წარმართი (როგორც ეს ზოგ მეცნიერს ეგონა), ეს კარგად ხანს პოემაში. რუსთაველი პრინციპული მონოთეისტი და მისი პირველივე სიტყვებია „პე. დეკათო, ერთო...“ თფიციალურ ქრისტიანობასთან პოეტის გარკვეულ დაპირისპირებას ზოგი მკვლევარი წარმართობისაყენ მოზრუნებით ხსნიდა. ეს იყო, მართლაც, უხეში შეცდომა და ამასთან დაკავშირებით დღესაც საინტერესოა მ.

* მოსე გოგიბერიძე — „რუსთაველი, იოსებ ბერიძის... საბჭოთა მწერალი, 1961

გოგინბერგის მოსაზრება: წარმართობასა და პოლითეიზმს რომ დაბრუნებოდა რუსთაველი, ეს იდეოლოგიური რეგრესი იქნებოდა და არა პროგრესი. ვინ დამტკიცა, რომ ბერძნული თუ ქართული წარმართობა, როგორც მსოფლმხედველობა, მონოთეისტური რელიგიებზე უფრო პროგრესულია? ძველი ლტერების აღდგენით ჭარ არც ერთი პროგრესული საქმე არ გაკეთებულა ისტორიაში, ოფიციალური ქრისტიანული რელიგიის უარყოფა რომ არც წარმართობას ნიშნავს და არც ათეიზმს, ამის ჩინებული მაგალითი არის რენესანსისა და მისი მომდევნო ევროპის ისტორიის იდეოლოგია (გვ. 30).

როგორც ცნობილია, ერთ დროს დიდი გამოხმაურება გამოიწვია ნიკო მაჩის ცნობილმა ნაშრომმა „ვეფხისტყაოსანზე“ (1917 წელი). ნიკო მაჩი პირდაპირ წერდა „ჩვენი საკითხისათვის გადაწყვეტია, რომ პოეტმა არც ერთ ადგილზე არ უნდატა თავის წარმოდგენას მესულმანურ ეთნოგრაფიკაზე, ე. ი. ღმერთი და აჩაიენ არის გარეშე მისსა, ის კი არა, ეს ასე რჩება იქაც, სადაც თეთონ გამოდის; პოემის მთელ მანძილზე ვერ ვნახულობთ ვერც ერთ მოთითებას, ვერც ერთ დანახელვებას სამებისა. პოემაში არსად არ არის დასახელებული ქრისტიანული წმინდანი, არც ლეონტი მთბერი“. თუ ნ. მაჩის პირველი გამოხატვა „ვეფხისტყაოსანს“ არასრულყოფილი დედნის საძებრად, შეიძლება ითქვას; იყო ახალგაზრდული ამქარების შედეგი, ეს ახალი ე. წ. „მაქაღიანური“ თეორია (რომელითაც რუსთაველი მაქაღიანად გამოდის) წარმოშვა ფაქტებზე ამჟამა ძალდატანებაში. სამწუხარო იყო ისიც რომ, ნ. მაჩის დღემა ავტორიტეტმა ამ „თეორიას“ სხვა მკვლევართა ნაშრომებშიაც გაუქაფა გზა.

მ. გოგინბერგის აღნიშნულ კვებულში მოთაყვებელი ერთერთი ყველაზე საინტერესო წერილი „უხენაესი ანსების ცნება „ვეფხისტყაოსანში“, რომელიც ჭარ კიდევ 1941 წელს იყო დაბეჭდილი ეურნალ „მნათობში“. მკვლევარი პოემის ანალიზით, ფაქტების რეალური მნიშვნელობათა გათვალისწინებით, დამაყრებლად ამარწყვლებს ნიკო მაჩის ყველა დებულებას და გვიჩვენებს ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობის ნამდვილ საფუძვლებს, რუსთაველი რომ მონოთეისტია და მონოთეისტურია ავტოთვე მაქაღიანობაც, ეს ჭარ კიდევ ძალიან ცოტას ნიშნავს და იგი ამით სრულიად არ განსხვავდება ქრისტიანული რელიგიიდან. უფრო მეტიც, მაქაღიანობას არ განაწინია ქრისტიანობიდან მთლიანად დამოუკიდებელი ცნება ღმერთისა... ამის ისიც ვმატებ, რომ ოფიციალურ-მესულმანურ რელიგიის რუსთაველი ისევე აღმაყრად უუფრებს, როგორც ქრისტიანულს, თუმცა მისი გმირები მაქაღიანები არიან... მაგრამ მიუხედავად ამისა,

პოემაში ქრისტიანულ-ლტერატურული ელემენტები გაცილებით შეტია, ვიდრე მესულმანური. როცა პოემის გმირები ღმერთს ვეცდნენ, ან ლოცულობენ, ადვილი დარწმუნავია, რომ ამ „მესულმანებზე“ ქრისტიანული ლოცვა და ვედრება აკრით პირს“ (გვ. 32)

მკვლევარს აქ მოაქვს ძალიან საინტერესო მაგალითები პოემიდან, როცა პოემის გმირები იმავე ცნებებითა და რელიგიური ფორმულებით მეტყუებოდნენ, როგორც შემუშავებული იყო ჩვენს ქრისტიანულ საეკლესიო მწერლობაში. გვიჩვენებთ პოემის ერთ-ერთი უბრალო ეპიკური ადგილი „ლოცვა აეთანდისისა“:

„ლოცავს, იტყვის: მალალ ღმერთო!
 ხმელთა და ცათაო,
 ზოგჯერ მომცემო პატიეთა, ზოგჯერ
 კეთილთა მზათაო,
 უცნაურთა და უთქმელო, უფალო
 უფლებათაო,
 მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო
 გულისტქმათაო! (809)

ამ ერთი ადგილიდანაც ნათელია — დასძენს მკვლევარი — რომ ეს არ არის მაქაღიანური ლოცვა. ამ ლოცვის ენა და ცნება ქრისტიანულ საეკლესიო მწერლობას ეკუთვნის. ღმერთი დახასიათებულია როგორც უცნაური, უთქმელი, უფლებათა უფალი. ამ მაგალითების გაზრდა კიდევ შეიძლება და ეს გაუთვლებელი არის რუსთაველითგორც ლიტერატურაში. (მ. ჯანაშვილი, გ. იმედაშვილი). ქართული საეკლესიო მწერლობისა თუ ჰიმნოგრაფიული პოეზიის მხატვრული ენა ორგანულად შემოდის პოემაში და კიდევ ერთხელ ამხელს ვეფხისტყაოსნის მივდრო კავშირს ქართულ სინაგოგულთან. მაგრამ შემოადინებულ პირობებს კვლავ ამბე არ უნდა შეჩერდეს. ფაქტია, არანაკლები შეცდომა იქნებოდა, რომ რუსთაველის მსოფლმხედველობას გამოვლევვა მხოლოდ საეკლესიო მწერლობასთან და საერთოდ ქრისტიანობასთან ამკვარი ურთიერთობით შემოიფარგლოს. მოსუ გოგინბერგი სწორედ ახალ ასპექტში ირკვევდა ამ საკითხებს, და სრულიად დამაყრებელია დებულება, რომ რუსთაველის პოემა არსებითად იგნორაცია ოფიციალური ქრისტიანობისა. „ნათელია, რომ რუსთაველის ამოსავალი ქრისტიანობაა, მაგრამ ქრისტიანობა არ არის რუსთაველის მსოფლმხედველობის ნავსაყუდელი. ქრისტიანული ღმერთი არ არის გონებისა და განგების ის სინთეზი, რომელსაც რუსთაველის შემოქმედების სიმათია და იღვა ეკუთვნის“ (გვ. 39). სხვა ადგილს მკვლევარს კიდევ უფრო მწყობრად აქვს მოცემული ეს კონცეფცია და, ჩემის აზრით, იგი ადვილს აღარ ტოვებს იმითვის, რომლებიც რუსთაველის ეთოთმა რეაბილიტაცი-

სათვის (იქნება უვიციობის გამო) პოემამი ათე- ისტურ რეალიებს ეძებენ და ამით ობიექტურად წარდიან. აყენებენ რუსთაველის ნამდვილად უღიღეს დამსახურებას. (ამის გამო მ. გოგი- ბერიძე ერთჯერ შენიშნავს, „რუსთაველის ათე- ისტობაზე რომ ვილაპარაკო, ეს მოწიფური ვარჯიში იქნება და არა მეცნიერულ აზროვნე- ბა“) უდავოა, რომ ვეფხისტყაოსანი ქრის- ტიანი ავტორის მიერაა დაწერილი, რომ პოემის ავტორი თავისი დროის ქრისტიანული მწერლო- ბის დიდ გავლენას განიცდის, რომ ხშირად იქ, სადაც პოემის მხატვრულ სინამდვილე შესულ- მანერი ვარჯის დახატვის მოთხოვნს, სინამდვი- ლში ქრისტიანულ-ქართული ფეოდალიზმის გე- რგოა დახატული. მაგრამ რომ რუსთაველის მსოფლმხედველობა არ იქრდება ქრისტიანული კათოლიციზმის სამპიროვან ერთ არსებაზე, რომ რუსთაველი შეგნებულად ეწევა ოფიციალური ქრისტიანობისა და მისი ეკლესიის იგნორირე- ბას, ესეც ანაბნური ქვეშაობაა (გვ. 54) რუს- თაველს არ სწამს სამპიროვანი ღმერთი, პოემა- ში არ ჩანს ძირითადი ქრისტიანული დებულე- ბები მაცხოვრობისა, მესიანეობისა და საერთოდ რომელიმე რელიგიის რაიმე დოგმატების აღა- რება. ღრმად აღმაინური პრობლემების დამსა- ვეფხისტყაოსანში უკვე თავისთავად იყო იგნო- რაცია ოფიციალური საწმენოებისა. ამასი უღიღესი როლი ითამაშა მე-12 საუკუნის ქარ- თულმა სინამდვილემ და პოეტის გენიალურმა მხატვრულმა აღმ. რუსთაველი მსოფლმხე- ველობის ახალ სიმაღლეებს არა რეფლექსიისა და ლოგიკურ აზროვნების გზით მიწედა, არამედ შენიალური პოეტური ინტუიციით. ეს მისაბ- რება ბუნებრივი დასკვნაა ზემოაღნიშნული კონ- ცეფციისა და მისი უმდგომი დამუშავება რუს- თველოლოგიური მეცნიერების დღევანდელი ამოცანაა.

მ. გოგიბერიძის ამ კრებულში განსაკუთრე- ბით საინტერესოა ის თავები, რომლებშიც შედგენილი ედება ნეოპლატონურ მოძღვრებათა ანარკუს ვეფხისტყაოსანში და აგრეთვე რუს- თაველის ე. წ. მანიქეველობის საკითხებს. ნეო- პლატონიზმის კვალს, როგორც ქრისტიანობის უფრო განვითარებულსა და რაციონირებულ საბე- ბას, ჩვენ უკვე აღვნიშნავთ პოემაში, რო- ცა გვიანალაზე ნესტანის წერილსა და ან ტა- რილის დაბნევის ცნობილ სვენას (იხ. სტრ. 881-886), მაგრამ სრულიად მარტობულია, რომ იგი ავტორის ცოდნის სფეროს ედება და არა მისი მსოფლმხედვანებას უმოთხრეს ნაკლს. ნე- ოპლატონიზმის არსი სრულიად გამოირეკავს იმ პრობლემებს, რომლებიც დასაძული და გვა- წყვეტილია პოემაში და ამდენად იგი ვერ ვახ- ლებოდა რუსთაველის მსოფლმხედვების რაიმე დასაყრდენი. ნეოპლატონიზმი სიკვდილს სიდი- ადეს ჭედავებას, სიკვდილს განთავისუფლებად და არსებობის უძალდეს მიზნად სახედა და ამიტომ, რომ სხვა ადგილას მკვლევარი აღ-

ნიშნულ მიმართულებას „სიკვდილის ფილოსო- ფიას“ უწოდებს. აქვე მინდა შევიხილო ერთი უზუსტობა ამ საკითხის ისტორიულად. ძალიან სა- ინტერესოა და მნიშვნელოვანი საკითხი რუსთავე- ლოლოგიიდან როგორცაა ნეოპლატონურ მოძ- ლვრებათა ანარკუსის ძიება „ვეფხისტყაოსანში“, წამოიწყო არა ნიკო მარმა, როგორც ეს კრე- ბულშია აღნიშნული (გვ. 46), არამედ ჯერ კი- დევ პლატონ ოსეილიანმა თავის ყოველმხრივ საინტერესო წერილში „შოთა რუსთაველი“ („Kavkaz“, 1870 წ. № 13) მე ამას აქ არ აღე- ნიშნავდი, რომ პლატონ ოსეილიანის ეს დამსა- ხურება რატომღაც იგნორირებული არ იყოთ თანამედროვე მკვლევართა ნაშრომებში!

მანის მოძღვრება არ, როგორც ხშირად ეგო- ბენ, მანიქეიზმი ერთერთი ურთულესი და ბნე- ლათიმიცული სექტანტური მიმდინარეობაა. იგი იმთავითვე დაუპირისპირდა ვაბატონებულ რე- ლიგიებს (ქრისტიანობა, მაჰმადიანობა) და მათი უნაკერის რისხვაც დამსხვრდა. მართებულად შენიშნავს ე. ნოზაძე, რომ ამან თავის დაღი და- ასვა მის ისტორიას, და პოლემიკურ ქაოსში მწე- ლია მანიქეისტური მოძრაობის ტემპირიტი არ- სის აღმოჩენა. მიუხედავად ამისა, რაც უფრო მეტს ეივებთ აღნიშნულ მოძღვრებაზე, მით უფრო სარწმუნო ხდება, რომ რუსთაველის მსოფლმხედველობის დაჯავშინება მანიქეიზმთან არაფრით არ შეიძლება. ვეფხისტყაოსნის არე- ერთ ელემენტში არ ჩანს ამ მოძღვრების რაიმე ნიშანწყალი. მოსე გოგიბერიძე სწორედ ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც შესანიშნავად დასაბუთა, რომ რუსთაველის მონოთეისტურ ღმერთს, არაფერი საერთო არ აქვს მანის დუ- დისტურ მოძღვრებასთან, რუსთაველთან არსად არ არის გაავიკებული მზე და ღმერთი; ასეც რომ ყოფს, ესეც არაფრით მოგვეცმა მანიქეიზ- მის სასარგებლოდ, სადაც ყოველ გოგნაში მთავარს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს (მა- შინ, როცა ავთანდილის ლოცვაში მთვარე მე-4 ადგილზეა). სხეულის დათრგუნებაზე და სიკვდი- ლის გზით აღამიანის გამოხსნაზე დამყარებულ მანიქეისტურ რელიგიასთან რუსთაველის ნათელ მსოფლმხედვანობას არ ვაჩნია აციკრთა, შემს- ვეღრი წერტილი.

მოსე გოგიბერიძის რუსთველური კონცეფ- ციის ერთერთი საინტერესო მომენტია პოეტის მსოფლმხედველობის შემადგენელი წყაროების კვლევა-ძიება. ასეთ შემადგენელ ელემენტად იგი პიპოტეზის სახით აუენებს არისტოტელიზმს. რუსთაველი, მკვლევარის აზრით, — არაბული ცივილიზაციის გზით გაეცნო არისტოტელიზმს, მე-12 საუკუნისათვის საბოლოოდ ჩამოყალიბდა არაბული მეცნიერება და ფილოსოფია. 1180

1 სხვათაშორის, ნიკო მარტიდან იწყებს ამ სა- კითხის კვლევას ე. ნოზაძეც. იხ. მისი „ვარსკ- ვლავი მეტყველება“ გვ. 25.

წლისათვის არაბული ცივილიზაციის უღელმსაგნიამ ავერქონა საბოლოოდ დასაფარავი არისტოკრატულს რეალისტური ინტერპრეტაცია (როგორც ცნობილია, დანტემ ბეკი რამ აიღო ავერქოსისგან). „საფიქრებელი. — დასძინს მ. გოგიბერიძე, — რომ არაბული ცივილიზაციის შემოვლით იცნობდა რუსთაველს არისტოკრატულს ნაწიერად, ნამდვილ არისტოკრატულს და არა ქრისტიანულ-პოზიტიური სქოლასტიკის მიერ პლატონიზმში შერეულ ფსევდო-არისტოკრატულს. ყოველ შემთხვევაში, წმინდა არისტოკრატულად შევივლიდა მივიჩნიათ რუსთაველის თქმა: „პ. ღმერთო, ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტიასა“ და ა. შ. ასევე, შესაძლოა ასტრალური აზროვნების დროსაც, კერძოდ, ავთანდილის შვად მნათობთა საგლობელში, ნეოპლატონიზმზე უფრო არაბული ასტრონომიის გამოძახილი გვექნაღეს. მაგრამ აქვე, ისევე, როგორც ქრისტიანული რელიგიის შექმნის დროს, მკვლევარი მართებულად შენიშნავს, რომ არაბულ ცივილიზაციასთან ნაცნობობა იყო მხოლოდ განათლებულ ელემენტს. იგი ობიექტურად არაბულ ასტრატული ისევე არ ყოფილა, როგორც არ ყოფილა ნეოპლატონული (გვ. 26).

კრებულში წარმოდგენილ წერილებში დასმულია სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც, როგორცაა, მაგალითად, ვეფხისტყაოსნის რენესანსული სელისკვეთება და მისი ურთიერთობა დასავლეთ ევროპის ანალოგიურ მოძრაობასთან, პოემის უმთავრესი იდეური მოტივები და სხვა. რომელია შესახებ აქ აღარ გავაგრძელებთ საუბარს. მხოლოდ დავძენ, რომ მკვლევარი-მეცნიერი არ შემოფარგლულა მარტო მსოფლმხედველობრივი საკითხების ძიებით და წიგნში სინტეტურად დაკვირვებები წარმოადგენილი რუსთაველის პოეტური ენის გარშემო. საყურადღებოა მ. გოგიბერიძის შენიშვნა, რომ ვეფხისტყაოსანსა და მის ავტორზე ისტორიული და ფილოსოფიური ხასიათის დიდი მემკობაა ნატარებელი, მაგრამ იგი არ უნდა გახდეს იდეალი და უთანასწოელი ნათესაუდელი რუსთაველის შთაგონების ათვისების გზაზე (გვ. 65) სწორედ ეს თვალსაზრისია გატარებული წერილების მთელ სერიაში, რომელსაც ავტორმა „რუსთაველის ესთეტიკა“ უწოდა, როგორც აღვნიშნეთ, ზოგი ამ წერალოვანი პირველად ქვეყნდება და ამდენად წიგნი კიდევ უფრო სანტრეტესო ხდება დღევანდელი მკითხველისთვის. ამ დიდ მემკობაა გაწეული და არაერთი სანტრეტესო მოსაზრებაა გამოთქმული რუსთაველის ენაშიერებზე, შესაკალურ ფერზე, პოეტურ ზერებზე. გონება-მხვილური დაკვირვებები რუსთაველს „პოეტური მეტყველების ეარტურობაზე“... რამდენსა შემდეგ უკვე ფორმალისტური ცთენებაში იწყება. კონკრეტული მაგალითებით ნაწვევებია, თუ როგორია გენიალური ზომიერების გრძნობით ფლობს რუსთაველი პოეტური ენას და როგორ აღწევს თავს ამ ცთენებათაგან. (სხვათაშორის, მსგავსი მოსაზრება, რამდენადაც მახსოვს, გამოთქმული აქვს ტიციან ტაბაძეს). ძალიან საინტერესოა დაკვირვება ისეთ გამოთქმებზე, როგორცაა „მა შაქის ფერად გაუხდა ეარდა, წმირწმირად პოზილსა“ (1335). ეს სახე დღესაც არაბეულებრივად თანამედროვეა. მაგალი პოეტური ისტატობით ორი მოპირდაპირ გრძნობიდან მომდინარე განცდა ფერისა და გემოსი ერთხალ შემქმნებულ ნოვანად მოვლენილა. პოეტურ წარმოსახვაში აქ სასიამოვნო ხმის მოსმენის დროს მიღწეულს სიტყვების გეგმით მიღვია, შაქის ფერი სიტყვების განცდის მომგვრელი ფერია (გვ. 67).

ზოგი-რამ ამ სფეროდანაც შეიძლება საკამათო იყო, მაგრამ საკითხები ისე ღრმა და მახვილდა დასმულია, რომ დღესაც აღძრავენ მკვლევართა ინტერესს საკამათო, მაგალითად, მკვლევარის შენიშვნა პოემის კომპოზიციისა და შედგენილობის საკითხებზე. არ იმანინი წყორად ავტორის მოსაზრება, რომ ვეფხისტყაოსნის ფერების სიმბოლიკამ (შავი და ყვითლის მონაცვლეობა) შთაგონა ავტორი. პოემისათვის ვეფხისტყაოსანია ეწოდებინა (81-83 გვ.), როგორც ცნობილია, ვეფხისტყაო ნესტანის სახე-სამბოლოა და პოემის კომპოზიციის ერთერთი საყრდენი ელემენტია; დაწვრილებით იხ. პარამიზე „მოთა რუსთაველი“, 1958 წ. ასევე არასწორია რუსთაველის ვარჯის რითმში კონსონანსების ძიება და ა. შ. ვეფხისტყაოსნის, როგორც იტყვიან, წვეთია ზღვაში და მ. გოგიბერიძის შესანიშნავი გამოკვლევების კრებულს იოტის ოღენი ჩრდილსაც ვერ ავეწება.

კარგი მეცნიერული აპარატურით (შენიშნებში, კომენტარებში, ნაშრომების სია და სხვ.) აღჭურვილ კრებულს დართული აქვს ოსებ მეტრულიის მიერ დაწერილი ავტორის ბიოგრაფია. ბიოგრაფიაში ვეცნობით მეცნიერებისათვის თავდადებული მამულიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

საკრის ცარიფილი.

სიყვარული დაფერილი

ქართული საბჭოთა თეატრის პირველ თაობას ადრე გამოაჯლდა ერთ-ერთი მართალი და მამულიშვილი.

I კრებოა ქართული, „გადამწვარი გული“, ზღაოვნება, 1961.

დაღნიევირი აქტიორი, ტემმარიტი ადამიანი — ზალეა ლამაზიძე, დარჩა ნათელი მოგონებანი. უამრავი რეცენზია და ერთი პატარა წიგნი კონკრეტორაფიაში შეტანილ მის დიდ წვლილზე. ახლა კი თეატრის თავჯანსმეველთა მიხედვით.

ლითოეთას შეემატა სიყვარულით დაწერილი მონოგრაფია ლეწმოსილი მსახიობზე „გადამწერი ვულა“, რომლის ავტორია ერთმა ქართველმა შვილმა.

როცა თეატრზე შეყვარებულ ადამიანს, სიყვარულს, ისტორიაზე ანდა თანამედროვე თეატრის პრობლემებზე უხდებია წერა, ეს საგანგებო ძიებებისა და დაკვირვებების გარდა დიდ ვრუდოცადაც მოითხოვს, მაგრამ ნაკლებად ძნელი როლია ერთი ადამიანის, ერთი აქტიორის ისტორიის აღწერა; აქ ძიებებისა და დაცვირვების გარდა დიდი გრძნობა და ხატვის უნარიცაა საჭირო.

სამწუხაროდ ქართული თეატრალური ლიტერატურით არ ვართ განებავრებულნი, მით უფრო ვალში ვართ მათ მიმართ, ვისაც ყოველდღე ეხედვით სცენაზე და ვინც ნიადაგ გვიღვავს და ვეაფქრებს.

ერთმა ქართველმა მსახიობის სიუცხელე-შივე დაისახა მიზნად, დაეწერა წიგნი დიდი შემოქმედისა და დიდი ადამიანის შესახებ...

თუ ქართველ მაყურებელს კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრი უყვარდა და უყვარს, ამისი ხომ შალვას ხალის ნიქსაც უღვივებ დიდი წილი. ცხადია, ბევრი გაახარა წიგნმა, რომელშიც მოთხრობილია მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ამასთანავე, წიგნში უხვადაა წარმოდგენილი შ. ლამბაშიძის სამსახიობო მოღვაწეობის ამსახველი ფოტოსურათები.

ავტორი თავიდანვე გვიხსენებს იმ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს, რომ „მსახიობის თამაშის ცოცხალი კვლეა არაა, არა რჩება, მას მეორედ ველაზავინ „წაიკითხავს“...

მართალია, ეს ფაქტი თანამედროვე მსახიობზე თავისი ადრინდელი უღმობულოდით აღარ ვრცელდება, რაკი კინემატოგრაფია არსებობს, მაგრამ, ცხადია, მომავალ თაობათათვის მაინც მიუწოდებელი დარჩება შალვა ლამბაშიძის მიერ შესრულებული ის ბრწყინვალე როლები, რომლებითაც მან ესოდენ ვამდიდრა ქართული თეატრი, ესენია: დე სილვა („ურულ აკოსტა“), ესტეანი („ცხერის წყარო“), მექადანაშვილი (სოლომონ მექადანაშვილი*), გოროდინი („რევიზორი“), არჩილი („ჩატეხილი ხიდი“) და სხვ. შ. ლამბაშიძის წრფელი შესრულებით მოხადობებულ მაყურებელი მისი მღვდელ თაყვანისმცემელი რჩებოდა და თვალნათლად ხედავდა მხატვრის იმ დიდ შემოქმედებით ნიქს, რომელსაც ასე დაუნებებლად უნაწილებდა შალვა თავის სცენურ ორეულს.

წიგნი გამოჩენილ მსახიობზე დაწერილია დანეი, შ. ლამბაშიძის ბუნებასათვის შესაფერი კალით; დაწერილია უოველივე იმ მნიშვნელოვანსა და ამოღებულზე, რაც მომხდარა

მსახიობის ცხოვრებაში; და რამდენადაც შალვას ცხოვრება მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, აქ ავტორი, ცხადია, ამ თეატრის დაარსებზე სულ ბარსაც ვერ აუვლიდა გვერდს. შემდეგ ისევ შ. ლამბაშიძის აქტიორულ შედეგებზეა ბაასი, და ავტორი დიდხანს ჩერდება „ოტელოს“ კოტე მარჯანიშვილისეულ დადგმაზე.

შექსიორის დიდებულმა ტრაგედიაში — „ოტელოში“ — დიდხანს რომ ვერ იტოვებდა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე, ეს საყოველთაოდაა ცნობილი, და მათ, ვისაც ეს სექტატალი არ უხილავს, ახსოვს რამდენიმე ფოტო, განსაკუთრებით კი, ის ჩინებულად გააზრებული მიზანსცენა, რომელშიც უშანგი ჩხეიძის იაგო არჩივით დაფრენია შალვა ლამბაშიძის ვულწასულ ოტელოს. დიდებულა მომენტია! მთელ სექტატალად ღირდა ეს მიზანსცენა, ეს იყო დაუვიწყარი შტრახი და ამიტომ ვააგრძელებ მან სიუცხელე ბრწყინვალე ბალეტ „ოტელოში“.

ე. ქარელიშვილს მოსწონებია შ. ლამბაშიძის ოტელო და ყოველნაირად ცდილობს გაამართლოს „ოტელოს“ დადგმა მარჯანიშვილის სახ. თეატრის სცენაზე. მაგრამ რას დააყვებდა შალვა ლამბაშიძის დიდ შემოქმედებას ერთი მარცხი, ამ ჩავარდნა.

მონოგრაფიაში დაწერილებითაა ვადმოცემული ქართული თეატრის თვალსაჩინო ოსტატის ნამდვილი შემოქმედებითი მიღწევები, და ვისაც არ უნახავს, ამოკოხტულითაც თვალნათლად წარმოადგეს, თუ როგორი იყო შალვას სოლომონ ისაიჩი, კნუტოვი („უშიშვოვი“), მეფერისონი („რუსეთის საკითხი“), „ქეტუტოვი“ („ბავარტონი“), რიბაფრატა („სასტუმროს დიასახლისი“), გიორგი („ფიქრის ვორა“) და სხვ. ისიც ვარგა, რომ ავტორის ცალკე გამოუყვანო თავი: „ქართული ხასიათი“, მაგრამ რაკი ეს ჩინაფიქრი ჰქონია, უმკობესი იქნებოდა, სხვადასხვა ფერცლებზე გაფანტული მსჯელობა სოლომონ ისაიჩზე, გოლუბაზე, თუ გიორგი სააკაძეზე ამ თავში მოექცა და „ალანის ოჯახი“ წინ გადაეცანა, რადგანაც საუბარი ქართულ რეპერტუარს ეხება. ალანის როლზე მსჯელობას ამ თავში აღარ აქვს ვამართლება.

ქართული თეატრის რეალისტური ტრადიციების ამ ერთგვარი ღრსებრი გამოქმედებლას შესახებ არა ერთ და ორ ამოღებულზე ეპიზოდს მოგვაგონებს ავტორი და კლასიკური რეპერტუარადან განსაკუთრებული სიყვარულით ჩერდება შალვა ლამბაშიძის მიერ შინილის როლის შესრულებაზე „ჩატეხილი ხიდიში“. ეს ბოლო შალვას ბუნების შესაფერი იყო ყოველმხრივ და მთელი თავისი სიღინჯე და კეთილშობილება რაკი არ დაუშურებია მისთვის, ნამდვილი ილიასეული გმირი შეექმნა.

„მსახიობს მშვენიერად ჰქონდა მონახული ხასიათის გამოსახვის შესაბამისი ეპიური ფორმები. მისი ძუნწი, გააზრებული მოძრაობა და დარბაისლური კილო ლაპარაკისა, ზედმიწევნით გაღმარებულია ხასიათის აზრსა და ბუნების თავისებურებას, კესოსა და არჩილის დიალოგში უბრალოდ როდი უპირისპირდებოდა ერთმანეთს ცხოვრების მოკლებებზე სხვადასხვა წარმოდგენის ეს ორი პიროვნება. ამ დიალოგში გახსნილი იყო ცხოვრების სიმატლე, ქართველი გლეხისა და თავადის მთელი ფილოსოფია და ფსიქოლოგია“, — წერს ე. ქარელიშვილი და ეს სტრიქონები მით უფრო ძვირფასია, რომ თანამედროვეს დაწვრილია და საკუთარი თქლით დანახული და გულით ნაგრძნობი.

ეს ცხოვრების სიმატლე და ღრმა ფილოსოფია ახლდა ყოველთვის შ. ლამბაშიძის თამაშს და ამიტომ გამოიყურება ასე გოლიათურად მისი შემოქმედება.

თანამედროვე დრამატურგიდან შ. ლამბაშიძის ერთ-ერთ საუკეთესო როლს — პროფესორ

გორგისაც მეტად თვალნათლივ და სიამბრესოდ აგვიჩვენებს ე. ქარელიშვილი. „ესაც ერთხელ მაინც უნდა გავხიზნოთ პროფესორი გორგი (ე. შატერაშვილის „ფიქრის გორა“), მას არასოდეს არ დაავიწყდება ქართველი მამის სულის ძალა და კეთილშობილება. რამდენი რამ იყო ახალი ამ სცენურ სახეში და ამავე დროს, როგორ შეუმჩვენვალა, ბუნებრივად გვაკავშირებდა ეს საუკეთესო ტრადიციებთან, იმასთან, რის გამოც შეიღებო, შეიღებულები და მათი შეიღებები თავყანს სცენაზე თავიანთ შაშვს, პაპებსა და პაპისპაშებს“.

ე. ქარელიშვილი კარგად გვისახატავს შ. ლამბაშიძის, როგორც მოქალაქისა და შემოქმედის პორტრეტს, ვატყობით გვიყვება არა მარტო მისი სცენური მოღწევების შესახებ, არამედ გვაცნობს მის მიერ კინოში განსახიერებულ როლებს და მსახიობის რეჟისორულ მოღვაწეობასაც. ეს ყველაფერი ერთად კი შეუძს ჰქვენს იმ დიდ შემოქმედს, რომელსაც ასე პატივით დამილი შემოიჩა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე და ასე უღრმოდ მოწყვა ქართულ სცენას.

ნანა ლომიძეაძე.

ანტიფაშისტური მხარის ცხოვრება და შემოქმედება*

ანა ზეგერსი, როგორც მწერალი და მოქალაქე შეიღროდა დაეკავიერებული გერმანიის მუშათა კლასთან, მსოფლიო ანტიფაშისტური მოძრაობისათან, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლისათან. როგორც ყველა ანტიფაშისტი მწერლის ბიოგრაფია, ანა ზეგერსის ცხოვრების გზაც ია-ვარდებით როდღ იყო მოფენილი: 1933 წელს როდესაც გერმანიის სათავეში ფაშისტები მოეცქენენ, ანა ზეგერსი დაამატირეს, როგორც კომუნისტური პარტიის წევრი; მაგრამ მალე მოახერხა გაქცევა პარიზში და იქ სჭა ანტიფაშისტ მწერლებს შეუერთდა.

1940 წელს, როდესაც გერმანელებმა საფრანგეთი დაიპყრეს, ზეგერსმა მექსიკას მიავიზა; მხოლოდ 1947 წელს დაბრუნდა გერმანიისა და აქტიურად, მთელი სულითა და გულით ჯაება ახალი გერმანიის კულტურული ცხოვრებას ფერხელში. ანა ზეგერსმა აქტიური მონაწილეობა მიიღო გერმანიის ხელოვნებათა აკადემიის დაარსებაში, ამჟამად იგი მშვიდობის მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის წევრია. 1951 წელს მშვიდობის ლენინური პრემიით დააჯილდოვეს,

იმავე 1951 წ. და შემდეგ, განმეორებით 1959 წ. ნაციონალური პრემია მიიღო.

სამშობლოში და მის გარეთ ანა ზეგერსი დაუღალავ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა, და დღეს იგი მრავალი რომანის და მთხბრთბის ავტორია. მთელი მისი შემოქმედება თავისუფლებისათვის ბრძოლის ჰიმნია. სწორედ ამ მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებას მიმოახილავს ვახტანგ ქოჩორაძის წიგნი „ან ზეგერსი“ (რედაქტორი ზ. კარბალაშვილი).

ე. ქოჩორაძის თანმიმდევრბობით აქვს დაღაგებული და ვაანალიზებული ა. ზეგერსის, თითქმის, ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოება. მართალია სარეცენზო წიგნში ბიოგრაფიული მომენტები მოკლედ არის ვაბმოცემული, მაგრამ რაც არის, იმითაც ნათელი წარმოდგენა გვიქმება მწერლის ცხოვრებასა და წინააღმდეგობით აღსავსე გზაზე.

ანა ზეგერსი დასავლეთის იმ მწერალთა პლეადის ეკუთვნის, რომლებმაც, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირს მიაპყრეს მზერა და შემოქმედების მიზნად თავისუფლებისათვის ბრძოლა გაიხადეს. ანა ზეგერსი ერთი იმათგანია, ვინც საკუთარი თვლით ხილია ვანახლებული საბჭოთა ქვეყანა და ცხიარა სოციალისტური კულტურას.

*ვახტანგ ქოჩორაძე, „ანა ზეგერსი“, თბილისის, საბჭოთა მწერალი, 1961.

ვ. ქორაძის მონოგრაფიაში დახასიათებულია XX საუკუნის პირველი ნახევრის გერმანიის სოციალ-დემოკრატიული და პოლიტიკური მდგომარეობა, გადმოცემულია საბჭოთა კავშირის იდეურ-პოლიტიკური გავლენის ზრდა გერმანიის მეშვეობით კლასის მოწინავე ნაწილში.

მონოგრაფიის ავტორი მოკლედ მიმოიხილავს მწერლის აღზრდულ ნაელებს ცნობილ ლიტერატურულ ნიშნებს, მიუთითებს მათ ნაკლებინ მხარეებზე, მაგრამ ამავე დროს წინსწევს ასეთ დამახასიათებელ ნიშნებს, რომელთა განვითარებამ შემდგომში მწერალი სოციალისტურ რეალიზმად მიიყვანა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ა. ზეგერის მოთვლილი შემოქმედება მეშვეობით კლასის ბრძოლის მხატვრული განხორციელებაა. მწერალი დაუფარავად ახელებს ყველას, ვინც გერმანელი ხალხს დემოკრატიის და პროგრესის გზას ააციდანა, ვინც ფაშისტებს გზა გაუხსნა ბელისუფლებისაკენ. ამ თემსთან დაკავშირებით ვ. ქორაძის წიგნში ცალკე განხილული მითხრობა „შეფასებული აღმავანი“, რომელიც ასახავს გერმანული სოფლის გაფაშისტების პროცესს. იქ ნაჩვენებია, როგორ შეძლეს ფაშისტებმა არა მარტო ბოზობების, შეძლებული ფენების გადაბირება, არამედ ღარიბი გლეხობის მოტყუებაც. მითხრობის თეოთული პერსონაჟი სინამდვილიდან აღებული ტაპია, ამიტომ ერთიორად იზრდება მისი იდეურ-მხატვრული ღირებულება.

მეორე ნაწარმოებში „თებერლის გზით“ მწერალმა ასახა გერმანული მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების გამცემლური პოლიტიკური მოღვაწეობა. შექმნა ფართო სოციალური ტილო, სადაც გამოყვანილია საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები. იქ მწერალი გვიჩვენებს, რომ თებერალმა მუშებს გამარჯვება ვერ მოუტანა, მაგრამ იდეურად და პოლიტიკურად დედაკაცა და ბრძოლებში გამოაწროთ მეშვეობით კლასი.

წიგნში განხილულია აგრეთვე, ნაწარმოები „სხნა“, რომელიც ქრონოლოგიურად „თებერლის გზას“ მოსდევს, მაგრამ „შეფასებული აღმავანი“ ერთგვარ ვაგრძელებს წარმოადგენს თუ პარკულად მოცემულია ფაშისტური იდეებით მოტყუებული და დაბრმავებული ადამიანების ცხოვრება, რომანში „სხნა“, როგორც თვით სათაური გვანიშნებს, ნაჩვენებია „გზა სხნისა“, ე. ი. ნაჩვენებია მეშვეობით კლასის ბრძოლა ანტიბალბური, აგრესიული ძალების წინააღმდეგ.

მონოგრაფიის ავტორს განსაკუთრებით გაუმხებელია ყურადღება ანა ზეგერის იმ ნაწარმოებებზე რომლებიც მწერლის შემოქმედებაში და საერთოდ, გერმანულ კრიტიკულ რეალისტურ ლიტერატურაში საუბაო ნაწარმოებებად ითვლებიან. ასეთია ფაშისტების წინა-

აღმდეგ მიმართული რომანი „მეშვიდე კვანთ“ (1942), მოთხრობა „ტრანზიტ“ (1943) და რომანი „მეცალბელები ახალგაზრდანი რიგებანი“ (1949). ეს უკანასკნელი, რამდენიმე წელს წინათ ცალკე წიგნად გამოვიდა პირთულ ენაზე. ავტორს ვერცაღ აქვს განხილული ეს ნაწარმოები. იქ ანა ზეგერის წარმოგვიდგება, როგორც დიდი რეალისტი, ფართო ვიზუიტი ტილოებას მხატვარი. რომანი მოიცავს გერმანიის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ხანას, დაწყებულს 1918 წლის თებერლის რევოლუციით და დამთავრებულს მეორე მსოფლიო ომით. რომანში გათვანიალია სხვადასხვა სოციალური ფენების, ასევე სხვადასხვა პარტიული დაწვეუებების მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები. ერთი შეხედვით მწერალი უდავოდ საიმპროვიზოს წინ იდგა, რადგან შესაძლებელი იყო ნაწარმოები გადატვრთულიყო. პედაგოგიკით და მხატვრული ასახვა მშრალ, მომავლურებულ თხრობას შეეცვალა, მაგრამ ანა ზეგერის უტყუარმა ნიჭმა მას გამარჯვება მოუტანა, და მივიღეთ მაღალიდებური მხატვრული ნაწარმოები, რომელმაც მწერალს მსოფლიო სახელი მოუხვეპა.

რომანი „მეცალბელები ახალგაზრდანი რიგებანი“ საინტერესოა თავისი არქიტექტონიკით. წიგნში რამდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ამბავი ვითარდება. ამ ამბებს აერთიანებს და ერთ კვანში ჰყავს რომანის მთავარი მოქმედი გმირის ვრდინის მკვლელობის ამბავი. რომანში არის მრავალი საინტერესო დეტალი და ქმნიქმეტი, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს უფრო ღრმად ჩასწვდეს მწერლის ჩანაფიქრს.

მონოგრაფიის ავტორი აღნიშნავს ანა ზეგერის ამ რომანის ზოგ ნაელოვანებებსაც.

ვ. ქორაძე ცალკე გამოყოფს ანა ზეგერის პედაგოგიკურ, ანტიფაშისტურ და ანტი-მომარტარისტულ მოღვაწეობას. როგორც ცნობილია მწერალმა ქალმა მშვიდობისათვის ბრძოლას მრავალი მოთხრობა და პედაგოგიკური წერილი მიუძღვნა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში ზეგერის ხშირად მმართველს წარსულს და ჩვენს თვალწინ აცოცხლებს ისტორიულ პირებს. ვ. ქორაძე დაწერილობით ზერდება ამ ცაკლის ყველა მოთხრობაზე. წიგნის ეს მონაკვეთი ერთი საინტერესო ადგილთაგანია მონოგრაფიაში.

ანა ზეგერის ერთერთ წერილში „გერმანული მწერლის სიტყვა“ ასე განსაზღვრავს თანამედროვე გერმანული მწერლის დანაშნებებს: „გერმანიის ყველა პარტიოტი მწერლისათვის დადგა დრო, როცა მათ ხალხთან ლაპარაკი შეუძლიათ; დრო, როცა მათ უნდა მოეწოდონ გერმანელებს აშენონ ახალი მშვიდობიანი ცხოვრება. საქირთა ახალგაზრდობას ჩაუენერგოთ ომისა და ფაშისტის სიძულელი... ჩვენ გერმა-

ნელეში უნდა აღზარდოთ „პატრიოსტემა სხვა: ზალბებისადმი, რათა მომავალში ვერაინ შესი-
ლოს მათა ნდობის ბოროტად გამოყენება, მათ
ამხედრება მეზობელ ქვეყნებში მყოფ მე-
გობრებზე“.)

ამ საბრძოლო მოწოდების პასუხად ანა ზე-
გარსმა 1959 წელს გამოაქვეყნა რომანი „გადა-
წყვეტილება“ (პირველი წიგნი), რომელიც
ქრონოლოგიურად გავრთვლებია რომანისა „მი-
ტყაიღებულები ახალგაზრდანი რჩენიან“. თუცა
ამ უკანასკნელში თხრობა 1945 წლით მთავრ-
დება, რომანში „გადაწყვეტილება“ ამებში სწო-
რედ ამ წლიდან იწყება, ე. ი. მწერალი ამ ნა-
წარმოებში დემოკრატიული გერმანიის აღორ-
ძინების სურათს გვიხატავს და ამიტომაც ვასა-
გებია თუ მხარგრავის ავტორს დაწერილებით
იქვს განხილული რომანი „გადაწყვეტილება“
და გაჩრეულია მისი მხატვრული ღირსებანი.

როგორც ვხედავთ, ე. ქობორაძის წიგნი
საქმის სიყვარულითა და საგნის ღრმა ცოდნით
განაღობებულია ანა ზეგერსის ლიტერატურუ-
ლი შემოქმედება, სწორადაა შინათუებული მწე-
რლის ადგილი გერმანული ლიტერატურის სა-
ერთო განვითარებაში; მაგრამ აქვე შევნიშ-
ნავთ, რომ უკეთესი იქნებოდა ავტორს ანა
ზეგერსის შემოქმედება განეხილა მსგავსი მწერ-
ლებისა და მსგავსი ნაწარმოებების შეპირისპო-
რების საფუძველზე. მართალია, წიგნი ჩამოთ-
ვლილია ბევრი კომენტარით მწერალი, მაგრამ
არცერთი მწერალი არაა წარმოდგენილი კონ-
კრეტული ნაწარმოებებით.

ე. ქობორაძის ეს გამოკვლევა კიდევ ერთ
წინ გადადგმული ნაბიჯია საზღვარგარეთული
ლიტერატურის კვლევის საქმეში.

ზურაბ ახაშივი,
ვიქტორ კახინაშვილი.

„კაუზლის“ ახალი გამოცემის გამო*

კიბლინგის „გუნდლის წიგნი“ („მათელი“),
მწერლის სხვა ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთი
საუკეთესოთაგანია. იგი მრავალკერ გამოიცა
ჩვენს ქვეყანაშიც, ასისა მხატვართა შემოქმე-
დებაში, იღვებმა ობრაზტოვის თოკინების თე-
ატრის სცენაზე, ვნახეთ კორდას ფელში. ეს წიგ-
ნი ისევე წარმტაცია, როგორც ვეა-ფშველას-
„შელის ნერის ნამბობი“ თუ ფ. ზალტერის
„მამბი“.

„მათელი“ ქართულად პირველად 1946 წელს
გამოიცა, ხოლო ახლახანს „ნაკადულმა“ გამოი-
ცა. იგი თარგმნილია ინგლისურიდან თ. დიასამი-
ძის მიერ, ლექსების თარგმანი ეკუთვნის ე. პე-
ლიძეს. ვიდრე თარგმანის ვამბილეს შეუდგე-
ბოდეთ, გესურს დავახსნათათ ის ძირითადი
ენობრივი ნაკლოვანება, რაც დღეს თავს იჩენს
ქართული ენის პროზაულ ტექსტებში. რუს-
ციკებში, ინდოევროპეიკებში (სინტაქსი და აგ-
რეთვე ფრაზოლოგია) ე. წ. კადები (მაგ. არ
მარეობს, ვიზიტი ვაუეთა, პარველ რაგში...)
დღეს ქართულ ენაზე ზემოქმედო ვეუღაზე
მძლავრი გარეგანი ფაქტორია. ცხადია, არ მუ-
იძლება იმის დაეიწყება, რომ კალკა ენის განაზ-
ღებისა და გამიღრების წყაროცაა; მე-18 და
მე-19 საუკუნეების მანძილზე რუსულმა ენამ
არსებობად თავისივე ინდო-ევროპულ ენათა
ოჯახიდან—ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და
სხვა ენებიდან შეისისსლობორკა მრავალი ამათი
ლექსიკური თუ სინტაქსური კალკა, და ასე კუ-
ლევ უფრო დაიხვეწა და გაძლიერდა. საუკუნე-
თა მანძილზე ამ გზით მიღიდრდებოდა ქართუ-

ლი ენაც, მაგრამ მაშინ ამ პროცესს აწინასწო-
რებდა დიალექტების შემწეობა ლიტერატურუ-
ლი ენის სასარგებლოდ: ყოველივე ეს ისევე
უნდა გვახსოვდეს, როგორც არ შეიძლება იმის
დაეიწყება, რომ ინდოევროპეიკებში ქართული
ენისათვის უცხო ენობრზე ოჯახიდან მოტანილი
თესლია, რომ დღეს დიალექტების თანამომარე-
ლეობა ლიტერატურულ ქართულში შენესტიბუ-
ლია. ასეა თუ ისე, მოგვეწონს ეს თუ არა, ჩვენს
ენაში დამკვიდრდა და კიდევ ათობებს ფეხს
ათობით და ასობით უცხო კონსტრუქ-
ციები, რაც მიზიდულობის ძალით, კიდევ
ახალ თანამომეებს ეცევა ჩვენს ენაში. მართ-
ლაც, მრავალმა კალკამ ისეთი უფლებამოსილე-
ბა მოიპოვა, რომ ახლა მათა ჩანაცვლება „წმინ-
და“ ქართულთ ამოი ცდა იქნება. მაგრამ ერ-
თიც აშკარაა: ერთი ენის ფარგლებში არ არსე-
ბობენ კარგი და ცუდი, პროეინციული და არა-
პროეინციული სიტყვები, არის მხოლოდ კონ-
ტექსტისაზრისადა ინტონაციის ლოკიცა, სადაც
ესა თუ ის სიტყვა თავის გამართლებას მპოე-
ლობს. სიტყვის სტილისტურ-ფუნქციონალური
საზღვრები მოძრავია და თუ ამ კანონს შეხაზა-
მის სამოქმედო პირობებს შევექმნით, ქართუ-
ლი ენა უპირველესად თავის წიაღში გამოიხვე-
ნის დახვეწისა და განაზღების ძალებს.

„მათლის“ თ. დიასამიძისეულ თარგმანში ძა-
ლიან სწორად ფრაზეოლოგია თუ სინტაქსი წმინ-
დაა ქართულია, დახვეწილი და ბუნებრივი, მაგ.
...რამი მენაღვლება რას ფიქრობს ჩვენგლი“ (გვ.
40), „აველამ უფრიც არ შეიბერტყა“ (გვ. 12).
„ჩვენგლიმ ყველა გაიტანს როგორმე თავს“
(გვ. 62), „უკან დამბრუნებას თავიც აღარ სქონ-

* კიბლინგი, „კაუზლი“, ნაკადული, 1961.

და“ (გვ. 63), „პაპანაქება სიციხე“ (გვ. 52) და მრავალი სხვა. მაგრამ გაუმართლებელი ისეთ წინადადებების ხმარება, როგორცაა: „არავითარ შემთხვევაში არ გამოხვიდე მოთმინებადან“ (გვ. 63), „უდიდეს საამოყენებს წარმოადგენდა“ (გვ. 63), „ჩვეულებრივ დროს“ (გვ. 63), „საკეთარი თვლით დიანახა“ (გვ. 61), „ყველაღეს ვიამბობთ ჩვენს შესანიშნავ ბირთვებებზე“ (გვ. 49), „უწინდადებული მზადყოფნა“ (გვ. 63), „ქუჩის სიღრმეში“ (გვ. 61), იქნებ ჯობდეს „უღრან ქუჩებში“. ამგვარად იგრძნობა ამ წინადადებათა უნაგვარო მსდოვერობა უდიდესი ანალოგიის მიხედვით. მაგრამ ზოგი შემთხვევაში ჩამოთვლილი ფრაზა, როგორცაა „არავითარ შემთხვევაში“, „არ გამოხვიდე მოთმინებიდან“, თითქოს უკვე შეიკვამა ქართულმა ენამ. საერთოდ კი უცხო ენათა გრამატიკული თვლით ანალოგიის გამოყენება სასურველია მხოლოდ მაშინ, როცა შენს ენას არ მოუბოვება სათანადო გამოთქმა. თითქოს შანცდამაინც არც კი ეცდობება ყურს ინდოევროპეიზმის ფრაზოლოგიის ქართული კალკა ... თავის სიციხულეს საფრთხეში აგდებს...“ (გვ. 63). მაგრამ კარგი ქართულით ასე უნდა იყოს: „თავს საფრთხეში აგდებს“.

„მაუგლას“ ლექსები, თარგმნილი ინგლისურიდან უახტანგ ჭელიძის მიერ ინარჩუნებენ დედნის სიმარტივესა და უშუალოებას. ამ ერთი მაგალითი:

ლამის ნიაღვრამა ბერქები წალკოს...
 ელა განათებს მდინარის ნაპირებს
 ენა ვერ დაგიძრავს ველი ავიქროლდა?
 ეს შიშა, შიში, პატარა მონადირე!
 ლექსები „მაუგლის ნადირობა“ და „კეას ნადირობა“ თარგმნილია თავისუფალი ლექსით; საინტერესო და კარგ მოყვანად მიგვაჩნია ე. ჭელიძის მიერ კაპლინგის „მაუგლის“ თავისუფალი ლექსის ქართულად გადმოღება. ამ ნაწყვეტი „მაუგლის სიმღერაიდან“.

მაუგლის სიმღერას მე ვმღერა—მაუგლა,
 ქუჩის ღრმის მხრივ საქმენი ჩემი.
 შერ—ხანს მოყვლა სურდა, ჰოი, მოყვლა
 სურდა!

შეზინდებისას უნდა მოვეყალბო...
 არა დამაშავებია რა მათთვის, მაინც
 ემინდებოდა ჭკუში!
 რათა, რატომ?
 გელის ხროვამაც განმდევნა,
 ჩემთვის ქუჩის დამშეული და სოფლის
 კარები!

თავისუფალი ლექსი კარგად შეესატყვისება ამბის, მსჯელობის, „შინაგანი“ მონალოგის გადმოცემას; მიემართოთ თუნდაც ნაწყვეტს „კეას ნადირობიდან“.

ავახას წინწყევლებით მოაქვს თავი, კამენის
 კი რქებით.
 მონადირეს კანი უნდა ვიზინავდეს—ჭლიერი
 გამოჩნდება.
 კამენმა რომ გაქვლავა დავიბროს, ან სამბობა
 რქებზე წამოგება
 ნელარ დაყოვნებ, მუს შეგატყობინე,
 დასაბამითვე ასე ზღედა...

„მაუგლი“ მშვენიერადაა დასურათებული. კაპლინგის წიგნის მდიდარმა და მრავალფეროვანმა სამყარომ ალ. ბანჭელაძისი უდიდესი ილუსტრაციებში შესაფერა ვადაწყვეტილმა პოეტიკურსაგან დამოუკიდებლადაც, მთელი წიგნი მალაღმსებრული ალბომივით წარმტაცია. მხატვარს აურთევია ფსიქოლოგიურ განწყობილებათა არა სიმბოლიური გადაწყვეტა, არამედ მაუგლისა და ქუჩის სამყაროს ბინადართა ბლასტიური მოძრაობაში ჩვენება. ხან შაქლარი, მკვეთრი ფერების და ხან გაცრეცილი ცეცხლების ფონზე წარმოსახული ნადირი თუ მაუგლი, ქუჩის სურათებს დრამატიკულ აქციენტებს, სიწარმტაცებს ანიჭებენ. საბავშვო წიგნების დასურათება მონაბრუნის ცნობიერების, განსწავლულობის და გეგმონების ჩამოყალიბებაში ლიტერატურის თანაზიარი და თანამომემ უნდა იყოს. „მაუგლის“ მალაღმსებრული გამოცემისათვის მადლობის ღირსია გამოცემლობა „ნაკადული“.

იხილეთ კანონიერი.



ახალი წიგნები

„საბოთა მუარალი“

- ვახლი ბარნოვი — თბ. ტ. 5. რედ. გ. ლეონიძე. გვ. 484, ფასი 1 მ. 8 კაბ.
- ნიკოლოზ კანდილაი — სოლომონ ლიონიძე. ქართულ მკვებრმეტყველების კლასიკოსი. რედ. ნ. ხომერიკი. გვ. 35, ფასი 10 კაბ.
- გივი ძნელაძე — შენი სახელის კირიმე. ლექსები. რედ. მ. ფოტოშვილი. გვ. 84, ფასი 13 კაბ.
- შანდორ პეტეფი — რჩეული. ლექსები, თარგმანი გრ. აბაშიძისა. რედ. ა. ვაბესკირია. გვ. 179, ფასი 26 კაბ.

„საბოთა საკართველო“

- ნიკოლოზ ჩაჩავა — რაც განმოდია. რედ. ვ. ჭავჭავაძე. გვ. 144, ფასი 25 კაბ.
- გ. მებრეე — ხალხოსანი მწერლები, რედ. ერ. ქარელიშვილი. გვ. 114, ფასი 35 კაბ.
- პ. საყვარელიძე — დაფანტული ფერკლები. რედ. ნ. ინასარიძე. გვ. 464, ფასი 94 კაბ.
- მარია ვარიუელი — ანარეკლი. რედ. შ. ამისულაშვილი. გვ. 556, ფასი 84 კაბ.
- რ. ანანიშვილი — წვეთები ფოთლებზე. რედ. ნ. ქლენტი. გვ. 188, ფასი 35 კაბ.

„ნაკადული“

- დავით გაჩეილაძე — ჩიქვის ბრალი. რედ. გ. კაცხიძე. გვ. 36, ფასი 15 კაბ.
- ლავრენტი კიბინაძე — თეთრა. რედ. ჯ. ნიჭაბაძე. გვ. 63, ფასი 35 კაბ.
- არსო ონელი — გზა დიდი და გზა პატარა. რედ. ჯ. კანტურია. გვ. 128, ფასი 22 კაბ.
- ეთერ სახვაძე — ქორთული მოლაშქრენი. რედ. მ. მგელაძე. გვ. 52, ფასი 10 კაბ.
- ნარგიზა მგელაძე — ლალის ვარსკვლავი. რედ. ნ. გურგენიძე. გვ. 26, ფასი 3 კაბ.
- გივი ნადარეიშვილი — არდადეგების დღეებში. რედ. ჯ. კანტურია. გვ. 34, ფასი 7 კაბ.
- შ. ლარცულიანი, ვ. მებრეევი — გულშემატკეობის თანამგზავრი. რედ. მ. კაცხიძე. გვ. 116, ფასი 18 კაბ.
- ა. დობოზი — ლილიბუტები და გოლიათები. თარგმანი ალბერტ ხაბეაშვილისა. რედ. ა. ამაშუკელი. გვ. 64, ფასი 28 კაბ.
- გ. მარტინოვა — ფანტასტიკური მოთხრობები, თარგმანი ბ. ჩიქობავას და შ. თაბუკაშვილისა. რედ. შ. დარასხელიძე. გვ. 546, ფასი 1 მან.

8 1214
ფან 80 კკ.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО „САБЧОТА МЦЕРАЛИ“